პროფესიული სერტიფიცირება

ნაწილი 2

წიგნი F4

ქართული ბიზნესსამართალი

(მეოთხე გადამუშავებული გამოცემა 2017 წლის 1 მარტის მდგომარეობით)

სახელმძღვანელო და პრაქტიკული სავარჯიშოები

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია

PROFESSIONAL EXAMINATIONS

PART 2

BOOK F4

GEORGIAN BUSINESS LAW

(FOURTH ELABORATED EDITION WITH AMENDMENTS AND SUPPLEMENTS UNTIL 01.03.2017)

STUDY TEXT AND REVISION KIT

GFPAA
საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია

წიგნი მომზადებულია ინგლისისა და უელსის სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) ადაპტირებული ქართული პროგრამის ფარგლებში, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ.

წიგნი გათვალისწინებულია ბუღალტერთა და აუდიტორთა პროფესიული სერტიფიცირებისთვის. იგი ასევე გამოადგება ეკონომიკური პროფილის სტუდენტებს, მაგისტრებს, ასპირანტებსა და პრაქტიკოს სპეციალისტებს.

ავტორი: **ზურაბ ჭეჭელაშვილი**

კაზუსები მოამზადა: **თემურ ინაშვილმა**

© საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია

© ზურაბ ჭეჭელაშვილი

თბილისი, 2017

წინასიტყვაობა მეოთხე გამოცემისათვის

წინამდებარე ნაშრომის – „ქართული ბიზნესსამართალი“ პირველი გამოცემა გამოქვეყნდა 2007 წელს, მეორე გამოცემა დაიბეჭდა 2009 წელს, ხოლო მესამე გამოცემა კი – 2011 წლის იანვარში. უკანასკნელი გამოცემის შემდეგ ბიზნესის სამართლის მომწესრიგებელმა ძირითადმა ნორმატიულმა აქტებმა – საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონმა და საქართველოს შრომის კოდექსმა ბიზნესის სამართლებრივი რეგულირების მხრივ განიცადა არაერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება და დამატება, რის გამოც საჭირო გახდა ნაშრომის შემდგომის ახალი გადამუშავებული გამოცემის მომზადება. მაგ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსში:

- 2011 წლის 13 ოქტომბრის კანონით განხორციელებული ცვლილებებითა და დამატებებით მთლიანად შეიცვალა და ახლებურად ჩამოყალიბდა ლიზინგის მომწესრიგებელი ნორმები – მესამე წიგნის კერძო ნაწილის თავი მეოთხე – ლიზინგი, მუხლები 576-580[6];
- 2012 წლის 8 მაისის კანონით განხორციელებული ცვლილებებითა და დამატებებით მთლიანად შეიცვალა და ახლებურად ჩამოყალიბდა წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმები – მესამე წიგნის კერძო ნაწილის მესამე კარის მეორე თავი, მუხლები 1009-1016;
- 2013 წლის 25 დეკემბრის კანონით სავალდებულო გახდა სესხის ხელ-შეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დადებული იპოთეკის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმება, გარდა ამავე კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა (625-ე მუხლი); შეიცვალა იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლის წესი (მე-300 მუხლი), მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა იპოთეკის საგნის აუქციონზე რეალიზაციის პროცედურამ, დადგინდა აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ იპოთეკის საგნის იძულებითი მართვის (სეკვესტრის) შესაძლებლობა;
- 2015 წლის 16 ოქტომბრის კანონით მცირე ცვლილებები განიცადა აღნაგობის შესახებ მომწესრიგებელმა ნორმებმა, კერძოდ, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 239-ე მუხლის 1-2 ნაწილების ნორმები, ნაცვლად ადრე არსებული იმპერატიული ბუნებისა, გახდა დისპოზიციური, ვინაიდან თითოეულს დაემატა დათქმა: „თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“;
- 2015 წლის 11 დეკემბრის კანონით საქართველოს სამოქალაქო კოდექსიდან ამოღებულ იქნა 172-ე მუხლის მე-3 ნაწილი და, შესაბამისად, გაუქმდა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე პოლიციის მეშვეობით საკუთრების ხელყოფის ან სხვაგვარი ხელშეშლის აღკვეთის წესი, რომელიც კოდექსში შემოღებულ იქნა 2006 წლის 8 დეკემბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით.
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 2016 წლის 29 დეკემბერის საკანონმდებლო ცვლილებები შეეხო კვლავ 625-ე მუხლს, რითაც დადგინდა სესხის საპროცენტო განაკვეთის შეზღუდვები; ასევე კოდექსს დაემატა 628[1] მუხლი, რითაც დადგინდა ფულადი სახსრების მოზიდვის შეზღუდვა.

მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში:

- 2011 წლის 24 ივნისის კანონით განხორციელებული ცვლილებებითა და დამატებებით მთლიანად შეიცვალა და ახლებურად ჩამოყალიბდა საწარმოს რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის მომწესრიგებელი ნორმები, მუხლები 14-14[4];
- 2016 წლის 19 თებერვლის კანონით დადგინდა შპს-სა და სს-ში მოგების განაწილების ახალი წესები, ასევე ახლებურად მოწესრიგდა აქციების ფლობასა და განკარგვასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები;
- 2016 წლის 8 ივნისის კანონით დადგინდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ჩატარების ახალი წესები, საზოგადოებრივი დაინტერესების პირების სამეთვალყურეო საბჭოებში შემოღებულ იქნა აუდიტის კომიტეტი.

საქართველოს შრომის კოდექსში:

- 2013 წლის 12 ივნისის კანონით არსებითად შეიცვალა და ახლებურად ჩამოყალიბდა შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელი ცალკეული მნიშვნელოვანი ნორმები, მაგ., დადგინდა შრომითი ხელშეკრულების აუცილებელი წერილობითი ფორმა, თუ შრომითი ურთიერთობა გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს, ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის ნორმა იმპერატიული გახდა, რის შედეგადაც მხარეებს აღარ შეუძლიათ საწინააღმდეგო პირობებზე შეთანხმება, დაუშვებელი გახდა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა სხვა საფუძვლით, გარდა კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებისა, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში დადგინდა დამსაქმებლის კანონისმიერი ვალდებულება, წინასწარ 30 ან 3 დღით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე და გადაუხადოს მას შესაბამისი კომპენსაცია.

მეოთხე გამოცემაში 2017 წლის 1 მარტის მდგომარეობითაა განხილული კერძო სამართლის ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგები, როგორიცაა სამოქალაქო, საკორპორაციო (სამეწარმეო) და შრომის სამართალი.

ნაშრომი შედგება 5 თავისაგან:

I თავი – ქართული სამართლის საფუძვლები. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი;

II თავი – სანივთო სამართალი;

III თავი – ვალდებულებითი სამართალი;

IV თავი – საკორპორაციო (სამეწარმეო) სამართალი;

V თავი – შრომის სამართალი.

I თავში განხილულია ისეთი არსებითი სამართლებრივი საკითხები, როგორიცაა: სამართლის ცნება, სამართლის სისტემა, სამოქალაქო სამართლის წყაროები, სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები, გარიგებები.

II თავში განხილულია: ნივთების, ქონებისა და საწარმოს ცნებები, მფლობელობა, საკუთრების უფლების ცნება, მისი შინაარსი, საკუთრების უფლების შეძენა და დაკარგვა, საკუთრების უფლების შეძენა უფლებებსა და მოთხოვნებზე, ვალის გადაკისრება, სარგებლობის სანივთო უფლებები, რეალიზაციის სანივთო უფლებები (ვალდებულების უზრუნველყოფის სამართალი).

III თავი დაყოფილია 2 ნაწილად – ზოგად და კერძო ნაწილებად. ზოგად ნაწილში განხილულია: ვალდებულების ცნება და სახეები, ხელშეკრულების ცნება და სახეები, ფაქტობრივი სახელშეკრულებო ურთიერთობა, წინარე ხელშეკრულება, ხელშეკრულების დადება, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, ხელშეკრულებიდან გასვლა (ხელშეკრულებაზე უარი), ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა, ვალდებულების შესრულება, უარი ვალდებულების შესრულებაზე, კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება, ვალდებულების დარღვევა, ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი, ვალდებულების შეწყვეტა. კერძო ნაწილში განხილულია: ნასყიდობის ხელშეკრულება, ჩუქების ხელშეკრულება, ქირავნობის ხელშეკრულება, სესხის ხელშეკრულება, ნარდობის ხელშეკრულება, საბანკო მომსახურება, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება, თავდებობის ხელშეკრულება.

IV თავიც დაყოფილია ზოგად და კერძო ნაწილებად. ზოგად ნაწილში განხილულია: სამეწარმეო საქმიანობის ცნება, საწარმოსა და კორპორაციის (საზოგადოების) ცნებები, კორპორაციების (საზოგადოებების) სახეები, ფილიალები (წარმომადგენლობები), კორპორაციების (საზოგადოებების) დაფუძნება და სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი, საფირმო სახელწოდება, შენატანი და მისი განხორციელება, საზოგადოების კაპიტალი, საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა, სავაჭრო მინდობილობა, გენერალური სავაჭრო მინდობილობა (პროკურა), საზოგადოების რეორგანიზაცია, საზოგადოების ლიკვიდაცია და გაუქმება. კერძო ნაწილში განხილულია: ამხანაგობის ტიპის საზოგადოებები – სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება და კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება.

დასასრულ, **V თავში** განხილულია შრომით-სამართლებრივი საკითხები, კერძოდ, შრომითი ურთიერთობის ცნება და შრომითი ურთიერთობის სუბიექტები, შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, შრომითი ხელშეკრულება, შრომის ანაზღაურება, სამუშაოს შესრულება და შრომის შინაგანაწესი, სამუშაო, შესვენებისა და დასვენების დრო, შვებულება, შრომითი ურთიერთობის შეჩერება და შეწყვეტა, კოლექტიური შრომითი ურთიერთობა – კოლექტიური შრომითი ხელშეკრულება, პასუხისმგებლობა შრომით ურთიერთობაში და შრომითი დავა.

ყოველ თავს სანიმუშოდ ახლავს თემასთან დაკავშირებული სასამართლოს გადაწყვეტილებები და კითხვები თვითშემოწმებისთვის. კაზუსების ამოხსნის უნარ-ჩვევების განვითარებისათვის ნაშრომში მოცემულია განვლილ თემებთან დაკავშირებული კაზუსების ნიმუშები პასუხებითურთ.

ზ. ჭეჭელაშვილი
სამართლის დოქტორი, სრული პროფესორი, ადვოკატი
თბილისი, 2017წ. აპრილი

I თავი. ქართული სამართლის საფუძვლები.
სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი

1. სამართლის ცნება და სისტემა 1
2. სამოქალაქო სამართლის წყაროები. 3
3. სამოქალქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები – პირები ზოგადად 5

კაზუსები განვლილ მასალაზე 31

II თავი. სანივთო სამართალი

1. ნივთები. ქონება. საწარმო 33
2. მფლობელობა 39
3. საკუთრების უფლების ცნება და მისი შინაარსი 48
4. საკუთრების უფლების შეზღუდვები 50
5. საკუთრების უფლების შეძენა და დაკარგვა ნივთებზე 54
6. საკუთრების უფლების შეძენა უფლებებსა და მოთხოვნებზე. ვალის გადაკისრება 59
7. ბინის საკუთრება მრავალბინიან სახლში 65
8. სარგებლობის სანივთო უფლებები 67
9. რეალიზაციის სანივთო უფლებები (ვალდებულების უზრუნველყოფის სამართალი) ... 78

კაზუსები განვლილ მასალაზე 96

III თავი. ვალდებულებითი სამართალი
ზოგადი ნაწილი

1. ვალდებულების ცნება და სახეები 99
2. ხელშეკრულების ცნება და სახეები. ფაქტობრივი სახელშეკრულებო ურთიერთობა. წინარე ხელშეკრულება 101
3. ხელშეკრულების დადება. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება 106
4. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები 112
5. ხელშეკრულებიდან გასვლა (ხელშეკრულებაზე უარი) 115
6. ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი – გარიგების საფუძვლის დარღვევა. გრძელვადიანი ხელშეკრულების (ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის) შეწყვეტა 121
7. ვალდებულების შესრულება. უარი ვალდებულების შესრულებაზე. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება 124
8. ვალდებულების დარღვევა 137
9. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი 143
10. ვალდებულების შეწყვეტა 147

კერძო ნაწილი

11. ნასყიდობის ხელშეკრულება 154
12. ჩუქების ხელშეკრულება 160
13. ქირავნობის ხელშეკრულება 161
14. სესხის ხელშეკრულება 167
15. ნარდობის ხელშეკრულება 169

16. საბანკო მომსახურება 172
17. ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება 178
18. თავდებობის ხელშეკრულება 181
კაზუსები განვლილ მასალაზე 185

IV თავი. საკორპორაციო (სამეწარმეო) სამართალი

ზოგადი ნაწილი

1. შესავალი 187
2. სამეწარმეო საქმიანობის ცნება 191
3. საწარმოსა და კორპორაციის (საზოგადოების) ცნებები. კორპორაციების (საზოგადოებების) სახეები. ფილიალები (წარმომადგენლობები) 192
4. კორპორაციების (საზოგადოებების) დაფუძნება და სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი 194
5. საფირმო სახელწოდება 196
6. შენატანი და მისი განხორციელება. საზოგადოების კაპიტალი 196
7. საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა. სავაჭრო მინდობილობა. გენერალური სავაჭრო მინდობილობა (პროკურა) 198
8. საზოგადოების რეორგანიზაცია 203
9. საზოგადოების ლიკვიდაცია და გაუქმება 207

კერძო ნაწილი

10. ამხანაგობის ტიპის საზოგადოებები – სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება და კომანდიტური საზოგადოება 209
11. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 211
12. სააქციო საზოგადოება 214
კაზუსები განვლილ მასალაზე 224

V თავი. შრომის სამართალი 227
კაზუსები განვლილ მასალაზე 238

კაზუსების პასუხების ნიმუში 240
I თავი. ქართული სამართლის საფუძვლები. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი 240
II თავი. სანივთო სამართალი 241
III თავი. ვალდებულებითი სამართალი 242
IV თავი. საკორპორაციო (სამეწარმეო) სამართალი 244
V თავი. შრომის სამართალი 245

I თავი

ქართული სამართლის საფუძვლები. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი

1. სამართლის ცნება და სისტემა

I. სამართლის ცნება

სამართალი სოციალური ფენომენია და იგი არსებობს მხოლოდ ადამიანების საზოგადოებაში. ეს უკანასკნელი ყოველთვის ექვემდებარება განსაზღვრულ წესრიგს; ადამიანები მუდმივად ამყარებენ ერთმანეთთან ურთიერთობებს, რომელთა შინაარსი მეტად მრავალფეროვანია იმისდა მიხედვით, კონკრეტულად რომელ პირთა შორის მყარდება ეს ურთიერთობა და რისკენ არის მიმართული მათი ქმედებები. ნებისმიერი წესრიგი გულისხმობს მის რეგულირებას საზოგადოების ხელთ არსებული ზემოქმედების საშუალებების მეშვეობით. საზოგადოება ზემოქმედებს, უპირველეს ყოვლისა, მასში მყარად დამკვიდრებული მორალური, ჩვეულებითი ნორმების მეშვეობით, რელიგიური დოგმებით. თუმცა, ყველაზე ქმედით და სავალდებულო ხასიათის ზემოქმედების საშუალებას მიეკუთვნება სამართალი, ე. ი. სამართლის ნორმებით დადგენილი მართლწესრიგი.

რა არის სამართალი? სამართალს საზოგადოებრივ მეცნიერებებში, მათ შორის, იურისპრუდენციაში არაერთგვაროვნად განმარტავენ. თუ სამართლის ფილოსოფიასა და ზოგად თეორიაში სამართალს მიიჩნევენ ფორმალურ თავისუფლებად, საზოგადოების წევრთა თანასწორობად, ***იურისპრუდენციაში სამართალს განმარტავენ როგორც ადამიანთა სავალდებულო ქცევის წესების – ნორმების ერთობლიობას.*** პირველი გაგებით სამართალი შედეგია საზოგადოების წევრთა საერთო ნებისა, იგი საზოგადოების წევრთა ბუნებითი სამართლია; ასეთი სამართალი უნდა განვასხვაოთ ***ე. წ. პოზიტიური სამართლისაგან***, რომელიც მდგომარეობს სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მიღებულ ნორმატიული აქტების – კანონების ერთობლიობაში. მაშასადამე, კანონი განსხვავდება სამართლისაგან. კანონი უნდა ეფუძნებოდეს სამართალს, თუმცა, არაიშვიათად შეიძლება თავად კანონი იყოს უსამართლოც, თუ იგი არსებითად უხვევს საზოგადოების წევრთა საერთო ნებისაგან და მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების თვითნებურ და უხეშ მოქმედებას წარმოადგენს.

საზოგადოებრივ ურთიერთობებს სამართალი აწესრიგებს ***სამართლებრივი ურთიერთობის*** ერთ-ერთი მონაწილისათვის უფლების მინიჭებისა და მეორე მონაწილისათვის ვალდებულების დაკისრების მეშვეობით. უფლებები და ვალდებულებები წარმოიშობა ერთდროულად და ისინი ერთმანეთის გარეშე არ არსებობს; სამართლებრივი ურთიერთობის ყოველი მონაწილის უფლებას შეესაბამება ურთიერთობის სხვა მონაწილის ვალდებულება. ამდენად, სამართლის ფუნქცია მხოლოდ თავისუფლების მინიჭება როდია; პირიქით, სამართალი, განსაკუთრებით, პოზიტიური სამართალი, გარდაუვლად ზღუდავს კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფის თავისუფლებას და მას განსაზღვრულ ჩარჩოებში აქცევს, თუმცა, ეს ხდება (ან უნდა ხდებოდეს) მთლიანად საზოგადოების საერთო ინტერესების სასარგებლოდ. სწორედ კერძო და საზოგადო ანუ საჯარო ინტერესების დაბალანსების რეგულატორის როლის შესრულება წარმოადგენს სამართლის ერთერთ ძირითად ფუნქციას.

II. სამართლის სისტემა

ჯერ კიდევ რომის სამართალი იცნობდა სამართლის ძირითად დაყოფას ***კერძო და საჯარო სამართლად***. კერძო სამართლად რომის სამართლის წყაროები აღიარებდა კერძო პირთა შორის ურთიერთობების მომწესრიგებელ ნორმებს, ხოლო საჯარო სამართლად – ისეთი ნორმების ერთობლიობას, რომლებიც ეხება სახელმწიფოს ინტერესებს. თუ დავესესხებით ძველი რომაელი იურისტის – ულპიანეს ცნობილ გამონათქვამს, საჯარო სამართალი ეხება რომის სახელმწიფოს სტატუსს, კერძო სამართალი კი – კერძო პირთა მიერ სარგებლობას.

თანამედროვე მეცნიერებაში კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნის კრიტერიუმად გამოიყენება უკვე არა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის ინტერესი ან სტატუსი, არამედ – სამართლებრივ ურთიერთობაზე სამართლის ზემოქმედების ხერხები და ხასიათი. თუ საქმე ეხება ისეთ სამართლებრივ ურთიერთობას, სადაც სახელმწიფო ორგანო გამოდის როგორც საჯარო ხელისუფლების სუბიექტი, სახეზე გვექნება საჯარო სამართლის სფეროს მიკუთვნებულ ურთიერთობასთან. მაგრამ, როდესაც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, მათ შორის, სახელმწიფო ორგანო, მოქმედებს არა როგორც აღჭურვილი საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებით, არამედ როგორც კერძო პირი, ადგილი აქვს კერძო სამართლის სფეროს მიკუთვნებულ ურთიერთობას. აღსანიშნავია, რომ კერძო და საჯარო სამართლის "სუფთად" გამიჯვნა თითქმის შეუძლებელია. პრაქტიკულად, არ არსებობს სამართლის დარგი, რომელიც ცალსახად ერთ სფეროს ეკუთვნოდეს. მაგალითად, ისეთ წმინდა წყლის საჯარო სამართალს მიკუთვნებულ სამართლის დარგში, როგორიცაა სისხლის სამართლის პროცესი, არსებობს კერძოსამართლებრივი ელემენტები – გირაო, საპროცესო მორიგება და სხვა. თავის მხრივ, კერძო სამართალს მიკუთვნებულ სამართლის დარგებშიც მოიპოვება უამრავი საჯაროსამართლებრივი ელემენტი. მაგალითად, გაკოტრების სამართალში, შეიძლება ითქვას, კერძო და საჯარო-სამართლებრივი ელემენტები შეჯერებულია თითქმის თანაბარწილად.

წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში, ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს კერძო სამართალი, რომლის სისტემა შემდეგნაირია:

- სამოქალაქო სამართალი;
- სავაჭრო (საკორპორაციო) სამართალი;
- შრომის სამართალი.

კერძო სამართლის ზოგადი და ყველაზე ფართო სამართლის დარგია ***სამოქალაქო სამართალი***. სამოქალაქო სამართლის სახით ჩვენ წარმოგვიდგება ნორმების ერთობლიობა, რომლებიც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა თანასწორობის საწყისებზე აწესრიგებს ქონებრივ და პირად არაქონებრივ ურთიერთობებს. სამოქალაქო სამართლის ნორმებიც, თავის მხრივ, დალაგებულია განსაზღვრული სისტემის მიხედვით. სამოქალაქო სამართლის ძირითადი ნორმატიული აქტის – სამოქალაქო კოდექსის ცალკეული ნორმები ქმნის ინსტიტუტებს, რომლებიც, თავის მხრივ, ერთიანდება წიგნებად და მთლიან კოდექსად.

სამოქალაქო კოდექსში ცალკეული ***ინსტიტუტების განლაგებას*** უდიდესი მნიშვნელობა აქვს იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით. უპირველეს ყოვლისა, ამას მნიშვნელობა აქვს კოდექსის ნორმათა პრაქტიკაში გამოყენებისათვის, რათა ადვილად მოიძებნოს კონკრეტული ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა. მაგალითად, ლოგიკურად ასე უნდა იყოს: ჩუქების ხელშეკრულებაში მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების მარეგულირებელი ნორმები სრულად უნდა განთავსდეს მხოლოდ ვალდებულებითი სამართლის განსაკუთრებული ნაწილის ჩუქების თავში და არა სხვაგან – საოჯახო, მემკვიდრეობის ან სანივთო სამართალში.

მეორე მხრივ, სამართლებრივი ნორმებისა და ინსტიტუტების სათანადო განლაგება ხელს უწყობს მათ სწორად გაგებასა და იურიდიულ შეფასებას. ცხადია, ნორმა უნდა შევიდეს იმ ინსტიტუტის შემადგენლობაში, რომელიც მოიცავს ნორმით რეგულირებულ ურთიერთობას, ხოლო ინსტიტუტი უნდა შევიდეს კოდექსის იმ წიგნის შემადგენლობაში, რომელსაც იგი თავისი სამართლებრივი ბუნებით უნდა ეკუთვნოდეს.

ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სტრუქტურა შემდეგნაირია:

- წიგნი პირველი – სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი (მუხლები 1-146);
- წიგნი მეორე – სანივთო (ქონებრივი) სამართალი (მუხლები 147-315);
- წიგნი მესამე – ვალდებულებითი სამართალი:
  ზოგადი ნაწილი (მუხლები 316-476);
  კერძო ნაწილი (მუხლები 477-1016);
- წიგნი მეოთხე (ამოღებულია);
- წიგნი მეხუთე – საოჯახო სამართალი (მუხლები 1106-1305);
- წიგნი მეექვსე – მემკვიდრეობის სამართალი (მუხლები 1306-1503).

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. რა წარმოადგენს სამართლის ძირითად ფუნქციას?
2. რა მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო კოდექსში ცალკეული ინსტიტუტების განლაგებას?

2. სამოქალაქო სამართლის წყაროები

სამართლის წყაროს ცნების ქვეშ იგულისხმება ***სამართლებრივი ნორმების გამოხატვის ფორმა.*** ქართულ სამართალში სამართლის წყაროს ძირითად ფორმას წარმოადგენს ნორმატიული აქტები – კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, თუმცა, ეს უკანასკნელნი არ არის ერთადერთი სამართლის წყარო. სამართლის წყაროს წარმოადგენს, აგრეთვე, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (პრეცედენტი). როგორც წესი, პრეცედენტული ძალის – ანუ სხვა სასამართლოებისათვის სავალდებულო – არის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები. სამართლის წყაროა საერთაშორისო ხელშეკრულება, როდესაც მის ხელის მომწერ მხარეს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო. დასასრულ, სამართლის გარკვეულ წყაროს მიეკუთვნება ასევე საზოგადოებაში დამკვიდრებული ჩვეულებები, როდესაც ისინი სანქციონირებულია (ნებადართულია) სახელმწიფოს მიერ.

ნორმატიული აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვით-მმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს.

საქართველოს ნორმატიული აქტები იყოფა საქართველოს ***საკანონმდებლო და საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებად***, რომლებიც ქმნის საქართველოს კანონმდებლობას. საქართველოს ნორმატიულ აქტებს განეკუთვნება აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება.

საქართველოს ***საკანონმდებლო აქტების*** სახეებია:

ა) საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი;

ბ) საქართველოს ორგანული კანონი;

გ) საქართველოს კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი.

საქართველოს საკანონმდებლო აქტების, საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების მიმართ მოქმედებს შემდეგი ***იერარქია***:

ა) საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი;

ბ) საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება;

გ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება;

დ) საქართველოს ორგანული კანონი;

ე) საქართველოს კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი.

საქართველოს საკანონმდებლო აქტებს აქვს ***უპირატესი იურიდიული ძალა*** საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ. თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება უფრო გვიან მიღებულ (გამოცემულ) ნორმატიულ აქტს.

საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს ***უზენაესი კანონია***. მას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა სხვა სამართლებრივი აქტების მიმართ. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას. საქართველოს კონსტიტუციური კანონი საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია. მხოლოდ საქართველოს პარლამენტია უფლებამოსილი, მოახდინოს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირება, დენონსირება და გაუქმება. საქართველოს ორგანული კანონი მიიღება მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელთა მოწესრიგებაც საქართველოს კონსტიტუციის თანახმად საქართველოს ორგანული კანონითაა გათვალისწინებული. საქართველოს კანონი შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს გამგებლობაში არსებულ ნებისმიერ საკითხზე, თუ საქართველოს კონსტიტუციით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საქართველოს ***პრეზიდენტი ბრძანებულებას და დეკრეტს***, აგრეთვე, როგორც საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, – ***ბრძანებას*** გამოსცემს საქართველოს კონსტიტუციით, ორგანული კანონითა და კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და მათ საფუძველზე. საქართველოს პრეზიდენტი ბრძანებულებას გამოსცემს იმ შემთხვევაშიც, თუ შესაბამისი საკითხი არ არის მოწესრიგებული საქართველოს საკანონმდებლო აქტით გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საკითხი განეკუთვნება სხვა ორგანოს უფლებამოსილებას. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ნორმატიული აქტია (გამონაკლისია ბრძანებულებები, რომლებიც საკადრო და პერსონალურ საკითხებს ეხება). საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი არის კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტი, რომელიც გამოიცემა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში. საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ კანონს, კონსტიტუციურ შეთანხმებას, საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, ორგანულ კანონს. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, დადოს საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება.

საქართველოს ***მთავრობის დადგენილება*** მიიღება საქართველოს კონსტიტუციის, კანონებისა და საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად..

საქართველოს ***მინისტრის ბრძანება*** შეიძლება გამოიცეს მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. საქართველოს მინისტრის ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს, რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად გამოიცა იგი.

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. რა არის სამართლის წყარო?

2. რომელი ნორმატიული აქტების მიღებაზე არის უფლებამოსილი საქართველოს პარლამენტი?

3. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები – პირები ზოგადად

1. ზოგადად

ზემოთ ჩვენ მიერ უკვე ითქვა, რომ სამართალი აწესრიგებს სამართლებრივ ურთიერთობებს; მოწესრგების მეთოდი მდგომარეობს სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი ან ორივე (ყველა) მონაწილისათვის უფლების მინიჭებასა და მეორე (ყველა) მონაწილისათვის ვალდებულების დაკისრებაში. ამდენად, ნებისმიერ სამართლებრივ ურთიერთობაში, რომელიც ყოველთვის წარმოიშობა და არსებობს სამართლის ნორმის საფუძველზე, მონაწილეობს ურთიერთობის ***სუბიექტი ანუ პირი, რომელსაც ეკუთვნის ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებები და/ან ეკისრება ვალდებულებები.***

პირებს სამართალში ყოფენ ფიზიკურ და იურიდიულ პირებად.

2. ფიზიკური პირები

I. უფლებაუნარიანობის ცნება

ნებისმიერ ფიზიკურ პირს – ადამიანს აქვს ***უფლებაუნარიანობა, ე. ი. უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, იყოს სამოქალაქო ურთიერთობების სუბიექტი.*** ეს უნარი განუყოფელია ადამიანისაგან; იგი დამოკიდებული არ არის ადამიანის არც ასაკზე, სქესზე, ჯანმრთელობისა თუ სოციალურ მდგომარეობაზე. მისი წართმევა დაუშვებელია. უფლებაუნარიანობა წარმოიშობა ადამიანის დაბადების მომენტიდან და არსებობს მისი გარდაცვალების მომენტამდე. თუმცა, სამოქალაქო კოდექსი იცნობს ისეთ შემთხვევას, როდესაც გარკვეული უფლება წარმოიშობა ადამიანის დაბადებამდეც; ასეთ უფლებად მიჩნეულია მემკვიდრეობის უფლება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილი). აღნიშნულის დადგენით კანონი მიმართავს ე. წ. იურიდიულ ფიქციას და ამით აღიარებს დაუბადებელი ჩანასახის უფლებაუნარიანობას. ამით კანონი იცავს მომავალში დაბადებული ადამიანის ინტერესებს სამკვიდროს მიღებაზე. ამდენად, ჩასახული, მაგრამ ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის წილი უნდა იქნეს გათვალისწინებული მემკვიდრეობის გაყოფისას. თუმცა, კანონისმიერი ასეთი ფიქცია – ჩანასახის მემკვიდრეობის უფლება პირობითია და მისი განხორციელება დამოკიდებულია ბავშვის დაბადებაზე. თუ ბავშვი არ დაიბადება ან არ დაიბადება ცოცხალი, ითვლება, რომ ჩანასახს არც არასოდეს ჰქონია აღნიშნული უფლება; შესაბამისად, არც მის უფლებაუნარიანობას ჰქონია ადგილი.

ამდენად, უფლებაუნარიანობა წარმოიშობა დაბადებიდან, მაგრამ რა მიიჩნევა თავად დაბადების მომენტად? საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ამის შესახებ არ არის მითითებული, მაგრამ მისი ნორმების სათანადო განმარტების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ დაბადების მომენტად უნდა ჩაითვალოს, როდესაც ბავშვი მთლიანად ან ნაწილობრივ გამოეყო დედის ორგანიზმს. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, ჭიპლარი მოჭრილია თუ არა, ბავშვი დაბადების შემდეგ სიცოცხლისუნარიანია თუ არა და ა. შ.

უფლებაუნარიანობა წყდება ფიზიკური პირის გარდაცვალებით. განსხვავებით დაბადების მომენტისაგან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ ადგენს, თუ რა ჩაითვლება გარდაცვალების მომენტად: თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილი). შესაბამისად, ადამიანის გარდაცვალებად ჯერ კიდევ არ ჩაითვლება, მაგალითად, სუნთქვის შეწყვეტა, გულის ცემის შეჩერება, ე.წ. კლინიკური სიკვდილი და სხვა. თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა იმიტომაც არის მიჩნეული გარდაცვალების მომენტად, რომ იგი შეუქცევადი პროცესია, რის შედეგადაც ადამიანი აუცილებლად იღუპება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსისაგან ოდნავ განსხვავებული პოზიცია უკავია საქართველოს კანონს "ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ", რომლის

მე-12 მუხლის თანახმად, ადამიანი გარდაცვლილად ჩაითვლება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დადგინდება თავის ტვინის სიკვდილი ან გულის შეუქცევადი გაჩერება და სისხლის მიმოქცევის შეწყვეტა. ამასთან, კანონი იქვე უთითებს, რომ ადამიანის თავის ტვინის სიკვდილის კრიტერიუმებს, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, შეიმუშავებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.

უფლებაუნარიანობა წყდება არა მარტო რეალურად, სინამდვილეში ადამიანის გარდაცვალებით, არამედ ***მისი გარდაცვლილად გამოცხადების შედეგადაც.*** კანონში მითითებული პირობების არსებობისას პირი გარდაცვლილად შეიძლება გამოცხადდეს მხოლოდ სასამართლოს მიერ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლი). გარდაცვლილად გამოცხადება, მსგავსად ადამიანის ჩანასახის მემკვიდრეობის უფლებისა, კანონისმიერი ფიქციაა და მისი მიზანია სავარაუდოდ გარდაცვლილი პირის კუთვნილი ქონებისა და მემკვიდრეების ინტერესების დაცვა.

II. ქმედუნარიანობის ცნება. შეზღუდული ქმედუნარიანობა. ქმედუუნარო პირები

ქმედუნარიანობა არის ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. განსხვავებით უფლებაუნარიანობისაგან, ადამიანი ქმედუნარიანი დაბადებისთანავე არ არის, ვინაიდან აღნიშნული უნარი დამოკიდებულია ადამიანის ასაკსა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. მაგალითად, ახალშობილ ბავშვს შეიძლება საკუთრებაში ჰქონდეს ქონება (უძრავი ქონება, საწარმო, ფასიანი ქაღალდები, ძვირფასეულობა და სხვა), რომელიც მან მემკვიდრეობით მიიღო, მაგრამ ამ ქონების განკარგვა ბავშვს არ შეუძლია, ვინაიდან იგი ქმედუუნაროა. ანალოგიურად ჭკუასუსტ ან სულით ავადმყოფ ადამიანსაც აქვს ქონება, მაგრამ იგი ასევე მოკლებულია თავისი მოქმედების სათანადოდ განსჯის უნარს და, შესაბამისად, კანონის მიერ ისიც ქმედუუნაროდ მიიჩნევა.

ამდენად, ქმედუნარიანობის წარმოშობას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ზოგადი წესით, უკავშირებს ***ადამიანის სრულწლოვანების ასაკის მიღწევას, რომელიც შეადგენს 18 წელს*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლი). თუმცა, კანონით გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი ქმედუნარიანად მიიჩნევა 18 წლის ასაკის მიღწევამდე; ასეთი შემთხვევაა პირის ქორწინება. ქმედუნარიანად ითვლება ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი (ე.წ. მხარდაჭერის მიმღები) ანუ – პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში, თუ ამ პირმა მიაღწია 18 წლის ასაკს ან იქორწინა 18 წლის ასაკის მიღწევამდე, ამასთანავე, – აღნიშნული დაბრკოლებები სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად ართულებს პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას და ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთებას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროში. მხარდაჭერის მიმღებად სასამართლომ შეიძლება ცნოს აგრეთვე არასრულწლოვანი იმ ფარგლებში, რომლებშიც, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მას თავისი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა არ სჭირდება

7 წლიდან 18 წლამდე ასაკის პირი არის შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ ითვლება ასევე 18 წლის ასაკს მიღწეული პირიც, რომელსაც სასამართლომ დაუნიშნა მზრუნველობა. იგი თავის ქმედუნარიანობაში უთანაბრდება არასრულწლოვან პირს. მზრუნველობის დაწესების მიზეზი არის ამ პირის მიერ ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად გამოყენება და ამის გამო ოჯახის მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩაყენება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლი). რაში

მდგომარეობს ქმედუნარიანობის შეზღუდვა? შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს არ შეუძლია თავისი ქონების (მათ შორის, შემოსავლების – ხელფასი, პენსია და სხვა) განკარგვა მზრუნველის თანხმობის გარეშე. თუ აღნიშნულმა პირმა მაინც დადო განკარგვითი გარიგება (გაყიდა ან დააგირავა მოძრავი ნივთი, იპოთეკით დატვირთა თავისი უძრავი ქონება და სხვა), ეს გარიგება ბათილად ჩაითვლება და მას გარიგების მხარეთა მიერ დასახული სამართლებრივი შედეგი არ მოჰყვება. თუმცა, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს არ ეკრძალება, ერთი მხრივ, წვრილმანი გარიგებების დადება, ანუ ისეთი გარიგებებისა, რომელთა მიზანია ადამიანის ყოველდღიური წვრილმანი ყოფითი ინტერესების დაკმაყოფილება (სურსათის, ტანსაცმლის შეძენა, ტელეფონის გადასახადის გადახდა და ა. შ.) და, მეორე მხრივ, ისეთი სახის (თუნდაც, მსხვილი) გარიგებების დადება, რომელთა შედეგადაც იგი მხოლოდ სარგებელს იღებს (მაგალითად, ჩუქება, რომელშიც დასაჩუქრებულ მხარედ გამოდის შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი, სარფიანი ნასყიდობა და სხვა) (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-15 მუხლი). ანალოგიურად, თუ მხარდაჭერის მიმღები გარიგებას დებს სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მხარდაჭერის მიღების გარეშე, გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომ მხარდამჭერი მოიწონებს თუ არა მას გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარდაჭერის მიმღები ამ გარიგებით სარგებელს იღებს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 58^1 მუხლი).

7 წლამდე ასაკის პირი არის ქმედუუნარო. მას კანონი მცირეწლოვანს უწოდებს.

III. ფიზიკური პირის სახელი

ფიზიკური პირი სამართლებრივ ურთიერთობებში ყოველთვის მონაწილეობს ***საკუთარი სახელით***. გამონაკლის შემთხვევებში, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში დასაშვებია ფსევდონიმის გამოყენება (მაგალითად, საავტორო სამართალში), თუმცა, ფსევდონიმის ტარება არ ნიშნავს, რომ ადამიანს არა აქვს სახელი. სახელი უნდა ჰქონდეს და აქვს ყოველ ადამიანს. იგი არის ფიზიკური პირის იდენტიფიკაციის საშუალება. საქართველოში სახელი მოიცავს სახელსა და გვარს, თუმცა, სხვა ქვეყნებში შესაძლებელია სახელში შევიდეს მამის სახელიც (მაგალითად, რუსეთში, უკრაინაში).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ***სახელი პირის პირადი არაქონებრივი უფლებაა და იგი დაცულია კანონით უნებართვო სარგებლობისაგან*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი). როგორც პირადი არაქონებრივი უფლება, სახელი არ ექვემდებარება სხვა პირისათვის გადაცემას და მასზე რაიმე გარიგების დადება დაუშვებელია. არ შეიძლება, მაგალითად, პირის სახელი სხვა პირმა მიიღოს დროებით სარგებლობაში და ატარებდეს მას.

ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს სამეწარმეო-სამართლებრივ ურთიერთობებში, სადაც ფიზიკური პირის სახელს მეორე – კომერციული მნიშვნელობაც ენიჭება და წარმოადგენს უკვე არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს. ამის გამო, მისი სხვა პირისათვის გადაცემაც დასაშვებია. აღნიშნულ საკითხებს ქვემოთ სამეწარმეო სამართლის შესწავლისას კონკრეტულად შევეხებით.

რაც შეეხება ***სახელის შეძენას***, იგი ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- **ბავშვის დაბადება.** ბავშვს სახელს არქმევენ მშობლები ურთიერთშეთანხებით, ხოლო ბავშვის გვარი განისაზღვრება მშობლების გვარის მიხედვით. თუ მშობლებს საერთო გვარი არა აქვთ, შვილს მიეკუთვნება დედის ან მამის გვარი ან შეერთებული გვარი მშობლების შეთანხმებით. ამასთან, მშობლების განქორწინება არ იწვევს შვილის გვარის გამოცვლას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1194-1196 მუხლები);
- **სახელის შეცვლა**. ნებისმიერ ფიზიკურ პირს შეუძლია შეიცვალოს სახელი, თუმცა, მას ამის დასაბუთებული მიზეზი უნდა ჰქონდეს (მაგალითად, პირის გვარი წარმომდგარია არაკეთილხმოვანი სიტყვისაგან) (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლი).

IV. ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილი

მსგავსად სახელისა, ყოველ ფიზიკურ პირს აქვს ***საცხოვრებელი ადგილი (ადგილები), ანუ ადგილი (ადგილები), რომელსაც (რომლებსაც) იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს.*** იმისათვის, რომ კონკრეტული ადგილი მიჩნეულ იქნეს ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად, საჭიროა 2 ელემენტის თანხვედრა: ***ობიექტური და სუბიექტური ელემენტებისა***. პირველი ელემენტი გულისხმობს პირის ***ფაქტობრივ ცხოვრებას*** კონკრეტულ საცხოვრებელ ადგილზე. ამასთან, აუცილებელი არ არის, პირი მაინცდამაინც უწყვეტად ცხოვრობდეს ერთ ადგილას და მისგან საერთოდ არსად არ გადიოდეს. ობიექტური ელემენტი უნდა გავიგოთ, როგორც პირის მიერ ადგილზე უპირატესად ცხოვრება. მაგრამ მარტო ფაქტობრივი ცხოვრება საკმარისი არ არის ადგილის პირის საცხოვრებელ ადგილად მიჩნევისათვის; სახეზე უნდა იყოს სუბიექტური ელემენტი – ***პირის ნება, აღნიშნული ადგილი ჰქონდეს თავის საცხოვრებელ ადგილად.*** არჩევის ნებას არ სჭირდება რაიმე სპეციალური ფორმა და იგი, როგორც წესი, ვლინდება პირის ფაქტობრივი მოქმედებით – მის მიერ კონკრეტულ ადგილზე უპირატესად ცხოვრებაში. აუცილებელი არ არის ასევე პირს კონკრეტული უძრავი ქონება, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს, ეკუთვნოდეს საკუთრების უფლებით; პირს შეუძლია ცხოვრება ქირავნობის, თხოვების ხელშეკრულებების ან სხვა იმ სამართლებრივი საფუძვლით, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულების საგნის პირის მფლობელობაში გადაცემასთან. აუცილებელი არ არის, აგრეთვე, პირს მაინცდამაინც ერთი საცხოვრებელი ადგილი ჰქონდეს; დასაშვებია მას ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი იმ პირობით, რომ ერთდროულად არსებობს ზემოაღნიშნული 2 ელემენტი.

კანონი ყოველთვის არ ადგენს საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლებას; საერთო წესიდან გამონაკლისის სახით განსაზღვრული პირების მიმართ იგი პირდაპირ ადგენს საცხოვრებელ ადგილს. კერძოდ, ***არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მშობლის უფლების მქონე მშობლების საცხოვრებელი ადგილი, ხოლო სამეურვეო პირისა – მეურვის საცხოვრებელი ადგილი*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლი). თუ მშობლებს არა აქვთ ერთი საცხოვრებელი ადგილი (ცხოვრობენ ცალ-ცალკე), არასრულწლოვანი ბავშვის საცხოვრებელ ადგილად უნდა მივიჩნიოთ ორივე მშობლის საცხოვრებელი ადგილები. თუ ბავშვი ქორწინების გარეშე არის დაბადებული, მის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა დედის საცხოვრებელი ადგილი.

საცხოვრებელ ადგილს კანონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და თავად სამოქალაქო კოდექსიც არაერთ ადგილას მას უთითებს და განსაზღვრულ ***სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს***. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 21-ე მუხლის თანახმად, ფიზიკური პირი შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნეს უგზო-უკვლოდ დაკარგულად, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას;
- პირი შეიძლება სასამართლოს წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად, თუ მის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები ამ პირის ადგილსამყოფლის შესახებ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლი);
- თუ ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამები შეიძლება გაგებულ იქნეს სხვადასხვანაირად, მაშინ უპირატესობა უნდა მიენიჭოს გამონათქვამებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, მიღებულია ხელშეკრულების დამდები მხარეების საცხოვრებელ ადგილზე. თუკი მხარეებს სხვადასხვა საცხოვრებელი ადგილი აქვთ, გადამწყვეტია აქცეპტანტის საცხოვრებელი ადგილი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 337-ე მუხლი);

- შესრულების ადგილის საეჭვოობისას, ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს კრედიტორის ადგილსამყოფლის (საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი) მიხედვით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 386-ე მუხლი);
- თუ კრედიტორი შეიცვლის საცხოვრებელ ადგილს ან გარდაიცვლება და დატოვებს მემკვიდრეებს სხვა საცხოვრებელ ადგილას, მაშინ შესრულების შესახებ დოკუმენტის გაცემასთან დაკავშირებული გაზრდილი ხარჯები ეკისრებათ კრედიტორს ან მის მემკვიდრეებს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 432-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

საცხოვრებელი ადგილის პირისათვის კუთვნილება უნდა განვასხვაოთ ***საქართველოს მოქალაქის და საქართველოში მცხოვრები უცხოელის (უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის) რეგისტრაციისაგან.*** რეგისტრაცია ხორციელდება "საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ" 1996 წლის 27 ივნისის საქართველოს კანონის საფუძველზე. განსხვავებით საცხოვრებელი ადგილისაგან, რეგისტრაცია წმინდა წყლის საჯაროსამართლებრივი (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი) ხასიათისაა და ამიტომაც იგი წესრიგდება საჯარო (ადმინისტრაციული) სამართლის ნორმებით.

საქართველოს მოქალაქე და საქართველოში მცხოვრები უცხოელი ვალდებული არიან, გაიარონ რეგისტრაცია საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ მათ რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი აქვთ – ერთ-ერთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. 14-დან 18 წლამდე პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაცია ხორციელდება, აგრეთვე, მასზე პირადობის (ბინადრობის) მოწმობა გაიცემა ამ პირის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე ("საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ" 1996 წლის 27 ივნისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილი).

კანონის სპეციალური რეგულირების საგანია იძულებით გადაადგილებულ პირთა – ***დევნილთა და ლტოლვილთა საცხოვრებელი ადგილის საკითხი***. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, პირის საცხოვრებელი ადგილი არ უქმდება, თუ იგი იძულების წესით ან სახელმწიფოებრივი მოვალეობის შესასრულებლად განსაზღვრული ვადით ტოვებს ამ ადგილს. ამდენად, იძულებით გადაადგილებული პირის და ლტოლვილის საცხოვრებელ ადგილად რჩება ის ადგილი, საიდანაც მოხდა მისი იძულებითი გამოდევნა (მუდმივი საცხოვრებელი ადგილი). ამავე დროს, აღნიშნულ პირებს აქვთ მეორე საცხოვრებელი ადგილიც – დევნილის რეგისტრაციის ადგილი, დროებითი საცხოვრებელი ადგილი.

არსებულ საცხოვრებელ ადგილზე პირმა შეიძლება ნებისმიერ დროს თქვას უარი. ამასთან, უარის ნება უნდა გამოვლინდეს რეალურ მოქმედებაში – პირმა ფაქტობრივად უნდა დატოვოს საცხოვრებელი ადგილი.

V. პირის აღიარება უგზო-უკვლოდ დაკარგულად. პირის გამოცხადება გარდაცვლილად

სამოქალაქო კოდექსის ნორმები პირის ***უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ*** ემსახურება იმ მიზანს, რომ სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები არ იმყოფებოდნენ გაურკვეველ მდგომარეობაში – დაიკარგა ან გარდაიცვალა თუ არა სინამდვილეში ადამიანი. კანონი, უპირველეს ყოვლისა, იცავს დაკარგული ან გარდაცვლილი ადამიანის მემკვიდრეების ინტერესებს, ვინაიდან მათ გაურკვეველი მდგომარეობის დროს არ შეეძლებათ დაკარგული ადამიანის ქონებით სარგებლობა და მართვა, ან გარდაცვლილი ადამიანის მემკვიდრეობის მიღება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ფიზიკური პირი შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნეს უგზო-უკვლოდ დაკარგულად, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ კანონით მემკვიდრეები მოიპოვებენ უფლებამოსილებას, უკვალოდ დაკარგულის ქონება მართონ მინდობილი საკუთრების სახით, მათ შორის, მიიღონ მისგან სარგებელი. ამ ქონებიდან მიეცემა სარჩო უგზო-უკვლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფ პირებს და დაიფარება ვალები. ამდენად, იმისათვის, რომ ადამიანი ცნობილ იქნეს უგზო-უკვლოდ დაკარგულად, საჭიროა სახეზე იყოს 2 გარემოების ერთდროული არსებობა:

1. ადამიანის ადგილსამყოფელი უნდა იყოს ***უცნობი*** ანუ სახელწიფო ორგანოებს, დაკარგულის ახლობლებს არ უნდა ჰქოდეთ ინფორმაცია პირის მიმდინარე ადგილსამყოფელის თაობაზე; და

2. ადამიანი თავის ***საცხოვრებელ ადგილზე არ უნდა ჩანდეს 2 წლის განმავლობაში.***

გარდა აღნიშნულისა, ადამიანის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ცნობისათვის აუცილებელია ამის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება სასამართლოს მიერ. სხვა არც ერთი სახელმწიფო თუ სხვა ორგანო ან დაწესებულება უფლებამოსილი არ არის აღნიშნულზე.

ადამიანის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შედეგად ამ პირის ქონება მის კანონით მემკვიდრეებზე საკუთრებაში არ გადადის. ამ უკანასკნელებს ენიჭებათ უფლება, მართონ ეს ქონება საკუთრების მინდობით დაკარგულად აღიარებული პირის – საკუთრების მიმნდობის ინტერესების შესაბამისად. ქონების მართვისას კანონით მემკვიდრეები მესამე პირებთან ურთიერთობაში სარგებლობენ მესაკუთრის უფლებამოსილებით.

უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფლის აღმოჩენის შემთხვევაში, უქმდება სასამართლოს გადაწყვეტილება მისი ქონების მართვის შესახებ. მეურნეობის სათანადო გაძღოლით მიღებული სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მას არა აქვს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების მსგავსად, ***პირის გარდაცვლილად აღიარებისთვისაც აუცილებელია, რომ ადამიანის საცხოვრებელ ადგილას არ მოიპოვებოდეს ცნობები ამ პირის ადგილსამყოფლის შესახებ, თუმცა, პირველისაგან განსხვავებით,*** ამ შემთხვევებში ვადა უფრო დიდია – 5 წელიწადი. გარდა აღნიშნულისა, პირის გარდაცვლილად აღიარების აუცილებელი წინაპირობაა მისი უგზო-უკვლოდ დაკარგვა ისეთ გარემოებაში, რომელიც მას სიკვდილს უქადდა. აქ კანონი ადგენს პრეზუმფციას – ვარაუდს იმისა, რომ პირი გარდაიცვალა სიცოცხლისათვის საშიში გარემოების გამო. ხუთწლიანი ვადა მცირდება 6 თვემდე, თუ სავარაუდოა, რომ პირი დაიღუპა უბედური შემთხვევის შედეგად (მაგალითად, ავია-, ავტოკატასტროფა). სპეციალური წესი არსებობს სამხედრო მოსამსახურეებისა და იმ ნებისმიერი სხვა პირების მიმართ, რომლებიც უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით. კერძოდ, აღნიშნული პირები გარდაცვლილად შეიძლება გამოცხადდნენ არაუადრეს ორი წლისა საომარი მოქმედების დამთავრების დღიდან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

როგორც უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისას, პირის გარდაცვლილად აღიარებაც უნდა მოხდეს მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. სასამართლო ორივე კატეგორიის საქმეს იხილავს უდავო წარმოების წესით.

ნებისმიერი ვარაუდი შეიძლება სინამდვილეს არ შეესაბამებოდეს. ამიტომ გარდაცვლილად გამოცხადებული პირი სინამდვილეში შეიძლება ცოცხალიც იყოს და დაუბრუნდეს საცხოვრებელ ადგილს. შედეგად საჭირო ხდება ***კანონის მხრიდან მისი ინტერესების დაცვა***. უპირველეს ყოვლისა, გარდაცვლილად გამოცხადებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფლის აღმოჩენის შემთხვევაში, სასამართლო აუქმებს პირის გარდაცვლილად აღიარების შესახებ გადაწყვეტილებას. გარდა ამისა, კანონი ზრუნავს ამ პირის ქონებრივ უფლებებზეც; კერძოდ, მას უფლე-

ბა აქვს მოითხოვოს ის შენარჩუნებული ქონება, რომელიც მისი გარდაცვლილად გამოცხადების შემდეგ უსასყიდლოდ გადაეცა სხვა პირს. ანალოგიური მოთხოვნა მას არა აქვს იმ პირის მიმართ, რომელმაც გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება შეიძინა სასყიდლიანი გარიგებით. თუმცა, თუ დამტკიცდება, რომ ქონების შეძენისას შემძენმა იცოდა, რომ გარდაცვლილად გამოცხადებული პირი ცოცხალი იყო, იგი ვალდებულია მას ეს ქონება დაუბრუნოს. დასასრულ, თუ გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება გადაეცა ხაზინას და მან მოახდინა მისი რეალიზაცია, მაშინ გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ პირს უბრუნდება ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 23-ე მუხლი).

3. იურიდიული პირები

I. იურიდიული პირის ცნება და დამახასიათებელი ნიშნები

სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს ფიზიკურ პირებთან ერთად წარმოადგენენ ***იურიდიული პირები***. იურიდიული პირის ლეგალური განმარტება მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლში, კერძოდ, ამ მუხლის თანახმად: *"იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ".*

იურიდიული პირის ზემოთ მოცემული კოდექსისეული განმარტებიდან იკვეთება მისი დამახასიათებელი ნიშნები. იმისათვის, რომ სახეზე გვქონდეს იურიდიული პირის სტატუსის მქონე სუბიექტი, აუცილებელია ***5 დამახასიათებელი ნიშნის ერთდროულად არსებობა***:

1) იურიდიული პირი არის ორგანიზაციული წარმონაქმნი;

უპირველეს ყოვლისა, იურიდიული პირი ყოველთვის არის ორგანიზაციული წარმონაქმნი, ანუ იგი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ კანონით პირდაპირ დადგენილი სამართლებრივი ფორმით (პოლიტიკური პარტია, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, სააქციო საზოგადოება). დაუშვებელია, იურიდიულ პირად მიჩნეულ იქნეს ისეთი წარმონაქმნი, რომელიც კანონით არ არის აღიარებული როგორც იურიდიული პირი. ამ მხრივაც განსხვავება არსებობს სავჭარო და კერძო სამართალს მიკუთვნებულ ნორმატიულ აქტებს შორის. თუ სავჭარო სამართალში იურიდიული პირები სამართლებრივი ფორმის არჩევანი შეუზღუდავია და ნებისმიერ დროს ნებისმიერი სავჭაროსამართლებრივი ნორმატიული აქტით შეიძლება შეიქმნას, კერძო სამართალში სამართლებრივი ფორმები დგინდება მხოლოდ ერთი საკანონმდებლო აქტით – სამოქალაქო კოდექსით; თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ არსებული ყველა სამართლებრივი ფორმა მოწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსით. მაგალითად, კომერციული იურიდიული პირები (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქცო საზოგადოება, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, კოოპერატივი) რეგულირდება საქართველოს კანონით "მეწარმეთა შესახებ".

2) იურიდიულ პირს აქვს საკუთარი ქონება;

მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული პირის ქონება შეიძლება შეიქმნას დამფუძნებლის (დამფუძნებლების) კუთვნილი ქონებრივი (არაქონებრივი) შენატანებიდან, შენატანის განხორციელების მომენტიდან ეს ქონება გადადის იურიდიული პირის საკუთრებაში და იგი იქნება დამფუძნებლის (დამფუძნებლების) ქონებისაგან განცალკევებული. მაგალითად, თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალში პარტნიორმა გააკეთა ქონებრივი შენატანი, შეტანილი ნივთი, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე ჩაითვლება საზოგადოების ქონებად, ხოლო თავად პარტნიორს ეკუთვნის წილი საზოგადოებაში. ვინაიდან იურიდიული პირის ქონება გამიჯნულია მისი დამფუძნებლის (დამფუძნებლების) ქონებისაგან, იგი, შესაბამისად, თავისი ვალებისათვის თვითონ აგებს პასუხს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი სხვაგვარად

ითვალისწინებს; მაგალითად, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები საზოგადოების ვალებისათვის სოლიდარულად აგებენ პასუხს კრედიტორების წინაშე. ამდენად, იურიდიულ პირს ახასიათებს დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობის უნარი.

3) იურიდიულ პირს აქვს საკუთარი სახელი;

ფიზიკური პირის მსგავსად, იურიდიული პირიც სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს საკუთარი სახელით. სახელი არის მისი იდენტიფიკაციის საშუალება, თუმცა, იურიდიულ პირს იდენტიფიკაციის სხვა საშუალებაც აქვს, მაგ., საიდენტიფიკაციო კოდი, რეგისტრაციის თარიღი და ნომერი. საკუთარი სახელით იურიდიული პირი დებს გარიგებებს და მას შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ. ფიზიკური პირის სახელის მსგავსად, იურიდიული პირის სახელიც დაცულია კანონით სხვა პირთა მიერ უნებართვო სარგებლობისაგან. საკუთარი უფლებების დაცვისათვის იურიდიულ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და სახელის უნებართვო მოსარგებელისაგან მოითხოვოს სარგებლობის შეწყვეტა და მართლსაწინააღმდეგო სარგებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

არასამეწარმეო იურიდიულ პირს აქვს სახელწოდება, რომელშიც აღინიშნება მისი სამართლებრივი ფორმა. კომერციული იურიდიული პირის საფირმო სახელწოდება წესრიგდება "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით.

იურიდიული პირის სახელს აქვს კომერციული მნიშვნელობაც და ამ სახით იგი უკვე წარმოადგენს არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს. როგორც არამატერიალური ქონებრივი სიკეთე იგი შეიძლება სხვა პირსაც გადაეცეს (მაგალითად, საწარმოს ნასყიდობის დროს).

4) იურიდიული პირი იქმნება განსაზღვრული მიზნისათვის;

განსაზღვრული მიზნის გარეშე, იურიდიული პირი არ შეიძლება არც დაფუძნდეს და არც არსებობდეს. მიზანი განისაზღვრება იურიდიული პირის დამფუძნებლის (დამფუძნებლების) მიერ და მიეთითება სადამფუძნებლო აქტში (წესდება, დებულება).

5) კერძო სამართლის იურიდიული პირის წარმოშობისა და არსებობის აუცილებელი წინაპირობაა რეგისტრაცია.

ეს უკანასკნელი დამახასიათებელი ნიშანი ეხება მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს; საჯარო სამართლის იურიდიული პირების რეგისტრაციას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, თუმცა, მათ აღრიცხვას, რა თქმა უნდა, სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ. კერძო სამართლის იურიდიული პირი სამართლის სუბიექტის სტატუსს იძენს სწორედ რეგისტრაციის მომენტიდან; ამდენად, რეგისტრაციას დამდგენი ანუ კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს.

2005 წლამდე კერძო სამართლის იურიდიული პირების (ფონდების გარდა) რეგისტრაციას ახორციელებდა სასამართლო და ფონდების შემთხვევაში – იუსტიციის სამინისტრო, ხოლო 2010 წლამდე კი – საგადასახადო ორგანო. საქართველოს კანონმდებლობაში უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, უკლებლივ ყველა კერძო სამართლის იურიდიული პირის რეგისტრაცია ხორციელდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში, რომელსაც აწარმოებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

II. იურიდიული პირების კლასიფიკაცია

იურიდიული პირები, უპირველეს ყოვლისა, იყოფა ***საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებად.***

საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით

დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ***საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად*** ასახელებს შემდეგ ორგანიზაციულ წარმონაქმნებს:

1) სახელმწიფო;
2) თვითმმართველი ერთეული;
3) სახელმწიფოს მიერ კანონმდებლობის ან ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე შექმნილი იურიდიული პირები, რომლებიც ჩამოყალიბებული არ არიან სამოქალაქო კოდექსის ან "მეწარმეთა შესახებ" კანონით განსაზღვრული სამართლებრივი ფორმით;
4) სახელმწიფო დაწესებულებები და სახელმწიფო ფონდები, რომლებიც შექმნილი არ არის სამოქალაქო კოდექსის ან "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად;
5) საჯარო მიზნების მისაღწევად, კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები (პოლიტიკური პარტიები და სხვა.);
6) საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია;
7) სამოქალაქო კოდექსის 1509^1 მუხლით გათვალისწინებული რელიგიური გაერთიანებები.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება ***დაფუძნებული იყოს წევრობაზე (საჯარო სამართლის კორპორაცია)***, ანდა შეიქმნას საჯარო ან სახელმწიფოებრივი მიზნების განსახორციელებლად გარკვეული სახელმწიფო (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაფუძნების შემთხვევაში – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის) ***ქონების განკერძოების გზით (დაწესებულება)***. დაწესებულებას არა ჰყავს წევრები.

საჯარო სამართლის იურიდიული პირები სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში ***მონაწილეობენ როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები.*** მათი შექმნის, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონით.

სახელმწიფოც, როგორც ერთიანი ორგანიზაცია, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირია და, მსგავსად სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა, ისიც სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს, ***როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი***. სამინისტროებს, სახელმწიფო დეპარტამენტებსა და სხვა საქვეუწყებო დაწესებულებებს არა აქვთ იურიდიული პირის სტატუსი; თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ისინი წარმოადგენენ სახელმწიფოს.

კერძო სამართლის იურიდიულ პირებს მიეკუთვნება:

1) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;
2) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
3) კომანდიტური საზოგადოება;
4) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
5) სააქციო საზოგადოება;
6) კოოპერატივი.

კერძო სამართლის იურიდიულ პირებს ჰყოფენ არაკომერციულ და კომერციულ იურიდიულ პირებად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2006 წლის 14 დეკემბერს განხორციელებულ ცვლილებებამდე პირველ კატეგორიაში შედიოდა კავშირი და ფონდი. საკანონმდებლო ცვლილების შედეგად ამ უკანასკნელთა ადგილზე ჩამოყალიბდა არაკომერციული იურიდიული პირის ერთიანი ცნება, რომელსაც ასევე ეწოდება – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. დანარჩენი სამართლებრივი ფორმები მიეკუთვნება კომერციულ იურიდიულ პირებს.

გარდა ამისა, სამოქალაქო სამართლის თეორიაში კერძო სამართლის იურიდიული პირების აღნიშნულ ფორმებს ყოფენ იმისდა მიხედვითაც, ჰყავს თუ არა იურიდიულ პირს წევრები და, თუ ჰყავს, რამდენად არის წევრობაზე დამოკიდებული მისი არსებობა. იურიდიულ პირს, რომელსაც ჰყავს წევრები, ***კორპორაციას*** უწოდებენ. კომერციული იურიდიული პირები იყოფა 2 კატეგორიად: ე. წ. ***ამხანაგობის ტიპის*** და ***კაპიტალურ იურიდიულ პირებად (საზოგადოებებად)***. ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებს მიეკუთვნება, მაგ., სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, კაპიტალურს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება.

III. იურიდიული პირების უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა

ვინაიდან იურიდიული პირი სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტია, მასაც აქვს ***უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა***, რომელიც, გარკვეულწილად, ემსგავსება ფიზიკური პირის ანალოგიურ უნარებს, თუმცა, იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა თავისი შინაარსით მათგან არსებითად განსხვავდება.

თავად იურიდიული პირების უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა არის განსხვავებული იმისდა მიხედვით, საქმე ეხება საჯარო თუ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს.

"საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ***საჯარო სამართლის იურიდიულ პირს აქვს სპეციალური უფლებაუნარიანობა.*** იგი საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ. საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან/და თავისი წესდებით (დებულებით) გათვალისწინებული საქმიანობა, თუ შესაბამისი კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი დაფუძნებულია სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით, მისი წესდება (დებულება) უნდა შეესაბამებოდეს იმ კანონის მოთხოვნებს, რომლის საფუძველზედაც ადმინისტრაციული აქტი იქნა მიღებული.

განსხვავებით საჯარო სამართლის იურიდიული პირებისაგან, ***კერძო სამართლის იურიდიული პირების უფლებაუნარიანობა ზოგადია;*** მათ უფლება აქვთ, განახორციელონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლი). მაგალითად, თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წესდებასა და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში საქმიანობის საგნის სახით მითითებული აქვს საკვები პროდუქტების წარმოება და რეალიზაცია, მას შეუძლია გამოუშვას ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ისე, რომ წესდებისა და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში შესაბამისი ცვლილების შეტანა აუცილებელი არ არის. საზოგადოების მიერ დადებული გარიგებები, წესდებისა და რეესტრში ჩანაწერის წინააღმდეგობის მიუხედავად, ბათილად არ ჩაითვლება.

განსხვავებით ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობისაგან, ***იურიდიული პირის ანალოგიური უნარები წარმოიშობა ერთდროულად.*** ზოგიერთი საქმიანობა, რომელთა ჩამონათვალსაც განსაზღვრავს კანონი, იურიდიულ პირს შეუძლია განახორციელოს

მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის ან ავტორიზაციის გავლის საფუძველზე. აღნიშნული საქმიანობის განხორციელების უფლება იურიდიულ პირს წარმოეშობა ლიცენზიის/ნებართვის მიღების ან ავტორიზაციის გავლის მომენტიდან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

IV. იურიდიული პირების დაფუძნება და არსებობის შეწყვეტა

ზემოთ, იურიდიული პირის დამახასიათებელი ნიშნების აღწერისას, ჩვენ მიერ უკვე აღინიშნა, რომ კერძო სამართლის იურიდიული პირის წარმოშობისა და არსებობის აუცილებელი წინაპირობაა ***მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაცია.*** ისიც აღინიშნა, რომ კერძო სამართლის იურიდიული პირები სამართლის სუბიექტის სტატუსს იძენენ სწორედ რეგისტრაციის მომენტიდან; ე. ი. რეგისტრაციას დამდგენი ანუ კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, ისინი წარმოიშობა და იურიდიული პირის სტატუსს იძენენ წესდების (დებულების) დამტკიცებისა და იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნიდან (არჩევიდან).

კერძო სამართლის იურიდიული პირის ***არსებობა წყდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან მისი ამოშლის (ჩანაწერის გაუქმების) მომენტიდან.*** რეესტრიდან იურიდიული პირის შესახებ ჩანაწერის გაუქმება იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესის დასასრულის შედეგია.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ***წყვეტს არსებობას:***

ა) დასახული მიზნის მიღწევის ან მიზნის მიღწევის შეუძლებლობის შემთხვევაში;

ბ) დაფუძნების აქტით განსაზღვრული ვადის გასვლის გამო;

გ) დაფუძნების აქტით ან წესდებით (დებულებით) გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობის შეწყვეტის აქტი არ შეიძლება იყოს დაფუძნების აქტზე ნაკლები იურიდიული ძალის მქონე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლიკვიდაციას ახორციელებენ ***ლიკვიდატორები,*** რომლებსაც ნიშნავს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო. ლიკვიდატორი შეიძლება იყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი. ლიკვიდატორები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ლიკვიდატორების საქმიანობა შეზღუდულია ლიკვიდაციის მიზნით. სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში. ავტონომიური რესპუბლიკის ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადადის შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში. წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განკარგვა ხორციელდება დამფუძნებელი დოკუმენტებით დადგენილი წესით.

V. კერძო სამართლის იურიდიული პირის ფილიალი; არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალი (წარმომადგენლობა)

კერძო სამართლის იურიდიულ პირს, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, შეიძლება ჰქონდეს მოთხოვნილება, განახორციელოს გარკვეული მოქმედებები და/ან დადოს გარიგებები თავისი ადგილსამყოფლის გარეთ. ამ მიზნით მას შეუძლია დააფუძნოს ***ფილიალი.*** ფილიალი არ შეიძლება ჰქონდეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს.

კერძო სამართლის იურიდიული პირის ფილიალი არის განცალკევებული ქვედანაყოფი, რომელიც მდებარეობს იურიდიული პირის ადგილსამყოფლის გარეთ, მთლიანად ან ნაწილობრივ წარმოადგენს ან ახორციელებს მის ფუნქციებს. ფილიალი არ არის იურიდიული პირი.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს ***ფილიალის გარდა შეუძლია შექმნას წარმომადგენლობაც;*** საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალსა და წარმომადგენლობას ერთი და იგივე სამართლებრივ სტატუსს ანიჭებს, თუმცა, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობასა და იურიდიულ ლიტერატურაში მათ ერთმანეთისაგან განასხვავებენ. განსხვავება არსებითად მდგომარეობს იმაში, რომ ფილიალის საქმიანობა, ჩვეულებრივ, უფრო მუდმივი და ფართოა და მოიცავს წარმომადგენლობის ფუნქციებსაც.

4. გარიგებები

I. გარიგების ცნება

კერძო სამართლის სუბიექტები თავიანთ ქონებრივ, პირად თუ სხვა სახის ინტერესებს იკმაყოფილებენ და ახორციელებენ მოქმედებების (უმოქმედობების) გზით. თუ ასეთ მოქმედებებს (უმოქმედობებს), რომლებიც გამოიხატება პირის მიერ ნების გამოვლენაში, მოჰყვება სამართლებრივი შედეგი – ანუ სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა, მათ ***გარიგებებს*** უწოდებენ.

გარიგებების ცნება არ შემოიფარგლება მხოლოდ სამოქალაქო სამართლით. გარიგებების შესახებ ნორმები იმიტომაც არის გათვალისწინებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველ წიგნში – "სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი", რომ ისინი გამოიყენება კერძო სამართლის სხვა დარგების მიერ მოწესრიგებული გარიგებების მიმართაც. მაგალითად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალში ერთადერთი პარტნიორის მიერ ქონებრივი შენატანის განხორციელება წარმოადგენს სავაჭრო (საკორპორაციო) სამართლის რეგულირების საგანს, თუმცა, სამოქალაქო-სამართლებრივი თავალსაზრისით, ამ დროს ადგილი აქვს ცალმხრივ განკარგვით გარიგებას, რომლის საფუძველზეც ხდება საკუთრების უფლების გადაცემა ერთი პირის მიერ მეორისათვის; შრომითი ხელშეკრულების დადება და შესრულება მოწესრიგებულია შრომის სამართლის ნორმებით, თუმცა, შრომითი ხელშეკრულება ჩვეულებრივი კერძოსამართლებრივი აქტია – ხელშეკრულება, ორმხრივი გარიგება და მის მიმართ გამოიყენება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი გარიგების ნამდვილობის წინაპირობები.

ამდენად, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, გარიგება, უპირველეს ყოვლისა, ***ნების გამოვლენაა***. საკმარისი არ არის პირს სურდეს რაიმე ანუ ჰქონდეს ნება; აუცილებელია, ეს ნება იქნეს გამოვლენილი. ცხადია, ნებისმიერი ნების გამოვლენის უკან დგას თავად პირის შინაგანი ნება; შესაბამისად, ნების გამოვლენა ყოველთვის უნდა გამომდინარეობდეს პირის შინაგანი ცნობიერებიდან, იგი არ შეიძლება იყოს უბრალოდ გაუთვითცნობიერებელი მოქმედება.

ყოველი ნების გამოვლენა საკმარისი არ არის სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის. მაგალითად, 3 წლის ბავშვის ნების გამოვლენას სამართლებრივი თვალსაზრისით მნიშვნელობა არა აქვს. იმისათვის, რომ ნების გამოვლენას მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი, იგი ვარგისი იყოს; ე.ი. ***ნების გამოვლენა უნდა იყოს ნამდვილი.***

სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის ნამდვილ ნების გამოვლენასთან ერთად კანონი ზოგჯერ ითხოვს ე.წ. ***რეალურ მოქმედებასაც.*** მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის წინაპირობებია:

1) მხარეთა შორის დადებული, ერთი მხრივ, სანივთო შეთანხმება და, მეორე მხრივ, სანივთო შეთანხმების ვალდებულებით-სამართლებრივი საფუძველი – causa – ანუ ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგება, რომელსაც ეფუძნება სანივთო შეთანხმება და

2) ნივთის შემძენის მფლობელობაში გადაცემა. ეს უკანასკნელი რეალური მოქმედებაა და მასთან დაკავშირებულია საკუთრების უფლების გადაცემა მოძრავ ნივთებზე.

უბრალოდ ნების გამოვლენა, რომელიც გამომდინარეობს თუნდაც პირის შინაგანი ცნობიერებიდან, არ წარმოადგენს გარიგებას, თუ მას არ მოჰყვება ***სამართლებრივი შედეგი***, ე. ი. თუ ასეთი ნების გამოვლენას სამართალი უკავშირებს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას. მაგალითად, სადღეგრძელოში პირის დალოცვა ნების გამოვლენაა, კეთილი სურვილია, მაგრამ სამართლებრივი თვალსაზრისით მას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს და არც სამართლებრივი შედეგი მოჰყვება. თუმცა, თუ იმავე სადღეგრძელოს თქმისას პირი მეორე პირს შეპირდება ფულადი თანხის სესხებას და ამ უკანასკნელს გააფორმებს წერილობით, მაშინ მისი ნების გამოვლენა შეიძენს სამართლებრივ მნიშვნელობას და ჩაითვლება გარიგებად (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 628-ე მუხლი).

ცხოვრებაში მრავალია ისეთი შემთხვევა, როდესაც სახეზეა პირის ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, მაგრამ:

ა) გარეგნული გამოხატვიდან ან სხვა გარემოებებიდან ნების გამოვლენის ***შინაარსის დადგენა შეუძლებელია;*** ან

ბ) მისი მონაწილის (მონაწილეების) ნება ***გაურკვეველია,*** ანდა მონაწილის (მონაწილეების) მიერ გამოყენებული ***სიტყვები არ გამოხატავს მის (მათ) ნამდვილ ნებას***.

პირველ შემთხვევაში, გარიგებას ადგილი არ ექნება; იგი საერთოდ არ წარმოიშობა და, შესაბამისად, არც ის ნების გამოვლენა, რომლის შინაარსი დაუდგენელია, არანაირ სამართლებრივ შედეგებს არ იწვევს. მეორე შემთხვევაში, გარიგება სახეზეა, თუმცა, მონაწილის (მონაწილეების) ნების გამოვლენა მოითხოვს ***განმარტებას***.

გარიგების განმარტების წესის დადგენისას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იძლევა ზოგად ორიენტირს. კერძოდ, ერთი მხრივ, ყურადღება უნდა მიექცეს ***მონაწილის (მონაწილეების) ნამდვილ ნებას***; ეს უკანასკნელი უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი). მეორე მხრივ, გარიგების განმარტებისას იგნორირებულ არ უნდა იქნეს ნების გამოვლენის მიმღების – ადრესატის უნარი, აღიქვას ეს ნების გამოვლენა; ამ დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, აგრეთვე, გარემოებები, რომლებშიც იმყოფებიან გარიგების მხარეები. ორმხრივი ან მრავალმხრივი გარიგების – ხელშეკრულების განმარტებისას ხელშეკრულებაში ურთიერთგამომრიცხველი ან მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამების დროს უპირატესობა ენიჭება იმ გამონათქვამს, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება ხელშეკრულების შინაარსს. გარდა ამისა, თუ ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამები შეიძლება გაგებულ იქნეს სხვადასხვანაირად, მაშინ უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმას, რომელიც, ჩვეულებრივ, მიღებულია ხელშეკრულების დამდები მხარეების საცხოვრებელ ადგილზე. თუკი მხარეებს სხვადასხვა საცხოვრებელი ადგილი აქვთ, გადამწყვეტია ხელშეკრულების დადების შეთავაზების მიმღების – აქცეპტანტის საცხოვრებელი ადგილი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 337-338-ე მუხლები).

II. გარიგების სახეები

გარიგებების კლასიფიკაცია შეიძლება შემდეგნაირად:

უპირველეს ყოვლისა, გარიგებებს ყოფენ ***ცალმხრივ, ორმხრივ და მრავალმხრივ გარიგებებად*** იმისდა მიხედვით, ერთი თუ რამდენიმე პირის ნების გამოვლენა არის საჭირო სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის.

თუ სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის საკმარისია ერთი პირის ნების გამოვლენა, სახეზეა ***ცალმხრივი გარიგება***. მაგალითად, ცალმხრივი გარიგებაა ***ანდერძი***. მისი ნამდვილობისათვის საკმარისია მოანდერძის ნების გამოვლენა (ცხადია, სათანადო ფორმისა თუ კანონით დადგენილი სხვა წესების დაცვით) და გარიგება დადებულად (შემდგარად) ითვლება მიუხედავად იმისა, მემკვიდრეები მომავალში მიიღებენ მემკვიდრეობას, თუ უარს განაცხადებენ

მასზე. აღსანიშნავია, რომ მემკვიდრის უარი მემკვიდრეობის მიღებაზე ასევე ცალმხრივი გარიგებაა. ცალმხრივი გარიგების მაგალითია ასევე ერთი პირის მიერ კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნება. თუ, მაგ., შპს "საქართველოს რკინიგზა" აფუძნებს სს "საექსპედიციო გადაზიდვებს", იგი საზოგადოების ერთადერთი დამფუძნებელი და აქციონერია, მხოლოდ იგი აწერს სადამფუძნებლო დოკუმენტაციას ხელს და, შესაბამისად, მისი ნების გამოვლენა საკმარისია იურიდიული პირის დაფუძნებისათვის. ერთადერთი დამფუძნებლის მიერ დამოუკიდებლად მიღებული საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ასევე მიიჩნევა ცალმხრივ გარიგებად (მაგალითად, საზოგადოების კაპიტალში შენატანის განხორციელება, დირექტორის დანიშვნა და ა. შ.).

თავად ცალმხრივ გარიგებებში შეგვიძლია გამოვყოთ გარიგებათა ცალკე ჯგუფი, რომლებსაც ***მიღებასავალდებულო გარიგებებს*** უწოდებენ. მიღებასავალდებულო გარიგების დროს არსებობს სხვა პირი – გარიგების ადრესატი, რომელსაც ეს ნების გამოვლენა უნდა მიუვიდეს. ამ შემთხვევაში მიღებასავალდებულო გარიგება ძალმოსილია იმ მომენტიდან, როდესაც იგი მეორე მხარეს მიუვა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). აქ არ არის საუბარი გარიგების ადრესატის მიერ მასზე თანხმობის მიცემაზე, მოწონებაზე ან ამ უკანასკნელის მიერ გარიგებაში სხვაგვარ მონაწილეობაზე; მიღებასავალდებულო გარიგება, აგრეთვე, არავითარ შემთხვევაში არ არის დამოკიდებული გარიგების ადრესატის რაიმე ნების გამოვლენაზე. მიღებასავალდებულო გარიგება – ცალმხრივი გარიგებაა და წარმოადგენს ერთი პირის ნების გამოვლენას, თუმცა, იმისათვის, რომ მან შეიძინოს სამართლებრივი ძალა, იგი სხვა პირს უნდა მიუვიდეს, სხვა პირმა მის შესახებ უნდა შეიტყოს. მიღებასავალდებულო გარიგების მაგალითია ხელშეკრულებიდან გასვლა (ხელშეკრულებაზე უარი); საქართველოს სამოქალაქო კოდექსში აღნიშნულია, რომ თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. ხელშეკრულებიდან გასვლა, ხელშეკრულებაზე უარი ხორციელდება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებით და იგი, რა თქმა უნდა, არ საჭიროებს მის თანხმობას. აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნორმაში დაშვებულია უმძიმესი თარგმნითი ხასიათის შეცდომა, რომელიც არსებითად ცვლის ნორმის შინაარსს: "2. ნების გამოვლენა არ ჩაითვლება ნამდვილად, თუ მეორე მხარე წინასწარ ან მაშინვე განაცხადებს უარს". კერძოდ, არასწორია, როდესაც ნორმის დისპოზიციაში მითითებულია „მეორე მხარის" მიერ განცხადებაზე წინასწარ ან მაშინვე განცხადებულ უარზე. მსგავსი არაფერია აღნიშნული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გერმანულ ვერსიაში, რომელიც, თავის მხრივ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §130 1-ლი ნაწილის ბოლო წინადადების სიტყვასიტყვითი ანალოგია. ამ უკანასკნელში კი აღნიშნულია შემდეგი: „იგი (ნების გამოვლენა) არ შედის ძალაში, თუ ნების გამოვლენის განცხადების მიღებამდე ან ერთდროულად მასთან მეორე მხარეს მიუვა ნების გამოვლენაზე უარი". ამდენად, კანონი მიუთითებს თავად ცალმხრივი გარიგების ერთადერთი მონაწილის – განმცხადებლის მიერ გამოვლენილ ნებაზე უარის თქმაზე და არა ვინმე სხვა პირის მიერ. უბრალოდ, ერთი წუთითაც რომ წარმოვიდგინოთ ის ვითარება, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმის ქართული რედაქციიდან გამომდინარეობს, ადვილად დავინახავთ, თუ რა სავალალო შედეგებამდე შეიძლება მან მიგვიყვანოს. ცალმხრივი გარიგება, რომლის სამართლებრივი ძალისათვის საკმარისია მხოლოდ ერთი პირის მონაწილეობა, დამოკიდებული გახდებოდა სხვა პირის ნებაზე და ამით მაშინვე დაკარგავდა თავის არსსაც და დანიშნულებასაც. თუნდაც მოვიშველიებთ ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ხელშეკრულებიდან გასვლის, ხელშეკრულებაზე უარის მაგალითი: ნორმის არსებული რედაქციის გამო, ხელშეკრულების კეთილსინდისიერი მხარე ვეღარ შეძლებდა ცალმხრივი ნების გამოვლენით (განცხადებით) ხელშეკრულებიდან გასვლის კანონით მინიჭებული უფლების გამოყენებას, ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების უხეში ან სისტემატური

დარღვევის შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი კეთილსინდისიერი მხარის ხელშეკრულებიდან გასვლის წინააღმდეგი იქნებოდა. ნაკლებად არის სავარაუდო, რომ ხელშეკრულების დამრღვევმა მხარემ კეთილსინდისიერ მხარეს მისცეს ამის საშუალება.

როგორ წყდება მიღებასავალდებულო გარიგების ძალმოსილების ბედი, თუ გარიგების დამდები პირი გარდაიცვლება ან იგი კარგავს ქმედუნარიანობას ნების გამოვლენის შემდეგ გარიგების ადრესატისათვის ჩაბარებამდე? მიუხედავად იმისა, რომ გარიგების დამდები პირი გარდაიცვალა ან მან დაკარგა ქმედუნარიანობა მანამდე, სანამ ნების გამოვლენა მიუვიდოდა გარიგების ადრესატს, გარიგება მაინც სამართლებრივი ძალის მქონეა, ვინაიდან ნების გამოვლენის დროს პირი ცოცხალი ან ქმედუნარიანი იყო.

თუ სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის აუცილებელია ორი ან მეტი პირის ნების გამოვლენა, სახეზე გვაქვს შესაბამისად ***ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგებები***. ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგებების უდიდესი უმრავლესობა ხელშეკრულებებია. მაგალითად, ქირავნობა, ჩუქება, სესხი, ანაბარი, თავდებობა ორმხრივი გარიგებებია; ამხანაგობის (ერთობლივი საქმიანობის) ხელშეკრულება, რომელშიც მონაწილეობს ორზე მეტი პირი, მრავალმხრივი გარიგებაა. მრავალმხრივი გარიგებაა ასევე ამ ხელშეკრულების მონაწილეთა მიერ რაიმე სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილების მიღება. მრავალმხრივი გარიგების მაგალითია ასევე კომერციულ იურიდიულ პირში ორზე მეტი პარტნიორის (აქციონერის) მიერ, საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების ერთობლივად მიღება.

გამოყენების სფეროს მიხედვით, გარიგებებს ყოფენ ***სანივთო, ვალდებულებით, საავტორო (და მომიჯნავე), საოჯახო, მემკვიდრეობით სამართლებრივ*** ურთიერთობებში დადებულ გარიგებებად. სანივთო-სამართლებრივ გარიგებებს მიეკუთვნება, მაგ., სანივთო შეთანხმება საკუთრების უფლების გადაცემის, აღნაგობის სანივთო უფლების დადგენის შესახებ, განცხადება საკუთრების უფლებაზე უარის თქმის შესახებ და სხვა. ვალდებულებით-სამართლებრივ გარიგებებს მიეკუთვნება, მაგ., ნასყიდობა, გაცვლა, იჯარა, თხოვება, ჩუქება, ნარდობა, დავალება, დაზღვევა და სხვა. საავტორო (და მომიჯნავე)-სამართლებრივი გარიგებების მაგალითია საავტორო ხელშეკრულება. საოჯახო-სამართლებრივი გარიგებების მაგალითია ქორწინება, ქორწინების შეწყვეტა, შვილად აყვანა და ა.შ. დასასრულ, მემკვიდრეობით-სამართლებრივ გარიგებებს მიეკუთვნება ანდერძი, მემკვიდრეობის მიღება, მემკვიდრეობის მიღებაზე უარი, საანდერძო დანაკისრი (ლეგატი), სამკვიდროს გაყოფა და სხვა.

ცნობილია გარიგებების მკაცრად დაყოფა ***მავალდებულებელ და განკარგვით*** გარიგებებად. მათ, აგრეთვე, ***კაუზალურ და აბსტრაქტულ გარიგებებსაც*** უწოდებენ.

მავალდებულებელი (ვალდებულებით-სამართლებრივი) გარიგების დროს ხდება ხელშეკრულების მხარის მიერ ვალდებულების საგნის შესრულების შეპირება. ამ დროს არ ხდება უფლებებზე უშუალო ზემოქმედება, ე. წ. "სანივთო-სამართლებრივი შედეგი", რაც ნიშნავს უფლების წარმოშობას, გასხვისებას, შეცვლას ან შეწყვეტას; აღნიშნულს ადგილი აქვს მხოლოდ განკარგვითი გარიგებების ძალით. მავალდებულებელი (ვალდებულებით-სამართლებრივი) გარიგება ყოველთვის კაუზალურია, ე. ი. მას აქვს კონკრეტული სამართლებრივი საფუძველი – კაუზა (causa), ანუ ის მიზანი, რის მიღწევასაც ისახავენ მხარეები გარიგების დადებით. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებაში მხარეებს გამიზნული აქვთ ნივთზე საკუთრების უფლების სასყიდლიანი გადაცემა; ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე – გამყიდველი კისრულობს ვალდებულებას, ხელშეკრულების მეორე მხარეს – მყიდველს გადასცეს საკუთრების უფლება ნივთზე; ხოლო მყიდველი ვალდებულია, გამყიდველს გადაუხადოს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ნივთი. კაუზალური გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია კაუზის ნამდვილობაზე. თუ ეს უკანასკნელი, მაგ., ეწინააღმდეგება კანონს, გარიგება ბათილად ჩაითვლება.

განსხვავებით მავალდებულებელი (ვალდებულებით-სამართლებრივი) გარიგებებისაგან, ზოგიერთი განკარგვითი გარიგება კაუზალურია, ზოგიც – აბსტრაქტული. ***აბსტრაქტული გარიგება,*** განსხვავებით კაუზალური გარიგებისაგან, დამოკიდებული არ არის სამართლებრივ

საფუძველზე. მაგალითად, სანივთო შეთანხმება საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ, ქართული სამართლის თანახმად კაუზალურია[1]; მისი ნამდვილობა დამოკიდებულია მავალდებულებელი (ვალდებულებით-სამართლებრივი) გარიგების ნამდვილობაზე (მაგალითად, ნასყიდობის, ჩუქების, გაცვლის, ამხანაგობის ხელშეკრულების ნამდვილობაზე). თუ ეს უკანასკნელი რაიმე საფუძვლით (მაგალითად, კანონსაწინააღმდეგობის გამო) ბათილია, საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ სანივთო შეთანხმებაც ბათილად ჩაითვლება და საკუთრების უფლება შემძენზე არ გადავა. იურიდიულ ლიტერატურაში არსებული ერთ-ერთი პოზიციის თანახმად, აბსტრაქტულია ისეთი განკარგვითი გარიგება, როგორიცაა ***მოთხოვნის დათმობა (ცესია).*** მოთხოვნის დათმობა განსხვავდება მის საფუძვლად არსებული კაუზალური გარიგებისაგან, რომელიც ცედენტსა[2] და ცესიონერს[3] შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობაა (ნასყიდობა, ჩუქება, დავალება). თუ რაიმე საფუძვლით მოთხოვნის დათმობის საფუძვლად არსებული კაუზა ბათილად იქნება ცნობილი, ეს არ შეეხება მოთხოვნის დათმობის ნამდვილობას. მოთხოვნის დათმობა მაინც ნამდვილად ჩაითვლება და იგი გადასულად ჩაითვლება ცესიონერზე.

გარდა აღნიშნული ძირითადი დაყოფისა, გარიგებები შეიძლება დავყოთ: ***სასყიდლიან, უსასყიდლო, ვადიან, უვადო გარიგებებად***.

III. გარიგების ფორმა

ნებისმიერი გარიგება თავის გამოხატულებას პოვებს განსაზღვრულ ***ფორმაში***. ზოგადი წესით, სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები თავისუფალნი არიან გარიგების ფორმის არჩევისას; მხოლოდ განსაზღვრულ, კანონით დადგენილ შემთხვევებში, სავალდებულოა გარიგების სპეციალური, კანონში მითითებული ფორმის დაცვა. ფორმის დაუცველობა, როდესაც კონკრეტული ფორმა მოითხოვება კანონით, შედეგად იწვევს გარიგების ბათილობას. სამართლებრივი თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში გარიგება საერთოდ არ ითვლება შემდგარად.

2006 წლის 8 დეკემბერს მიღებული კანონით საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად, ძირითადად გაუქმდა გარიგების სანოტარო წესით დამოწმების ***სავალდებულო მოთხოვნის წესი.*** ცვლილების თანახმად, ყველა ის გარიგება, რომელიც ადრე მოითხოვდა სანოტარო წესით დადებას, შეიძლება გაფორმდეს წერილობით ისე, რომ ნოტარიუსმა ან კანონით გათვალისწინებულმა სხვა პირმა (მაგ., ანდერძთან დაკავშირებით – ექიმმა, გემის კაპიტანმა) დაამოწმოს:

ა) ***გარიგება*** (ამ შემთხვევაში ნოტარიუსი პასუხისმგებელია გარიგების შინაარსსა და კანონიერებაზე); ან

ბ) გარიგების მონაწილეთა ***ხელმოწერის ნამდვილობა***.

ხელშეკრულების მხარეები შეიძლება თავად შეთანხმდნენ ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადებაზე იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამ ფორმის დაცვა კანონით სავალდებულო არ არის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გარიგება შეიძლება დაიდოს შემდეგი ფორმებით:

1. ***ზეპირად;***

2. ***წერილობითი ფორმით,*** რომელიც გულისხმობს მარტივ და რთულ წერილობით ფორმას – სანოტარო წესით დამოწმებას.

---

[1] განსხვავებით გერმანული სამართლისაგან, სადაც საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ სანივთო შეთანხმება აბსტრაქტულია

[2] უფლების დამთმობი

[3] უფლების მიმღები

ყოველდღიურად ზეპირად უამრავი გარიგება დგება: ყოველდღიური მოხმარების საქონლის შეძენა, სატრანსპორტო, საყოფაცხოვრებო და სხვა სახის მომსახურების მიღება და ა. შ. ზეპირად დადებულ გარიგებას უთანაბრდება ე. წ. ***კონკლუდენტური მოქმედებით*** გარიგების დადება. მაგალითად, საქალაქო ტრანსპორტში მგზავრობის ღირებულების გადახდა ჟეტონის მიმღებ აპარატში ჩაგდებით.

წერილობითი ფორმის არსებობისას გარიგების ნამდვილობისათვის საკმარისია გარიგებაში მონაწილე ***მხარეთა ხელმოწერა*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის მე-3 ნაწილი). გარიგების მხარის (მხარეთა) მიერ ხელი ყოველთვის ეწერება წინასწარ მომზადებულ დოკუმენტს (განცხადება, ხელშეკრულება, ანდერძი). ხელმოწერა ხდება პირადად გარიგების მონაწილე პირის ან მისი წარმომადგენლის მიერ. ხელმოწერილი შეიძლება იყოს დოკუმენტის ყოველი გვერდი ან დასაშვებია, ხელმოწერის შესრულება დოკუმენტის მხოლოდ ბოლო გვერდზე ხელმოწერებისათვის განკუთვნილ ადგილზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი დასაშვებად მიიჩნევს ხელმოწერისათვის ისეთი მექანიკური საშუალების გამოყენებასაც, როგორიცაა წინასწარ დამზადებული ***ფაქსიმილე*** მხოლოდ იმ პირობით, რომ აღნიშნული მიღებულია ჩვეულებად, კერძოდ, ფასიან ქაღალდებზე ხელის მოწერისას, რომელთა გამოშვებაც დიდი რაოდენობით ხდება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულია გარიგების დადება ***რამდენიმე დოკუმენტის შედგენით***. თუ გარიგების დადებისას შედგენილია ერთი და იმავე შინაარსის რამდენიმე დოკუმენტი, მაშინ საკმარისია თითოეულმა მხარემ ხელი მოაწეროს იმ დოკუმენტის ეგზემპლარს, რომელიც განკუთვნილია შესაბამისი მხარისათვის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 71-ე მუხლი).

IV. ბათილი და საცილო გარიგებები

ა. ბათილი გარიგებები

კერძო სამართლის სუბიექტების კერძო ავტონომია, თავისუფლად დადონ გარიგებები, ყოველთვის ***შეზღუდულია***. შეზღუდვა მომდინარეობს, უპირველეს ყოვლისა, კანონის მოთხოვნებიდან, თუმცა, გარიგება დაუშვებლად მიიჩნევა, აგრეთვე, როდესაც იგი ეწინააღმდეგება ***საჯარო წესრიგსა და ზნეობის ნორმებს***.

გარიგება, რომელიც არღვევს ***კანონით დადგენილ წესს***, ბათილია და მას გარიგების მხარეთა მიერ დასახული მიზანი არ მოჰყვება. გარიგების ბათილობა გულისხმობს, რომ იგი სამართლებრივი თვალსაზრისით საერთოდ არ ითვლება შემდგარად, ე. ი. სამართლისათვის არ არსებობს; აუცილებელი არ არის, გარიგების ბათილობა დამტკიცდეს რომელიმე სახელმწიფო ან სხვა ორგანოს ან, თუნდაც, სასამართლოს მიერ. თუმცა, ამ უკანასკნელის მიერ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება არის სწორედ ის ლეგიტიმური დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება კონკრეტული გარიგების კანონსაწინააღმდეგობა და, შესაბამისად, ბათილობა. კანონი აღქმულ უნდა იქნეს ფართო გაგებით და იგი მოიცავს არა მარტო საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებს, არამედ – კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებსაც, ამასთან, როგორც საჯაროსამართლებრივ, ისე კერძოსამართლებრივ აქტებსაც. გარიგების ბათილობას იწვევს წინააღმდეგობა მხოლოდ ნორმატიულ აქტში მოცემული იმპერატიული ნორმებისა ანუ ისეთი ნორმებისა, რომლებიც ადგენს კერძო სამართლის სუბიექტების სავალდებულო ქცევის წესს და რომლის სამართლებრივი ურთიერთობის მიერ მის შეცვლას ან სხვაგვარ მოქმედებას ნორმა არ უშვებს. ამასთან, არავითარ შემთხვევაში, აუცილებელი არ არის, ყოველი კონკრეტული ნორმა ყოველთვის პირდაპირ აცხადებდეს, რომ მისი საწინააღმდეგო გარიგება ბათილია. უმეტეს შემთხვევაში, ასე არც ხდება, ვინადიან ეს იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით მიზანშეუწონელია და პრაქტიკულადაც შეუძლებელი. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 260-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ლომბარდში ნივთების დაგირავება ხორციელდება მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმებისა და ნივთის ლომბარდის პირდაპირ მფლობელობაში

გადაცემის გზით. მუხლის ეს ნორმა იმპერატიულია, ვინაიდან, მისი ტექსტიდან გამომდინარე, აშკარად ჩანს, რომ მისი შეცვლა ანუ სხვა წესსზე ლომბარდის სანივთო შეთანხმების მხარეებს შეთანხმება არ შეუძლიათ: წერილობითი ფორმის დაცვა სანივთო შეთანხმების (სანივთო ხელშეკრულების) ნამდვილობისათვის სავალდებულოა. ფორმის დაუცველობის გამო, ლომბარდში გირავნობის შეთანხმება (ხელშეკრულება) ბათილად მიიჩნევა, მიუხედავად იმისა, რომ ბათილობის შედეგის შესახებ თავად მუხლში პირდაპირი მითითება არ არსებობს. თუმცა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არის მუხლები, რომლებშიც კანონი პირდაპირაც უთითებს კონკრეტული გარიგების ბათილობის შესახებ. ეს ერთგვარი გაფრთხილებაა კანონმდებლის მხრიდან ნორმის გამომყენებლის მიმართ, ამ უკანასკნელმა არ დადოს კანონსაწინააღმდეგო გარიგება. მაგალითად, უძრავი ნივთის იპოთეკით დატვირთვით არ იზღუდება იპოთეკის საგნის მესაკუთრის თავისუფლება, თავისი შეხედულებით გაასხვისოს, უფლებრივად დატვირთოს იპოთეკის საგანი. ამის საწინააღმდეგო გარიგებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 294-ე მუხლის მე-4 ნაწილი პირდაპირ აცხადებს ბათილად: "***შეთანხმება, რომლითაც მესაკუთრე კრედიტორის წინაშე იღებს ვალდებულებას არ გაასხვისოს, არ ისარგებლოს ან სხვანაირად არ დატვირთოს უძრავი ნივთი, ბათილია***". მსგავსი ნორმები "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონშიც არსებობს; მაგალითად, კანონის 3.3 პარ.-ში მითითებულია, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები და კომანდიტური საზოგადოების პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები – სრული პარტნიორები (კომპლემენტარები) საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, ანუ თითოეული პარტნიორი ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. პარტნიორებს შორის სხვაგვარი შეთანხმება ბათილია მესამე პირისათვის.

განსხვავებით კანონისაგან, ***საჯარო წესრიგი და ზნეობა (მორალი)*** პირდაპირ არსად არ არის დაწერილი და განსაზღვრული. ამიტომ მეტად რთულია, დაადგინო, ეწინააღმდეგება თუ არა კონკრეტული გარიგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა ეს საკითხი სრულად მიანდო სამართლის მეცნიერებასა და სასამართლო პრაქტიკას. ამჯერად, შეგვიძლია ზოგადად შევეხოთ, რას გულისხმობს კოდექსი საჯარო წესრიგსა და ზნეობის ნორმებში.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ საჯარო წესრიგისა და ზნეობის ცნებები იმდენად მსგავსია, რომ ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში ისინი გაიგივებულია. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი გარიგების ბათილობის საფუძვლად არ უთითებს საჯარო წესრიგს და მას ზნეობის ნორმებში აქცევს. სამაგიეროდ, საჯარო წესრიგს ცალკე გამოყოფს საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, რომლის მიბაძვითაც იგი გათვალისწინებულ იქნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. საჯარო წესრიგის ცნება მოიცავს სახელმწიფოს, საზოგადოების, ეკონომიკისა და კერძო პირის ფუნდამენტურ ინტერესებს. ამ ინტერესების დაცვა აუცილებელია სახელმწიფოს მმართველობითი სისტემის, საზოგადოებისა და ეკონომიკის სტრუქტურის შენარჩუნებისა და ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის. საჯარო წესრიგის საწინააღმდეგოდ და, შესაბამისად, ბათილად უნდა იქნეს მიჩნეული, მაგალითად, პოლიტიკური პარტიის მიერ ფულადი გასამრჯელოების მიცემა მოსახლეობის ცალკეული კატეგორიებისათვის ხმის მიცემის სანაცვლოდ.

რაც შეეხება ***ზნეობის ნორმებს***, მათში იგულისხმება კონკრეტულ საზოგადოებაში დამკვიდრებული ქცევის წესები, რომლებიც დროთა განმავლობაში იქმნება და მკვიდრდება საზოგადოებაში მისი ყველა წევრის (ან უმრავლესობის) შეხედულებისა და ცხოვრების წესის – ტრადიციის საფუძველზე. ამიტომ ზნეობის ნორმები სხვადასხვა საზოგადოებაში შეიძლება სხვადასხვა იყოს. ჩვენს სინამდვილეში ყოველი საქმის გადაწყვეტისას მოსამართლე მოქმედებს როგორც ქართული (ზოგადად – საქართველოს) საზოგადოების წევრი, რომელიც აღიზარდა და ცხოვრობს ამ საზოგადოებაში და მეტ-ნაკლებად აქვს წარმოდგენა ქართული (ზოგადად – საქართველოს) მორალისა და ამორალურობის შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოცემულია ***ძირითადი საფუძვლები***, რომელთა არსებობისას გარიგება მიიჩნევა ბათილად:

- უპირველეს ყოვლისა, ბათილია გარიგება, რომელიც გაკეთებულია ***არასერიოზულად (ხუმრობით)*** იმ ვარაუდით, რომ არასერიოზულობა გამოცნობილი იქნებოდა. თუმცა, ნების მიმღებს უნდა აუნაზღაურდეს ის ზიანი, რომელიც წარმოიშვა იმის გამო, რომ იგი ენდობოდა ნების გამოვლენის სერიოზულობას, თუკი მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა არასერიოზულობის შესახებ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 57-ე მუხლი);

- ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ ***მოსაჩვენებლად***, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება). თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება) (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლი);

- ბათილია ***მცირეწლოვანის*** ნების გამოვლენა. ბათილად შეიძლება ჩაითვალოს პირის მიერ ნების გამოვლენა ცნობიერების დაკარგვის ან დროებითი ფსიქიკური აშლილობის დროს. ბათილია ფსიქიკური აშლილობის მქონე პირის მიერ ნების გამოვლენა გარიგების დადებისას, როცა ეს რეალური ვითარების სწორად აღქმას არ შეესაბამება, თუ ეს პირი ამ გარიგებით სარგებელს არ იღებს, თუნდაც იგი სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად არ იყოს ცნობილი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 58-ე მუხლი).

- ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ***ფორმის დაუცველად დადებული გარიგება***, ასევე ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგების ნამდვილობისათვის აუცილებელია ***ნებართვა*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლი).

- ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ***ბოროტად გამოყენებით***, როდესაც მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლი).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც ბათილი გარიგება მხარეთა ნების გამოვლენის შედეგად შეიცავს სხვა ნამდვილ გარიგებას და აკმაყოფილებს ამ უკანასკნელის მოთხოვნებს. ამ დროს, ბათილი გარიგების ნაცვლად, მხარეებმა შეიძლება მათ შორის დადებულად ჩათვალონ ეს ნამდვილი გარიგება. შესაბამისად, მხარეებს ეძლევათ საშუალება, აღარ დადონ ახალი ცალკე გარიგება და ბათილი გარიგება მიიჩნიონ მათთვის სასურველ გარიგებად. ამ წესს სამოქალაქო კოდექსი ***გარიგების კონვერსიას*** უწოდებს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-60 მუხლი).

გარიგების ბათილობას ***სხვადასხვა ფორმა აქვს***. განასხვავებენ:

- უცილოდ ბათილ – არარა;
- მერყევად ბათილ; და
- საცილო გარიგებებს.

უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება "მკვდარია" დადებისთანავე და მას არანაირი სამართლებრივი შედეგი არ მოჰყვება, თუნდაც მხარეებს შემდგომში სურვილი ჰქონდეთ, აღმოფხვრან მისი ბათილობის მიზეზები. სწორედ ასეთი სახის ბათილი გარიგება არის ბათილობის ყველაზე მკაცრი ფორმა; სამართლისათვის ასეთი გარიგება საერთოდ არ არსებობს.

უცილოდ ბათილ (არარა) გარიგებებს უპირისპირდება ***მერყევად ბათილი გარიგებები.*** მერყევად ბათილი გარიგებაც ბათილია, თუმცა, განსხვავებით უცილოდ ბათილი (არარა)

გარიგებისაგან, გარიგების მხარეებს შეუძლიათ აღმოფხვრან ბათილობის გამომწვევი მიზეზი. მერყევად ბათილია, მაგალითად, არასრულწლოვანი პირის მიერ დადებული ხელშეკრულება, კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე. ამ შემთხვევაში, ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია შემდგომში არასრულწლოვანი პირის კანონიერი წარმომადგენლის მიერ მის მოწონებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არასრულწლოვანი პირი გარიგებისაგან იღებს სარგებელს. ამასთან, კანონი ითვალისწინებს არასრულწლოვანი პირის შესაძლებლობას, თავად გადაწყვიტოს თავისი ნების გამოვლენის ნამდვილობის შესახებ საკითხი მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც იგი ქმედუნარიანი გახდება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 63-ე მუხლი). მერყევად ბათილია ასევე კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე არასრულწლოვანი პირის მიერ დადებული გარიგება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 66-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბათილია ასეთი გარიგება მაშინაც, როდესაც არსებობს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, მაგრამ არასრულწლოვანს არ წარმოუდგენია ამის დამადასტურებელი წერილობითი საბუთი, რის გამოც გარიგების მეორე მხარემ დაუყოვნებლივ თქვა მასზე უარი. ასეთი უარი დაუშვებელია, თუკი მეორე მხარე ინფორმირებული იყო კანონიერი წარმომადგენლის ამ თანხმობის შესახებ.

ბ. საცილო გარიგებები

განსხვავებით როგორც უცილოდ ბათილი (არარა), ისე მერყევად ბათილი გარიგებებისაგან, ***საცილო გარიგებები*** არ არის ბათილი მხარეთა მიერ მათი დადების დროს, თუმცა, შემდგომში ისინი შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი გარიგების ერთ-ერთ მხარის შეცილებით (გასაჩივრებით). საცილო გარიგებები შემდეგია:

- შეცდომით დადებული გარიგებანი;
- მოტყუებით დადებული გარიგებანი;
- იძულებით დადებული გარიგებანი.

ყველანაირი შეცდომით დადებული გარიგება როდი არის საცილო. გარიგების შეცილების საფუძველს იძლევა მხოლოდ გარიგების მხარის არსებითი შეცდომა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 73-ე მუხლი ჩამოთვლის ***არსებითი შეცდომის*** საფუძვლებს. კერძოდ, არსებით შეცდომად ითვლება, როდესაც:

- პირს სურდა დაედო სხვა გარიგება და არა ის, რომელზედაც მან გამოთქვა თანხმობა – ე.ი. ***შეცდომა გარიგების ტიპში***. მაგალითად, თუ მსესხებელს სურდა იპოთეკით დაეტვირთა კუთვნილი მიწის ნაკვეთი აღებული სესხის უზრუნველსაყოფად, მაგრამ რეალურად დადო მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება;
- პირი ცდება იმ ***გარიგების შინაარსში***, რომლის დადებაც მას სურდა – ე.ი. შეცდომა გარიგების შინაარსში. მაგალითად, შეცდომას გარიგების შინაარსში ადგილი აქვს, როდესაც პირს არ ესმის გარიგების ტექსტის ცალკეული გამონათქვამები ან სხვა მნიშვნელობით ესმის, ვიდრე მათ სინამდვილეში აქვს (მაგალითად, პირი დებს თავდებობის ხელშეკრულებას სოლიდარული თავდებობის კისრებით და ჰგონია, რომ მას მოთხოვნა ვერ წაეყენება მოვალის მიმართ, იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე);
- არ არსებობს ის გარემოებები, რომელთაც მხარეები, კეთილსინდისიერების პრინციპებიდან გამომდინარე, განიხილავენ გარიგების საფუძვლად – ე. ი. ***შეცდომა გარიგების საფუძვლებში***. მაგალითად, პირი ანდერძით მემკვიდრეობას უტოვებს მეზობელს, ვინაიდან თავისი შვილი გარდაცვლილი ჰგონია, თუმცა, სინამდვილეში შვილი ცოცხალია.

აღნიშნული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. სამოქალაქო კოდექსი არსებით შეცდომად მიიჩნევს, აგრეთვე:

- შეცდომას გარიგების მეორე მხარის – ***კონტრაჰენტის პიროვნებაში*** მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავად კონტრაჰენტის პიროვნება ან მისი პირადი თვისებების გათვალისწინება გარიგების დადების მთავარი საფუძველი იყო. მაგალითად, თუ შემკვეთს ფოტოსურათების გადაღების შეკვეთა სურს ცნობილი ფოტოგრაფისათვის, თუმცა, სინამდვილეში უთანხმდება მოყვარულ ფოტოგრაფს;

- შეცდომას საგნის ***ძირითად თვისებებში*** მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ მნიშვნელობა აქვს საგნის ღირებულების განსაზღვრისათვის. მაგალითად, მყიდველს ჰგონია, რომ ყიდულობს ბაჯაღლო ოქროს სამკაულს, სინამდვილეში კი სამკაულის ოქრო მხოლოდ 585-ე სინჯისაა;

- ***შეცდომას უფლებაში*** მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გარიგების დადებისას ერთადერთი და მთავარი საფუძველი იყო. მაგალითად, პირი იძენს სააქციო საზოგადოების პრივილეგირებულ აქციებს იმ მოტივით, რომ ჰქონდეს უპირატესი ხმის უფლება საერთო კრებაზე; სინამდვილეში კანონის თანახმად, პრივილეგირებულ აქციები, როგორც წესი, არ იძლევა ხმის უფლებას;

- შეცდომა გარიგების ***მოტივში*** მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოტივი შეთანხმების საგანს წარმოადგენდა. მაგალითად, ჩუქების დროს მჩუქებელს სჯერა, რომ საჩუქრები განკუთვნილია უმწეო ბავშვთა სახლებისათვის, როდესაც სინამდვილეში ისინი გადაეცემა სოციალური დახმარების ფონდს.

არსებითი შეცდომისაგან განსხვავებით, როდესაც ცდება თავად გარიგების დაზარალებული მხარე, ***მოტყუების*** დროს ადგილი აქვს გარიგების ერთ-ერთი მხარის მხრიდან შეგნებულად მეორე მხარის შეცდომაში შეყვანას, გარიგების დადების დაყოლიების მიზნით. იმისათვის, რომ მოტყუება გახდეს შეცილების საფუძველი, იგი უნდა იყოს გარიგების დადების ძირითადი მოტივი ანუ რომლის გარეშეც გარიგება საერთოდ არ დაიდებოდა. მოტყუება მარტო მოქმედებაში არ გამოიხატება; მას შეიძლება ადგილი ჰქონდეს უმოქმედობითაც, როდესაც შეცდომაში შემყვანი მხარე დუმს იმ გარემოებათა გამო, რომელთა გამჟღავნების დროსაც მეორე მხარე გარიგებას არ დადებდა. მოტყუება შეიძლება მომდინარეობდეს არა მარტო უშუალოდ გარიგების მხარისაგან, არამედ მესამე პირისაგანაც მხოლოდ იმ პირობით, რომ მოტყუების შესახებ იცოდა ან უნდა სცოდნოდა იმ პირს, რომელიც სარგებელს იღებს ამ გარიგებიდან. თუ გარიგების ორივე მხარე მოტყუებით მოქმედებდა, მაშინ არც ერთ მათგანს არა აქვს უფლება, მოტყუებაზე მითითებით მოითხოვოს გარიგების ბათილობა ან ზიანის ანაზღაურება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 83-ე მუხლი).

საცილო გარიგებებიდან ნების გამოვლენის თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული ყველაზე უხეში ფორმაა ***იძულებით დადებული გარიგებანი.*** იძულების დროს, განსხვავებით ზემოაღნიშნული შემთხვევებისაგან, ადგილი აღარ აქვს დაზარალებული მხარის შეცდომას, არამედ აქ სახეზეა გარიგების დადებისაკენ მიმართული მის პიროვნებაზე პირდაპირი ზემოქმედება. იძულება შეიძლება გამოიხატებოდეს როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქიკურ ზემოქმედებაში. მსგავსად მოტყუებისა, იძულებაც შეიძლება მომდინარეობდეს მესამე პირისაგან. როგორი უნდა იყოს იძულების ინტენსივობა და ხასიათი? გარიგების ბათილობას იწვევს მხოლოდ ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება. ამ დროს მხედველობაში მიიღება პირის ასაკი, სქესი და ცხოვრებისეული გარემოება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 86-ე მუხლი). იძულება გარიგების ბათილობის მოთხოვნის საფუძველია მაშინაც, როდესაც იგი მიმართულია გარიგების მხარის მეუღლის, ოჯახის სხვა წევრების ან ახლო ნათესავების წინააღმდეგ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 87-ე მუხლი).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საცილო გარიგებები თავიდან არ არის ბათილი; მათი ბათილად ცნობისათვის საჭიროა გარიგების ერთ-ერთი მხარის მიერ მათი ***გასაჩივრება***. ამასთან, კანონი გასაჩივრებისათვის ითვალისწინებს სპეციალურ ვადებს. კერძოდ, შეცდომით დადებული გარიგების შეცილება უნდა მოხდეს ერთი თვის ვადაში მას შემდეგ, როდესაც დაზარალებული პირი შეიტყობს შეცდომის შესახებ. მოტყუებით დადებული გარიგება შეიძლება შეცილებულ იქნეს ერთი წლის განმავლობაში ასევე მას შემდეგ, როდესაც დაზარალებული პირი შეიტყობს შეცდომის შესახებ. დასასრულ, იძულებით დადებული გარიგება შეიძლება შეცილებულ იქნეს ერთი წლის განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტიდან.

V. პირობითი გარიგები

გარიგებები შეიძლება დაიდოს (1) როგორც "სუფთად", ყოველგვარი პირობის გარეშე, ისე (2) ***პირობითად*** ანუ გარიგება დამოკიდებული იყოს სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგება სამართლებრივი ძალის მქონე ხდება მოვლენის დადგომისთანავე, ან გარიგება უქმდება მოვლენის დადგომისთანავე. პირველ შემთხვევაში გარიგება სამართლებრივი ძალის მქონეა დადებისთანავე, ხოლო მეორე შემთხვევაში სახეზეა პირობითი გარიგება.

პირობითი გარიგების ლეგალური განმარტება მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 90-ე მუხლში: ***„პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა – ამ მოვლენის დადგომისთანავე”***. სამწუხაროდ, აღნიშნულ მუხლში არასწორია მითითება „გარიგების შესრულების გადადებაზე”, რადგან გადადების (სუსპენზიური) პირობითი გარიგების შემთხვევაში, სამომავლო და უცნობ მოვლენაზე დამოკიდებულია არა ამ გარიგების შესრულება, არამედ მისი სამართლებრივი ძალა. შესრულება, როგორც ცნობილია ვალდებულებითი სამართლიდან, წარმოადგენს სამართლებრივი ძალის მქონე გარიგების საფუძველზე არსებული ვალდებულების შესრულებას, რომელიც შეიძლება (და ხშირად ასეც არის) განხორციელდეს გარიგების დადებიდან, გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ. ამიტომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 90-ე მუხლის ნორმის ფორმულირებით ფაქტობრივად იშლება ზღვარი გადადების პირობით გარიგებასა და ასეთი პირობის გარეშე დადებულ გარიგებას შორის, საიდანაც გამომდინარე ვალდებულების შესრულების გადადება მოხდა, გარიგების შინაარსისა და მხარეთა შეთანხმების გამო. პირობითი გარიგების სწორი დეფინიცია კი შემდეგნაირად უნდა ჟღერდეს: "პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგება სამართლებრივი ძალის მქონე ხდება მოვლენის დადგომისთანავე, ან გარიგება უქმდება მოვლენის დადგომისთანავე".

როგორც პირობითი გარიგების განმარტებიდან ჩანს, არსებობს ***2 სახის პირობა***:

- გადადების (სუსპენზიური) პირობა და
- გაუქმების (რეზოლუტიური) პირობა.

გადადების (სუსპენზიური) პირობის დროს გარიგება სამართლებრივი ძალის მქონე ხდება სამომავლო და უცნობი მოვლენის დადგომისთანავე ან იმ მოვლენის დადგომისთანავე, რომელიც უკვე დამდგარია, მაგრამ მხარეთათვის ჯერ კიდევ უცნობია. ამიტომაც ეწოდება ასეთ პირობას გადადების პირობა; სამართლებრივი ძალის არმქონე გარიგების ძალაში შესვლა გადადებულია. მაგალითად, ა შეპირდა ბ-ს 200 ლარის ჩუქებას იმ შემთხვევაში, თუ მისი საყვარელი ფეხბურთის გუნდი გახდება მიმდინარე წლის გათამაშების ჩემპიონი. მართალია, გარიგება თავიდანვე ითვლება დადებულად, მაგრამ იგი სამართლებრივი ძალის არმქონეა პირობის დადგომამდე. თუ პირობა არ დადგა, გარიგებაც ვერც ვერასოდეს შეიძენს სამართლებრივ ძალას. თუ პირობა დადგა, გარიგება იძენს სამართლებრივ ძალას, მხარეთა შორის ყოველგვარი დამატებითი შეთანხმების გარეშე.

განსხვავებით გადადების (სუსპენზიური) პირობით დადებული გარიგებისაგან, ***გაუქმების (რეზოლუტიური) პირობით*** დადებული გარიგება სამართლებრივი ძალის მქონეა დადებისთანავე.

თუმცა, იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობი მოვლენის დადგომაზე ისე, რომ იგი უქმდება მოვლენის დადგომისთანავე. გაუქმების პირობა აღადგენს გარიგების დადებამდე არსებულ მდგომარეობას. მაგალითად, ა-მ ივჯარის ხელშეკრულება დადო ბ-თან, რომლითაც ამ უკანასკნელს გადასცა თავისი მიწის ნაკვეთი. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ივჯარის ხელშეკრულება შეწყდებოდა და ბ მიწის ნაკვეთს დაუბრუნებდა მესაკუთრეს, ყოველგვარი საზღაურის გადახდის გარეშე, თუ ზედიზედ 2 წლის განმავლობაში იქნებოდა გვალვიანი ზაფხული. როგორც გადადების, ისე გაუქმების პირობა მოქმედებს ავტომატურად, გარიგების მხარეთა შორის ყოველგვარი დამატებითი შეთანხმების გარეშე.

გარიგების პირობა შეიძლება იყოს ***პოზიტიური და ნეგატიური***:

პოზიტიური პირობის დროს გარიგება დამოკიდებულია იმ პირობაზე, რომ სამომავლო და უცნობი მოვლენა დადგება განსაზღვრულ ვადაში. თუ ეს ვადა გავიდა და მოვლენა არ დადგა, მაშინ პირობა ძალადაკარგულად ითვლება. თუ ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ პირობა შეიძლება შესრულდეს ნებისმიერ დროს. პირობა შეიძლება ძალადაკარგულად იქნეს მიჩნეული, როდესაც აშკარაა, რომ მოვლენის დადგომა უკვე შეუძლებელია (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 93-ე მუხლი).

ნეგატიური პირობის დროს გარიგება დამოკიდებულია იმ პირობაზე, რომ სამომავლო და უცნობი განსაზღვრული მოვლენა არ დადგება განსაზღვრულ ვადაში. თუ ეს ვადა გავიდა და მოვლენა არ დადგა, მაშინ პირობა შესრულებულად ითვლება; პირობა შესრულებულად ითვლება მაშინაც, როდესაც ვადის გასვლამდე აშკარაა, რომ მოვლენის დადგომა შეუძლებელია. თუ ვადა განსაზღვრული არ არის, პირობა შესრულებულად ითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ნათელი გახდება, რომ მოვლენა არ დადგება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 94-ე მუხლი).

როგორც თავად გარიგება, ***პირობაც შეიძლება იყოს ბათილი***. ბათილია, კერძოდ, პირობა, რომელიც ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს ან ზნეობის ნორმებს, ანდა შეუძლებელია მისი შესრულება. გარდა ამისა, ბათილია ასევე გარიგების მხარის ნებაზე დამოკიდებული პირობა ანუ ისეთი პირობა, რომლის დადგომაც ან დაუდგომლობა დამოკიდებულია მხოლოდ გარიგების მხარეებზე. ისმის კითხვა: რა ბედი ელის გარიგებას, თუ ის პირობა, რომელზეც დამოკიდებულია გარიგება, ბათილია (ბათილად იქნა ცნობილი)? საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ პირობითი გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია თავად პირობის ნამდვილობაზე; თუ ბათილია პირობა, ბათილია ასევე გარიგებაც.

პირობის დადგომამდე გარიგების მხარეები უნდა მოქმედებდნენ ***კეთილსინდისიერად***; მათ ეკრძალებათ პირობაზე ზემოქმედება. ამ ვალდებულების დარღვევისათვის კანონი სათანადო პასუხისმგებლობასაც ითვალისწინებს, კერძოდ:

- თუ პირობის დადგომა არაკეთილსინდისიერად დააბრკოლა მხარემ, რომლისთვისაც პირობის დადგომა ხელსაყრელი არ არის, პირობა დამდგარად ჩაითვლება;
- ხოლო თუ პირობის დადგომას არაკეთილსინდისიერად შეუწყო ხელი მხარემ, რომლისთვისაც პირობის დადგომა ხელსაყრელია, პირობა დამდგარად არ ჩაითვლება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 98-ე მუხლი).

VII. თანხმობა გარიგებებში

გარიგება შეიძლება იყოს არა მარტო პირობითი, ანუ დამოკიდებული სამომავლო და უცნობ მოვლენაზე, არამედ დამოკიდებულია ***მესამე პირის თანხმობაზე***. მესამე პირის თანხმობაზე დამოკიდებული გარიგების მაგალითია ჩვენ მიერ ზემოთ უკვე აღნიშნული არასრულწლოვანი პირის მიერ დადებული ხელშეკრულება, კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე. ამ შემთხვევაში, ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია შემდგომში არასრულწლოვანი პირის კანონიერი წარმომადგენლის მიერ მის მოწონებაზე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არასრულწლოვანი პირი გარიგებისაგან იღებს სარგებელს. თანხმობა მნიშვნელოვან

როლს სამეწარმეო ურთიერთობებშიც ასრულებს. მაგალითად, "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 55.8 (ა) პარ. თანახმად, საწარმოთა 50%-ზე მეტი წილის შეძენა და განსხვისება მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს (თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი).

სამართლებრივად თანხმობა ***ცალმხრივი მიღებასავალდებულო გარიგებაა***; იგი მესამე პირისაგან მიღებულ უნდა იქნეს გარიგების ერთ-ერთი ან ორივე (ყველა) მხარის მიერ. ფორმის მხრივ, თანხმობის მიმართ მოქმედებს ფორმის არჩევის თავისუფლების პრინციპი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი კიდევ უფრო შორს მიდის და ადგენს, რომ ***თანხმობას არ სჭირდება გარიგებისათვის დადგენილი ფორმის დაცვა.*** მაგალითისათვის შეგვიძლია მივმართოთ კვლავ ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ არასრულწლოვანი პირის მიერ ხელშეკრულების დადების შემთხვევას: თუ არასრულწლოვანი პირი დებს, მაგ., უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებას, ეს უკანასკნელი აუცილებლად უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. თუმცა, არასრულწლოვანი პირის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა ასეთ ფორმას აღარ ითხოვს და, შესაბამისად, საკმარისი იქნება კანონიერი წარმომადგენლის ზეპირი ფორმით ნების გამოვლენაც.

თანხმობა ***შეიძლება იყოს 2 სახის***:

- წინასწარ მიცემული თანხმობა ანუ ნებართვა; და
- შემდგომში მიცემული თანხმობა ანუ მოწონება.

ნებართვა მესამე პირის მიერ მიცემა წინასწარ ანუ მხარეთა მიერ გარიგების დადებამდე. კანონი ითვალისწინებს ნებართვის მიმცემის შესაძლებლობას, გარიგების დადებამდე უარი თქვას მის მიერ მიცემულ ნებართვაზე, თუმცა, ამის შესახებ უნდა ეცნობოს გარიგების მხარეებს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-100 მუხლი).

მოწონება მესამე პირის მიერ ცხადდება მხარეთა მიერ გარიგების დადების შემდეგ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 101-ე მუხლის თანახმად, მოწონებას უკუქცევითი ძალა აქვს გარიგების დადების მომენტიდან, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ მხარეთა შორის გარიგების ნამდვილობა დამოკიდებული იყო თანხმობაზე და რომლის გარეშეც ეს გარიგება ბათილია, – მოწონების შემთხვევაში მიიჩნევა, რომ მხარეთა შორის დადებული თანხმობასავალდებულო გარიგება თავიდანვე ძალმოსილი იყო.

შემდგომში მიცემული თანხმობა სამართლებრივ ძალას ანიჭებს ასევე არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებულ ქონებრივ განკარგვებს. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 102-ე მუხლში აღნიშნულია, რომ საგნის განკარგვა არაუფლებამოსილი პირის მიერ ნამდვილია, თუ იგი ხორციელდება უფლებამოსილი პირის წინასწარი თანხმობით. განკარგვა ხდება ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირი მას მოიწონებს.

VIII. წარმომადგენლობა გარიგებებში

კერძო სამართლის სუბიექტებს გარიგებების დადება შეუძლიათ არა მარტო პირადად, არამედ წარმომადგენლის მეშვეობითაც.

წარმომადგენლობის სამართლებრივი ინსტიტუტი უმნიშვნელოვანესია თანამედროვე ცხოვრებაში; რიგ შემთხვევებში, წარმომადგენლის გარეშე სამოქალაქო ურთიერთობებში მონაწილეობა შეუძლებელიც კი არის. მაგალითად, მცირეწლოვანი ბავშვი სრულიად მოკლებულია გარიგებების დადების შესაძლებლობას, კანონიერი წარმომადგენლის (მშობლის, მეურვის) გარეშე. ასევე იურიდიული პირიც ვერ მოქმედებს სპეციალური წარმომადგენლის გარეშე.

იმისათვის, რომ პირმა იმოქმედოს როგორც სხვა პირის წარმომადგენელმა, მას უნდა ჰქონდეს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. წარმომადგენლის უფლებამოსილება გამომდინარეობს ***კანონიდან*** ან იგი წარმოიშობა ***გარიგების*** საფუძველზე.

კანონისმიერი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მაგალითისათვის შეიძლება კვლავ მივმართოთ ქმედუუნარო პირის წარმომადგენლობის შემთხვევას. ქმედუუნარო პირს კანონის

დანაწესის ძალით ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი; შესაბამისად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების რაიმე სახით გაფორმება საჭირო არ არის.

გარიგების საფუძველზე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება ხდება ***მინდობილობის*** გაცემით. თანხმობის მსგავსად, ***მინდობილობა სამართლებრივად ცალმხრივი მილებასავალდებულო გარიგებაა;*** მინდობილობის გაცემა ხდება წარმომადგენლის (რწმუნებულის) ან იმ მესამე პირის მიმართ ნების გამოვლენით, რომელთანაც უნდა შედგეს წარმომადგენლობა. ფორმის მხრივაც, მსგავსად თანხმობისა, მინდობილობის მიმართ მოქმედებს ფორმის არჩევის თავისუფლების პრინციპი. კერძოდ, მინდობილობას არ ესაჭიროება ის ფორმა, რომელიც აუცილებელია იმ გარიგების დასადებად, რომლისთვისაც არის იგი გაცემული. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როდესაც კანონით დადგენილია სპეციალური ფორმა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 107-ე მუხლი). აქვე აღვნიშნავთ იმ ტერმინოლოგიურ ხარვეზებს, რომლებსაც ადგილი აქვს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1-ლი წიგნის მე-7 თავის – „წარმომადგენლობა გარიგებებში" (მუხლები 103-114) ნორმებში. მოვიყვანთ მათგან არსებითს: 103-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების ნორმა აიგივებს დავალებისა და მინდობილობის გარიგებებს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავებული სამართლებრივი ინსტიტუტებია[4]. თუ მინდობილობა, როგორც ვთქვით, ცალმხრივი გარიგებაა, მისი დადებისათვის საკმარისია ერთი პირის ნების გამოვლენა; დავალება ყოველთვის ხელშეკრულებაა, ორმხრივი გარიგება[5]. მათ შორის სამართლებრივი სხვაობა აშკარაა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის მჭიდრო კავშირი არსებობს; კერძოდ, პირის მიერ მინდობილობის გაცემისათვის მასსა და წარმომადგენელს შორის ავტომატურად, კანონის ძალით წარმოიშობა დავალების სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც წესრიგდება სწორედ დავალების ხელშეკრულების შესახებ ნორმებით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-723).

წარმომადგენელი გარიგების მხარე არ არის, მხარეა მხოლოდ წარმოდგენილი პირი. წარმომადგენლის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში დადებული გარიგებით უფლებები და ვალდებულებები წარმოეშობა მხოლოდ წარმოდგენილ პირს. წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგება ნამდვილია მაშინაც, როდესაც წარმომადგენელი შეზღუდულად ქმედუნარიანი იყო.

წარმომადგენლის მეშვეობით ყველანაირი გარიგების დადება არ შეიძლება. ზოგიერთი გარიგების დადებისას კანონი ითხოვს გარიგების ***მხარის უშუალო მონაწილეობას***. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1346-ე მუხლის თანახმად, ანდერძი უნდა შეადგინოს პირადად მოანდერძემ. ანდერძის შედგენა წარმომადგენლის მეშვეობით არ დაიშვება. ზოგჯერ გარიგების მხარის უშუალო მონაწილეობაც აუცილებელია, გარიგების ხასიათიდან გამომდინარე. მაგალითად, ქორწინება შეიძლება გაფორმდეს მხოლოდ დაქორწინების მსურველი პირების მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში პირადად შეტანილი განცხადების საფუძველზე.

წარმომადგენლობითი ურთიერთობა არ შეიძლება იყოს დაუსრულებელი და იგი ადრე თუ გვიან წყდება. კანონი ითვალისწინებს ***წარმომადგენლობის შეწყვეტის საფუძვლებს***, კერძოდ, წარმომადგენლობა წყდება:

- იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც გაიცა უფლებამოსილება;
- უფლებამოსილი პირის უარით;
- უფლებამოსილების გამცემი პირის მიერ უფლებამოსილების გაუქმებით;

---

4 „წარმომადგენლის უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს ანდა წარმოიშობა დავალების (მინდობილობის) საფუძველზე".

5 დავალების ხელშეკრულების ცნება მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლში: „დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე".

- უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალებით;
- შესრულებით.
- უფლებამოსილების გამცემი პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობით, თუ მას მხარდაჭერა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ან ქონების განკარგვის უფლების განსახორციელებლად დაუწესდა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 109-ე მუხლი).

წარმომადგენლობის შეწყვეტის შემდეგ წარმომადგენელმა მინდობილობა უნდა დაუბრუნოს მარწმუნებელს; მინდობილობის დატოვების უფლება მას არა აქვს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 110-ე მუხლი).

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. რა არის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა?
2. დაასახელეთ ქმედუუნარო პირები;
3. რა სახის უფლებაა სახელის უფლება?
4. რა მნიშვნელობა აქვს ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილს?
5. რა გარემოების ერთდროული არსებობაა საჭირო იმისათვის, რომ ადამიანი ცნობილ იქნეს უგზო-უკვლოდ დაკარგულად?
6. დაასახელეთ იურიდიული პირის დამახასიათებელი ნიშნები.
7. დაასახელეთ იურიდიული პირების სახეები;
8. როგორ ფუძნდება იურიდიული პირი?
9. განმარტეთ გარიგების ცნება;
10. დაასახელეთ გარიგების სახეები;
11. დაასახელეთ გარიგების ბათილობისა და საცილოობის საფუძვლები;
12. როგორი პირობებით შეიძლება დაიდოს გარიგება?
13. რა არის წარმომადგენლობა?

კაზუსები განვლილ მასალაზე:

(პასუხები იხილეთ 240-ე გვერდზე)

კაზუსი №1

საქართველოს მთავრობამ 2016 წლის 5 ივლისს გამოსცა ბრძანება შავი ზღვის სანაპირო ზოლში ტურისტული ცენტრების განვითარების შესახებ.

კითხვა:

რამდენად შეესაბამება ამ შემთხვევაში მთავრობის მიერ გამოცემული ბრძანება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და რატომ?

კაზუსი №2

შპს "გელათის" იურიდიული სამსახურის თანამშრომელმა ლაშა კაკაბაძემ სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტისას აღმოაჩინა, რომ ორგანული კანონის ნორმა, რომელიც უნდა გამოეყენებინა, ეწინააღმდეგება კანონის ნორმას, რომელიც უფრო გვიან იყო მიღებული. ამიტომ ლაშა კაკაბაძემ გამოიყენა კანონის ნორმა.

კითხვა:

რამდენად სწორედ გამოიყენა ამ შემთხვევაში ლაშა კაკაბაძემ ნორმატიული აქტი?

კაზუსი №3

შპს "გამას" განახორციელა იმ ტიპის სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც კანონით არ იყო აკრძალული, მაგრამ წესდებით არ ჰქონდა გათვალისწინებული.

კითხვა:

ჰქონდა თუ არა შპს „გამას" ასეთი საქმიანობის უფლება?

კაზუსი №4

19 წლის ნატო კერესელიძის მშობლებმა მიმართეს სასამართლოს, რათა მას ნატო კერესელიძე აღიარებინა შეზღუდულ ქმედუნარიანად იმის გათვალისწინებით, რომ უკვე ადრეული ასაკიდან მათ ქალიშვილს აღენიშნებოდა მყარი გონებრივი დარღვევები.

კითხვა:

დააკმაყოფილებს თუ არა სასამართლო ნატო კერესელიძის მშობლების მოთხოვნას?

კაზუსი №5

დალი ფერაძე, რომლის შესახებ 18 თვის განმავლობაში არ არსებობდა ცნობა მისი ადგილსამყოფელის შესახებ, სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილი იქნა უგზო-უკვლოდ დაკარგულად და მის მემკვიდრეებს დაევალა მინდობილი საკუთრების სახით მისი ქონების მართვა.

კითხვა:

რამდენად შეესაბამება სასამათლოს გადაწყვეტილება მოქმედ კანონმდებლობას?

კაზუსი №6

14 წლის დავით ვასაძეს მშობლები ყოველდღიურად აძლევდნენ გარკვეულ თანხას თავისუფალი ხარჯვის მიზნით, დავითმა რამოდენიმე თვის განმავლობაში დააგროვა 200 ლარი და ირემაშვილისაგან შეიძინა მობილური ტელეფონი ისე, რომ თავის მშობლებს არაფერი არ უთხრა. როდესაც მშობლებმა შეიტყვეს ამის თაობაზე, მათ ირემაშვილს მოსთხოვეს გარიგების გაუქმება და გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, ვინაიდან გარიგება დაიდო მათი თანხმობის გარეშე. ირემაშვილმა ამაზე დავითის მშობლებს უარი განუცხადა.

კითხვა:

კანონიერია თუ არა დავითის მშობლების მოთხოვნა?

კაზუსი №7

17 წლის ასაკს მიღწეულ გელა გელაშვილს კანონიერმა წარმომადგენელმა მიანიჭა საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლება.

კითხვა:

შეუძლია თუ არა გელა გელაშვილს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლების მოპოვების შემდგომ დაქორწინება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე?

კაზუსი №8

26 წლის ლადო დევდარიანის ცოლმა მიმართა სასამართლოს, რათა მისი მეუღლე ეღიარებინათ შეზღუდულ ქმედუნარიანად იმის გამო, რომ იგი ბოროტად იყენებდა ალკოჰოლურ სასმელს და სისტემატიურად აყენებდა მას სიტყვიერ შეურაცხყოფას.

კითხვა:

აღიარებს თუ არა სასამართლო შეზღუდულ ქმედუნარიანად ამ მოტივით ლადო დევდარიანის და რატომ?

კაზუსი №9

ია გეგენავამ მიმართა ნოტარიუსს, რათა დაემოწმებინა ხელშეკრულება, მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ დოკუმენტზე ხელის ვერ აწერდა ფიზიკური ნაკლის გამო, ნოტარიუსმა უარი განაცხადა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე.

კითხვა:

რა წესი მოქმედებს ასეთ შემთხვევაში?

კაზუსი №10

ლუკა ნადირაძემ 3 თვის ვადით მიანიჭა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ვალერიან ძლიერიშვილს, რათა ამ უკანასკნელს გაესხვისებინა მისი ავტომობილი. ერთი თვის შემდეგ ავტომობილი ჯერ არ იყო გაყიდული. ლუკა ნადირაძემ შეცვალა თავისი გადაწყვეტილება და შეუწყიტა ვალერიან ძლიერიშვილს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

კითხვა:

რა ვალდებულება ეკისრება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაქარწყლებისას ვალერიან ძლიერიშვილს?

II თავი
სანივთო სამართალი

1. ნივთები. ქონება. საწარმო

I. ნივთების ცნება

ნივთები წარმოადგენს გარე სამყაროს სივრცობრივად შემოფარგლულ სხეულებრივ საგნებს, რომლებზეც შეიძლება ვრცელდებოდეს სამართლის სუბიექტის ბატონობა.

ქართული სამართალი არ იცნობს ნივთის ლეგალურ დეფინიციას. თუმცა, იგი ამავე დროს ნივთს მიჯნავს არამატერიალური ქონებრივი სიკეთისაგან – უფლებებისა და მოთხოვნებისაგან, რითიც იზიარებს ნივთების მატერიალურობის გერმანული სამართლის კონცეფციას. სამართლის ორივე აღნიშნულ ობიექტს – ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აერთიანებს ***„ქონების“*** ცნებაში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლი).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იცნობს ნივთების კლასიფიკაციას ***მოძრავ და უძრავ ნივთებად***. ამასთან, კოდექსში მოცემულია მხოლოდ უძრავი ნივთის ლეგალური დეფინიცია. განსხვავებით ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსისაგან, მასში, სამწუხაროდ, არ არის მითითება იმის თაობაზე, რომ ყველა ის ნივთი, რომელიც არ განეკუთვნება უძრავს, წარმოადგენს მოძრავ ნივთს. თუმცა, ასეთი დასკვნის გაკეთება ადვილად შეგვიძლია კოდექსის ნორმების ლოგიკური განმარტებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლში უძრავი ნივთი განმარტებულია შემდეგნაირად: ***„უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე“.*** კანონის მოცემული ქართული ტექსტი არსებითად სწორად არის თარგმნილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გერმანული ვერსიიდან, თუმცა, მუხლის ნორმის გერმანული პირველწყაროდან უფრო კორექტული თარგმანი შემდეგნაირი იქნებოდა: ***„უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი ჯერ კიდევ მოუცილებელი წიაღისეულით, მიწაზე განლაგებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც ხანგრძლივი ვადით არის დაკავშირებული მიწასთან“.***

კონკრეტული საგნების ნივთებად მიჩნევისათვის აუცილებელია არა მარტო მათი შესაბამისი ფიზიკური მონაცემების არსებობა, არამედ მათი საგნებად აღიარება სამოქალაქო ბრუნვაში ანუ ***სუბიექტური ელემენტის*** არსებობა; ამავე დროს, მნიშვნელობა არა აქვს, საგანი იქნება მყარი, თხევადი თუ აირისებრი[1]. თუმცა, როგორც გერმანული სამართლებრივი დოქტრინა, ისე სასამართლო პრაქტიკა ***ნივთებად არ მიიჩნევს*** ისეთ საგნებს, როგორიცაა ***სითბო, შუქი, ელექტროენერგია, კომპიუტერში შენახული მონაცემები და კომპიუტერული პროგრამები***[2]. ასევე, ნივთებად არ მიიჩნევა ცოცხალი ადამიანის სხეული და სხეულის

1 Hans Brox - Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 9. verbesserte Auflage, - Köln; Berlin; Bonn; München, Heymann, 1985, გვ. 314

2 Palandt - Bürgerliches Gesetzbuch, bearbeitet von Bassenge, Diederichsen, Edenhofer, Heinrichs, Heldrich, Putzo, Thomas, 62. neubearbeitete Auflage, C. H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, München, 2003, გვ. 62; აგრეთვე, Hans Brox, დასახელებული ნაშრომი, გვ. 314

განუყოფელი ნაწილები, რომლებზეც არ შეიძლება არსებობდეს საკუთრების უფლება. ადამიანის სხეულს მიეკუთვნება მასზე მყარად მიერთებული ხელოვნური ნაწილები, მაგ., კბილის პლომბი და სხვა იმპლანტანტები[3]. თუმცა, თუ ხელოვნური საგნები ადამიანის სხეულთან მყარად არ არის დაკავშირებული, მაშინ ისინი ჩაითვლება ნივთებად, მაგ., პროთეზები, აპარატები და ხელოვნური ყბები[4].

ნივთების ***კლასიფიკაცია*** შეგვიძლია რამდენიმე ნიშნით. განასხვავებენ:

- საერთო სარგებლობის;
- უძრავ და მოძრავ;
- საჯარო და კერძო;
- მოხმარებად და მოუხმარებად;
- ინდივიდუალური და გვაროვნული ნიშნით განსაზღვრულ;
- დაყოფად და დაუყოფად ნივთებს; ასევე
- ცალკეულ ნივთებსა და ნივთების ერთობლიობას.

საქართველოში ადამიანის ორგანოთა გადანერგვის დროს წარმოშობილი სამართლებრივი საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს კანონით "ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ". ამ კანონის მე-8 მუხლი ადგენს, რომ გადანერგვის მიზნით გარდაცვლილის ორგანოს აღება, როდესაც არ არსებობს სიცოცხლეში განცხადებული თანხმობის ან უარის დამადასტურებელი წერილობითი საბუთი, შეიძლება, თუ: არსებობს იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ ორგანოს აღება არ ეწინააღმდეგება გარდაცვლილის რელიგიურ რწმენას, მის ეთიკურ პრინციპებს და შემდეგი ქმედუნარიანი პირები, ტექსტში მოცემული რიგითობის მიხედვით, აცხადებენ თანხმობას გარდაცვლილის ორგანოს აღებაზე: მეუღლე, შვილი, მშობელი, შვილიშვილი, შვილიშვილის შვილი, ძმა, და, ძმისწული, დისწული, ბებია, პაპა, ბიძა, დეიდა, მამიდა, ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი. რაც შეეხება ცოცხალი ადამიანისაგან ორგანოს სხვა ადამიანისთვის გადასანერგად აღებას, იმავე კანონის მე-17 მუხლის თანახმად, იგი დასაშვებია მხოლოდ სიცოცხლის გადარჩენის, მძიმე ავადმყოფობისაგან განკურნების, დაავადების პროგრესირების შეფერხების ან ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

საერთო სარგებლობის ნივთებად ზოგადი შეხედულებით შეიძლება მივიჩნიოთ ჰაერი, ზღვა, ბუნებრივად მოდინარე წყლები, ე. ი. ყოველი ისეთი ობიექტი, რომელიც თავისი ბუნებრივი არსით არ შეიძლება იმყოფებოდეს ვინმეს საკუთრებაში და შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი პირის მიერ.

საჯარო ნივთებად მიიჩნევა ნივთები, რომლებიც ეკუთვნის სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტს ანდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და რომელთა მიმართაც გამოყენებულ უნდა იქნეს საჯარო სამართლის სპეციალური ნორმები.

რაც შეეხება ***ნივთების ერთობლიობას***, ეს უკანასკნელი უნდა გავიგოთ როგორც ცალკეული დამოუკიდებელი ნივთებისაგან შემდგარი ერთობლიობა, რომლებიც დაკავშირებულია განსაზღვრული მიზნებისათვის და ერთიანი სახელწოდებით ქმნის მთლიან საგანს (მაგალითად, ინვენტარი, არქივი, ბიბლიოთეკა). მიუხედავად იმისა, რომ ნივთების ერთობლიობა წარმოადგენს ზოგიერთი ურთიერთობის, მაგ., ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტს, მასზე როგორც საკუთრების უფლების არსებობა[5], ასევე ***მისი განკარგვა შეიძლება განხორციელდეს***

[3] Dieter Medicus – Allgemeiner Teil des BGB, 8., neu bearb. Aufl. – Heidelberg: Müller, 2002, გვ. 370

[4] Palandt - დასახელებული ნაშრომი, გვ. 62

[5] იხ.: Lehrbuch des Bürgerlichen Rechts von Dr. Ludwig Enneccerus, Dr. Theodor Kipp und Dr. Martin Wolff, Erster Band, zweite Abteilung: Recht der Schuldverhältnisse von Dr. Ludwig Enneccerus, Marnburg, R. G. Elmert'sche Verlagsbuchhandlung (G. Bramm), 1923

მხოლოდ ნივთების ერთობლიობაში შემავალ ცალკეულ ნივთებზე საკუთრების უფლების დადგენითა თუ მათი განკარგვით[6].

II. ნივთების შემადგენელი ნაწილები. საკუთნებელი. ნაყოფი

კანონისმიერი რეგულირება, რომლითაც ნივთსა და არსებით შემადგენელ ნაწილს უნდა ჰქონდეს ერთიანი სამართლებრივი ბედი, მიზნად ისახავს ნივთების ეკონომიკური ღირებულების უსარგებლო განადგურების თავიდან აცილებას[7]. ეკონომიკურ ურთიერთობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ურთიერთობის ობიექტის ფარგლების განსაზღვრულობას, იმას, თუ ნივთის რომელ ნაწილებზე ვრცელდება მხარეთა უფლებები და ვალდებულებები, როდესაც მხარეებმა გარიგებაში მიუთითეს მხოლოდ ნივთის სახელწოდება (მაგალითად, ავტომობილი, ავეჯი, ტელეფონი). თუ სამოქალაქო ბრუნვაში აღიარებული შეხედულების თანახმად, ნივთს აქვს ისეთი ***შემადგენელი ნაწილი, რომლის ნივთისაგან მოცილებაც შეუძლებელია, მთლიანად ნივთის ან მისი ნაწილის განადგურების ან მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე, მიიჩნევა არსებით შემადგენელ ნაწილად*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). ამდენად, არსებითი შემადგენელი ნაწილი ყოველთვის იზიარებს ნივთის სამართლებრივ ბედს, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა. ნივთს შეიძლება ჰქონდეს ისეთი შემადგენელი ნაწილიც, რომლის ნივთისაგან მოცილებაც არ იწვევს ზემოაღნიშნულ უარყოფით შედეგებს. ამ უკანასკნელს არაარსებითი, მარტივი შემადგენელი ნაწილი ეწოდება და იგი ყოველთვის შეიძლება იყოს ცალკე უფლების ობიექტი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილების ცალკე დამაზუსტებელ განმარტებას იძლევა. კოდექსის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: ***„მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის, რაც ხელშეკრულებითაც შეიძლება განისაზღვროს“.***

უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული ნორმა ადგენს გერმანული სამართლის სისტემის ქვეყნების კანონმდებლობებში აღიარებულ პრინციპს: ***შენობა-ნაგებობები ყოველთვის წარმოადგენს იმ მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს, რომელზეც ისინი განთავსებულია.*** შენობა-ნაგებობები, შესაბამისად, ეკუთვნის მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს და მათი ცალკე უფლების ობიექტად ქცევა დაუშვებელია. კოდექსი ითვალისწინებს ერთადერთ შემთხვევას, როდესაც შენობა-ნაგებობა და მიწის ნაკვეთი სხვადასხვა პირს ეკუთვნის. ეს შემთხვევაა, როდესაც მიწის ნაკვეთი დატვირთულია ***აღნაგობის უფლებით*** და შენობა-ნაგებობა აღმართულ იქნა მეაღნაგის მიერ. ამ დროს ***შენობა-ნაგებობა არსებითი შემადგენელი ნაწილია არა მიწის ნაკვეთისა, არამედ თავად აღნაგობის სანივთო უფლებისა*** და, შესაბამისად, ეკუთვნის მეაღნაგეს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 234-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

გარდა შენობა-ნაგებობებისა, მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება ***მიწასთან მყარად დაკავშირებული (დამაგრებული)*** ნივთები (საგნები). მყარად დაკავშირებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც საგნის მოცილება შედეგად იწვევს მის განადგურებას ან დაზიანებას (მაგალითად, მცენარის ამოძირკვა).

საკუთნებლის ლეგალური დეფინიცია მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 151-ე მუხლში:

„საკუთნებელი არის მოძრავი ნივთი, რომელიც, თუმცა არ არის მთავარი ნივთის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისთვის, დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რის გამოც იგი სივრცობრივ კავშირშია მთავარ ნივთთან და, დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, ითვლება საკუთნებლად.

---

[6] Palandt - დასახელებული ნაშრომი, გვ. 61

[7] Palandt - დასახელებული ნაშრომი, გვ. 63

ნივთი, რომელიც მიწასთან არის დაკავშირებული და რომლის მოცილებაც მიწიდან შესაძლებელია სასაქონლო ღირებულების დაკარგვის ან არსებითი დანაკლისის გარეშე, ასევე მიიჩნევა საკუთვნებლად".

განსხვავებით ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილისაგან, საკუთვნებელი დამოუკიდებელი მოძრავი ნივთია და იგი შეიძლება იყოს ცალკე გარიგების საგანი[8], თუმცა, იგი თავისი დანიშნულებით ეკონომიკურ და სივრცობრივ კავშირშია ძირითად ნივთთან და იზიარებს ამ უკანასკნელის სამართლებრივ ბედს.

ამდენად, იმისათვის, რომ ნივთი ჩაითვალოს საკუთვნებლად, სახეზე უნდა იყოს შემდეგი წინაპირობები:

1. უპირველეს ყოვლისა, საკუთვნებელი შეიძლება იყოს ***მხოლოდ მოძრავი ნივთი***. ამიტომ საკუთვნებლად არ ჩაითვლება მიწის ნაკვეთი და მისი შემადგენელი ნაწილები, აგრეთვე, უფლებები[9];

2. საკუთვნებელი გათვალისწინებული უნდა იყოს ძირითადი ნივთის ***ეკონომიკური (სამეურნეო) მიზნის სამსახურისათვის***. მაგალითად, მიწის ნაკვეთის საკუთვნებლად შეიძლება მივიჩნიოთ ამ უკანასკნელზე განლაგებული ელექტროგამანაწილებელი ხაზები და დამხმარე მოწყობილობები, როდესაც ისინი ემსახურება მიწის ნაკვეთის ან მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის ელექტრომომარაგებას. შესაბამისად, მიწის ნაკვეთის გასხვისების შემთხვევაში აღნიშნული ელექტროგამანაწილებელი ხაზები და დამხმარე მოწყობილობები მიჰყვება ძირითად ნივთს ისე, რომ აუცილებელი არ იქნება მათზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ მხარეთა შორის ცალკე შეთანხმება;

3. საკუთვნებელი ***სივრცობრივ კავშირში*** უნდა იყოს ძირითად ნივთთან;

4. საკუთვნებელი ***ხანგრძლივი ვადით*** უნდა იყოს ძირითადი ნივთის ეკონომიკური (სამეურნეო) მიზნის სამსახურისათვის განკუთვნილი[10]. აღნიშნულ წინაპირობას, მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 151-ე მუხლი არ ასახელებს, თუმცა, ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლება საკუთვნებლის არსიდან გამომდინარე და თავად მუხლის ნორმების ანალიზის საფუძველზე;

5. დასასრულ, ზემოაღნიშნული ობიექტური წინაპირობების არსებობა საკმარისი არ არის, თუ დაკმაყოფილებული არ იქნება კანონის მიერ მითითებული ***„სუბიექტური" წინაპირობა***, კერძოდ, საკუთვნებლად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ნივთი, რომელიც ასეთად აღიარებულია სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული შეხედულებით.

ნაყოფს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განმარტავს შემდეგნაირად: ***„ნივთის ნაყოფი არის ის შემოსავალი, ნამატი ან/და უპირატესობა, რომელთაც ეს ნივთი იძლევა. უფლების ნაყოფი არის ის შემოსავალი ან/და უპირატესობა, რაც მიიღება ამ უფლების გამოყენების შედეგად. ნივთის ან უფლების ნაყოფს წარმოადგენს აგრეთვე ის შემოსავალი და უპირატესობა, რომელთა მიღებასაც ეს ნივთი ან უფლება უზრუნველყოფს სამართლებრივი ურთიერთობის მეშვეობით"*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 154-ე მუხლის 1-3 ნაწილები).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 154-ე მუხლის მე-3 ნაწილი ნივთის ან უფლების ნაყოფად მიიჩნევს, აგრეთვე, იმ შემოსავალსა და მოგებას, რომელთა მიღებასაც ნივთი ან უფლება უზრუნველყოფს სამართლებრივი ურთიერთობის მეშვეობით.

---

[8] Palandt - დასახელებული ნაშრომი, გვერდები 67-68

[9] Palandt - დასახელებული ნაშრომი, იქვე

[10] Palandt - დასახელებული ნაშრომი, იქვე; Hans Brox - Allgemeiner Teil des Bürgerlichen Gesetzbuchs, 9. verbesserte Auflage, - Köln; Berlin; Bonn; München, Heymann, 1985, გვ. 323

ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 154-ე მუხლის ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული სამართალი იცნობს ნივთისა თუ უფლების ნაყოფის 2 სახეს: ***ბუნებრივსა და სამოქალაქო ნაყოფს***.

III. ქონება

„ქონების" ცნებას თანამედროვე ცივილისტიკურ ლიტერატურაში, განსაკუთრებით კი, გერმანული სამართლის სისტემის ქვეყნების სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში, არაერთგვაროვანი მნიშვნელობა აქვს. თუ რომანული სამართლის სისტემის ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობებში ქონება გაიგივებულია ნივთთან, რომელიც, რა თქმა უნდა, საერთოდ წარმოადგენს უფლებათა ობიექტს, გერმანული სამართლის სისტემის ქვეყნების იურისპრუდენციაში აღნიშნული ცნებები ერთმანეთისგან გამიჯნულია; თუმცა, არც ამ უკანასკნელში ვხვდებით „ქონების" ცნების ერთმნიშვნელოვან გაგებას.

ქონების განმარტება მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. კერძოდ, 147-ე მუხლის თანახმად: ***„ქონება, ამ კოდექსის მიხედვით, არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს".***

ამ მუხლიდან ჩანს, რომ ქონების ცნებაში კანონი მოიაზრებს ***მხოლოდ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს.*** ამ უკანასკნელის დეფინიცია ასევე მოცემულია კოდექსში: ***„არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე"*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 152-ე მუხლი). ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ქონების ცნების ქვეშ მოიაზრებს მხოლოდ აქტივს. თუმცა, კოდექსი არ არის თანმიმდევრული ტერმინოლოგიაში. მის სხვა ადგილებში ქონების ცნება აქტივთან ერთად მოიცავს ასევე პასივსაც – ვალდებულებებს. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ 1306-ე მუხლი, რომელიც მოცემულია მემკვიდრეობის სამართალში. მასში საუბარია მამკვიდრებლის ქონების მემკვიდრეებზე გადასვლის შესახებ. ამ დროს გადადის არა მარტო სამკვიდრო მასას მიკუთვნებული აქტივები – ნივთები, უფლებები, მოთხოვნები, არამედ – პასივიც. ამიტომ სწორია რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ქონების ცნებას აქვს მრავალი მნიშვნელობა და ყოველი შემთხვევის დროს კონკრეტულ სამართლის ნორმაში აუცილებელია აღნიშნული ტერმინი გაგებულ იქნეს განმარტების გზით[11].

მსგავსად ნივთებისა, ქონებაც შეიძლება იყოს ***მოძრავი ან უძრავი***. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის უდიდეს ნაკლად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ მასში არ მოიძებნება ნორმა, რომელიც დაადგენს, ერთი მხრივ, ქონების როგორც ერთიანი ობიექტის და, მეორე მხრივ, მასში შემავალი ***სანივთო და ვალდებულებით-სამართლებრივი უფლებების მიკუთვნებას მოძრავ და უძრავ ქონებად.*** ამ საკითხის სპეციალური საკანონმდებლო რეგულირება განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მოძრავი და უძრავი ნივთების (ზოგადად – ქონების) მიმართ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმის გამო. მაგალითად, ისმის კითხვა, უზუფრუქტის სანივთო უფლება უნდა დაგირავდეს თუ დაიტვირთოს იპოთეკით? რა თქმა უნდა, უნდა დაიტვირთოს იპოთეკით, რადგან უზუფრუქტი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, შეიძლება დადგინდეს მხოლოდ უძრავ ნივთზე; ე. ი. უზუფრუქტის სანივთო უფლება ეხება უძრავ ქონებას და, მაშასადამე, იგი ***უძრავ ქონებად უნდა მივიჩნიოთ***. თუმცა, აღნიშნული წესის პირდაპირ დამდგენი ნორმა არ არსებობს, მისი

[11] Гражданское Право – под ред. А. П.. Сергеева и Ю. К. Толстова, Москва, издание пятое, переработанное и дополненное, изд. «ПБОЮЛ Л. В. Рожников», том 1, 2001, გვ. 239; იხ. აგრეთვე, Гражданское Право – Отв. ред. Е. А. Суханов, 2-е издание, том 1, изд. БЕК, 2002, გვ. 300

საჭიროება უდავოა რაიმე გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით. უცხო ქვეყნების თანამედროვე კანონმდებლობებში აღნიშნული წესი პირდაპირ არის გათვალისწინებული. მაგალითად, ესტონეთის კანონი „სანივთო სამართლის შესახებ“ ადგენს, რომ „ქონება წარმოადგენს მოძრავ ან უძრავ ქონებას, ნივთების მოძრავ და უძრავ ნივთებად კლასიფიკაციისა (მუხლი 8) და უფლებების კუთვნილების (მუხლი 31) მიხედვით“ (30-ე მუხლის მე-2 ნაწილი). იმავე კანონის 31-ე მუხლში აღნიშნულია:

„1) სანივთო უფლებები განეკუთვნება მოძრავ ან უძრავ ქონებას იმისდა მიხედვით, წარმოადგენს თუ არა მათ საგანს მოძრავი თუ უძრავი ნივთი;

2) ვალდებულებით-სამართლებრივი და სხვა პირადი ქონებრივი უფლებები განეკუთვნება მოძრავი ქონების კატეგორიას“.

IV. საწარმო

ქართულ იურიდიულ ტერმინოლოგიაში სიტყვა ***“საწარმო”*** უფრო კომერციული იურიდიული პირების კრებით სახელწოდებად გამოიყენება, ვიდრე ამ ცნების ნამდვილი და სწორი მნიშვნელობით. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის ტერმინოლოგია. სწორედ მის ტექსტში კანონი ერთ ადგილას საუბრობს საწარმოს შეძენაზე და, მაშასადამე, საწარმოში მოიაზრებს ***ურთიერთობის ობიექტს***, სხვა ადგილებში (და, ძირითადად, მთელ ტექსტში) – საწარმო არის კომერციული საზოგადოებები და ინდივიდუალური საწარმო – ***სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი***.

კანონის ტერმინოლოგიის ასეთი გაურკვევლობის მიუხედავად, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში საწარმო სწორად არის მიჩნეული ***პირთა და ქონების ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ერთიანობად***[12]. “საწარმოს მიეკუთვნება” – წერს ბ-ნი ლ. ჭანტურია. “ასევე საწარმოსა და მუშა-მოსამსახურეთა საქმიანობაც. გარდა ამისა, მას განეკუთვნება არამატერიალური ფასეულობანი, ფაქტობრივი ურთიერთობები, საწარმოო საიდუმლოებანი. საწარმოს ცნება მოიცავს ასევე მატერიალურ ფასეულობებსა (მაგალითად, მიწის ნაკვეთები, ძირითადი საშუალებები, ქარხნები, ფაბრიკები, ავტომანქანები, საქონელი, ფული და ა. შ.) და უფლებებს (კერძოდ, მოთხოვნები, პატენტები, სასაქონლო ნიშნები და ა. შ.), აგრეთვე, ვალდებულებებს[13]”.

მსგავს განმარტებას იძლევა გერმანული სამართლის მეცნიერება[14]. რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 132-ე მუხლის 1-ლ ნაწილში საწარმო განსაზღვრულია როგორც ***ქონებრივი კომპლექსი, რომელიც გამოიყენება სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად.***

ამავე მუხლში მოცემულია ჩამონათვალი იმ ქონებრივი თუ არაქონებრივი ობიექტებისა, რომლებიც შედის საწარმოს შემადგენლობაში: ყველა სახის ქონება, რომელიც განკუთვნილია საწარმოს საქმიანობისათვის, მათ შორის, მიწის ნაკვეთები, შენობები, ნაგებობები, დანადგარები, ინვენტარი, ნედლეული, პროდუქცია, მოთხოვნები, ვალები, ასევე საწარმოს, მისი პროდუქციის, სამუშაოსა და მომსახურების ინდივიდუალიზირების საშუალებები (საფირმო სახელწოდება, სავაჭრო ნიშნები, მომსახურების ნიშნები) და სხვა განსაკუთრებული უფლებები.

საწარმოს ცნების სწორ ჩამოყალიბებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საწარმოს ნასყიდობის სამართლებრივი ინსტიტუტის სწორად გაგებისათვის, რომელსაც, რაოდენ გასაკვირი და სამწუხაროც არ უნდა იყოს, არანაირად, ერთი ნორმითაც კი, არ აწესრიგებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

---

[12] ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე – “მეწარმეთა შესახებ” კანონის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბილისი, “სამართალი”, 1998, გვ. 10

[13] ლადო ჭანტურია, თედო ნინიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 11

[14] Palandt - Bürgerliches Gesetzbuch, bearbeitet von Bassenge, Diederichsen, Edenhofer, Heinrichs, Heldrich, Putzo, Thomas, 52. neubearbeitete Auflage, C. H. Beck’sche Verlagsbuchhandlung, München, 1993, გვერდები 482-483

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. რა არის ნივთი?
2. ნივთების რა სახეებს იცნობს საქართველოს კანონმდებლობა?
3. რა არის უძრავი და მოძრავი ნივთი?
4. რა წარმოადგენს ნივთის შემადგენელ ნაწილს?
5. რა სამართლებრივ რეჟიმშია ნივთის საკუთვნებელი?
6. რა წარმოადგენს ნაყოფს?
7. განმარტეთ ქონება და საწარმო.

2. მფლობელობა

I. მფლობელობის ცნება. საგანი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ***მფლობელობას*** აყალიბებს ცალკე სანივთო-სამართლებრივი ინსტიტუტის სახით, საკუთრების უფლების შინაარსში შემავალი მფლობელობის უფლებამოსილებისაგან დამოუკიდებლად. მფლობელობას დათმობილი აქვს სამოქალაქო კოდექსის მე-2 წიგნის – სანივთო (ქონებრივი) სამართალი მე-2 კარი მთლიანად; სულ 15 მუხლი. მაშასადამე, კანონმდებელი განასხვავებს მფლობელობას როგორც ***საკუთრების უფლების შინაარსის ერთ-ერთ ელემენტს*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლი) და ***მფლობელობას როგორც დამოუკიდებელ, საკუთრების უფლების შინაარსისაგან გამოცალკევებულ ინსტიტუტს.*** მფლობელობის გამოცალკევება გამოწვეულია იმ დიდი მნიშვნელობითა და ფუნქციით, რომელსაც ქართველი კანონმდებელი ანიჭებს მფლობელობის სამართლებრივ ინსტიტუტს. რაც შეეხება მფლობელობის საკუთრების უფლების შინაარსის ერთ-ერთ ელემენტად მიჩნევას, კანონმდებლის აღნიშნული გადაწყვეტა არ უნდა მივიჩნიოთ მართებულად. მფლობელობა გამოყოფილია ცალკე და მას სხვა, გაცილებით უფრო ფართო შინაარსი მიენიჭა. 170-ე მუხლის ჩამოყალიბებით – "მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას" – სამოქალაქო კოდექსი იზიარებს ე.წ. ***"ტრიადის"*** კლასიკურ კონსტრუქციას – ***მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა*** და, ამავე დროს, ეწინააღმდეგება ევროპის ქვეყნების სამოქალაქო კოდექსების უმრავლესობის სამართლებრივ გადაწყვეტას (მაგალითად, არც საფრანგეთის და არც გერმანიის სამოქალაქო კოდექსები საკუთრების უფლების დეფინიციაში მფლობელობას არ ახსენებს). "ტრიადის" მოძღვრება საერთოდაც გაკრიტიკებულია იურიდიულ ლიტერატურაში. იურისტების ნაწილი მიიჩნევს, რომ საკუთრების უფლების დეფინიცია არ უნდა შეიცავდეს მესაკუთრის უფლებამოსილებათა ჩამონათვალს იმ საფუძვლით, რომ უფლებამოსილებებზე საუბარი შეიძლება მხოლოდ იმდენად, "რამდენადაც საკუთრების უფლება იზღუდება, რის შედეგადაც მას ერთმევა გარკვეული უფლებამოსილებები" (პუხტა); ბრატუსიც იზიარებს აღნიშნულ პოზიციას. მისი აზრით: "საკუთრების უფლება არ შეიძლება გავაიგივოთ მფლობელობის, სარგებლობის და განკარგვის უფლებამოსილებათა ჯამთან".

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ადგენს მფლობელობის ლეგალურ დეფინიციას. კოდექსის 155-ე მუხლის 1-ლ ნაწილში საუბარია მფლობელობის წარმოშობისა და არსებობის წინაპირობებზე. მფლობელობის წარმოშობის ძირითად წინაპირობასთან ერთად – ***ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა,*** კანონი ითხოვს ასევე პირის მიერ ნივთის ***ფლობის ნებას***. ამით

საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა ერთგვარად გაიზიარა მფლობელობის რომაული სამართლებრივი კონსტრუქცია – corpus-სა და animus-ის ერთდროული არსებობის მოთხოვნა, რაც, ერთი შეხედვით, უკან გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ, გერმანიისა და შვეიცარიის სამოქალაქო კანონმდებლობათა გადაწყვეტილებების ფონზე. თუმცა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული გადაწყვეტა ნამდვილად არ იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ მან მფლობელობის შესახებ ნორმები ჩამოაყალიბა რომაული ან თუნდაც რომანული სამართლის სისტემის ქვეყნების სამართლის დოქტრინის საფუძველზე. თხუთმეტივე მუხლი, რომელიც მფლობელობის შესახებ კარში მფლობელობის ინსტიტუტის რეგულირებას ეთმობა, გერმანული სამართლის სისტემას ეფუძნება, ხოლო ამ მუხლების უდიდესი ნაწილი კი საერთოდაც შეიქმნა გერმანიის სამოქალაქო კოდექსიდან პირდაპირი რეცეფცირების შედეგად. მფლობელობის შესახებ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმათა ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სუბიექტური ელემენტი – ანიმუს-ი ***არ ასრულებს გადამწყვეტ როლს მფლობელობის კონსტრუქციაში,*** მისი როლი და მნიშვნელობა მინიმალურია. მაგალითად, მის არსებობა-არარსებობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს პირის მიერ ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის მფლობელად მიჩნევის საკითხისათვის. სუბიექტური ელემენტის დადგენით კანონი ითხოვს მხოლოდ ***ფლობის ზოგად ნებას,*** პირის მიერ იმის გაცნობიერებას, რომ იგი ახორციელებს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას განსხვავებით იმავე რომაული და რომანული სამართლის სისტემის ქვეყნების სამართლისაგან, რომელთა თანახმადაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფაქტობრივი ბატონობის განმახორციელებელი პირის ნება მიმართულია მესაკუთრის სახით ფლობისაკენ.

ლეგალური დეფინიციის არარსებობის მიუხედავად, იმავე 155-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან ***მფლობელობა შეიძლება განვმარტოთ როგორც სამოქალაქო ბრუნვაში აღიარებული ქონებაზე ფაქტობრივი ბატონობა, რომელიც შეერთებულია მფლობელის ნებასთან, იქონიოს ქონება თავის მფლობელობაში.*** ამდენად, მფლობელობა უპირველესად და ძირითადად წარმოადგენს ფაქტობრივ ურთიერთობას, რომელიც პირს ანიჭებს ***ფაქტობრივი ბატონობის შესაძლებლობას.*** ამით იგი განსხვავდება სწორედ საკუთრებისა და სანივთო უფლებებისაგან, რომლებიც უფლებამოსილ პირს ანიჭებს ქონებაზე ***იურიდიული ბატონობის შესაძლებლობას.*** ამდენად, მფლობელობა ***არ არის უფლება***, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს მხოლოდ გაბატონებული შეხედულებაა და იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს საწინააღმდეგო აზრიც[15]. სამაგიეროდ, ერთსულოვნება არსებობს იმ შეხედულებაში, რომ მფლობელობას კანონი უკავშირებს მნიშვნელოვან ***უფლებრივ მდგომარეობას,*** რის გამოც მას უფლების მნიშვნელობაც აქვს[16]. უპირველეს ყოვლისა, მფლობელობა ქმნის ***საკუთრების უფლების არსებობის ვარაუდს***, იგი ასევე ***გადადის მემკვიდრეობით***; მფლობელს შეუძლია ***დაიცვას თავისი ფაქტობრივი მდგომარეობა*** მფლობელობითი სარჩელებით; ფლობის ფაქტს კანონი უკავშირებს განსაზღვრული უფლება-ვალდებულებების არსებობას მფლობელსა და უფლებამოსილ პირს შორის; განსაზღვრული პირობების არსებობისას, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მოძრავი ნივთის ფლობას შედეგად მოჰყვება მასზე ***საკუთრების უფლების შეძენა ხანდაზმულობით***. შეიძლება ითქვას უფრო მეტიც: კანონით მფლობელობის არსებობა აღიარებულია იქ, სადაც რეალურად სახეზე არ არის ნივთზე უშუალო ზემოქმედება. ასეთ შემთხვევებს განეკუთვნება არაპირდაპირი მფლობელობა (155-ე მუხლის მე-3 ნაწილი: "თუ პირი ნივთს ფლობს იმ სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრული ვადით მას ანიჭებს ნივთის ფლობის უფლებას ან ავალდებულებს მას ფლობდეს ნივთს, მაშინ ეს პირი ითვლება პირდაპირ მფლობელად, ხოლო უფლების მიმნიჭებელი ან ვალდებულების დამკისრებელი მიიჩნევა არაპირდაპირ მფლობელად"). თვით ტერმინოლოგიური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია, რომ ქართულ სამართალში ადგილი აქვს ტერმინის ***"მფლობელობის უფლება"*** ლეგალურ გამოყენებას. კერძოდ, "მფლობელობის უკეთეს

[15] Palandt, დასახელებული ნაშრომი, გვ. 1325

[16] Palandt, იქვე

უფლება''-ზე მითითებას ვხვდებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 160-ე მუხლში (''თუ კეთილსინდისიერ მფლობელს ჩამოერთმევა მფლობელობა, მას სამი წლის განმავლობაში შეუძლია ახალ მფლობელს ნივთის უკან დაბრუნება მოსთხოვოს. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როცა ახალ მფლობელს აქვს მფლობელობის უკეთესი უფლება. მფლობელობის უკან დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება გამოყენებულ იქნეს უკეთესი უფლების მქონე პირის მიმართაც, თუკი მან ნივთი მოიპოვა ძალადობის ან მოტყუების გზით''). ამ მუხლის ნორმებში საუბარია არა მხოლოდ მფლობელობის (მარტივ) უფლებაზე, არამედ კანონი ამ მხრივ კიდევ უფრო შორს მიდის და, როგორც მისი ნორმის ტექსტიდან აშკარად ჩანს, ითვალისწინებს მფლობელობის უფლებათა კონკურენციის შემთხვევებსაც!

მფლობელობის საგანს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება ***ნივთი,*** რომელიც შეიძლება იყოს როგორც მოძრავი, ისე უძრავიც. მფლობელობა შესაძლებელია ნივთის რეალურ ნაწილებზე, მაგრამ არა იდეალურ ნაწილებზე. ნივთების ერთობლიობის შემთხვევებში მფლობელობა შესაძლებელია მხოლოდ ერთობლიობას მიკუთვნებულ ცალკეულ ნივთებზე. მფლობელობას ***არ ექვემდებარებიან*** ადამიანები, ბუნებრივი ენერგია, სამუშაო ძალა, ინტელექტუალური ნაწარმოებები[17].

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსში საუბარია ''ნივთის'' მფლობელობაზე, ეს არ ნიშნავს, რომ კანონი გამორიცხავს ***უფლების მფლობელობას.*** მფლობელობის საგანი შეიძლება იყოს ნივთზე დადგენილი სანივთო უფლებაც, როდესაც უფლების განმხორციელებელი პირი რეალურად არ არის უფლებამოსილი პირი. შესაძლებელია, მაგალითად, მიწის ან პირადი სერვიტუტის მფლობელობა.

ნივთი შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე პირის მფლობელობაში. ეს პირები ითვლებიან ***თანამფლობელებად*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის მე-4 ნაწილი). საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არ მოიპოვება რაიმე სპეციალური ნორმა, რომელიც მოაწესრიგებდა თანამფლობელთა შორის ურთიერთობებს. ამიტომ ჩვენ ანალოგიით უნდა გამოვიყენოთ საზიარო უფლებების მომწესრიგებელი ნორმები – მუხლები 953-968.

II. მფლობელობის მნიშვნელობა

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მფლობელობას კანონი უკავშირებს მნიშვნელოვან უფლებრივ მდგომარეობასა და სამართლებრივ შედეგებს. მფლობელობის განხორციელების დროს წარმოშობილი მრავალი სამართლებრივი საკითხის მოწესრიგებით კანონი ახდენს განსაზღვრული, კანონმდებლის მიერ წინასწარდასახული მიზნების მიღწევას, რაც განაპირობებს სწორედ მფლობელობის უაღრესად დიდ მნიშვნელობას სამოქალაქო ბრუნვაში.

უპირველეს ყოვლისა, მფლობელობას კანონი უკავშირებს ***საკუთრების უფლების პრეზუმფციას***. მოძრავი ნივთების მიმართ ივარაუდება, რომ ამ ***ნივთების მფლობელი არის მათი მესაკუთრე***. რეალურ ცხოვრებაში უმეტეს შემთხვევებში ასეც არის, რის გამოც მესაკუთრეს თავისი საკუთრების უფლების არსებობის მტკიცებისათვის შეუძლია მიუთითოს თავის მფლობელობაზე. მფლობელობის გადაცემას ითხოვს კანონი მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადასვლისათვის ან ნივთის გირავნობის უფლებით დატვირთვისათვის (მფლობელობითი გირავნობის შემთხვევაში). მფლობელობის გადაცემით ნივთზე უფლებრივი მდგომარეობის ცვლილება გარეგნულად შესამჩნევი ხდება სხვა პირებისათვის. როგორც ამ უკანასკნელ, ისე საკუთრების უფლების პრეზუმფციის შემთხვევაში მფლობელობა ასრულებს ***უფლების პუბლიკაციის ინსტრუმენტის ფუნქციას***; უფლებრივი მდგომარეობა შესამჩნევია სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე სხვა პირებისათვის და ქმნის ნდობის საფუძველს.

მფლობელობის მნიშვნელობა მდგომარეობს, აგრეთვე, იმაშიც, რომ იგი ***დაცულია კანონის მიერ***. მიუხედავად იმისა, რომ პირს სინამდვილეში შეიძლება არ ჰქონდეს უფლება ნივთზე, მისი

[17] Palandt, იქვე

ფაქტობრივი ბატონობა მაინც დაცულია სხვა, თუნდაც უფლებამოსილი პირის მხრიდან თვითნებური მოქმედებებისაგან. მას შეუძლია გამოიყენოს თვითდახმარების უფლება (მუხლები 118-120) ან წარადგინოს მფლობელობითი სარჩელები (მუხლები 160-161).

III. მფლობელობის სახეები

იმ სამართლებრივი თუ ფაქტობრივი ნიშნების მიხედვით, რომლებიც ახასიათებს ამა თუ იმ მფლობელობით ურთიერთობას, სამოქალაქო სამართალში მიღებულია მფლობელობის ***კლასიფიკაცია*** რამდენიმე სახედ. განასხვავებენ, კერძოდ:

1. მართლზომიერ და არამართლზომიერ მფლობელობას;
2. კეთილსინდისიერ და არაკეთილსინდისიერ მფლობელობას;
3. პირდაპირ და არაპირდაპირ მფლობელობას;
4. მფლობელობას თავისთვის და მფლობელობას სხვისთვის;
5. ერთი პირის მფლობელობას და თანამფლობელობას;
6. მთლიანი ნივთის მფლობელობას და ნივთის ნაწილების მფლობელობას.

ა) მართლზომიერი და არამართლზომიერი მფლობელობა.

თუ ქონებაზე ფაქტობრივი ბატონობის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია ფლობაზე, მაშინ იგი მიიჩნევა ***მართლზომიერ მფლობელად.*** მფლობელობაზე უფლებამოსილება გამომდინარეობს იმ სამართლებრივი საფუძვლებიდან, რომლებიც შეიძლება დადგენილ იქნეს როგორც კანონით, ისე მხარეთა შორის დადებული გარიგებით. მაგალითად, მართლზომიერია დამქირავებლის მფლობელობა, ვინაიდან მას დაქირავებული ქონების ფლობის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე. მფლობელობის მართლზომიერების კანონისმიერი საფუძვლის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შემნახველის მიერ მიბარებული ნივთის დაკავების უფლება; მიმბარებლის მიმართ თავისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად შემნახველს შეუძლია უარი განაცხადოს ნივთის დაბრუნებაზე, მიუხედავად იმისა, რომ გასულია მიბარების ხელშეკრულების ვადა და ხელშეკრულება შეწყვეტილია (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 776-ე მუხლი).

თუ ქონებაზე ფაქტობრივი ბატონობის განმახორციელებელი პირი არ არის უფლებამოსილი ფლობაზე, მაშინ იგი წარმოადგენს ***არამართლზომიერ მფლობელს***. მაგალითად, უზუფრუქტის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ უზუფრუქტუარი ვალდებულია უძრავი ნივთი დაუბრუნოს მესაკუთრეს. თუ იგი აგრძელებს ნივთის მფლობელობას, ეს მფლობელობა მიიჩნევა არამართლზომიერად.

არამართლზომიერი მფლობელობის შემთხვევაში, განასხვავებენ ***კეთილსინდისიერ და არაკეთილსინდისიერ მფლობელობას***.

კეთილსინდისიერად მიიჩნევა მფლობელი, რომელმაც ***არ იცოდა და არც უნდა სცოდნოდა, რომ პირს, ვისვანაც მან მიიღო მფლობელობა, არ ჰქონდა ნივთის გასხვისების უფლებამოსილება.*** არაკეთილსინდისიერია მფლობელი, რომელმაც მფლობელობის შეძენის მომენტში ***იცოდა თავისი მფლობელობის ნაკლის შესახებ ან მან აღნიშნულის შესახებ არ იცოდა უხეში გაუფრთხილებლობით.*** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლის ნორმა იძლევა კეთილსინდისიერი მფლობელის ლეგალურ დეფინიციას. თუმცა, სამწუხაროდ, იგი მეტად არაკორექტულია და უნდა გასწორდეს ან 159-ე მუხლი საერთოდ ამოღებულ იქნეს სამოქალაქო კოდექსიდან; კერძოდ, 159-ე მუხლში აღნიშნულია: ***„კეთილსინდისიერია მფლობელი, რომელიც ნივთს მართლზომიერად ფლობს, ან რომელიც უფლებამოსილ პირად შეიძლება იქნეს მიჩნეული საქმიან ურთიერთობებში საჭირო გულმოდგინე შემოწმების საფუძველზე“.*** მუხლის განმარტებაში ***გაიგივებულია კეთილსინდისიერებისა და მართლზომიერების ცნებები.*** როგორ შეიძლება იყოს „კეთილსინდისიერი მფლობელი“ მართლზომიერი მფლობელი ან, მით უმეტეს, „უფლებამოსილი პირი“, როდესაც კეთილსინ-

დისიერებისა თუ არაკეთილსინდისიერების საკითხი ***საერთოდ დგება არამართლზომიერი მფლობელობის შემთხვევაში?*** უკანონო, არამართლზომიერი მფლობელები შეიძლება იყვნენ კეთილსინდისიერები ან არაკეთილსინდისიერები იმისდა მიხედვით, იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ თუ არა მათ, რომ იმ პირს, ვისგანაც მათ მიიღეს მფლობელობა, არ ჰქონდა ნივთის განსხვისების უფლებამოსილება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლის ნორმის განმარტება ეწინააღმდეგება თვით სამოქალაქო კოდექსის სხვა მუხლებსაც. მაგალითად, 163-ე მუხლის თანახმად: „კეთილსინდისიერი მფლობელი, რომელსაც თავიდანვე არ ჰქონია ნივთის ფლობის უფლება ან დაკარგა ეს უფლება, ვალდებულია დაუბრუნოს ნივთი უფლებამოსილ პირს". თუ „კეთილსინდისიერი მფლობელი" (სამოქალაქო კოდექსის ტერმინოლოგიით) არის მართლზომიერი, კანონიერი მფლობელი, მაშინ როგორ შეიძლება არ ჰქონდეს მას ნივთის ფლობის უფლება? ან, უფრო მეტიც, მუხლის ნორმის თანახმად, მართლზომიერი მფლობელი უბრუნებს ნივთს უფლებამოსილ პირს. ვინ არის ეს უფლებამოსილი პირი? 159-ე მუხლის თანახმად, უფლებამოსილი პირი თავად „კეთილსინდისიერი მფლობელი" ყოფილა! ამიტომ 159-ე მუხლში მოცემული დეფინიციის გამო 163-ე მუხლი ხდება არალოგიკური, თუმცა, ეს სრულიადაც არ არის ამ უკანასკნელის „ბრალი". 163-ე მუხლი სწორედ რომ სრულიად მართებულად ოპერირებს ცნებებით და ერთმანეთისაგან განასხვავებს კეთილსინდისიერ არამართლზომიერ მფლობელს, ერთი მხრივ, და უფლებამოსილ პირს (მესაკუთრე, შემნახველი, სხვა მართლზომიერი მფლობელი), მეორე მხრივ. იგი ადგენს კეთილსინდისიერი მფლობელის ვალდებულებას, დაუბრუნოს ნივთი უფლებამოსილ პირს, ე. ი. მართლზომიერ მფლობელს (მესაკუთრე, შემნახველი, სხვა მართლზომიერი მფლობელი).

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ კეთილსინდისიერება-არაკეთილსინდისიერება ***სუბიექტური ცნებებია***: პირმა იცოდა ან არ იცოდა მფლობელობის სამართლებრივი საფუძვლის ნაკლის თაობაზე; ხოლო მართლზომიერება კი – ობიექტური: პირს ან აქვს ფლობის ნამდვილი სამართლებრივი საფუძველი ან იგი არა აქვს. ამიტომ აღნიშნული ცნებების გაიგივება მნიშვნელოვან შეცდომად უნდა მივიჩნიოთ.

ბ) პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელობა

როდესაც პირი უშუალოდ ახორციელებს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას, მაშინ იგი მიიჩნევა ***პირდაპირ მფლობელად***. სწორედ პირდაპირ მფლობელობას გულისხმობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და იგი წარმოადგენს მფლობელობის ყველაზე გავრცელებულ შემთხვევას. თუმცა, კანონი აღიარებს მფლობელობის არსებობას იქ, სადაც რეალურად არ არსებობს ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა; ამით შეიძლება ითქვას, რომ „ირღვევა" მფლობელობის როგორც ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის მიჩნევის ცნება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მფლობელებად (მესაკუთრესთან ერთად) მიჩნეულნი არიან მეაღნაგე, უზუფრუქტუარი, მოგირავნე, დამქირავებელი, შემნახველი და სხვა პირები, რომლებიც ნივთს ფლობენ განსაზღვრული სანივთო უფლების ძალით ან ვალდებულებით-სამართლებრივი (ან კანონით დადგენილი სხვა) გარიგების საფუძველზე. სახეზეა, ერთი მხრივ, მესაკუთრის და, მეორე მხრივ, აღნიშნულ პირთა მფლობელობის ერთდროული არსებობა. თუმცა, აქ კანონმა მიმართა ერთგვარ ფიქციას და დაადგინა მესაკუთრის მხრიდან მფლობელობის შენარჩუნება მიუხედავად იმისა, რომ ნივთი მის ფაქტობრივ გამგებლობაში არ იმყოფება. მოხდა მფლობელობის ***ე. წ. „გაორმაგება"*** – პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელობის დადგენა: „თუ პირი ნივთს ფლობს იმ სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრული ვადით ანიჭებს მას ნივთის ფლობის უფლებას ან ავალდებულებს მას ფლობდეს ნივთს, მაშინ ეს პირი ითვლება პირდაპირ მფლობელად, ხოლო უფლების მიმნიჭებელი ან ვალდებულების დამკისრებელი მიიჩნევა არაპირდაპირ მფლობელად" (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მფლობელობის მარეგულირებელი ნორმების ზოგადი ანალიზით არაპირდაპირი მფლობელის სამართლებრივი მდგომარეობა უთანაბრდება პირდაპირი

მფლობელის სამართლებრივ მდგომარეობას. პირდაპირი მფლობელის მსგავსად, არაპირდაპირ მფლობელს ეკუთვნის მფლობელობითი დაცვის სარჩელები მიუხედავად იმისა, რომ მფლობელობის ჩამორთმევა ან მფლობელობის განხორციელებაში ხელის შეშლა ხდება პირდაპირი მფლობელის მიმართ. არაპირდაპირ მფლობელმა პირდაპირ მფლობელს შეიძლება წაუყენოს მოთხოვნები მხოლოდ იმ სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, რომელსაც ეფუძნება არაპირდაპირი მფლობელობა[18]. თავის მხრივ, პირდაპირ მფლობელსაც აქვს არაპირდაპირი მფლობელის მიმართ ნივთის საშუამავლო მფლობელობითი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნები, რომელთა წაყენების პირობებიც მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება. გარდა ამისა, არაპირდაპირი მფლობელის ინტერესებს კანონიც იცავს თავისი დანაწესით. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 162-ე მუხლის თანახმად, არაპირდაპირ მფლობელს ***არ შეუძლია პირდაპირ მფლობელს მოსთხოვოს ნივთის დაბრუნება***, სანამ ამ უკანასკნელის მფლობელობა მართლზომიერია. მაგალითად, გამქირავებელს არა აქვს უფლება, დამქირავებელს მოსთხოვოს დაქირავებული ნივთის უკან გადმოცემა, თუ სახეზე არ არის ის პირობები, რომლებიც გამქირავებელს ანიჭებს აღნიშნულის მოთხოვნის უფლებას[19].

ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის გარეშე, მფლობელობის განხორციელების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ***მემკვიდრეობის მფლობელობა.*** სამკვიდრო მასას მიკუთვნებულ ქონებასთან ერთად კანონისმიერი ფიქციით მემკვიდრეზე გადადის მემკვიდრეების როგორც მფლობელების ფაქტობრივი მდგომარეობა. მფლობელობა გადადის იმავე სახით, რა სახითაც იგი არსებობდა მამკვიდრებელთან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 157-ე მუხლი). ამასთან, მემკვიდრეებზე მფლობელობის გადასვლა დამოკიდებული არ არის იმაზე, იცოდნენ თუ არა მათ მამკვიდრებლის მფლობელობითი მდგომარეობის ან სამკვიდრო მასის მოცულობის შესახებ, ანდა დაეუფლნენ თუ არა ისინი სამკვიდრო ქონებას ფაქტობრივად[20].

გ) მფლობელობა თავისთვის და მფლობელობა სხვისთვის

გარდა მფლობელობის ზემოაღნიშნული დაყოფისა პირდაპირ და არაპირდაპირ მფლობელობად, სამოქალაქო სამართლის თეორია იცნობს ***მფლობელობას თავისთვის და მფლობელობას სხვისთვის***. მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ვერ ვხვდებით აღნიშნული კლასიფიკაციის შესახებ რაიმე ნორმას, მაგრამ ქართულ სამართალში მისი არსებობა უდავოა. იგი ცნობილია გერმანული სამართლისათვის და, შესაბამისად, ქართული სამართლის მიერაც რეცეფცირებულად უნდა ვაღიაროთ. ამასთან, უნდა ითქვას, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, თავის მხრივ, ასახელებს მხოლოდ მფლობელობას თავისთვის (§872).

მფლობელი თავისთვის ის პირია, ვინც ნივთს ფლობს როგორც საკუთარს ან ნივთზე ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას, როგორც მას მიკუთვნებულს. თავისთვის მფლობელობის ყველაზე ხშირი შემთხვევაა მესაკუთრის მიერ კუთვნილი ნივთის მფლობელობა. თუმცა, ამ სახის მფლობელობას ადგილი აქვს არამესაკუთრე პირის მიერ განხორციელებული მფლობელობის შემთხვევაშიც. მაგალითად, ქურდსაც შეუძლია იყოს მფლობელი თავისთვის. მფლობელობა თავისთვის შეიძლება ხორციელდებოდეს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირადაც[21]. ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის განხორციელებასთან ერთად, თავისთვის მფლობელობის არსებობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა ნება, ფლობდე ნივთს როგორც საკუთარს.

---

[18] Sachenrecht – Ein Studienbuch von Dr. Dr. h. c. Karl Heinz Schwab. Fortgeführt von Dr. Hanns Prüttung, 23., neubearbeitete Auflage des von Friedrich Lent begründeten Werkes, C. H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, München, 1991, გვ. 46.

[19] იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 562-ე მუხლი – „საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა პატივსადები მიზეზების არსებობისას".

[20] Sachenrecht – Ein Studienbuch von Dr. Dr. h. c. Karl Heinz Schwab. Fortgeführt von Dr. Hanns Prüttung, 23., neubearbeitete Auflage des von Friedrich Lent begründeten Werkes, C. H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, München, 1991, გვ. 43.

[21] Palandt, დასახელებული ნაშრომი, გვ. 1338.

ისევე როგორც მფლობელობის შემძენისათვის საკმარისია ადამიანის ბუნებრივი ნება და აუცილებელი არ არის პირის ქმედუნარიანობა, იგი ასევე საკმარისია თავისთვის მფლობელობის არსებობისთვისაც[22].

მფლობელი სხვისთვის, პირიქით, ის პირია, ვინც თავის მფლობელობასთან ერთად სხვა პირს აღიარებს ნივთის თავისთვის მფლობელად ან სხვაგვარად უფლებამოსილ პირად[23]. ასეთი აღიარებით აღნიშნული მფლობელი თითქოს ფლობს სხვისთვის და, შესაბამისად, ანგარიშვალდებულია ამ პირის წინაშე. სხვისთვის მფლობელად მიიჩნევიან, მაგ., უზუფრუქტუარი, დამქირავებელი, მონათხოვრე, შემნახველი და სხვები.

მფლობელობას სხვისთვის და მფლობელობას თავისთვის შორის განსხვავებას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საკუთრების უფლების პრეზუმფციისათვის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 158-ე მუხლი), ხანდაზმულობით შეძენისათვის (165-ე და 167-ე მუხლი), უპატრონო ნივთებზე საკუთრების უფლების შეძენისათვის (190-ე მუხლი).

დ) ერთი პირის მფლობელობა და თანამფლობელობა. მთლიანი ნივთის მფლობელობა და ნივთის ნაწილების მფლობელობა.

ნივთი შეიძლება იმყოფებოდეს როგორც ერთი პირის, ისე ორი ან მეტი პირის მფლობელობაში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ადგილი აქვს ამ პირთა ***თანამფლობელობას*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 155-ე მუხლის მე-5 ნაწილი). იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ ***ორი სახის თანამფლობელობას***:

ა) თანაზიარ და

ბ) მარტივ თანამფლობელობას.

თანაზიარ თანამფლობელობას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ორ ან მეტ პირს შეუძლია ფლობდეს ნივთს მხოლოდ ერთობლივად. ამასთან, აუცილებელი არ არის, თანაზიარი მფლობელები იყვნენ სოლიდარულად პასუხისმგებელი პირები, არამედ საკმარისია მხოლოდ ფაქტობრივი ბატონობის ერთობლივი განხორციელება[24].

მარტივი თანამფლობელობის დროს ნებისმიერ თანამფლობელს შეუძლია ფლობდეს ნივთს თავისთვის სხვა თანამფლობელთან (თანამფლობელებთან) ერთად. ამ შემთხვევაში, თანამფლობელობის განხორციელებისათვის აუცილებელი არ არის ყველა თანამფლობელის მიერ მფლობელობის ერთდროული განხორციელება (მაგალითად, ამხანაგობის საერთო საკუთრებას მიკუთვნებულ ნივთებზე მფლობელობა).

თანამფლობელობა შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირიც. თანამფლობელობა შეიძლება სხვა პირს გადაეცეს. თუ ერთი ნივთის ნაწილებს რამდენიმე პირი ფლობს, ისინი ითვლებიან ცალკეული ნაწილების მფლობელებად (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის მე-5 ნაწილი). მთლიანი (ერთიანი) ნივთის ნაწილების ფლობა შესაძლებელია, როდესაც ნაწილები სივრცობრივად შემოსაზღვრული და ფაქტობრივად გაყოფილია[25] (მაგალითად, ბინის ოთახების ფლობა).

IV. მპყრობელი

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მრავალია ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას ნივთზე სხვა პირისათვის, ამ უკანასკნელის მითითებების შესაბამისად. ამ შემთხვევებს კანონი არ თვლის მფლობელობად და, შესაბამისად, ფაქტობრივი ბატონობის განმახორციელებელ პირს არ მიიჩნევს მფლობელად. სამართლებრივი თვალსაზრისით, ამ დროს არსებობს ***მპყრობელობითი ურთიერთობა*** და მფლობელად მიიჩნევა მხოლოდ მითითებების (დავალების) მიმცემი პირი.

---

[22] Palandt, იქვე.

[23] Wolf, Manfred, დასახელებული ნაშრომი, გვ. 75.

[24] Wolf, Manfred, დასახელებული ნაშრომი, გვ. 80.

[25] Palandt, დასახელებული ნაშრომი, გვ. 1326.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მპყრობელის სამართლებრივ მდგომარეობას ადგენს 155-ე მუხლის მე-2 ნაწილი: ***„მფლობელად არ ითვლება ის პირი, რომელიც, თუმცა ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას ნივთზე, მაგრამ სხვა პირის სასარგებლოდ და რომელსაც ნივთის ფლობის უფლებამოსილება მიღებული აქვს ამ პირისაგან. მფლობელად მიიჩნევა მხოლოდ უფლებამოსილების მიმნიჭებელი პირი.“***

სამწუხაროდ, კოდექსის ეს ნორმაც მაგალითია გერმანული ენიდან ხარვეზიანი თარგმანისა, რომლის შედეგადაც ნორმის ქართულ რედაქციაში არსებითად იცვლება მპყრობელის დეფინიცია. კერძოდ, მსგავსად მფლობელობის თავში განთავსებული სხვა ნორმებისა, მპყრობელის სტატუსის დამდგენი ნორმა რეცეფცირებულ იქნა გერმანიის სამოქალაქო კოდექსიდან (§855). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გერმანული ვერსიის 155-ე მუხლში მპყრობელის ცნება კორექტულად იქნა ჩამოყალიბებული. მაგრამ სამოქალაქო კოდექსის ქართულ ვერსიაში შესაბამისი ნორმა აღარ უთითებს მპყრობელის ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობაზე: სხვა პირის მიერ მიცემული მითითებების შესაბამისად მოქმედება. ნორმის ქართულ ტექსტში მითითებულია სხვა პირის მიერ მპყრობელისათვის ფაქტობრივი ბატონობის განხორციელებაზე უფლებამოსილების მინიჭებაზე, მაგრამ აღნიშნულს ადგილი აქვს სხვისთვის პირდაპირი მფლობელობის გადაცემის შემთხვევაშიც (მაგალითად, დამქირავებლისათვის ნივთის ფლობის მინიჭება მესაკუთრის მიერ). ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის მე-2 ნაწილი დაუყოვნებლივ საჭიროებს შესწორებას.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ სახეზე იყოს მპყრობელობითი ურთიერთობა, უნდა არსებობდეს ერთდროულად ***ორი წინაპირობა***:

1. ფაქტობრივი ბატონობის განმახორციელებელი პირი ***დამოკიდებული*** უნდა იყოს სხვა პირის – ნივთის მფლობელის ***მითითებებზე;***
2. ფაქტობრივი ბატონობა უნდა ხორციელდებოდეს ***მფლობელის ინტერესებში, მის სასარგებლოდ***.

მპყრობელობის მაგალითი უამრავია საზოგადოებრივ ურთიერთობებში. მპყრობელობად, მაგალითად, მიიჩნევიან ***დაქირავებული მუშა-მოსამსახურეები,*** რომლებიც დასაქმებულნი არიან საწარმოებში, დაწესებულებებსა თუ ორგანიზაციებში და ახორციელებენ მათთვის გადაცემულ მოძრავ ნივთებზე ფაქტობრივ ბატონობას. მპყრობელობას ადგილი აქვს იმ შემთხვევებში, როდესაც ნივთის გადაცემის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მიმღებმა განსაზღვრული მოქმედება უნდა განახორციელოს გამცემისათვის (მაგალითად, მიმტანის დაქირავება ხელბარგის გადასატანად, მცირე ვადით თხოვების შემთხვევები და სხვა). ამასთან, გერმანული სამართლის მეცნიერებისა და სასამართლო პრაქტიკის მიერ დასაშვებად არის მიჩნეული, რომ სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც საფუძვლად უდევს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას, შეიძლება არც იყოს სამართლებრივი ძალის მქონე[26].

როგორია მპყრობელის სამართლებრივი მდგომარეობა? მპყრობელი არ არის ნივთის მფლობელი; ამდენად, ***მას არ შეუძლია დაიცვას*** თავისი ფაქტობრივი ბატონობა მფლობელობითი სარჩელებით. მას მფლობელმა ნივთი შეიძლება ნებისმიერ დროს ჩამოართვას. თუმცა, იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებული მოსაზრებით, მპყრობელი უფლებამოსილია მფლობელისათვის განახორციელოს თვითდახმარების უფლება[27].

[26] Wolf, Manfred, დასახელებული ნაშრომი, გვ. 78.

[27] Sachenrecht – Ein Studienbuch von Dr. Dr. h. c. Karl Heinz Schwab. Fortgeführt von Dr. Hanns Prüttung, 23., neubearbeitete Auflage des von Friedrich Lent begründeten Werkes, C. H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, München, 1991, გვ. 39.

V. პირდაპირი მფლობელობის შეძენა და დაკარგვა

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ პირდაპირი მფლობელობის შეძენისათვის საჭიროა, რომ მფლობელმა ***მოიპოვოს ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა, რომელსაც ემატება ამ ბატონობის განხორციელების ნება***. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ აწესრიგებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც პირდაპირი მფლობელობის გადაცემა ხორციელდება მფლობელობის გადაცემის შესახებ შემძენსა და წინა მფლობელს შორის შეთანხმებით იმ პირობით, რომ შემძენს შეეძლება განახორციელოს ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა.

პირდაპირი მფლობელობის დაკარგვას (შეწყვეტას) ადგილი აქვს, როდესაც ***მფლობელი უარს აცხადებს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობაზე ან სხვაგვარად კარგავს მას.*** კვლავ აღსანიშნავია არაკორექტული თარგმანი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 156-ე მუხლისა: მუხლის ნორმაში საუბარია ნივთის „სამუდამოდ დათმობაზე“ ნაცვლად სიტყვებისა ***„უარი განაცხადა“,*** როგორც ეს მითითებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გერმანულ ვერსიასა[28] და თავად გერმანიის სამოქალაქო კოდექსში (§856). არასწორ თარგმანს ადგილი აქვს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 168-ე მუხლშიც[29]. ნორმის ქართული რედაქციიდან ჩანს, რომ თითქოს მესაკუთრის მიერ საფუძვლიანი მოთხოვნის წარდგენისას მფლობელობა წყდება. ზემოთ უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ მფლობელობა, უპირველეს ყოვლისა, ნივთზე ***ფაქტობრივი ბატონობაა*** და ამიტომ მანამდე, სანამ ეს ძირითადი ელემენტი არსებობს, მფლობელობაც სახეზეა (ცხადია, თუ მფლობელს სურს კიდეც ფაქტობრივი ბატონობის განხორციელება). ამდენად, უბრალო პრეტენზიის წაყენება, თუნდაც საფუძვლიანისა და თუნდაც მესაკუთრის მიერ, ვერ შეწყვეტს მფლობელობას. ჩვენ მიერ შემოწმებულ იქნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 168-ე მუხლის გერმანული რედაქცია, რის შედეგადაც დავადგინეთ, რომ ადგილი აქვს ამ ნორმის ქართულ ენაზე არასწორ თარგმანს. სინამდვილეში, ნორმის გერმანულ რედაქციაში მითითებულია არა „მფლობელობის შეწყვეტაზე“, არამედ – ***„მფლობელობის სამართლებრივი ძალის შეწყვეტაზე“*** („Die Wirkung des Besitzes“). მაგალითად, თუ პირის მიერ განხორციელებული მართლზომიერი მფლობელობის დროს მესაკუთრე კანონიერი საფუძვლით წაუყენებს მას ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნას, მფლობელობა კარგავს თავის მართლზომიერ ხასიათს (მესაკუთრე წყვეტს საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებას პატივსადები მიზეზით[30] და ითხოვს დაქირავებული უძრავი ქონების უკან დაბრუნებას).

VI. არაპირდაპირი მფლობელობის შეძენა და დაკარგვა

არაპირდაპირი მფლობელობის წარმოშობა, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ხორციელდება ***ნივთის საშუამავლო მფლობელობითი ურთიერთობის დადგენით*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის მე-3 ნაწილი). უკვე არსებული არაპირდაპირი მფლობელობა შეიძლება გადაეცეს სხვა პირს, ამ უკანასკნელისათვის ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის დათმობით.

არაპირდაპირი მფლობელობის დაკარგვას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც შუალობით მფლობელს (პირდაპირ მფლობელს) ***გარეგნულად შესამჩნევი მოქმედებით აღარ სურს საშუამავლო მფლობელობითი ურთიერთობის განხორციელება***, მაგ., მის მფლობელობაში არსებული ნივთის მითვისებით[31].

---

[28] Art. 156 Beendigung des Besitzes.
Der Besitz wird dadurch beendigt, daß der Besitzer in anderer Weise die tatsächliche Gewalt über das Gut aufgibt oder es auf andere Weise verliert.

[29] Art. 168 Ansprüche des Eigentümers.
Die Wirkung des Besitzes wird unterbrochen, wenn der Eigentümer begründete Ansprüche gegen den Besitzer geltend macht.

[30] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 562-ე მუხლი.

[31] Wolf, Manfred, დასახელებული ნაშრომი, გვ. 77.

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. განმარტეთ მფლობელობა;
2. რა მნიშვნელობა აქვს მფლობელობას?
3. დაასახელეთ მფლობელობის სახეები;
4. ვინ მიიჩნევა მპყრობელად?
5. როგორ ხდება პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელობის შეძენა და დაკარგვა?

3. საკუთრების უფლების ცნება და მისი შინაარსი

I. საკუთრების უფლების ცნება

საკუთრების უფლება გაგებულ უნდა იქნეს როგორც ***მაქსიმალურად აბსოლუტური უფლება, რომლის საფუძველზეც მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს ივი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). საკუთრების უფლებიდან გამომდინარე, უფლებამოსილებები შეგვიძლია დავყოთ ***2 ძირითად კატეგორიად:***

1. მესაკუთრის უფლებამოსილების მოქმედების პოზიტიური მხარე; და
2. მესაკუთრის უფლებამოსილების მოქმედების ნეგატიური მხარე[32].

მესაკუთრის უფლებამოსილების მოქმედების ***პოზიტიურ მხარეში*** იგულისხმება ნივთის თავისუფალი ***ფლობისა და მისით სარგებლობის, აგრეთვე, ნივთის განკარგვის უფლებამოსილებები.***

მფლობელობის სამართლებრივი ინსტიტუტი, თავისი მნიშვნელობის გამო, წარმოადგენს საკანონმდებლო რეგულირების ცალკე ობიექტს და მის შესახებ დეტალურად ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

სარგებლობის უფლებამოსილება გულისხმობს ნივთისაგან რაიმე სარგებლის მიღებას. თუმცა, იგი მოიცავს ასევე შესაძლებლობასაც, მესაკუთრემ არ ისარგებლოს კუთვნილი ნივთით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

რაც შეეხება ***განკარგვას***, იგი გულისხმობს როგორც გასხვისებას (სხვა პირზე საკუთრების უფლების გადატანას), ასევე ნივთის უფლებრივ დატვირთვასაც (მაგალითად, სერვიტუტით, უზუფრუქტით დატვირთვას, დაგირავებას და ა. შ.).

საკუთრების უფლებიდან გამომდინარე, უფლებამოსილებების აღწერისას ამავე დროს თავად საკუთრების უფლება ***არ უნდა გავაიგივოთ ამ უფლებამოსილებათა ნაკრებად, ჯამად.*** საწინააღმდეგოს დაშვებას შედეგად მივყავართ საკუთრების უფლების შეწყვეტამდე, თუნდაც მის შინაარსს მიკუთვნებული ერთ-ერთი ელემენტის არაარსებობისას ან შემდგომი შეწყვეტისას, მაგრამ აღნიშნული არ ხდება. საკუთრების უფლება ინარჩუნებს არსებობას, მაგ., მისი ობიექტის სხვა პირის მფლობელობაში გადაცემით, უზუფრუქტისა და იპოთეკის სანივთო უფლებებით დატვირთვით. აღნიშნულ შემთხვევებში, საკუთრების უფლება იმდენად „შევიწროებულია“ მესამე პირთა ფაქტობრივი ბატონობითა და უფლებებით, რომ მისგან, როგორც იურიდიულ ლიტერატურაში მართებულად არის მიჩნეული, „რჩება მხოლოდ აჩრდილი“. თუმცა, თავისი სამართლებრივი ბუნებით საკუთრების უფლება ელასტიურია: იგი სრულად აღდგება, როდესაც

[32] Palandt, დასახელებული ნაშრომი, გვ. 1377

მის შინაარსში შემავალი ელემენტების შემზღუდველი ან გამომრიცხავი ფაქტორი აღარ იარსებებს. კლასიკური "ტრიადის" მოძღვრების საკითხზე ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ მფლობელობის თავში. ამიტომ მასზე კონკრეტულად აღარ შევჩერდებით.

მესაკუთრის უფლებამოსილების მოქმედების ***ნეგატიური მხარე*** მდგომარეობს მესამე პირთა მიერ მესაკუთრის კუთვნილი ნივთით სარგებლობის დაუშვებლობაში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). კანონის მიერ გამოყენებული გამოთქმა – „სარგებლობის დაუშვებლობა" უნდა გავიგოთ ფართო გაგებით და არა მარტო უშუალოდ ნივთით სარგებლობის მნიშვნელობით. ფართო გაგება კი მოიცავს ნივთზე მესამე პირთა მხრიდან ნებისმიერი სახის ზემოქმედებას[33].

II. საერთო საკუთრება

ნივთი შეიძლება ეკუთვნოდეს ერთ ან მეტ პირს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ადგილი აქვს ***საერთო საკუთრებას***.

საერთო საკუთრება შეიძლება იყოს ***წილადი ან თანაზიარი***.

წილადი საერთო საკუთრების შემთხვევაში, საერთო ნივთი ორ ან მეტ პირს ეკუთვნის ყოველი მათგანის წილის განსაზღვრით.

თანაზიარი საერთო საკუთრების შემთხვევაში, საერთო ნივთი ეკუთვნის ორ ან მეტ პირს, ამ უკანასკნელთა წილის განსაზღვრის გარეშე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საერთო საკუთრების ინსტიტუტს აყალიბებს ერთგვარი იურიდიული ტექნიკის მეშვეობით, რომელიც არსებითად რეცეფცირებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსიდან. საერთო საკუთრების დამდგენი ზოგადი ნორმები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოთავსდა სანივთო სამართალში, 173-ე მუხლში. საერთო წილადი საკუთრებიდან გამომდინარე, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები კი კოდექსის ავტორების მიერ მიჩნეულ იქნა ვალდებულებითი სამართლის რეგულირების საგნად და მოთავსდა ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილის მეორე კარში (მუხლები 953-968). რაც შეეხება საერთო თანაზიარ საკუთრების უფლებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მას ადგენს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალკეული სამართლებრივი ინსტიტუტის ნორმების ჩამოყალიბებისას. საერთო თანაზიარი საკუთრების მაგალითია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება.

საერთო თანაზიარი საკუთრების უფლება საერთო წილადი საკუთრების უფლებისაგან განსხვავდება სწორედ იმით, რომ ორ ან მეტ თანამესაკუთრეს ***მხოლოდ ერთობლივად შეუძლიათ განკარგონ ნივთი***. მაგალითისათვის შეგვიძლია მივმართოთ კვლავ მეუღლეთა საერთო საკუთრებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1159-ე მუხლის თანახმად, თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე მეუღლეებს აქვთ თანაბარი უფლებები. ამ ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ხორციელდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლი არეგულირებს საერთო საკუთრების არსებით საკითხებს. კერძოდ:

- თითოეულ თანამესაკუთრეს შეუძლია მოთხოვნები წარუდგინოს მესამე პირებს, საერთო საკუთრებაში არსებული ქონების გამო. ყოველ თანამესაკუთრეს აქვს ნივთის გამოთხოვის უფლება მხოლოდ ყველა თანამესაკუთრის სასარგებლოდ;
- საერთო საკუთრებაში არსებული ნივთი, თანამესაკუთრეებთან შეთანხმების საფუძველზე შეიძლება დაგირავდეს ან უფლებრივად სხვაგვარად დაიტვირთოს ერთ-ერთი მესაკუთრის სასარგებლოდ და მისი ინტერესებისათვის;

[33] Wolf, Manfred – Sachenrecht, 19. Auflage, C. H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, München, 1996, გვ. 21

- საერთო საკუთრებაში არსებული ნივთის მოვლისა და შენახვის ხარჯები თანამესაკუთრეებს ეკისრებათ თანაბრად, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
- შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, ყოველ თანამესაკუთრეს აქვს საერთო საკუთრების წილის უპირატესი შესყიდვის უფლება.

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. განმარტეთ საკუთრების უფლება;
2. რა არის საერთო საკუთრება?

4. საკუთრების უფლების შეზღუდვები

I. ზოგადად

მიუხედავად თავისი აბსოლუტური ხასიათისა, საკუთრების უფლება ყოველთვის ***შეზღუდულია***. თვით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლში აღნიშნულია, რომ საკუთრების უფლება არ შეიძლება ლახავდეს მეზობლის ან სხვა მესამე პირთა უფლებებს, აგრეთვე, მესაკუთრის მიერ კუთვნილი ნივთის მიმართ განხორციელებული უფლებამოსილებები არ უნდა წარმოადგენდეს უფლების ბოროტად გამოყენებას. უფლების ბოროტად გამოყენებად კი, იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ჩაითვლება საკუთრებით ისეთი სარგებლობა, რომლითაც მხოლოდ ***სხვა პირებს ადგებათ ზიანი ისე, რომ გამოკვეთილი არ არის მესაკუთრის ინტერესის უპირატესობა და მისი მოქმედების აუცილებლობა გაუმართლებელია.***

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლი, სამწუხაროდ, არ ახსენებს საკუთრების უფლების შემზღუდველ ერთ-ერთ უძირითადეს საფუძველს – თავად კანონს. ასევე აღნიშნული მუხლი არ მიუთითებს ხელშეკრულებაზე როგორც საკუთრების უფლების შემზღუდველ კერძო პირთა შორის დადებულ აქტზე.

როგორც ჩანს, საკუთრების უფლების შეზღუდვები უამრავია. ამიტომ პრაქტიკულად შეუძლებელია და არც არის მიზანშეწონილი წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში მათი დეტალური დახასიათება. ჩვენ შევეცდებით შევეხოთ მხოლოდ მათ არსებით ნაწილს.

საკუთრების უფლების შეზღუდვებს იურიდიულ ლიტერატურაში ყოფენ ***საჯარო- და კერძოსამართლებრივ შეზღუდვებად***.

II. საკუთრების უფლების შეზღუდვები საჯარო სამართალში

აღნიშნული შეზღუდვების ზოგიერთი სახე ზემოთ უკვე განვიხილეთ საკუთრების უფლების ***საკონსტიტუციოსამართლებრივი საფუძვლების*** განხილვის დროს.

კონსტიტუციისა და მასში მითითებული ორგანული და ჩვეულებრივი კანონების გარდა, საკუთრების უფლების შეზღუდვებს ვხვდებით ***ადმინისტრაციულ სამართალში*** (საგადასახადო, ანტიმონოპოლიური, სამშენებლო, საბანკო, სადაზღვევო და სხვა ნორმატიულ აქტებში). ადმინისტრაციულ სამართალს მიკუთვნებულ სამართლის დარგებს საკუთრების უფლების შეზღუდვის სხვადასხვა ფორმები ახასიათებს. თუ ზოგიერთი ითვალისწინებს საკუთრების უფლების პირდაპირ, უდავო წესით ჩამორთმევას, სხვა ადგენს საჯაროსამართლებრივ ნორმატივებს, რომელთა ფარგლებშიც დასაშვებია საკუთრების უფლების რეალიზაცია, მაგ., მრავალი სამშენებლო ნორმატიული აქტი. თუ მესაკუთრე დაარღვევს ზემოაღნიშნულ საჯაროსამართლებრივი ნორმატიული აქტით დადგენილ იმპერატიულ ნორმას (მაგალითად, სახლის ან მიშენების მშენებლობა სათანადო ნებართვის გარეშე), ერთ-ერთი სანქციის სახით გათვალისწინებულია უკა-

ნონო მოქმედების აღკვეთა (მაგალითად, უკანონო ნაგებობის მშენებლობის აღკვეთა) ან, ზოგიერთ შემთხვევაშიც კი, საკუთრების უფლების ჩამორთმევა (მაგალითად, უკანონო ნაგებობის დანგრევა).

III. საკუთრების უფლების შეზღუდვები კერძო სამართალში – სამეზობლო სამართალი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით

ა. ზოგადად

საკუთრების უფლების შემზღუდველი კერძოსამართლებრივი ნორმები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გაერთიანდა სანივთო სამართლის ცალკე ინსტიტუტის სახით, რომელსაც ***სამეზობლო სამართალი*** ეწოდა. სამეზობლო სამართალს დაეთმო 9 მუხლი – 174-182 მუხლები, თუმცა, ეს მუხლები გაცილებით მეტი რაოდენობის ნორმას შეიცავს. ასეთი დეტალური რეგულირებით აშკარად ჩანს ქართველი კანონმდებლის კატეგორიული ნება, მეზობლის მიწის ნაკვეთებს შორის სხვადასხვა დაპირისპირებისა თუ უარყოფითი ზემოქმედების კომპრომისული მოგვარებისა და ორივე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ინტერესების დაბალანსებისა.

უპირველეს ყოვლისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი სამეზობლო სამართლის 1-ლ პარაგრაფში ადგენს მეზობელი მიწის ნაკვეთების ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრეების ზოგად ვალდებულებას, ***პატივი სცენ ერთმანეთს*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 174-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). კანონი არ განმარტავს, თუ რა იგულისხმება მეზობლებს შორის პატივისცემაში. თუმცა, აღნიშნული ნორმა უნდა განვმარტოთ იმ მიზნიდან გამომდინარე, რომელიც მას კანონმდებელმა მიანიჭა; მიზანი კი მდგომარეობს, პირდაპირ გათვალისწინებული ქცევის წესის არარსებობის გამო, სამეზობლო სამართლის მიერ არსებული საკანონმდებლო ვაკუუმის შევსება. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ამ ნორმის სათანადო და ერთგვაროვან გამოყენებას.

ბ. დაცვა მავნე ზემოქმედებისაგან

ზოგადად

მეზობელი მიწის ნაკვეთიდან ***მავნე ზემოქმედების კანონისმიერი თმენის ვალდებულებას*** ადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 175-ე მუხლი:

"1. მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრეს არ შეუძლია აკრძალოს მეზობელი ნაკვეთიდან თავის ნაკვეთზე გაზის, ორთქლის, სუნის, ჭვარტლის, კვამლის, ხმაურის, სითბოს, რყევების ან სხვა მსგავს მოვლენათა ზემოქმედებანი, თუკი ისინი ხელს არ უშლიან მესაკუთრეს თავისი ნაკვეთით სარგებლობაში, ან უმნიშვნელოდ ხელყოფენ მის უფლებას.

2. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როცა ზემოქმედება არსებითია, მაგრამ იგი გამოწვეულია სხვა ნაკვეთით ან სხვა უძრავი ქონებით ჩვეულებრივი სარგებლობით და არ შეიძლება მისი აღკვეთა ისეთი ღონისძიებებით, რომლებიც ამ სახის მოსარგებლეთათვის ნორმალურ სამეურნეო საქმიანობად მიიჩნევა.

3. თუ მესაკუთრე მოვალეა ითმინოს ასეთი ზემოქმედება, მას შეუძლია ზემოქმედების გამომწვევი ნაკვეთის მესაკუთრეს მოსთხოვოს შესაბამისი ფულადი კომპენსაცია იმ შემთხვევაში, როცა ზემოქმედება აღემატება მოცემულ ადგილას ჩვეულებრივად მიჩნეულ სარგებლობას და ეკონომიკურად დასაშვებ ფარგლებს".

მუხლი წარმოადგენს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §906 სიტყვასიტყვით ანალოგს. ამიტომ მისი სამართლებრივი ანალიზის დროს სრულად დავეყრდნობით გერმანული იურიდიული მეცნიერების შეხედულებებსა და სასამართლო პრაქტიკას.

მავნე ზემოქმედების (Immission) ცნების ქვეშ გერმანული იურიდიული მეცნიერება და სასამართლო პრაქტიკა მოიაზრებს მეზობლის მიწის ნაკვეთზე ისეთ ზემოქმედებას, რომელიც, როგორც წესი, თავისი გავრცელების დროს არ ექვემდებარება კონტროლს და რომლის

ინტენსივობა მერყეობს[34]. კანონი ჩამოთვლის ისეთი სახის ზემოქმედებას როგორიცაა გაზის, ორთქლის, სუნის, ჭვარტლის, კვამლის, ხმაურის, სითბოს, რყევების ზემოქმედებას, თუმცა, ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. კანონი ითვალისწინებს, აგრეთვე, ზემოაღნიშნული ზემოქმედების მსგავს სხვა ზემოქმედების თმენის ვალდებულებასაც. იმისათვის, რომ უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის ვიხილოთ კონკრეტულად როგორი სახის ზემოქმედება შეიძლება განეკუთვნოს ზემოაღნიშნულ სხვადასხვა სახის მოვლენას, კვლავ უნდა მივმართოთ გერმანულ იურიდიულ მეცნიერებასა და სასამართლო პრაქტიკას. ეს უკანასკნელნი გაზის, ორთქლისა და სუნის მოვლენებს მიაკუთვნებენ ისეთ შემთხვევებს, როდესაც ზემოქმედება ხორციელდება, მაგალითად, მეზობლის მიწის ნაკვეთზე წყლის გამწმენდი ნაგებობებიდან გამომავალი ფტორის, ნაკელის გროვიდან გამომავალი სუნისა და სითბოს შეღწევით, სხვა სახის ზემოქმედება[35].

ჭვარტლისა და კვამლის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მოვლენები, რომლებსაც ადგილი აქვს მანქანებზე ამოღებული წიაღისეულის დატვირთვის დროს, შენობებისა და გზების მშენებლობის პროცესში;

ხმაურის მაგალითებია: სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის შედეგად გამოწვეული ზემოქმედება, მუსიკის, სპორტული კომპლექსებისა და სხვა მსგავსი ობიექტების ექსპლუატაციის შედეგად გამოწვეული ხმაური;

რყევების მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ: შენობა-ნაგებობების მშენებლობა, გზების გაყვანა, მანქანა-დანადგარების ექსპლუატაციის შედეგად გამოწვეული რყევები და ა. შ.

რაც შეეხება "სხვა მსგავსი ზემოქმედების" მაგალითებს, გერმანული იურიდიული მეცნიერება და სასამართლო პრაქტიკა მათ შორის ასახელებს მაშხალების ნარჩენებისა და მცენარეების თესლების გადმოვარდნას, ფუტკრების, ბუზების, სხვა მწერებისა თუ პატარა ცხოველების, აგრეთვე, სხვადასხვა სახის ქიმიური ნარჩენების შეღწევას და ა. შ.[36]

დასაშვები და დაუშვებელი ზემოქმედება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 175-ე მუხლი განასხვავებს ***არაარსებით და არსებით ზემოქმედებას***.

არსებითია ისეთი ზემოქმედება, რომელიც მეზობლის მიწის ნაკვეთით სარგებლობას ხელს არ უშლის ან უმნიშვნელოდ უშლის მას ხელს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 175-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

ზემოქმედების ხარისხის დასადგენად გერმანული სასამართლო პრაქტიკა ერთგვარ ორიენტირს იძლევა: შეფასება უნდა მოხდეს ***ჩვეულებრივი გონივრულად მოაზროვნე ადამიანის შეხედულების მიხედვით, ყოველი პირის ინტერესთა გათვალისწინებით***[37].

არსებითი ზემოქმედების შემთხვევაში, განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას კანონი აკისრებს მესაკუთრეს ***თმენის ვალდებულებას.*** ანალოგიური ვალდებულება მესაკუთრეს ეკისრება არსებითი ზემოქმედების დროსაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

1. ზემოქმედება გამოწვეულია ***ჩვეულებრივი სარგებლობით;*** და
2. ზემოქმედების თავიდან აცილება შეუძლებელია ისეთი ღონისძიებებით, რომელთა გატარებაც ***ეკონომიკურად ხელეწიფება ამ სახის მოსარგებლეებს.***

როგორი სარგებლობა უნდა მივიჩნიოთ ჩვეულებრივ სარგებლობად? ჩვეულებრივია სარგებლობა, როდესაც მას მოცემულ კონკრეტულ ადგილას ფაქტობრივად ხშირად აქვს ადგილი. ამავე დროს აღნიშნული დამოკიდებულია არა უფრო იმ მიწის ნაკვეთის სარგებლობაზე, რომლის მესაკუთრესაც ეკისრება თმენის ვალდებულება, არამედ იმ მიწის

---

[34] Wolf, Manfred – Sachenrecht, 19. Auflage, C. H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, München, 1996, გვ. 140; BGH NJW 1992, 1392; იხ., აგრეთვე, Palandt, დასახელებული ნაშრომი, გვ. 1383

[35] Palandt, დასახელებული ნაშრომი, გვ. 1384

[36] Palandt, იქვე

[37] Wolf, Manfred – Sachenrecht, 19. Auflage, C. H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, München, 1996, გვ. 140; BGH NJW 1992, 1392

ნაკვეთის სარგებლობაზე, რომლიდანაც ხორციელდება ზემოქმედება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ არსებითი ზემოქმედება მიიჩნევა მიწის ნაკვეთის ჩვეულებრივ სარგებლობად, მისი თმენის ვალდებულება მაინც არ არსებობს იმ პირობით, რომ ზემოქმედების თავიდან აცილება შესაძლებელია ეკონომიკურად შესაძლებელი ღონისძიებების გატარებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 175-ე მუხლის მე-3 ნაწილის ნორმით, მიწის ნაკვეთზე ზემოქმედების თმენისათვის დადგენილია ***ფულადი კომპენსაციის*** გადახდის ვალდებულება. იმ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, რომელსაც ევალება მეზობელი მიწის ნაკვეთიდან ზემოქმედების თმენა, შეუძლია მისი მესაკუთრისაგან მოითხოვოს სათანადო ფულადი კომპენსაცია, თუ ზემოქმედება სცილდება მოცემულ ადგილზე მიწის ნაკვეთით ჩვეულებრივად მიჩნეულ სარგებლობას.

აუცილებელი გზა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლით დადგენილი ***აუცილებელი გზის უფლება,*** გარკვეულწილად, წააგავს რომის სამართალში და ამ უკანასკნელის გავლენით რომანული სამართლის სისტემის ქვეყნების კანონმდებლობებში ცნობილ ლეგალური სერვიტუტის სამართლებრივ ინსტიტუტს, თუმცა, იგი ძველი გერმანული სამართლიდან მომდინარეობს, ხოლო ქართული კანონმდებლობის მიერ რეცეფცირებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსიდან. ეს უკანასკნელი აუცილებელი გზის სამართლებრივი ინსტიტუტის რეგულირებას ახდენს 2 პარაგრაფში – §§917 და 918.

განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს მოსთხოვოს, რომ ამ უკანასკნელმა ***ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება პირველი მესაკუთრის მიწის ნაკვეთის საჯარო გზასთან, ელექტრო-, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). აღნიშნულის წინაპირობებს წარმოადგენს:

1. საჯარო გზასთან, ელექტრო-, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან ***აუცილებელი კავშირის არარსებობა***;
2. აუცილებელი კავშირი საჭიროა ***მიწის ნაკვეთის ჯეროვანი გამოყენებისათვის.*** ჯეროვანი გამოყენების კრიტერიუმის დადგენისას მხედველობაში მიიღება მიწის ნაკვეთის მდებარეობა, ფართობი და დანიშნულება[38]; ამასთან, ჯეროვნად, სათანადოდ არ მიიჩნევა წმინდა პირადი საჭიროებისათვის გამოყენება მესაკუთრისა ან სარგებელზე უფლებამოსილი პირისა ანდა დროებითი საჭიროება, რომელიც სცილდება მიწის ნაკვეთით ჩვეულებრივ სარგებლობას;
3. დამაკავშირებელი მიწის ნაკვეთის გამოყენება გამოწვეული უნდა იყოს ***იმ მიწის ნაკვეთის*** ჯეროვანი გამოყენების აუცილებლობით, რომლის სასარგებლოდაც დგინდება აუცილებელი გზა[39].

კანონით გათვალისწინებული აუცილებელი გზის დადგენის უფლების რეალიზაცია ხორციელდება, აღნიშნულის თაობაზე პირის ფორმალური მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც უნდა წარედგინოს დამაკავშირებელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს (მეზობელს). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აუცილებელი გზის სანივთო უფლება წარმოიშობა სწორედ აღნიშნული მოთხოვნის წარდგენის მომენტიდან.

თუ საჯარო გზასთან, ელექტრო-, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან მიწის ნაკვეთის აუცილებელი კავშირი დაიკარგა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის (ან აუცილებელი გზის უფლების სხვა მფლობელის) ***თვითნებური ქმედებით***, მაშინ აუცილებელი გზისა თუ გაყვა-

[38] Palandt, დასახელებული ნაშრომი, გვ. 1395

[39] Palandt, იქვე

ნილობის თმენისათვის ვალდებულება არ წარმოიშობა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილი). აღნიშნული თვითნებური ქმედება შეიძლება გამოიხატოს პოზიტიურ მოქმედებაში (მაგალითად, მიწის ნაკვეთთან დამაკავშირებელი ხიდის დანგრევა, მისასვლელი გზის მოშლა და ა.შ.), ისე მოქმედებისაგან თავის შეკავებაში (აუცილებელი სარემონტო სამუშაოების განუხორციელებლობა, როდესაც ამის ვალდებულება ეკისრებოდა მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს).

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. საკუთრების უფლების შეზღუდვის რა საზღვრებს იცნობს საქართველოს კანონმდებლობა?
2. როგორია სამეზობლო სამართლის ძირითადი პრინციპები?
3. როგორია დასაშვები და დაუშვებელი ზემოქმედების დადგენის ძირითადი კრიტერიუმები?
4. როგორ წესრიგდება აუცილებელი გზის საკითხი საქართველოს კანონმდებლობით?

5. საკუთრების უფლების შეძენა და დაკარგვა ნივთებზე

I. საკუთრების უფლების შეძენა და დაკარგვა უძრავ ნივთებზე

ზოგადად

ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ, რომ ქართული სამართალი, როგორც გერმანული სამართლის სისტემას მიკუთვნებული, ადგენს განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმს მოძრავი და უძრავი ნივთების მიმართ, რომლის მიზეზიც მდგომარეობს უძრავ ნივთებზე საკუთრებითი (და, საერთოდ, უფლებრივი) ურთიერთობის მეტი უზრუნველყოფისა და დარწმუნებულობის აუცილებლობაში. სწორედ ამას ემსახურება გარიგების ***სავალდებულო წერილობითი ფორმა, უძრავ ნივთზე დადგენილი სანივთო უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია***[40]. უძრავი ნივთებისაგან განსხვავებით, მოძრავ ნივთებზე აღნიშნული ფორმალობების დაცვა სავალდებულო არ არის, ვინაიდან კანონმდებელი დაინტერესებულია მოძრავი ნივთების სწრაფ და იოლ სამოქალაქო ბრუნვაში.

ზემოთ ასევე აღვნიშნეთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ არ ახსენებს ***სანივთო შეთანხმებას*** როგორც საკუთრების უფლების გადამცემ განკარგვით გარიგებას, იგი მაინც მიჩნეულ უნდა იქნეს არსებულად ქართულ სამართალში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის არსით იგი შედის წერილობით დოკუმენტში მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს შეიძლება ეწოდებოდეს ნასყიდობის, ჩუქების, გაცვლის, ამხანაგობის და ა. შ. ხელშეკრულება, ანუ მასში მიეთითება განკარგვითი გარიგების საფუძვლად არსებულ მავალდებულებელ გარიგებაზე.

ამრიგად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების შეძენისათვის საჭიროა ***2 ელემენტის*** არსებობა:

1. მხარეთა შორის ***წერილობითი ფორმით შეთანხმება;*** და

2. შემძენი პირის მესაკუთრედ ***რეგისტრაცია*** საჯარო რეესტრში.

უძრავ ნივთზე ***საკუთრების უფლების მიტოვებისათვის*** საჭიროა მესაკუთრის განცხადება, საკუთრების უფლების მიტოვების შესახებ და ამ განცხადების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. განცხადება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს ცალმხრივი ნების გამოვლენას – გარიგებას და მისი სამართლებრივი ძალისათვის საკმარისია მხოლოდ მესაკუთრის მონაწილეობა. კანონი პირდაპირ არ ადგენს განცხადების ფორმას, თუმცა,

[40] იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

დარწმუნებით უნდა ვივარაუდოთ, რომ დაცული უნდა იყოს წერილობითი ფორმა. საკუთრების უფლების შეწყვეტის მომენტად ითვლება ამ უფლების მიტოვების შესახებ განცხადების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტი.

როგორია იმ უძრავი ნივთის სამართლებრივი ბედი, რომელზეც საკუთრების უფლება მიატოვა მესაკუთრემ?

ცხადია, ნებისმიერი თანამედროვე სახელმწიფოს კანონმდებლობამ და მართლწესრიგმა არ შეიძლება დაუშვას უპატრონო უძრავი ქონების არსებობა. სამწუხაროდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ამ საკითხზე დუმს. თუმცა, ამ უკანასკნელის ხარვეზს ასწორებს 2008 წლის 19 დეკემბერს მიღებული საქართველოს კანონი "საჯარო რეესტრის შესახებ" მე-14 მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის თანახმადაც მიტოვებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებას ავტომატურად იძენს ***სახელმწიფო***.

II. საკუთრების უფლების შეძენა და დაკარგვა მოძრავ ნივთებზე

ზოგადად

მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების ***შეძენა*** შესაძლებელია რამდენიმე ხერხით. განასხვავებენ საკუთრების უფლების შეძენას ***გარიგების, კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს აქტის*** საფუძველზე.

მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების ***დაკარგვა*** ხდება ***გარიგების*** საფუძველზე, ***ნივთის უპატრონოდ ცნობისა*** და მისი ***განადგურების*** შედეგად.

საკუთრების უფლების გადაცემა

ქართველმა კანონმდებელმა ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის მიბაძვით გაიზიარა საკუთრების უფლების გადაცემის ***ე.წ. შუალედური (ტრადიციისა და კაუზალური სისტემა)*** სისტემა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილია მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის ზოგადი წესი. ამ წესის თანახმად, საკუთრების უფლების გადასვლის წინაპირობებია:

ა) მხარეთა შორის დადებული, ერთი მხრივ, ***სანივთო შეთანხმება*** და, მეორე მხრივ, სანივთო შეთანხმების ვალდებულებით-სამართლებრივი საფუძველი – causa – ანუ ***ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგება***, რომელსაც ეფუძნება სანივთო შეთანხმება და

ბ) ნივთის შემძენის ***მფლობელობაში გადაცემა***.

ქართულ სამართალში ***სანივთო შეთანხმების*** სამართლებრივი ბუნება და შინაარსი იდენტურია მისი გერმანული ანალოგისა. მისი შინაარსიც იმაში მდგომარეობს, რომ ამ შეთანხმების დროს ხორციელდება ნების გამოვლენა გამსხვისებლის მხრიდან, რომელიც მიმართულია ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემისკენ და ნების გამოვლენა შემძენის მხრიდან, რომელიც მიმართულია ნივთზე საკუთრების უფლების მიღებისაკენ. სანივთო შეთანხმება ყოველთვის განსაზღვრულ ნივთს ეხება ანუ ქართული სამართალი იზიარებს არა მარტო გერმანული, არამედ რომანული სამართლის სისტემის ქვეყნების კანონმდებლობებშიც აღიარებულ ***ე.წ. განსაზღვრულობის პრინციპს***.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მსგავსად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილშიც მითითებულია მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემაზე ***უფლებამოსილ პირზე.*** ასეთ პირად კანონი ასახელებს მესაკუთრეს. მითითება, რა თქმა უნდა, მართებულია, თუმცა, მხოლოდ მესაკუთრე არ არის უფლებამოსილი საკუთრების უფლების გადაცემაზე. სამართალში ცნობილია მრავალი შემთხვევა, როდესაც მოძრავი ქონება პირს არ ეკუთვნის საკუთრების უფლებით, მაგრამ ეს უკანასკნელი სრულად არის უფლებამოსილი მის განკარგვაზე. მაგალითად, განსაზღვრული გარემოებების არსებობისას (საქონლის გაფუჭება და მიმბარებლისთვის შეტყობინების გაგზავნის შეუძლებლობა[41]) შემნახველს შეუძლია გაასხვისოს

[41] იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 787-ე მუხლი.

მიბარებული საქონელი; გაკოტრების საქმის წარმოებისას ქონების მესაკუთრე რჩება ვალაუვალი მოვალე, თუმცა, მისი ქონების გაყიდვის უფლებამოსილება ენიჭება გაკოტრების მმართველს და სხვა მაგალითები. ამდენად, უფრო მართებული იქნებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლში მითითება მოძრავი ნივთის განკარგვაზე უფლებამოსილ პირზე, როგორც ეს არის ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის მე-3 წიგნის 84-ე მუხლში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლ ნაწილში მითითებული მოძრავი ნივთის გადაცემა გულისხმობს ნივთის გამსხვისებლის მიერ შემძენის ***პირდაპირ მფლობელობაში გადაცემას***.

როგორც წესი, ნივთი გადაეცემა უშუალოდ შემძენს მფლობელობაში. თუმცა, სამოქალაქო ბრუნვის გამარტივების მიზნით, სრულიად დასაშვებად უნდა მივიჩნიოთ ნივთის არა შემძენის, არამედ ***მესამე პირის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემა***, რომელიც ამ შემთხვევაში მოგვევლინება შემძენის სასარგებლოდ მპყრობელად. გადაცემა შეიძლება განხორციელდეს ასევე პირდაპირი მფლობელის მეშვეობითაც, რომელიც შეიძლება გარიგებაში მონაწილეობდეს როგორც გამსხვისებლის, ისე შემძენის მხრიდან[42].

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის თანახმად, მოძრავი ნივთის გადაცემა, გარდა მისი პირდაპირ მფლობელობაში გადაცემისა, მიიღწევა კიდევ 2 განსაკუთრებული სამართლებრივი კონსტრუქციით. მათ განეკუთვნება:

1. გასხვისებულ ნივთზე ***არაპირდაპირი მფლობელობის დადგენა*** – constitutum possessorium, Besitzkonstitut; და

2. შემძენისათვის მესამე პირისაგან ნივთის მფლობელობაში გადმოცემის ***მოთხოვნის უფლების დათმობა*** (Abtretung des Herausgabeanspruchs), როდესაც აღნიშნული მესამე პირი ფლობს გამსხვისებლის კუთვნილ ნივთს. სამწუხაროდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ასახელებს მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის ***ე.წ. "მოკლე ხელის" წესს*** (traditio brevi manu, Übergabe kurzer Hand), რომელიც ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც შემძენი ნივთის გასხვისების მომენტში თავად უკვე ფლობს გასხვისებულ ნივთს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით, ეს წესი პირდაპირ გათვალისწინებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §929 მე-2 ნაწილში. განვიხილოთ თითოეული კონსტრუქცია ცალ-ცალკე.

თუ მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემისას მხარეებს სურთ, რომ გამსხვისებელმა დროებით შეინარჩუნოს ნივთზე თავისი მფლობელობა, ისინი შეიძლება შეთანხმდნენ ***შემძენზე არაპირდაპირი მფლობელობის დადგენაზე ისე, რომ გამსხვისებელი დარჩება ნივთის პირდაპირ მფლობელად.*** ამდენად, მხარეთა შორის წარმოშობილი არაპირდაპირი მფლობელობითი ურთიერთობა გვევლინება როგორც ნივთზე პირდაპირი მფლობელობის გადაცემის, მაგრამ არა სანივთო შეთანხმების, შემცვლელი. Constitutum possessorium-ის დროს შემძენი ხდება არაპირდაპირი მფლობელი თავისი თავისთვის, ხოლო გამსხვისებელი – მფლობელი სხვისთვის. არაპირდაპირი მფლობელობითი ურთიერთობის სახით შეიძლება მოიაზრებოდეს ნებისმიერი ურთიერთობა, რომლის საფუძველზეც შემძენი იძენს ნივთზე არაპირდაპირ მფლობელობას[43].

შემძენისათვის მესამე პირისაგან ნივთის მფლობელობაში გადმოცემის მოთხოვნის უფლების დათმობის გზით, საკუთრების უფლების გადაცემისათვის აუცილებელია შემდეგი წინაპირობების არსებობა:

1. მოძრავი ნივთი უნდა იმყოფებოდეს ***მესამე პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ მფლობელობაში,*** თუმცა, როგორც წესი, მესამე პირი გვევლინება ნივთის ***პირდაპირ მფლობელად***, ხოლო გამსხვისებელი მესაკუთრე – ***არაპირდაპირ მფლობელად***. ამასთან,

[42] Wolf, Manfred, დასახელებული ნაშრომი, გვ. 222.
[43] Wolf, Manfred, დასახელებული ნაშრომი, გვ. 224

მფლობელობითი ურთიერთობა ყოველთვის ეფუძნება კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობას (ქირავნობა, თხოვება, გირავნობა და სხვა);

2. მხარეთა შორის უნდა დაიდოს ***სანივთო შეთანხმება*** ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ, მის საფუძვლად არსებულ ვალდებულებით-სამართლებრივ გარიგებასთან ერთად;

3. სანივთო შეთანხმებასთან ერთად მხარეთა შორის იდება ***მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება*** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლის ნორმის გაგებით.

მსგავსად არაპირდაპირი მფლობელობითი ურთიერთობის დადგენით საკუთრების უფლების გადაცემისა, მესამე პირისაგან ნივთის მფლობელობაში გადაცემის მოთხოვნის უფლების დათმობისას არ არსებობს ნივთის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის აქტი. ნივთი რჩება ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც იგი მესამე პირის ხელში იყო[44]. მოთხოვნის დათმობა და სანივთო შეთანხმება იდება ერთდროულად. შესაბამისად, საკუთრების უფლების გადაცემა ხორციელდება მხოლოდ ერთდროულად.

"მოკლე ხელის გადაცემა" სრულად გაუმართლებლად არ იქნა გათვალისწინებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, როდესაც, თუნდაც ვიზუალური შედარებისათვის, გერმანიის სამოქალაქო კოდექსში მისი მომწესრიგებელი ნორმა თვალშისაცემ ადგილას არის განთავსებული (§929, მე-2 წინადადება). არასწორი იქნებოდა იმის მტკიცებაც, რომ სათანადო განმარტების შედეგად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილმა არსებული რედაქციით უნდა მოიცვას საკუთრების უფლების გადაცემის ეს სამართლებრივი კონსტრუქციაც. მოკლე ხელის გადაცემის დროს შემძენი ***უკვე ფლობს ნივთს*** (მაგალითად, თხოვების ხელშეკრულების დროს ნივთი არის მონათხოვრის პირდაპირ მფლობელობაში) და, ამდენად, მფლობელობაში გადაცემა გამორიცხულია. საკუთრების უფლების გადასვლისათვის კი საკმარისია სანივთო შეთანხმება, მის საფუძვლად არსებულ ვალდებულებით-სამართლებრივ გარიგებასთან ერთად.

III. მოძრავი ნივთების კეთილსინდისიერი შეძენა

მფლობელობა ქმნის ***ვარაუდს***, რომ მოძრავი ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე. მესაკუთრის პრეზუმფცია სამოქალაქო ბრუნვაში კი ყოველთვის გულისხმობს მესამე პირის ნდობას არსებული ფაქტობრივი მდგომარეობისა. სწორედ სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე მესამე პირი არის ღირსი სამართლის მხრიდან დაცვისა, თავისი კეთილსინდირების გამო.

როგორც უკვე ითქვა, მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის ერთ-ერთი წინაპირობაა გამსხვისებლის მიერ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის უფლებამოსილება. კანონი ერთ-ერთ ასეთ უფლებამოსილ პირად ასახელებს მესაკუთრეს. არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული განკარგვა ზოგადი წესით ბათილია. თუმცა, ამ ზოგადი წესიდან კანონი იცნობს გამონაკლისს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლში აღნიშნულია:

„1. შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე მაშინაც, როცა გამსხვისებელი არ იყო ნივთის მესაკუთრე, მაგრამ შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია. კეთილსინდისიერად არ ჩაითვლება შემძენი, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. კეთილსინდისიერების ფაქტი უნდა არსებობდეს ნივთის გადაცემამდე.

2. კეთილსინდისიერი შემძენი ვერ გახდება ნივთის მესაკუთრე, თუ ეს ნივთი მესაკუთრემ დაკარგა, მას მოჰპარეს, ან მისი ნების წინააღმდეგ სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან, ანდა შემძენმა ის უსასყიდლოდ მიიღო. ეს შეზღუდვები არ მოქმედებს ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და აუქციონზე გასხვისებული ნივთების მიმართ".

[44] Dr. Ludwig Enneccerus, Dr. Theodor Kipp und Dr. Martin Wolff, იქვე

მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კეთილსინდისიერი შეძენის წინაპირობებს განეკუთვნება:

1. მხარეთა შორის დადებული ***სანივთო შეთანხმება, მის საფუძვლად არსებულ ვალდებულებით-სამართლებრივ გარიგებასთან*** ერთად;
2. შემძენის მხრიდან ***კეთილსინდისიერება***.

მოძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შეძენისათვის აუცილებელია არაუფლებამოსილი გამსხვისებლის მიერ შემძენთან სამართლებრივი ძალის მქონე ***სანივთო გარიგებისა და მის საფუძვლად არსებული ნამდვილი ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგების*** დადება. შესაბამისად, კეთილსინდისიერ შეძენას ადგილი არა აქვს, როდესაც შეთანხმების მხარე ქმედუუნაროა ან არ გამოუვლენია ნივთის გასხვისების ნება ანდა მის წარმომადგენელს არა აქვს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება[45]. გასხვისება შეიძლება განხორციელდეს ნივთის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემით, ნივთზე არაპირდაპირი მფლობელობის დადგენით და შემძენისათვის მესამე პირისაგან ნივთის გადმოცემის მოთხოვნის უფლების დათმობით.

შემძენის მხრიდან ნდობა იმისა, რომ გამსხვისებელი ნივთის მესაკუთრეა, გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ***შემძენმა არ იცოდა და მას არც უნდა სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი სინამდვილეში მესაკუთრე არ არის*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადება). ამდენად, ნორმის არსით კეთილსინდისიერ შეძენას გამორიცხავს არა მარტო შემძენის მიერ უტყუარი ცოდნა იმ ფაქტისა, რომ გამსხვისებელი სინამდვილეში არ არის ნივთის მესაკუთრე, არამედ ამ ფაქტის არცოდნა, თუ იგი გამოწვეულია შემძენის მხრიდან უხეში გაუფრთხილებლობითაც.

შემძენის კეთილსინდისიერება ყოველთვის მიმართული უნდა იყოს იმის რწმენისკენ, რომ გამსხვისებელი ***ნივთის მესაკუთრეა***. კეთილსინდისიერება განკარგვის უფლებამოსილების მიმართ საკმარისი არ არის. თუმცა, თუ გამსხვისებელი მესამე პირისაგან ფაქტობრივად არის უფლებამოსილი და შემძენი მესამე პირს მესაკუთრედ მიიჩნევს, მაშინ კეთილსინდისიერება არსებობს არა განკარგვის უფლებამოსილების მიმართ, არამედ მესამე პირის საკუთრების უფლების მიმართ[46]. კეთილსინდისიერების ფაქტი უნდა ***არსებობდეს ნივთის გადაცემამდე*** (187-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-3 წინადადება). შესაბამისად, კეთილსინდისიერ შეძენას ადგილი აქვს იმ შემთხვევებშიც, როდესაც შემძენმა შემდგომში – ანუ ნივთის გადაცემის შემდეგ – შეიტყო, რომ გამსხვისებელი სინამდვილეში არ არის ნივთის მესაკუთრე.

187-ე მუხლის მე-2 ნაწილი კეთილსინდისიერების გამომრიცხველ გარემოებად ასახელებს, აგრეთვე, არაუფლებამოსილი გამსხვისებლის მიერ შემძენისათვის ნივთის ***უსასყიდლოდ გადაცემას***. კანონმდებლის მოტივაცია ამ შემთხვევაში ნათელია: შემძენი არ „იმსახურებს“ კანონის მხრიდან დაცვას, როდესაც მან მიღებულ ნივთში საზღაური არ გადაიხადა.

იმავე 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი ცალკეული საგნების მიმართ ითვალისწინებს კეთილსინდისიერ შეძენას მიუხედავად იმისა, რომ ისინი მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ გავიდა ამ უკანასკნელის მფლობელობიდან. ასეთ საგნებს კანონი მიაკუთვნებს ***ფულს, საწარმდგენლო ფასიან ქაღალდებსა და საჯარო აუქციონზე გაყიდულ მოძრავ ნივთებს.*** ამჯერადაც, კანონმდებლის მიერ საკითხის ასეთი გადაწყვეტა განპირობებულია სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფის ინტერესებით.

[45] Palandt, დასახელებული ნაშრომი, გვ. 1416

[46] Wolf, Manfred, დასახელებული ნაშრომი, გვერდები 234-235

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. *მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შეძენის რა ხერხებს იცნობს საქართველოს კანონმდებლობა?*
2. *როგორ ხდება საკუთრების უფლების გადაცემა მოძრავ ნივთებზე, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით?*
3. *რას ნიშნავს საკუთრების უფლების გადაცემის ე. წ. "მოკლე ხელის" წესი?*
4. *რა წინაპირობების არსებობაა საჭირო მოძრავი ნივთების კეთილსინდისიერი შეძენისათვის?*

6. საკუთრების უფლების შეძენა უფლებებსა და მოთხოვნებზე. ვალის გადაკისრება

I. მოთხოვნის დათმობა და მისი იურიდიული ბუნება

ზოგადად

მოთხოვნის დათმობის (ცესიის) დეფინიცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოცემული არ არის, თუმცა, მისი განმარტება შესაძლებელია კოდექსის 198-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე.

მოთხოვნის დათმობა (ცესია) არის თავდაპირველ და ახალ კრედიტორებს შორის დადებული გარიგება, რომლითაც თავდაპირველი კრედიტორი მოვალის მიმართ თავის მოთხოვნას გადასცემს (უთმობს) ახალ კრედიტორს. თავდაპირველ კრედიტორს სხვანაირად „ცედენტი" ეწოდება, ხოლო ახალ კრედიტორს – "ცესიონერი". შემდგომში აღნიშნული ორმაგი ტიტულირება ჩვენ მიერ გამოყენებული იქნება თანაბარი მნიშვნელობით.

მოთხოვნის დათმობა ორმხრივი გარიგებაა – ხელშეკრულებაა; ამიტომ საკმარისი არ არის მარტო ცესიონერის მხრიდან მოთხოვნის დათმობის თაობაზე ნების გამოვლენა, არამედ აუცილებელია გარიგების მეორე მხარის მიერ მისი მიღება (აქცეპტი).

თავისი სამართლებრივი ბუნებით მოთხოვნის დათმობა წარმოადგენს ***განკარგვით გარიგებას***, ვინაიდან ამ დროს ხდება არსებულ უფლებაზე უშუალო ზემოქმედება – მისი გადაცემა სხვა პირზე. ხელშეკრულების დადებით ცედენტი კარგავს მოთხოვნას და მას ერთდროულად იძენს ცესიონერი.

საკუთრების უფლების გადაცემის სამართლებრივ შედეგთან დაკავშირებით წამოიჭრება მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხი: ***როდის ითვლება*** მოთხოვნა ან უფლება ცესიონერზე გადაცემულად?

ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ იქნა მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის სისტემები და, ამდენად, მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის საკითხს დეტალურად უკვე შევეხეთ. ამჯერად გვსურს მოთხოვნის დათმობის დროს საკუთრების უფლების გადასვლის წესი მისი უკეთ აღქმისათვის შევუდაროთ მატერიალურ ქონებაზე საკუთრების უფლების გადასვლის ნორმებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე და 186-ე მუხლებით დადგენილია საკუთრების უფლების გადაცემის წესი, შესაბამისად უძრავი და მოძრავი ნივთების მიმართ. ორივე მუხლის ნორმაში სანივთო გარიგებასა (სანივთო ხელშეკრულებასა) და ვალდებულებით-სამართლებრივ ხელშეკრულებასთან ერთად ფიგურირებს ფორმალური ელემენტი, რომელიც საკუთრების უფლების გადასვლის აუცილებელი პირობაა: უძრავი ნივთების მიმართ – საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, ხოლო მოძრავი ნივთების მიმართ, ყველაზე ხშირად, – ნივთის შემძენის მფლობელობაში გადაცემა. ამ ორივე ფორმალობით კანონი უზრუნველყოფს ნივთებზე უფლებრივი ცვლილებების პუბლიკაციას, გარედან აღქმის შესაძლებლობას. როგორც ჩანს,

ანალოგიური მოსაზრებით არ მოქმედებდა კანონმდებელი მოთხოვნებისა და უფლებების მიმართ. ლოგიკურად იგი მართალიც არის: მოთხოვნებისა და უფლებების გარედან აღქმა შეუძლებელია, მათი არამატერიალური ბუნების გამო. საკუთრების უფლება კი, გადაწყდა, გადავიდეს მოთხოვნის დათმობის გარიგების დადებისთანავე, მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევისთანავე. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 208-ე მუხლიდან, რომლის თანახმადაც თუ ერთსა და იმავე მოთხოვნის დათმობაზე მოთხოვნის მფლობელი რამდენიმე პირს შეუთანხმდება, მაშინ მოვალის წინაშე უფლებამოსილი იქნება ის პირი, რომელთანაც მოთხოვნის მფლობელმა სხვებზე ადრე დაამყარა ურთიერთობა. თუმცა, თუ შეუძლებელია იმის დადგენა, თუ ვისთან უფრო ადრე დამყარდა სამართლებრივი ურთიერთობა, მაშინ უპირატესობა ენიჭება იმ პირს, რომლის შესახებაც მოვალეს უფრო ადრე ეცნობა.

მოთხოვნის დათმობის სამართლებრივი შედეგები

მოთხოვნის დათმობის გარიგების დადებით **მოთხოვნა გადადის ახალ კრედიტორზე,** რითიც ეს უკანასკნელი ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში **იკავებს თავდაპირველი კრედიტორის ადგილს** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლი). მეორენაირად შეიძლება ითქვას, ასევე, რომ ამ დროს ხდება კრედიტორის მდგომარეობის გადაცემა სხვა პირზე.

ცედენტს კუთვნილი მოთხოვნის გასხვისება შეუძლია ***მხოლოდ ერთხელ***. სამართლებრივი ძალის მქონე მოთხოვნის დათმობის შემდეგ იგი აღარ არის უფლებამოსილი გასხვისებული მოთხოვნა მეორედ გადასცეს სხვას, ვინაიდან მოთხოვნა მას აღარ ეკუთვნის წინა მოთხოვნის დათმობის გარიგების დადების მომენტიდან.

თუ მოთხოვნა უზრუნველყოფილია ***აქცესორული უფლებებით*** (გირავნობა, თავდებობა), მოთხოვნის დათმობის შედეგად ეს უფლებებიც კანონის ძალით მიჰყვება მოთხოვნას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 201-ე მუხლი). კანონის ასეთი გადაწყვეტა მოტივირებულია იმ მარტივი ლოგიკით, რომ, ჯერ ერთი, ეს უფლებები აქცესორულია და არ არსებობს ძირითადი უფლების (ამ შემთხვევაში – მოთხოვნის) გარეშე და, მეორეც, თავდაპირველი კრედიტორისათვის ისინი ღირებულებას აღარ წარმოადგენს; მათი რეალიზაცია კრედიტორს აღარ შეუძლია, ვინაიდან მას მოთხოვნა აღარ ეკუთვნის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 201-ე მუხლის ნორმა სულაც არ არის იმპერატიული (უფრო სწორად, არ უნდა იქნეს მიჩნეული იმპერატიულ ნორმად) და უშვებს განსხვავებულ შეთანხმებას. მაგალითად, თუ მხარეთა შორის შეთანხმებულ იქნა გირავნობის უფლების გადაუსვლელობა, ეს უკანასკნელი უქმდება[47].

II. მოთხოვნის დათმობის წინაპირობები

მოთხოვნის დათმობის ნამდვილობისათვის აუცილებელია რამდენიმე წინაპირობის არსებობა. ერთ-ერთი წინაპირობა – მოთხოვნის დათმობის გარიგება – ჩვენ მიერ უკვე განხილულ იქნა ზემოთ. ამიტომ წინამდებარე თავში შევეხებით დანარჩენ სამ წინაპირობას. ესენია:

1. მოთხოვნის ***განსაზღვრულობა***;
2. მოთხოვნის ***მიკუთვნება კრედიტორისადმი***;
3. მოთხოვნის ***გადაცემის შესაძლებლობა***.

მოთხოვნის განსაზღვრულობა

მოთხოვნის დათმობის გარიგების ძალით ხორციელდება ე.წ. „სანივთოსამართლებრივი შედეგი“ – მოთხოვნის ახალ კრედიტორზე გადასვლა. მოთხოვნის სხვა პირისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის პრინციპი ანალოგიურია მატერიალურ ქონებაზე (ნივთებზე) საკუთრების უფლების გადაცემის იმ პრინციპისა, რომლის თანახმადაც საკუთრების უფლება (ისევე როგორც სხვა სანივთო უფლება) შეიძლება არსებობდეს ***მხოლოდ განსაზღვრულ, კონკრეტულ ქონებაზე***.

[47] Hans Brox - Allgemeiner Schuldrecht, 19 Auflage, München, 1991, გვ. 238

მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებაში, როგორც წესი, ზუსტად უნდა იქნეს განსაზღვრული, თუ რომელი მოთხოვნის გადაცემა ხდება და რა ფარგლებში. განსხვავებით მატერიალური ქონებისაგან, მოთხოვნის როგორც გარიგების საგნის ფიზიკური აღქმა და ხელით შეხება შეუძლებელია. ამიტომ ამ დროს გამოუსადეგარია ინდივიდუალიზაციის ისეთი საშუალებების გამოყენება, როგორიცაა ქონების შემძენის მფლობელობაში გადაცემა, რომელიც, როგორც ცნობილია, გვევლინება მოძრავი ნივთების ინდივიდუალიზაციის საშუალებად და მათზე საკუთრების უფლების გადაცემის ფაქტობრივ ელემენტად.

მოთხოვნის მიკუთვნება კრედიტორისადმი

მოთხოვნის განსაზღვრულობასთან ერთად, მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებით მოთხოვნის გადაცემის ერთ-ერთი წინაპირობაა ის, რომ ***იგი უნდა ეკუთვნოდეს კრედიტორს***. მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება, რომელიც დადო არაუფლებამოსილმა ცედენტმა, ბათილია, თუ ის პირი, რომელსაც დათმობილი უფლება ან მოთხოვნა სინამდვილეში ეკუთვნის, – შემდგომში არ მოიწონებს ამ გარიგებას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

მოთხოვნის გადაცემის შესაძლებლობა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლის 1-ლ ნაწილში აღნიშნულია:

"მოთხოვნა ან უფლება, რომელთა დათმობა ან დაგირავებაც შესაძლებელია, მათმა მფლობელმა შეიძლება საკუთრებად გადასცეს სხვა პირს. მოთხოვნები და უფლებები ახალ პირზე გადადის ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყვნენ". საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად კი, მოთხოვნის მფლობელს (კრედიტორს) შეუძლია მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს (მოთხოვნის დათმობა).

სამოქალაქო კოდექსის 198-ე და 199-ე მუხლებით დადგენილია მოთხოვნის დათმობის თავისუფლების ზოგადი პრინციპი. ყოველი მოთხოვნა, როგორც წესი, ექვემდებარება სხვა პირისათვის გადაცემას, ამასთან, მოვალის თანხმობის გარეშე. თუმცა, ზემოაღნიშნული მუხლები შეიცავს ამ პრინციპის შემზღუდველ პირობებს. ეს პირობები შეგვიძლია დავყოთ ოთხ ნაწილად:

1. ***კანონით აკრძალული*** მოთხოვნის დათმობა;
2. მოთხოვნის დათმობის შეუძლებლობა, როდესაც მოთხოვნა ***არ ექვემდებარება დაგირავებას***;
3. მოთხოვნის დათმობის დაუშვებლობა, რომელიც ***ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს***;
4. კრედიტორსა და მოვალეს შორის შეთანხმება მოთხოვნის დათმობის ***გამორიცხვის შესახებ***.

III. მოთხოვნის დათმობის ფორმა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ადგენს რაიმე სპეციალურ ფორმას მოთხოვნის დათმობის გარიგებისათვის. კოდექსის 198-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მხარეებს, ზოგადი წესით, ***თავისუფლად შეუძლიათ განსაზღვრონ მოთხოვნის დათმობის ფორმა.*** ამდენად, მოთხოვნის დათმობა შეიძლება დაიდოს როგორც წერილობით, ისე ზეპირად მხარეთა უბრალო ზეპირი ფორმით ნების გამოვლინებით. ისევე, როგორც თავისი ნამდვილობისათვის, მოთხოვნის დათმობა არ საჭიროებს მის საფუძვლად არსებული კაუზალური ხელშეკრულების არსებობას ან ნამდვილობას, მოთხოვნის დათმობის გარიგების ფორმაც არ არის დამოკიდებული კაუზალური ხელშეკრულების ფორმაზე; კანონი არ ითხოვს მოთხოვნის დათმობისათვის სპეციალური ფორმის დაცვას მაშინაც, როდესაც მოთხოვნა გამომდინარეობს ფორმასავალდებულო გარიგებიდან. მაგალითად, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს

წერილობით, მაგრამ ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება წერილობით ფორმას აღარ საჭიროებს. მოთხოვნის დათმობის გარიგებისათვის სპეციალური ფორმის დაცვა მაშინაც არ არის სავალდებულო, როდესაც მოთხოვნის დათმობის საფუძვლად არსებული კაუზალური გარიგება ფორმასავალდებულოა.

მოთხოვნის დათმობის გარიგების ფორმის არჩევის თავისუფლება ზოგადი წესია, საიდანაც კანონით შეიძლება დადგინდეს გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც გარიგების ფორმის ან სხვა ფორმალობების დაცვა სავალდებულო ხდება. ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევებს განეკუთვნება ***იპოთეკის უფლებით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დათმობა***. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 295-ე მუხლის მე-3 წინადადების თანახმად, მოთხოვნის გადაცემა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ნამდვილად, როცა წერილობითი ფორმით დამოწმებული საბუთი იპოთეკის დადგენის შესახებ ან იპოთეკის მოწმობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადაეცემა ახალ კრედიტორს (ამ კოდექსის 289^4 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით). მოთხოვნის გადაცემა რეგისტრირდება საჯარო რეესტრში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაცემულია იპოთეკის მოწმობა.

IV. ვალის გადაკისრების ცნება და მისი იურიდიული ბუნება

ქართული სამართალი იცნობს სინგულარული სამართალმემკვიდრეობას ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში არა მარტო მოთხოვნებისა და უფლებების, არამედ ვალების მიმართაც. ახალმა მოვალემ შეიძლება დაიკავოს ძველი მოვალის ადგილი ამ უკანასკნელის ვალის კისრებით.

იმისდა მიხედვით, თავისუფლდება თუ არა ძველი მოვალე ვალის გადაკისრების ხელშეკრულების შედეგად თავისი ვალდებულებისაგან, სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში განასხვავებენ ვალის გადაკისრების ***ორ სახეს***:

1. პრივატული ვალის გადაკისრება; და
2. კუმულაციური ვალის გადაკისრება.

პრივატული ვალის გადაკისრების დროს ძველი მოვალე თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულებისაგან და მის ადგილს იკავებს ახალი მოვალე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლი).

კუმულაციური ვალის გადაკისრების დროს ძველი მოვალე არ თავისუფლდება თავისი ვალდებულებისაგან. იგი რჩება ვალდებული კრედიტორის წინაშე, ხოლო მესამე პირი ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში შემოდის თანამოვალის სახით. კუმულაციურ ვალის გადაკისრებას მეორენაირად შეგვიძლია ვალის დელეგირება (დელეგაცია) ვუწოდოთ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს ***მხოლოდ პრივატული ვალის გადაკისრებას*** და მისთვის უცნობია ხელშეკრულების საფუძველზე კუმულაციური ვალის გადაკისრების – ე.წ. ვალის დელეგირების შესახებ ზოგადი ნორმები. სამაგიეროდ, ვალდებულებითი სამართლის განსაკუთრებულ ნაწილში მოიპოვება ნორმა, რომელიც ადგენს კანონისმიერი ვალის დელეგირებას. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 566-ე მუხლში აღნიშნულია: ***„თუ დამქირავებელმა ნივთი სარგებლობისათვის მესამე პირს გადასცა, გამქირავებელს შეუძლია ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ მესამე პირს მოსთხოვოს ნივთის დაბრუნება“.*** სარგებლობაში ნივთის გადაცემით გამქირავებელს უჩნდება ახალი მოვალე მოსარგებლე მესამე პირის სახით ისე, რომ დამქირავებელი არ თავისუფლდება თავისი ვალდებულებისაგან.

იმისდა მიხედვით, თუ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის რომელი მხარის მიერ იდება ვალის გადაკისრების ხელშეკრულება, განასხვავებენ:

1. ვალის გადაკისრების ხელშეკრულებას ***კრედიტორსა და ახალ მოვალეს შორის***;
2. ვალის გადაკისრების ხელშეკრულებას ***ძველ და ახალ მოვალეებს შორის*** (სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლი).

როგორც ჩვეულებრივი გარიგება, ვალის გადაკისრება ექვემდებარება გარიგებათა ნამდვილობის ზოგად მოთხოვნებს:

- მხარეთა ქმედუნარიანობა;
- გარიგების დადების ნების გამოვლენა;
- მხარეთა ნების გამოვლენის თანხვედრა.

რაც შეეხება ***ფორმას***, მოთხოვნის დათმობის მსგავსად, ვალის გადაკისრებაც ზოგადი წესით არ წარმოადგენს ფორმასავალდებულო გარიგებას და იგი შეიძლება დაიდოს ***ნებისმიერი ფორმით***, მათ შორის, ზეპირადაც. თუმცა, გერმანული სამართლის მეცნიერებაში აღიარებული მოსაზრების თანახმად, როდესაც ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისათვის დადგენილია განსაკუთრებული ფორმა, მისი დაცვა სავალდებულო ხდება ამ ურთიერთობიდან გამომდინარე ვალის გადაკისრებისათვის.

ვალის გადაკისრების ***საგანს*** შეადგენს ვალები, რომლებიც შეიძლება იყოს ნებისმიერი სახის, მათ შორის, ნატურალური ვალდებულებებიდან გამომდინარე ვალები და ვალები, რომელთა თაობაზეც მიმდინარეობს სასამართლო პროცესი[48]. დასაშვებია მომავალი ვალების გადაკისრება. ამ შემთხვევაში ვალი გადაცემულად ჩაითვლება (ცხადია, ამაზე კრედიტორის თანხმობის არსებობის შემთხვევაში) მხოლოდ ვალის წარმოშობის მომენტიდან ისე, რომ დამატებითი შეთანხმება საჭირო არ არის.

ვალის გადაკისრების სამართლებრივი ბუნების გარკვევისას აუცილებელია მისი სამოქალაქო სამართლის სხვა ინსტიტუტებისაგან გამიჯვნა. გარკვეული მსგავსებების მიუხედავად, ვალის გადაკისრება განსხვავდება ***თავდებობისაგან*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 891-ე მუხლი). საერთო კუმულაციური ვალის გადაკისრებასა და თავდებობის ერთერთ სახეს – სოლიდარულ თავდებობას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლი) აქვს ის, რომ ორივე შემთხვევაში კრედიტორს უშუალო მოთხოვნის უფლება აქვს როგორც ახალი მოვალის, ისე თავდების მიმართ. მაგრამ დოგმატურად ამ სამართლებრივ ინსტიტუტებს შორის სხვაობა ძნელი დასადგენი არ არის: თავდები კისრულობს, თავდებად დადგეს სხვისი ვალისათვის, როდესაც კუმულაციური ვალის გადაკისრებით ახალი მოვალე ვალს კისრულობს როგორც თავის საკუთარს. მაგრამ ხშირ შემთხვევებში მხარეები ვერ აცნობიერებენ ამ სხვაობას; შესაბამისად, ნაკლებად თუ შეიძლება მათი განმარტებების სიტყვასიტყვითი გაგებიდან იმ დასკვნის გაკეთება: სახეზე არის ვალის გადაკისრება თუ თავდებობა. ამიტომ გერმანული სამართლის მეცნიერებაში შეიქმნა ***ე.წ. „ეკონომიკური სხვაობის კრიტერიუმი“.*** ამ კრიტერიუმის თანახმად, ვალის გადაკისრების წინაპირობაა ახალი მოვალის საკუთარი ეკონომიკური ინტერესი, როდესაც თავდებს ასეთი ინტერესი არა აქვს[49]. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ განსხვავებული მოთხოვნებია დადგენილი ამ გარიგებათა ფორმის მიმართაც.

ვალის გადაკისრების წინაპირობების არსებობა დამოკიდებულია ვალის გადაკისრების ხელშეკრულების სახესა და სუბიექტურ შემადგენლობაზე. თუ ვალის გადაკისრების ხელშეკრულება იდება ***კრედიტორსა და ახალ მოვალეს*** შორის, ამ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებული არ არის სხვა პირის, მათ შორის, ძველი მოვალის თანხმობაზე. თუმცა, სამოქალაქო კოდექსი ძველ მოვალეს შესაძლებლობას აძლევს, არ დაეთანხმოს

---

48 Palandt - Bürgerliches Gesetzbuch, bearbeitet von Bassenge, Diederichsen, Edenhofer, Heinrichs, Heldrich, Putzo, Thomas, 52. neubearbeitete Auflage, C. H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, München, 1993, გვ. 461

49 Dr. Dieter Medicus – Schuldrecht, I Allgemeiner Teil, C. H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, München, 1986, გვ. 362

კრედიტორსა და ახალ მოვალეს შორის დადებულ ხელშეკრულებას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მას არ ერთმევა უფლება, თვითონ შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვე თავისუფალია ვალდებულებისაგან. ასეთი შესრულება სათანადოდ ჩაითვლება და ვალდებულება წყდება.

თუ პრივატული ვალის გადაკისრების ხელშეკრულება იდება ***ძველ და ახალ მოვალეებს შორის,*** ასეთი გარიგების სამართლებრივი ძალა მერყევ მდგომარეობაშია და დამოკიდებულია ***კრედიტორის თანხმობაზე*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 204-ე მუხლი). ვალის გადაკისრების ამ სახის კრედიტორის თანხმობაზე ჩამოკიდება განპირობებულია კანონის მიერ ამ უკანასკნელის ინტერესების დაცვით. თუ მოთხოვნის დათმობის ნამდვილობისათვის მოვალის თანხმობას კანონი არ ითხოვს იმ მოსაზრებით, რომ მოვალისათვის, როგორც წესი, მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვის მიმართ შეასრულებს ვალდებულებას, – ვალის გადაკისრების დროს კრედიტორი დაინტერესებულია მოვალის ბონიტეტით; კრედიტორი მოვალესთან ამყარებს ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას სწორედ იმის გამო, რომ სჯერა მისი გადახდისუნარიანობის. ამ უკანასკნელის მხრიდან იმის შესაძლებლობა, რომ შეცვალოს თავისი თავი სხვა პირით, კრედიტორის თანხმობის გარეშე, ამ რწმენას ყოველგვარ საფუძველს აცლის[50].

პრივატული ვალის გადაკისრების შედეგად ახალი მოვალე იკავებს ძველი მოვალის ადგილს ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში. ვალის გადაკისრების დროს კრედიტორის მოთხოვნა არ იცვლება. ამიტომ მოვალეს შეუძლია კრედიტორს წაუყენოს ყველა ის ***შესაგებელი***, რომლებიც კრედიტორსა და ძველ მოვალეს შორის არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 205-ე მუხლი). შესაგებლის ცნება ფართო მნიშვნელობით უნდა იქნეს გაგებული[51]. იგი მოიცავს ყველანაირ მატერიალურ და პროცესუალურ სამართლებრივი დაცვის საშუალებას, რომელიც მიმართულია კრედიტორის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ. ახალ მოვალეს შეუძლია, აგრეთვე, მოიყვანოს საფუძვლები, რომლებიც იწვევს ვალის გადაკისრების ბათილობას. ამასთან, თუ მოხდა ვალის გადაკისრების გაბათილება, მოვალის შეცვლას აღარ ექნება ადგილი ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში[52].

კუმულაციური ვალის გადაკისრების შედეგად ძველი მოვალე არ თავისუფლდება თავისი ვალდებულებისაგან. ახალი მოვალე ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში შემოდის თანამოვალის სახით და შედეგად კრედიტორს ჰყავს არა ერთი, არამედ ერთდროულად ორი მოვალე. მოვალეები ***სოლიდარულად*** აგებენ პასუხს კრედიტორის წინაშე. კრედიტორს შეუძლია ვალდებულების შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მათგანს როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 465-ე მუხლი). ახალ მოვალესაც შეუძლია კრედიტორს წაუყენოს ამ უკანასკნელსა და მოვალეს შორის არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ყველა შესაგებელი, რომელიც აქვს მოვალეს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 466-ე მუხლი).

თუ კრედიტორის მოთხოვნა უზრუნველყოფილია აქცესორული უფლებებით, სამართლებრივად გადასაწყვეტი ხდება ამ უფლებების ბედი, პრივატული ვალის გადაკისრების შემთხვევაში.

---

50 Г. Ф. Шершеневич - Курс гражданского права, «Автограф», Тула, 2001, გვ. 377

51 Palandt - Bürgerliches Gesetzbuch, bearbeitet von Bassenge, Diederichsen, Edenhofer, Heinrichs, Heldrich, Putzo, Thomas, 52. neubearbeitete Auflage, C. H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, München, 1993, გვ. 464-465

52 Palandt, იქვე

2002 წლის 28 დეკემბრამდე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 206-ე მუხლის რედაქცია შეცდომით იყო ჩამოყალიბებული. კერძოდ, მასში დაშვებული იყო მექანიკური გრამატიკული შეცდომა, რომელიც არასწორი თარგმანის შედეგი იყო53.

2002 წლის 28 დეკემბრის კანონით განხორციელებული ცვლილებებითა და დამატებებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 206-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: "ვალის გადაკისრებისთანავე წყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული თავდებობა და გირავნობა, თუკი თავდები ან დამგირავებელი არ განაცხადებს თანხმობას ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე".

კანონით დადგენილია ზოგადი წესი, რომლის თანახმადაც მოთხოვნასთან დაკავშირებული აქცესორული უფლებები ვალის გადაკისრებისთანავე უქმდება. მაგრამ წინადადების მე-2 ნაწილით შინაარსობრივად იგი ამ წესიდან უშვებს გამონაკლისს იმ შემთხვევებისათვის, როდესაც თავდები და დამგირავებელი უარს არ აცხადებენ თავდებობისა თუ გირავნობის ურთიერთობის გაგრძელებაზე. რატომ გადაწყვიტა კანონმა, რომ ვალის გადაკისრების შემთხვევაში თავდებობა და გირავნობა უნდა გაუქმდეს, თუკი საწინააღმდეგო გადაწყვეტას ვხვდებით მოთხოვნის დათმობის შემთხვევისათვის?

თავდებმა და დამგირავებელმა კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფაზე თანხმობა განაცხადეს, ***მოვალის პიროვნების გამო.*** ისინი მას იცნობენ, მას ენდობიან; ამასთან, ენდობიან არა მარტო იმის გამო, რომ იგი შეასრულებს ვალდებულებებს, არამედ იმისათვის, რომ იგი გადახდისუნარიანია. ეს რწმენა იკარგება, როდესაც ხდება ვალის გადაკისრება. ახალი მოვალე შეიძლება იყოს არაკეთილსინდისიერი ან გადახდისუუნარო; მეტი შესაძლებლობა იქმნება, რომ დადგეს აქცესორული უფლებების რეალიზაციის საკითხი. როგორც ჩანს, იკვეთება თავდებისა და დამგირავებლის ინტერესების დაცვის აუცილებლობა.

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. თავისი იურიდიული ბუნებით, როგორი გარიგებაა მოთხოვნის დათმობა?
2. რა წინაპირობის არსებობაა საჭირო მოთხოვნის დათმობის ნამდვილობისათვის?
3. განმარტეთ ვალის გადაკისრება;
4. რა წინაპირობის არსებობაა საჭირო ვალის გადაკისრების ნამდვილობისათვის?
5. როგორია ვალის გადაკისრების სამართლებრივი შედეგები?

7. ბინის საკუთრება მრავალბინიან სახლში

I. ზოგადად

ბინის საკუთრება მრავალბინიან სახლში, თავისი განსაკუთრებული სამართლებრივი ბუნების გამო, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გათვალისწინებულ იქნა ცალკე თავად – თავი მეოთხე (მუხლები 208-232). იგი არსებითად რეცეფცირებულ იქნა გერმანული სამართლიდან. 2007 წლის 11 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა (ცალკე) კანონი ***„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ",*** რის შედეგადაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არსებული მრავალბინიან სახლში ბინის საკუთრების მომწესრიგებელი 25 მუხლიდან 23 გაუქმდა, ხოლო დანარჩენი 2 – ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. პრაქ-

53 2002 წლის 28 დეკემბრამდე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 206-ე მუხლის ნორმა შემდეგნაირად ჟღერდა: "ვალის გადაკისრებისთანავე შეწყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული თავდებობა და გირავნობა, თუკი თავდები ან დამგირავებელი უარს არ იტყვის ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე".

ტიკულად მთელი საკანონმდებლო მასალა გადატანილ იქნა ახალ კანონში „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“, რომელიც შედგება ***31 მუხლისაგან.***

ქართველი კანონმდებლის უდავო დამსახურებად შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსსა და „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონში ბინის საკუთრების სამართლებრივი ინსტიტუტის ჩამოყალიბებისას კანონების ავტორებმა გაიზიარეს გერმანული კანონის ***მხოლოდ ფუნდამენტალური პრინციპები*** და პირდაპირ გადმოიღეს მხოლოდ უმნიშვნელოვანესი ნორმები. სხვა მხრივ, ბინის საკუთრების სამართლებრივი ინსტიტუტის რეგულირება საკმაოდ ორიგინალური, მარტივი და მოქნილია.

II. საკუთრების უფლება

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონით დაზუსტდა ***ბინის ცნება***. კერძოდ, ბინად მიიჩნევა როგორც ინდივიდუალური საკუთრების საგანი, რომელიც შეიძლება იყოს ერთ სისტემაში გაერთიანებული (ურთიერთდაკავშირებული) მომიჯნავე სათავსების ერთობლიობა, ისე იზოლირებული სათავსი (სათავსების ერთობლიობა), რომელიც გამოიყენება საცხოვრებლად ან არასაცხოვრებელი, მათ შორის, კომერციული მიზნებისათვის. ***ინდივიდუალურ საკუთრებას*** წარმოადგენს როგორც ბინა და არასაცხოვრებელი ფართობის საკუთრება, ისე მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსები (სარდაფები, სხვენები და ა.შ.), რომლებიც იმყოფება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის მფლობელობაში.

ბინების მესაკუთრეთა (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა) ***საერთო ქონებას*** წარმოადგენს ის მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია მრავალბინიანი სახლი, თავად მრავალბინიანი სახლი, მასთან დაკავშირებული მომსახურე საინჟინრო ქსელების, მოწყობილობა-დანადგარების, შენობა-ნაგებობებისა და კეთილმოწყობის ობიექტების ერთობლიობა, რომლებიც არ იმყოფება ინდივიდუალურ საკუთრებაში. მხოლოდ ამხანაგობის ყველა წევრის ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით შესაძლებელია ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში შემავალი შემდეგი ობიექტების სარგებლობაში გადაცემა:

– კიბის უჯრედები და კიბეები;

– ლიფტები, სალიფტე თუ სხვაგვარი საერთო სარგებლობის შახტები და არხები;

– საერთო სარგებლობის დერეფნები და გალერეები;

– ტექნიკური სართულები, მზიდი და შემომზღუდავი არამზიდი (ფასადის) კონსტრუქციები, სახურავები;

– მრავალბინიანი სახლის მომსახურე მექანიკური, ელექტრო-, სანტექნიკური და სხვაგვარი მოწყობილობა-დანადგარები.

მესაკუთრის წილი ბინების მესაკუთრეთა (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა) საერთო ქონებაში განისაზღვრება მის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართობის ***შეფარდებით*** მრავალბინიანი სახლის საერთო ფართობთან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 208-ე მუხლის ახალი რედაქციის თანახმად, ინდივიდუალური საკუთრების საგანზე საკუთრების უფლების შეძენისა და დაკარგვისათვის დადგენილია ***უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შეძენის მიმართ არსებული წესების ანალოგიური ნორმები.*** კერძოდ, ინდივიდუალური საკუთრების საგანზე საკუთრების უფლების შეძენისათვის საჭიროა გამსხვისებელსა და შემძენს შორის ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადება და საკუთრების უფლების რეგისტრაცია სავალო რეესტრში. ინდივიდუალური საკუთრების საგანზე საკუთრების უფლების ***მიტოვებისათვის*** საჭიროა უფლებამოსილი პირის ცალმხრივი ნების გამოვლენა და ამ უკანასკნელის რეგისტრაცია სავალო რეესტრში. ერთადერთი დამატებითი წესი, რომელსაც კანონი სპეციალურად ბინის საკუთრების განკარგვის მიმართ ითვალისწინებს, მდგომარეობს იმაში, რომ მესაკუთრის მიერ ინდივიდუალური საკუთრების გასხვისება ან უფლებრივად დატვირთვა ხორციელდება მხოლოდ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში, ცალკეულ მესაკუთრეთა წილის გათვალისწინებით.

III. ურთიერთობები ბინის მესაკუთრეთა შორის

მრავალბინიან სახლებში არსებულმა ფაქტობრივმა მდგომარეობამ განაპირობა კანონმდებლის მიერ ბინათმესაკუთრეთა შორის კანონისმიერი ამხანაგობის ჩამოყალიბება – ***ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა***, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ დასაშვებად იქნა მიჩნეული:

– ერთ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ მრავალბინიან სახლში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ***ყველა წევრის*** მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს თანხმობით ერთი ან რამდენიმე სადარბაზოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის დაფუძნება;

– მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე მდებარე რამდენიმე მრავალბინიანი სახლის ***ყველა ბინის მესაკუთრის*** მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს თანხმობით, ერთი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის დაფუძნება;

– ორ ან ორზე მეტ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე არსებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეების მიერ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ***მესაკუთრეთა ამხანაგობის შექმნა***.

აღსანიშნავია, რომ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონი საკმაოდ დეტალურად აწესრიგებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა ურთიერთუფლებებსა და ვალდებულებებს, თუმცა, აღნიშნული უფლებებისა და ვალდებულებების მომწესრიგებელი ნორმების უმრავლესობა დისპოზიციურია და შეიძლება შეიცვალოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა შორის შეთანხმებით.

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. რა არის ბინა?
2. რა ობიექტები მიეკუთვნება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას?
3. რა იურიდიული სტატუსი აქვს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას?

8. სარგებლობის სანივთო უფლებები

I. აღნაგობა

ა. აღნაგობის უფლების ცნება და შინაარსი. მისი სოციალური მნიშვნელობა

აღნაგობის უფლების დეტალური მოწესრიგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (მუხლები 233-241) გამოწვეულია სამართლებრივი ინსტიტუტის პრაქტიკულად ყველა მომწესრიგებელი ნორმის გერმანული სამართლიდან რეცეფციით. გერმანიაში აღნაგობა რეგულირებულია 1919 წლის 15 იანვარს მიღებული კანონით "აღნაგობის უფლების შესახებ" ("Verordnung über das Erbbaurecht" vom 15. Januar 1919), რომელიც შეიცავს 39 პარაგრაფს.

აღნაგობის უფლების ლეგალური დეფინიცია მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლ ნაწილში: "მიწის ნაკვეთი შეიძლება სხვა პირს გადაეცეს ვადიან სარგებლობაში ისე, რომ მას ჰქონდეს ამ ნაკვეთზე ან მის ქვეშ რაიმე ნაგებობის აღმართვის უფლება, ასევე ამ უფლების გასხვისების, მემკვიდრეობით გადაცემის, თხოვების, გაქირავების უფლება (აღნაგობის უფლება)". აღსანიშნავია ამ ნორმის დასაწყისში არსებული მნიშვნელოვანი თარგმნითი ხასიათის ხარვეზი: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ლი ნაწილი რეცეფცირებულია როგორც გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §1012 მე-2 ნაწილიდან, ისე "აღნაგობის უფლების შესახებ" კანონის §1 1-ლი ნაწილიდან, იგი

არაკორექტული თარგმანის გამო აღნაგობის უფლებას განმარტავს როგორც "მიწის ნაკვეთის სხვა პირისათვის ვადიან სარგებლობაში გადაცემას". თუმცა, ნორმის ასეთი რედაქცია მხოლოდ გერმანული ენიდან არასწორი თარგმანის შედეგია. კორექტული თარგმანი კი შემდეგნაირად ჟღერს: "მიწის ნაკვეთი შეიძლება დაიტვირთოს ისე, რომ იმ პირის, ვის სასარგებლოდაც განხორციელდა დატვირთვა, ეკუთვნოდეს ამ უფლების გასხვისების, მემკვიდრეობით გადაცემის, თხოვების, გაქირავების უფლება ან ჰქონდეს მიწის ნაკვეთზე ან მის ქვეშ რაიმე ნაგებობის აღმართვის უფლება (აღნაგობის უფლება)".

ამდენად, აღნაგობის უფლება წარმოადგენს ***შეზღუდულ სანივთო უფლებას, რომლის ძალითაც მიწის ნაკვეთი განსაზღვრული ვადით იტვირთება იმგვარად, რომ უფლებამოსილ პირს – მეაღნაგეს აქვს უფლება, იქონიოს მიწის ნაკვეთის ზედაპირზე ან მის ქვეშ შენობა-ნაგებობა.***
კანონი საუბრობს მხოლოდ ***ვადიან*** აღნაგობის უფლებაზე. შესაბამისად, მხარეებმა აღნაგობის უფლების დამდგენ შეთანხმებაში უნდა მიუთითონ აღნაგობის უფლების არსებობის ვადაზე. შესაძლებელია ასევე ვადა განისაზღვრებოდეს არა კალენდარული წლებით, არამედ მეაღნაგის სიცოცხლის ვადით. თუმცა, ყველა შემთხვევაში, კანონი ადგენს აღნაგობის უფლების ზღვრულ ვადას – ***99 წელიწადს*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 233-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

აღნაგობის უფლება ***განსხვისებადი და მემკვიდრეობით გადაცემადი უფლებაა.*** კანონით დასაშვებად არის მიჩნეული, აგრეთვე, უფლების თხოვება და ქირავნობა. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები აღნაგობის უფლების დამდგენ შეთანხმებაში მეაღნაგის მიერ თავისი უფლების განსხვისებისა თუ გაქირავების თავისუფლებას შეზღუდავენ მესაკუთრის თანხმობით, ამ უკანასკნელს მაინც არ შეუძლია ამ თანხმობაზე უარის განცხადება მნიშვნელოვანი საფუძვლის გარეშე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 235-ე მუხლი). ის, თუ რა უნდა იქნეს მიჩნეული მნიშვნელოვან საფუძვლად, განისაზღვრება სასამართლოს შეხედულებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებების გათვალისწინებით.

აღნაგობის უფლებას დიდი ***სოციალური მნიშვნელობა*** აქვს, ვინაიდან მისი მეშვეობით კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ ააშენონ საკუთარი საცხოვრებელი სახლი ან სხვა შენობა-ნაგებობა მიწის ნაკვეთის შეძენის გარეშე. ის სახსრები, რომლებიც მათ უნდა გამოეყენებინათ მიწის ნაკვეთის შეძენისათვის, აღნაგობის უფლების საფუძველზე, შენობა-ნაგებობის აშენების შემთხვევაში, მიემართება მხოლოდ მშენებლობის საწარმოებლად, ხოლო სასყიდლიანი აღნაგობის შემთხვევაში, – აგრეთვე, აღნაგობის საზღაურისათვის (ქირისათვის).

ბ. აღნაგობის უფლების სამართლებრივი რეჟიმი

აღნაგობის უფლება წარმოადგენს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების ***უძლიერეს და მაქსიმალურ დატვირთვას***. მის, როგორც მიწის ნაკვეთის მსგავსი უფლების, მიმართ გამოიყენება მიწის ნაკვეთის მიმართ გამოსაყენებელი ნორმების ძირითადი ნაწილი. შედეგად, აღნაგობის უფლება მოქცეულია მიწის ნაკვეთის მიმართ არსებულ სამართლებრივ რეჟიმში. აღნაგობის უფლება შეიძლება დაიტვირთოს იმავე უფლებებით, რომლებითაც იტვირთება მიწის ნაკვეთი თვით აღნაგობის უფლების ჩათვლით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, სახეზე გვექნება ***ე.წ. ქვეაღნაგობა***.

აღნაგობის უფლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ვალდებულების უზრუნველსაყოფადაც. ვინაიდან აღნაგობის უფლება მოქცეულია მიწის ნაკვეთის მიმართ არსებულ სამართლებრივ რეჟიმში, იგი იტვირთება ***იპოთეკის უფლებით*** (და არა გირავნობის უფლებით!).

აღნაგობის უფლების მიმართ იძულებითი აღსრულება მიმდინარეობს მსგავსად მიწის ნაკვეთის მიმართ წარმოებული იძულებითი აღსრულებისა. მეაღნაგეს მესაკუთრის მსგავსად ეკუთვნის სავინდიკაციო და ნეგატორული სარჩელები.

გ. აღნაგობის უფლების საფუძველზე აშენებული შენობა-ნაგებობის სამართლებრივი რეჟიმი

აღნაგობის უფლების საფუძველზე აშენებული შენობა-ნაგებობა ***არ წარმოადგენს მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს***. ამ დროს არ მოქმედებს სანივთო სამართალში აღიარებული ზოგადი წესი, რომლის თანახმადაც მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილებს განეკუთვნება შენობა-ნაგებობანი, თუ ისინი მყარადაა მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული და არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის. სწორედ აღნაგობის სანივთო უფლების ძალით შენობა-ნაგებობა წარმოადგენს არა მიწის ნაკვეთის, არამედ თავად აღნაგობის უფლების არსებით შემადგენელ ნაწილს და იგი რეგისტრაციაში ტარდება აღნაგობის უფლების მქონე პირის საკუთრებად (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 234-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ამდენად, შენობა-ნაგებობა საკუთრების უფლებით ეკუთვნის მეაღნაგეს და მხოლოდ აღნაგობის უფლების გაუქმების შემდეგ შენობა-ნაგებობა ავტომატურად, კანონის ძალით, მხარეთა შორის ყოველგვარი დამატებითი შეთანხმების გარეშე, გადადის მიწის ნაკვეთის მესაკუთრის საკუთრებაში.

დ. აღნაგობის უფლების დადგენა. რეგისტრაცია. აღნაგობის უფლების რიგითობა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღნაგობის უფლება მოქცეულია მიწის ნაკვეთის ***მიმართ არსებულ სამართლებრივ რეჟიმში***; შესაბამისად, მიწის დადგენისა და გადაცემისათვის გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის უძრავი ნივთების შეძენის მომწესრიგებელი ნორმები. კერძოდ, აღნაგობის უფლების დადგენისათვის საჭიროა წერილობითი ფორმით დადებული სანივთო შეთანხმება მესაკუთრესა და მეაღნაგეს შორის, მიწის ნაკვეთზე აღნაგობის უფლების დადგენის შესახებ და ამ შეთანხმების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. რამდენიმე მიწის ნაკვეთი შეიძლება დაიტვირთოს ერთი აღნაგობის უფლებით (ერთობლივი აღნაგობის უფლება), ისევე როგორც აღნაგობის უფლებით დატვირთული მიწის ნაკვეთის დაყოფისას შეიძლება შეიქმნას ერთობლივი აღნაგობის უფლება. გერმანული მეცნიერება და სასამართლო პრაქტიკა დასაშვებად მიიჩნევს აღნაგობის უფლების დადგენას მესაკუთრის მიერ საკუთარ მიწის ნაკვეთზე ცალმხრივი ნების გამოვლენით[54].

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს აღნაგობის უფლების დადგენას ***როგორც სასყიდლით, ისე უსასყიდლოდ***. საზღაური აღნაგობის უფლებისათვის მხარეებმა შეიძლება გადახედონ და თავიდან განსაზღვრონ აღნაგობის უფლების დადგენიდან, სულ ცოტა, 10 წლის გასვლის შემდეგ. ათწლიანი ვადის ლოდინი არ არის აუცილებელი, თუ ეკონომიკური პირობები არსებითად იცვლება. ამ შემთხვევაში, მხარეები თავიდან უნდა შეთანხმდნენ საზღაურის ოდენობაზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადება).

აღნაგობის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის სპეციფიკა, სხვა დანარჩენ შეზღუდულ სანივთო უფლებებთან შედარებით, მდგომარეობს იმაში, რომ აღნაგობის უფლების რეგისტრაციისას საჯარო რეესტრში უნდა გაიხსნას რეგისტრაციის ცალკე ფურცელი და თავად აღნაგობის უფლება ყოველთვის იკავებს მხოლოდ პირველ რიგს. ამასთან, ეს რიგი არ შეიძლება შემდგომში შეიცვალოს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 237-ე მუხლი). 237-ე მუხლის ნორმების მიზანია მეაღნაგის ინტერესების დაცვა აღნაგობის უფლებით დატვირთული მიწის ნაკვეთის მიმართ იძულებითი აღსრულების შემთხვევაში. კერძოდ, ამ მუხლის ნორმების დადგენით სამოქალაქო კოდექსის ავტორების სურვილი იყო, გამოერიცხათ აღნაგობის უფლების გაუქმება უფრო ადრე რეგიტრირებული იპოთეკის მქონე პირის მიერ განხორციელებული იძულებითი აღსრულების შედეგად. ასეთი მიზნის მისაღწევად სამოქალაქო კოდექსის ავტორებმა განსაზღვრეს სხვა სანივთო უფლებებთან შედარებით აღნაგობის უფლების უპირატესი რიგის პრინციპი მიუხედავად მისი რეგისტრაციის თარიღისა. თუმცა, 237-ე მუხლის ნორმები წინააღმდეგობაში მოდის ,,სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 75-ე მუხლის მე-4 ნაწილის

[54] Schwab, Prüttung, დასახელებული ნაშრომი, გვ. 408

მე-2 წინადადების დანაწესთან, რომლის თანახმადაც: „თუ იძულებით აღსრულებას ახორციელებს იპოთეკარი/მოგირავნე, საკუთრების გადასვლის შედეგად უქმდება ყველა სანივთო უფლება (გარდა საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლებისა), რომლებიც ქონებაზე რეგისტრირებულია იძულებითი აღსრულების განმახორციელებელი კრედიტორის იპოთეკის შემდეგ“. ამ ნორმის არსით ყველა სანივთო უფლებაში იგულისხმება აღნაგობის უფლებაც. ამ შემთხვევაში სახეზეა კერძო და საჯარო-სამართლებრივ ნორმათა კოლიზია, რომელიც წყდება „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის საფუძველზე. ეს უკანასკნელი ადგენს, რომ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება უფრო გვიან მიღებულ (გამოცემულ) ნორმატიულ აქტს (მე-7 მუხლის მე-8 ნაწილი). „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 75-ე მუხლის მე-4 ნაწილი მიღებულ იქნა 2012 წლის 30 მარტს. ამდენად, ფორმალურ-იურიდიული მიდგომით 75-ე მუხლის მე-4 ნაწილის ნორმას ენიჭება უპირატესობა სამოქალაქო კოდექსის 237-ე მუხლის ნორმებთან შედარებით, თუმცა, საკითხის ასეთი გადაწყვეტა არ შეესაბამება იმ დიდ სოციალურ მნიშვნელობას, რასაც კანონმდებელი ანიჭებს აღნაგობის უფლებას[55].

ე. აღნაგობის უფლების გაუქმება

აღნაგობის უფლება უქმდება იმ ***ვადის გასვლით,*** რა ვადითაც იგი იყო დადგენილი. აღნაგობის უფლების შემადგენელი ნაწილები ხდება მიწის ნაკვეთის შემადგენელი ნაწილები. შესაბამისად, მეაღნაგის მიერ აშენებულ შენობა-ნაგებობაზე საკუთრების უფლება გადადის მიწის ნაკვეთის მესაკუთრეზე. თუ აღნაგობის უფლების დამდგენ შეთანხმებაში მხარეებს შორის განსაზღვრული იყო საზღაური აღნაგობის უფლებისათვის, მაშინ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ვალდებულებას, მეაღნაგეს მისცეს ანაზღაურება ამ ნაკვეთზე აღმართული ნაგებობის ღირებულების ორი მესამედის ოდენობით, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმების ანალიზიდან ჩანს, კოდექსი არ ითვალისწინებს საზღაურის გადახდას უსასყიდლო აღნაგობის შემთხვევაში იმ მოტივით, რომ ვინაიდან აღნაგობის ურთიერთობის განმავლობაში მეაღნაგემ არაფერი გადაუხადა მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, ეს უკანასკნელი არც უნდა იყოს ვალდებული რაიმე საზღაურის გადახდაზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ასეთი პოზიცია მართებულად არ უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან, მიუხედავად აღნაგობის ურთიერთობის უსასყიდლო ხასიათისა, აღნაგობის უფლების გაუქმების შედეგად მეაღნაგე კარგავს თავის საკუთრებაში არსებულ დიდი ღირებულების მქონე ქონებას – აშენებულ შენობა-ნაგებობას. საზღაურის გადახდის მიზანია სწორედ შენობა-ნაგებობის ღირებულების კომპენსაცია.

მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია თავი აარიდოს ანაზღაურების გადახდის ვალდებულებას, მეაღნაგისათვის შენობა-ნაგებობის არსებობის სავარაუდო ***ვადით გაგრძელების შეთავაზებით,*** თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. თუ მეაღნაგემ უარი განაცხადა ვადის გაგრძელებაზე, მაშინ ანაზღაურების მოთხოვნა უქმდება. აღნაგობის უფლების გაუქმების შემდეგ აღნაგობიდან წარმოშობილი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება საჯარო რეესტრში იკავებს აღნაგობის უფლების ადგილს და იმავე რიგით ცვლის მას. თუ აღნაგობის უფლება მისი ვადის გასვლის დროისათვის ჯერ კიდევ დატვირთულია იპოთეკით, იპოთეკარს აქვს ანაზღაურების მოთხოვნაზე გირავნობის უფლება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 240-ე მუხლი). აღნაგობის უფლების გაუქმებისას მეაღნაგეს არა აქვს შენობა-ნაგებობის ან მისი შემადგენელი ნაწილების თან წაღების უფლება.

მეაღნაგის მიერ დადებული ***ქირავნობისა თუ იჯარის ხელშეკრულებები*** აღნაგობის უფლების გაუქმების შემდეგ ძალაში რჩება; მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ხდება ამ ხელშეკრულებების

[55] ზურაბ ჭეჭელაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი ინტერნეტ საიტზე www.gccc.ge, იხ. 237-ე მუხლის კომენტარი

მონაწილე გამქირავებლის ან მეიჯარის სახით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 241-ე მუხლი).

აღნაგობის უფლება შეიძლება გაუქმდეს მეაღნაგის მიერ მასზე ***ცალმხრივი უარის განცხადებით***. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 184-ე მუხლის თანახმად, აღნიშნული უარი რეგისტრირებულ უნდა იქნეს საჯარო რეესტრში. ამასთან, მეაღნაგის უარის სამართლებრივი ძალა დამოკიდებულია მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობაზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 238-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

აღნაგობის უფლება ***არ უქმდება შენობა-ნაგებობის დანგრევით***.

II. სერვიტუტები

ა. სერვიტუტის ზოგადი ცნება და სახეები. სერვიტუტების მნიშვნელობა თანამედროვე ცხოვრებაში

აღნაგობის უფლებასთან ერთად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იცნობს სარგებლობის ისეთ სანივთო უფლებებს როგორიცაა ***მიწის სერვიტუტები (უძრავი ნივთების სერვიტუტები), პირადი სერვიტუტები და უზუფრუქტი.*** ამ სანივთო უფლებებს აქვს კრებსითი სახელწოდება – სერვიტუტები. იურიდიულ ლიტერატურაში სერვიტუტების ***კლასიფიკაცია 2 ნიშნის მიხედვით*** ხდება:

1. უფლებამოსილი პირის პიროვნებისა და
2. შინაარსის მიხედვით.

უფლებამოსილი პირის მიხედვით განასხვავებენ ***მიწისა (უძრავი ნივთის) და შეზღუდულ პირად სერვიტუტს.*** მიწის (უძრავი ნივთის) სერვიტუტი მიეკუთვნება განსაზღვრული მიწის ნაკვეთის (უძრავი ნივთის) მესაკუთრეს სხვა პირის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე. ამდენად, იგი მყარად არის დაკავშირებული მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებასთან, მიუხედავად მესაკუთრის პიროვნებისა. თავის მხრივ, შეზღუდული პირადი სერვიტუტი ყოველთვის დაკავშირებულია კონკრეტულ პიროვნებასთან.

შინაარსის მიხედვით განასხვავებენ ***შეზღუდული და სრული სარგებლობის სერვიტუტებს.*** მიწის (უძრავი ნივთის) შეზღუდული პირადი სერვიტუტები უფლების მფლობელს ანიჭებს მხოლოდ შეზღუდულ სარგებლობას. სრული სარგებლობის სერვიტუტს მიეკუთვნება უზუფრუქტი.

სერვიტუტებს თანამედროვე ცხოვრებაში ***აღარ აქვს ის პრაქტიკული მნიშვნელობა,*** რომელიც მათ ჰქონდა რომის იმპერიის პერიოდიდან მე-19 საუკუნის ჩათვლით. მე-20 საუკუნის განმავლობაში გაჩნდა ტენდენცია იმ სამართლებრივი ურთიერთობების საჯაროსამართლებრივი ნორმებით მოწესრიგებისა, რომლებიც ადრე სერვიტუტის კერძოსამართლებრივი ინსტიტუტის რეგულირების საგანს წარმოადგენდა, მაგ., მშენებლობის წესები, ურბანიზაცია და ა.შ. სერვიტუტის გამოყენების სფეროც და, შესაბამისად, თავად ამ სანივთო უფლების მნიშვნელობაც თანდათანობით, მაგრამ უწყვეტად მცირდება; მაგალითად, საჯარო გზების ფართოდ მშენებლობის შედეგად გზის სერვიტუტის საჭიროება პრაქტიკულად აღარ არსებობს. ასევე პრაქტიკაში ვერ ვხვდებით წყლის სერვიტუტსაც, საჯარო სარწყავი სისტემის არსებობის გამო და ა.შ. თანამედროვე ქართულ სოფელში სერვიტუტის სამართლებრივი ინსტიტუტის გამოუყენებლობა გამოწვეულია ასევე სხვა მრავალი მიზეზითაც, რომელთა შორისაც უმთავრესია მოსახლეობის განათლებისა და თავად სოფლის მეურნეობის განვითარების მეტად დაბალი დონე. შეიძლება ითქვას, რომ 1997 წელს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებით სერვიტუტის სამართლებრივი ინსტიტუტი თავიდანვე განწირული იყო გამოუყენებლობისათვის. ვფიქრობთ, თანდათან სერვიტუტებმა უფრო ფართო როლი უნდა ითამაშოს ისეთი ფაქტობრივი ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგებისათვის, როდესაც ადგილი აქვს სხვა პირის კუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების (წყლის მილი, მაღალი ძაბვის გადამცემი ბოძი და სხვა) მესაკუთრის მიწის ნაკვეთზე გატარებას.

ბ. მიწის (უძრავი ნივთის) სერვიტუტები

მიწის სერვიტუტი წარმოადგენს სანივთო უფლებას, რომელიც უფლებამოსილ პირს – მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს უფლებას ანიჭებს, ***განსაზღვრულ ფარგლებში ისარგებლოს*** სხვა პირის კუთვნილი მიწის ნაკვეთით ან ამ უკანასკნელს ***ეკრძალება განსაზღვრული მოქმედებების განხორციელება საკუთარი მიწის ნაკვეთის*** – მომსახურე მიწის ნაკვეთის მიმართ, უფლებამოსილი პირის ინტერესების შესაბამისად, ანდა მომსახურე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს ***ასევე ეკრძალება განსაზღვრული მოქმედებების განხორციელება სხვა მიწის ნაკვეთის მიმართ*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 247-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

მიწის სერვიტუტების შემთხვევაში, ერთმანეთთან კავშირშია ორი მიწის ნაკვეთი: ერთი დატვირთული – ***"მომსახურე მიწის ნაკვეთი"*** და მეორე მიწის ნაკვეთი, რომლის სასარგებლოდაც არსებობს დატვირთვა – ***"გაბატონებული მიწის ნაკვეთი".*** ამასთან, აუცილებელი არ არის, ისინი მეზობლად მდებარეობდეს.

მიწის სერვიტუტი უფლების მფლობელს ეკუთვნის არა როგორც პირს, არამედ როგორც მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს. გაბატონებული მიწის ნაკვეთის ნებისმიერი მესაკუთრე არის ამავე დროს მიწის სერვიტუტის მფლობელი. ვინაიდან უფლებამოსილი პირი არა პიროვნულად, არამედ მხოლოდ გაბატონებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მეშვეობით არის მიწის სერვიტუტის მფლობელი, მიწის სერვიტუტი განისაზღვრება როგორც სუბიექტურ-სანივთო უფლება, რომელსაც უპირისპირდება სუბიექტურ-პერსონალური უფლებები[56].

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 247-ე მუხლის თანახმად, მიწის სერვიტუტის ***შინაარსი*** წარმოგვიდგება შემდეგ უფლებამოსილებებად:

ა) უპირველეს ყოვლისა, უფლებამოსილ პირს, სერვიტუტის უფლების საფუძველზე, შეუძლია ***განსაზღვრულ ფარგლებში ისარგებლოს*** მომსახურე მიწის ნაკვეთით. სარგებლობის სახეები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს: მომსახურე მიწის ნაკვეთზე ***გავლის, წყლის გატარების, საქონლის ძოვებისა*** და სხვა უფლებები. მომსახურე მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ვალდებულია, ითმინოს აღნიშნული სარგებლობა.

ბ) მიწის სერვიტუტიდან გამომდინარე, მეორე უფლებამოსილება მდგომარეობს მომსახურე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიერ კუთვნილი მიწის ნაკვეთის მიმართ ***განსაზღვრული მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებაში;*** მესაკუთრემ არ უნდა განახორციელოს ის მოქმედებები, რომელთა შესრულებაზეც იგი უფლებამოსილი იქნებოდა საკუთრების უფლების ძალით.

გ. მიწის სერვიტუტის დადგენა და არსებობის პირობები. მიწის სერვიტუტის გაუქმება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში სერვიტუტის მომწესრიგებელი ნორმები (მუხლები 247-253) არაფერს ამბობს სერვიტუტის დადგენის წესის შესახებ. ამიტომ ამ საკითხის გარკვევისას უნდა ვიხელმძღვანელოთ უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შეძენის შესახებ ზოგადი წესებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ***183-ე მუხლის თანახმად***, მიწის სერვიტუტის დადგენა ხორციელდება წერილობითი ფორმით დადებული სანივთო შეთანხმებითა და მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით. ამ დროსაც მოქმედებს განსაზღვრულობის პრინციპი. ერთი და იგივე მიწის ნაკვეთი შეიძლება დაიტვირთოს მხოლოდ ერთი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის სასარგებლოდ; რამდენიმე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის სასარგებლოდ სერვიტუტის დადგენა დაუშვებელია. თუ სერვიტუტით გამოყენებისათვის აუცილებელია მხოლოდ მიწის ნაკვეთის ნაწილი, მაშინ სერვიტუტით სარგებლობის ადგილი შეიძლება განისაზღვროს მისი ფაქტობრივი გამოყენების გზითაც. მიწის სერვიტუტის დადგენა, როგორც წესი, ხდება უვადოდ[57].

[56] Wolf, Manfred – Sachenrecht, 19. Auflage, C. H. Beck'sche Verlagsbuchhandlung, München, 1996, გვ. 394

[57] Wolf, Manfred, დასახელებული ნაშრომი, გვ. 396

გარდა გაუქმების შესახებ მხარეთა შორის შეთანხმებისა, სერვიტუტი უქმდება ასევე უფლებამოსილი პირის თავის უფლებაზე ***ცალმხრივი უარით***. როგორც გაუქმების შესახებ შეთანხმება, ასევე ცალმხრივი ნების გამოვლენა საჭიროებს წერილობითი ფორმით დადებასა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.

მიწის სერვიტუტი ყველა შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იმ პირობით, რომ იგი ***უფლებამოსილ პირს უქმნის თავისი მიწის ნაკვეთით სარგებლობის შეღავათს*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 248-ე მუხლი). ამიტომ მიწის სერვიტუტი მომსახურე მიწის ნაკვეთს უსარგებლოდ არ უნდა ტვირთავდეს, არამედ მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც არსებობს ობიექტური საჭიროება. ამასთან, მიწის სერვიტუტის სანივთო-სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, სარგებლის შექმნა უნდა ხდებოდეს გაბატონებული მიწის ნაკვეთის და არა მისი იმჟამინდელი მესაკუთრისათვის. საკმარისია ასევე არსებობდეს მომავალი სარგებლის მიღების ალბათობაც, რომელიც შეიძლება მხარეებმა ივარაუდონ მიწის სერვიტუტის დადგენისას[58].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის სერვიტუტი უქმდება და, შესაბამისად, მის შესახებ ჩანაწერი ექვემდებარება საჯარო რეესტრიდან ამოშლას, თუ სახეზე აღარ არის მისი არსებობის პირობები. მაგალითად, თუ გაბატონებული მიწის ნაკვეთს აღუდგა აუცილებელი კავშირი საჯარო გზასთან, შესაბამისად, აღარ არსებობს მომსახურე მიწის ნაკვეთზე გზის სერვიტუტის გამოყენების აუცილებლობაც.

გაბატონებული მიწის ნაკვეთის გაყოფის შემთხვევაში, მიწის სერვიტუტი გრძელდება ***თითოეულ ნაწილზე ცალ-ცალკე***. ამ დროს სერვიტუტის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს არ გააუარესებს დატვირთული მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მდგომარეობას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 250-ე მუხლი).

მომსახურე მიწის ნაკვეთის გაყოფის შემთხვევაში, თუ სერვიტუტი ვრცელდებოდა მიწის ნაკვეთის მხოლოდ ერთ ნაწილზე, გაყოფის შემდეგაც მიწის ნაკვეთის ის ნაწილი, რომელზედაც სერვიტუტი არ იყო დადგენილი, მისგან თავისუფალი რჩება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 250-ე მუხლი).

დ. კანონისმიერი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა

მიწის სერვიტუტის უფლების ნებისმიერ მფლობელსა და მომსახურე მიწის ნაკვეთის ნებისმიერ მესაკუთრეს შორის მიწის სერვიტუტის ძალით არსებობს ***ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა***, რომლის ცალკეული მხარეები მოწესრიგებულია თავად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით.

უპირველეს ყოვლისა, მიწის სერვიტუტის სანივთო შეთანხმება მხარეთა შორის შეიძლება შეთანხმებულ იქნეს ***საზღაური*** მიწის სერვიტუტისათვის, რომელიც, როგორც წესი, განისაზღვრება პერიოდული გადასახდელების სახით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 247-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

მიწის სერვიტუტის ძალით უფლებამოსილი პირი ვალდებულია, პატივი სცეს მომსახურე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ინტერესებს და მაქსიმალურად ფრთხილად ისარგებლოს თავისი უფლებით. თუ მიწის სერვიტუტით სათანადოდ სარგებლობა მოიცავს მომსახურე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობით სარგებლობასაც, მაშინ უფლებამოსილ პირს ეკისრება შენობა-ნაგებობის სათანადოდ მოვლის ვალდებულება. მხარეები შეიძლება ასევე შეთახმდნენ, რომ შენობა-ნაგებობის ***მოვლის ვალდებულება*** დაეკისროს მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს იმ პირობით, თუ ამას მოითხოვს უფლებამოსილი პირის ინტერესები (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 248-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 249-ე მუხლი).

[58] Wolf, Manfred, დასახელებული ნაშრომი, გვ. 398

ე. მიწის სერვიტუტის დაცვა

მიწის სერვიტუტი, როგორც სანივთო უფლება ***დაცულია კანონით*** ნებისმიერი პირის მიმართ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 252-ე მუხლის ნორმა უფლებამოსილ პირს ანიჭებს მფლობელობითი დაცვის სარჩელებს. კერძოდ, მას სერვიტუტის დარღვევის წინააღმდეგ შეუძლია გამოიყენოს როგორც სავინდიკაციო, ისე ნეგატორული სარჩელები, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 160-ე და 161-ე მუხლების შესაბამისად.

ვ. შეზღუდული პირადი სერვიტუტი

შეზღუდული პირადი სერვიტუტი შინაარსობრივად შეესაბამება მიწის სერვიტუტს, თუმცა, ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, იგი დაკავშირებულია განსაზღვრულ პიროვნებასთან და კონკრეტულ ნივთზე (მიწის ნაკვეთზე) საკუთრების უფლებასთან. შესაბამისად, შეზღუდული პირადი სერვიტუტის შემთხვევაში, განმსაზღვრელია უფლებამოსილი პირის პირადი მოთხოვნილებები, რომელთა შორისაც ძირითადს ასახელებს თავად კანონი – შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის გამოყენება უფლებამოსილი პირის ან მისი ოჯახისათვის საცხოვრებლად (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 253-ე მუხლი).

შეზღუდული პირადი სერვიტუტი ***არ ექვემდებარება გადაცემას***, თუმცა, მისგან გამომდინარე უფლებამოსილებების გამოყენება სხვა პირების მიერ ქირავნობის ან იჯარის ურთიერთობის ფარგლებში დასაშვებია იმ პირობით, თუ ასეთი გამოყენება არ ეწინააღმდეგება სერვიტუტის შინაარსს. უფლებამოსილებების გამოყენება ყოველთვის საჭიროებს დატვირთული მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობას[59].

III. უზუფრუქტი

ა. უზუფრუქტის ცნება და შინაარსი. სახეები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, განსხვავებით არა მარტო გერმანიის სამოქალაქო კოდექსისაგან, არამედ რომანულ-გერმანული სამართლის სისტემას მიკუთვნებული სხვა ქვეყნების კანონმდებლობებისაგან, ***უზუფრუქტის*** სანივთო უფლების დადგენას ითვალისწინებს მხოლოდ და მხოლოდ ***უძრავ ნივთებზე***. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თავდაპირველ პროექტში უზუფრუქტის ცნების დამდგენი ნორმა უშვებდა ასევე მოძრავი ნივთების უზუფრუქტით დატვირთვის შესაძლებლობას, თუმცა, მოგვიანებით მასზე უარი იქნა ნათქვამი. ამ გადაწყვეტილებით, ქართველმა კანონმდებელმა მნიშვნელოვნად შეზღუდა უზუფრუქტის უფლების გამოყენების არეალი, რაც არ შეიძლება ითქვას იმავე გერმანული სამართლის შესახებ. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი დასაშვებად მიიჩნევს უზუფრუქტის დადგენას არა მარტო უძრავ და მოძრავ (მათ შორის, მოხმარებად) ნივთებზე, არამედ უფლებებსა (მათ შორის ფასიან ქაღალდში გამოსახულ) და ქონებაზე (მათ შორის, მემკვიდრეობაზე). თვალშისაცემია აშკარა განსხვავება ორი ქვეყნის კანონმდებლობებს შორის უზუფრუქტის სამართლებრივი ინსტიტუტის მომწესრიგებელი ნორმების რაოდენობის – ნორმატიული მასალის მოცულობის მხრივაც. თუ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი მასში შეტანილი დამატებების ჩათვლით უზუფრუქტს უთმობს 65 პარაგრაფს (§§1030-1089), საქართველოს სამოქალაქო კოდექსი დასჯერდა მხოლოდ 5 მუხლს – მუხლები 242-246. ქართველი კანონმდებლის ასეთ "სიძუნწეს" თავისი მიზეზი აქვს, რომელიც მდგომარეობს თანამედროვე ცხოვრებაში უზუფრუქტის უფლების მცირე პრაქტიკულ მნიშვნელობაში. ამ უფლების პრაქტიკული მნიშვნელობის დაკნინებას გერმანიაშიც აქვს ადგილი. ამის ერთ-ერთ მიზეზად გერმანელი ავტორები იმას ასახელებენ, რომ უზუფრუქტი გაუსხვისებელი უფლებაა და ასევე არ ექვემდებარება მემკვიდრეობით გადაცემას. იგი უქმდება უფლებამოსილი პირის

[59] Schwab, Prüttung, დასახელებული ნაშრომი, გვ. 432; Wolf, Manfred, დასახელებული ნაშრომი, გვ. 395

გარდაცვალებით (იურიდიული პირის შემთხვევაში – ამ უკანასკნელის გაუქმებით)[60]. ქართულ სინამდვილეში უზუფრუქტის სამართლებრივი ინსტიტუტის გამოყენებამ ფართო გასაქანი პოვა სახელმწიფო ქონების კერძო პირებისათვის ვადიანი სარგებლობისათვის გადაცემისას. როგორც წესი, სახელმწიფოს მიერ უძრავი ნივთის – მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის უზუფრუქტის უფლებით გადაცემა უსასყიდლოდ ხორციელდება, რაც ვერ მიიღწეოდა ქირავნობით ან იჯარით გადაცემისას. გარდა ამისა, უზუფრუქტის უფლებით უძრავი ნივთების დატვირთვა და, შესაბამისად, უფლებამოსილი პირის – უზუფრუქტუარის მიერ ამ ნივთით სარგებლობა შესაძლებელია უფრო ხანგრძლივი ვადით, ვიდრე ქირავნობის ან იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე: ქირავნობის ან იჯარის ხელშეკრულების მოქმედების მაქსიმალური ვადა შეადგენს 10 წელიწადს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულზე მეტი ვადით დადებული ქირავნობის ან იჯარის ხელშეკრულება არ არის ბათილი, 10 წლის გასვლის შემდეგ ქირავნობის ან იჯარის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელების ბედი დამოკიდებულია ხელშეკრულების ნებისმიერი მხარის ცალმხრივი ნების გამოვლენაზე; ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ნებისმიერი მხარის მოთხოვნით შეწყვეტის სამთვიანი ვადის დაცვით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 561-ე და 570-ე მუხლები).

უზუფრუქტის ლეგალური დეფინიცია მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 242-ე მუხლში: "უძრავი ნივთი შეიძლება სხვა პირს გადაეცეს სარგებლობაში ისე, რომ იგი უფლებამოსილია, როგორც მესაკუთრემ, გამოიყენოს ეს ნივთი და არ დაუშვას მესამე პირთა მიერ მისით სარგებლობა, მაგრამ, მესაკუთრისაგან განსხვავებით, მას არა აქვს ამ ნივთის გასხვისების, იპოთეკით დატვირთვის ან მემკვიდრეობით გადაცემის უფლება (უზუფრუქტი). ამ ნივთის გაქირავების ან იჯარით გადაცემისათვის საჭიროა მესაკუთრის თანხმობა. უზუფრუქტის გაუქმების შემდეგ მესაკუთრე ხდება არსებული ქირავნობის ან იჯარის ურთიერთობების მონაწილე".

აღნიშნულ განმარტებაშიც თვალშისაცემია აღნაგობის დეფინიციაში (233-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) არსებული ხარვეზის ანალოგიური თარგმნითი ხასიათის ხარვეზი. ხარვეზი მდგომარეობს მხოლოდ ერთ გამოთქმაში: „გადაეცეს სარგებლობაში ისე, რომ...“. უზუფრუქტი, აღნაგობის მსგავსად, წარმოადგენს სანივთო უფლებას, რომლის ძალითაც ხდება უძრავი ნივთის უფლებრივად დატვირთვა და არა უბრალოდ მისი სარგებლობაში გადაცემა! აღნიშნულ ტერმინოლოგიას იყენებს თავად საქართველოს სამოქალაქო კოდექსი სერვიტუტებისა და იპოთეკის დეფინიციებში.

2005 წლის 30 ივნისის კანონის მიღებამდე, რომლითაც განხორციელდა ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, 242-ე მუხლში არსებობდა სხვა ტერმინოლოგიური შეცდომაც. მუხლის მე-2 წინადადებაში ნაცვლად სიტყვისა ***"იპოთეკა" მითითებული იყო "გირავნობა"-ზე***. საინტერესოა, რომ ქართველი კანონმდებელი საკმაოდ ორიგინალური აღმოჩნდა 242-ე მუხლის ნორმების ჩამოყალიბებისას, ვინაიდან ისინი პირდაპირ და სიტყვასიტყვით არ იქნა რეცეფცირებული გერმანიის სამოქალაქო კოდექსიდან. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §1030-ში უზუფრუქტის ცნების განმარტებისას საუბარია ნივთის ისეთ დატვირთვაზე, როდესაც უზუფრუქტუარს შეუძლია "მიიღოს ნივთის გამოყენებიდან სარგებელი". იმავე პარაგრაფის მე-2 ნაწილის თანახმად, უზუფრუქტი შეიძლება შეიზღუდოს ცალკეული სახის სარგებლობის გამორიცხვის გზით. გერმანული ნორმებისაგან განსხვავებით კი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 242-ე მუხლის 1-ლ ნაწილში საუბარია სარგებლობის მესაკუთრულ უფლებამოსილებაზე ანუ ასეთი გამოხატულებით ქართველი კანონმდებელი ცდილობს უზუფრუქტის უფლება წარმოაჩინოს როგორც უძრავი ნივთის სარგებლობის მაქსიმალურად აბსოლუტური უფლება, თუმცა, იქვე ზღუდავს ამ უფლებას და სარგებლობის ისეთ ფორმებს, როგორიცაა უძრავი ნივთის ქირავნობა და იჯარა, დამოკიდებულს ხდის მესაკუთრის თანხმობაზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განასხვავებს ***სასყიდლიან და უსასყიდლო*** უზუფრუქტს, ასევე განსაზღვრული ვადით ან უზუფრუქტუარის სიცოცხლის (იურიდიული პირის

[60] Wolf, Manfred, დასახელებული ნაშრომი, გვ. 401

შემთხვევაში – მისი არსებობის) ვადით დადგენილ უზუფრუქტს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 244-ე მუხლი). ვინაიდან უზუფრუქტი სანივთო უფლებაა, მისი შინაარსი კანონის მიერ მკაცრად არის განსაზღვრული; ეს უკანასკნელი დეტალურად აღწერს უზუფრუქტიდან გამომდინარე მესაკუთრესა და უზუფრუქტუარს შორის უფლებებსა და ვალდებულებებს. თუმცა, უზუფრუქტის ურთიერთობის მხარეებს შეუძლიათ უზუფრუქტის შინაარსს მიკუთვნებული ზოგიერთი საკითხი განსაზღვრონ შეთანხმებით. სწორედ შეთანხმებით განისაზღვრება, მაგ., უზუფრუქტის სასყიდლიანობა თუ უსასყიდლობა, ასევე მისი მოქმედების ვადა.

ბ. უზუფრუქტის დადგენა

მსგავსად აღნაგობისა და სერვიტუტის, უზუფრუქტის დადგენისათვის ***გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის უძრავი ნივთების შეძენის მომწესრიგებელი ნორმები***; კერძოდ, უძრავი ნივთის უზუფრუქტის უფლებით დატვირთვისათვის საჭიროა ნივთის მესაკუთრესა და მეორე მხარეს – უზუფრუქტუარს შორის წერილობითი ფორმით დადებული სანივთო შეთანხმება უზუფრუქტის დადგენის შესახებ და ამ შეთანხმების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

გ. უზუფრუქტუარის უფლება-ვალდებულებები

მესაკუთრესა და უზუფრუქტუარს შეუძლიათ ერთმანეთს შორის ურთიერთობები მოაწესრიგონ უზუფრუქტის სანივთო შეთანხმებაში და კონკრეტულად განსაზღვრონ ურთიერთ-უფლებები და ვალდებულებები. თუმცა, უზუფრუქტუარის ზოგიერთი ისეთი უფლება და ვალდებულება, რომელიც კანონს მიაჩნია არსებითად უზუფრუქტის უფლების რეალურად მოქმედებისათვის, კანონის მიერ პირდაპირ არის გათვალისწინებული და მათ კანონისმიერი უფლება-ვალდებულებები ეწოდება.

უზუფრუქტის უფლების საფუძველზე, უპირველეს ყოვლისა, უზუფრუქტუარს აქვს უფლებამოსილება, ***პირადად ისარგებლოს*** უძრავი ნივთით, რაც მოიცავს როგორც ნივთზე მფლობელობის განხორციელებას, ისე მისგან ნაყოფის მიღებას.

უზუფრუქტუარი ***პირდაპირი მფლობელია***, თუმცა, იგი შეიძლება გახდეს ***არაპირდაპირი მფლობელიც*** უძრავი ნივთის გაქირავების (იჯარით გადაცემის) შემთხვევაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უზუფრუქტის საგნის გაქირავება ან იჯარით გადაცემა დასაშვებია მხოლოდ მესაკუთრის თანხმობით.

ნაყოფის მიღება გულისხმობს უზუფრუქტუარის მიერ უძრავი ნივთის ყოველ ნაყოფზე საკუთრების უფლების მოპოვებას. უზუფრუქტუარი ნაყოფზე საკუთრების უფლებას იძენს უზუფრუქტის საგნიდან მისი მოცილების მომენტიდან. როგორც წესი, უზუფრუქტუარი ნაყოფს იღებს უზუფრუქტის საგნის ჩვეულებრივი სამეურნეო სარგებლობის შედეგად. თუმცა, მას ეკუთვნის ის ნაყოფიც, რომელიც არ არის ჩვეულებრივი სამეურნეო სარგებლობის შედეგად მიღებული. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, უზუფრუქტუარი ვალდებულია მესაკუთრეს აუნაზღაუროს ასეთი სარგებლობის შედეგად მიყენებული ზიანი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 245-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

უზუფრუქტუარი უფლებამოსილია, ნორმალური სამეურნეო სარგებლობის ფარგლებში გაასხვისოს უზუფრუქტის საგანს მიკუთვნებული ცალკეული საგნები (მაგალითად, მიწის ნაკვეთის ინვენტარი). ამასთან, მან უნდა იზრუნოს გასხვისებული საგნების შეცვლაზეც. როგორც კი უზუფრუქტუარი უძრავ ნივთზე განათავსებს ახალ საგნებს, ისინი ხდება ინვენტარის ნაწილი და, შესაბამისად, უძრავი ნივთის მესაკუთრის საკუთრება[61].

[61] Schwab, Prüttung, დასახელებული ნაშრომი, გვ. 423

უზუფრუქტუარს ეკისრება შემდეგი ვალდებულებები:

ა) უზუფრუქტუარის უმთავრესი ვალდებულებაა, ***შეინარჩუნოს*** უძრავი ნივთის სუბსტანცია. მას არა აქვს უფლება, გადააკეთოს ნივთი ან არსებითად შეცვალოს იგი. გარდა ამისა, უზუფრუქტუარი უძრავი ნივთით სარგებლობისას ვალდებულია იხელმძღვანელოს ნორმალური სამეურნეო სარგებლობის პრინციპით და მას მესაკუთრის თანხმობის გარეშე არ შეუძლია შეცვალოს უძრავი ნივთით სარგებლობის მიზანი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 245-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილები);

ბ) უზუფრუქტუარი ვალდებულია უზუფრუქტის არსებობის მანძილზე ***დააზღვიოს*** უძრავი ნივთი;

გ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 245-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, თუ - ნივთი განადგურდა, დაზიანდა ან მის შესანახად წარმოიშვა გაუთვალისწინებელი ხარჯები, უზუფრუქტუარმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ***შეატყობინოს*** მესაკუთრეს. უზუფრუქტუარმა უნდა ითმინოს ის ღონისძიებები, რომლებიც მესაკუთრემ განახორციელა აღნიშნული სიტუაციის თავიდან ასაცილებლად. ამასთან, მესაკუთრე არ არის ვალდებული, მიიღოს შესაბამისი ზომები. თუ ამ ღონისძიებებს ატარებს თვითონ უზუფრუქტუარი, მაშინ მას შეუძლია უზუფრუქტის დამთავრების შემდეგ მოაშოროს ნივთს ის საგნები, რომლებიც მან ამ ღონისძიებათა შედეგად მიუმატა ან მოსთხოვოს მესაკუთრეს ამ საგნების სათანადო კომპენსაცია;

დ) უზუფრუქტუარი ვალდებულია, უძრავი ნივთი ***დაუბრუნოს*** მესაკუთრეს უზუფრუქტის დასრულების შემდეგ.

დ. უზუფრუქტის დაცვა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არაფერია ნათქვამი უზუფრუქტის დაცვის შესახებ, თუმცა, როგორც სანივთო უფლება, იგი, აღნაგობისა და სერვიტუტის მსგავსად, ***დაცულია კანონით*** ნებისმიერი პირის მიმართ. ვინაიდან უზუფრუქტუარი წარმოადგენს უძრავი ნივთის მფლობელს, იგი დაცულია მფლობელობითი დაცვის სარჩელებითაც (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 160-ე და 161-ე მუხლები).

ე. უზუფრუქტის გაუქმება

უზუფრუქტის მოქმედების ვადა ყოველთვის ***განსაზღვრულია.*** სანივთო შეთანხმების მხარეებს შეუძლიათ პირდაპირ მიუთითონ უზუფრუქტის უფლების კალენდარულ ვადაზე ან მხარეებს შეუძლიათ, უზუფრუქტი დაადგინონ უზუფრუქტუარის სიცოცხლის (იურიდიული პირის შემთხვევაში – მისი არსებობის) ვადით. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, უზუფრუქტი არ ექვემდებარება მემკვიდრეობით გადაცემას; ამდენად, იგი ყველა შემთხვევაში უქმდება უფლებამოსილი პირის გარდაცვალებით (იურიდიული პირის შემთხვევაში – მისი გაუქმებით).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 246-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნორმა ითვალისწინებს უზუფრუქტის გაუქმებას იმ შემთხვევაში, როდესაც უზუფრუქტი და საკუთრების უფლება ***აღმოჩნდება ერთი პირის ხელში.***

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. რა არის აღნაგობა?
2. როგორია აღნაგობის უფლების სამართლებრივი რეჟიმი?
3. ვის ეკუთვნის აღნაგობის უფლების საფუძველზე აშენებული შენობა-ნაგებობა – მეაღნაგეს თუ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს?
4. როგორ ხდება აღნაგობის უფლების დადგენა?
5. ჩამოთვალეთ აღნაგობის უფლების გაუქმების საფუძვლები;
6. განმარტეთ სერვიტუტი;

7. რა შინაარსის შეიძლება იყოს მიწის სერვიტუტი?
8. როგორ დგინდება და უქმდება მიწის სერვიტუტი?
9. განმარტეთ შეზღუდული პირადი სერვიტუტი;
10. განმარტეთ უზუფრუქტი;
11. დაასახელეთ უზუფრუქტის სახეები;
12. დაასახელეთ უზუფრუქტის გაუქმების საფუძვლები.

9. რეალიზაციის სანივთო უფლებები (ვალდებულების უზრუნველყოფის სამართალი)

განსხვავებით გერმანული კანონმდებლობისაგან, ქართული სამართალი არ გამოირჩევა ვალდებულების უზრუნველყოფის სანივთო საშუალებების მრავალფეროვნებით. ქართულმა კანონმდებლობამ არ გაიზიარა გერმანიის სამოქალაქო კოდექსისეული მიწის ვალი და სარენტო ვალი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ავტორებმა მიიღეს მარტივი გადაწყვეტილება და გერმანული სამართლიდან გადმოიღეს მხოლოდ ***2 სამართლებრივი ინსტიტუტი*** იმავე პრინციპის გათვალისწინებით, რაც აღიარებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსში: გირავნობა – მოძრავი ნივთებისა და ამ უკანასკნელების მიმართ არსებული სამართლებრივი რეჟიმის მქონე უფლებების მიმართ და იპოთეკა – მიწის ნაკვეთისა და სხვა უძრავი ნივთების მიმართ. თუმცა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იზიარებს გერმანულ სამართლებრივ ტერმინოლოგიას და გირავნობასა და იპოთეკას აერთიანებს კრებსითი სახელწოდებით – "საკუთრება როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება" (თავი მე-6, მუხლები 254-310; გირავნობა – 254-285, იპოთეკა – 286-310).

2005 წელს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეორე წიგნში განხორციელდა ყველაზე დიდი და არსებითი ხასიათის ცვლილება-განახლება, რომელიც განსაკუთრებით იმით არის აღსანიშნავი, რომ იგი შეეხო სამოქალაქო სამართლის მთლიან სამართლებრივ ინსტიტუტს. კერძოდ, ***2005 წლის 30 ივნისის კანონის*** საფუძველზე კოდექსში განხორციელებული ცვლილებით გირავნობის მომწესრიგებელი ნორმატიული ბაზა – მუხლები 254-285 მთლიანად შეიცვალა ახალი ნორმატიული ბაზით. ფაქტობრივად, შეცვლილ და განახლებულ იქნა მთელი ქვეთავი და სახეზე გვაქვს გირავნობის სამართლებრივი ინსტიტუტის სრულიად ახლებური მოწესრიგება. განახლების შედეგად მიღწეულ იქნა მთელი რიგი პოზიტიური შედეგები:

ა) უპირველეს ყოვლისა, ***გასწორდა*** გირავნობის შესახებ ქვეთავში არსებული კოდექსის ტექსტობრივი და თარგმნითი ხასიათის ხარვეზები;

ბ) გირავნობის შესახებ ქვეთავის ახალი რედაქცია დაიწერა ***უფრო ნათელი, გასაგები ენით;*** მასში ადგილი აღარ აქვს ორაზროვან და ბუნდოვან ნორმებს.

კოდექსის გირავნობის შესახებ ქვეთავის ახალ რედაქციაში ნათლად დადგინდა და ერთმანეთისაგან გაიმიჯნა გირავნობის 2 სახე – ***მფლობელობითი გირავნობა და რეგისტრირებული გირავნობა***; ცალსახად და არაორაზროვნად ჩამოყალიბდა მათი მომწესრიგებელი ნორმებიც (255-ე, 257-ე, 258-ე მუხლები).

გ) 2005 წლის 30 ივნისის კანონის უდიდეს წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ***კრედიტორის*** ანუ საგირავნო ურთიერთობის იმ მონაწილის ინტერესების უფრო ქმედითი დაცვა, რომელიც ყველაზე მეტად საჭიროებს კანონის მხრიდან ასეთ დაცვას. მაგალითად, ახალი რედაქციით მოწესრიგდა და მნიშვნელოვნად გამარტივდა გირავნობის საგნის ***რეალიზაციის წესი***. აღარ არის აუცილებელი, კრედიტორმა გირავნობის საგნის რეალიზაცია განახორციელოს აუქციონზე; იგი უფლებამოსილია, უშუალოდ მოახდინოს გირავნობის საგნის რეალიზაცია მასსა და დამგირავებელს შორის, ამის თაობაზე შეთანხმების არსებობის შემთხვევაში (283-ე მუხლი).

284-ე მუხლის 1-ლ ნაწილში კი მოცემულია მნიშვნელოვანი ნოვაცია: წერილობითი ფორმით დადებულ გირავნობის შეთანხმებაში მხარეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ გირავნობის საგნის მოგირავნის მფლობელობაში გადაცემა და მისი რეალიზაცია, რომელიც ხორციელდება ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ გირავნობის შესახებ ქვეთავის ახალ რედაქციაშიც არის მნიშვნელოვანი ნაკლი; სამწუხაროდ, მისი ავტორების აშკარა უყურადღებობის გამო, ახალი რედაქციის ნორმები არ ითვალისწინებს გირავნობის უფლების ***კეთილსინდისიერ შეძენას*** მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ზემოთ ჩვენ მიერ განხილულ იქნა, აღნიშნულ ნორმას ითვალისწინებდა (თუმცა, ხარვეზიანი ფორმულირებით) 257-ე მუხლის ძველი რედაქცია. გირავნობის უფლების კეთილსინდისიერ შეძენის საკითხს დეტალურად ქვემოთ შევეხებით.

ორივე უფლება – გირავნობა და იპოთეკა წარმოადგენს ***შეზღუდულ სანივთო უფლებებს, რომლებიც დგინდება ქონებაზე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად.*** ამ უფლებების შეზღუდული მოქმედების ძალა ვლინდება იმაში, რომ განსაზღვრულ შემთხვევაში, კერძოდ კი, ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დატვირთული ქონება ექვემდებარება რეალიზაციას. გერმანული იურიდიული ლიტერატურა ამ უფლებებს, აღნიშნული საერთო დამახასიათებელი თვისებების გამო, უწოდებს ე.წ. საუზრუნველყოფო და რეალიზაციის (ქონებაზე გადახდევინებაზე მიმართულ) უფლებებს. გირავნობისა და იპოთეკის როგორც საუზრუნველყოფო უფლებების მიმართ მოქმედებს სანივთო სამართალში აღიარებული 2 ძირითადი პრინციპი. ესენია: ***განსაზღვრულობისა და პუბლიკაციის პრინციპები.***

პირველი პრინციპი გულისხმობს იმას, რომ, მსგავსად სხვა სანივთო უფლებებისა, საუზრუნველყოფო უფლებები შეიძლება დადგინდეს და არსებობდეს მხოლოდ ***ცალკეულ განსაზღვრულ საგნებზე*** და არა მთლიან ქონებაზე. გარდა ამისა, აღნიშნული უფლება შეიძლება უზრუნველყოფდეს მხოლოდ განსაზღვრულ ან განსაზღვრებად მოთხოვნებს.

პუბლიკაციის პრინციპი გულისხმობს იმას, რომ საუზრუნველყოფო უფლება მესამე პირებისათვის გარეგნულად შესამჩნევი უნდა იყოს. მფლობელობითი გირავნობის დროს პუბლიკაცია მიიღწევა მოძრავი ნივთის კრედიტორის ან მესამე პირის მფლობელობაში გადაცემით. რეგისტრირებული გირავნობის ან იპოთეკის შემთხვევაში, პუბლიკაცია მიიღწევა უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციით.

II. გირავნობა

ა. გირავნობის ცნება და შინაარსი. უზრუნველყოფილი მოთხოვნა და გირავნობის საგანი

გირავნობის ცნება მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გირავნობის შესახებ ქვეთავის ახალი რედაქციის 254-ე მუხლის 1-ლ და მე-2 ნაწილებში. ამასთან, მუხლის 1-ლი ნაწილი კიდევ ერთხელ შეიცვალა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2007 წლის 29 ივნისს განხორციელებული ცვლილებით. 254-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების საბოლოო ვერსია შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: "მოვალის ან მესამე პირის მოძრავი ნივთი ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის გადაცემაც სხვა პირისათვის დასაშვებია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ფულადი, ისე არაფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად ისე, რომ კრედიტორი (მოგირავნე) იძენს უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების (გირავნობის საგნის) რეალიზაციით ან მხარეთა შეთანხმებით – მისი საკუთრებაში მიღებით მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში. მოგირავნეს გირავნობის საგნიდან აქვს თავისი მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების უფლება სხვა კრედიტორებთან შედარებით".

როგორც აღნიშნული განმარტებიდან ჩანს, გირავნობა წარმოადგენს ისეთ ***საუზრუნველყოფო უფლებას, ვალდებულების უზრუნველყოფის ისეთ საშუალებას,*** რომლის ძალითაც მოგირავნეს აქვს უპირატესი უფლება, მოვალის სხვა კრედიტორებთან შედარებით დაიკმაყოფილოს მოთხოვნა გირავნობის საგნიდან, ამ უკანასკნელის რეალიზაციის ან მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში – მისი საკუთრებაში მიღებით გზით. გირავნობის

ურთიერთობის მონაწილეებად გამოდიან, ერთი მხრივ, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე კრედიტორი – მოგირავნე და, მეორე მხრივ, მოვალე, თუ გირავნობის საგანი ეკუთვნის უშუალოდ მოვალეს ან მესამე პირი, რომელიც მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად გირავნობით ტვირთავს თავის მოძრავ ნივთს ან არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს. გირავნობა ყოველთვის უზრუნველყოფს განსაზღვრულ ვალდებულებას და, შესაბამისად, იგი ამ ვალდებულების გარეშე არ შეიძლება არც წარმოიშვას და არც არსებობდეს; ***ე. ი. გირავნობის უფლება აქცესორული უფლებაა.*** თუმცა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის იმავე 254-ე მუხლში არსებობს ნორმა, რომელიც წარმოადგენს ამ პრინციპიდან გარკვეულ გადახვევას. კერძოდ, მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გირავნობის უფლება შეიძლება დადგინდეს ***სამომავლო ან პირობითი მოთხოვნების*** უზრუნველსაყოფადაც. როგორც სამომავლო, ასევე პირობითი მოთხოვნები არ ითვლება წარმოშობილად განსაზღვრული მომენტის – კონკრეტული ვადის ან მოვლენის დადგომამდე. ვინაიდან არ არსებობს მოთხოვნა, შესაბამისად, არც გირავნობის უფლება არ უნდა ითვლებოდეს წარმოშობილად. მაგრამ ამ შემთხვევაში, კანონი უშვებს გამონაკლისს და გირავნობის უფლებას წარმოშობილად მიიჩნევს მოგირავნესა და დამგირავებელს შორის შეთანხმებისა და ნივთის გადაცემის (რეგისტრირებულ გირავნობის შემთხვევაში – რეგისტრაციის) მომენტიდან. 254-ე მუხლის მე-3 ნაწილის ახალი რედაქცია აღარ უთითებს იმაზე, რომ სამომავლო ან პირობითი მოთხოვნები გირავნობის წარმოშობის მომენტისათვის უნდა იყოს განსაზღვრებადი, როგორც ეს გათვალისწინებული იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გირავნობის შესახებ ქვეთავის ძველი რედაქციის 254-ე მუხლის მე-3 ნაწილში. თუმცა, მიუხედავად ამისა, განსაზღვრებადობის კრიტერიუმი სავალდებულოდ უნდა მივიჩნიოთ გირავნობის შესახებ ქვეთავის ახალი რედაქციით დადგენილი ნორმებითაც.

სავალდებულო არ არის, რომ უზრუნველყოფილი მოთხოვნა აუცილებლად ფულადი სახით იყოს წარმოდგენილი (სესხი, კრედიტი, ნასყიდობის ფასის გადახდის მოთხოვნა). დასაშვებია, გირავნობით იქნეს უზრუნველყოფილი არაფულადი მოთხოვნა იმ პირობით, რომ შესაძლებელი იყოს ასეთი მოთხოვნის გამოსახვა ფულადი ფორმით. ეს წინაპირობა აუცილებელია განსაკუთრებით გირავნობის საგნის რეალიზაციის დროს, ვინაიდან რეალიზაციის შედეგად მოგირავნე იღებს ფულად თანხას, რომელიც მიემართება სწორედ მოთხოვნის დაფარვისათვის. კანონით დადგენილი გირავნობის უფლების უმთავრესი მიზანი ვერ მიიღწევა, თუ არ გვექნება უზრუნველყოფილი მოთხოვნის ფულადი ეკვივალენტი.

გირავნობის უფლებით უზრუნველყოფილია არა მარტო (ძირითადი) მოთხოვნა, არამედ მასთან დაკავშირებული ***დამატებითი მოთხოვნები (უფლებები),*** კერძოდ, ძირითად თანხაზე დარიცხული პროცენტები, ვალდებულების დარღვევისათვის გათვალისწინებული პირგასამტეხლო, მოთხოვნები, რომლებიც წარმოიშობა გირავნობის საგნის მოვლა-პატრონობისა და რეალიზაციის ხარჯების გაწევასთან დაკავშირებით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 256-ე მუხლი). თუმცა, ეს ნორმა არ არის კანონის იმპერატიული მოთხოვნა და იგი შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით. მაგ., დამგირავებელმა და მოგირავნემ გირავნობის ხელშეკრულებაში შეიძლება გამორიცხონ გირავნობის უფლებით სესხის (კრედიტის) პროცენტის უზრუნველყოფა.

გირავნობის საგანს წარმოადგენს ***მოძრავი ნივთები***, აგრეთვე, - ***ქონებრივი ხასიათის მქონე მოთხოვნები და უფლებები***. მოძრავ ნივთებზე გირავნობის უფლების დადგენისას ეს უკანასკნელი ვრცელდება ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილებზე, მაგრამ იგი შეიძლება არც გავრცელდეს ნივთის საკუთვნებელზე, რომელიც შეიძლება დამოუკიდებლად დაგირავდეს. გირავნობის უფლება შეიძლება დადგენილ იქნეს მხოლოდ ისეთ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე – უფლებებსა და მოთხოვნებზე, რომლებიც ექვემდებარება გადაცემას. გირავნობის უფლების საგანი არ შეიძლება იყოს ისეთი უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია მიწის ნაკვეთთან ან სხვა უძრავ ქონებასთან – ე.წ. უძრავი ქონების მსგავსი უფლებები, ვინაიდან ისინი მოქცეულია უძრავი ქონების სამართლებრივ რეჟიმში და, ამდენად, საუზრუნველყოფოდ მათი გამოყენებისას ისინი

იტვირთება არა გირავნობით, არამედ – იპოთეკით. გირავნობა შესაძლებელია გავრცელდეს ასევე ნივთთა ერთობლიობაზე ან მათ ნაწილზე ან/და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე, ისე - მთელ მოძრავ ქონებაზე.

გირავნობის საგანი შეიძლება იყოს არა მარტო სახეზე არსებული მოძრავი ნივთები, უფლებები და მოთხოვნები, არამედ იგივე ობიექტები, რომლებიც წარმოიშობა ***მომავალში ან რომლებსაც დამგირავებელი მომავალში შეიძენს.*** სამომავლო ან პირობითი მოთხოვნების გირავნობის უფლების უზრუნველყოფისას არსებული პრინციპებისაგან განსხვავებით, რომლის თანახმადაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გირავნობის უფლება წარმოშობილად ითვლება შეთანხმებისა და ნივთის გადაცემისა თუ რეგისტრაციის მომენტიდან, – სამომავლო ქონებაზე გირავნობის უფლება წარმოშობილად ჩაითვლება არა შეთანხმების, არამედ ქონების წარმოშობისთანავე ან დამგირავებლის მიერ მისი შეძენის მომენტში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლი მე-5 მუხლი). აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსის გირავნობის შესახებ ქვეთავის ახალი რედაქცია გირავნობის უფლების წარმოშობის მომენტს არ უკავშირებს მისი რიგითობის წარმოშობას. იმისათვის, რომ სამომავლო ქონებაზე დადგენილ გირავნობის უფლებას ჰქონდეს რიგითობა, კანონი აუცილებელ პირობად ასახელებს გირავნობის უფლების რეგისტრაციას. ამდენად, ამ უკანასკნელ შემთხვევაში გირავნობა უნდა დადგინდეს წერილობითი შეთანხმებითა და საჯარო რეესტრში მისი რეგისტრაციით.

თუ გირავნობის საგანს წარმოადგენს ისეთი მოძრავი ნივთი ან მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც იძლევა ნაყოფს ან შემოსავალს, მაშინ გირავნობის უფლება ვრცელდება ასევე ამ უკანასკნელზეც, თუმცა, მხარეებს გირავნობის ხელშეკრულებაში შეუძლიათ შეთანხმდნენ საწინააღმდეგო წესზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 256-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ბ. გირავნობის სახეები. გირავნობის დადგენა

დადგენის მიხედვით განასხვავებენ შემდეგი სახის გირავნობის უფლებებს:

1. კანონისმიერი გირავნობა;
2. სახელშეკრულებო გირავნობა.

კანონისმიერი გირავნობა წარმოიშობა კანონის ძალით და იგი ყოველთვის დაკავშირებულია კონკრეტული მოთხოვნის უზრუნველყოფასთან. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 568-ე მუხლის თანახმად, ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, უძრავი ქონების გამქირავებელს აქვს გირავნობის უფლება დამქირავებლის მიერ იქ შეტანილ ნივთებზე. გირავნობის უფლება ძალას კარგავს დაქირავებული ფართობიდან ნივთების მოცილების მომენტიდან, თუ ეს ხორციელდება ჩვეულებრივი ცხოვრებისეული ურთიერთობების შესაბამისად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 634-ე მუხლის თანახმად კი, მენარდეს თავისი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად შეუძლია გამოიყენოს გირავნობის უფლება მის მიერ დამზადებულ ან შეკეთებულ მოძრავ ნივთზე, თუ ეს ნივთი დამზადების ან შეკეთების მიზნით მენარდის მფლობელობაში იმყოფება. როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, კანონი გირავნობის უფლების წარმოშობას უკავშირებს არა მხოლოდ მოთხოვნის არსებობას, არამედ კრედიტორის მიერ მოძრავი ნივთის ფლობის ფაქტს. ამასთან, გირავნობის უფლების შენარჩუნებაც დამოკიდებულია კრედიტორის მიერ გირავნობის საგანზე პირდაპირი მფლობელობის განხორციელებაზე.

სახელშეკრულებო გირავნობა 2 სახისაა:

ა) მფლობელობითი გირავნობა;

ბ) რეგისტრირებული გირავნობა.

მფლობელობითი გირავნობის დადგენა ხდება დამგირავებელსა და მოგირავნეს შორის დადებული შეთანხმებით გირავნობის დადგენის შესახებ (გირავნობის ხელშეკრულებით) და მოძრავი ნივთის მოგირავნის ან მის მიერ განსაზღვრული მესამე პირის მფლობელობაში გადაცემით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 257-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). კანონში პირდაპირ საუბარია გირავნობის დადგენის შესახებ ***სანივთო შეთანხმებაზე (სანივთო***

ხელშეკრულებაზე), რომელიც, როგორც წესი, ზეპირად იდება, თუმცა, მხარეებს გირავნობის დადგენის შესახებ სანივთო შეთანხმება შეუძლიათ დადონ წერილობითაც. მოძრავი ნივთის მოგირავნის ან მის მიერ განსაზღვრული მესამე პირის მფლობელობაში გადაცემა გირავნობის უფლების წარმოშობის მეორე აუცილებელი წინაპირობაა, რომელიც მიიღწევა ნივთის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემით. დამგირავებელს არ შეუძლია მფლობელობის შენარჩუნება; იგი შეიძლება დარჩეს ნივთის მპყრობელად მოგირავნის სასარგებლოდ. ნივთის გადაცემის მიღწევა შესაძლებელია ე. წ. "მოკლე ხელის გადაცემითაც": 257-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ გირავნობის საგანი უკვე იმყოფება მოგირავნის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მფლობელობაში, გირავნობის წარმოშობისათვის საკმარისია მხარეთა შეთანხმება.

მფლობელობითი გირავნობის სპეციალურ სახეს წარმოადგენს ***ლომბარდში გირავნობა***. ლომბარდში გირავნობა სიახლეა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში და მას კოდექსის გირავნობის შესახებ ქვეთავის ახალ რედაქციაში დათმობილი აქვს 1 მუხლი – 260-ე მუხლი. ლომბარდში გირავნობის მიმართ გამოიყენება მფლობელობითი გირავნობის მომწესრიგებელი ნორმები 260-ე მუხლში მოცემული სპეციალური წესების გათვალისწინებით. კანონი, კერძოდ, ადგენს ლომბარდში გირავნობის დადგენის შესახებ სანივთო შეთანხმების (სანივთო ხელშეკრულების) სავალდებულო წერილობით ფორმას. ფორმის დაუცველობის გამო, ლომბარდში გირავნობის შეთანხმება (ხელშეკრულება) ბათილად მიიჩნევა.

ლომბარდში გირავნობის მიმართ დადგენილი მეორე სპეციალური წესი არ წარმოადგენს იმპერატიულ ნორმას და იგი შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით. კერძოდ, თუ მხარეები საწინააღმდეგოზე არ შეთანხმდებიან, ლომბარდის მოთხოვნა მოვალის მიმართ წყდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა სრულად ვერ ფარავს ლომბარდის მოთხოვნას.

რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში, განსხვავებით მფლობელობითი გირავნობისაგან, მოძრავი ნივთის მოგირავნის ან მესამე პირის მფლობელობაში გადაცემა საჭირო არ არის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რეგისტრირებული გირავნობის დროს ***პუბლიკაცია მიიღწევა გირავნობის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით***. თავად გირავნობის დადგენის შესახებ შეთანხმება (ხელშეკრულება) უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). მსგავსად ლომბარდში გირავნობის მიმართ დადგენილი წესისა, აღნიშნული ფორმის დაუცველობის შემთხვევაში მხარეთა შორის შეთანხმება (ხელშეკრულება) ბათილია. 258-ე მუხლის მე-2 ნაწილი შეიცავს იმ აუცილებელ რეკვიზიტებს, რომლებსაც უნდა შეიცავდეს გირავნობის ხელშეკრულება:

1. ხელშეკრულების შედგენის თარიღი;
2. მონაცემები მოგირავნის, დამგირავებლის, შესაძლო მოვალე მესამე პირის შესახებ;
3. გირავნობის საგნის ზოგადი ან სპეციფიკური ნიშნებით აღწერა იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მისი განსაზღვრა. თუ გირავნობის საგანია მთელი მოძრავი ქონება, მისი აღწერა არ მოითხოვება, თუკი მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
4. უზრუნველყოფილი ძირითადი მოთხოვნის ზოგადი ან კონკრეტული აღწერა და მაქსიმალური თანხა, რომლის ფარგლებშიც უნდა დაკმაყოფილდეს უზრუნველყოფილი მოთხოვნა.

კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს მოძრავი ნივთების საუზრუნველყოფოდ გამოყენებისას ***აქვთ არჩევანი,*** შეთანხმდნენ ან მფლობელობით ან რეგისტრირებულ გირავნობაზე და, შესაბამისად, უზრუნველყონ მოძრავი ნივთის მოგირავნის ან მესამე პირის მფლობელობაში გადაცემა ან წერილობითი ფორმით დადებული გირავნობის შეთანხმების (ხელშეკრულების) საჯარო რეესტრში რეგისტრაცია; მაგრამ ასეთი არჩევანი მათ არა აქვთ ისეთ შემთხვევაში, როდესაც გირავნობის საგანია მოთხოვნა. 2005 წლის 30 ივნისის კანონით შეიცვალა კოდექსის გირავნობის შესახებ ქვეთავის ძველი რედაქციით გათვალისწინებული მოთხოვნების დაგირავების წესი და დადგინდა გირავნობის შეთანხმების (ხელშეკრულების) აუცილებელი წერილობითი

ფორმა და მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. გირავნობის შესახებ ქვეთავის ძველი რედაქციის 255-ე მუხლის 1-ლი ნაწილი მოთხოვნების დაგირავების წესის დადგენისას უთითებდა მოთხოვნის დათმობის ზოგად ნორმებზე, რომლებიც ფორმის მხრივ აღნიშნულ სავალდებულო მოთხოვნას არ ითვალისწინებს (მუხლები 198-202). ერთადერთი საკანონმდებლო მოთხოვნა, რომელიც 255-ე მუხლით იყო დადგენილი მოთხოვნის დაგირავებისათვის, იყო მხარეთა მიერ მოთხოვნის მოვალისათვის შეტყობინება მოთხოვნის დაგირავების შესახებ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იმავე 255-ე მუხლის საფუძველზე მხარეებს მოთხოვნის გირავნობის შეთანხმების (ხელშეკრულების) დადება შეეძლოთ სანოტარო წესით და ამ უკანასკნელის საჯარო რეესტრში რეგისტრაციით მოთხოვნის მოვალისათვის შეტყობინების ვალდებულება თავიდან აეცილებინათ. გირავნობის შესახებ ქვეთავის ახალი რედაქციის თანახმად კი, მოვალისათვის შეტყობინება მაინც არსებობს, მიუხედავად გირავნობის უფლების პუბლიკაციისა. შეტყობინება უნდა განხორციელდეს წერილობით. შეტყობინების მიღებამდე მოვალეს შეუძლია შეასრულოს ვალდებულება მოთხოვნის მფლობელის წინაშე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 259-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ჩვენ მიერ ზემოთ აღინიშნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გირავნობის შესახებ ქვეთავის ახალი რედაქციის მნიშვნელოვანი ნაკლი – გირავნობის უფლების ***კეთილსინდისიერი შეძენის დამდგენი ნორმის არარსებობა.*** ვთქვით ისიც, რომ აღნიშნულ სამწუხარო ხარვეზს ადგილი აქვს ძველ რედაქციაში შესაბამისის ნორმის არსებობის ფონზე – 257-ე მუხლი, "კეთილსინდისიერი მოგირავნის უფლებები". თუმცა, თავის მხრივ, სამწუხაროდ ეს უკანასკნელიც ისე იყო ჩამოყალიბებული, რომ პრაქტიკულად გამორიცხული იყო მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება. მიუხედავად გირავნობის უფლების კეთილსინდისიერი შეძენის დამდგენი სპეციალური ნორმის არარსებობისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოიპოვება ჩვენ მიერ უკვე ზემოთ განხილული საკუთრების უფლების კეთილსინდისიერი შეძენის დამდგენი ნორმები – 187-ე მუხლი. ვფიქრობთ, აღნიშნული მუხლის ნორმები გამოყენებულ უნდა იქნეს ***ანალოგიის წესით გირავნობის უფლების მიმართაც***, ვინაიდან ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც არსებობს კანონისა და სასამართლოს მხრიდან დაცვის ღირსი სამოქალაქო ურთიერთობის კეთილსინდისიერი მხარის – მოგირავნის ინტერესი იმ შემთხვევებში, როდესაც გირავნობის შეთანხმების (ხელშეკრულების) მეორე მხარე – დამგირავებელი სინამდვილეში არ წარმოადგენს მოძრავი ნივთის მესაკუთრეს. თავად სამართლებრივი კონსტრუქცია გირავნობის უფლების კეთილსინდისიერი შეძენისა ანალოგიურია საკუთრების უფლების კეთილსინდისიერი შეძენის სამართლებრივი კონსტრუქციისა:

მფლობელობითი გირავნობის შემთხვევაში არამესაკუთრე დამგირავებელი უნდა ფლობდეს ნივთს, ცხადია, მისი დაგირავების უფლებამოსილების გარეშე. მსგავსად საკუთრების უფლების კეთილსინდისიერი შეძენისა, გირავნობის უფლების კეთილსინდისიერი შეძენის შემთხვევაშიც, ნივთის ფლობის ფაქტი ქმნის საფუძვლიან ვარაუდს, რომ დამგირავებელი არის მისი მესაკუთრე; მოგირავნის მიერ აღნიშნული რწმენა იმსახურებს სწორედ კანონისა და სასამართლოს მხრიდან დაცვას. მაგალითად, ლომბარდი პრაქტიკულად მოკლებულია შესაძლებლობას, დარწმუნდეს, არის თუ არა მისთვის ნივთის ჩამბარებელი – დამგირავებელი ნივთის ნამდვილი მესაკუთრე. იგი ენდობა დამგირავებლის ფლობის ფაქტს და ამიტომ იღებს ნივთს დამგირავებლის მიმართ თავისი მოთხოვნის საუზრუნველყოფოდ. კეთილსინდისიერი შეძენის დაცვის გარეშე სალომბარდე ბიზნესი პრაქტიკულად დაუცველი იქნებოდა. გირავნობის უფლების კეთილსინდისიერი შემძენი დაცულია კანონით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მან არ იცოდა და მას არც უნდა სცოდნოდა, რომ დამგირავებელი სინამდვილეში ნივთის მესაკუთრე არ არის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადება). შემძენის კეთილსინდისიერება ყოველთვის მიმართული უნდა იყოს იმის რწმენისკენ, რომ დამგირავებელი ნივთის მესაკუთრეა. კეთილსინდისიერება განკარგვის უფლებამოსილების მიმართ საკმარისი არ არის. საკუთრების უფლების კეთილსინდისიერი შეძენის მსგავსად, გირავნობის უფლების კეთილსინდისიერი შეძენა ***გამორიცხულია***, თუ

ნამდვილმა მესაკუთრემ ნივთზე მფლობელობა დაკარგა თავისი ნების საწინააღმდეგოდ (მან ნივთი დაკარგა ან იგი მას მოპარეს და ა. შ.).

რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში, სახეზე გვაქვს განსხვავებული მდგომარეობა იმის გამო, რომ ამ დროს ადგილი არა აქვს ნივთის მოგირავნის (ან მესამე პირის) მფლობელობაში გადაცემას; მოგირავნეს არც ის შეუძლია დაადგინოს, ახორციელებს თუ არა დამგირავებელი გირავნობის საგანზე მფლობელობას. ამიტომ ამ შემთხვევაში გირავნობის საგნის მესაკუთრისა და შესაძლო უფლებრივი დატვირთვის შესახებ ინფორმაციის მიღება ხდება საჯარო რეესტრიდან, თუ მოძრავი ნივთი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში და ამ უკანასკნელის მონაცემების მიმართ მოქმედებს სისწორის პრეზუმფცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის თანახმად. თუ გირავნობის დადგენის შესახებ შეთანხმების (ხელშეკრულების) დადების დროისათვის გირავნობის საგანი საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის, რეესტრის სამსახურის ცნობა ჩამოყალიბდება უარყოფითი ფორმულირებით: კონკრეტული მოძრავი ნივთის (ან უფლების) შესახებ საჯარო რეესტრში ჩანაწერი არ არსებობს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მოგირავნის რისკზე იქნება არა მარტო გირავნობის საგნის კუთვნილება, არამედ საერთოდ ფიზიკური არსებობაც.

გ. გირავნობის უფლებათა რიგითობა

თუ ერთი და იმავე გირავნობის საგანზე არსებობს რამდენიმე გირავნობის უფლება, აქტუალური ხდება მათ შორის უპირატესობის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 267-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ადგენს ზოგად წესს, რომლის თანახმადაც გირავნობის უფლებათა კონკურენციისას ***უპირატესობა ენიჭება უფრო ადრე დადგენილ გირავნობის უფლებას,*** ე. ი. გირავნობის უფლებათა რიგითობა განისაზღვრება ***მათი წარმოშობის მომენტის მიხედვით***. თუმცა, ამ ზოგადი წესიდან იგივე მუხლი ითვალისწინებს გამონაკლისებსაც:

ა) უპირველეს ყოვლისა, გამონაკლისს წარმოადგენს ***სამომავლო ქონებაზე*** გირავნობის დადგენის წესი, რომლის თანახმადაც, როგორც ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, გირავნობის უფლება წარმოშობილად ითვლება არა შეთანხმების (ხელშეკრულების) დადების, არამედ ქონების წარმოშობის ან შეძენის მომენტში;

ბ) მეორე გამონაკლისი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გირავნობის შესახებ ქვეთავის ახალი რედაქციის მნიშვნელოვან ნოვაციას წარმოადგენს: 267-ე მუხლის მე-3 ნაწილის ნორმა უპირატესობას ანიჭებს ***კანონისმიერი გირავნობის უფლებას სახელშეკრულებო გირავნობის უფლებასთან შედარებით***, როდესაც პირველი წარმოიშობა ისეთი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან, რომლებსაც განეკუთვნება: ქირავნობა (568-ე მუხლი), იჯარა (586-ე მუხლი), სასოფლო-სამეურნეო იჯარა (596-ე მუხლი), ნარდობა (694-ე მუხლი), გადაზიდვა-გადაყვანა (685-ე მუხლი) და მიბარება სასაქონლო საწყობში (796-ე მუხლი). აღნიშნული წესი წარმოადგენს ერთგვარ ანალოგს რომანული სამართლის სისტემის ქვეყნების კანონმდებლობებში არსებული პრივილეგიებისა, რომლის დროსაც, როგორც ზემოთ ვისაუბრეთ, პრივილეგირებული კრედიტორები სარგებლობენ უპირატესობით, თვით იპოთეკის უფლების მქონე კრედიტორებთან შედარებით; თუმცა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 267-ე მუხლის მე-3 ნაწილის ნორმის არსებობა არ გულისხმობს რომანული სამართლის აღნიშნული სამართლებრივი ინსტიტუტის აღიარებას ქართულ სამოქალაქო სამართალში. 267-ე მუხლის მე-3 ნაწილი საუბრობს მხოლოდ 2 სახის გირავნობის უფლებათა კონკურენციაზე, რომელთა შორისაც უპირატესობა ენიჭება კანონისმიერ გირავნობის უფლებას, მიუხედავად უფლების დადგენის მომენტისა.

დ. სამართლებრივი ურთიერთობა მოგირავნესა და დამგირავებელს შორის

გირავნობის უფლების ძალით მოგირავნესა და დამგირავებელს შორის წარმოიშობა და არსებობს კანონისმიერი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა. ეს ურთიერთობა არსებობს ავტომატურად, კანონის ძალით და მისი წარმოშობისათვის საჭირო არ არის მხარეთა შორის პირდაპირი შეთანხმება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თავად სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები სხვაგვარად არ ადგენს.

მოგირავნესა და დამგირავებელს შორის უფლებები და ვალდებულებები განსხვავებულად განისაზღვრება იმისდა მიხედვით, მხარეებმა დადეს ***მფლობელობითი თუ რეგისტრირებული გირავნობა***.

მფლობელობითი გირავნობის შემთხვევაში, მოგირავნის (ან მესამე პირის) უპირველესი ვალდებულებაა ნივთის სათანადოდ შენახვისა და მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა. ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, დამგირავებელს შეუძლია მოითხოვოს გირავნობის საგნის მესამე პირის მფლობელობაში გადაცემა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილები). მოგირავნეს არ შეუძლია მოითხოვოს გირავნობის საგნიდან სარგებლის მიღება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნულის თაობაზე მხარეები პირდაპირ შეთანხმდნენ. ივარაუდება, რომ მოგირავნე უფლებამოსილია, გირავნობის საგნიდან მიიღოს ნაყოფი, თუ ნაყოფის მიღება გირავნობის საგნის თვისებებიდან გამომდინარეობს. სარგებელი ჩაითვლება გირავნობის უფლებით უზრუნველყოფილი მოთხოვნის ანგარიშში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 261-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში, ნივთის სათანადოდ შენახვისა და მოვლა-პატრონობის ვალდებულება ეკისრება დამგირავებელს, ვინაიდან გირავნობის საგანი რჩება ამ უკანასკნელის მფლობელობაში. მსგავსად მოგირავნის მიერ ანალოგიური ვალდებულების დარღვევისა, მოგირავნეს უფლება აქვს, მოითხოვოს გირავნობის საგნის მის ან მესამე პირის მფლობელობაში გადაცემა. განსხვავებით მოგირავნის მიერ სარგებლის მიღების წესისა, დამგირავებელი უფლებამოსილია, სარგებელი მიიღოს გირავნობის საგნიდან, რაზეც მხარეთა შორის პირდაპირი შეთანხმება აუცილებელი არ არის. კანონმდებლის ასეთი გადაწყვეტა შეესაბამება რეგისტრირებული გირავნობის მიზანს, მიეცეს მოვალეს გირავნობის საგნით სარგებლობის გაგრძელების საშუალება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 261-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ გირავნობის საგანს წარმოადგენს აქცია ან წილი კომერციულ იურიდიულ პირში, მაშინ დამგირავებელი იურიდიული პირის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას, ან გარიგების დადებისას უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, საკუთარი და მოგირავნის ინტერესების გათვალისწინებით. ამ ნორმის მიზანია, დაიცვას მოგირავნის ქონებრივი ინტერესები დამგირავებლის მიერ დაგირავებული აქციის ან წილის მიმართ ისეთი არაკეთილსინდისიერი ქმედებებისას, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს გირავნობის საგნის ღირებულების შემცირება ან მისი საერთოდ დაკარგვა.

როგორც მფლობელობითი, ისე რეგისტრირებული გირავნობის დროს დამგირავებელს შეიძლება დაეკისროს გირავნობის საგნის დაზღვევის ვალდებულება. ასეთი ვალდებულება არსებობს, თუ მას პირდაპირ ადგენს კანონი ან თუ აღნიშნულის შესახებ მხარეები შეთანხმდებიან გირავნობის შეთანხმებაში (ხელშეკრულებაში) (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 262-ე მუხლი).

ე. გირავნობის უფლების გადასვლა სხვა პირზე. გირავნობის საგნის განსხვისება და დაგირავება. სუროგაცია

გირავნობის უფლება ***აქცესორული უფლებაა*** და იგი მიჰყვება მოთხოვნას ამ უკანასკნელის მფლობელის – კრედიტორის მიერ სხვა პირისათვის დათმობის შემთხვევაში. გირავნობის უფლების დამოუკიდებლად მოთხოვნის გარეშე გადაცემა დაუშვებელია. გირავნობის უფლების ახალ კრედიტორზე გადასვლის მიღწევისათვის მხოლოდ მოთხოვნის დათმობის ხელ-

შეკრულების დადება საკმარისი არ არის. საჭიროა პუბლიკაციის ელემენტის მიღწევაც: მფლობელობითი გირავნობის შემთხვევაში – გირავნობის საგნის ახალი კრედიტორის ან მესამე პირის მფლობელობაში გადაცემა, ხოლო რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში – საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. თუ მოთხოვნის დათმობისას გამორიცხულია გირავნობის უფლების გადაცემა, მაშინ გირავნობის უფლება უქმდება.

დაგირავებული ნივთი შეიძლება ***გასხვისებულ იქნეს*** მესაკუთრის მიერ მიუხედავად იმისა, რომ იგი წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის ობიექტს და ვალდებულების შესრულების ვადა ჯერ არ არის დამდგარი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გირავნობის შესახებ ქვეთავის ძველ რედაქციაში აღნიშნულ საკითხს აწესრიგებდა ერთი ნორმა, რომელიც გათვალისწინებული იყო 264-ე მუხლში: "გირავნობის საგანზე გარიგების დადებისათვის აუცილებელია მოგირავნის წინასწარი თანხმობა". ამდენად, ამ ნორმის თანახმად, დამგირავებლის (მესაკუთრის) მიერ დაგირავებულ ნივთზე ნებისმიერი სახის გარიგება, ე.ი. არა მარტო განკარგვა (მათ შორის, გასხვისება), არამედ მასზე ნებისმიერი ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგების დადებაც, დამოკიდებული იყო მოგირავნის თანხმობაზე. ამ უკანასკნელის არ-არსებობის შემთხვევაში, გირავნობის საგანზე დადებული ნებისმიერი გარიგება ბათილად ითვლებოდა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გირავნობის შესახებ ქვეთავის ახალი რედაქცია უფრო მეტ ყურადღებასა და, შესაბამისად, ნორმას უთმობს გირავნობის საგნის გასხვისების დროს წარმოშობილი საკითხების მოწესრიგებას – 5 ნორმა 274-ე მუხლში. გირავნობის შესახებ ქვეთავის ძველი რედაქციის 264-ე მუხლის ანალოგიურ ნორმას ახალი რედაქცია აღარ ითვალისწინებს და გირავნობის საგნის გასხვისებისათვის მოგირავნის თანხმობას იგი აღარ ითხოვს. დამგირავებელს (მესაკუთრეს) შეუძლია თავისი სურვილით გაყიდოს, გააჩუქოს, გაცვალოს ან სხვაგვარად გაასხვისოს დაგირავებული ნივთი, თუმცა, შემძენზე გადავა გირავნობით დატვირთული ნივთი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

ა) მფლობელობითი გირავნობის შემთხვევაში, მოგირავნე ან უფლებამოსილი მესამე პირი გირავნობის საგანს მფლობელობაში გადასცემს შემძენს;

ბ) დამგირავებელი (მესაკუთრე) დაგირავებულ ნივთს ასხვისებს თავისი ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, იცოდა თუ არა შემძენმა ნივთზე დადგენილი გირავნობის უფლების თაობაზე. თუმცა, ეს წესი არ გამოიყენება, თუ შემძენი და დამგირავებელი მოქმედებდნენ არაკეთილსინდისიერად (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 274-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გირავნობის შესახებ ქვეთავის ახალი რედაქცია ითვალისწინებს ***შესაძლებლობას***, გირავნობის შეთანხმების (ხელშეკრულების) მხარეები შეთანხმდნენ, რომ დამგირავებელი (მესაკუთრე) არ გაასხვისებს და არ დააგირავებს გირავნობის საგანს გირავნობის უფლების გაუქმებამდე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 266-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). ამასთან, აღსანიშნავია, რომ დამგირავებლის (მესაკუთრის) მიერ შემდგომში გასხვისებისა თუ დაგირავებაზე უარის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, კანონი მოგირავნეს ანიჭებს თავისი მოთხოვნის დაუყოვნებლივ დაკმაყოფილების უფლებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გირავნობის შესახებ ქვეთავის ძველი რედაქციის მსგავსად, ახალი რედაქციაც ადგენს წესს, რომლის თანახმადაც, თუ გირავნობის საგანს წარმოადგენს მოთხოვნა და მოთხოვნის მოვალის მიერ ხორციელდება ვალდებულების შესრულება მოთხოვნაზე გირავნობის უფლების არსებობის პერიოდში, მაშინ ვალდებულების შესრულება იკავებს მოთხოვნის ადგილს – ***ე. წ. სუროგაცია,*** თუკი მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. გარდა აღნიშნულისა, სუროგაციას ადგილი აქვს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც გირავნობის საგნის დაკარგვასთან, დაზიანებასთან, განადგურებასთან ან გაუფასურებასთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი ანაზღაურება, მათ შორის, სადაზღვევო ანაზღაურება, იკავებს გირავნობის საგნის ადგილს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (264-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ვ. გირავნობის საგნის რეალიზაცია

2005 წლის 30 ივნისის კანონით ყველაზე მეტი და, ამასთან, არსებითი ხასიათის ცვლილება განიცადა გირავნობის საგნის ***რეალიზაციის წესმა***. შეიძლება ითქვას, რომ ამ კანონის უმთავრესი მიზანიცა და ღირსებაც მდგომარეობს სწორედ გირავნობის საგნის რეალიზაციის წესების მაქსიმალურად გამარტივებასა და გირავნობის ურთიერთობის ყველა მონაწილის უფლებების ეფექტური დაცვის მიღწევაში. კანონმდებლის მიერ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოგირავნის ინტერესების ქმედით დაცვას, რაც გამოიხატება, მაგ., მოგირავნისათვის გირავნობის საგნის პირდაპირი გზით რეალიზაციის უფლების მინიჭებაში, რეალიზაციის განხორციელებაში ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, ასევე – გირავნობის საგნის რეალიზაციის სხვა წესის დადგენაში; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გირავნობის შესახებ ქვეთავის ახალ რედაქციაში ახლებურად მოწესრიდგა რამდენჯერმე დაგირავებული ნივთის რეალიზაციის წესიც.

2007 წლის 30 ივნისის კანონით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გირავნობის შესახებ ქვეთავს დაემატა 260[1] მუხლი, რომლითაც ***დაშვებულ იქნა დაგირავებული მოძრავი ნივთის მოგირავნის საკუთრებაში პირდაპირ გადასვლა***. ამით კანონმდებელმა კარდინალურად შეცვალა თავისი პოზიცია თავდაპირველთან შედარებით, რომლის თანახმადაც მოძრავი ნივთის მოგირავნის საკუთრებაში პირდაპირ გადასვლის თაობაზე მხარეთა შორის შეთანხმება ბათილად მიიჩნეოდა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქციის 270-ე მუხლი). 260[1] მუხლის თანახმად, მოძრავი ნივთის მოგირავნის საკუთრებაში პირდაპირ გადასვლა დაშვებულია მხოლოდ რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში; გარდა ამისა, ასეთ პირობაზე მხარეები პირდაპირ უნდა შეთანხმდნენ გირავნობის ხელშეკრულებაში.

თუ გირავნობით უზრუნველყოფილ მოთხოვნას მოვალე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს, მოგირავნეს უფლება აქვს, მოახდინოს ***გირავნობის საგნის რეალიზაცია***; სწორედ რეალიზაციის გზით ხდება მოგირავნის მოთხოვნის დაკმაყოფილება. თუმცა, თუ გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად ან გირავნობის საგნის ღირებულება მთლიანად არ ფარავს მოთხოვნის ოდენობას, მაშინ, 276-ე მუხლში 2007 წლის 29 ივნისის კანონით შეტანილი ცვლილებების თანახმად, მოთხოვნა მაინც სრულად ითვლება დაკმაყოფილებულად, თუ მხარეები გირავნობის ხელშეკრულებაში საწინააღმდეგოზე არ შეთანხმებულან. ვფიქრობთ, კანონმდებლის ასეთი პოზიცია არ უნდა ჩაითვალოს მართებულად, ვინაიდან მოგირავნეს არ უნდა მოვუსპოთ კუთვნილი მოთხოვნის დაუფარავ ნაწილში დაკმაყოფილების შესაძლებლობა სხვა საშუალებით, თუნდაც, მას გირავნობის ხელშეკრულების დადებისას საწინააღმდეგო წესზე პირდაპირი შეთანხმება გამორჩა.

კანონი რეალიზაციის საწყის ეტაპზევე უქმნის რეალიზაციის უფლების მქონე მოგირავნეს ***ხელსაყრელ პირობას*** თავისი უფლების განხორციელებისათვის. კერძოდ, მას შეუძლია მოითხოვოს გირავნობის საგნის მისთვის გადაცემა, რაც ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებას. გარდა ამისა, 281-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მოთხოვნის რეალიზაცია დამოკიდებულია იურიდიული მოქმედების შესრულებაზე, მაშინ მოგირავნეს შეუძლია დამგირავებელს მოსთხოვოს ამ მოქმედების შესრულება. თუ დამგირავებელი 2 კვირის ვადაში არ შეასრულებს მოგირავნის მოთხოვნას, მოგირავნე უფლებამოსილია, ეს მოქმედება დამგირავებლის სახელით განახორციელოს მესამე პირის მიმართ.

რაც შეეხება თავად გირავნობის საგნის რეალიზაციის წესს, კანონი ითვალისწინებს მოგირავნის მხრიდან განსაკუთრებული ფორმალური პროცედურის დაცვას რეალიზაციის მართლზომიერების უზრუნველყოფისათვის, რომელიც განსხვავდება ერთმანეთისაგან იმისდა მიხედვით, სახეზეა მფლობელობითი თუ რეგისტრირებული გირავნობა.

მფლობელობითი გირავნობის დროს მოგირავნემ გირავნობის საგნის რეალიზაციამდე 2 კვირით ადრე ***წერილობითი შეატყობინებით*** უნდა გააფრთხილოს რეალიზაციის შესახებ დამგირავებელი და სხვა მოგირავნეები, თუ გირავნობის საგანი დაგირავებულია რამდენჯერმე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 282-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, აღნიშნული წესიდან არსებობს გამონაკლისიც, კერძოდ, გირავნობის საგნის რეალიზაცია მოგირავნის მიერ შეიძლება განხორციელდეს დამგირავებლისა და სხვა მოგირავნეების წინასწარი ***წერილობითი გაფრთხილების გარეშეც,*** შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ არსებობს გირავნობის საგნის საბაზრო ან საბირჟო ფასის დაცემის რეალური საფრთხე;

ბ) გირავნობის საგანი მალფუჭებადია.

უშუალოდ მოგირავნის მიერ გირავნობის საგნის ***პირდაპირი მიყიდვის*** გზით რეალიზაცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გირავნობის შესახებ ქვეთავის ახალ რედაქციაში, რეალიზაციის ფორმებს შორის უპირველესად არის დასახელებული, რაც კიდევ ერთი დასტურია ამ საკანონმდებლო ნოვაციისათვის კანონმდებლის მხრიდან დიდი მნიშვნელობის მინიჭებისა. მოგირავნე გირავნობის საგანს ყიდის თავისი შეხედულებით, თუმცა, კანონი ადგენს ზოგად პირობებს, რომლებიც უნდა იქნეს დაცული გასხვისების დროს. კერძოდ, მოგირავნე ვალდებულია, გირავნობის საგანი გაასხვისოს ***სამართლიან და გონივრულ ფასში*** თავისი, დამგირავებლისა და სხვა მოგირავნეების ინტერესების გათვალისწინებით. ამ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოგირავნე პასუხს აგებს დამგირავებლისა და სხვა მოგირავნეებისათვის მიყენებული ზიანისათვის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 283-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). თუ გირავნობის საგანს აქვს საბირჟო ან საბაზრო ფასი, მოგირავნეს შეუძლია გირავნობის საგნის გაყიდვა მიანდოს სპეციალურ სავაჭრო დაწესებულებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გირავნობის შესახებ ქვეთავის ახალი რედაქციის მეორე მნიშვნელოვანი ნოვაცია მდგომარეობს რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში გირავნობის საგნის მოგირავნის მფლობელობაში გადაცემასა და რეალიზაციაში ***ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის*** საფუძველზე. ამით კანონი ადგენს მეტად მარტივ და ქმედით ბერკეტს მოგირავნის ინტერესების დროული დაკმაყოფილებისათვის, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც მოვალე უარს აცხადებს გირავნობის საგნის მოგირავნისათვის გადაცემაზე. სააღსრულებო ფურცელი ნოტარიუსის მიერ გაიცემა მოგირავნის მოთხოვნით, ყოველგვარი სასამართლო განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების გარეშე, თუმცა, ამისდა მიუხედავად, იგი უნდა აღსრულდეს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის მსგავსად "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

გირავნობის შესახებ ქვეთავის ძველი რედაქციის მსგავსად, ახალი რედაქციაც ითვალისწინებს გირავნობის შეთანხმების (ხელშეკრულების) მხარეთა შესაძლებლობას, შეთანხმდნენ გირავნობის საგნის ***რეალიზაციის განსხვავებულ წესზე,*** რომელიც არ არის გათვალისწინებული გირავნობის შესახებ ქვეთავში. თუმცა, ახალი რედაქცია აღნიშნული შესაძლებლობის წინაპირობად ასახელებს რეალიზაციის განხორციელებას, გონივრულ და სამართლიან ფასში დამგირავებლისა და სხვა მოგირავნეების ინტერესების გათვალისწინებით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 284-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ვინაიდან მოძრავი ნივთი შეიძლება დაიტვირთოს ორი ან მეტი გირავნობის უფლებით, კანონი აღნიშნულ შემთხვევაში ადგენს გირავნობის საგნის რეალიზაციის სპეციალურ წესს. როდესაც გირავნობის საგანი ***დატვირთულია რამდენჯერმე,*** მისი რეალიზაციის მოთხოვნის უფლება აქვს იმ მოგირავნეს, რომლის მოთხოვნის შესრულების ვადაც დადგა მიუხედავად იმისა, რომ მისი გირავნობის უფლება შეიძლება არც იყოს პირველი რიგის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 279-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოგირავნეს, რომლის გირავნობის უფლებაც წინ უსწრებს რეალიზაციის განმახორციელებელი მოგირავნის უფლებას, შეუძლია გირავნობის საგნის შესაძლო რეალიზაციის შესახებ შემდგომი მოგირავნის წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 2 კვირის განმავლობაში აცნობოს ამ უკანასკნელს იმის თაობაზე, რომ იგი სარგებლობს რეალიზაციის უფლებით; ამ შემთხვევაში, შემდგომი მოგირავნე ვერ განახორციელებს რეალიზაციას და ეს ვალდებულება დაეკისრება წინა მოგირავნეს. გარდა

აღნიშნულისა, წინა მოგირავნე ატყობინებს შემდგომ მოგირავნეს იმის თაობაზე, რომ იგი თანახმაა, რომ გირავნობის საგნის რეალიზაცია განახორციელოს შემდგომმა მოგირავნემ მხოლოდ იმ პირობით, რომ რეალიზაციიდან ამონაგები თანხებიდან თავისი მოთხოვნა უპირატესად დაკმაყოფილდება.

გირავნობის საგნის მართლზომიერი რეალიზაციის შედეგია მასზე ***საკუთრების უფლების გადასვლა შემძენზე***; გირავნობის უფლება უქმდება. არამართლზომიერი რეალიზაციის შემთხვევაშიც შემძენი იძენს საკუთრების უფლებას იმ პირობით, რომ იგი არამართლზომიერი რეალიზაციის ფაქტის მიმართ ***კეთილსინდისიერია*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 285-ე მუხლის მე-2 ნაწილი). შემძენი გირავნობის საგანს იძენს, როგორც წესი, "სუფთად", ე.ი. დაუტვირთავად, თუმცა, ამ წესიდან არსებობს გამონაკლისიც, კერძოდ, გირავნობის საგანი დატვირთული რჩება იმ მოგირავნეთა უფლებებით, რომელთა გირავნობის უფლებაც წინ უსწრებს რეალიზაციის განმახორციელებელი მოგირავნის უფლებას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 279-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

გირავნობის შესახებ ქვეთავის ახალი რედაქციის სიახლეს წარმოადგენს რეალიზაციის განმახორციელებელი მოგირავნის ვალდებულება, რეალიზაციის განხორციელებიდან გონივრულ ვადაში, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, წარუდგინოს დამგირავებელს წერილობითი ანგარიში გირავნობის საგნის რეალიზაციის თაობაზე, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას რეალიზაციის ხარჯების, რეალიზაციიდან ამონაგები თანხისა და ამ თანხის გამოყენების შესახებ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 285^1 მუხლი).

ზ. გირავნობის უფლების გაუქმება

გირავნობის უფლების აქცესორული ბუნების გამო იგი ***უქმდება***, თუ წყდება თავად მოთხოვნა. გირავნობის უფლება უქმდება ასევე ე.წ. კონსოლიდაციის დროსაც, კერძოდ, როდესაც გირავნობის საგანზე საკუთრების უფლებას იძენს მოგირავნე.

როგორც სანივთო უფლება, გირავნობის უფლებაც უქმდება, როდესაც ის ნივთი, რომელიც დატვირთულია ამ უფლებით, ***განადგურდება*** ან თუ უფლებამოსილი პირი – მოგირავნე ***უარს*** განაცხადებს თავის უფლებაზე. მფლობელობითი გირავნობა უქმდება, აგრეთვე, იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოგირავნე გირავნობის საგანზე მფლობელობას უბრუნებს დამგირავებელს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 265-ე მუხლის თანახმად, გირავნობის უფლება უქმდება, თუ ადგილი ჰქონდა გირავნობის საგნის ***გადამუშავებას ან მისი სხვა მოძრავ ნივთთან შერწყმას*** ისე, რომ პირვანდელ მდგომარეობაში მათი აღდგენა შეუძლებელია ან დაკავშირებულია მნიშვნელოვან ხარჯებთან იმ პირობით, რომ მხარეები ასეთ შემთხვევაში გირავნობის უფლების გაუქმებაზე პირდაპირ შეთანხმდნენ. თუ საკუთრება გადადის გირავნობის საგნის გადამუშავების ან სხვა მოძრავ ნივთთან შერწყმის შედეგად, მაშინ გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 196-ე მუხლით გათვალისწინებული წესი (უფლებათა გაქარწყლება საკუთრების გადასვლისას). აღნიშნულ შემთხვევაში გირავნობიდან გამომდინარე მოთხოვნათა რიგითობა განისაზღვრება გირავნობის საგნის გადამუშავებამდე ან სხვა მოძრავ ნივთთან შერწყმამდე არსებულ გირავნობის უფლებათა წარმოშობის მომენტის შესაბამისად (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 265-ე მუხლის 2-3 ნაწილები).

კანონი მფლობელობითი გირავნობის შემთხვევაში ითვალისწინებს გირავნობის უფლების გაუქმების სპეციალურ წესს, კერძოდ, გირავნობის უფლება უქმდება, თუ გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დათმობის შემთხვევაში ახალი კრედიტორი ***არ მოითხოვს*** გირავნობის საგნის მისთვის ან მის მიერ უფლებამოსილი პირისათვის გადაცემას, ან გირავნობის უფლების რეგისტრაციას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 269-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

მფლობელობითი გირავნობის შემთხვევაში, გირავნობის უფლების გაუქმებისას მოგირავნე ვალდებულია, გირავნობის საგანი ***დაუბრუნოს*** დამგირავებელს. რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში კი, გირავნობის უფლების გაუქმებისას დამგირავებელს უფლება აქვს, მოგირავნეს

მოსთხოვოს გირავნობის უფლების გაუქმების დაუყოვნებელი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში/ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში. თუ არ არსებობს დამგირავებლის მოთხოვნა გირავნობის უფლების შეწყვეტის დაუყოვნებელი რეგისტრაციის შესახებ, მოგირავნე ვალდებულია გირავნობის უფლების გაუქმებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში მიმართოს საჯარო რეესტრს ან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს გირავნობის უფლების გაუქმების რეგისტრაციის მიზნით. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამგირავებელს აქვს მოგირავნისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 275-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 275-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გირავნობის უფლების გაუქმების რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება თავად დამგირავებელსაც აქვს. ამ შემთხვევაში, სარეგისტრაციო განცხადებას თან უნდა დაერთოს მოგირავნის მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გირავნობის უფლების გაუქმებას.

თ. გირავნობის უფლების დაცვა

გირავნობის უფლება როგორც აბსოლუტური უფლება დაცულია ნებისმიერი პირისაგან ***საკუთრების უფლების დაცვითი სარჩელებით*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 268-ე მუხლი). მფლობელობითი გირავნობის შემთხვევაში, მოგირავნეს გირავნობის საგანზე თავისი მფლობელობის დასაცავად შეუძლია ისარგებლოს ასევე მფლობელობითი დაცვის სარჩელებითაც.

III. იპოთეკა

ა. ზოგადად. იპოთეკის ცნება და შინაარსი. იპოთეკის საგანი და უზრუნველყოფილი მოთხოვნა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის იპოთეკის სამართლებრივი ინსტიტუტის მომწესრიგებელი ნორმებიც არაერთხელ და კარდინალურად შეიცვალა. ***2007 წლის 29 ივნისს მიღებული კანონით*** საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ მნიშვნელოვანი ნოვაცია განიცადა კოდექსის იპოთეკის შესახებ ქვეთავმა. შეიძლება ითქვას, იპოთეკის შესახებ მომწესრიგებელი ნორმები სრულიად ახლებურად ჩამოყალიბდა. თუმცა, იპოთეკის შესახებ ქვეთავმა შემდგომ წლებშიც განიცადა გარკვეული ცვლილებები 2008 წლის 19 დეკემბრის, 2009 წლის 4 დეკემბრისა, 2010 წლის 6 ივლისის, 2010 წლის 7 დეკემბრისა და 2013 წლის 25 დეკემბრის კანონებით.

2007 წლის 29 ივნისის კანონის უმნიშვნელოვანესი ნოვაცია მდგომარეობს ***იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლაში***, თუ ამის თაობაზე ორივე მხარე თანახმაა. აღნიშნულით კანონმდებელი მაქსიმალურად ცდილობს, დაიცვას კრედიტორის (იპოთეკარის) ინტერესები, მისთვის სანივთო უზრუნველყოფის სწრაფი და ეფექტურად გამოყენების შესაძლებელობის მინიჭებით. თუმცა, იპოთეკის საგნის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის დროს გასათვალისწინებელია საგადასახადო საკითხები, კერძოდ, დამატებული ღირებულების გადასახადით (დღგ) დაბეგვრა, როდესაც იპოთეკის შემძენი დღგ-ის გადამხდელია. კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის დროს დასადგენია იპოთეკის საგნის ღირებულება, რაც მნიშვნელოვანია სესხის (კრედიტის) დაფარვის მოცულობის განსაზღვრისათვის. ამ მხრივ გასათვალისწინებელია მე-300 მუხლის ახალი რედაქციის მე-2 ნაწილის ნორმა, რომლის თანახმადაც, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლისას იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის ღირებულება მთლიანად არ ფარავს ამ მოთხოვნის ოდენობას, თუ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2007 წლის 29 ივნისის კანონის საინტერესო სიახლეს წარმოადგენს ***იპოთეკის მოწმობის*** შემოღება, რომელსაც უპირატესობა ენიჭება საჯარო რეესტრში არსებულ ჩანაწერთან

შედარებით. იპოთეკის მოწმობა ფასიანი ქაღალდია, რომლითაც დასტურდება იპოთეკის უფლების მისი მფლობელისადმი კუთვნილება. იგი, როგორც წესი, საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდია; კანონი ადგენს იპოთეკის მოწმობის მფლობელობის მართლზომიერების პრეზუმფციას, რომელიც შეიძლება გაქარწყლდეს საწინააღმდეგოს დამტკიცებით. იპოთეკის მოწმობა გაიცემა სავჭარო რეესტრის მიერ სანოტარო წესით დამოწმებული იპოთეკის ხელშეკრულებაში ამის თაობაზე მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში. იპოთეკის მოწმობა გაიცემა მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

2007 წლის 29 ივნისისა და მოგვიანებით მიღებული კანონები განსაკუთრებით რადიკალურია ***იპოთეკის საგნის რეალიზაციის მხრივ***; ისინი იძლევა იპოთეკის საგნის რეალიზაციის ახლებურ პროცედურას. კერძოდ, აღნიშნული შესაძლებელია:

1. სპეციალისტის მეშვეობით უძრავი ქონების აუქციონზე გაყიდვის გზით (302 1-ლი ნაწილი),

2. მხარეთა შორის შეთანხმებული აუქციონისაგან განსხვავებული წესით (302 მე-3 ნაწილი),

3. ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე (302 31 ნაწილი),

4. იპოთეკის საგნის აუქციონზე იძულებით გაყიდვით სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე (302 მე-4 ნაწილი).

სპეციალისტის მეშვეობით უძრავი ქონების აუქციონზე გაყიდვა იპოთეკის საგნის რეალიზაციის ძირითადი და პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებული ფორმაა მიუხედავად იმისა, რომ იგი არ ითვლება იძულებით აღსრულებად (302-ე მუხლის 11 ნაწილი). სპეციალისტის მეშვეობით უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაციის პროცედურის ამოქმედების წინაპირობებია: ა) სპეციალისტის ქმედუნარიანობა; ბ) იპოთეკარისა და იპოთეკის საგნის მესაკუთრის პირდაპირი შეთანხმება იპოთეკის ხელშეკრულებაში იპოთეკის საგნის რეალიზაციის ამ ფორმაზე და გ) სპეციალისტად დანიშნული პირის თანხმობა. სპეციალისტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქმედუნარიანი პირი (მათ შორის, იპოთეკარი, მოვალე ან იპოთეკის საგნის მესაკუთრე). გარდა აღნიშნულისა, აუქციონის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციის გასავაროება აუცილებელი წინაპირობაა სპეციალისტის მიერ იპოთეკის საგნის აუქციონის კანონიერად ჩატარების, ვინაიდან ამ მოქმედების გარეშე მესამე პირებისათვის – პოტენციური მყიდველებისათვის უცნობი დარჩებოდა აუქციონის ჩატარების ფაქტი და მისი პირობები. გამოქვეყნებაში იგულისხმება ინფორმაციის გასავაროება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით (გაზეთი, ტელევიზია, ინტერნეტი და ა. შ.). გარდა გამოქვეყნებისა, კანონი სპეციალურად ადგენს აუქციონის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ უშუალო შეტყობინების ვალდებულებას იპოთეკის საგნის მესაკუთრისათვის, იპოთეკარისა და მოვალისათვის, ვინაიდან ეს პირები ყველაზე მეტად არიან დაინტერესებულები აუქციონის შედეგებით. შეტყობინება უნდა განხორციელდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78 მუხლებით სასამართლო უწყების ჩაბარების მიმართ გათვალისწინებული წესების მიხედვით. 2007 წლის 29 ივნისის კანონი (კოდექსში შემდგომში შეტანილ ცვლილებებთან ერთად) ადგენს დეტალურ ნორმებს აუქციონის ჩატარების შესახებ:

- სპეციალისტის მიერ აუქციონზე გაყიდვის პროცედურის დაწყებისათვის აუცილებელია კანონისმიერი ფორმალური წესის დაცვა – იპოთეკარის მიერ სპეციალისტისათვის შესაბამისი განცხადების წარდგენა;

- სპეციალისტი ვალდებულია, დაადგინოს იპოთეკის საგანზე დადგენილი ის სანივთო უფლებები, რომლებსაც ენიჭება უპირატესობა იმ იპოთეკის უფლებასთან შედარებით, რომლის საფუძველზეც ხორციელდება იპოთეკის საგნის რეალიზაცია. თუ ასეთი უპირატესი უფლებები დადგენილია იპოთეკის საგანზე, მაშინ სპეციალისტმა აუქციონის მონაწილეებს უნდა განუმარტოს აუქციონზე იპოთეკის საგნის გაყიდვის შედეგად მათი შენარჩუნების სამართლებრივი შედეგების შესახებ; გარდა ამისა, სპეციალისტმა უნდა დაადგინოს უპირატესი უფლებების ღირებულება და ასევე შეატყობინოს ამის შესახებ აუქციონის მონაწილეებს.

აუქციონის ჩატარების პროცედურის საწყისი ეტაპი სრულდება სპეციალისტის მიერ იპოთეკის საგნის გაყიდვის საწყისი ფასის შეთავაზებით, რომელიც წარმოადგენს აუქციონის ჩატარების ხარჯისა და იპოთეკარის მოთხოვნის ჯამური თანხის ოდენობას;

- აუქციონის ჩატარების ზღვრული ვადაა 1 თვე იპოთეკარის მიერ სპეციალისტისთვის განცხადების წარდგენის მომენტიდან. აუქციონზე გაყიდვის საწყის ფასი შეადგენს აუქციონის ჩატარების ხარჯისა და იპოთეკარის მოთხოვნის ჯამური თანხის ოდენობას. აუქციონის მსვლელობისას სპეციალისტის მიერ ცხადდება ფასის ბოლო შემოთავაზება და აუქციონის დასასრული; ამასთან, ფასის ბოლო შემოთავაზება უნდა გამოცხადდეს 3-ჯერ და ხმამაღლა;

- აუქციონზე გამარჯვებულად ცხადდება მონაწილე, რომელიც ყველაზე დიდ ფასს შესთავაზებს. გამარჯვების ფაქტის აღსანიშნავად ჯერ ცხადდება, ხოლო შემდეგ კი გადაეცემა შემძენს სპეციალისტის განკარგულება ნაყიდი იპოთეკის საგნის, შემძენის, ფასისა და აუქციონის პირობების შესახებ ინფორმაციის მითითებით. მართალია, განკარგულება ძალაშია მისი გამოცხადებისთანავე, მაგრამ შემძენის მიერ ნაყიდ იპოთეკის საგანზე საკუთრების უფლების შეძენა დამოკიდებულია ნასყიდობის ფასის თანხის სრულად გადახდაზე. თანხა შეტანილ უნდა იქნეს სპეციალისტის სადეპოზიტო ანგარიშზე აუქციონის დასრულებიდან 1 კვირის ვადაში. იპოთეკის ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმებით შეიძლება დადგინდეს თანხის გადახდის სხვა წესი, რაც წინასწარ უნდა განისაზღვროს აუქციონის პირობებში. განკარგულება (მასზე სპეციალისტის ხელმოწერის ნამდვილობა) მოწმდება სანოტარო წესით და ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. თუ იპოთეკის საგანი ვერ გაიყიდება პირველ აუქციონზე შესაბამისი შეთავზების არარსებობის გამო, ტარდება მეორე აუქციონი. ამ უკანასკნელს სპეციალისტი ნიშნავს პირველი აუქციონის დასრულებიდან 10 დღის ვადაში პირველი აუქციონისათვის დადგენილი ფორმით და იმაზე მითითებით, რომ აუქციონი ტარდება მეორედ. პირველ და მეორე აუქციონებს შორის არსებითი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ მეორე აუქციონის დროს იპოთეკის საგნის საწყისი ფასი უკვე უნდა იყოს პირველ აუქციონზე შემოთავაზებული საწყისი ფასის ნახევარი, თუმცა, ამ საერთო წესიდან დაიშვება გამონაკლისი უფრო მცირე თანხის დადგენის სახით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკარი აღნიშნულს დაეთანხმება წერილობით. თუ იპოთეკის საგანი ვერ გაიყიდა ვერც მეორე აუქციონზე, მაშინ ტარდება მესამე აუქციონი, რომელზეც იპოთეკის საგნის გაყიდვის წესებს თავისი შეხედულებით განსაზღვრავს სპეციალისტი; კანონი მას პრაქტიკულად სრულ თავისუფლებას ანიჭებს აუქციონის ჩატარების პროცედურის მხრივ მხოლოდ იმ მოთხოვნით, რომ აუქციონის ისე იყოს ორგანიზებული და ჩატარებული, რომ იპოთეკის საგანი ყველა შემთხვევაში გაიყიდოს

გარდა სპეციალისტის მეშვეობით უძრავი ქონების აუქციონზე გაყიდვისა, კანონი დასაშვებად მიიჩნევს მხარეთა შეთანხმებას ***რეალიზაციის სხვა ფორმებზე***, თუმცა, არ ჩამოთვლის მათ. ვფიქრობთ, ერთ-ერთ ასეთ ფორმად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მაგ., იპოთეკარის მიერ იპოთეკის საგნის პირდაპირი მიყიდვის გზით რეალიზაცია. გირავნობისაგან განსხვავებით, იპოთეკის საგნის პირდაპირი მიყიდვა არ არის მოწესრიგებული სამოქალაქო კოდექსის იპოთეკის შესახებ ქვეთავში. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში კანონის ანალოგიით უნდა იქნეს გამოყენებული 283-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ნორმა, რომლის თანახმადაც მოგირავნე ვალდებულია, გირავნობის საგანი გაასხვისოს სამართლიან და გონივრულ ფასში თავისი, დამგირავებლისა და სხვა მოგირავნეების ინტერესების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ იპოთეკის საგნის აუქციონზე იძულებით გაყიდვის ალტერნატივის სახით კანონმდებელი ადგენს სეკვესტრს ანუ იპოთეკის საგნის იძულებით მართვას (310-ე მუხლი). სეკვესტრის მიზანია ვალდებულების შეძლებისდაგვარად მცირე დროში შესრულება იპოთეკის საგნის სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებით მიღებული შემოსავლების ხარჯზე. სეკვესტრი დგინდება სასამართლოს გადაწყვეტილებით და ხორციელდება სასამართლოს მიერ დანიშნული მმართველის მიერ, რომელიც შეიძლება იყოს თავად იპოთეკარი, ხოლო თუ სეკვესტრი ხორციელდება აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებული იძულებით აღსრულების

ფარგლებში, ასევე – აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დანიშნული მმართველი ან იპოთეკის საგნის მესაკუთრე.

სანოტარო წესით დამოწმებული იპოთეკის ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ იპოთეკის საგნის რეალიზაციაზე ***ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე***. სააღსრულებო ფურცელი ნოტარიუსის მიერ გაიცემა იპოთეკარის მოთხოვნით სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე და ექვემდებარება აღსრულებას "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე იპოთეკის საგნის იძულებით გაყიდვას კანონი ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, როდესაც იპოთეკის საგნის მესაკუთრე უარს აცხადებს კრედიტორთან თანამშრომლობაზე და, შესაბამისად, მხარეები ვერ თანხმდებიან აუქციონის ჩატარებაზე ან იპოთეკის საგნის რეალიზაციის სხვა ფორმაზე. სასამართლოს კრედიტორი მიმართავს წერილობითი განცხადებით. სასამართლო გადაწყვეტილებას იპოთეკის საგნის იძულებითი გაყიდვის შესახებ აღასრულებს აღმასრულებელი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

• • •

იპოთეკა, გირავნობის მსგავსად, ***მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო საშუალებაა,*** რომლის ძალითაც უზრუნველყოფილ კრედიტორს – იპოთეკარს აქვს უფლება, ***მოვალის სხვა კრედიტორებთან შედარებით უპირატესად დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა იპოთეკით დატვირთული ნივთიდან.*** თუმცა, განსხვავებით გირავნობისაგან, იპოთეკის საგანს წარმოადგენს უძრავი ნივთები, ასევე - უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია უძრავ ნივთებთან (მაგ., აღნაგობა). უძრავი ნივთების იპოთეკით დატვირთვა დაკავშირებული არ არის ნივთზე მფლობელობის გადაცემასთან, რაც მოვალეს აძლევს (ხშირ შემთხვევაში, - ნივთის მესაკუთრეს) შესაძლებლობას, გააგრძელოს ნივთით სარგებლობა.

იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის მესაკუთრე მხოლოდ მოთხოვნიდან გამომდინარე პირადი მოვალე როდი შეიძლება იყოს; მესაკუთრეს შეუძლია კუთვნილი უძრავი ნივთი გამოიყენოს სხვა პირის ვალდებულების უზრუნველსაყოფად. ამ შემთხვევაში მესაკუთრეს არ ეკისრება ვალდებულების შესრულება; მან მხოლოდ უნდა ითმინოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში კუთვნილ უძრავ ნივთზე დაუშვას იძულებითი ღონისძიებების განხორციელება – იპოთეკის საგნის რეალიზაცია ან იპოთეკის საგანზე საკუთრების უფლების დაკარგვა.

იპოთეკა აქცესორული უფლებაა, თუმცა, მისი აქცესორულობა არ არის მკაცრი, თუ არ ჩავთვლით იპოთეკის ისეთ სახეს, რომელსაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში უკანასკნელ პერიოდში განხორციელებულ ცვლილებებამდე განეკუთვნებოდა ე. წ. საგარანტიო იპოთეკა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 289-ე მუხლის მე-2 ნაწილის ძველი რედაქცია). ეს უკანასკნელი მკაცრად აქცესორული და სრულად დამოკიდებული იყო მოთხოვნაზე. ჩვეულებრივი იპოთეკის შემთხვევაში კი კრედიტორს თავისი მოთხოვნის არსებობის დასადასტურებლად შეუძლია მიუთითოს საჯარო რეესტრში მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დადგენილი იპოთეკის რეგისტრაციაზე.

იპოთეკის უფლება ვრცელდება უძრავი ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილებზე; თუმცა, იგი არ ვრცელდება მის ნაყოფზე, თუ მხარეები საწინააღმდეგოზე პირდაპირ არ შეთანხმდებიან იპოთეკის ხელშეკრულებაში. იპოთეკა შეიძლება უზრუნველყოფდეს არა მარტო არსებულ, არამედ სამომავლო ან პირობით მოთხოვნებს.

ბ. იპოთეკის სახეები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შემდეგი სახის იპოთეკები შეგვიძლია დავასახელოთ:

ა) ***ჩვეულებრივი***, რომლის დროსაც სავალო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები კრედიტორის ინტერესებიდან გამომდინარე მიიჩნევა სწორად და მოვალეს არ შეუძლია მიუთითოს მოთხოვნის არარსებობის თაობაზე;

ბ) ***საბარათე იპოთეკა***, რომელიც დგინდება იპოთეკის მოწმობის გაცემით. იპოთეკის მოწმობას უპირატესობა ენიჭება სავალო რეესტრში არსებულ ჩანაწერთან შედარებით. იპოთეკის მოწმობა გაიცემა მხოლოდ ერთ ეგზემპლარად სავალო რეესტრის მიერ სანოტარო წესით დამოწმებული იპოთეკის ხელშეკრულებაში ამის თაობაზე მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში;

გ) ***საერთო იპოთეკის*** დროს ერთი და იგივე მოთხოვნა უზრუნველყოფილია რამდენიმე უძრავ ნივთზე დადგენილი იპოთეკის უფლებით. ამ დროს ყოველი უძრავი ნივთი პასუხის-მგებელია მოთხოვნისათვის, ხოლო კრედიტორს აქვს არჩევანის უფლება, თავისი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს ნებისმიერი ან ყველა უძრავი ნივთიდან.

გ. იპოთეკის დადგენა. უძრავი ნივთის იპოთეკით რამდენჯერმე დატვირთვა

იპოთეკის დადგენა ხორციელდება უძრავი ნივთის მესაკუთრესა და იპოთეკარს შორის წერილობითი ფორმით დადებული ***სანივთო შეთანხმებისა და სავალო რეესტრში რეგისტრაციის გზით***.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი დასაშვებად მიიჩნევს ერთი და იმავე უძრავი ნივთის იპოთეკით ***რამდენჯერმე დატვირთვას***. ამ შემთხვევაშიც, წამოიჭრება სხვადასხვა იპოთეკის უფლებათა რიგითობის განსაზღვრის საკითხი; ეს უკანასკნელი, მსგავსად გირავნობისა, განისაზღვრება იპოთეკის შესახებ განცხადების რეგისტრაციის თარიღის მიხედვით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 290-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

დ. იპოთეკის დროს წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა

იპოთეკის დროს არსებობს 2 სახის სამართლებრივი ურთიერთობა, რომლებიც ერთმანეთისაგან მკაცრად უნდა განვასხვავოთ; ესენია, ერთი მხრივ, სანივთოსამართლებრივი ურთიერთობა ***იპოთეკარსა და იპოთეკის საგნის მესაკუთრეს შორის*** და, მეორე მხრივ, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა იპოთეკარს როგორც ***კრედიტორსა და მოთხოვნის პირად მოვალეს შორის.*** აღნიშნულ ურთიერთობებში აქტიური მხარე – იპოთეკარი და კრედიტორი – ყოველთვის ერთი პირია. რაც შეეხება პასიურ, ვალდებულ მხარეს, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, აუცილებელი არ არის, იგი ერთი პირის სახით გვევლინებოდეს; მესაკუთრეს შეუძლია თავისი უძრავი ნივთი გამოიყენოს სხვა პირის – მოთხოვნის პირადი მოვალის ვალდებულების უზრუნველსაყოფად. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ასეთ მესაკუთრეს ***"სანივთო მესაკუთრეს"*** უწოდებენ მიუხედავად იმისა, რომ მას არ ეკისრება ვალდებულების შესრულება, არამედ იგი პასუხისმგებელია მხოლოდ იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონებით[62]. თუმცა, ვინაიდან იპოთეკის არსებობის დროს მესაკუთრე ინარჩუნებს იპოთეკის საგანზე მფლობელობას და აგრძელებს მისით სარგებლობას, საჭიროა, მას კანონის ძალით დაეკისროს უძრავი ნივთის სათანადო მოვლა-პატრონობისა და მისი რეალური ღირებულების შენარჩუნების ვალდებულება. მესაკუთრის ძირითადი ვალდებულებები და პასუხისმგებლობა მათი დარღვევისათვის მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 294-ე მუხლის 1-ლ და მე-3 ნაწილებში.

გარდა ვალდებულებების დაკისრებისა, კანონი იცავს მესაკუთრის ინტერესებსაც და მას ანიჭებს ***შესაგებლის უფლებას*** იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის მიმართ. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, არის თუ არა იპოთეკის საგნის მესაკუთრე ამავე დროს კრედიტორის პირადი მოვალე; მოთხოვნის წინააღმდეგ შესაგებლის წარდგენის უფლება აქვს

[62] Dr. Dr. h. c. Karl Heinz Schwab, დასახელებული ნაშრომი, გვ. 322

იპოთეკის საგნის იმ მესაკუთრესაც, რომელიც არ არის მოთხოვნის მოვალე. კანონი აქ, უდავოდ, მიმართავს ფიქციას, ვინაიდან, როგორც წესი, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, როგორც მოთხოვნის უფლება, ასევე ამ უკანასკნელისაგან დაცვა – შესაგებლის უფლება აქვთ მხოლოდ აღნიშნული ურთიერთობის მონაწილეებს – კრედიტორსა და მოვალეს. გარდა მოთხოვნის მიმართ შესაგებლისა, მესაკუთრეს, რა თქმა უნდა, შეუძლია წარადგინოს შესაგებელი თავად იპოთეკის მიმართაც. მაგალითად, შესაგებელი იმის მტკიცებით, რომ იპოთეკა სანივთო შეთანხმების ბათილობის ან ამ უკანასკნელის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის განუხორციელებლობის გამო არ წარმოშობილა[63]. მაგრამ მხოლოდ შესაგებლის წარდგენის უფლებით არ შემოიფარგლება იპოთეკის საგნის იმ მესაკუთრის უფლებამოსილება, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოვალე. მას შეუძლია თავად დააკმაყოფილოს კრედიტორი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომის მომენტიდან ან, როდესაც პირადი მოვალე უფლებამოსილია, შეასრულოს შესაბამისი მოქმედება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 292-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

ე. იპოთეკის გადაცემა. იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის შეცვლა სხვა მოთხოვნით. მესაკუთრის მიერ იპოთეკის საგნის განკარგვისა და სარგებლობის თავისუფლება

ვინაიდან იპოთეკა აქცესორული უფლებაა, უზრუნველყოფილი მოთხოვნის სხვა პირისათვის დათმობით ამ უკანასკნელზე ***გადადის იპოთეკაც.*** იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა შეიძლება, აგრეთვე, ***შეიცვალოს სხვა მოთხოვნით***. ამისათვის აუცილებელია მესაკუთრესა და კრედიტორს შორის სანივთო შეთანხმება და ამ შეთანხმების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლის მე-3 ნაწილი). პირადი მოვალის თანხმობა აღნიშნული გარიგების სამართლებრივი ძალისათვის სავალდებულო არ არის. სანივთო შეთანხმების რეგისტრაციის მომენტიდან იპოთეკა აღარ უზრუნველყოფს ჩანაცვლებულ მოთხოვნას, არამედ – მხოლოდ ახალ მოთხოვნას.

უძრავი ნივთის იპოთეკით დატვირთვით ***არ იზღუდება*** იპოთეკის საგნის მესაკუთრის თავისუფლება, თავისი შეხედულებით გაასხვისოს, უფლებრივად დატვირთოს იპოთეკის საგანი, აგრეთვე, თავისუფლად ისარგებლოს მისით, რა თქმა უნდა, ნივთის რეალური ღირებულების შენარჩუნებისა და ასევე კანონით მესაკუთრეზე დაკისრებული სხვა ვალდებულების შესრულების პირობით. მესაკუთრესა და იპოთეკარს შორის საწინააღმდეგოზე შეთანხმებაც კი დაუშვებელია და იგი კანონის მიერ ბათილად ცხადდება. თუმცა, ამავე დროს კანონი იპოთეკის ხელშეკრულების მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, შეთანხმდნენ მესაკუთრის ვალდებულებაზე იპოთეკარის წინაშე, არ დატვირთოს იპოთეკის საგანი აღნაგობის უფლებით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 294-ე მუხლის მე-5 ნაწილი). კანონის მხრიდან ასეთი შეთანხმების დაშვების მიზანია იპოთეკარის ინტერესების დაცვა იპოთეკის საგნის მესაკუთრის არაკეთილსინდისიერი მოქმედებისაგან, რაც გამოიხატება კუთვნილ უძრავ ნივთზე იპოთეკის უფლების რეგისტრაციის შემდეგ მისი აღნაგობით დატვირთვის შედეგად იპოთეკარისათვის პირველი რიგის წართმევაში, ვინაიდან აღნაგობის უფლება, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სხვა შეზღუდულ სანივთო უფლებებთან (მათ შორის, იპოთეკა) შედარებით ყოველთვის იკავებს მხოლოდ პირველ რიგს (რომელიც შემდგომში არ იცვლება) მიუხედავად იმისა, რომ სხვა შეზღუდული სანივთო უფლებები რეგისტრირებულია უფრო ადრე (237).

[63] Dr. Dr. h. c. Karl Heinz Schwab, დასახელებული ნაშრომი, გვ. 327

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. როგორი უფლებაა გირავნობა?
2. დაასახელეთ გირავნობის სახეები;
3. რა საერთო და განსხვავებული აქვს გირავნობასა და იპოთეკას?
4. რა შეიძლება იყოს გირავნობის საგანი?
5. როგორ ხდება გირავნობის დადგენა?
6. შეიძლება თუ არა დაგირავებული ნივთის გასხვისება?
7. როგორია გირავნობის საგნის რეალიზაციის წესი?
8. დაასახელეთ გირავნობის გაუქმების საფუძვლები;
9. განმარტეთ იპოთეკა;
10. როგორია იპოთეკის საგნის რეალიზაციის ახლებური წესი?
11. დაასახელეთ იპოთეკის სახეები;
12. შეიძლება თუ არა იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის გასხვისება?

კაზუსები განვლილ მასალაზე:

(პასუხები იხილეთ 241-ე გვერდზე)

კაზუსი №1

ი/მ ''რომან ხადურმა'' მის კუთვნილ მინიმარკეტში გამყიდველად დაიქირავა ლია ბროძელი და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით გადასცა მას 12 000 ლარის ღირებულების საქონელი შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

კითხვა:

არის თუ არა ამ შემთხვევაში ლია ბროძელი მისთვის მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემული საქონლის მფლობელი?

კაზუსი №2

გელა ვერულაშვილმა იყიდა 700 კვ.მ მიწის ნაკვეთი სიღნაღში, რომელზეც განთავსებული იყო 35 კვ. მ. კაპიტალური სამეურნეო ნაგებობა. საჯარო რეესტრში ნასყიდობის ხელშეკრულების რეგისტრაციის შემდეგ მიწის ნაკვეთის გამყიდველმა მოითხოვა ასევე ცალკე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება სამეურნეო ნაგებობაზე, რაზედაც გელა ვერულაშვილისგან უარი მიიღო იმ მოტივით, რომ სამეურნეო ნაგებობა ისედაც უკვე მას ეკუთვნის.

კითხვა:

რამდენად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას გელა ვერულაშვილის პასუხი?

კაზუსი №3

მესაკუთრემ ლერი კახნიაშვილს უზუფრუქტის ხელშეკეულებით გადსეცა საცხოვრებელი სახლი. ხელშეკრულებაში აღინიშნა, რომ უზუფრუქტუარს აქვს უძრავი ქონების სარგებლობის უფლება სამისდღეშიოდ. ლერი კახნიაშვილს გარდაცვალების შემდეგ აღნიშნული საცხოვრებელი

სახლით სარგებლობის გააგრძელება მოინდომა მისმა შვილმა, რაზედაც მესაკუთრისგან უარი მიიღო.

კითხვა:

რამდენად კანონიერია მესაკუთრის უარი ამ კონკრეტულ შემთხვევაში?

კაზუსი №4

დავით გოგეშვილმა სასყიდლიანი სერვიტუტის ხელშეკრულებით ნიკოლოზ ლორიას მისი ნაკვეთის უკეთ გამოყენების მიზნით 3 წლის ვადით გადასცა კომბაინი. ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ კომბაინის გაქირავების შემთხვევაში საჭიროა მესაკუთრის თანხმობა.

კითხვა:

რამდენად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას ეს ხელშეკრულება?

კაზუსი №5

მეზობელმა წიქაძემ კაპანაძისაგან ერთი თვის ვადით დაიქირავა ცხენი. ერთი კვირის შემდეგ გამქირავებელმა ცხენი შეამჩნია წიქაძის სახლთან, ტყის პირას, მოუხმო და სახლში წაიყვანა. გაიგო რა ამის შესახებ დამქირავებელმა, მოითხოვა ქირავნობის საგნის მისთვის დაბრუნება, რაზეც უარი მიიღო.

კითხვა:

კანონიერია თუ არა გამქირავებლის უარი?

კაზუსი №6

ია კალანდაძემ თავის საცხოვრებელ სახლთან ბილიკზე იპოვა ძვირფასი ოქროს სამაჯური და იმავე დღეს გადასცა ნაპოვარი პოლიციის განყოფილებას. ერთი თვის შემდეგ გამოჩნდა ნივთის მესაკუთრე, ია კალანდაძემ გადაწყვიტა მისთვის მოეთხოვა ჯილდო.

კითხვა:

ითვალისწინებს თუ არა მოქმედი კანონმდებლობა მპოვნელის მიერ ჯილდოს მიღების უფლებას?

კაზუსი №7

ნუკრი მგელაძემ ლანა შენგელიას ასესხა 10 000 აშშ დოლარი, რომელიც მას უნდა დაებრუნებინა 2015 წლის 1 მაისს. წლის დასაწყისში ნუკრი მგელაძე მიიწვიეს ჩიკაგოს უნივერსიტეტში ლეციების კურსის წასაკითხად. ამის გამო მან შენგელიასგან სესხის მოთხოვნის უფლება დაუთმო დოდო დანელიას და გასცა წერილობით გაფორმებული სასესხო ხელშეკრულება. მაისის თვის დადგომისთანავე ლანა შენგელიამ უარი განაცხადა ვალის დაბრუნებაზე იმ მოტივით, რომ ასეთ შემთხვევაში მხოლოდ სესხის ხელშეკრულების წარდგენა საკმარისი არ არის და მისთვის გაუგებარია, რატომ უნდა დაუბრუნოს მან ვალი დოდო დანელიას.

კითხვა:

რას ეყრდნობა ამ შემთხვევაში ლანა შენგელიას მიერ მოყვანილი არგუმენტი?

კაზუსი №8

გოდერძი ღვინიაშვილს სოფელში ჰქონდა ძველი პატარა სახლი, რომელიც თბილისიდან საკმაოდ დიდი მანძილით იყო დაშორებული და ამავდროულად უკვე ნაწილობრივ ჩამოშლილი ჰქონდა ერთი კედელი. სახლის აღდგენა გარკვეულ ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვდა. გოდერძიმ გადაწყვიტა საკუთრების მიტოვება სოფლში არსებულ სახლზე და ამისთვის სახლის გასაღები და განცხადება საკუთრების მიტოვებაზე გადასცა სოფლის რწმუნებულს.

კითხვა:

რამდენად შეესაბამება ამ შემთხვევაში გოდერძი ღვინიაშვილის ქმედება მოქმედ კანონმდებლობას?

კაზუსი №9

გვანცა ჯიშკარიანმა კოტე როსტიაშვილისგან ისესხა 8000 ლარი და სესხის უზრუნველსაყოფად დააგირავა ლადო გუდიაშვილის ნახატი. მხარეები შეთანხმდნენ, რომ დამგირავებელი არ გაასხვისებს და არ დააგირავებს გირავნობის საგანს გირავნობის უფლების შეწყვეტამდე. დამგირავებელმა აღნიშნული პირობა დაარღვია.

კითხვა:

რა უფლება აქვს მოგირავნეს, თუ დამგირავებელი დაარღვევს კაზუსში მოყვანილ პირობას?

კაზუსი №10

რამაზ სანებლიძემ 2016 წლის 17 თებერვალს აიღო სესხი "ალფა ბანკში" 20 000 ლარის ოდენობით და სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთა მიწის ნაკვეთი, რომლის საბაზრო ღირებულება შეადგენდა 180 000 ლარს, 2017 წლის 20 იანვარს იგივე მიწის ნაკვეთი დაიტვირთა "გამმა ბანკში", 15 000 ლარის სესხის უზრუნველსაყოფად.

კითხვა:

შეიძლება თუ არა უძრავი ნივთის იპოთეკით რამდენჯერმე დატვირთვა?

III თავი
ვალდებულებითი სამართალი

ზოგადი ნაწილი

1. ვალდებულების ცნება და სახეები

I. ვალდებულებითი სამართლის სისტემა

როგორც ზემოთ 1-ლ თავში სამართლის სისტემის განხილვისას ჩვენ მიერ აღინიშნა, ***ვალდებულებითი სამართალი*** განთავსებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მესამე წიგნში და შედგება 2 ნაწილისაგან: ***ზოგადი და კერძო ნაწილებისაგან.*** ვალდებულებითი სამართლის დაყოფას ზოგად და კერძო ნაწილებად მნიშვნელობა აქვს როგორც იურიდიული ტექნიკის, ისე ვალდებულებითი სამართლის ნორმათა პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისითაც. მსგავსად გარიგებებისა, ვალდებულებითი სამართლის ნორმათა მოქმედება არ შემოიფარგლება მხოლოდ ვალდებულებითი სამართლით ან თუნდაც სამოქალაქო სამართლით. ვალდებულებითი სამართლის ნორმები გამოიყენება კერძო სამართლის სხვა დარგებში ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისათვის. მაგალითად, "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის 1-ლი ნაწილის ნორმა[1] სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნების დადგენისას ოპერირებს ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში ცნობილი ისეთი სამართლებრივი ინსტიტუტით, როგორიცაა სოლიდარული ვალდებულება[2]. გარდა ამისა, საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლი ადგენს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლებს, რომელთაგან უმეტესობა ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების შეწყვეტის საფუძვლებია:

- შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება;
- შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;
- ერთ-ერთი მხარის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევა და სხვა.

II. ვალდებულების ცნება და სახეები

ვალდებულება არის სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ძალითაც ურთიერთობის ერთ-ერთ მონაწილეს უფლება აქვს, ურთიერთობის მეორე მონაწილეს მოსთხოვოს ვალდებულების სავნის შესრულება: ქონების გადაცემა, განსაზღვრული მოქმედება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება. ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში აქტიურ

[1] „სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი (პარტნიორი) ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით, ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას და საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს როგორც სოლიდარული მოვალეები, – მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ“.

[2] თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლი).

მხარეს, ე.ი. მხარეს, რომელსაც აქვს მოთხოვნის უფლება, ეწოდება კრედიტორი, ხოლო პასიურ მხარეს, რომელსაც ეკისრება ვალდებულების შესრულება, – მოვალე. კრედიტორის მოთხოვნას ყოველთვის შეესაბამება მოვალის შესრულების ვალდებულება. კრედიტორის მოთხოვნის უფლება რელატიურია; ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე კრედიტორს მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ და მხოლოდ მოვალის მიმართ. ამით ეს უფლება განსხვავდება აბსოლუტური უფლებისაგან, რომელიც მიმართულია პირის უშუალო ბატონობისაკენ განსაზღვრულ ნივთზე, სხვა პირთა მონაწილეობის გარეშე.

როგორც ვალდებულების ცნებიდან ჩანს, ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში უნდა არსებობდეს, სულ ცოტა, კრედიტორის ერთი მოთხოვნა, რომელსაც შეესაბამება მოვალის, ერთი ვალდებულება მაინც. ამდენად, ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობს ***ურთიერთობის 2 სუბიექტი***: კრედიტორი და მოვალე. ურთიერთობის ***შინაარსს*** კი წარმოადგენს მოვალის მიერ ვალდებულების საგნის შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატებოდეს არა მარტო დადებით მოქმედებაში, არამედ იგი შეიძლება გამოიხატოს ***მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც, ე.წ. თმენაში*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლი). მაგალითად, ხელშეკრულებით იურიდიულმა პირმა შეიძლება იკისროს ვალდებულება, სხვა კომპანიისათვის კონკურენციის გაწევისაგან თავის არიდების მიზნით, განსაზღვრულ ტერიტორიაზე და გარკვეული ვადით არ განახორციელოს თავისი საქონლის რეალიზაცია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. ვალდებულება შეიძლება ხელშეკრულების მომზადების საფუძველზეც წარმოიშვას. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, ვალდებულებები შეიძლება დავყოთ ***3 ძირითად სახედ***:

- წინასახელშეკრულებო ვალდებულებებად;
- სახელშეკრულებო (გარიგების საფუძველზე წარმოშობილ) ვალდებულებებად;
- კანონისმიერ (კანონის საფუძველზე წარმოშობილ) ვალდებულებებად.

ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას მანამდე, სანამ მხარეთა შორის დაიდება ხელშეკრულება – ე.ი. მხარეთა შორის ხელშეკრულების დადებაზე ***მოლაპარაკების პროცესში***. მოლაპარაკების წარმოების პროცესში ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ – მოლაპარაკების მონაწილემ შეიძლება გასწიოს მნიშვნელოვანი ხარჯი, მეორე მხარის ნდობის საფუძველზე. ეს ხარჯი შეიძლება იყოს, კერძოდ, მივლინების, გადაყვანის, სასტუმროსა თუ ადვოკატის დაქირავების ხარჯი. ამდენად, კანონი იცავს ასეთი მხარის ინტერესებს და ადგენს ასეთი ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას მხოლოდ იმ პირობით, რომ ხელშეკრულება არ დაიდო მეორე მონაწილის ბრალეული მოქმედების შედეგად.

სახელშეკრულებო (გარიგების საფუძველზე წარმოშობილი) ვალდებულების მაგალითი უამრავია: ნასყიდობა, სესხი, ნარდობა, ქონების დაზღვევა, საბანკო გარანტია, ჯილდოს საჯაროდ დაპირება და მრავალი სხვა. სახელშეკრულებო ვალდებულება ხშირად ორმხრივია, ვინაიდან ხელშეკრულება ყოველთვის ორმხრივი ან მრავალმხრივი გარიგებაა და სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის აუცილებელია ორი ან მეტი პირის ნების გამოვლენა. ზოგჯერ ვალდებულების წარმოშობისათვის საკმარისია ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა; მაგალითად, ჯილდოს საჯაროდ დაპირება ცალმხრივი გარიგებაა, რომელიც წარმოშობს ჯილდოს გადახდის ვალდებულებას[3].

[3] „ის, ვინც საჯარო დაპირებით აწესებს ჯილდოს გარკვეული მოქმედების შესრულებისათვის, კერძოდ, ამა თუ იმ შედეგის მიღწევისათვის, ვალდებულია გადაუხადოს ჯილდო იმ პირს, რომელმაც მოქმედება შეასრულა. პირს ჯილდოს მიღების უფლება აქვს მაშინაც, როცა იგი არ მოქმედებდა ჯილდოს საჯაროდ დაპირების გამო" (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 755-ე მუხლი).

კანონისმიერი (კანონის საფუძველზე წარმოშობილ) ვალდებულებები წარმოიშობა კერძო სამართლის სუბიექტების ნების გამოვლენის გარეშე უშუალოდ კანონის რეალიზაციით. ასეთი სახის ვალდებულებებს მიეკუთვნება, მაგ., დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლები 969-975), უსაფუძვლო გამდიდრების (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლები 976-991), ზიანის მიყენების (დელიქტის) (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლები 992-1008) შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები.

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. როგორია ვალდებულებითი სამართლის სისტემა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით?
2. განმარტეთ ვალდებულება;
3. დაასახელეთ ვალდებულების წარმოშობის წყაროები.

2. ხელშეკრულების ცნება და სახეები. ფაქტობრივი სახელშეკრულებო ურთიერთობა. წინარე ხელშეკრულება

I. ხელშეკრულების შესახებ ზოგადი დებულებები – ხელშეკრულების დადების თავისუფლება და მისი შეზღუდვები

როგორც ზემოთ ჩვენ მიერ აღინიშნა, რომ ***ხელშეკრულება ორმხრივი ან მრავალმხრივი გარიგებაა.*** იგი გარიგების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეა, რითაც როგორც კერძო, ისე საჯარო სამართლის სუბიექტები სამართლებრივ ურთიერთობებს ამყარებენ ერთმანეთთან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებულია ***ხელშეკრულების დადების თავისუფლება,*** რაც გულისხმობს არა მარტო კერძო სამართლის სუბიექტების უფლებას, თავიანთი სურვილისამებრ დადონ ესა თუ ის ხელშეკრულება, არამედ ამ პირების შესაძლებლობას, თავიანთი შეხედულებით განსაზღვრონ დასადები ***ხელშეკრულებების შინაარსი***. უფრო მეტიც, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით საერთოდაც არ არის გათვალისწინებული, თუმცა, ზემოაღნიშნული თავისუფლება ყოველთვის შემოფარგლულია კანონის იმპერატიული ნორმების მოთხოვნებით. მხარეებს შეუძლიათ თავად განსაზღვრონ დასადები ხელშეკრულებების შინაარსი ან დადონ კანონით გაუთვალისწინებელი ხელშეკრულებები მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამის პირდაპირი აკრძალვა არ არის კანონში. სამოქალაქო და, განსაკუთრებით, ვალდებულებითი სამართლისათვის დამახასიათებელია იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი თვისება, რომელიც შეიძლება გამოიხატოს შემდეგ ფორმულაში: ის, რაც აკრძალული არ არის, დაშვებულია. ამით, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ სამოქალაქო და, ზოგადად, კერძო სამართალი დიამეტრალურად განსხვავდება საჯარო სამართლისაგან, რომელშიც, პირიქით, ის, რაც დაშვებული არ არის, შესაბამისად, აკრძალულია.

ხელშეკრულების დადების თავისუფლება, როგორც კერძო სამართლის ***სუბიექტების კერძო ავტონომიის გამოხატულება***, ამ უკანასკნელის მსგავსად, არ არის აბსოლუტური და ყოველთვის შეზღუდულია.

შეზღუდვა, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს კერძო სამართლის სუბიექტების ნების გამოვლენის ნამდვილობის დამოკიდებულებაზე სახელმწიფოს ნებართვაზე. კანონი ადგენს, რომ

ასეთი შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის და, ამასთან, მხოლოდ კანონის საფუძველზე.

გარდა აღნიშნულისა, შეზღუდვა გამოიხატება კერძო სამართლის კონკრეტული სუბიექტისათვის დანარჩენ პირებთან ***ხელშეკრულების დადების ვალდებულების დაკისრებაში***. ასეთი ვალდებულება ეკისრებათ იმ პირებს, რომლებსაც უკავიათ დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე. კანონი ასეთი ვალდებულების დაკისრების დროს არ ივიწყებს თავად დასადები ხელშეკრულების პირობებსაც. კანონი აქაც "ერევა" მხარეთა კერძო ავტონომიაში და ადგენს, რომ პირს, რომელსაც უკავია დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე, არ შეუძლია ხელშეკრულების მეორე მხარეს – კონტრაგენტს უსაფუძვლოდ შესთავაზოს ხელშეკრულების არათანაბარი პირობები (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მაგალითად, სს "თელასი" ვალდებულია, თბილისის ტერიტორიაზე დადოს ელექტროენერგიის მიწოდების ხელშეკრულება ნებისმიერ აბონენტთან, ვინაიდან თბილისში მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის სხვა მიმწოდებელი არ არსებობს. ხელშეკრულების დადების ვალდებულება ეკისრებათ მეწარმე სუბიექტებსაც, რომლებიც თავიანთი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში რეალიზაციას უკეთებენ საქონელსა თუ უწევენ მომსახურებას იმ პირებს, რომლებიც არასამეწარმეო მიზნებისათვის ან საარსებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იძენენ აღნიშნულ საქონელს თუ მომსახურებას. აღნიშნულმა მეწარმე სუბიექტებმა გამონაკლისის სახით შეიძლება უარი განაცხადონ ხელშეკრულების დადებაზე; ოღონდ ეს უარი აუცილებლად უნდა იყოს დასაბუთებული (მაგალითად, სამშენებლო კომპანიას, რომელიც ქალაქის ერთ-ერთ უბანში ახორციელებს მშენებლობას, დაუსაბუთებლად არ შეუძლია ხელშეკრულების დადებაზე უარი განუცხადოს ბინის შემძენ ფიზიკურ პირს).

ხელშეკრულების დადების თავისუფლება შეიძლება ეხებოდეს თავად ***ხელშეკრულების შინაარსს***, ხოლო მისი მიზანი მდგომარეობდეს ხელშეკრულების დამდები მხარის ინტერესების დაცვაში. უპირველეს ყოვლისა, კანონი იცავს პირებს ისეთი ხელშეკრულებების დადებისას, რომლებიც ეხება პირის მთელ ქონებას ან ქონების ნაწილს და მიმართულია ამ ქონების განსხვისებისა თუ უფლებრივად დატვირთვისაკენ. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე კისრულობს ვალდებულებას, ***მთელი თავისი ამჟამინდელი ქონება ან ამ ქონების ნაწილი*** გადაცეს სხვას ანდა უზუფრუქტით დატვირთოს იგი, მოითხოვს წერილობითი ფორმით დადებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულება დადებულია ამჟამინდელი ქონების ცალკეულ ნივთებზე. წერილობითი ფორმის დაუცველობა იწვევს ხელშეკრულების ბათილობას. საერთოდ დაუშვებლად არის მიჩნეული პირის მიერ მთელი თავისი ***მომავალი ქონების*** განსხვისება ან უზუფრუქტით დატვირთვა. მიუხედავად იმისა, რომ პირს სურს ასეთი ხელშეკრულების დადება, აგრეთვე, მიუხედავად იმისა, რომ მან მთელი თავისი მომავალი ქონების განსხვისების ან უზუფრუქტით დატვირთვის ხელშეკრულება დადო სანოტარო წესით, ასეთი ხელშეკრულება მაინც ბათილია (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 321-ე მუხლი). თუმცა, აქვე კანონი აზუსტებს, რომ აღნიშნული შეზღუდვა არ ეხება მომავალი ქონების ცალკეულ ნივთებს. ცალკეული ნივთების განსხვისების ან უფლებრივი დატვირთვის შესახებ შეპირება ნამდვილია. მსგავსად მთელი მომავალი ქონებისა, ბათილია ასევე პირის სიცოცხლეში მისი სამკვიდროს თაობაზე სხვა პირების მიერ დადებული ხელშეკრულება. ასეთი შეთანხმებები ზნეობის საწინააღმდეგოდაც უნდა ჩაითვალოს (მაგალითად, კერესელიძე შეუთანხმდა არასამეწარმეო იურიდიულ პირს "სათნოებას" იმაზე, რომ თუ მისი დიდი პაპის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობიდან რაიმე წილი მას ერგება, იგი სრულად ამ წილს გადაცემს არასამეწარმეო იურიდიულ პირს). თუმცა, ამ წესიდანაც კანონი ითვალისწინებს გამონაკლისს; კერძოდ, ხელშეკრულება ბათილად არ ჩაითვლება, თუ იგი იდება მომავალ კანონით მემკვიდრეებს შორის ერთ-ერთი მათგანის კანონით სამემკვიდრეო წილისა და სავალდებულო წილის თაობაზე.

II. ხელშეკრულების სახეები

ხელშეკრულებების დაყოფა სახეებად შეიძლება რამდენიმე ნიშნით.

ხელშეკრულების მხარეთა შორის უფლება-ვალდებულებების განაწილების მიხედვით, ხელშეკრულებებს ყოფენ ***ორმხრივ და ცალმხრივ ხელშეკრულებებად***.

ორმხრივია ხელშეკრულება, რომელშიც ყოველ მხარეს აქვს როგორც უფლება, ასევე ეკისრება ვალდებულება. მაგალითად, ნარდობის ხელშეკრულებაში ხელშეკრულების ერთი მხარე – მენარდე კისრულობს ვალდებულებას, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო და უფლება აქვს, მიიღოს შეთანხმებული საზღაური, ხოლო შემკვეთი პირიქით, უფლებამოსილია, მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო (ნაკეთობა) და ამავე დროს ვალდებულია მენარდეს გადაუხადოს შეთანხმებული საზღაური. ამდენად, ორმხრივ ხელშეკრულებაში ორივე მხარე არის როგორც კრედიტორი, ასევე მოვალე; კრედიტორია იმ ნაწილში, რომელშიც მას აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, ხოლო მოვალეა იმ ნაწილში, რომელშიც მას მეორე მხარის წინაშე აკისრია ვალდებულება.

ცალმხრივია ხელშეკრულება, რომელშიც ერთ მხარეს აქვს მხოლოდ უფლება, ხოლო მეორე მხარეს ეკისრება მხოლოდ ვალდებულების შესრულება. მაგალითად, თხოვების ხელშეკრულებით ხელშეკრულების ერთი მხარე – მონათხოვრე ვალდებულია, თხოვების ხელშეკრულებით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, ნათხოვარი ნივთი უკან დააბრუნოს; მონათხოვრის ასეთ ვალდებულებას შეესაბამება გამნათხოვრებლის უფლება, მოსთხოვოს მონათხოვრეს ნათხოვარი ნივთის უკან დაბრუნება ისე, რომ თავის მხრივ გამნათხოვრებელს რაიმე ვალდებულება არ აკისრია[4].

ხელშეკრულებების დადების მომენტის მიხედვით, ხელშეკრულებებს ყოფენ ***კონსენსუალურ და რეალურ ხელშეკრულებებად***.

კონსენსუალურია ხელშეკრულება, რომელიც დადებულად ითვლება მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევის მომენტიდან. მის შემთხვევაში რაიმე სხვა დამატებითი მოქმედება საჭირო არ არის. მაგალითად, კონსენსუალურია ზემოთ მოყვანილი ნარდობის ხელშეკრულება. ამდენად, ნარდობის ხელშეკრულება კონსენსუალური და ორმხრივი ხელშეკრულებაა. კონსენსუალურია, აგრეთვე, ნასყიდობის, ქირავნობის, იჯარის თავდებობის, ამხანაგობის (ერთობლივი საქმიანობის), დაზღვევის და სხვა ხელშეკრულებები.

კონსენსუალური ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, ***რეალური*** ხელშეკრულების დადებისათვის მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევის გარდა, საჭიროა ხელშეკრულების საგნის რეალური გადაცემა. რეალური ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება სწორედ გადაცემის მომენტიდან. მაგალითად, იმავე თხოვების ხელშეკრულება რეალური ხელშეკრულებაა, ვინაიდან იგი დადებულად ითვლება მხოლოდ ნივთის გადაცემის მომენტიდან. რეალური ხელშეკრულების მაგალითიებია ასევე ჩუქება[5], სესხი.

იმისდა მიხედვით, გათვალისწინებულია თუ არა ხელშეკრულების ერთი მხარისათვის მეორე მხარის მიერ ვალდებულების შესრულებისათვის სანაცვლო შესრულება – საპასუხო დაკმაყოფილება, განასხვავებენ ***სასყიდლიან და უსასყიდლო ხელშეკრულებებს***. სასყიდლიანია, მაგ., ნასყიდობის ხელშეკრულება, ვინაიდან ამ ხელშეკრულებით მყიდველი ყოველთვის ვალდებულია, გამყიდველს გადაუხადოს ნასყიდობის ფასი. უსასყიდლოა თხოვების ხელშეკრულება. თუმცა, ერთი და იგივე ხელშეკრულება შეიძლება სასყიდლიანიც იყოს და უსასყიდლოც. მაგალითად, სესხის ხელშეკრულება, როგორც წესი, უსასყიდლოა, მაგრამ მხარეებს

---

[4] აქ არ იგულისხმება კანონით დაკისრებული ვალდებულებები. მაგ., 616-ე მუხლის თანახმად, გამნათხოვრებელი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანისათვის. 617-ე მუხლის თანახმად კი, "თუ გამნათხოვრებელი შეგნებულად არ უმხელს მონათხოვრეს უფლების ხარვეზს ან ნათხოვარი ნივთის ნაკლს, მაშინ იგი ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი".

[5] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 525-ე მუხლის თანახმად: "ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ქონების გადაცემის მომენტიდან".

შეუძლიათ შეთანხმდნენ პროცენტზე. თუ სესხის ხელშეკრულება ითვალისწინებს პროცენტის გადახდას, მაშინ იგი სასყიდლიანი იქნება.

III. ფაქტობრივი სახელშეკრულებო ურთიერთობა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელშეკრულება გარიგებაა ანუ – ორი ან მეტი პირის ნების გამოვლენა. შესაბამისად, მისი დადებისათვის აუცილებელია ორი ან მეტი პირის შეთანხმება, რომელიც მიიღწევა ოფერტისა და აქცეპტის თანხვედრით. თუმცა, იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულის საწინააღმდეგოდ არსებობს ***ფაქტობრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის*** შესახებ მოძღვრება, რომლის თანახმად სახელშეკრულებო ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა განსაზღვრულ შემთხვევებში შეიძლება, აგრეთვე, შესაბამისი ნების გამოვლენის გარეშეც, მხოლოდ წმინდა ფაქტობრივი მოქმედების შედეგად, წარმოიშვას. ასეთი კონსტრუქციით ნების გამოვლენის გარეშე მიიღწევა გარიგებითი შედეგის დადგენა, ვინაიდან არასახელშეკრულებო ვალდებულების მომწესრიგებელი ნორმები საკმარისი არ არის. ფაქტობრივი ხელშეკრულების ცნების ქვეშ არსებობს მეტად სხვადასხვაგვარი ჯგუფები:

ა) ვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის დროს არსებობს ***ვალდებულება ვადიან მოქმედებაზე*** (მაგ., ნივთზე სარგებლობის მინიჭება) ან ***ვალდებულება პერიოდულ შესრულებაზე*** (მაგ., ქირის ყოველთვიური გადახდა). თუ ვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა ეფუძნება (თავიდანვე ან შეცილების შედეგად) ბათილ ხელშეკრულებას და ამავე დროს ადგილი ჰქონდა ვალდებულების შესრულებას, დაბრუნება საწყის მდგომარეობაში ნაკლებად არის შესაძლებელი. შესაბამისად, იქმნება ფაქტობრივი სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომლიდანაც შემდგომში გამომდინარეობს სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლებები.

ბ) თანამედროვე მასობრივ ბრუნვაში ადგილი აქვს საჯაროდ შეთავაზებულ ***კომუნალური მომსახურების შეთავაზებას*** (გაზი, წყალი, ელექტროენერგია, მატარებლით მგზავრობა), შესაბამისი ნების გამოვლენის გარეშე; ფაქტობრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის შესახებ მოძღვრების თანახმად, ასეთი გამოყენება, თავისი სოციალური მნიშვნელობის გამო, უნდა იწვევდეს გარიგების სამართლებრივ შედეგებს (ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა სოციალური მოქმედებებიდან გამომდინარე). აქედან გამომდინარე, იგი არ საჭიროებს სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის აუცილებელ ნების გამოვლენას; ნაკლი ქმედუნარიანობაში აღარ თამაშობს რაიმე როლს, შეცილება გამორიცხულია[6].

IV. წინარე ხელშეკრულება

ა. წინარე ხელშეკრულების ცნება და მნიშვნელობა

სამოქალაქო ურთიერთობებში იშვიათი არ არის შემთხვევები, როდესაც სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს, ფაქტობრივი თუ სამართლებრივი გარემოებების გამო, არ შეუძლიათ ან არ სურთ დაუყოვნებლივ ხელშეკრულების დადება, თუმცა, ისინი დაინტერესებულები არიან, მომავალში დაიდოს მათ შორის სასურველი ხელშეკრულება. მიუხედავად მომავალი ხელშეკრულების მხარეთა შორის, უპირველეს ყოვლისა, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობისა, ჩვეულებრივ მათ მაინც სურთ მომავალში ხელშეკრულების (ძირითადი ხელშეკრულების) დადებაზე დაავალდებულონ მეორე მხარე. აღნიშნული დავალდებულება შესაძლებელია მხარეთა შორის დადებული ***ე. წ. წინარე ხელშეკრულებით***. მაგ., მშენებარე საცხოვრებელი სახლის აშენებამდე და ექსპლუატაციაში მიღებამდე ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების დადება შეუძლებელია, ვინაიდან არ არსებობს თავად ნასყიდობის საგანი – უძრავი ქონება, თუმცა, პრაქტიკაში წარმატებით გამოიყენება უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მომავალ მყიდველს ენიჭება უფლება (მოთხოვნის

[6] Brox/Walker, დასახელებული ნაშრომი, გვერდები 54-56

უფლება), მშენებლობის დასრულებისა და შენობის ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ მომავალ გამყიდველთან გააფორმოს ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება. წინარე ხელშეკრულების გავრცელებული მაგალითია ე. წ. ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც გამოიყენება საქართველოში კომერციული იურიდიული პირის დაფუძნებამდე დამფუძნებელთა, შორის ურთიერთ-უფლებებისა და ვალდებულებების დასადგენად, რომლებიც შემდგომში გახდება მომავალი კომპანიის წესდების ან პარტნიორთა (აქციონერთა) ხელშეკრულების პირობების ნაწილი.

ამდენად, წინარე ხელშეკრულება წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც ხელშეკრულების ***მხოლოდ ერთი ან ხელშეკრულების ორივე მხარე კისრულობს ვალდებულებას, მომავალში დადონ ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულება.*** მისი ლეგიტიმურობა აღიარებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მე-3 ნაწილის ნორმებით.

იმისათვის, რომ წინარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სასარჩელო წესით მოთხოვნილ იქნეს ძირითადი ხელშეკრულების დადება, მოსამართლე ისეთ მდგომარეობაში უნდა იყოს, წინარე ხელშეკრულებიდან ძირითადი ხელშეკრულების შინაარსი გამოიტანოს. შესაბამისად, ძირითადი ხელშეკრულების დებულებები წინარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სულ ცოტა, ***განსაზღვრებადი*** უნდა იყოს[7].

ბ. განსხვავება სხვა სამართლებრივი ინსტიტუტებისაგან

წინარე ხელშეკრულებით დადგენილი ხელშეკრულების დადების უფლება უნდა განვასხვაოთ ხელშეკრულებით (ოფციის ხელშეკრულებით) მინიჭებული უფლებისაგან, ცალმხრივი განცხადების საფუძველზე დადგინდეს განსაზღვრული შინაარსის მქონე სახელშეკრულებო ურთიერთობა, ***ოფცია***. უფლებამოსილი მხარის მიერ ოფციის რეალიზაციის შედეგად წარმოიშობა სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომლის დადგენასაც იგი მიზნად ისახავდა ისე, რომ არ საჭიროებს მეორე მხარის თანხმობის მიცემას. ოფცია (ოფციის უფლება) წარმოადგენს ***უფლებრივი მდგომარეობის შეცვლის (აღმჭურველ) უფლებას (Gestaltungsrecht)***, როდესაც წინარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ხელშეკრულების დადების უფლება არის მოთხოვნის უფლება (Anspruch). მხარეები, როგორც აღინიშნა, წინარე ხელშეკრულებას, უპირველეს ყოვლისა, დებენ მაშინ, როდესაც მათ ჯერ არ შეუძლიათ ძირითადი ხელშეკრულების ყველა მომწესრიგებელ პირობაზე შეთანხმება ისე, რომ ერთ-ერთ პირობაზე ან ყველა მათგანზე კიდევ ერთხელ გამართავენ მოლაპარაკებას, თუმცა, უკვე ახლა სურთ იყონ ვალდებულნი. ოფციის უფლების მინიჭების წინაპირობაა ის, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომელიც შეიძლება ამოქმედდეს უფლებამოსილი პირის განცხადებით, უკვე ამჟამად ისე საკმარისად არის განსაზღვრული, რომ ახალი მოლაპარაკების წარმოება საჭირო აღარ არის.

წინარე ხელშეკრულებისაგან განსხვავდება ***ე.წ. "ჩარჩო ხელშეკრულება" (Rahmenvertrag)***. მის ქვეშ იგულისხმება ხელშეკრულება, რომლითაც მხარეები – ძირითადად მათი საქმიანი ურთიერთობის დროს – თანხმდებიან, რათა დაადგინონ მომავალში მათ შორის დასადები ხელშეკრულებების პირობები ისე, რომ ისინი თავიდან შეთანხმებას აღარ საჭიროებს. ჩარჩო ხელშეკრულება თითქოს წინასაწარ ადგენს მომავალი ხელშეკრულებების შინაარსის ნაწილს. წინარე ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, იგი დამოუკიდებლად ჯერ არ ავალდებულებს; მისი სამართლებრივი ძალა ვლინდება ცალკეულ ხელშეკრულებასთან ერთად, რომელიც იდება ერთდროულად ჩარჩო ხელშეკრულების დადებისთანავე ან მოგვიანებით. მხარეები ვალდებულნი არიან მხოლოდ იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც – როდესაც ისინი ცალკეულ ხელშეკრულებას დებენ – ყოველი ჩარჩო ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობა უნდა მოქმედებდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი მოცემულ მომენტში სხვაგვარად შეთანხმდებიან[8].

[7] Brox/Walker, დასახელებული ნაშრომი, გვ. 58

[8] Karl Larenz, დასახელებული ნაშრომი, გვერდები 82-84

გ. წინარე ხელშეკრულების ფორმა

წინარე ხელშეკრულება ***ფორმასავალდებულო გარიგებაა***. იგი საჭიროებს იმ ფორმის დაცვას, რაც დადგენილია ძირითადი ხელშეკრულებისათვის. ფორმის დაცვის მოთხოვნა იმპერატიულია და მისი შეუსრულებლობა იწვევს წინარე ხელშეკრულების ***ბათილობას.*** ზოგიერთ შემთხვევაში, კანონი პირდაპირ მიუთითებს წინარე ხელშეკრულების ფორმაზე. მაგ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 628-ე მუხლის თანახმად, ***წერილობითი ფორმით*** უნდა დაიდოს სესხის ხელშეკრულების წინარე ხელშეკრულება ანუ სესხის შეპირება.

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. განმარტეთ ხელშეკრულება;
2. რაში მდგომარეობს კერძო სამართლის სუბიექტების კერძო ავტონომიის გამოხატულება და მისი შეზღუდვა?
3. ხელშეკრულებების რა სახეებს იცნობთ?
4. რას ნიშნავს ფაქტიური სახელშეკრულებო ურთიერთობა?
5. განმარტეთ წინარე ხელშეკრულება;
6. რას წარმოადგენს ოფცია (ოფციის უფლება)?

3. ხელშეკრულების დადება. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება

I. ხელშეკრულების დადება

ა. ხელშეკრულების დადების მომენტი

როგორც სახელშეკრულებო სამართლის თეორიაში, ასევე პრაქტიკაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმ მომენტის დადგენას, როდესაც ხელშეკრულება ითვლება დადებულად. ხელშეკრულების დადება ხშირად დროში გაწელილი პროცესია: მხარეები უკავშირდებიან ერთმანეთს, აწარმოებენ მოლაპარაკებას, თანხმდებიან ხელშეკრულების ცალკეულ პირობებზე. მაგრამ ***ხელშეკრულების დადების მომენტად*** საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მაინც მიიჩნევს მომენტს, როდესაც მხარეები ხელშეკრულების ***ყველა არსებით პირობაზე თანხმდებიან.*** არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები:

ა) რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, ასეთად მიჩნეულია ***კანონის*** მიერ; და

ბ) რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის ***მოთხოვნით*** მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლი). მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების არსებითი პირობებია ნასყიდობის საგანი, ფასის ოდენობა; ქირავნობის ხელშეკრულების არსებითი პირობებია, გარდა ქირავნობის საგნისა და ქირის ოდენობისა, აგრეთვე, ხელშეკრულების ვადა, თუმცა, ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს განუსაზღვრელი ვადითაც.

თუ ივარაუდება, რომ მხარეები ხელშეკრულებას დადებდნენ იმ პირობის გარეშეც, რომელზეც ვერ მოხდა შეთანხმება, მაშინ გამოიყენება ფაქტობრივად შეთანხმებული პირობები. არის თუ არა სახეზე შეთანხმება, დგინდება ცალკეული შემთხვევების განმარტების შედეგად.

ბ. ოფერტი და აქცეპტი

ხელშეკრულების დადებაზე შეთანხმება მიიღწევა ***ხელშეკრულების დადების 2 ელემენტის:***

ა) ხელშეკრულების დადების შესახებ შეთავაზების, წინადადებისა და

ბ) ამ წინადადებაზე თანხმობის თანხვედრით.

პირველ ელემენტს ეწოდება ***ოფერტი***, ხოლო მეორეს – ***აქცეპტი***. ოფერტის განმახორციელებელ ხელშეკრულების მხარეს ეწოდება ***ოფერენტი***, ხოლო ოფერტის მიმღებს ანუ აქცეპტის განმახორციელებელ მხარეს – ***აქცეპტანტი***.

ოფერტი და აქცეპტი იურიდიული ბუნებით, ორივე, ***მიღებასავალდებულო*** ნების გამოვლენაა, თუმცა, ცალკე აღებული არც ოფერტი და არც აქცეპტი ცალმხრივ გარიგებად არ ითვლება; ისინი მხოლოდ ხელშეკრულების დადებისაკენ მიმართული ნების გამოვლენებია. მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 335-ე მუხლში მითითებულ გამონაკლის შემთხვევაში აქცეპტი არ საჭიროებს ოფერენტისათვის მისვლას და ოფერტი დუმილითაც ითვლება მიღებულად.

ხელშეკრულების დადების შესახებ ყოველგვარი წინადადება არ მიიჩნევა ოფერტად. მაგალითად, ოფერტად არ ჩაითვლება პირის მიერ კონკრეტული ხელშეკრულების დადებაზე მოლაპარაკების წარმოების შეთავაზება; ოფერტს ადგილი არა აქვს, აგრეთვე, როდესაც წინადადება მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი, თუ ამ წინადადებაში სხვა რამ არ არის პირდაპირ მითითებული. ასეთი წინადადება წარმოადგენს მხოლოდ ***მოწვევას ოფერტზე (“invitatio ad offerendum”)*** და, ამ შემთხვევაში, ოფერტი წარედგინება უკვე არა მომწვევი მხარის, არამედ მოწვევის მიმღები მხარის მიერ. ოფერტზე მოწვევად უნდა ჩაითვალოს, მაგალითად, მაღაზიის მიერ საქონლის გასაყიდად განთავსება. ოფერტზე მოწვევის ყველაზე გავრცელებული შემთხვევა მაინც საქონლისა და მომსახურების რეკლამაა. ამდენად, იმისათვის, რომ ხელშეკრულების დადების შესახებ კონკრეტული წინადადება ჩაითვალოს ოფერტად, იგი უნდა იყოს მიმართული ერთი ან რამდენიმე განსაზღვრული პირისადმი და მისი შინაარსიდან უნდა ჩანდეს, რომ ოფერენტი აქცეპტის შემთხვევაში მზადაა შეასრულოს თავისი წინადადება. შესაბამისად, ოფერტს უნდა ახასიათებდეს ერთდროულად ***2 თვისება***:

1. განსაზღვრულობა.

ოფერტი ყოველთვის უნდა იყოს განსაზღვრული, ვინაიდან მეორე მხარეს – აქცეპტანტს საშუალება უნდა ჰქონდეს, შეაფასოს იგი და განაცხადოს მასზე თანხმობა ან უარყოს იგი; და

2. მავალდებულებელი (მბოჭავი) სამართლებრივი ძალა.

ოფერტი ოფერენტისათვის მავალდებულებელი (შემბოჭველი) უნდა იყოს. ეს უკანასკნელი თვისება აუცილებელია თუნდაც აქცეპტანტის ინტერესების დაცვისათვის; ოფერტის წარდგენისას აქცეპტანტმა უნდა იცოდეს, რომ წინადადების წარდგენით მისი ავტორი კისრულობს ვალდებულებას და არა უბრალოდ გასცემს ინფორმაციას, თავისი განზრახვის შესახებ.

მსგავსად ოფერტისა, ***აქცეპტის*** მიმართაც დადგენილია სპეციალური მოთხოვნები, ვინაიდან აქცეპტის გაკეთებას შედეგად მოჰყვება ხელშეკრულების დადება.

უპირველეს ყოვლისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ოფერტზე თანხმობის ან მისი უარყოფის ვადას. კანონი ადგენს განსხვავებულ ვადებს იმისდა მიხედვით, ოფერტი გაკეთდა ***თანმყოფი თუ არათანმყოფი პირისათვის.*** თანმყოფ პირად მიიჩნევა ის პირი, ვისთანაც ოფერენტს აქვს უშუალო პირდაპირი კონტაქტი. მაგალითად, თანმყოფ პირთან კონტაქტად მიჩნეულ უნდა იქნეს არა მარტო ის შემთხვევა, როდესაც მოლაპარაკების მონაწილე პირები უშუალოდ პირისპირ ხვდებიან ერთმანეთს, არამედ როდესაც თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით უზრუნველყოფილია მათ შორის პირდაპირი კონტაქტი (ტელეფონი, ფაქსი, ინტერნეტი). თუ სატელეფონო საუბრის დროს კავშირი წყდება, ოფერტი, როგორც წესი, წყდება. “დაუყოვნებელი” აქცეპტი უკვე აღარ შეიძლება განხორციელდეს უშუალოდ სატელეფონო კავშირის აღდგენის შემდეგ. თუმცა, თუ სატელეფონო საუბარი წმინდა ტექნიკური მიზეზით გამოწვეული არაარსებითი მოკლე ვადით შეწყვეტის შემდეგ, სატელეფონო კავშირი განახლდა, მაშინ შემთავაზებელმა თავისი ოფერტის აქცეპტი სათანადო დროში განხორციელებულად უნდა მიიჩნიოს, თუ იგი მას სპეციალურად დაუყოვნებლივ არ უარყოფს როგორც დაგვიანებულს. აღნიშნული გამომდინარეობს კეთილსინდისიერების პრინციპიდან. თუ ოფერენტი სატელეფონო საუბარს წყვეტს განზრახ, აქცეპტი ჩაითვლება სათანადო დროში

განხორციელებულად, როდესაც მიმღები მის მიერ დაუყოვნებლივ განახლებულ სატელეფონო საუბარში ახორციელებს აქცეპტს[9].

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 330-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თანმყოფი პირისათვის გაკეთებულ ოფერტზე აქცეპტი უნდა გაკეთდეს ***დაუყოვნებლივ***. გარკვეული, თუნდაც მცირე ხნით (მაგალითად, ერთი დღე), დაყოვნებული პასუხი აქცეპტად აღარ ჩაითვლება. განსხვავებული წესია დადგენილი არათანმყოფი პირისათვის გაკეთებული ოფერტისათვის პასუხის გაცემის ვადებზე. ცხადია, ოფერტის ადრესატს არ შეუძლია დაუყოვნებლივ რეაგირება, ვინაიდან გარკვეული დრო საჭიროა თავად ოფერტის ჩაბარებისათვის. თუმცა, მეორე მხრივ, ოფერენტი განუსაზღვრელი ვადით ვერ დაელოდება პასუხს. ამიტომ კანონმა აქ იპოვა "კომპრომისული" გამოსავალი; კერძოდ, 330-ე მუხლის მე-2 ნაწილში დადგენილია, რომ არათანმყოფი პირისათვის გაკეთებული ოფერტი შეიძლება მხოლოდ იმ დრომდე იქნეს მიღებული, რა დროშიც ოფერტის მიმცემს, ჩვეულებრივ, შეუძლია დაელოდოს პასუხს; ანუ კანონის ნორმაში საუბარია გონივრულ ვადაზე, რომელიც ყოველი კონკრეტული შემთხვევის გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება განსხვავებული იყოს.

პასუხის ლოდინის დროის საკითხი საერთოდ არ დგება იმ შემთხვევაში, როდესაც პასუხის გაცემის ვადა ***მითითებულია თავად ოფერტში***. ამ შემთხვევაში, აქცეპტი შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ ამ ვადაში. თუ ოფერენტს აქცეპტი დაგვიანებით მიუვა, აქცეპტიდან კი ირკვევა, რომ იგი დროულად არის გამოგზავნილი, აქცეპტი მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დაგვიანებულად, თუ ოფერენტმა მეორე მხარეს დაუყოვნებლივ ***აცნობა ამის შესახებ*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 332-ე მუხლი).

რა სამართლებრივი შედეგები დგება, თუ პასუხი არა მარტო დაგვიანებით მიუვიდა ოფერენტს, არამედ საერთოდაც გვიან იქნა გამოგზავნილი? ამ შემთხვევაში ასეთ პასუხს არ ექნება აქცეპტის ძალა, თუმცა, იგი თავის მხრივ ჩაითვლება პასუხის გამცემის მხრიდან ***ახალ შეთავაზებად***; შესაბამისად, დაგვიანებით გაკეთებული აქცეპტით ხელშეკრულება, რა თქმა უნდა, არ იდება, მაგრამ ვინაიდან სახეზეა პასუხის გამცემის მხრიდან აშკარა ნება განსაზღვრულ (ოფერტში მითითებულ) პირობებზე ხელშეკრულების დადებისა, იგი თავად მიიჩნევა ახალ ოფერტად და, უკვე თავის მხრივ, ყოფილი ოფერენტის მხრიდან ამ დაგვიანებით გაკეთებული აქცეპტის მიღების (ახალი აქცეპტის) შემთხვევაში ხელშეკრულება ჩაითვლება დადებულად.

პრაქტიკაში არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პასუხი დროულად იქნა გამოგზავნილი და ჩაბარებული ოფერენტს, მაგრამ პასუხში მეორე მხარე თანხმდება მხოლოდ ***შეცვლილი პირობებით***. ასეთი პასუხი, ზოგადი წესით, ჩაითვლება უარად ოფერტზე და, ამავე დროს, მსგავსად დაგვიანებით გაკეთებული აქცეპტისა, – ***ახალ წინადადებად***. გამონაკლისს ამ წესიდან წარმოადგენს შემთხვევები, როდესაც ოფერენტსა და აქცეპტანტს შორის არსებობს საქმიანი ურთიერთობა. ამ შემთხვევაში, ხელშეკრულება ჩაითვლება დადებულად, თუ აქცეპტანტს შეეძლო ევარაუდა ოფერენტის თანხმობა, ხოლო ეს უკანასკნელი ***დაუყოვნებლივ არ განაცხადებს უარს*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 334-ე მუხლი).

აქცეპტი ყოველთვის უნდა იყოს აქტიური მოქმედება (სიტყვიერი პასუხი, მოქმედება, რომელიც ადასტურებს თანხმობას). დუმილით აქცეპტი დაუშვებელია. თუმცა, ამ საერთო წესიდან კანონი ითვალისწინებს ერთ გამონაკლისს. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 335-ე მუხლის თანახმად, თუ მეწარმე, რომელსაც უხდება სხვა პირთა საქმიანი ოპერაციების შესრულება, მიიღებს ოფერტს ამგვარი საქმეების შესრულებაზე იმ პირისაგან, რომელთანაც იმყოფება საქმიან კავშირში, მაშინ იგი ვალდებულია გონივრულ ვადაში უპასუხოს ამ წინადადებას; მისი დუმილი ჩაითვლება აქცეპტად. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როცა მეწარმე იღებს ასეთ ოფერტს იმ პირისაგან, რომლისგანაც იგი ითხოვდა შეკვეთებს ამგვარი საქმეების შესასრულებლად. იმ შემთხვევაშიც, თუ მეწარმე ოფერტს უარყოფს, ხოლო საქონელი უკვე გამოგზავნილია, იგი ვალდებულია ზიანის თავიდან ასაცილებლად ოფერენტის ხარჯზე

[9] Bernd Rüthers, დასახელებული ნაშრომი, გვ. 268

დროებით შეინახოს საქონელი ისე, რომ ამით მას ზიანი არ მიადგეს. ამ მუხლის ნორმების მოქმედებისათვის საჭიროა არსებობდეს შემდეგი წინაპირობები:

1. აქცეპტანტი უნდა იყოს ***მეწარმე სუბიექტი;***

2. იგი თავისი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში უნდა ახორციელებდეს ***სხვა პირთა საქმიან ოპერაციებს;***

3. აქცეპტანტი უნდა იმყოფებოდეს ***საქმიან კავშირში*** ოფერენტთან. მაგ., შპს "ვერა" გარკვეული ვადის განმავლობაში ახორციელებს შპს "მაგთის" მონობარათების რეალიზაციას. მონობარათების მორიგი პარტიის გასაღების შეთავაზებისას შპს "ვერამ" უნდა უპასუხოს ოფერენტს, არის თუ არა იგი თანახმა, მიიღოს და რეალიზაცია გაუკეთოს მონობარათების შეთავაზებულ პარტიას. თუ იგი არ უპასუხებს, მისი *დუმილი* ჩაითვლება თანხმობად და შეთავაზებული მონობარათების რეალიზაციის ნაწილში ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება.

II. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება

ა. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ცნება და სახეები

ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს არა მარტო ხელშეკრულების მხარეთათვის უფლებების მინიჭებისა და ვალდებულების დაკისრებისათვის, არამედ ***მესამე პირის სასარგებლოდაც***, კერძოდ, ამ უკანასკნელისათვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებების მინიჭებისათვის. მაგალითად, ა-სა და ბ-ს შორის ნასყიდობის ხელშეკრულების პირობის თანახმად, ნაყიდ ნივთზე საკუთრების უფლებას იძენს მყიდველის – ა-ს მეგობარი – გ. კანონით დასაშვებია მესამე პირისათვის მხოლოდ უფლების მინიჭება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – ვალდებულების დაკისრება; არ შეიძლება განსაზღვრულმა პირებმა ერთმანეთს შორის დადებული ხელშეკრულებით ვალდებულება დააკისრონ სხვა პირს.

მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში ***3 მონაწილეა***:

1. შემპირებელი – ***მოვალე***;

2. მოვალის შეპირების მიმღები – ***კრედიტორი;*** და

3. მოსარგებლე (ბენეფიციარი) – ***მესამე პირი***.

იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ ე.წ. ***ნამდვილ და არანამდვილ ხელშეკრულებას მესამე პირის სასარგებლოდ (Echter und unechter Vertrag zu Gunsten Dritter)***.

ა) ***ნამდვილი*** მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების ანუ უფლების მიმნიჭებელი ხელშეკრულების დროს მესამე პირი ხელშეკრულებიდან იძენს მოვალის მიმართ მოთხოვნის უფლებას;

ბ) ***არანამდვილი*** მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე, მართალია, ახორციელებს ვალდებულების შესრულებას მესამე პირის მიმართ, მაგრამ ამ უკანასკნელს არა აქვს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ის საკითხი, ადგილი აქვს მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ნამდვილ ანუ უფლების მიმნიჭებელ, თუ არანამდვილ ხელშეკრულებას, დგინდება ხელშეკრულების განმარტების შედეგად[10].

მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება ***არ წარმოადგენს ხელშეკრულების დამოუკიდებელ სახეს,*** ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილში მოწესრიგებულ ხელშეკრულებათა სახეებთან ერთად. პირიქით, ნებისმიერი ტიპური და არატიპური ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მესამე პირის სასარგებლოდ. მესამე პირის პიროვნება შეიძლება არც იყოს ზუსტად განსაზღვრული ხელშეკრულების დადების მომენტში; საკმარისია, რომ იგი

[10] Brox/Walker, დასახელებული ნაშრომი, გვ. 360

განსაზღრებადი იყოს[11]. მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების დადება ***დაუშვებელია***, თუ ეს ეწინააღმდეგება კანონს, თავად ხელშეკრულებით დადგენილ პირობებს ან ეს აკრძალვა თვით ვალდებულების არსიდან გამომდინარეობს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 349-ე მუხლი). მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ***ფორმის*** მიმართ გამოიყენება საერთო წესები. ხელშეკრულეა შეიძლება დაიდოს როგორც წერილობით, ასევე ზეპირადაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სპეციალური ფორმა კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული.

ბ. მონაწილეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობები

ნამდვილი მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში განასხვავებენ სამართლებრივ ურთიერთობებს:

1. შემპირებელს – მოვალესა და შეპირების მიმღებს – კრედიტორს შორის ***(ე.წ. შესრულების ურთიერთობა)***,

2. კრედიტორსა და მესამე პირს შორის ***(გადაცემის ან სავალუტო ურთიერთობა);*** და

3. მოვალესა და მესამე პირს შორის.

ურთიერთობას შესრულების ურთიერთობა იმიტომ ჰქვია, რომ შემპირებელი იღებს მისგან გამომდინარე საპირისპირო შესრულებას ანუ თავისი შესრულებისათვის შესრულებას. გადაცემის ურთიერთობა ხსნის, თუ რომელი სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარე, შეპირების მიმღები შემპირებლის მეშვეობით მიმართავს შესრულებას მესამე პირის მიმართ.

1. შესრულების ურთიერთობა

შესრულების ურთიერთობა გადამწყვეტია მესამე პირის სამართლებრივი მდგომარეობისათვის შემპირებლის მიმართ. მასში უნდა გაირკვეს, მესამე პირი მოთხოვნის უფლებას იძენს დაუყოვნებლივ, მოგვიანებით თუ განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას. შესრულების ურთიერთობით განისაზღვრება, აგრეთვე, შეუძლიათ თუ არა ხელშეკრულების მხარეებს მესამე პირისათვის მინიჭებული სამართლებრივი მდგომარეობის შემდგომში წართმევა[12]. ეს ურთიერთობა ასევე გადამწყვეტია შესაგებლისათვის, რომელიც შემპირებელს შეუძლია დაუპირისპიროს მესამე პირს.

2. გადაცემის ურთიერთობა

ჩვეულებრივ შეპირების მიმღები შემპირებელს მხოლოდ მაშინ ავალდებულებს მესამე პირის მიმართ შესრულებაზე, როდესაც იგი მესამე პირის წინაშე არის ვალდებული. ასეთი ვალდებულება შეიძლება ეფუძნებოდეს ხელშეკრულებას ან კანონს. თუ მესამე პირმა შემპირებლისაგან მიიღო შესრულება ისე, რომ არ არსებობს შეპირების მიმღებსა და მესამე პირს შორის ურთიერთობაში ასეთი შეთანხმება, შეპირების მიმღებს შეუძლია მოითხოვოს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადაცემულის უკან დაბრუნება. აქვე ისმის კითხვა, ექვემდებარება თუ არა მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება ***ფორმას***, როდესაც იგი იდება ფორმასავალდებულო გადაცემის ურთიერთობის შესრულებისათვის?

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს აზრის ერთიანობა, რომ შესრულების ურთიერთობის მიმართ გადაცემის ურთიერთობისათვის აუცილებლი ფორმის მოთხოვნა არ არსებობს[13].

---

[11] Brox/Walker, დასახელებული ნაშრომი, გვ. 362; მოლდოვის სამოქალაქო კოდექსის 721-ე მუხლის მე-2 ნაწილსა და ესტონეთის ვალდებულებით-სამართლებრივი კანონის მე-80 მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნული პირდაპირ არის გათვალისწინებული: „Статья 721. Договор в пользу третьего лица (2) Не обязательно, чтобы третье лицо было определено или существовало на момент определения условий договора; достаточно, чтобы оно могло быть определено и существовало на дату исполнения договора". "Статья 80. Договор в пользу третьего лица (4) Третье лицо, в пользу которого заключен договор, не должно быть во время заключения договора определено персонально".

[12] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 349-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გ. ქვეპუნქტი: "გ. ხელშეკრულების მხარეები უფლებამოსილნი არიან თუ არა, მესამე პირის უფლება გააუქმონ ან შეცვალონ მისი თანხმობის გარეშე".

[13] Brox/Walker, დასახელებული ნაშრომი, იქვე

გ. შემპირებლის – მოვალის შესაგებელი

ვინაიდან შემპირებლის – მოვალის მიერ მესამე პირის მიმართ შესრულების ვალდებულების კისრება გამომდინარეობს შესრულების ურთიერთობიდან, შემპირებელს შეუძლია მესამე პირის მოთხოვნის უფლებას დაუპირისპიროს ის ***შესაგებელი***, რომელიც ამ ურთიერთობას ეფუძნება. თუ მოვალეს შეპირების მიმღების – კრედიტორის მიმართ შეუძლია ხელშეკრულების ბათილობაზე მიუთითოს, ანალოგიური უფლება მას აქვს ასევე მესამე პირის მიმართაც[14].

დ. პირადად მოთხოვნის უფლებამოსილება

შეპირების მიმღებს შეუძლია ხელშეკრულების დადების შემდეგ ნებისმიერ დროს, მეორე მხარის – შემპირებლის თანხმობის გარეშე, ***თავად მოითხოვოს ვალდებულების შესრულება***. სამწუხაროდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 350-ე მუხლის მე-2 ნაწილში ეს წესი გერმანული ენიდან არაკორექტული თარგმანის გამო სხვაგვარად ჟღერს:

"2. მხარე, რომელმაც ხელშეკრულებაში გააკეთა დათქმა მესამე პირის სასარგებლოდ, ინარჩუნებს უფლებას, შეცვალოს ხელშეკრულებაში მითითებული მესამე პირი, მიუხედავად კონტრაგენტის თანხმობისა".

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 350-ე მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიცია არსებითად არ შეესაბამება გერმანული პირველწყაროს შინაარსს: თუ ქართულ ვერსიაში ლაპარაკია იმ მხარის უფლებაზე, რომელმაც გააკეთა დათქმა მესამე პირის სასარგებლოდ, შეინარჩუნოს უფლება ,,შეცვალოს ხელშეკრულებაში მითითებული მესამე პირი", გერმანულ ვერსიაში მითითებულია ამ მხარის მიერ შესრულების პირადად მოთხოვნის უფლებამოსილებაზე[15].

ე. ვალდებულების შესრულება კრედიტორის სასარგებლოდ

კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მესამე პირი უარს ამბობს ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე; ასეთ შემთხვევაში შეპირების მიმღები – კრედიტორი არ კარგავს უფლებას, ვალდებულების შესრულება მოითხოვოს ***თავის სასარგებლოდ***, თუ ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ეს წესი გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 351-ე მუხლში, თუმცა, კოდექსის 350-ე მუხლის მე-2 ნაწილის მსგავსად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 351-ე მუხლის ნორმაც მნიშვნელოვნად სცილდება გერმანულ პირველწყაროს (!); კერძოდ, ნორმის ქართული რედაქცია შემდეგნაირად არის ფორმულირებული:

"მუხლი 351. მესამე პირის უარი ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე

თუ მესამე პირი უარს ამბობს ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე, მაშინ კრედიტორს შეუძლია თვითონ მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, თუ ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს".

ქართულ ვერსიაში მითითებულია კრედიტორის შესაძლებლობაზე, თავად მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, მაგრამ ნორმის გერმანული ვერსია მიუთითებს კრედიტორის უფლებაზე, მოითხოვოს ვალდებულების შესრულება ,,თავისი თავის მიმართ, თავის სასარგებლოდ".

---

14 Brox/Walker, დასახელებული ნაშრომი, გვ. 364; გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §334.

15 „Art. 350 Auslegung
(2) Die Vertragspartei, die einen Vorbehalt zugunsten eines Dritten gemacht hat, behält das Recht die Leistung ohne Zustimmung seines Vertragspartners selbst zu fordern".

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. რა მომენტში ითვლება ხელშეკრულება დადებულად?
2. როგორია ოფერტისა და აქცეპტის იურიდიული ბუნება?
3. როგორია აქცეპტის გაკეთების წესი?
4. რად მიიჩნევა შეცვლილი პირობებით აქცეპტი?
5. რა შემთხვევაში ივარაუდება, რომ დუმილი ითვლება ოფერტის მიღებად?
6. რა სახის შეიძლება იყოს მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულება?
7. დაასახელეთ მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულებაში არსებული ურთიერთობები;
8. რა ხარვეზებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მესამე პირის სასარგებლოდ ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებში?

4. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

I. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ცნება

თანამედროვე სამეწარმეო ურთიერთობებში სულ უფრო ხშირად აქვს ადგილი ხელშეკრულებების სტანდარტიზაციას, მეწარმე სუბიექტების მიერ ხელშეკრულებების პირობების წინასწარ მომზადებულ ფორმულარებში ჩამოყალიბებას და მომხმარებლისათვის შეთავაზებას. ეს უკანასკნელი თავის მხრიდან ახორციელებს მხოლოდ აღნიშნული შეთავაზებული პირობების მიღებას; შესაბამისად, პრაქტიკულად ადგილი აღარ აქვს კლასიკური გაგებით ხელშეკრულების დადებისას მისი პირობების ერთობლივ განსაზღვრასა და შეთანხმებას. სტანდარტული პირობების შემცველი ხელშეკრულების მეორე მხარეს დარჩენია მასზე მხოლოდ "მიერთება", დათანხმება. აღნიშნულის გამო, იურიდიულ ლიტერატურასა და ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში ასეთ ხელშეკრულებებს ***"მიერთების ხელშეკრულებებსაც"*** **(*Договор присоединения, contract of adhesion, contrat d'adhesion*)** უწოდებენ. სტანდარტული პირობების შემცველია, მაგ., ელექტროენერგიის, გაზისა და წყლის მიწოდების, სპეციალიზებულ სავაჭრო ობიექტებზე ძვირად ღირებული საქონლის ნასყიდობის, საბანკო და სადაზღვევო მომსახურების, გადაზიდვა-გადაყვანის, ტურისტული და საშუამავლო მომსახურების და მრავალი სხვა ხელშეკრულება. ამდენად, ***ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები,*** რომელთაც ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს და რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემვსები წესების დადგენა.

როგორც აღნიშნული დეფინიციიდან ჩანს, იმისათვის, რომ პირობები მიჩნეულ იქნეს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებად, ისინი უნდა იყოს:

1. ***მრავალჯერადი გამოყენებისათვის*** ჩამოყალიბებული;

2. შემთავაზებელი მხარის მიერ მეორე მხარისათვის ***წარდგენილი***. ამისათვის შემთავაზებელმა ხელშეკრულების დადების ადგილას უნდა გააკეთოს თვალსაჩინო წარწერა და მიუთითოს ამ პირობებზე, ხოლო ხელშეკრულების მეორე მხარეს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, გაეცნოს ამ პირობების შინაარსს და მიიღოს ისინი. მიღება შესაძლებელია როგორც პირდაპირ გამოხატული თანხმობის განცხადებით, ისე კონკლუდენტური მოქმედებით ანუ ისეთი მოქმედებით, რომლიდანაც აშკარად გამომდინარეობს პირის თანხმობა (მაგ., დენის ან გაზის მოხმარების დაწყება, თვითმფრინავში შესვლა და ა. შ.).

მიუხედავად იმისა, რომ პირობები მრავალჯერადი გამოყენებისთვისაა ჩამოყალიბებული და წარდგენილია შემთავაზებელის მიერ მეორე მხარისათვის, ისინი მაინც არ ჩაითვლება ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებად, თუ ისინი ფორმის მხრივ იმდენად ***უჩვეულოა***, რომ

მეორე მხარეს არ შეუძლია მათი გათვალისწინება. აღნიშნული წესი მხარეს იცავს მოულოდნელობებისაგან; მხარეს უნდა შეეძლოს ნდობა იმისა, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები მოცემული იქნება ისეთ ფორმაში, რომელსაც, ჩვეულებრივ, უნდა ელოდებოდეს მხარე ასეთი ხელშეკრულების დროს[16].

ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებად არ ჩაითვლება, აგრეთვე, ისეთი პირობები, რომლებიც მხარეთა მიერ ***დეტალურად*** არის განსაზღვრული. მაგ., ბანკში საკრედიტო ხელშეკრულების დადების დროს კლიენტის მოთხოვნით ხელშეკრულების პროექტში შეიცვალა ბანკის მიერ ხელშეკრულებაზე უარის განცხადების საფუძვლები; კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში. კერძოდ, ცვლილების თანახმად, განსხვავებით სტანდარტული პირობებისაგან, ბანკს აღარ აქვს საკრედიტო ხელშეკრულებაზე ვადამდე უარის თქმის უფლება, თუ არსებობს მნიშვნელოვანი უარყოფითი ცვლილება კლიენტის ქონებრივ მდგომარეობაში, რამაც შეიძლება გაართულოს ან შეუძლებელი გახადოს კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 342-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უშუალოდ მხარეთა მიერ შეთანხმებულ პირობებს ***უპირატესობა ენიჭება*** სტანდარტულ პირობებთან შედარებით.

II. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მნიშვნელობა. შინაარსის კონტროლი

ცხოვრებაში ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შემცველი ხელშეკრულებები ***მნიშვნელოვნად ამარტივებს და აჩქარებს*** ხელშეკრულების დადების პროცესს მეწარმესა და მომხმარებელს შორის. ნაცვლად მხარეთა შორის მოლაპარაკების წარმოების დაწყებიდან ხელშეკრულების პირობების შემუშავებისა და წერილობითი ფორმით ჩამოყალიბებისა, ასეთი პირობები წინასწარ დადგენილია, გაწერილია, ხელშეკრულება მზადაა ხელმოსაწერად; ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მიმღებ მხარეს ესაჭიროება მხოლოდ მათი გაცნობა და ხელმოწერით თავისი თანხმობის დადასტურება. თუმცა, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შემცველ ხელშეკრულებებს ***უარყოფითი თვისებებიც*** ახასიათებს. კერძოდ, ამ შემთხვევაში, სტანდარტული პირობების შემცველი ხელშეკრულების მეორე მხარე მოკლებულია შესაძლებლობას, შეიტანოს შესწორებები შეთავაზებულ პირობებში, უარი განაცხადოს მისთვის არახელსაყრელ პირობებზე, იკისროს აშკარად მძიმე ვალდებულებები, რის გამოც იგი ხშირად სამართლებრივად სუსტად დაცული ან საერთოდ დაუცველია. აღნიშნული უარყოფითი თვისებების გათვალისწინებით, სტანდარტული პირობების შემცველი ხელშეკრულების მეორე მხარის ინტერესების დაცვის მიზნით, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ***შინაარსი ექვემდებარება კონტროლს***.

უპირველეს ყოვლისა, კანონით დადგენილია ***ზოგადი დამცავი ნორმა***; კერძოდ, კანონი დაუშვებლად მიიჩნევს ისეთ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს, რომლებიც ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 346-ე მუხლი). ასეთი პირობები, მიუხედავად მათი მხარეთა შორის შეთანხმებისა, ბათილია. გარდა ამისა, ნებისმიერი სტანდარტული პირობა, თუ ის ბუნდოვანია, განიმარტება მეორე მხარის სასარგებლოდ.

ზოგად დამცავ ნორმასთან ერთად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 347-348-ე მუხლებში მოცემულია ***დეტალური ჩამონათვალი*** დაუშვებელი სტანდარტული პირობებისა, თუ ისინი შეთავაზებულია იმ ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც არ მისდევენ სამეწარმეო საქმიანობას. კერძოდ, ესენია:

- დებულება, რომლითაც შემთავაზებელი აწესებს შეთავაზებული წინადადების მიღების ან უარყოფის, ანდა ამა თუ იმ სამუშაოს შესრულების შეუსაბამოდ ხანგრძლივ ან აშკარად მცირე ვადებს (წინადადების მიღებისა და შესრულების ვადები);

[16] Brox/Walker, დასახელებული ნაშრომი, გვ. 44

- დებულება, რომლითაც შემთავაზებელი აწესებს მისივე ვალდებულებათა შესასრულებლად კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებულ, შეუსაბამოდ ხანგრძლივ ან არასაკმარისად განსაზღვრულ ვადებს (ვადები ვალდებულების დარღვევისას);
- დებულება, რომელიც შემთავაზებელს უფლებას აძლევს, გაუმართლებლად და ხელშეკრულებაში მითითებული საფუძვლის გარეშე, უარი თქვას თავისი ვალდებულების შესრულებაზე (ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობა);
- დებულება, რომელიც შემთავაზებელს უფლებას აძლევს, შეცვალოს შეპირებული სამუშაო[17] ან გადაუხვიოს მას, თუ ამის შესახებ შეთანხმება მიუღებელია ხელშეკრულების მეორე მხარისათვის (ცვლილების შეტანის პირობა);
- დებულება, რომელიც შემთავაზებელს უფლებას აძლევს, ხელშეკრულების მეორე მხარეს მოსთხოვოს გაწეული ხარჯების შეუსაბამოდ მაღალი ანაზღაურება (გაწეული ხარჯების შეუსაბამოდ მაღალი ანაზღაურება);
- დებულება, რომელიც ითვალისწინებს ფასის მომატებას გაუმართლებლად მოკლე ვადებში (ფასების მოკლევადიანი მომატება);
- დებულება, რომლითაც იზღუდება ან გამოირიცხება: ა. შესრულებაზე უარის უფლება, რომელიც ხელშეკრულების მხარეს ამ კანონის თანახმად აქვს, ან ბ. ხელშეკრულების მხარის უფლება, უარი თქვას შესრულებაზე, ვიდრე მეორე მხარეს არ შეუსრულებია დაკისრებული ვალდებულება (შესრულებაზე უარის თქმის უფლება);
- დებულება, რომლითაც ხელშეკრულების მხარეს ერთმევა უფლება, გაქვითოს უდავო ან სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნა (ურთიერთმოთხოვნათა ჩათვლის აკრძალვა);
- დებულება, რომლითაც შემთავაზებელი თავისუფლდება კანონით გათვალისწინებული იმ მოვალეობისაგან, რომ ხელშეკრულების მხარე გააფრთხილოს ან დაუნიშნოს მას ვადა ვალდებულების შესასრულებლად (გაფრთხილება ვალდებულების შესრულების შესახებ; ვადის დანიშვნა);
- შეთანხმება ზიანის ოდენობაზე მეტი თანხის მოთხოვნის შესახებ (ზიანის ანაზღაურების გადამეტებული მოთხოვნა);
- დებულება, რომელიც გამორიცხავს ან ზღუდავს პასუხისმგებლობას იმ ზიანისათვის, რაც გამოწვეულია შემთავაზებლის ან მისი წარმომადგენლის მიერ უხეში გაუფრთხილებლობით, ვალდებულების დარღვევის გამო (პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობის გამო);
- დებულება, რომლითაც შემთავაზებლის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევისას: ა. ხელშეკრულების მეორე მხარეს ერთმევა ან ეზღუდება უფლება, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, ან ბ. ხელშეკრულების მეორე მხარეს ერთმევა ან მე-6 პუნქტის საწინააღმდეგოდ ეზღუდება ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება (ძირითადი ვალდებულების შესრულების დარღვევა);
- დებულება, რომელიც შემთავაზებლის მიერ ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევებში ხელშეკრულების მეორე მხარეს ართმევს უფლებას, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მთლიანი ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუკი მას დაეკარგა ინტერესი ნაწილობრივი შესრულებისადმი (ინტერესის დაკარგვა ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებისას);
- დებულებები, რომლებიც, კანონით გათვალისწინებული წესებისაგან განსხვავებით, ზღუდავს ახალწარმოებული საქონლის მიწოდებისა და სამუშაოების შესრულებისას შემთავაზებლის პასუხისმგებლობას ნივთის ნაკლის გამო.

[17] კვლავ არასწორი თარგმანი გერმანული სიტყვისა "Leistung", „ვალდებულების შესრულება"!

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. როგორ განვმარტოთ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები?
2. რა მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს ყოველდღიურ ცხოვრებაში?

5. ხელშეკრულებიდან გასვლა (ხელშეკრულებაზე უარი)

I. ზოგადად

ყოველი ხელშეკრულების დადების მიზანია მხარეთა ან ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება. დადების მომენტიდან ხელშეკრულება იძენს სავალდებულო ძალას მხარეთათვის და, როგორც წესი, მასზე ერთ-ერთი მხარის მიერ ცალმხრივი უარი დაუშვებელია. მოლდოვის სამოქალაქო კოდექსში ასეთ ზოგად წესსზე პირდაპირ არის მითითებული 733-ე მუხლში, სადაც საუბარია, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა უკუქცევითი ძალით ან ხელშეკრულების შეწყვეტა უარი დაუშვებელია გარდა კანონით ან მხარეთა შეთანხმებით დადგენილი საფუძვლების მიხედვით. კანონის მიერ საწინააღმდეგოს დაშვებით, ე. ი. იმის დაშვებით, რომ ხელშეკრულების ნებისმიერმა მხარემ ნებისმიერ დროს, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე, შედეგად მივიღებდით კერძო სამართლის სუბიექტებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობებში აშკარა უნდობლობასა და არასტაბილურობას. თუმცა, გამონაკლისის სახით, განსაზღვრული გარემოებების არსებობისას კანონი ითვალისწინებს ***ხელშეკრულებიდან გასვლის – ხელშეკრულებაზე უარის უფლებას (Rücktritt).***

II. ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) ცნება და სამართლებრივი ბუნება. განსხვავება სხვა სამართლებრივი ინსტიტუტებისაგან

ხელშეკრულებიდან გასვლას (ხელშეკრულებაზე უარს) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უთმობს მთელ თავს. მისი მომწესრიგებელი ნორმები მოცემულია კოდექსის ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის 1-ლი კარის – "სახელშეკრულებო სამართალი" მე-5 თავში (მუხლები 352-359).

ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) ძალით ხორციელდება ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის *გაუქმება*. თავისი სამართლებრივი ბუნებით იგი ***მიღებასავალდებულო ცალმხრივი გარიგებაა,*** ე. ი. მისი სამართლებრივი ძალისათვის საკმარისია ერთი პირის ნების გამოვლენა, თუმცა, საჭიროა, რომ ხელშეკრულებიდან გამსვლელი ხელშეკრულების მხარის გამოვლენილი ნება ხელშეკრულების მეორე მხარეს მიუვიდეს. ხელშეკრულებიდან გასვლა (ხელშეკრულებაზე უარი) არის ***ე. წ. სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლის უფლება (Gestaltungsrecht),*** რაც გულისხმობს, რომ ხელშეკრულებიდან გამსვლელ ხელშეკრულების მხარეს შეუძლია დამოუკიდებლად, სხვა პირის მონაწილეობისა თუ თანხმობის გარეშე, მოახდინოს ზემოქმედება ხელშეკრულებით არსებულ უფლებრივ მდგომარეობაზე.

ხელშეკრულებიდან გასვლა (ხელშეკრულებაზე უარი) უნდა განვასხვაოთ, ერთი მხრივ, ***გარიგების შეცილებისაგან და, მეორე მხრივ, ხელშეკრულების შეწყვეტისაგან (Kündigung).***

გარიგების შეცილების შემთხვევაში საცილო გარიგება (მაგ., არსებითი შეცდომის საფუძველზე დადებული გარიგება) ბათილია (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილი). თუ მხარეებმა ასეთი გარიგების შესასრულებლად ერთმანეთს რაიმე გადასცეს, გადაცემული ექვემდებარება დაბრუნებას უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად. მისგან განსხვავებით, ხელშეკრულებიდან გასვლა (ხელშეკრულებაზე უარი) ***არ გულისხმობს*** ხელშეკ-

რულების როგორც ორმხრივი გარიგების გაბათილებას; მისი სამართლებრივი შედეგები მდგომარეობს მიღებული შესრულებისა და სარგებლის ხელშეკრულების მხარეთათვის დაბრუნებაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის ნორმების საფუძველზე. შეცილების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ შეცილების საფუძვლების არსებობისას; ესენია: არსებითი შეცდომა, მოტყუება და იძულება. ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) საფუძვლები შეიძლება (და ხშირად ასეც არის) მხარეთა შორის შეთანხმებით განისაზღვროს.

ხელშეკრულებიდან გასვლა (ხელშეკრულებაზე უარი), გარკვეულწილად, ემსგავსება სახელშეკრულებო სამართლის ისეთ სამართლებრივ ინსტიტუტს როგორიცაა ***ხელშეკრულების შეწყვეტა*** (ან ხელშეკრულების მოშლა, როგორ ტერმინსაც ხშირად არაკორექტულად იყენებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი). განსხვავების დადგენა კიდევ უფრო აქტუალურია იმის გამო, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (მის ქართულ ვერსიაში) აღნიშნული სამართლებრივი ინსტიტუტები საერთოდაც ტერმინოლოგიურად არეულია ერთმანეთში. კოდექსის, სულ ცოტა, 12 მუხლში აქვს ადგილი ასეთ არევას, მაგ.:

1. 405-ე მუხლის 1-ლ ნაწილში: მითითებულია „ხელშეკრულების მოშლა", უნდა იყოს „ხელშეკრულებიდან გასვლა";
2. 491-ე მუხლის 1-ლ ნაწილში: მითითებულია „ხელშეკრულების მოშლა", უნდა იყოს „ხელშეკრულებიდან გასვლა";
3. 492-ე მუხლის 1-ლ ნაწილში: მითითებულია „ხელშეკრულების მოშლა", უნდა იყოს „ხელშეკრულებიდან გასვლა";
4. 541-ე მუხლის სათაურსა და ტექსტში: მითითებულია „ხელშეკრულებაზე უარი", უნდა იყოს „ხელშეკრულების შეწყვეტა";
5. 636-ე მუხლში: მითითებულია „ხელშეკრულებაზე უარი", უნდა იყოს „ხელშეკრულების შეწყვეტა";
6. 647-ე მუხლის მე-2 ნაწილში: მითითებულია „ხელშეკრულებაზე უარი", უნდა იყოს „ხელშეკრულების შეწყვეტა";
7. 808-ე მუხლის მე-4 ნაწილში: მითითებულია „ხელშეკრულების შეწყვეტა", უნდა იყოს „ხელშეკრულებიდან გასვლა";
8. 809-ე მუხლის მე-2 ნაწილში: მითითებულია „ხელშეკრულების შეწყვეტა", უნდა იყოს „ხელშეკრულებიდან გასვლა";
9. 811-ე მუხლის 1-ლ ნაწილში: მითითებულია „ხელშეკრულების შეწყვეტა", უნდა იყოს „ხელშეკრულებიდან გასვლა";
10. 812-ე მუხლის 1-ლ ნაწილში: მითითებულია „ხელშეკრულების შეწყვეტა", უნდა იყოს „ხელშეკრულებიდან გასვლა";
11. 938-ე მუხლში: მითითებულია „უარი თქვას" (1-ლი ნაწილი), „ხელშეკრულებიდან გასვლა" (მე-2 ნაწილი), ორივე შემთხვევაში უნდა იყოს „შეწყვიტოს ხელშეკრულება".

თუმცა, აღნიშნული სამართლებრივი ინსტიტუტები ***არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან*** თავიანთი სამართლებრივი შედეგებით. თუ, როგორც აღვნიშნეთ, ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) შემთხვევაში მხარეები უბრუნდებიან თავდაპირველ, ხელშეკრულების დადებამდე არსებულ მდგომარეობას და მიღებული შესრულება და სარგებელი ხელშეკრულების მხარეებს უბრუნდებათ, ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეები არ უბრუნდებიან პირვანდელ მდგომარეობას და ისინი არ არიან ვალდებულნი, ერთმანეთს დაუბრუნონ მიღებული შესრულება და სარგებელი. ხელშეკრულების შეწყვეტამდე განხორციელებული შესრულება და მისი შედეგები ძალაში რჩება. მაგალითად,

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 557-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ გამქირავებელს შეუძლია ვადამდე შეწყვეტოს ქირავნობის ხელშეკრულება, თუ დამქირავებელი, გამქირავებლის გაფრთხილების მიუხედავად, გაქირავებულ ნივთს მნიშვნელოვნად აზიანებს ან ქმნის მნიშვნელოვანი დაზიანების რეალურ საშიშროებას. აქ საუბარია სამართლებრივი ურთიერთობის (ქირავნობის ურთიერთობის) შეწყვეტაზე, დასრულებაზე და, ცხადია, მხარეები ვერანაირად ვერ დაუბრუნდებიან ხელშეკრულების დადებამდე არსებულ მდგომარეობას. ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივ ინსტიტუტს ჩვენ ქვემოთ კიდევ შევეხებით გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის საკითხის განხილვისას.

III. ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) წინაპირობები

ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) უფლებამოსილება შეიძლება გამომდინარეობდეს:

1. მხარეთა შორის დადებული ***ხელშეკრულებიდან;*** ან
2. უშუალოდ ***კანონიდან***.

უპირველეს ყოვლისა, ***მხარეებს თავად შეუძლიათ გაითვალისწინონ*** ის გარემოებები და პირობები, რომელთა არსებობისას ერთ-ერთი ან ორივე (ყველა) მხარე უფლებამოსილი იქნება, განაცხადოს ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ. ხშირად პრაქტიკაში ეს პირობები ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევებია. მაგალითად, საკრედიტო ხელშეკრულებებში მხარეები ბანკის მხრიდან ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლებად უთითებენ: ა. მსესხებლის მიერ კრედიტისა და საპროცენტო სარგებლის დაფარვის შეთანხმებული გრაფიკის ზედიზედ ორჯერ დარღვევას; ბ. მსესხებლის ფინანსურ ან ქონებრივ მდგომარეობაში მნიშვნელოვანი ცვლილების არსებობას, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად გაართულოს ან შეუძლებელი გახადოს საკრედიტო ვალდებულებების შესრულება. გერმანული იურიდიული ლიტერატურა დასაშვებად მიიჩნევს ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) შესახებ მხარეთა შეთანხმების დადებას ***(“დათქმა ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) შესახებ” – “Rücktrittsvorbehalt”)*** უსიტყვოდ, კონკლუდენტური მოქმედებით. შესაბამისად, იგი არ საჭიროებს რაიმე ფორმას[18]. განსხვავებულ პოზიციას ვხვდებით მოლდოვის სამოქალაქო კოდექსში. ეს უკანასკნელი ითხოვს ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) შესახებ მხარეთა შეთანხმების დადებას იმ ფორმით, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ჩვეულებებიდან სხვა წესი გამომდინარეობს (მოლდოვის სამოქალაქო კოდექსის 734-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) შესახებ შეთანხმების დადების ***კანონისმიერი შემთხვევა*** მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 359-ე მუხლში, სადაც საუბარია მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებაში გაკეთებულ დათქმაზე, რომ, მოვალემ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, უნდა დაკარგოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავისი უფლებები; ამ შემთხვევაში აქვს სწორედ კრედიტორს უფლება, გამოიყენოს ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) უფლება.

კანონისმიერი ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) ყველაზე ხშირი შემთხვევებია ხელშეკრულებიდან გასვლა (ხელშეკრულებაზე უარი), ***ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში.*** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) უფლების გამოყენების წინაპირობაა, ვალდებულების შესრულებისათვის ხელშეკრულებიდან გამსვლელი მხარის მიერ დამრღვევი მხარისათვის ***დამატებით მიცემული ვადის*** უშედეგოდ გასვლა. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვა-

[18] Brox/Walker - Allgemeines Schuldrecht, 32. Auflage, Verlag C. H. Beck, München, 2007, გვერდები 156-157

და, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება ***გაფრთხილება***. თუ ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი. კრედიტორი უფლებამოსილია, ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ აშკარაა, რომ დადგება ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) საფუძვლები (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი). აქვე კანონი იცავს ხელშეკრულებიდან გამსვლელი მხარის ინტერესებს და ადგენს, რომ დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება აუცილებელი არ არის, თუ:

1. აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება;

2. ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორმა ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულებით დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას;

3. განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ხელშეკრულებიდან დაუყოვნებლივ გასვლა[19].

გარდა აღნიშნულისა, კანონისმიერი ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) მაგალითებია:

– 398-ე მუხლის მე-3 ნაწილი („ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი“): "მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს. თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე";

– 491-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის თანახმადაც მყიდველს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ნივთის ნაკლის გამო;

– 809-ე მუხლის 1-ლი ნაწილი: "მზღვეველს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მაშინაც, თუ არსებითი გარემოებების შესახებ შეტყობინება არასწორ მონაცემებს შეიცავს".

IV. ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) უფლების რეალიზაცია

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ხელშეკრულებიდან გასვლა (ხელშეკრულებაზე უარი) მიღებასავალდებულო ცალმხრივი გარიგებაა და იმისათვის, რომ ამ ნების გამოვლენამ შეიძინოს სამართლებრივი ძალა, საჭიროა მისი ხელშეკრულების მეორე მხარისათვის ჩაბარება. სწორედ ამ მოთხოვნაზე საუბრობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 355-ე მუხლი, რომელშიც, კერძოდ, აღნიშნულია, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება ***ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებით***. ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) ძალმოსილებისათვის აუცილებელია განმცხადებლის ქმედუნარიანობა. ამასთან, ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) განცხადება არ შეიძლება გაკეთდეს პირობით, ვინაიდან გათვალისწინებულ უნდა იქნეს ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) უფლების მოწინააღმდეგის ინტერესი ნათელ და არაორაზროვან ურთერთობაზე. ამდენად, პირობა მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, როდესაც ამით ნების გამოვლენის მიმღებისათვის არ დგება დაუშვებელი გაურკვევლობა, ახალი სამართლებრივი ურთიერთობის თაობაზე; ეს, კერძოდ, არის ისეთი შემთხვევა, როდესაც პირობის დადგომა ნების გამოვლენის მიმღების ნებაზე არის დამოკიდებული. თუ ხელშეკრულებაში ერთ ან მეორე მხარეს რამდენიმე პირი მონაწილეობს, მაშინ ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) უფლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ყველა პირის მიერ და მხოლოდ ყველა პირის მიმართ. თუ ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) უფლება წყდება ერთი პირისათვის, იგი წყდება ასევე

[19] სამწუხაროდ, კანონის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის) ტექსტი ამ ადგილას იყენებს გამოთქმას „ხელშეკრულების მოშლა", რაც არასწორია და მის ნაცვლად უნდა იყოს „ხელშეკრულებიდან გასვლა"

დანარჩენებისათვის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 357-ე მუხლი). თუმცა, მხარეები შეიძლება განსხვავებულ შედეგებზეც შეთანხმდნენ[20].

V. ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) სამართლებრივი შედეგები

ხელშეკრულებიდან გასვლა (ხელშეკრულებაზე უარი) მოქმედებს მხოლოდ ვალდებულებით-სამართლებრივად და არა სანივთოსამართლებრივად. ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) შედეგად ხელშეკრულება გადაიქცევა ე.წ. ***გაუქმების სამართლებრივ ურთიერთობად (Abwicklungsverhältnis)*** მიუხედავად იმისა, ეფუძნება იგი ხელშეკრულებასა თუ კანონს. თუმცა, ხელშეკრულებიდან გასვლა (ხელშეკრულებაზე უარი) ხელშეკრულებას მთლიანად როდი აუქმებს, არამედ ცვლის მის შინაარს. მის შედეგად წარმოშობილი გაუქმების სამართლებრივი ურთიერთობა არ არის კანონისმიერი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, არამედ ცალმხრივი გარიგების შედეგად მიღებული თავდაპირველი სახელშეკრულებო ურთიერთობა[21].

თუ ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) უფლების განხორციელებამდე მხარეებს ჯერ არ განუხორციელებიათ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება, ეს უკანასკნელი აღარ ექვემდებარება განხორციელებას და ვალდებულება წყდება. თუ, პირიქით, ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) უფლების განხორციელებამდე მხარეებმა უკვე განახორციელეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულება, ეს უკანასკნელი ***ექვემდებარება დაბრუნებას***. დაბრუნება ხდება ნატურით ანუ კონკრეტულად იმის, რაც მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისათვის ერთმანეთს გადასცეს. ამდენად, ფაქტობრივად ხდება მხარეთა დაბრუნება თავდაპირველ, ხელშეკრულების დადებამდე არსებულ მდგომარეობაში. ნატურით დაბრუნების ნაცვლად მოვალეს ეკისრება ***ფულადი ანაზღაურება***, თუ:

ა) შეძენილის ხასიათიდან გამომდინარე, გამორიცხულია მისი დაბრუნება;

ბ) მიღებული საგანი ხელშეკრულების მხარემ მოიხმარა, გაასხვისა, უფლებრივად დატვირთა, გადაამუშავა ან გადააკეთა;

გ) მიღებული საგანი გაფუჭდა ან დაიღუპა. ამასთან, სათანადო გამოყენებით გამოწვეული ცვეთა მხედველობაში არ მიიღება.

თუ ხელშეკრულებიდან გასვლისას ხელშეკრულების მეორე მხარემ (ამ შემთხვევაში – მოვალემ) არ დააბრუნა მისთვის გადაცემული ნივთი და მიღებული სარგებელი, ხელშეკრულებიდან გამსვლელ მხარეს (ამ შემთხვევაში – კრედიტორს) შეუძლია მოითხოვოს ***ზიანის ანაზღაურება***. თუ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყო საპასუხო შესრულება, მაშინ ფულადი ანაზღაურება შეიცვლება ამ შესრულებით.

თუმცა, კანონი ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც ფულადი ანაზღაურების ვალდებულება ***არ წარმოიშობა***. კერძოდ, ეს შემთხვევებია, თუ:

ა) ხელშეკრულების საგნის ის ნაკლი, რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) უფლებას იძლევა, ამ საგნის გადამუშავების ან გარდაქმნის დროს აღმოჩნდა;

ბ) საგნის გაფუჭება ან დაღუპვა კრედიტორის ბრალით მოხდა;

გ) როდესაც კანონისმიერი ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) შემთხვევაში, ნივთის გაფუჭება ან განადგურება მოხდა უფლებამოსილ პირთან, მიუხედავად იმისა, რომ იგი ისეთივე მზრუნველობას იჩენდა, როგორსაც გამოიჩენდა საკუთარი საქმეების

---

[20] Palandt - Bürgerliches Gesetzbuch, bearbeitet von Bassenge, Diederichsen, Edenhofer, Heinrichs, Heldrich, Putzo, Thomas, 67. neubearbeitete Auflage, Verlag C. H. Beck, München, 2008, გვ. 542

[21] Palandt, დასახელებული ნაშრომი, იქვე

მიმართ[22]; ხოლო ის, რაც დარჩა, უკან უნდა დაბრუნდეს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები).

ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები მხარეებმა უნდა შეასრულონ ***ერთდროულად***.

VI. ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) გამორიცხვა

ზოგიერთ შემთხვევაში, ხელშეკრულებიდან გასვლა (ხელშეკრულებაზე უარი) ***დაუშვებელია***. ასეთი შემთხვევებია, კერძოდ:

ა) როდესაც ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა;

ბ) მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების ზოგადი ვალდებულების დარღვევისას და, ამის მიუხედავად, კრედიტორს შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება;

გ) როდესაც ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორი მთლიანად ან უმთავრესად თვითონ არის პასუხისმგებელი; და

დ) მოთხოვნას უპირისპირდება შესაგებელი, რომელიც მოვალემ უკვე წარადგინა ან დაუყოვნებლივ წარადგენს ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) შემდეგ. დაუშვებელია ასევე ხელშეკრულებიდან გასვლა (ხელშეკრულებაზე უარი), ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, თუ მოვალეს შეეძლო გაქვითვის გზით შეესრულებინა ვალდებულება და გასვლის შემდეგ დაუყოვნებლივ განაცხადებს ვალდებულების გაქვითვის შესახებ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 358-ე მუხლი).

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. *განმარტეთ ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) ცნება;*
2. *რითი განსხვავდება ხელშეკრულებიდან გასვლა (ხელშეკრულებაზე უარი) ხელშეკრულების შეწყვეტისაგან?*
3. *რომელი საფუძვლებიდან გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) უფლებამოსილება?*
4. *როგორია ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) სამართლებრივი შედეგები?*
5. *რა შემთხვევებშია ხელშეკრულებიდან გასვლა (ხელშეკრულებაზე უარი) დაუშვებელი?*

[22] ასე ჟღერს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილის გ. ქვეპუნქტის 1-ლი წინადადება გერმანული ვერსიიდან უფრო კორექტული თარგმანის შემთხვევაში:
„c. wenn im Fall eines gesetzlichen Rücktrittsrechts die Verschlechterung oder der Untergang beim Berechtigten eingetreten ist, obwohl dieser diejenige Sorgfalt beobachtet hat, die er in eigenen Angelegenheiten anzuwenden pflegt“. თუმცა, კოდექსის ქართული ვერსიის შესაბამისი ტექსტი შემდეგნაირად არის თარგმნილი: „გ. საგანი გაფუჭდა ან დაიღუპა უფლებამოსილ პირთან, მიუხედავად იმისა, რომ იგი ისეთივე მზრუნველობით ექცეოდა მას, როგორც საკუთარ ნივთს“.

6. ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი – გარიგების საფუძვლის დარღვევა. გრძელვადიანი ხელშეკრულების (ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის) შეწყვეტა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელშეკრულება სავალდებულო ძალის მქონეა მხარეთათვის და, როგორც წესი, მასზე ცალმხრივი უარი დაუშვებელია. აღვნიშნეთ ისიც, რომ გამონაკლისის სახით კანონი ითვალისწინებს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის თქმის) უფლებას. თუმცა, მხოლოდ ეს უფლება არ არის ხელშეკრულებით დადგენილ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის ბედზე ზემოქმედების საშუალება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ისეთ საშუალებებსაც, როდესაც:

– მხარეთა შორის დადებული ***ხელშეკრულების მისადაგება ხდება შეცვლილი გარემოებებისადმი – გარიგების საფუძვლის დარღვევა (Störung der Geschäftsgrundlage); ან***

– გრძელვადიანი ხელშეკრულების (გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის) შეწყვეტა.

I. ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი – გარიგების საფუძვლის დარღვევა

ა. ზოგადად

ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი ხდება ***ე.წ. გარიგების საფუძვლის დარღვევის*** *(Störung der Geschäftsgrundlage)* შემთხვევაში. ხელშეკრულების მხარეებს ხელშეკრულების დადებიდან გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ შეუძლიათ გადახედონ მის პირობებს და თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ არსებითად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ ნებისმიერმა მხარემ შეიძლება მოითხოვოს ***ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.*** გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როდესაც მხარეთა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი).

ბ. წინაპირობები

როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლიდან ჩანს, გარიგების საფუძვლის დარღვევა შეიძლება მოხდეს 2 ფორმით:

1. ***შემდგომში არსებითად შეცვლილი გარემოებები***, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა;

2. გარიგების საფუძვლის ***თავიდანვე არარსებობა***.

პირველი ფორმა ადგენს ***გარიგების საფუძვლის დარღვევის ობიექტურ გარემოებებს.*** ეს გარემოებები ხელშეკრულების დადების შემდეგ არსებითად იცვლება. გარემოების გარიგების საფუძვლად გახდომის წინაპირობაა ის, რომ ხელშეკრულების დადების დროს იგი, სულ ცოტა, ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების დადების არსებით წინაპირობად მიიჩნეოდა[23]. ისმის კითხვა, თუ რა კრიტერიუმის მიხედვით უნდა იქნეს მიჩნეული ხელშეკრულების დადების წინაპირობები არსებითად?

[23] Brox/Walker - Allgemeines Schuldrecht, 32. Auflage, Verlag C. H. Beck, München, 2007, გვ. 297

398-ე მუხლი საუბრობს ***სუბიექტურ კრიტერიუმზე***; კერძოდ, კანონისმიერი წინაპირობაა იმ ფაქტის არსებობა, რომ მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, მათ რომ სცოდნოდათ ამ ცვლილებების შესახებ.

გარემოებათა შეცვლას კანონი უთანაბრებს იმ ფაქტს, როდესაც ხელშეკრულების დადების დროს მხარეთა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, შემდგომში არასწორი აღმოჩნდა. ამ ფორმის დროს ადგილი აქვს გარიგების საფუძვლის დარღვევის სუბიექტურ გარემოებებს, ვინაიდან მხარეები – ან მხოლოდ ერთ-ერთი მხარე – შეცდნენ ხელშეკრულების დადების მოტივში.

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება ხდება მხარეთა ***ურთიერთშეთანხმებით***; ამდენად, ნებისმიერი მხარის ინიციატივით შეთანხმების დადებაზე უარის შემთხვევაში, ხელშეკრულების მისადაგება შეუძლებელი ხდება. თუმცა, ასეთ შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ მნიშვნელოვან ***შეღავათს***. კერძოდ, მას არ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების პირობების მკაცრად დაცვა.

რა სამართლებრივი შედეგებია გათვალისწინებული გარიგების საფუძვლის დარღვევისას?

კანონი ითვალისწინებს 2 განსხვავებულ შედეგს:

1. უპირველეს ყოვლისა, მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ***ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს***. ხელშეკრულების იმ მხარეს, რომლისთვისაც ხელშეკრულებით შებოჭვა მიუღებელია, შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება მიიღწევა იმით, რომ მხარეები თავად მართავენ მოლაპარაკებებს ხელშეკრულების მისადაგების შესახებ. თუ ისინი ვერ აღწევენ შეთანხმებას, მაშინ ხელშეკრულების მისადაგების მოთხოვნის უფლება შეიძლება წარდგენილ იქნეს სასამართლო დავის დროს[24];

2. თუ შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, ***შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე***.

II. გრძელვადიანი ხელშეკრულების (ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის) შეწყვეტა

ა. გრძელვადიანი ხელშეკრულების (ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის) შეწვეტა, პატივსადები საფუძვლიდან გამომდინარე – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლი

ზოგჯერ შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება არ არის სათანადო საშუალება გრძელვადიან ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში ხელშეკრულების მხარეთა ინტერესების ქმედითი დაცვისათვის. ამ შემთხვევისათვის, კანონი ადეკვატურ საშუალებად ***ხელშეკრულების შეწყვეტას***[25] მიიჩნევს, რომელსაც იურიდიულ ლიტერატურაში ***არარეგულარულ შეწყვეტას*** უწოდებენ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების შეწყვეტა შეუძლია მოითხოვოს ნებისმიერმა მხარემ ***პატივსადები საფუძვლიდან გამომდინარე***; ამასთან, ხელშეკრულების შეწყვეტისათვის დადგენილი ვადის დაცვა აუცილებელი არ არის. რა საფუძვლები მიიჩნევა პატივსადებად ხელშეკრულების შეწყვეტის აუცილებელობის გამართლებისათვის?

---

[24] Brox/Walker, დასახელებული ნაშრომი, გვ. 300

[25] მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ ჩვენ არ ვიყენებთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ხარვეზიან ტერმინოლოგიას. კერძოდ, კოდექსის 399-ე მუხლშიც, სამწუხაროდ, ადგილი აქვს ჩვენ მიერ ზემოთ დაფიქსირებულ თარგმნითი ხასიათის შეცდომას: ნაცვლად სიტყვებისა "ხელშეკრულების შეწყვეტა", რომელსაც იყენებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გერმანული ვერსიის 399-ე მუხლი და თავად გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §314 (რომლის რეცეფციის შედეგად შეიქმნა 399-ე მუხლის ნორმები), მითითებულია "უარი" ხელშეკრულებაზე ან გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე.

პატივსადებ საფუძვლად კანონი მიიჩნევს ისეთ გარემოებებს, როდესაც ხელშეკრულების შეწყვეტის განმახორციელებელ მხარეს კონკრეტული ვითარების, მათ შორის, დაუძლეველი ძალისა და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, ***არ შეიძლება მოეთხოვოს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება*** შეთანხმებული ვადის ან ხელშეკრულების შეწყვეტისათვის დაწესებული ვადის გასვლამდე. თუ საფუძველი სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევაცაა, ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლის ან უშედეგო გაფრთხილების შემდეგ.

ბ. გრძელვადიანი ხელშეკრულების (ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის) შეწყვეტის სხვა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლისაგან განსხვავებული, საფუძვლები

გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლში დადგენილი საფუძვლებისა, გრძელვადიანი ხელშეკრულება (ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა) წყდება შემდეგი საფუძვლებით:

1. ***ვადის გასვლით;*** და
2. ***რეგულარული შეწყვეტის*** გზით.

გრძელვადიანი ხელშეკრულება (ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა), როგორც წესი, წყდება იმ ***ვადის გასვლით***, რა ვადითაც არის იგი დადებული (დადგენილი). ვადა აითვლება კალენდარული დღეებით. თუ ვადა პირდაპირ დადგენილი არ არის, მაშინ ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნა შეუძლია ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს, შეწყვეტის შესახებ მეორე მხარისათვის განცხადების წარდგენით. ხელშეკრულება (ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა) შეიძლება შეწყდეს ***ვადის გასვლამდეც*** კანონით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას. მაგალითად, გამქირავებელს შეუძლია ცალმხრივი ნების გამოვლენით ვადამდე შეწყვიტოს ქირავნობის ხელშეკრულება, თუ დამქირავებელმა ქირა არ გადაიხადა სამი თვის განმავლობაში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 558-ე მუხლი).

რეგულარული შეწყვეტა შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს კანონით ან შეთანხმებულ იქნეს ხელშეკრულებით. კანონისმიერი დანაწესებიდან ან შეთანხმებებიდან გამომდინარეობს შეწყვეტის წინაპირობები, კერძოდ კი, ექვემდებარება თუ არა შეწყვეტა ფორმას და შეწყვეტის რა ვადები უნდა იქნეს დაცული. აღსანიშნავია, რომ სამართლებრივი შედეგების მხრივ რეგულარულ შეწყვეტას შედეგად მოჰყვება არა მხოლოდ ცალკეული ვალდებულებების შეწყვეტა, არამედ ***ხელშეკრულების (ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის) მთლიანად დასრულება***[26]. ზემოთ ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) სამართლებრივი ინსტიტუტის განხილვისას, უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარეები არ უბრუნდებიან პირვანდელ მდგომარეობას, სამართლებრივი შედეგი დგება არა თავიდან (ex tunc), არამედ – შეწყვეტის მომენტისათვის (ex nunc). შესაბამისად, ისინი არ არიან ვალდებული, ერთმანეთს დაუბრუნონ მიღებული შესრულება და სარგებელი.

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. რა შემთხვევებში შეიძლება მოითხოვოს მხარემ ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი?
2. დაასახელეთ გარიგების საფუძვლის დარღვევის წინაპირობები და სამართლებრივი შედეგები;
3. რა საფუძვლები მიიჩნევა პატივსადებად ხელშეკრულების შეწყვეტისათვის?

[26] Brox/Walker, დასახელებული ნაშრომი, გვ. 149

7. ვალდებულების შესრულება. უარი ვალდებულების შესრულებაზე. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება

I. ზოგადად

ნებისმიერი ხელშეკრულების დადების, ნებისმიერი ვალდებულების კისრების მიზანია ხელშეკრულების, ***ვალდებულების შესრულება.*** სწორედ ვალდებულების შესრულების ინტერესით დებენ კერძო სამართლის სუბიექტები ერთმანეთთან ხელშეკრულებებს; თუნდაც ცალმხრივი გარიგების დროსაც გარიგების ერთადერთი მონაწილე, რომელიც გამოდის როგორც მოვალე, დაინტერესებულია ვალდებულების შესრულებით (მაგალითად, ჯილდოს საჯაროდ დაპირებას საფუძვლად უდევს ჯილდოს დამპირებლის რეკლამა და სხვა).

რას წარმოადგენს თავად ვალდებულების შესრულება?

როგორც ვალდებულების ცნებიდან ჩანს, ვალდებულების შესრულება გულისხმობს ***მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების საგნის შესრულებას:*** ქონების გადაცემას, განსაზღვრულ მოქმედებას ან მოქმედებისაგან თავის შეკავებას. ის, თუ კონკრეტულად რა ქონების გადაცემა, რა მოქმედება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება მიიჩნევა ვალდებულების შესრულებად, განისაზღვრება არა მარტო გარიგების (ხელშეკრულების) შინაარსით, არამედ კანონის მიერ მისთვის მინიჭებული შინაარსითაც, კანონის იმ ნორმებით დადგენილი მოთხოვნებით, რომლებიც აწესრიგებს კონკრეტულ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას.

კანონი ადგენს ვალდებულების შესრულების ძირითად პირობებს. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნულია, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს ***ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.*** კანონი განასხვავებს ვალდებულების ***ჯეროვან (სათანადო) და არაჯეროვან (არასათანადო)*** შესრულებას. ამ უკანასკნელს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულება მოვალის მიერ ერთგვარად სრულდება, თუმცა, ამ შესრულებაში ისეთი ხარვეზია, რომ იგი არ შეესაბამება ვალდებულების საფუძვლად არსებული გარიგების შინაარსსა და შესრულებით დაინტერესებული პირების მოლოდინს. ცხადია, ვალდებულების არაჯეროვანი (არასათანადო) შესრულების შემთხვევაში, ვალდებულება არ წყდება და, როგორც წესი, იგი შედეგად იწვევს ვალდებულების დამრღვევი პირის პასუხისმგებლობას. აღნიშნულიდან გამონაკლისს ადგილი აქვს იმ შემთხვევში, როდესაც არაჯეროვანი (არასათანადო) შესრულების მიღებაზე კრედიტორი აცხადებს თანხმობას.

ვალდებულების ***კეთილსინდისიერად*** შესრულების კანონისმიერი მოთხოვნა გულისხმობს ზოგადად ვალდებულებით-სამართლებრივი (და, საერთოდ, სამოქალაქო-სამართლებრივი) ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ურთიერთობის სხვა მონაწილის ინტერესების პატივისცემას, საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გათავისებას თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მას კონკრეტული პირდაპირი ვალდებულება არ ეკისრება. მაგალითად, ნებისმიერ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში კრედიტორს არ შეუძლია უარი თქვას მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების მცირე ხელშეწყობაზე, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, როდესაც მოვალეს კრედიტორის მხრიდან ესაჭიროება ასეთი ხელშეწყობა მასზე ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისათვის. მხარეთა მიერ უშუალოდ შეთანხმებული ვალდებულებების გარდა, შეიძლება წარმოიშვას სხვა ვალდებულებები, რომლებიც ვალდებულების შესრულების დროს ეკისრება მხარეს, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე. ვალდებულების ასეთმა გაფართოებამ დღეს მიაღწია ისეთ ფარგლებს, რომ იგი ადგენს ერთ-ერთ ყველაზე თანამედროვე ფუნდამენტალურ საკითხს ვალდებულებითი სამართლის განვითარების სფეროში და წარმოადგენს მისი სოციალური ფუნქციის გამოვლინებას. კეთილსინდისიერების პრინციპის განხორციელებით ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა შორდება თავის წმინდა ინდივიდუალისტურ სულს. კრედიტორსა და მოვალეს ჩვეულებრივ აქვთ

ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები. თუმცა, ურთიერთწინააღმდეგობა არ გულისხმობს იმას, რომ კრედიტორი და მოვალე ურთიერთდაპირისპირებულები არიან. არსებობს მიზნის გარკვეული ერთიანობა, რაც ეხება ვალდებულების შესაძლო საუკეთესო შესრულებას. ვალდებულების ეთიკა ყოველ პირს უფლებას ანიჭებს, დაიცვას თავისი ინტერესები, არ არის გამართლებული მეორე მხარის ინტერესების სრული იგნორირება და მათ შორის "ომი". უფრო მეტიც, მათი თანამშრომლობა საჭიროც არის ურთიერთობის ნორმალურად განვითარებისათვის; ამდენად, ორივე მხარე კმაყოფილია: კრედიტორი ვალდებულების შესრულების მიღებით, ხოლო მოვალე – ვალდებულებისაგან გათავისუფლებით[27].

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისი ქცევის მოთხოვნა სავალდებულოდ უნდა მივიჩნიოთ. შესაბამისად, 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის ***ნორმა იმპერატიულია***. ამის შედეგი არის ის, რომ ვალდებულების შესრულებაში კეთილსინდისიერების პრინციპის რეალიზაცია არ შეიძლება, როგორც წესი, წინასწარ გამოირიცხოს ერთი მხარის ცალმხრივი უარით ან მხარეთა შორის შეთანხმებით. ასეთი უარი ან შეთანხმება ბათილი იქნებოდა. არც მხარეთა მიერ გათვალისწინებულ სპეციალურ მოწესრიგებას ექნება ძალა, თუ ამ კონკრეტულ შემთხვევაში კეთილსინდისიერება ითხოვს განსხვავებულ მოქმედებას[28].

აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად მოქმედების ვალდებულება არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელშეკრულებო სამართლით, არამედ იგი ამოსავალი და ფუნდამენტალური ქცევის პრინციპია ზოგადად კერძოსამართლებრივ ურთიერთობაშიც. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილიდან, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. კეთილსინდისიერების პრინციპთან ახლოს დგას უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობის პრინციპი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი)[29].

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის განხილვისას არ შეიძლება არ აღინიშნოს ის სამწუხარო ფაქტი, რომ ***ამ მუხლის 1-ლი ნაწილის ნორმა*** გერმანული ვერსიიდან უბრალოდ არასწორად კი არ არის თარგმნილი, არამედ მცდარი თარგმანის შედეგად მიღებულია სრულიად სხვა შინაარსის და, ამასთან, მეტად მცდარი დებულება, რომელიც, სამწუხაროდ, უკვე საკმაოდ აპრობირებულია ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში, განმარტებულია სამოქალაქო კოდექსის კომენტარშიც და, ალბათ, არც არაფერი შეუშლის ხელს მის სასამართლო პრაქტიკაში გამოყენებასაც. მუხლის ეს ნაწილი, კერძოდ, შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: ***„1. ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას".***

ამ ნორმის გერმანული ვერსიის კორექტული თარგმანი ააშკარავებს უხეში შეცდომის არსს: „ვალდებულების შესრულების საფუძვლები გამომდინარეობს ვალდებულების არსებობიდან"[30]. გაუგებარია, რა საერთო აქვს სწორი თარგმანის შედეგად მიღებულ ვერსიას არსებულ რედაქციასთან? ამ უკანასკნელის ავტორი ნუთუ ოდნავ მაინც არ დაფიქრებულა, თუ რა შეუსაბამობას ქმნიდა ამ ნორმის ჩამოყალიბებით ამ უკანასკნელსა და უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივ ინსტიტუტის ნორმებს შორის? არადა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის

---

[27] Contract Law in Hellas by Michael P. Stathopoulos, Kluwer Law International, The Hague-London-Boston, Sakkoulas, Athens, 1995, გვ. 58

[28] Contract Law in Hellas, დასახელებული ნაშრომი, გვ. 61

[29] "მუხლი 115. უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა
სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას".

[30] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გერმანული ვერსიის 361-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: "Der Sinn der Erfüllung liegt in der Existenz einer Verbindlichkeit".

გერმანული ვერსიის ავტორებს აღნიშნული აზრადაც არ მოსვლიათ[31]! ამრიგად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის 1-ლი ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ***"ვალდებულების შესრულების საფუძვლები გამომდინარეობს ვალდებულების არსებობიდან".***

II. ხელშეკრულების და, ზოგადად, ვალდებულების შესრულების საგანი, სუბიექტი (მოვალე), მიმღები (კრედიტორი), ადგილი, დრო, ხარისხი

ა. ვალდებულების შესრულების საგანი

ვალდებულების შესრულების საგანს წარმოადგენს მოვალის მიერ გადასაცემი ნივთი, შესასრულებელი მოქმედება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება. ვალდებულების შესრულების საგანი შეიძლება იყოს ინდივიდუალური და გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი.

ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთის გადაცემის ვალდებულება სახეზეა, როდესაც გადასაცემი ნივთი ინდივიდუალური დამახასიათებელი ნიშნებით ხასიათდება (მაგ., განსაზღვრულ მისამართზე არსებული საცხოვრებელი ბინა, კონკრეტული პირის კუთვნილი კომპიუტერი და ა. შ.). ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთის გადაცემის ვალდებულების შემთხვევაში, მოვალემ უნდა შეასრულოს სწორედ ის, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების, ვალდებულების საგანს, ის, რაც შედის ვალდებულების შინაარსში. კრედიტორს შეუძლია უარი თქვას სხვა შესრულების მიღებაზე, თუნდაც, ეს სხვა შესრულება უფრო მეტი ღირებულების მქონეა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 381-ე მუხლი). მაგალითად, გადასაცემი ნივთის ნაცვლად, მოვალემ კრედიტორს შესთავაზა ნივთის ღირებულების ფულადი ანაზღაურება ღირებულების ორმაგი ოდენობით.

გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთის გადაცემის ვალდებულება სახეზეა, როდესაც ნაკისრი ვალდებულება მხოლოდ ზოგადი დამახასიათებელი ნიშნებით არის განსაზღვრული. გვაროვნულობის დამახასიათებელი ნიშნები, რომელთაგანაც უნდა განხორციელდეს შესრულება, დგინდება მხარეთა შეთანხმებით. რაც უფრო მეტი დამახასიათებელი ნიშანი არის დადგენილი, მით უფრო ძლიერად არის წარმოდგენილი გვაროვნულობა. გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთის გადაცემის ვალდებულების მოვალე არ არის ვალდებული, მიაწოდოს კონკრეტული საგნები. პირიქით, მას შეუძლია შესასრულებელი ნივთებიდან თავად აირჩიოს გადასაცემი ნივთი[32].

შესრულების საგანი ყოველთვის ერთიანია ანუ ვალდებულება მოვალის მიერ უნდა შესრულდეს ერთიანად. ამდენად, ეს უკანასკნელი ***არ არის უფლებამოსილი ნაწილობრივ შესრულებაზე*** და, შესაბამისად, კრედიტორს შეუძლია ნაწილობრივ შესრულებაზე უარის თქმა ისე, რომ იგი არ ჩაითვლება ვადის გადამცილებლად. ნაწილობრივი შესრულების შეთავაზება არ გამორიცხავს მოვალის მიერ ვადის გადაცილებას მთლიანი შესრულების მიმართ[33]. გამონაკლის შემთხვევებში, კანონი ითვალისწინებს ვალდებულების შესრულებას ნაწილ-ნაწილაც იმ პირობით, რომ კრედიტორი ამაზე თანახმაა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 378-ე მუხლი).

ვალდებულების შესრულების საგანი შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე ობიექტისაგან (მოქმედებისაგან). მაგალითად, საბანკო მომსახურების ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ანგარიშსწორებას, დაკრედიტებას და საანაბრო მომსახურებას. თუ ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ რამდენიმე ვალდებულების შესრულებაზე ისე, რომ მათგან უნდა შესრულდეს ერთ-ერთი, სახეზეა ***ე.წ. ალტერნატიული ვალდებულება.*** ალტერნატიული ვალდებულების დროს შესრულების არჩევის უფლება, როგორც წესი, აქვს მოვალეს, თუ ხელშეკ-

---

[31] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ანალოგიური ნორმა მოცემულია მოლდოვის სამოქალაქო კოდექსის 572-ე მუხლის 1-ლ ნაწილში: "Основания исполнения обязательства вытекают из наличия обязательства".

[32] Brox/Walker - Allgemeines Schuldrecht, 32. Auflage, Verlag C. H. Beck, München, 2007, გვ. 82-83

[33] Brox/Walker, დასახელებული ნაშრომი, გვ. 110

რულებიდან, კანონიდან ან ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ამდენად, არჩევის უფლება შეიძლება კრედიტორსაც ჰქონდეს. არჩევა ხორციელდება ხელშეკრულების მეორე მხარის წინაშე განცხადებით ან შესრულების განხორციელებით. არჩეული ვალდებულება მიიჩნევა დასაწყისიდანვე შესასრულებელ ვალდებულებად (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 376-ე მუხლი). თუ მოვალეს ორი შესასრულებლიდან შეუძლია უარი თქვას ერთ-ერთზე, მაშინ ძალაში რჩება მეორე მოქმედების შესრულების ვალდებულება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 375-ე მუხლი).

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ალტერნატიული ვალდებულებისაგან განასხვავებენ ***შესრულების შეცვლის უფლებამოსილებას (Ersetzungsbefugnis, alternative Ermächtigung)***. შესრულების შეცვლის უფლებამოსილება სახეზეა, როდესაც მხოლოდ ერთი შესრულების კისრება ხდება და მის ადგილზე სხვა შესრულება: ა) მოვალის მიერ უნდა განხორციელდეს ***(მოვალის მიერ შესრულების შეცვლის უფლებამოსილება)*** ან ბ) კრედიტორის მიერ იქნეს მოთხოვნილი ***(კრედიტორის მიერ შესრულების შეცვლის უფლებამოსილება).***

ალტერნატიული ვალდებულებისაგან განსხვავებით, თავიდანვე ხდება მხოლოდ ერთი შესრულების კისრება; სხვა შესრულება, როგორც სათადარიგო, მეორე მხარის თანხმობის გარეშე შეიძლება იქნეს მოთხოვნილი ან შესრულების ნაცვლად იქნეს განხორციელებული. ნორმები ალტერნატიული ვალდებულების შესახებ მის მიმართ არ გამოიყენება.

როგორც მოვალის, ისე კრედიტორის მიერ შესრულების შეცვლის უფლებამოსილება შეიძლება შეთანხმებულ იქნეს ხელშეკრულებით ან გამომდინარეობდეს კანონიდან. მაგალითად, ხელშეკრულებით მოვალის მიერ შესრულების შეცვლის უფლებამოსილებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს, როდესაც ახალი ავტომანქანის შეძენისას მხარეები შეთანხმდებიან, რომ გამყიდველი ძველ ავტომანქანას ნასყიდობის ფასის ნაწილში განსაზღვრული ღირებულებით ჩაითვლის. მყიდველი არ არის ვალდებული, მაგრამ უფლებამოსილია, ძველი ავტომანქანა საპასუხო შესრულების ნაწილად წარადგინოს[34].

ბ. ვალდებულების შესრულების სუბიექტი – მოვალე. ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ. კრედიტორის დაკმაყოფილება მესამე პირის მიერ

ვალდებულების შესრულების სუბიექტია ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში მოვალე. ზოგადი წესით, ვალდებულება უნდა შესრულდეს პირადად მოვალის მიერ, ვინაიდან ვალდებულება, როგორც წესი, პირადული ხასიათის ურთიერთობაა. მაგალითად, ცნობილ ადვოკატთან დადებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებით იურიდიული მომსახურების გაწევა უნდა მოხდეს უშუალოდ ხელშეკრულების დამდები ადვოკატის მიერ. თუმცა, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ამ ადვოკატს დროის რომელიმე პერიოდში არ შეეძლება თავისი ვალდებულების შესრულება, მას შეცვლის მისი საადვოკატო ბიუროს თანამშრომელი.

თუმცა, ვალდებულება შეიძლება მოვალის ნაცვლად შეასრულოს ***ნებისმიერმა მესამე პირმაც***, თუ კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან თავად ვალდებულების ბუნებიდან გამომდინარე, ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს პირადული ხასიათის ურთიერთობას. ამასთან, მოვალის თანხმობა სავალდებულო არ არის; შედეგად ვალდებულება წყდება. მაგალითად, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება შეიძლება შეასრულოს ნებისმიერმა სხვა პირმა, ვინაიდან, სესხის ვალდებულებით-სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ვალდებულება შეიძლება შესრულდეს არა მარტო მოვალის, არამედ სხვა გადახდისუნარიანი პირის მიერაც. მიუხედავად იმისა, რომ მესამე პირი ფაქტობრივად მოქმედებს მოვალის ინტერესების სასარგებლოდ და თავისი მოქმედებით ათავისუფლებს მას ვალდებულებისაგან, მოვალეს შეუძლია ***შეეწინააღმდეგოს (უარი განაცხადოს)*** მესამე პირის ასეთ მოქმედებას, თუმცა, კრედიტო-

[34] Brox/Walker, დასახელებული ნაშრომი, გვერდები 87-88

რისათვის ასეთ უარს ამკრძალავი ძალა არა აქვს და მას მაინც შეუძლია მიიღოს შეთავაზებული შესრულება[35].

მესამე პირმა შესრულება უნდა განახორციელოს იმ აშკარად გამოხატული ნებით, რომ იგი ასრულებს სხვა პირის ვალდებულებას. ის საკითხი, შეუძლია თუ არა მას მოვალის მიმართ საზღაურის გადახდის მოთხოვნის უფლების წარდგენა, განისაზღვრება მათ შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობით (მაგ., დავალება, დავალების გარეშე სხვისი საქმეების წარმოება, გამდიდრება). თუ მესამე პირმა, რომელსაც შეცდომით თავი მოვალე ეგონა, განახორციელა შესრულება არა ნამდვილი მოვალის ვალდებულება, არამედ, როგორც ეგონა, – საკუთარი ვალდებულება, – სხვა პირის ვალდებულება არ წყდება. აქ დგება მესამე პირის მოთხოვნის უფლება კრედიტორის მიმართ, უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე. მესამე პირს შეუძლია შესრულება მხოლოდ ფაქტობრივად (ქმედითად) განახორციელოს, მაგ., ფულადი ვალდებულების დროს, გადახდით და არა – დეპოზიტზე შეტანით, გაქვითვით[36].

როდესაც მესამე პირს შესრულების მიმართ საკუთარი ინტერესი აქვს, კანონი პირდაპირ ანიჭებს მას ***კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლებამოსილებას.*** კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც მესამე პირს აქვს სანივთო ან ვალდებულებით-სამართლებრივი უფლება მოვალის კუთვნილ ნივთზე და არსებობს საფრთხე, რომ მოვალის კრედიტორის მიერ ამ ნივთზე განხორციელებული იძულებითი აღსრულების შედეგად მესამე პირი უფლებას დაკარგავს. თუ მესამე პირი დააკმაყოფილებს კრედიტორს, მაშინ მოთხოვნის უფლება მასზე გადადის. მაგალითად, მოვალის ავტომანქანა, რომელიც დატვირთულია გირავნობის უფლებით ბანკის სასარგებლოდ საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველყოფად, იჯარით გადაცემულია სხვა პირზე. ბანკში კრედიტის დაუფარაობის გამო იქმნება ამ ავტომანქანის რეალიზაციის საფრთხე. ამიტომ მოიჯარეს (მესამე პირს) შეუძლია თავად გადაიხადოს მეიჯარის (მოვალის) ვალი და "დაიხსნას" იჯარის ობიექტი.

მესამე პირის მიერ შესრულების მიმართ საკუთარი ინტერესის ქონის ანუ მის მიერ იძულებითი აღსრულების შედეგად უფლების დაკარგვის საფრთხის გამო, მესამე პირის სამართლებრივი მდგომარეობა სამმაგად არის გაუმჯობესებული იმ შემთხვევებთან შედარებით, როდესაც აღნიშნული საფუძვლები სახეზე არ არის. კერძოდ:

ა) მოვალეს უკვე აღარ შეუძლია ***შეწინააღმდეგება*** (შესრულების განხორციელებაზე უარის განცხადება); კრედიტორმა კი ყოველთვის უნდა მიიღოს შესრულება;

ბ) გარდა ამისა, მესამე პირს შეუძლია განახორციელოს შესრულება ***არა მარტო გადახდით***, არამედ ასევე დეპოზიტზე შეტანით ან გაქვითვით[37];

გ) თუ საბოლოოდ მესამე პირი ახორციელებს შესრულებას, მოთხოვნა არ წყდება, არამედ ***იგი გადადის მესამე პირზე*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 372-ე მუხლის მე-2 წინადადება).

გ. ვალდებულების შესრულების მიმღები – კრედიტორი

ვალდებულების შესრულების მიმღებია კრედიტორი. მსგავსად მოვალისა, ზოგადი წესით, ვალდებულება უნდა შესრულდეს უშუალოდ კრედიტორის ან იმ პირის მიმართ, რომელიც კანონით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით უფლებამოსილია მიიღოს შესრულება. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-200 მუხლის თანახმად, ვიდრე მოვალეს ეცნობებოდეს მოთხოვნის დათმობის შესახებ, მას უფლება აქვს შეასრულოს ვალდებულება მოთხოვნის თავდაპირველი მფლობელის წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნის დათმობის გარიგების

[35] კრედიტორის მიმართ „უფრო მკაცრია“ იტალიელი კანონმდებელი: იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1180-ე მუხლის თანახმად, ვალდებულება შეიძლება შესრულდეს მესამე პირის მიერ კრედიტორის ნების საწინააღმდეგოდაც, თუ ამ უკანასკნელს არ აქვს მოვალის მიერ ვალდებულების პირადად შესრულების ინტერესი.

[36] Brox/Walker, დასახელებული ნაშრომი, გვ. 107

[37] Brox/Walker, დასახელებული ნაშრომი, გვ. 108

შედეგად მოთხოვნის კრედიტორი გახდა მისი შემძენი – ცესიონერი (თუნდაც, მოვალის თანხმობისა თუ მისთვის შეტყობინების გარეშე), მოვალისათვის აღნიშნულის შესახებ შეუტყობინებლობის გამო, მოვალე კანონის საფუძველზე უფლებამოსილია, ვალდებულება შეასრულოს არაკრედიტორის მიმართ.

თუ ვალდებულების შესრულება მიიღო იმ პირმა, რომელიც არ იყო უფლებამოსილი ***(არაუფლებამოსილმა მესამე პირმა)***, ვალდებულება მაინც წყდება იმ პირობით, რომ კრედიტორი *ამაზე* ***თანახმაა*** (წინასწარ განაცხადებს თანხმობას ან შემდგომში მოიწონებს ასეთ შესრულებას), ან მან ამ შესრულებისგან მიიღო სარგებელი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლი).

დ. ვალდებულების შესრულების ადგილი

ვალდებულების შესრულების ადგილი, *ე. ი.* ადგილი, სადაც განსახორციელებელი მოქმედება უნდა შესრულდეს, განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით ან გამომდინარეობს ვალდებულების არსიდან. მაგალითად, უძრავი ნივთის გადაცემა უნდა მოხდეს, რა თქმა უნდა, ამ ნივთის ადგილსამყოფელზე. კანონი ვალდებულების შესრულების ადგილთან დაკავშირებით ზოგად წესებს ადგენს იმ შემთხვევებისათვის, როდესაც არც მხარეთა შეთანხმებით და არც ვალდებულების არსიდან ასეთი ადგილი განსაზღვრული არ არის. კანონი, კერძოდ, ეხება ვალდებულების შესრულების ისეთ გავრცელებულ შემთხვევას, როგორიცაა ვალდებულების საგნის (მაგალითად, ნასყიდობის საგნის) გადაცემა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 362-ე მუხლი ადგენს, რომ ვალდებულების საგნის მიწოდება უნდა მოხდეს:

– ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთის შემთხვევაში – იმ ადგილას, სადაც იგი ვალდებულების წარმოშობის მომენტისათვის იმყოფებოდა;

– გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთის შემთხვევაში – იმ ადგილას, სადაც იმყოფება მოვალის საწარმო; თუ ასეთი არ არის, მაშინ – მისი საცხოვრებელი ადგილის (იურიდიული მისამართის) მიხედვით.

კანონი ითვალისწინებს გარკვეულ სამართლებრივ შედეგებს იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალის ვალდებულების შესრულების მომენტამდე იცვლება მოვალის ან კრედიტორის საცხოვრებელი ადგილი (იურიდიული მისამართი); კერძოდ, კანონი ადგენს, რომ:

– თუ ვალდებულების შესრულების წინ იცვლება მოვალის საცხოვრებელი ადგილი ან საწარმოს ადგილსამყოფელი და კრედიტორს ამის გამო წარმოეშობა დამატებითი ხარჯები, მოვალემ ეს ხარჯები უნდა აუნაზღაუროს კრედიტორს;

– თუ ვალდებულების შესრულებამდე იცვლება კრედიტორის საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი და ამის გამო იზრდება მოვალის ხარჯები ან საფრთხე ექმნება შესრულებას, მაშინ კრედიტორს ეკისრება როგორც გაზრდილი ხარჯების ანაზღაურება, ასევე საგნის გადაცემის მოსალოდნელი საფრთხის რისკიც (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 363-ე მუხლი).

ე. ვალდებულების შესრულების დრო

ვალდებულების შესრულების დროც, ე. ი. მომენტი, როდესაც მოვალემ უნდა შეასრულოს ვალდებულება, მსგავსად ვალდებულების შესრულების ადგილისა, ასევე განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით ან გამომდინარეობს ვალდებულების არსიდან. მაგალითად, ქირავნობის ხელშეკრულებით მხარეებმა დაადგინეს 3 სამუშაო დღე ქირავნობის საგნის გამქირავებლისათვის გადასაცემად და 2 წელიწადი – ქირავნობის ურთიერთობის დასრულებამდე და, შესაბამისად, საგნის დამქირავებლისათვის დაბრუნებამდე. ისმის კითხვა, შეუძლია თუ არა კრედიტორს მოითხოვოს ვალდებულების შესრულება ვადამდე, ასევე აქვს თუ არა, თავის მხრივ, ანალოგიური მოთხოვნა მოვალეს?

როგორც წესი, კანონი მოვალეს ანიჭებს ვალდებულების ***ვადამდე შესრულების უფლებას,*** თუმცა, ვალდებულების ვადამდე შესრულების ლეგიტიმურობა დამოკიდებულია კრედიტორის თანხმობაზე, რომელიც დუმილითაც ითვლება მიცემულად. ამასთან, კრედიტორს დაუსაბუთებლად არ შეუძლია განაცხადოს უარი, არამედ ეს უკანასკნელი პატივსადები მიზეზით უნდა იყოს განპირობებული. რაც შეეხება კრედიტორს, ზოგადი წესით, მას არ შეუძლია ვალდებულების ვადამდე შესრულების მოთხოვნა, თუმცა, ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები, როდესაც:

ა) მოვალე გადახდისუუნარო გახდა;

ბ) შეპირებული უზრუნველყოფა შეამცირა; ან

გ) ეს უკანასკნელი საერთოდ ვერ წარმოადგინა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 367-ე მუხლი).

თუ ხელშეკრულების მხარეებმა საერთოდ არ განსაზღვრეს ვალდებულების შესრულების დრო და ეს უკანასკნელი არც სხვა საფუძვლით (მაგ., ვალდებულების არსიდან) არ დგინდება, კრედიტორს შეუძლია შესრულების დაუყოვნებლივ მოთხოვნა, ხოლო მოვალემ ვალდებულება დაუყოვნებლივ უნდა შეასრულოს.

ვ. ვალდებულების შესრულების ხარისხი

თუ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულების შესრულების ხარისხს ხელშეკრულებით სპეციალურად არ განსაზღვრავენ, მაშინ მოვალე ვალდებულია განახორციელოს ***საშუალო სახის შესრულება და გადასცეს საშუალო ხარისხის ნივთი*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 380-ე მუხლი). აქვე გვსურს მკითხველის ყურადღება მივაქციოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 380-ე მუხლის ქართული ვერსიის თარგმანის ხარვეზზე: თუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გერმანულ პირველწყაროს 380-ე მუხლში აღნიშნულია, როგორც ჩვენ ზემოთ მივუთითეთ, "საშუალო სახის შესრულების" განხორციელებასა და "საშუალო ხარისხის ნივთის" გადაცემაზე, ქართულ თარგმანში კოდექსის 380-ე მუხლის ეს ნაწილი შემდეგნარიად ჩამოყალიბდა: "მოვალე ვალდებულია შეასრულოს, სულ ცოტა, საშუალო ხარისხის სამუშაო და გადასცეს საშუალო ხარისხის ნივთი". იმთავითვე თვალშისაცემია აშკარა განსხვავება ორიგინალსა და ქართულ თარგმანს შორის.

III. ფულადი ვალდებულების შესრულება

ა. ფულადი ვალდებულების ცნება

ფულადი ვალდებულების შესრულება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცალკე თავად არის ჩამოყალიბებული (თავი მეორე – "ფულადი ვალდებულების შესრულება", მუხლები 383-389). ფულადი ვალდებულების შესრულების მომწესრიგებელი ნორმების კოდექსის ცალკე თავში გათვალისწინება გამოწვეულია იმით, რომ ფულადი ვალდებულების შესრულება ფართო ცნებაა და მას ადგილი აქვს არაერთ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში; მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებაში – ნასყიდობის ფასის გადახდა, ნარდობის ხელშეკრულებაში – საზღაურის თანხის გადახდა, ქირავნობის ხელშეკრულებაში – ქირის გადახდა, ანაბრის ხელშეკრულებაში – პროცენტის გადახდა (დარიცხვა) და მრავალი სხვა.

ფულადი ვალდებულება წარმოადგენს ***ღირებულების გადაცემის ვალდებულებას;*** იგი არ არის ნივთის გადაცემის ვალდებულება; მოვალემ კრედიტორს უნდა გადაცეს ვალის ნომინალური ოდენობით ასახული ღირებულება. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ ფულადი ვალდებულება არ წარმოადგენს გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთის გადაცემის ვალდებულებას, რადგან ეს უკანასკნელი არის ნივთის გადაცემის ვალდებულების ქვესახეობა[38].

[38] Palandt - Bürgerliches Gesetzbuch, bearbeitet von Bassenge, Diederichsen, Edenhofer, Heinrichs, Heldrich, Putzo, Thomas, 67. neubearbeitete Auflage, Verlag C. H. Beck, München, 2008, გვ. 255

ბ. ფულის ცნება

ფული, თავისი ეკონომიკური ფუნქციის მიხედვით, წარმოადგენს ***საერთო გაცვლით, შეფასების, ღირებულების შენახვისა და გადაცემის საშუალებას, ანგარიშსწორების ერთეულს***[39]. ფული გამოისახება არა მარტო ნაღდ ფულში – მონეტებსა და ბანკნოტებში, არამედ საბანკო დაწესებულებაში გახსნილ მიმდინარე (საანგარიშსწორებო) ანგარიშზე არსებული თანხების ჩანაწერებში. შესაბამისად, ანგარიშსწორება შესაძლებელია როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორების წესით საბანკო გადარიცხვის გზით. იურიდიულ ლიტერატურაში სადავოა საკითხი: რჩება თუ არა ბანკის კლიენტის საკუთრებაში ამ უკანასკნელის კუთვნილი ფულადი თანხები მათი მიმდინარე (საანგარიშსწორებო) ანგარიშზე განთავსების მომენტიდან და ისინი ბანკს გადაეცემა მხოლოდ მფლობელობასა და სარგებლობაში, თუ ფულადი თანხები გადადის ბანკის საკუთრებაში და ამ უკანასკნელს ეკისრება ვალდებულება, დააბრუნოს იმავე რაოდენობის თანხები იმავე ვალუტაში, ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით?

იურიდიულ ლიტერატურაში ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ფულადი თანხები გადადის ბანკის საკუთრებაში, ზოგიერთს კი მიაჩნია, რომ ბანკი მათ იღებს მხოლოდ მფლობელობასა და სარგებლობაში, რითიც ეს ავტორები ანგარიშსწორების ხელშეკრულებას განასხვავებენ ანაბრისაგან; ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ბანკის მიერ ფულად თანხებზე საკუთრების უფლების მოპოვება პირდაპირ გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით (874-ე მუხლი). ვფიქრობთ, ორივე აზრს აქვს თანაბრად არსებობის უფლება, ვინაიდან ორივე გამყარებულია საფუძვლიანი არგუმენტებით, თუმცა, ჩვენ ვემხრობით მეორე აზრს, რომლის თანახმადაც მიმდინარე (საანგარიშსწორებო) ანგარიშზე ფულად თანხებზე ***საკუთრების უფლება რჩება კლიენტს*** და ისინი ბანკს გადაეცემა ***მხოლოდ მფლობელობასა და სარგებლობაში*** ისე, რომ ამ უკანასკნელს უფლება აქვს, დროებით გამოიყენოს კლიენტის ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები საკრედიტო რესურსის სახით. ასეთი შეხედულებით უფრო ნათელია სამართლებრივი განსხვავება მიმდინარე (საანგარიშსწორებო) ანგარიშისა და ანაბრის ხელშეკრულებებს შორის.

საქართველოში ფულადი ვალდებულება გამოიხატება ეროვნულ ვალუტაში – ***ლარში***. "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ლარი არის ერთადერთი კანონიერი საგადამხდელო საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს მოქალაქეებსა და საქართველოს რეზიდენტ იურიდიულ პირებს შორის ანგარიშსწორება დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში. თუმცა, ეს მოთხოვნა მხარეებს არ ართმევს უფლებას, ხელშეკრულებით ფულადი ვალდებულება გაითვალისწინონ უცხო ქვეყნის ვალუტაში, თუმცა, ამ ვალდებულების შესრულება (უნაღდო ან ნაღდი ანგარიშსწორება) უნდა განხორციელდეს მხოლოდ ლარში.

ფულის (ვალუტის) კურსი წარმოადგენს ეროვნული ვალუტის მიმართებას უცხოურ ვალუტებთან. იგი დგინდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ჩატარებულ ბანკთაშორის სავალუტო აუქციონზე, მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის შედეგად.

გ. ნომინალიზმის პრინციპი – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის რეგულირება

ევროპული ქვეყნების კანონმდებლობებში, სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ ლიტერატურაში ერთხმად აღიარებულია ***ე.წ. ნომინალიზმის პრინციპი*** (''ევრო უტოლდება ევროს''). ამ უკანასკნელის თანახმადაც, ფულადი ვალდებულების შესრულების დროს ანგარიშსწორების ვადის დადგომამდე გადახდილ უნდა იქნეს სწორედ ის ოდენობა ფულადი თანხისა, რომელიც შეთანხმებულ იქნა მხარეთა შორის ხელშეკრულების დადების დროს, მიუხედავად იმისა, რომ ვალუტის კურსი ან ფულის მსყიდველობაუნარიანობა შეიცვალა (მაგ., საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1895-ე მუხლის 1-ლი ნაწილი პირდაპირ მიუთითებს, რომ სასესხო ვალდებულება ყოველთვის შეესაბამება ხელშეკრულებაში აღნიშნულ ფულად თანხას;

[39] Palandt, იქვე

იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1277-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად: "ფულადი ვალდებულებები უნდა შესრულდეს ნომინალური ღირებულებით იმ ვალუტაში, რომელიც გადახდის დროისათვის წარმოადგენს სახელმწიფოს კანონიერ საგადამხდელო საშუალებას"). თუმცა, იმავე იურიდიულ ლიტერატურაში (რა თქმა უნდა, ბიზნესისა და სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით) მეცნიერთა მიერ გათავისებულია, რომ ნომინალიზმის წესის დროს, ფულის გაუფასურების გამო კრედიტორს ექმნება ეკონომიკური ზარალის მიღების საფრთხე, რის გამოც პრაქტიკაში ხშირად ადგილი აქვს სხვადასხვა ***სავალუტო დათქმას*** (მაგ., იჯარის ქირის ოდენობის განსაზღვრა სახელმწიფო მოხელის ხელფასის ოდენობის მიხედვით)[40]. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ თანამედროვე კანონმდებლობაში ნომინალიზმის პრინციპის მოქმედება "შერბილებულია". მაგალითად, ესტონეთის ვალდებულებით-სამართლებრივ კანონის 92-ე მუხლში მითითებულია, რომ ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს ნომინალური ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი ან ხელშეკრულება სხვაგვარად ითვალისწინებს. ამდენად, მხარეებს ხელშეკრულებით შეუძლიათ გადაუხვიონ ნომინალიზმის ზოგად წესს.

ქართულ სასამართლო პრაქტიკაშიც დაისვა ნომინალიზმის პრინციპის გამოყენების საკითხი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის საფუძველზე, მიუხედავად ამ უკანასკნელის ტექსტის განსხვავებული ფორმულირებისა; უნდა ითქვას, რომ ეს მუხლი ერთ-ერთი ყველაზე სადავოა როგორც სამართლის მეცნიერთა შორის, ისე სასამართლოს მიერ ამ მუხლის ნორმათა განმარტებისა და გამოყენებისას. დავასა და გაუგებრობას იწვევს ის გარემოება, რომ მუხლის 1-ლი ნაწილის სიტყვასიტყვითი (ლიტერარული) და ადეკვატური განმარტება კარდინალურად არ შეესაბამება მისი როგორც სასამართლოს მიერ, ისე სამოქალაქო კოდექსის კომენტარის გაგებას. კერძოდ, 389-ე მუხლით დადგენილია: "თუ გადახდის ვადის დადგომამდე გაიზარდა ან შემცირდა ფულის ერთეული (კურსი), ან შეიცვალა ვალუტა, მოვალე ვალდებულია გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს. ვალუტის შეცვლისას გადაცვლით ურთიერთობებს საფუძვლად უნდა დაედოს ის კურსი, რომელიც ვალუტის შეცვლის დღეს არსებობდა ფულის ამ ერთეულებს შორის".

ამდენად, "შეუიარაღებელი თვალითაც" ცალსახად და აშკარად ჩანს, რომ მუხლის ნორმაში საუბარია ***ფულის კურსის რყევაზე***, ხოლო მის სამართლებრივ შედეგად მითითებულია ფულის კურსის გადაანგარიშება ვალდებულების წარმოშობის დროს არსებული კურსით. ეს ნორმა, მიუხედავად მისი გამოყენების სირთულისა (მაგალითად, კანონი არ განმარტავს, რას ნიშნავს "ფულის კურსი" ანუ არ ამბობს, მისი განმარტებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ თუ არა ეკონომიკური გაგებით, რომლის თანახმადაც ფულის კურსი ნიშნავს ეროვნული ვალუტის მიმართებას უცხოურ მყარ ვალუტასთან), აშკარად მიმართულია ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში კრედიტორის მხარის ინტერესების დასაცავად: მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ვალუტა, რომელშიც გათვალისწინებული იყო ვალდებულება, არსებითად გაუფასურდა, ანგარიშსწორება მხარეთა შორის უნდა მოხდეს ვალდებულების წარმოშობის დროს არსებული კურსით. მაგალითად, თუ 1000-ლარიანი სესხის დადების მომენტში 1000 ლარი შეესაბამებოდა 500 ევროს, სესხის დაბრუნების ვადის დადგომისას კი ლარის კურსი დაეცა 100%-ით, სესხის ძირითადი თანხის სახით უნდა დაბრუნდეს არა 1000 ლარი, არამედ 2000 ლარი.

ასეთია 389-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ლიტერარული განმარტება, თუმცა, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2000 წელს თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ეს ნორმა განმარტა სრულიად საწინააღმდეგოდ მისი სიტყვასიტყვითი განმარტებისა. კერძოდ, სასამართლომ უარყო, რომ ეს ნორმა ადგენს ფულის კურსის ცვლილებას და განმარტა, რომ ქართული სამოქალაქო კანონმდებლობა, მსგავსად ევროპული ქვეყნების კანონმდებლობებისა, ***აღიარებს ნომინალიზმის პრინციპს***. სასამართლომ მიიჩნია, რომ ფულის ერთეულის გაზრდასა და შემცირებაში კანონი გულისხმობს ისეთ პროცესს, როდესაც ხდება ფულის ერთეულის გამსხვილება ან შემცირება

[40] Brox/Walker, დასახელებული ნაშრომი, გვ. 89

მისი სახელწოდების შეცვლის გარეშე – ე. წ. ***დენომინაცია***. მაგალითად, სახელმწიფოს შეუძლია ვალუტის შეუცვლელად მოახდინოს ფულის კურსის გადაფასება – რამდენიმე ერთეული (10, 100, 1000) ჩათვალოს 1 ერთეულად ან პირიქით. სწორედ ამ შემთხვევების დროს, სასამართლოს აზრით, ხდება საჭირო საკანონმდებლო წესით იმის განსაზღვრა, თუ როგორ მოხდეს ადრე წარმოშობილი ფულადი ვალდებულების შესრულება. ამ დროს ანგარიშსწორება უნდა მოხდეს ვალდებულების წარმოშობის მომენტისათვის არსებული მდგომარეობით (თუ, მაგ., ვალდებულების წარმოშობის მომენტისათვის დადგენილი იყო 1000 ერთეული და შემდგომში 100 ერთეული დაიყვანეს ერთ ნომინალზე, გადასახდელი თანხა შეადგენს 10 ერთეულს).

დ. ფულადი ვალდებულების დაფარვის რიგითობა

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მოვალეს, სხვადასხვა ვალდებულებიდან გამომდინარე, ეკისრება ერთმანეთის მსგავსი რამდენიმე შესრულება, მაგრამ შესრულების თანხა საკმარისი არ არის ყველა ვალდებულების შესასრულებლად. ამ დროს მოვალეს აქვს უფლება, ***თავისი შეხედულებით აირჩიოს*** ის ვალდებულება, რომელსაც იგი პირველ რიგში შეასრულებს. თუ მოვალე არ ამოირჩევს, მაშინ დაიფარება ის ვალი, რომლის გადახდის ვადაც პირველად დადგა. თუ მოთხოვნათა შესრულების ვადა ერთდროულად დადგა, მაშინ თავდაპირველად უნდა შესრულდეს ის მოთხოვნა, რომელიც მოვალისათვის შესასრულებლად ყველაზე მძიმეა. თუ მოთხოვნები თანაბრად მძიმეა, თავდაპირველად უნდა შესრულდეს ის, რომელიც ყველაზე ნაკლებად არის უზრუნველყოფილი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლი).

განსხვავებულად წყდება საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალეს ეკისრება არა რამდენიმე, არამედ ერთი ვალდებულება, მაგრამ მის მიერ განხორციელებული გადასახდელი ***საკმარისი არ არის მთელი (ვადამოსული) ვალის დასაფარავად;*** კერძოდ, პირველ რიგში იფარება სასამართლოს ხარჯები, შემდეგ – ძირითადი ვალი და ბოლოს – პროცენტები (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 388-ე მუხლი).

IV. უარი ვალდებულების შესრულებაზე

ა. ცნება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად: ***"იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ვალდებული იყო თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა".***

კანონის აღნიშნული ნორმა ადგენს ვალდებულების შესრულების რიგითობას იმ შემთხვევებში, როდესაც ვალდებულება გამომდინარეობს ***ორმხრივი ხელშეკრულებიდან***. ზემოთ ჩვენ მიერ უკვე ითქვა, რომ ორმხრივ ხელშეკრულებას წარმოადგენს ისეთი ორმხრივი ან მრავალმხრივი გარიგება (ხელშეკრულება), რომელშიც ყოველ მხარეს აქვს როგორც უფლება, ისე ეკისრება ვალდებულება. ითქვა ისიც, რომ ორმხრივ ხელშეკრულებაში ორივე მხარე არის როგორც კრედიტორი, ასევე მოვალე; კრედიტორი იმ ნაწილში, რომელშიც მას აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, ხოლო მოვალე იმ ნაწილში, რომელშიც მას მეორე მხარის წინაშე აკისრია ვალდებულება. ამდენად, ორმხრივ ხელშეკრულებაში შესრულების რიგითობის დადგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების ორივე მხარის მიერ ნაკისრი ვალდეულების ჯეროვანი შესრულებისათვის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლის მიხედვით, ორმხრივი ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს შეუძლია ***უარი თქვას მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე*** გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თავად ხელშეკრულების პირობიდან ან ვალდებულების არსიდან გამომდინარე წინასწარ შესრულებაზე იგი არის ვალდებული. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებით მყიდველი ვალდებული იყო გადაეხადა ავანსი ხელშეკრულების დადებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. მან ეს ვალდებულება არ შეასრულა. შესაბამისად, მეორე

მხარემ – გამყიდველმა უარი განაცხადა ამ უკანასკნელზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე, მიეწოდებინა საქონლის პირველი პარტია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ქართული ვერსია ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლებას ***დაკავების უფლებასაც*** უწოდებს ისეთი შემთხვევების მომწესრიგებელ ნორმებში, როდესაც ხელშეკრულების მეორე მხარე საპასუხო შესრულების განხორციელებამდე უარს აცხადებს იმ ნივთის გადაცემაზე, რომელიც წარმოადგენს ვალდებულების საგანს. ტერმინოლოგიური არაერთგვაროვნება უფრო შორსაც მიდის: დაკავების უფლების ტერმინი კოდექსის ზოგიერთ მუხლში *"ნივთის დატოვებითაც"* არის თარგმნილი. ვალდებულების შესრულებაზე უარის, დაკავების უფლების (ისევე როგორც მისი გამორიცხვის) კანონისმიერი მაგალითებია:

– 110-ე მუხლი: "უფლებამოსილების გაქარწყლების შემდეგ წარმომადგენელმა უფლებამოსილების საბუთი უნდა დაუბრუნოს უფლებამოსილების გამცემს; საბუთის დატოვების უფლება მას არა აქვს";

– 348-ე მუხლის ბ. ქვეპუნქტი: "ხელშეკრულების მხარის უფლება, უარი თქვას შესრულებაზე, ვიდრე მეორე მხარეს არ შეუსრულებია დაკისრებული ვალდებულება (შესრულებაზე უარის თქმის უფლება)";

– მე-500 მუხლი: "თუ მყიდველი დროულად არ მიიღებს ნივთს ან თავის დროზე არ გადაიხდის მის ფასს, გამყიდველი ვალდებულია შეინახოს ნივთი; გამყიდველს უფლება აქვს დაიტოვოს ნივთი ან დააკავოს გზაში მანამ, ვიდრე მყიდველი არ აუნაზღაურებს შესაბამის ხარჯებს";

– 565-ე მუხლი: "მიწის ნაკვეთის დამქირავებელს არა აქვს მისი დაკავების უფლება, თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით";

– 776-ე მუხლი: "კუთვნილი საზღაურის მიღებამდე და შენახვისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურებამდე შემნახველს შეუძლია უარი თქვას მიბარებული ნივთის დაბრუნებაზე".

ბ. წინაპირობები

უარი ვალდებულების შესრულებაზე შესაძლებელია განსაზღვრული ***წინაპირობების*** არსებობისას:

ა) ყოველ პირს უნდა ჰქონდეს მოთხოვნის უფლება ***მეორე მხარის მიმართ (ურთიერთმხრივობა, ორმხრივობა).*** აქ არა აქვს მნიშვნელობა, მოთხოვნის უფლებები გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან თუ კანონიდან;

ბ) მოვალის მოთხოვნის უფლება უნდა იყოს ***ვადამოსული (საპირისპირო მოთხოვნის უფლება).*** წინააღმდეგ შემთხვევაში, კრედიტორი თავისი მოთხოვნის უფლების რეალიზაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებდა, როდესაც იგი საპირისპირო მოთხოვნის უფლებას უკვე ამ უკანასკნელის ვადის დადგომამდე შეასრულებდა;

გ) კრედიტორის მოთხოვნის უფლება და მოვალის საპირისპირო მოთხოვნის უფლება უნდა ეფუძნებოდეს ***ერთი და იმავე სამართლებრივ ურთიერთობას (მოთხოვნის უფლებათა ურთიერთკავშირი).*** ამდენად, საპირისპირო მოთხოვნის უფლების გამო, ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება გამორიცხული იქნება, თუ მას მოთხოვნის უფლებასთან კავშირი არა აქვს[41].

გ. სამართლებრივი შედეგები

ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება მოვალეს ანიჭებს მხოლოდ ***დროებით (სუსპენზიურ) შესაგებელს.*** თუ მოვალეს შესაგებელს წარადგენს სასამართლო დავის განხი-

[41] Brox/Walker, დასახელებული ნაშრომი, გვერდები 116-117

ლვისას, ეს არ გამოიწვევს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას, არამედ მხოლოდ "ერთდროულად შესრულების" დაკისრებას[42].

დ. ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლების გამორიცხვა

ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება შეიძლება ***გამოირიცხოს ხელშეკრულებით ან კანონის*** საფუძველზე. კანონისმიერი საფუძვლებიდან რამდენიმე საილუსტრაციოდ ჩვენ ზემოთ უკვე მოვიყვანეთ.

V. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება

ა. ცნება

ზემოთ ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულების კანონისმიერი პრინციპის განხილვისას აღვნიშნეთ, რომ ამ პრინციპიდან გამომდინარე, ნებისმიერ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში კრედიტორს არ შეუძლია უარი თქვას მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების გარკვეულ ხელშეწყობაზე, როდესაც მოვალეს კრედიტორის მხრიდან ესაჭიროება ასეთი ხელშეწყობა მასზე ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისათვის. უფრო მეტიც, კრედიტორს საერთოდაც უარყოფითად შეუძლია იმოქმედოს ვალდებულების შესრულებაზე, მაგ., როდესაც კრედიტორი არ იღებს მისთვის შემოთავაზებულ შესრულებას, რომლის ვადაც დამდგარია. ეს ვალდებულების დარღვევა არ არის; კრედიტორი არ არის ვალდებულების შესრულების სუბიექტი და მას არ ეკისრება ვალდებულების შესრულება. შესაბამისად, მის მიერ ვალდებულების დარღვევასაც არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი. აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როდესაც ვალდებულების არსიდან გამომდინარე, მისი შესრულებისათვის აუცილებელია კრედიტორის გარკვეული მონაწილეობა ვალდებულების შესრულების მიღების შედეგის მიღწევისათვის. ვადის გადაცილებას უთანაბრდება ისეთი შემთხვევები, როდესაც, ვალდებულების შესრულებისათვის საჭიროა კრედიტორის განსაზღვრული მოქმედება (მაგალითად, წერილის, გაფრთხილების გაგზავნა) და იგი ამ მოქმედებას არ ასრულებს. კანონი აღნიშნულ შემთხვევებს მიიჩნევს ***კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებად (შესრულების მიღების ვადის გადაცილება)*** და ითვალისწინებს ამ უკანასკნელისათვის შესაბამის უარყოფით სამართლებრივ შედეგებსაც.

ბ. წინაპირობები

კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება სახეზე შემდეგი წინაპირობების არსებობისას:

1. კრედიტორის თანამონაწილეობის აუცილებლობა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება შესაძლებელია ისეთ ვალდებულებაში, რომლის შესრულებისათვის ***აუცილებელია კრედიტორის განსაზღვრული მონაწილეობა***. შესაბამისად, ვადის გადამცილებელი კრედიტორი არ ასრულებს ისეთ მოქმედებას, რომელიც მიმართულია ვალდებულების შესრულების შედეგის მიღებისაკენ. მაგალითად, მიბარების ხელშეკრულების ვადის გასვლისას შემნახველის მიერ დაბრუნებისათვის შეთავაზებულ ნივთს მიმბარებელი არ იღებს. ზოგჯერ კრედიტორის თანამონაწილეობის აუცილებლობაზე პირდაპირ მიუთითებს კანონი და ითვალისწინებს მის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილების მისთვის უარყოფით სამართლებრივ შედეგებზეც. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 649-ე მუხლში აღნიშნულია: "თუ ხელშეკრულების თანახმად ან შესრულებული სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, საჭიროა მისი გადაცემა, მაშინ შემკვეთი მოვალეა მიიღოს შესრულებული სამუშაო". ამავე მუხლის ბოლო წინადადების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ შემკვეთმა არ მიიღო მენარდის მიერ შეთავაზებული სამუშაო, ეს უკანასკნელი კანონის ძალით მის მიერ მაინც მიღებულად ჩაითვლება.

[42] Brox/Walker, დასახელებული ნაშრომი, გვ. 118

2. ვალდებულების ვადამოსულობა

კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების წინაპირობაა ***ვალდებულების ვადამოსულობა*** (“რომლის ვადაც დამდგარია”, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 390-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). ცხადია, სანამ არ დგება ვალდებულების შესრულების დრო, მოვალემ არ უნდა და, როგორც წესი, იგი არც არის უფლებამოსილი, შეასრულოს ვალდებულება.

3. შესრულების შეთავაზება

მსგავსად ვალდებულების ვადამოსულობისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 390-ე მუხლის 1-ლი ნაწილი კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების წინაპირობად უთითებს მოვალის მიერ ***კრედიტორისათვის ვალდებულების შესრულების შეთავაზებას*** (“არ იღებს მისთვის შემოთავაზებულ შესრულებას”). კანონი არ აზუსტებს, თუ რა ფორმით უნდა განხორციელდეს შეთავაზება; შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, იგი შეიძლება განხორციელდეს როგორც, ერთი მხრივ, წერილობით და ზეპირად, ისე ფაქტობრივი მოქმედებითაც, ანუ იმ მოქმედებით, რომლის დროსაც კრედიტორისათვის აშკარად შესამჩნევია მოვალისაგან შესრულების შეთავაზება.

4. შესრულების შესაძლებლობა

განსხვავებით ვალდებულების ვადამოსულობისა და კრედიტორისათვის ვალდებულების შესრულების შეთავაზებისაგან, მოვალის მიერ ***შესრულების შესაძლებლობაზე*** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 390-ე მუხლში მითითებული არ არის. თუმცა, ეს წინაპირობა კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისათვის ლოგიკურია: მოვალეს უნდა შეეძლოს ვალდებულების შესრულება და, ამასთან, იგი თავად არ უნდა აღმოჩნდეს ვადაგადაცილებაში. თუ მას დროულად ან საბოლოოდ არ შეუძლია შესრულება, ვალდებულების შესრულების მიღებაც გამორიცხულია[43].

გ. სამართლებრივი შედეგები

კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება მოვალეს არ ათავისუფლებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კანონი კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას ითვალისწინებს ამ უკანასკნელისათვის შესაბამის უარყოფით სამართლებრივ შედეგებს.

უპირველეს ყოვლისა, კრედიტორი ვალდებულია, ***აანაზღაუროს ის ზიანი,*** რომელიც მიადგა მოვალეს, შესრულებული ვალდებულების მიღების ვადის ბრალეული გადაცილების გამო (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 391-ე მუხლი). აუცილებელია, სახეზე იყოს კრედიტორის მხრიდან ***ბრალეული გადაცილება***, თუმცა, კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ვადის გადაცილებისას განსაზღვრული უარყოფითი შედეგები კრედიტორისათვის დგება მისი ***ბრალის მიუხედავად***. კერძოდ:

ა) იგი ვალდებულია, მოვალეს აუნაზღაუროს ხელშეკრულების საგნის შენახვის გამო წარმოშობილი ზედმეტი ხარჯები;

ბ) მას ეკისრება ნივთის შემთხვევით გაფუჭების ან დაღუპვის რისკი;

გ) მას აღარა აქვს ფულადი ვალდებულებისათვის პროცენტის მიღების უფლება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 393-ე მუხლი).

კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების შემთხვევაში, კანონი ითვალისწინებს მოვალის მასზე დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ***პასუხისმგებლობის შემსუბუქებას***. კერძოდ, ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მოვალეს პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულება არ შესრულდა მისი განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო.

[43] Brox/Walker, დასახელებული ნაშრომი, გვ. 290

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. *რას წარმოადგენს ვალდებულების შესრულება და როგორ უნდა განხორციელდეს იგი?*
2. *არის თუ არა მოვალე უფლებამოსილი ნაწილობრივ შესრულებაზე?*
3. *რას ნიშნავს ალტერნატიული ვალდებულება?*
4. *შეუძლია თუ არა, ვალდებულება შეასრულოს მესამე პირმა, მოვალის თანხმობის გარეშე?*
5. *რა სამართლებრივ შედეგებს ითვალისწინებს კანონი არაუფლებამოსილი პირის მიერ ვალდებულების შესრულების მიღებისას?*
6. *მინიმუმ რა ხარისხით უნდა შესრულდეს ვალდებულება?*
7. *რა არის ფული?*
8. *რას ნიშნავს ნომინალიზმის პრინციპი და რა პრობლემა არსებობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლში?*
9. *რა საფუძვლებით შეუძლია მოვალეს უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე?*
10. *რა წინაპირობების არსებობაა საჭირო კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების სამართლებრივი შედეგისათვის?*

8. ვალდებულების დარღვევა

I. ვალდებულების დარღვევისა და ზიანის ანაზღაურების ზოგადი დებულებები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კანონი ითხოვს ვალდებულების შესრულებას ჯეროვნად, კეთილსინდისიერად. შესაბამისად, თუ ვალდებულება ასე არ სრულდება, სახეზეა ***ვალდებულების დარღვევა***. მაგალითად, დამქირავებელი არ იხდის ქირის თანხას, ბანკი აგვიანებს საგადასახადო დავალების შესრულებას და ა.შ. მოვალის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულების დარღვევის შედეგად არსებითად ზარალდება ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მეორე მხარე – კრედიტორი, რომელიც ვალდებულების ჯეროვანი შესრულების შედეგად კეთილსინდისიერად ელოდებოდა თავისთვის სარგებელს და ვალდებულების დარღვევის გამო კი მან ზარალი განიცადა.

რა სამართლებრივი საშუალებები არსებობს კრედიტორისათვის მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში?

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს ზოგად დამცავ ნორმას, რომლის თანახმადაც მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას ***კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.*** ეს ნორმა უზოგადესია და გათვალისწინებულია ყველანაირ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში გამოსაყენებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონკრეტული სპეციალური ნორმით პასუხისმგებლობის სხვა წესი ან სხვა სამართლებრივი შედეგია გათვალისწინებული.

იმისათვის, რომ ვალდებულების დარღვევისას მოვალეს დაეკისროს პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანისათვის, აუცილებელია შემდეგი წინაპირობების არსებობა, რომლებიც ერთობლივად ქმნის ***სამოქალაქო-სამართლებრივი სამართალდარღვევის*** შემადგენლობას. ეს წინაპირობებია:

– ***ქმედების მართლწინააღმდეგობა;*** მართლწინააღმდეგობა გულისხმობს მოვალის მიერ განხორციელებული მოქმედებით (უმოქმედობით) სამართლებრივი ნორმის (ნორმების) დარღვევას;

ობიექტური მხრივ:

– ***მიზეზობრივი კავშირი*** მოვალის მოქმედებასა (უმოქმედობას) და დამდგარ შედეგს (ზიანს) შორის; კანონის მოთხოვნით, ზიანი უნდა წარმოადგენდეს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს;

– ***ზიანის მიყენება***; ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს ადგება კონკრეტული ზიანი, რომელიც ექვემდებარება სწორედ ანაზღაურებას. ზიანის ანაზღაურებას კანონი ითვალისწინებს სხვადასხვა ფორმით:

1. მოვალის მიერ ***იმ მდგომარეობის აღდგენა***, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება; ამასთან, თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება;

2. თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ***ყოველთვიური სარჩოს*** გადახდით.

3. ***არაქონებრივი ზიანისათვის*** ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში, დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი).

ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ ***მიულებელი შემოსავლისთვისაც***. მიულებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიულია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი).

ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები ის ***ინტერესი***, რომელიც კრედიტორს ჰქონდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ.

სუბიექტური მხრივ:

– ***ბრალი***; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 395-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ადგენს, რომ მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ ***განზრახი ან გაუფრთხილებელი*** მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს.

კანონი ***განზრახვის*** ცნებას არ განმარტავს. სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერებაში გაბატონებული შეხედულების მიხედვით, განზრხვა მოიცავს შედეგის ცნობასა და სურვილს და მართწინააღმდეგობის შეგნებას. განასხვავებენ განზრახი ბრალის 2 სახეს: (1) ***პირდაპირი (dolus directus)*** განზრახვა სახეზე, როდესაც ქმედების ჩამდენი ითავლისწინებს თავისი ქმედების გარდაუვალ შედეგს და მიუხედავად ამისა, სჩადის ამ ქმედებას. (2) ***ევენტუალური განზრახვა (dolus eventualis)*** მოცემულია, როდესაც ქმედების განმახორციელებლ შედეგს შეგნებულად უშვებს როგორც შესაძლოს. მართლწინააღმდეგობის შეგნება მიეკუთვნება განზრახვას (განზრახვის თეორია); აუცილებელია ქმედების ჩამდენის მიერ იმის ცოდნა, რომ თავისი მოქმდებით იგი არღვევს სახელშეკრულებო ან კანონისმიერ ვალდებულებას.

გაუფრთხილებლობის ქვეშ კანონი გულისხმობს სამოქალაქო ურთიერთობაში აუცილებელი ზრუნვის გამოუჩენლობას. იგი ეხება ობიექტურ სტანდარტულ მასშტაბს. სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, ბრალის შერაცხვა ხდება არა პიროვნული უნარის საფუძველზე, არამედ იმის საფუძველზე, რომ მოვალე მოქმედებდა ისეთი ზრუნვით, როგორიც მოითხოვება ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში ზიანის თავიდან აცილებისათვის. ზოგადი წესით, მოვალე პასუხისმგებელია ნებისმიერი, თუნდაც, მცირე გაუფრთხილებლობისათვის. შესაბამისად, განსხვავება გაუფრთხილებლობის სხვადასხვა ხარისხს შორის (მარტივი, საშუალო, უხეში გაუფრთხილებლობა), როგორც წესი, არ ასრულებს მნიშვნელოვან როლს. ***უხეში გაუფრთხილებლობა*** სახეზე, როდესაც სამოქალაქო ურთიერთობაში აუცილებელი ზრუნვის გამოუჩენლობას ადგილი აქვს განსაკუთრებით მძიმე მასშტაბით; სხვა სიტყვებით, არ იქნა მიქცეული ყურადღება იმისათვის, რაზეც ნებისმიერმა პირმა უნდა გაამახვილოს ყურადღება. თუ მოვალე პასუხს აგებს მხოლოდ ისეთი ზრუნვისათვის, რომელიც მას უნდა გამოიჩინოს ***საკუთარ საქმეებზე ზრუნვისათვის (diligentia quam in suis),*** არ გამოიყენება ზრუნვის

ვალდებულების დარღვევის ობიექტური კრიტერიუმი; როგორც წესი, ბრალის შერაცხვისათვის გამოიყენება მოვალის ინდივიდუალური ჩვეულებრივი ქცევის წესები.

განსხვავება განზრახვასა და გაუფრთხილებლობას შორის სამოქალაქო სამართლისათვის არ არის მნიშვნელოვანი, ვინაიდან მოვალე განზრახვისა და გაუფრთხილებლობისათვის ერთნაირად აგებს პასუხს. თუმცა, განსხვავება მაშინ შეიძლება იყოს გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე, როდესაც ადგილი აქვს პასუხისმგებლობის თავიდან აცილების შეთანხმებას. პასუხისმგებლობლობა განზრახი ბრალისათვის არ შეიძლება გამოირიცხოს[44].

II. მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება

ა. ზოგადად

ვალდებულების დარღვევის ხშირი შემთხვევაა ***მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება.*** მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებად ითვლება, თუ შესრულებისათვის დადგენილ დროში ვალდებულება არ შესრულდება და/ან შესრულების ვადის დადგომიდან კრედიტორის მიერ გაფრთხილების შემდეგაც მოვალე არ ასრულებს ვალდებულებას. მაგალითად, მსესხებელი არღვევს სესხის ხელშეკრულების გრაფიკით დადგენილ გადახდის ვადებს.

ბ. წინაპირობები

მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების ***წინაპირობებია***:

1. ***ვალდებულების ვადამოსულობა***. ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე მოვალე არ არის ვალდებული, შეასრულოს ვალდებულება და, შესაბამისად, ვალდებულება ვერ ჩაითვლება ვადაგადაცილებულად;

2. ***ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა***. ვალდებულების შესრულება უნდა იყოს შესაძლებელი; წინააღმდეგ შემთხვევაში, მოვალე თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის საფუძვლით;

3. ***გაფრთხილება***. კრედიტორს მოვალე გადაყავს ვადაგადაცილებაში გაფრთხილებით. გაფრთხილება წარმოადგენს ცალმხრივ, მიღებასავალდებულო განცხადებას მოვალისადმი შესრულების განხორციელების მოთხოვნით. იგი არ ექვემდებარება განსაზღვრულ ფორმას. შესაბამისად, იგი შეიძლება ზეპირადაც განხორციელდეს.

4. ***მოვალის ბრალი***. ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება უნდა იქნეს გამოწვეული მოვალის განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით;

5. ***დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლა***. დამატებითი ვადის დაწესება კრედიტორის უფლებაა; ამ უკანასკნელს შეუძლია დაუნიშნოს მოვალეს ვალდებულების შესრულებისათვის საჭირო დამატებითი დრო. თუ მოვალე ამ დროშიც არ შეასრულებს ვალდებულებას, მაშინ კრედიტორს უფლება აქვს, ვალდებულების შესრულების ნაცვლად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. დამატებითი ვადის განსაზღვრა არ არის საჭირო, თუ აშკარაა, რომ მას რაიმე შედეგი არ მოჰყვება ან, როდესაც არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით ამართლებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაუყოვნებლივ გამოყენებას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

გ. მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების სამართლებრივი შედეგები

რა უარყოფითი სამართლებრივი შედეგებია გათვალისწინებული მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში?

---

44 Brox/Walker - Allgemeines Schuldrecht, 32. Auflage, Verlag C. H. Beck, München, 2007, გვ. 190-192

უპირველეს ყოვლისა, მძიმდება მოვალის პასუხისმგებლობა სუბიექტური მხრივ: ვადის გადაცილების დროს იგი პასუხს აგებს ***ყოველგვარი გაუფრთხილებლობისათვის.*** მოვალე პასუხს აგებს ***შემთხვევითობისთვისაც***, თუ არ დაამტკიცებს, რომ ზიანი შეიძლებოდა დამდგარიყო ვალდებულების დროული შესრულების დროსაც.

თუ მოვალემ გადააცილა ***ფულადი ვალდებულების შესრულებას***, მაშინ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის თანახმად, მოვალე ვალდებულია გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს ***მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი,*** თუ კრედიტორს, სხვა საფუძვლიდან გამომდინარე, უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია. მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი შეიცვალა 2007 წლის 29 ივნისის კანონით "საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ". 403-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ძველი რედაქცია უთითებდა ე.წ. "კანონით განსაზღვრულ პროცენტზე", თუმცა, ასეთი კანონი, სამწუხაროდ, 403-ე მუხლში ცვლილებების შესვლამდე არ იქნა მიღებული[45]. 403-ე მუხლში შეიცვალა არა მარტო 1-ლი ნაწილი, არამედ მე-2 ნაწილიც, რომელიც ეხება ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის ***პროცენტის გადახდის დაკისრებას***. თუ 403-ე მუხლის მე-2 ნაწილის ძველი რედაქცია ბათილობის სანქციით კრძალავდა ე.წ. *რთულ პროცენტებს* ანუ პროცენტიდან პროცენტს, მუხლის ახალი რედაქცია ასეთ რთულ პროცენტებს დასაშვებად მიიჩნევს მხარეთა მიერ, მასზე ხელშეკრულებაში პირდაპირი შეთანხმების შემთხვევაში.

კრედიტორს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის შეუძლია ***ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარდგენა*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 404-ე მუხლი). აღნიშნული მოთხოვნის უფლება დგება ძირითადი მოთხოვნის უფლებასთან ერთად. კრედიტორი ამ დროს იმ ფინანსურ მდგომარეობაში უნდა იქნეს ჩაყენებული, როგორშიც იგი იქნებოდა, შესრულება სათანადო ვადაში რომ განხორციელებულიყო. შესრულების დაგვიანებისათვის ზარალი უნდა განვასხვაოთ შეუსრულებლობის შედეგად მიყენებული ზარალისაგან. ეს უკანასკნელი წარმოიშობა, როდესაც მოვალე შესრულებას საბოლოოდ არ ახორციელებს[46].

დ. ზიანის ანაზღაურება შესრულების ნაცვლად

თუ კრედიტორმა შესრულების დაგვიანების გამო შესრულების მიმართ დაკარგა ინტერესი, მაშინ შესრულების ნაცვლად მას შეუძლია ***ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა***. ამ შემთხვევაში, ვალდებულების დარღვევა მდგომარეობს იმაში, რომ ნაკისრი ვალდებულება, მიუხედავად მისი განხორციელების შესაძლებლობისა, არ სრულდება. დამატებით, კრედიტორმა მოვალეს სა-

---

[45] აღნიშნული ნორმა განმარტებული იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წელს გამოტანილი ერთ-ერთი გადაწყვეტილებით. გადაწყვეტილებაში, კერძოდ, აღინიშნა, რომ ტერმინის "კანონი" ქვეშ იგულისხმება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილის მე-9 თავში ("სესხი") არსებული 625-ე მუხლის ნორმა (იგულისხმება მისი ძველი რედაქცია), რომლის თანახმადაც, "სესხისათვის მხარეებმა შეიძლება გაითვალისწინონ პროცენტი, რაც გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობასთან. ამ წესის დარღვევით პროცენტის შესახებ დადებული შეთანხმება ბათილია". საქართველოს უზენაესი სასამართლოს აზრით, "კანონით განსაზღვრული პროცენტის" ქვეშ იგულისხმებოდა 625-ე მუხლით დადგენილი ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც პერიოდულად დგინდება და იცვლება. ვფიქრობთ, ასეთი განმარტება არ იყო სწორი, ვინაიდან, თუ გავაანალიზებთ თავად 625-ე მუხლის ძველი რედაქციის ნორმას, იგი ეხებოდა მხოლოდ სესხის ხელშეკრულების მხარეებს შორის შეთანხმებას და მიმართული იყო მათ შორის სესხის პროცენტის ოდენობის კონტროლისაკენ; იგი იცავდა სესხის ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს – მსესხებელს კაბალური პროცენტისაგან. ამდენად, 625-ე მუხლის ძველი რედაქციის ნორმა სპეციალური, კონვენციონალური ნორმა იყო და გამოიყენებოდა მხოლოდ და მხოლოდ სასესხოსამართლებრივი ურთიერთობებისათვის და იგი ზღუდავდა ამ სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა კერძო ავტონომიას, თავიანთი შეხედულებით განესაზღვრათ სესხის პროცენტი.

[46] Brox/Walker, დასახელებული ნაშრომი, გვერდები 249-250

თანადო ვადა უნდა მისცეს ვალდებულების შესრულებისათვის, რომელსაც შედეგი არ მოჰყვა. ამ მოთხოვნით კანონმდებელმა უპირატესობა მიანიჭა შესრულების მოთხოვნის უფლებას, ზიანის ანაზღაურებასთან შედარებით ადვილად თავიდან აცილებადი ხარვეზების შემთხვევაში. მანამდე, სანამ კრედიტორს შესრულების ინტერესი აუნაზღაურდება ფულადი თანხის გადახდით, მან უნდა მოითხოვოს ვალდებულების ***ნატურით შესრულება***. პირიქით, დამატებითი ვადის დადგენით მოვალეს უნდა მიეცეს უკანასკნელი შანსი, ეკონომიკურად უარყოფითი შედეგები აიცილოს თავიდან, რომლებიც მისთვის ზიანის ანაზღაურებასთან იქნება დაკავშირებული. დამატებითი ვადა ზედმეტია, როდესაც მოვალე არ ახორციელებს შესრულებას საბოლოოდ და გადაჭრით. ამ შემთხვევაში დამატებითი ვადის მიცემა აშკარად აზრსმოკლებული და კრედიტორისათვის მიუღებელი იქნებოდა. დამატებითი ვადა მაშინაც ზედმეტია, როდესაც არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით ამართლებს პირველადი მოთხოვნის უფლებიდან – შესრულების მოთხოვნის უფლებიდან მეორად მოთხოვნის უფლებაზე – ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე გადასვლას. მიუხედავად შესრულების, მოთხოვნის რეალიზაციის შესაძლებლობისა და ვადის მიცემისა, შეუსრულებლობისათვის მოვალე პასუხისმგებელია ***ბრალის არსებობის შემთხვევაში.*** ბრალეულობა ივარაუდება.

შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების დროს კრედიტორი ისეთ მდგომარეობაში უნდა იქნეს ჩაყენებული, ***როგორშიც იგი იქნებოდა, ვალდებულება სათანადოდ*** რომ შესრულებულიყო. მას უნდა აუნაზღაურდეს შეუსრულებლობის შედეგად წარმოშობილი ზიანი (ე. წ. ***პოზიტიური ინტერესი ან ზიანი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის***). თუ მოვალე ვალდებულებას მხოლოდ ნაწილობრივ არ ასრულებს, კრედიტორს შეუძლია, როგორც წესი, შესრულების ნაცვლად ზოგადად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს. როდესაც კრედიტორი ითხოვს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებას, კრედიტორის ძირითადი შესრულების მოთხოვნის უფლება წყდება[47].

III. პასუხისმგებლობა მესამე პირების მოქმედებისათვის

ა. ზოგადად

მოვალემ თავისი კანონიერი წარმომადგენლის და იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად, ***ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი,*** როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს. მაგალითად, საყოფაცხოვრებო საქონლის მაღაზია პასუხიმგებელია თავისი თანამშრომლის – საქონელმცოდნის მიერ მომხმარებლისათვის მიცემული არასწორი ინსტრუქციისათვის.

პრაქტიკაში მნიშვნელოვანია, უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებლობა ***დამხმარე პირისათვის***. დამხმარე პირები წარმოადგენენ პირებს, რომლებსაც იშველიებს მოვალე თავისი ვალდებულების შესრულებისათვის. კრედიტორის სამართლებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდებოდა, მოვალე რომ არ ყოფილიყო პასუხისმგებელი ამ პირების ბრალისათვის. ამასთან, კრედიტორს დამხმარე პირების მიმართ არა აქვს სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლება, ხოლო დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების განხორციელება მათ მიმართ შეიძლება საერთოდაც შეუძლებელი იყოს. ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ მოვალეს შეუძლია დამხმარე პირების მოშველიება თავისი ვალდებულების შესრულებისათვის; მას შეუძლია ამ პირების არჩევა, ხელმძღვანელობა და ზედამედველობა. შესაბამისად, გამართლებულია, რომ მოვალე კრედიტორის წინაშე პასუხს აგებდეს როგორც საკუთარი ბრალისათვის[48].

[47] Brox/Walker, დასახელებული ნაშრომი, გვერდები 253-255

[48] Brox/Walker, დასახელებული ნაშრომი, გვ. 195

ბ. წინაპირობები

დამზმარე პირების ბრალისათვის პასუხისმგებლობის წინაპირობებია:

1. ***ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა***

აღნიშნულს მიეკუთვნება როგორც წინასახელშეკრულებო ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, ასევე კანონისმიერი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა;

2. დამზმარე პირი

დამზმარე პირები არიან ***კანონიერი წარმომადგენლები და შესრულებაში დამზმარე პირები.*** კანონიერი წარმომადგენლები არიან, უპირველეს ყოვლისა, ფიზიკური პირის წარმომადგენლები (მშობლები, მზრუნველი). შესრულებაში დამზმარე პირები არიან ის პირები, რომლებსაც მოვალე იშველიებს თავისი ვალდებულების შესრულებისათვის. საკმარისია, რომ მოვალემ მესამე პირი თავისი ვალდებულების შესრულებისათვის მოიწვია; მესამე პირმა შეიძლება არც კი იცოდეს, რომ მოვალის ვალდებულებას ასრულებს. მოვალე პასუხისმგებელია არა მხოლოდ შესრულებაში (პირდაპირი) დამზმარე პირებისათვის, არამედ ასევე იმ დამზმარე პირებისათვის, როდესაც მათ საკუთარი თანხმობით მიანდეს ვალდებულების შესრულება (არაპირდაპირ შესრულებაში დამზმარე პირები). შესრულებაში დამზმარე პირებს მიეკუთვნებიან, აგრეთვე, პირები, რომლებსაც ანდობენ სახელშეკრულებო მოქმედების შესრულებას;

3. ვალდებულების შესრულება

დამზმარე პირი კრედიტორის მიმართ უნდა მოქმედებდეს მოვალის ვალებულების შესრულებისათვის. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, ზიანის მიმყენებელი მოქმედება უნდა იყოს მიზეზობრივ კავშირში დამზმარე პირის მიერ განხორციელებულ მოქმედებასთან. ამიტომ პასუხისმგებლობა გამოირიცხება ისეთი ზიანისათვის, რომელიც დამზმარე პირის მიერ თავისი საქმიანობის შედეგად კრედიტორისათვის მიყენებულ იქნა მხოლოდ „შემთხვევით“[49];

4. დამზმარე პირის ბრალეულობა

მოვალე პასუხისმგებელია კანონიერი წარმომადგენლისა და თავისი დამზმარე პირის ბრალეულობისათვის, ***როგორც საკუთარისათვის***[50].

გ. პასუხისმგებლობა შესრულების საგანის სხვა პირისაგან მიუღებლობისას

მოვალე პასუხისმგებელია შესრულებისათვის მაშინაც, როდესაც შესრულების საგანი სხვა პირისაგან ***უნდა მიეღო და ვერ მიიღო***, თუ ხელშეკრულებიდან ან სხვა გარემოებებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 396-397 მუხლები). მაგალითად, საკვები პროდუქტების დისტრიბუტორი წერილობით შეუთანხმდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განთავსებულ რამდენიმე მსხვილ სავაჭრო დაწესებულებას, საკვები პროდუქტების მწარმოებელი ერთ-ერთი უცხოური კომპანიისაგან გაზიანი სასმელების მიწოდებაზე. მიუხედავად მწარმოებელ კომპანიასთან წინასწარი შეთანხმებისა, დისტრიბიუტორმა ვერ მიაღწია მასთან ხელშეკრულების დადებას და შედეგად ვერ მიაწოდა გაზიანი სასმელები სავაჭრო დაწესებულებებს. ამით მან დაარღვია თავისი ვალდებულება ამ უკანასკნელების წინაშე, მიუხედავად იმისა, რომ მისაწოდებელი საქონელი მას სხვა კომპანიისაგან უნდა მიეღო.

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. *რა მიიჩნევა ვალდებულების დარღვევად?*
2. *რა წინაპირობების არსებობა ქმნის სამოქალაქო-სამართლებრივი სამართალდარღვევის შემადგენლობას?*
3. *შეიძლება თუ არა არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურების მოთხოვნა?*

[49] Brox/Walker, დასახელებული ნაშრომი, გვ. 196-198

[50] Brox/Walker, დასახელებული ნაშრომი, იქვე

4. ბრალის რა ფორმებს იცნობს კანონმდებლობა?
5. ჩამოთვალეთ მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების წინაპირობები;
6. რა სამართლებრივი შედეგებია გათვალისწინებული მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში?
7. რა უფლება ეკუთვნის კრედიტორს, თუ შესრულების დაგვიანების გამო მან შესრულების მიმართ დაკარგა ინტერესი?
8. ვინ წარმოადგენს დამხმარე პირს?
9. პასუხისმგებელია თუ არა მოვალე შესრულებისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც შესრულების საგანი სხვა პირისაგან უნდა მიეღო და ვერ მიიღო?

9. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი

I. ზოგადად

ზემოთ მეორე თავში – "სანივთო სამართალი" ჩვენ მიერ განხილულ იქნა ვალდებულების უზრუნველყოფის სანივთო საშუალებები – გირავნობა და იპოთეკა. ამჯერად მიმოვიხილავთ ვალდებულებითი სამართლის მიერ დადგენილ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებით საშუალებებს. ეს საშუალებებია: ***პირგასამტეხლო, ბე და მოვალის გარანტია***.

II. პირგასამტეხლო

ა. პირგასამტეხლოს ცნება და იურიდიული ბუნება

პირგასამტეხლო წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეთა შორის შეთანხმებას (სახელშეკრულებო დათქმას), რომლის თანახმად მოვალე კისრულობს განსაზღვრული ფულადი თანხის გადახდას, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში. ამდენად, პირგასამტეხლო არის ***შეთანხმება***, მოვალის მიერ ძირითად სახელშეკრულებო ვალდებულებასთან ერთად დამატებითი ვალდებულების კისრება და არა თავად "მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა", როგორც ეს მითითებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლში[51].

ზემოაღნიშნული დეფინიციიდან გამომდინარე ჩანს, რომ პირგასამტეხლო მხარეთა შორის დადებული ***ხელშეკრულების ნაწილია*** და არა მოვალის ცალმხრივი შეპირება. თავისი იურიდიული ბუნებით პირგასამტეხლო ***აქცესორული უფლებაა***; მისი ნამდვილობა დამოკიდებულია

[51] „მუხლი 417. ცნება
პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის".
მოლდოვის სამოქალაქო კოდექსში პირგასამტეხლო განმარტებულია შემდეგნაირად: „Неустойкой признается договорное положение, в соответствии с которым стороны производят предварительную оценку убытков и устанавливают, что в случае неисполнения обязательства должник обязан уплатить кредитору определенную денежную сумму или передать определенную вещь" (624-ე მუხლი);
ესტონეთის ვალდებულებით-სამართლებრივ კანონში კი პირგასამტეხლოს ცნება მოცემულია 158-ე მუხლში: „Неустойка - это обязательство нарушившей договор стороны договора уплатить потерпевшей стороне договора определенную договором денежную сумму";
შვეიცარიის ვალდებულებით კანონშიც საუბარია "პირგასამტეხლოს შეპირებაზე" (160-ე მუხლის 1-ლი ნაწილი: „Wenn für den Fall der Nichterfüllung oder der nicht richtigen Erfüllung eines Vertrages eine Konventionalstrafe versprochen ist, so ist der Gläubiger mangels anderer Abrede nur berechtigt, entweder die Erfüllung oder die Strafe zu fordern");
იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1382-ე მუხლში ასევე მითითებულია სახელშეკრულებო დათქმაზე: "დათქმას, რომლითაც შეთანხმებულია, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილების (1218) შემთხვევაში ერთ-ერთ მხარეს უნდა დაეკისროს განსაზღვრული პირგასამტეხლო, – აქვს შეპირებული პირგასამტეხლოს ფარგლებში ანაზღაურების გადახდის სამართლებრივი შედეგები გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანაზღაურება შეთანხმებული იყო სხვა ზარალისათვის (1223)".

ძირითადი უფლების (მოთხოვნის) – ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირითადი ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნის უფლების არსებობაზე. თუ ეს უკანასკნელი არ წარმოიშობა ან რაიმე საფუძვლით წყდება, პირგასამტეხლოს შესახებ შეთანხმებაც ავტომატურად სამართლებრივი ძალის არმქონედ ითვლება. პირგასამტეხლოს შესახებ სახელშეკრულებო დათქმა, სამართლებრივი თვალსაზრისით, ითვლება გადადების (სუსპენზიური) პირობით დადებულად; მისი ამოქმედება დამოკიდებულია მოვალის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობასა თუ არასათანადოდ შესრულებაზე.

ბ. პირგასამტეხლოს ფუნქცია

პირგასამტეხლოს აქვს ***ორმაგი*** ფუნქცია:

1. მისი მეშვეობით ხდება ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირითადი ვალდებულების შესრულების ***"იძულების" უზრუნველყოფა;*** და

2. კრედიტორის მიერ ***ზიანის მტკიცების ტვირთისაგან გათავისუფლება***[52]***.***

უპირველეს ყოვლისა, პირგასამტეხლოს შესახებ სახელშეკრულებო დათქმაში მხარეებმა შეიძლება ***თავისუფლად განსაზღვრონ*** პირგასამტეხლოს თანხის ოდენობა; კანონი დასაშვებად მიიჩნევს ასევე ისეთ შეთანხმებასაც, როდესაც პირგასამტეხლოს თანხა აღემატება შესაძლო ზიანს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 418-ე მუხლი). შესაბამისად, პირგასამტეხლო მეტად ქმედით ინსტრუმენტს წარმოადგენს კრედიტორის ხელში, მოვალის მიმართ ეფექტური ზეწოლის განსახორციელებლად ვალდებულების ჯეროვნად შესრულების "იძულებისათვის". ამ ფუნქციამ განაპირობა სწორედ პირგასამტეხლოს დიდი პოპულარულობა პრაქტიკაში.

გარდა აღნიშნულისა, პირგასამტეხლო კრედიტორს "უქმნის კომფორტს", მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ***მტკიცების აუცილებლობისაგან გათავისუფლებით***. პირგასამტეხლოს თანხა ექვემდებარება გადახდას, მიუხედავად იმისა, მიადგა თუ არა საერთოდ კრედიტორს მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში რეალური ზიანი; ამასთან, გადასახდელი თანხა პირდაპირ არის მითითებული პირგასამტეხლოს შესახებ სახელშეკრულებო დათქმაში, რის გამოც მისი ოდენობა სადავო ან საეჭვო არ არის.

გ. პირგასამტეხლოს ძალმოსილების წინაპირობები

პირგასამტეხლოს ***ძალმოსილების*** წინაპირობებია:

1. უპირველეს ყოვლისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირგასამტეხლო აქცესორული უფლებაა; ამდენად, მისი ძალმოსილების წინაპირობაა ***ძირითადი ვალდებულების არსებობა***;

2. გარდა ამისა, პირგასამტეხლოს შესახებ სახელშეკრულებო დათქმა მოითხოვს ***წერილობით ფორმას***. ეს წესი იმპერატიულია. ფორმის დაუცველობის გამო, პირგასამტეხლოს შესახებ შეთანხმება ბათილად მიიჩნევა;

3. პირგასამტეხლოს ამოქმედების წინაპირობაა მოვალის მიერ ***ვალდებულების ბრალეული შეუსრულებლობა ან არასათანადოდ შესრულება.*** პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება წარმოიშობა მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისას.

დ. მოვალის ინტერესების დაცვა

მართალია, პირგასამტეხლოს ოდენობას მხარეები თავისუფლად განსაზღვრავენ და კანონი დასაშვებად მიიჩნევს იმას, რომ პირგასამტეხლოს ოდენობა აღმატებოდეს შესაძლო ზიანს, თუმცა, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით ***შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 418-ე და 420-ე მუხლები), რომელიც

[52] Palandt - Bürgerliches Gesetzbuch, bearbeitet von Bassenge, Diederichsen, Edenhofer, Heinrichs, Heldrich, Putzo, Thomas, 67. neubearbeitete Auflage, Verlag C. H. Beck, München, 2008, გვ. 537

მოვალის მიერ ჯერ არ იქნა გადახდილი[53]. მაგალითად, გამყიდველსა და მყიდველს შორის დაიდო ავტომანქანის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის ტექსტში გათვალისწინებული იყო პირგასამტეხლო, გამყიდველის მხრიდან ნასყიდობის საგნის ხარისხის მოთხოვნების დარღვევისათვის ნასყიდობის ფასის ხუთმაგი ოდენობით. ამ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია, აღნიშნულ ნაწილში არ დააკმაყოფილოს მყიდველის მოთხოვნა სრულად; სასამართლოს შეხედულებით და საქმის გარემოებების გათვალისწინებით, შეიძლება დაკმაყოფილდეს პირგასამტეხლოს მოთხოვნა, მაგალითად, ნასყიდობის ფასის ორმაგი ოდენობით. ზოგიერთ შემთხვევაში კანონი პირდაპირ ითვალისწინებს პირგასამტეხლოს ოდენობის შეზღუდვას; მაგ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, სესხის გაცემის შემთხვევაში ნებისმიერი საკომისიოს, ნებისმიერი ფინანსური ხარჯის, სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო მსესხებლისათვის თითოეულ დღეზე დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის წლიურ 150 პროცენტს.

ისმის კითხვა, შეუძლია თუ არა კრედიტორს მოითხოვოს ერთდროულად პირგასამტეხლოს თანხის გადახდაც და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაც?

როგორც წესი, აღნიშნული ***ორივე მოთხოვნა დაუშვებელია*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 419-ე მუხლი). ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში კრედიტორმა უნდა აირჩიოს: ან პირგასამტეხლოს თანხის ან ვალდებულების შესრულების მიღება. ამ საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისი, კერძოდ, კრედიტორს შეუძლია წარადგინოს ორივე მოთხოვნა, თუ მხარეთა შორის პირგასამტეხლოს გადახდა გათვალისწინებულია მოვალის მიერ ***ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის*** (მაგალითად, საურავი საკრედიტო ხელშეკრულებით შეთანხმებული კრედიტის დაფარვის გრაფიკის დარღვევისათვის). თუმცა, პირგასამტეხლო არ გამორიცხავს კრედიტორის მიერ განცდილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას.

III. ბე

ა. ბეს ცნება და იურიდიული ბუნება

ბე არის ფულადი თანხა, რომელსაც ხელშეკრულების ერთი მხარე გადასცემს მეორე მხარეს და ამით დასტურდება ხელშეკრულების დადების ფაქტი. ისტორიულად ბე წარმოადგენდა ხელშეკრულების მხარეთა მარტივად განცხადებულ ნებათა თანხვედრის შედეგად დადებული კონსენსუალური ხელშეკრულების ალტერნატივას. ბეს (ბერძნული ტერმინოლოგიით – *"arrha"*) მეშვეობით ხელშეკრულება იდებოდა მაშინ, როდესაც მხარეები ნაკისრი ვალდებულებიდან ნაწილს ასრულებდნენ[54].

პირგასამტეხლოს მსგავსად, თავისი იურიდიული ბუნებით ბეს შესახებ შეთანხმებაც წარმოშობს ***აქცესორულ უფლებას***: ბეს მიმცემის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ბრალეულად დარღვევის შემთხვევაში, ბე რჩება მის მიმღებს; ან პირიქით, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ბეს მიმღების ბრალეული მოქმედებით, მან ბე ორმაგი ოდენობით უკან უნდა დააბრუნოს. ამდენად, ბე არ წარმოადგენს დამოუკიდებელ ხელშეკრულებას, არამედ იგი მხარეთა შორის დადებული ***ხელშეკრულების ნაწილია***. ვინაიდან ბეს შესახებ შეთანხმება უკვე ხელშეკრულების ნაწილია, შესაბამისად, იგი არ არის წინარე ხელშეკრულება, როგორც ხშირად წარმოუდგენიათ ყოველდღიურ პრაქტიკაში. ბეს სამართლებ-

---

[53] პირგასამტეხლოს შემცირების დაუშვებლობაზე მოვალის მიერ ამ უკანასკნელის გადახდის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში რაიმე მითითება არ არის, თუმცა, ეს პირობა ლოგიკიდან გამომდინარეობს. სამაგიეროდ, შესაბამისი ნორმა მოიპოვება მოლდოვის სამოქალაქო კოდექსში. კერძოდ, 630-ე მუხლში მითითებულია: „Не допускается уменьшение неустойки в случае, когда она уже уплачена".

[54] Dieter Medicus, დასახელებული ნაშრომი, გვ. 220

რივი ბუნების შესახებ წინააღმდეგობა არსებობს თავად ქართულ სასამართლო პრაქტიკაშიც. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლო ერთი და იმავე გადაწყვეტილებაში ბეს ერთდროულად (!) მიიჩნევს როგორც ხელშეკრულების ნაწილად, ასევე – წინარე ხელშეკრულებად[55].

ბე უნდა განვასხვაოთ ***ავანსისაგან***. ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს ხელშეკრულების დადების ფაქტის დადასტურებას, არამედ წინასწარ (ხელშეკრულების დადებამდე ან დადებისთანავე) ნაწილობრივ შესრულებას.

ბ. ბეს საგანი

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ბე განმარტებულია როგორც ***ფულადი თანხა***, იგი შეიძლება სხვა საგანიც იყოს. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრების თანახმად, ბე, როგორც წესი, მიმღების საკუთრებაში გადადის საკუთრების გადაცემის შესახებ შეთანხმებით ან დათმობით, თუმცა, დასაშვებად მიჩნეულია საგნის გადაცემა სარგებლობაშიც[56].

გ. ბეს ფუნქცია

ბე დეფინიციაში მითითებულია, რომ მისი მთავარი ფუნქციაა ხელშეკრულების დადების ***ფაქტის დადასტურება***. თუმცა, მხოლოდ ხელშეკრულების დადების ფაქტის დასტური არ არის ბეს ფუნქცია; მას აქვს კიდევ ***2 მნიშვნელოვანი ფუნქცია***: ვალდებულების შესრულების ***უზრუნველყოფისა და სავადამხდელო ფუნქციები***. ბეს თანხა ჩაითვლება ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახდელის ანგარიშში. თუ ჩათვლა არ მოხდება, მაშინ ხელშეკრულების შესრულების შემდეგ იგი უკან უნდა დაბრუნდეს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 422-ე მუხლი).

IV. მოვალის გარანტია

მოვალის გარანტია არის მოვალის მიერ რაიმე უპირობო მოქმედების ან ისეთი მოქმედების შესრულების ვალდებულების კისრება, რომელიც სცილდება ხელშეკრულების საგანს. მაგალითად, 6 ფიზიკურ პირსა და სამშენებლო კომპანია შპს "თბილისის მშენებელს" შორის დაიდო ინდ. ბინათმშენებლობის ამხანაგობის ხელშეკრულება, რომლის მიზანი იყო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა თბილისში. ხელშეკრულების თანახმად, მხარეები თანაბრად კისრულობდნენ მონაწილეობას როგორც ხარჯებში, ისე ბინების განაწილებაში, თუმცა, სამშენებლო კომპანია შპს "თბილისის მშენებელმა" დამატებით უპირობოდ იკისრა საცხოვრებელი სახლის პროექტისა და მისი დამტკიცებისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება.

მოვალის გარანტიის სამართლებრივი ინსტიტუტი სიახლეა ქართულ სამოქალაქო სამართალში. უფრო მეტიც, უნდა აღინიშნოს, რომ მისი ანალოგი არ მოიპოვება არა მარტო თავად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძვლად არსებულ გერმანიის სამოქალაქო კოდექსში, არამედ დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობებშიც. მოვალის გარანტია ჩვენთვის ცნობილი კანონმდებლობებიდან, საქართველოს გარდა, არსებობს მხოლოდ

---

[55] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება – კასატორი: მ. ნუკრაძე მოპასუხე: ა. სუხიშვილი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მიერ გამოხატული მოსაზრება უშუალოდ შემდეგნაირად არის მოცემული: „პალატამ ასევე მიიჩნია, რომ ***ბე ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილია,*** მისი გადაცემით დასტურდება მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადება და ამიტომ იგი გაფორმებული უნდა იყოს ისეთივე ფორმით, როგორც ნასყიდობის ხელშეკრულება; ბეს გადაცემა - გარიგებაა, ***წინარე ხელშეკრულებაა***, რომელიც წინ უსწრებს ძირითად ნასყიდობის ხელშეკრულებას. სკ-ს 327-ე მუხლის III ნაწილის მიხედვით ხელშეკრულებისთვის გათვალისწინებული ფორმა ვრცელდება ასევე წინარე ხელშეკრულებაზედაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, ძირითადი ხელშეკრულებისათვის კანონით გათვალისწინებული ფორმის დაცვა სავალდებულოა წინარე ხელშეკრულების, მოცემულ შემთხვევაში .ბეს. გაცემის გაფორმებისას“.

[56] Palandt, დასახელებული ნაშრომი, გვ. 536

მოლდოვისა და თურქმენეთის სამოქალაქო კოდექსებში[1]. ამასთან, სამივე ქვეყნის სამოქალაქო კოდექსებში მისი მომწესრიგებელი ნორმები აბსოლუტურად იდენტურია. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება ის ფაქტი, რომ აღნიშნული სამოქალაქო კოდექსები შემუშავებულია ერთიანი მოდელური კოდექსის საფუძველზე.

მოვალის გარანტია ***არ შეიძლება ზედმეტად ავალდებულებდეს მოვალეს*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 425-ე მუხლი). ეს საკანონმდებლო მოთხოვნა გამომდინარეობს სამართლიანობისა და ქონებრივ ურთიერთობებში ბალანსის დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობიდან. ის, თუ რა ღირებულების მქონე ნაკისრი ვალდებულება ჩაითვლება ზედმეტად, უნდა დადგინდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის ყველა გარემოებიდან გამომდინარე (მაგალითად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოვალის ინტერესი: შეიძლება მოვალე მეტად იყოს დაინტერესებული ხელშეკრულების მეორე მხარის ნაკლები ღირებულების მქონე შესრულებით). მოვალის გარანტიის შესახებ შეთანხმება მოითხოვს ***წერილობით*** ფორმას. პირგასამტეხლოს მსგავსად, ფორმის დაუცველობის გამო იგი ბათილად ჩაითვლება.

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. განმარტეთ პირგასამტეხლო;
2. როგორი უფლებაა პირგასამტეხლო?
3. რა ფუნქცია აქვს პირგასამტეხლოს?
4. შეუძლია თუ არა კრედიტორს მოითხოვოს ერთდროულად პირგასამტეხლოს თანხის გადახდაც და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაც?
5. განმარტეთ ბე;
6. წარმოადგენს თუ არა ბე დამოუკიდებელ ხელშეკრულებას ან წინარე ხელშეკრულებას?
7. რა ფუნქცია აქვს ბეს?
8. განმარტეთ მოვალის გარანტია.

10. ვალდებულების შეწყვეტა

როგორც წესი, ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულებები იდება განსაზღვრული ვადით და ადრე თუ გვიან ისინი წყდება. შედეგად ***წყდება*** ხელშეკრულებით არსებულ მხარეთა შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა. თუმცა, შეწყვეტა შეიძლება მოხდეს არა მარტო ვალდებულების შესრულებით, თუმცა, სწორედ ამას ისახავენ მიზნად ხელშეკრულების მხარეები ერთმანეთს შორის ხელშეკრულების დადებისას. ვალდებულების შესრულება მართლაც ყველაზე სასურველი საფუძველია ვალდებულების შეწყვეტის, თუმცა, – არა ერთადერთი. ამდენად, დავასახელოთ, თუ ვალდებულების შეწყვეტის რომელ საფუძვლებს იცნობს სამოქალაქო სამართალი:

1. ვალდებულების შესრულება;
2. ნოვაცია;
3. დეპონირება;
4. ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა (გაქვითვა);
5. ვალის პატიება;
6. კონფუზია – ე. ი. როდესაც მოვალე და კრედიტორი ერთი და იგივე პირი აღმოჩნდება;
7. მოვალის ან კრედიტორის გარდაცვალება და იურიდიული პირის გაუქმება.

[1] მოლდოვის სამოქალაქო კოდექსის 634-636 მუხლები; თურქმენეთის სამოქალაქო კოდექსის 434-436 მუხლები

გარდა აღნიშნულისა, ხელშეკრულების და, ზოგადად, ვალდებულების შეწყვეტის სხვა საფუძვლებია, მაგ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, მიზნის მიღწევა, ე. წ. ფრუსტრაცია.

I. ვალდებულების შესრულება

ვალდებულების შესრულებაზე ჩვენ ზემოთ დეტალურად უკვე ვისაუბრეთ. ამჯერად აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ვალდებულების შეწყვეტას იწვევს არა ვალდებულების ყველანაირი შესრულება, არამედ მხოლოდ ***სათანადო (ჯეროვანი) შესრულება***. გარდა ამისა, შესრულებისათვის საკმარისი არ არის, მოვალემ, თავის მხრივ, ყველაფერი აუცილებელი განახორციელოს. გადამწყვეტია არა შესასრულებელი მოქმედება, არამედ შესრულების შედეგის დადგომა; მხოლოდ ამით არის კრედიტორის ინტერესი განხორციელებული. თუ მოვალემ ნაკისრი ნივთის გადაცემისათვის ყველაფერი გააკეთა, თუმცა, კრედიტორმა იგი არ მიიღო, ვალდებულება არ ითვლება შესრულებულად. კანონი ასეთ შემთხვევაში მოვალის ინტერესებს იცავს კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების წესების დადგენით[57].

კანონი ავალდებულებს კრედიტორს, მოვალის მოთხოვნის საფუძველზე, შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამავე დროს კანონი ითვალისწინებს მნიშვნელოვან უარყოფით შედეგებსაც, კრედიტორის მხრიდან აღნიშნულ ვალდებულებაზე უარის თქმის შემთხვევაში. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 433-ე მუხლის თანახმად, თუ კრედიტორი უარს აცხადებს აღნიშნული დოკუმენტის გაცემაზე, სავალო საბუთის დაბრუნებაზე ან მის გაუქმებაზე ანდა შესრულების შესახებ დოკუმენტში მისი დაბრუნების შეუძლებლობის აღნიშვნაზე ან იმის აღიარებაზე, რომ ვალდებულება შეწყვეტილია, მაშინ მოვალეს უფლება აქვს უარი თქვას შესრულებაზე. ასეთ შემთხვევებში კრედიტორი ჩაითვლება ვადის გადამცილებლად. გარდა ამისა, მოვალე დაცულია კანონით დადგენილი პრეზუმფციითაც, რომლის თანახმადაც, თუ ვალის მიღების შესახებ შედგენილ დოკუმენტში არაფერია ნათქვამი პროცენტის შესახებ, ივარაუდება, რომ პროცენტიც გადახდილია და ფულადი ვალდებულებაც მთლიანად შეწყვეტილია (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი).

II. ნოვაცია

მხარეები ხელშეკრულებით შეიძლება შეთანხმდნენ მათ შორის უკვე არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის გაუქმებისა და ამ უკანასკნელის ადგილზე ახალი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის დადგენის შესახებ. ასეთ შეთანხმებას სამოქალაქო სამართალში ***ნოვაცია*** ეწოდება. თუმცა, ისმის კითხვა: სად, რომელ მუხლში არის ვალდებულების შეწყვეტის ეს საფუძველი გათვალისწინებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსში?

2002 წლამდე ქართული სამოქალაქო სამართლის მეცნიერება ნოვაციის დამდგენ ნორმად მცდარად მიიჩნევდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 428-ე მუხლს, რომლის თავდაპირველი ვერსია შემდეგნაირად ჟღერდა:

"მუხლი 428. ვალდებულების შეწყვეტა ნოვაციით

ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება მაშინაც, როცა კრედიტორი ვალდებულებით გათვალისწინებულის ნაცვლად შესრულებად იღებს სხვა ვალდებულების შესრულებას (ნოვაცია)".

როგორც მუხლის ტექსტიდან ჩანს, მასში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულის ნაცვლად, საუბარია სხვა შესრულების მიღებაზე. ეს მუხლი წარმოადგენს გერმანიის

[57] Brox/Walker - Allgemeines Schuldrecht, 32. Auflage, Verlag C. H. Beck, München, 2007, გვ. 124

სამოქალაქო კოდექსის §364-ის პირველი ნაწილის[58] ანალოგს, მაგრამ არც გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ავტორებს და არც ერთ გერმანელ მეცნიერს თავში არ მოსვლიათ (და არც მოუვათ!) §364-ით დადგენილი ნორმის როგორც ნოვაციის გაგება: გერმანელი მეცნიერები ერთხმად აღიარებენ, რომ ეს პარაგრაფი ადგენს განსაზღვრული შესრულების ნაცვლად ***სხვა შესრულების მიღებას*** და არა ნოვაციას *(Annahme an Erfüllungs statt),* რომელიც ერთი ვალდებულების შეწყვეტასა და მის ადგილას მეორე ვალდებულების წარმოშობას გულისხმობს და გათვალისწინებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §311 1-ლ ნაწილში[59]. 2002 წლის 28 დეკემბრის კანონით კანონმდებლის მიერ აღნიშნული ხარვეზი გასწორდა და 428-ე მუხლი ჩამოყალიბდა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §364-ის პირველი ნაწილის სიტყვასიტყვითი რეცეფციით:

"მუხლი 428. ვალდებულების შეწყვეტა სხვა შესრულების მიღებით

ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება მაშინაც, როდესაც კრედიტორი ამ ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების ნაცვლად შესრულებად იღებს სხვა შესრულებას".

ამდენად, თუ 428-ე მუხლი ნოვაციას არ ადგენს, მაშ სად არის ვალდებულების შეწყვეტის ეს საფუძველი გათვალისწინებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსში?

სამწუხაროდ, მისი დამდგენი ნორმა კოდექსში ***საერთოდ არ არსებობს,*** ვინაიდან გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §311-ის 1-ლი ნაწილის ანალოგიური ნორმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში – 319-ე მუხლი ("კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი") უთითებს მხოლოდ ხელშეკრულების დადებაზე და არა მისი შინაარსის შეცვლაზე, როგორც ეს მითითებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §311-ში ("sowie zur Änderung des Inhalts eines Schuldverhältnisses" – "ისევე, როგორც ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლისათვის").

ვინაიდან ძველი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა ახლით მთლიანად იცვლება, უქმდება ძველი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობისათვის დადგენილი ***საუზრუნველყოფო უფლებები***[60]. ასევე ძველი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, შესაგებლები აღარ არის დასაშვები. გულისხმობდნენ თუ არა მხარეები ნოვაციას, დგინდება შეთანხმების განმარტების შედეგად.

III. დეპონირება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მოვალეს აძლევს საშუალებას, გათავისუფლდეს კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი აყოვნებს შესრულების მიღებას ან მისი ადგილსამყოფელი უცნობია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 434-ე მუხლის თანახმად, მოვალე უფლებამოსილია, შესრულების საგანი შეინახოს სასამართლოში ან ნოტარიატში, ხოლო ფული ან ფასიანი ქაღალდი შეიტანოს ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე.

---

[58] „§ 364 Annahme an Erfüllungs statt
(1) Das Schuldverhältnis erlischt, wenn der Gläubiger eine andere als die geschuldete Leistung an Erfüllungs statt annimmt".

[59] "Zur Begründung eines Schuldverhältnisses durch Rechtsgeschäft sowie zur Änderung des Inhalts eines Schuldverhältnisses ist ein Vertrag zwischen den Beteiligten erforderlich, soweit nicht das Gesetz ein anderes vorschreibt" ("ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის გარიგების საფუძველზე დადგენილისათვის ისევე, როგორც ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შეცვლისათვის, საჭიროა მონაწილეთა შორის ხელშეკრულების დადება, თუ კანონი სხვაგვარად არ ითვალისწინებს"). გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §311 1-ლი ნაწილი შეესაბამება კოდექსის ძველი რედაქციის §305

[60] მოლდოვის სამოქალაქო კოდექსის 665-ე მუხლის თანახმად, ნოვაციის დროს ვალდებულების აქცესორული უფლებები არ წყდება, თუ მხარეები ამის თაობაზე ახალ ხელშეკრულებაში პირდაპირ თანხმდებიან

დეპონირებით ვალდებულებისაგან გათავისუფლებისათვის საჭიროა არსებობდეს დეპონირების საფუძველი, ხოლო თავად გადასაცემი საგანი უნდა იყოს ***შესანახად ვარგისი (დეპონირებაუნარიანი).*** დეპონირების საფუძვლებია:

ა) კრედიტორის მიერ ვალდებულების მიღების ვადის გადაცილება;

ბ) კრედიტორის ადგილსამყოფელის შესახებ ცნობების არარსებობა.

დეპონირებით ვალდებულებისაგან გათავისუფლებისას ყველანაირი საგნის გადაცემა არ შეიძლება. გადასაცემი საგანი ვარგისი უნდა იყოს შენახვისათვის. დეპონირებაუნარიანად კანონი ასახელებს, უპირველეს ყოვლისა, ფულს, ფასიან ქაღალდებს, თუმცა, ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. მაგ., დეპონირებაუნარია ასევე ძვირფასეულობაც, ძვირფასი ლითონები, ქვები და ა. შ.. შენახვასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ეკისრება კრედიტორს.

სასამართლო ან ნოტარიუსი შეარჩევს შემნახველს, დოკუმენტებს კი თავისთან იტოვებს. ამის შემდეგ სასამართლო ან ნოტარიუსი შესრულების საგნის შესანახად მიღების შესახებ ატყობინებს კრედიტორს და მოითხოვს მისგან საგნის მიღებას. სასამართლო ან ნოტარიუსი შესრულების საგანს ინახავს სამ წლამდე ვადით. თუ ამ ვადის განმავლობაში კრედიტორი არ მიიღებს საგანს, ამის შესახებ ეცნობება მოვალეს და მოეთხოვება ჩაბარებული საგნის უკან დაბრუნება. თუ დაბრუნებისათვის საჭირო ვადის განმავლობაში მოვალე არ მიიღებს საგანს, მაშინ იგი ჩაითვლება სახელმწიფო ქონებად (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 441-ე მუხლი).

დეპონირებას ადგილი არა აქვს, როდესაც მოვალე უკან ითხოვს შესანახად გადაცემულ საგანს. მოვალეს უფლება აქვს შენახული საგანი კრედიტორის მიერ მის მიღებამდე უკანვე მოითხოვოს, თუ მან თავიდანვე უარი არა თქვა უკან დაბრუნებაზე. გარდა ამისა, მოვალეს შეუძლია ჩაბარებული საგანი უკან დაიბრუნოს, თუ კრედიტორი უარს ამბობს მასზე, ან თუ გავიდა 3-წლიანი ვადა. თუ მოვალე საგანს უკან იბრუნებს, მაშინ შენახვის ხარჯებიც მასვე ეკისრება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 440-ე მუხლი).

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ დეპონირებას ქართულ სინამდვილეში პრაქტიკული ***გამოყენება თითქმის არა აქვს***, რის მიზეზსაც, მნიშვნელოვანწილად, წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოცემული დეპონირების მომწესრიგებელი ნორმების მეტად ფორმალური ხასიათი.

IV. ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა (გაქვითვა)

ა. გაქვითვის ცნება და იურიდიული ბუნება

განსხვავებით დეპონირებისაგან, ***ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვას*** პრაქტიკაში ხშირად აქვს ადგილი. ეს ის შემთხვევებია, როდესაც ორ პირს ერთმანეთის მიმართ სხვადასხვა საფუძვლებიდან აქვს როგორც მოთხოვნა, ისე ეკისრება ვალდებულება. მაგალითად, ინტერნეტ-პროვაიდერს დადებული აქვს იჯარის (ქირავნობის) ხელშეკრულება სატელეფონო კომპანია "ტელეკომთან", ამ უკანასკნელის ქსელის ნაწილის გამოყენების შესახებ. ამ ხელშეკრულებით იგი ვალდებულია ყოველთვიურად ქირის სახით გამქირავებელს უხადოს 2000 ლარი. ერთდროულად მხარეთა შორის დაიდო ინტერნეტპროვაიდერის მიერ "ტელეკომის" ინტერნეტის ქსელში ჩართვის მომსახურების ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მომსახურების მიმღები ვალდებულია, ინტერნეტპროვაიდერს გადაუხადოს მომსახურების საზღაური 500 ლარის ოდენობით. შესაბამისად, სახეზეა მხარეთა შორის ურთიერთმოთხოვნები.

თუმცა, მხოლოდ ურთიერთმოთხოვნების მდგომარეობის არსებობა არ არის საკმარისი ამ მოთხოვნების გაქვითვისათვის. აუცილებელია ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის ***შეტყობინების*** წარდგენა. ამდენად, ვალდებულებათა გაქვითვა ხორციელდება ნებისმიერი მხარის ცალმხრივი ნების გამოვლენის – გარიგების საფუძველზე, რომელიც უნდა მიუვიდეს მეორე მხარეს. აღნიშნული (ცალმხრივად განცხადებული) გაქვითვა უნდა განვასხვავოთ ***ორმხრივი მოთხოვნების ჩათვლის შესახებ შეთანხმებისაგან,*** რომელიც სამოქალაქო კანონმდებლობით სპეციალურად არ არის მოწესრიგებული, თუმცა, სამართლებრივად შესაძლებელი და დასაშვებია, ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე. გაქვითვის შესახებ მიღებასავალდებულო ნების გამოვლენის მეშვეობით მოთხოვნა წყდება. გაქვითვის განმახორციელებელი განკარგავს თავის მოთხოვნას[61].

[61] Brox/Walker, დასახელებული ნაშრომი, გვერდები 135-138

ბ. გაქვითვის წინაპირობები

გაქვითვის წინაპირობებია:

1. მოთხოვნათა ურთიერთმხრივობა

მოთხოვნები უნდა არსებობდეს ერთი და იმავე პირებს შორის: მონაწილეთა შორის ყოველი მათგანი ერთდროულად უნდა იყოს ***კრედიტორიცა და მოვალეც***. უმეტესწილად, გაქვითვის განმახორციელებლის მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნას იურიდიულ ლიტერატურაში უწოდებენ ***მთავარ მოთხოვნას (პასიურ მოთხოვნას),*** ხოლო იმ მხარის მოთხოვნას, რომლითაც ხდება გაქვითვა, – ***საწინააღმდეგო მოთხოვნა (აქტიური მოთხოვნა)***[62];

2. მოთხოვნათა ერთგვაროვნება

გასაქვითი მოთხოვნები ***ერთგვაროვანი*** უნდა იყოს; მაგ., ფულადი მოთხოვნის გაქვითვა ხდება ასევე ფულადი მოთხოვნის მიმართ. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ გაქვითვისათვის ვარგისია მხოლოდ გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთების გადაცემის ვალდებულებები[63];

3. გასაქვითი მოთხოვნების არსებობა – მოთხოვნის ვადამოსულობა

გასაქვითი მოთხოვნები უნდა არსებობდეს ანუ იყოს ***ვადამოსული***. კანონის ეს მოთხოვნა ლოგიკურია, ვინაიდან პირმა არ შეიძლება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს მოთხოვნა, თუ იგი ჯერ არ არის წარმოშობილი. ამ წესიდან არსებობს გამონაკლისი. კერძოდ, ვალდებულებათა გაქვითვა დასაშვებია მაშინაც, როდესაც ერთ-ერთი მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, თუმცა, ამ მოთხოვნის უფლების მქონე მხარს უჭერს გაქვითვას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლი). შესაძლებელია ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა განხორციელდეს მაშინაც, როდესაც გასაქვითი მოთხოვნები ***მთლიანად ვერ ფარავს ერთმანეთს.*** ამ შემთხვევაში, იქვითება მხოლოდ ის მოთხოვნა, რომლის მოცულობაც ნაკლებია მეორე მოთხოვნის მოცულობაზე. მოთხოვნის ხანდაზმულობა არ გამორიცხავს ვალდებულებათა გაქვითვას, თუ მოთხოვნა იმ დროისათვის არ იყო ხანდაზმული, როცა მისი გაქვითვა ჯერ კიდევ შეიძლებოდა. გაქვითვა დასაშვებია იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხელშეკრულების იმ მხარეს, რომელსაც ეცნობა გაქვითვის შესახებ, აქვს ***რამდენიმე*** გასაქვითი მოთხოვნა. ამ დროს გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლის წესები, რომლებიც ზემოთ უკვე მიმოვიხილეთ.

გ. გაქვითვის სამართლებრივი შედეგები

იურიდიულ მეცნიერებაში აღიარებული მოსაზრებით გაქვითვის შემთხვევაში მოთხოვნის შეწყვეტა ხდება ***უკუქცევითი შედეგით***. იმდენად, რამდენადაც მოთხოვნები იფარება, ისინი ითვლება შეწყვეტილად იმ მომენტში, როდესაც ხდება მათი როგორც გაქვითვისათვის ვარგისი მოთხოვნების საპირისპიროდ დადგენა. ამით გაქვითვის მომენტი დაკავშირებულია არა განცხადების გაკეთების, არამედ – ***გაქვითვის მდგომარეობის მომენტთან***[64].

განსაზღვრულ შემთხვევებში, კანონი ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვას საერთოდაც ***დაუშვებლად*** მიიჩნევს. კერძოდ, მოთხოვნათა გაქვითვა დაუშვებელია:

- თუ მოთხოვნათა გაქვითვა შეთანხმებით წინასწარ იყო გამორიცხული;
- თუ ვალდებულების საგანზე არ შეიძლება გადახდევინების მიქცევა ან ვალდებულების საგანს შეადგენს სარჩო;
- თუ ვალდებულება ითვალისწინებს იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც გამოწვეულია ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებით ან გარდაცვალებით;
- კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში[65]. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 წინადადების თანახმად, ვალის გადაკისრების დროს ახალ მოვალეს არა აქვს უფლება გაქვითოს ის მოთხოვნები, რომლებიც თავდაპირველ მოვალეს ეკუთვნოდა.

---

[62] Brox/Walker, იქვე

[63] Brox/Walker, იქვე

[64] Brox/Walker, იქვე

[65] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 447-ე მუხლი

V. ვალის პატიება

ა. ვალის პატიების ცნება და იურიდიული ბუნება

ვალის პატიება არ არის ცალმხრივი აქტი (ცალმხრივი გარიგება) მოთხოვნის მფლობელის – კრედიტორის მხრიდან. ვალის პატიება მხარეთა შორის შეთანხმებაა – ***ხელშეკრულებაა***, რომლის თანახმადაც კრედიტორი მოვალეს ათავისუფლებს ვალდებულებისაგან. შესაბამისად, ამ უკანასკნელის შესაბამისი ნების გამოვლენა – აქცეპტი აუცილებელია. თუმცა, კრედიტორის მიერ ვალის პატიების შეთავაზებაზე მოვალის სიჩუმე ხშირად შეიძლება ჩაითვალოს კონკლუდენტურ აქცეპტად, რომლითაც მოვალე ვალის პატიებაზე აცხადებს თანხმობას[66].

ვალის პატიება თავისი სამართლებრივი ბუნებით წარმოადგენს ***განკარგვით ხელშეკრულებას***; მისი მეშვეობით, კერძოდ, უქმდება კრედიტორის უფლება. იგი ***აბსტრაქტული ხელშეკრულებაა*** და ამდენად დამოუკიდებელია მის საფუძვლად არსებული გარიგებისაგან (რომელიც, როგორც წესი, ჩუქებაა). თუ ეს უკანასკნელი ბათილია, ეს არ მოქმედებს ვალის პატიების ნამდვილობაზე; კრედიტორს აქვს მოთხოვნის უფლება, უსაფუძვლო გამდიდრების უკან გამოთხოვის წესებიდან გამომდინარე. რა თქმა უნდა, მხარეებს შეუძლიათ ვალის პატიების ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებული გახადონ კაუზალური ხელშეკრულების ნამდვილობაზე[67].

ბ. ვალის პატიების განსხვავება ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის გაუქმების შესახებ ხელშეკრულებისაგან

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ, ერთი მხრივ, ვალის პატიების შესახებ ხელშეკრულება და, მეორე მხრივ, ***ხელშეკრულება ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის გაუქმების შესახებ***. პირველ შემთხვევაში, წყდება (ერთი) მოთხოვნა (მოთხოვნა, რომელსაც პატიებს კრედიტორი მოვალეს). მეორე შემთხვევაში (მთლიანად) უქმდება ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა.

გ. ვალის პატიების სამართლებრივი შედეგები სოლიდარული და თავდებობით უზრუნველყოფილი ვალდებულებების შემთხვევაში

ვალის პატიება ***ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისათვის*** ათავისუფლებს სხვა სოლიდარულ მოვალეებსაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კრედიტორი მათ მიმართ მოთხოვნას იტოვებს. ამ შემთხვევაში, კრედიტორს შეუძლია დარჩენილი სოლიდარული მოვალეების მიმართ მხოლოდ ერთი მოთხოვნა გამოიყენოს განთავისუფლებული მოვალის წილის გამოკლებით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 449-ე მუხლი).

ვალის პატიება ძირითადი მოვალისათვის ***ათავისუფლებს თავდებ პირებსაც***. თავდების განთავისუფლება ვალის გადახდისაგან არ ათავისუფლებს ძირითად მოვალეს ვალდებულების შესრულებისაგან. ერთ-ერთი თავდების განთავისუფლება ვალის გადახდისაგან ათავისუფლებს სხვა თავდებ პირებსაც (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 450-ე მუხლი). ვალის პატიება არ უნდა გავაიგივოთ ორმხრივ ხელშეკრულებებში ერთ-ერთი მხარის მიერ თავის მოთხოვნაზე უარის თქმასთან. ეს უკანასკნელი არ იწვევს ვალდებულების შეწყვეტას. აღნიშნულმა მხარემ უნდა შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებები, ვიდრე მეორე მხარესაც არ უთქვამს უარი თავის მოთხოვნაზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 451-ე მუხლი).

VI. კონფუზია

კონფუზია – მოვალისა და კრედიტორის ერთსა და იმავე პირად აღმოჩენა – უნდა განვასხვაოთ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვისაგან. თუ გაქვითვის დროს იქვითება 2 მოთხოვნა, კონფუზიის დროს წყდება ერთი ვალდებულება. მაგალითად, ზემოთ აღნიშნულ მაგალითში სატელეფონო კომპანია "ტელეკომს" მიუერთდა (განხორციელდა იურიდიული პირის რეორგანიზაცია) ინტერნეტ-პროვაიდერი. მიერთების შედეგად ინტერნეტპროვაიდერის მოთხოვნები სატელეფონო კომპანია "ტელეკომის" მიმართ გადავიდა ამ უკანასკნელზე და, შესაბამისად, გაუქმდა, ხოლო ვალდებულება შეწყდა, ვინაიდან ვალდებულებით-სამართლებრივ

[66] Brox/Walker, დასახელებული ნაშრომი, გვ. 143
[67] Brox/Walker, იქვე

ურთიერთობაში, რომელიც წარმოადგენდა მოთხოვნის საფუძველს, მოვალე და კრედიტორი ერთი და იგივე პირი აღმოჩნდა.

კონფუზიის დროს მოთხოვნა არ წყდება, როდესაც ***საქმე ეხება სხვა პირის უფლებებს.*** მაგალითად, მოთხოვნაზე არსებობს მესამე პირის გირავნობის უფლება[68]. შესაბამისი ნორმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არ არსებობს, თუმცა, ასეთს ვხვდებით, მაგ., იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1254-ე მუხლში, სადაც აღნიშნულია: "კონფუზია არ მოქმედებს მესამე პირთა უფლებების საზიანოდ, რომლებმაც მოთხოვნაზე შეიძინეს უზუფრუქტის (978 და შემდ.) ან გირავნობის (2800) უფლებები".

VII. მოვალის ან კრედიტორის გარდაცვალება და იურიდიული პირის გაუქმება

ფიზიკური პირი მოვალის ან კრედიტორის გარდაცვალება ყოველთვის არ იწვევს ვალდებულების შეწყვეტას. საწინააღმდეგოს დაშვებით კრედიტორების ინტერესები აბსოლუტურად დაუცველი იქნებოდა, მოვალის გარდაცვალების შემთხვევაში. მოვალის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესრულება შეუძლებელია მოვალის პირადი მონაწილეობის გარეშე. მაგალითად, გარდაიცვალა დურგალი, რომელსაც უნდა შეესრულებინა ინდივიდუალური შეკვეთა. კრედიტორის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას იმ შემთხვევაში, თუ შესრულება გათვალისწინებული იყო პირადად კრედიტორისათვის (მაგალითად, გარდაიცვალა პატარძალი, ვისთვისაც უნდა შეკერილიყო საპატარძლო კაბა).

განსხვავებით ფიზიკური პირი მოვალისაგან ან კრედიტორისაგან, მოვალე ან კრედიტორი ***იურიდიული პირის გაუქმება*** ყოველთვის იწვევს ვალდებულების შეწყვეტას.

VIII. ვალდებულების შეწყვეტის სხვა საფუძვლები

ა. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა

ვალდებულება წყდება, როდესაც მისი შესრულება ***ობიექტურად და საბოლოოდ შეუძლებელია (ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა).*** მაგალითად, შეპირებული ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთი განადგურდა მისი აღდგენის შესაძლებლობის გარეშე. თუ ვალდებულების შესრულება შეუძლებელია მხოლოდ ნაწილობრივ, მოვალე არ თავისუფლდება მთლიანად ვალდებულებისაგან, არამედ მხოლოდ მის შეუძლებელ ნაწილში. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის საფუძვლების შესახებ დეტალურად ზემოთ VII თავში – "ხელშეკრულების და ზოგადად ვალდებულების შესრულება" – გვქონდა საუბარი.

ბ. მიზნის მიღწევა

მიზნის მიღწევის დროს, მართალია, მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებისაკენ მიმართული ქმედების განხორციელება შესაძლებელია, თუმცა, შესრულების მიზანი ვერ მიიღწევა, ვინაიდან იგი უკვე იქნა მიღწეული მოვალის მონაწილეობის გარეშე. მაგალითად, ექიმის მიერ პაციენტის გასინჯვამდე და შესაბამისი მკურნალობის დანიშვნამდე ეს უკანასკნელი გამოჯანმრთელდა თვითმკურნალობის შედეგად. შეუძლებლობისაგან მიზნის მიღწევა განსხვავდება იმით, რომ მოვალე ვალდებულების შესრულებისათვის მზადაა და მას მისი განხორციელება შეუძლია; თუმცა, მოვალის მიერ მისი შესრულება აზრსმოკლებულია, ვინაიდან ხელშეკრულებით დასახული მიზანი სხვაგვარად იქნა მიღწეული. შეუძლებლობისაგან განსხვავებით, მიზნის მიღწევის შემთხვევაში, კრედიტორის ინტერესი დაკმაყოფილებულია[69].

გ. ფრუსტრაცია

ფრუსტრაციის შემთხვევაში, მოვალეს შეეძლო ვალდებულების შესრულებისკენ მიმართული მოქმედების შესრულება, თუმცა, ის ობიექტი, რომლის მიმართაც უნდა განხორციელებულიყო ნაკისრი შესრულება, აღარ არსებობს[70] (მაგ., ექიმის მიერ პაციენტისათვის მკურნალობის დანიშვნამდე ეს უკანასკნელი გარდაიცვალა).

---

[68] Brox/Walker, დასახელებული ნაშრომი, გვ. 145
[69] Brox/Walker, დასახელებული ნაშრომი, გვ. 146
[70] Brox/Walker, დასახელებული ნაშრომი, გვ. 147

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. დაასახელეთ ვალდებულების შეწყვეტის საფუძვლები;
2. რა არის ნოვაცია?
3. დაასახელეთ დეპონირების საფუძვლები;
4. საჭიროა თუ არა გაქვითვისათვის მხარეთა შეთანხმება?
5. დაასახელეთ გაქვითვის წინაპირობები;
6. როგორია გაქვითვის სამართლებრივი შედეგები?
7. ვალის პატიება ცალმხრივი გარიგებაა თუ ხელშეკრულება?
8. როგორია ვალის პატიების გარიგების იურიდიული ბუნება?
9. რით განსხვავდება კონფუზია ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვისაგან?
10. ყოველთვის იწვევს თუ არა ფიზიკური პირი მოვალის ან კრედიტორის გარდაცვალება ვალდებულების შეწყვეტას?
11. დაასახელეთ ვალდებულების შეწყვეტის სხვა საფუძვლები.

კერძო ნაწილი

11. ნასყიდობის ხელშეკრულება

I. ზოგადი დებულებები

ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი ვალდებულია, მყიდველს გადასცეს საკუთრების უფლება ქონებაზე, ხოლო მყიდველი ვალდებულია გამყიდველს გადაუხადოს ნასყიდობის ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება.

ნასყიდობის ხელშეკრულებაში 2 მხარეა – ***გამყიდველი და მყიდველი.*** თავისი სამართლებრივი ბუნებით ნასყიდობის ხელშეკრულება ***ორმხრივი, კონსენსუალური და სასყიდლიანი*** ხელშეკრულებაა.

ნასყიდობის ხელშეკრულების არსებითი პირობაა ***ნასყიდობის საგანი.*** იგი შეიძლება იყოს როგორც მოძრავი და უძრავი ნივთი, ასევე მოთხოვნა და უფლება, რომლებიც ექვემდებარება სხვა პირებისათვის გადაცემას. ნასყიდობის საგანი, როგორც წესი, უნდა არსებობდეს ხელშეკრულების დადების დროს. თუმცა, იგი შეიძლება იყოს ***მომავალი ნივთიც*** (მაგ., ნივთი, რომელსაც მოვალე მომავალში შეიძენს). ხელშეკრულების დადების მომენტში მისი არარსებობა არ იწვევს ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობას. ნასყიდობის საგანი ზუსტად უნდა იყოს ***განსაზღვრული*** მხარეთა მიერ ან იგი, სულ ცოტა, უნდა იყოს ***განსაზღვრებადი*** ანუ შესაძლებელი იყოს მისი იდენტიფიცირება მხარეთა მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მომენტში.

ნასყიდობის საგნის მსგავსად, ნასყიდობის ხელშეკრულების არსებითი პირობაა ***ნასყიდობის ფასი***. ამ უკანასკნელის ოდენობა ასევე ზუსტად უნდა იქნეს მითითებული ხელშეკრულებაში. მხარეებმა უნდა მიუთითონ, აგრეთვე, ფასის გადახდის წესიც. მაგალითად, ნასყიდობის ფასის გადახდა შეიძლება განხორციელდეს როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორების წესით გამყიდველის კუთვნილ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით. კანონი დასაშვებად მიიჩნევს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეებმა ნასყიდობის ფასი პირდაპირ არ მიუთითონ ხელშეკრულებაში, თუმცა, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ მისი განსაზღვრის საშუალებებზე. მაგალითად, საყოფაცხოვრებო საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ,

რომ ნასყიდობის ფასი განისაზღვრება მყიდველის მიერ საქონლის ყოველი პარტიის მიღების დღისათვის, ბაზარზე არსებული სარეალიზაციო ფასის მიხედვით.

ნასყიდობის ხელშეკრულების ***ფორმა*** დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის ქონებაა ნასყიდობის საგანი – უძრავი თუ მოძრავი ქონება. უძრავი ნივთების გადაცემისათვის აუცილებელია მხარეთა შორის ხელშეკრულების წერილობითი ფორმით დადება და შემძენი პირის მესაკუთრედ რეგისტრაცია საჯარო რეესტრში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი). ამდენად, თუ ნასყიდობის საგანია უძრავი ნივთი ან უძრავ ნივთთან დაკავშირებული მოთხოვნა ან უფლება, ნასყიდობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. ამასთან, სამოქალაქო კოდექსში უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული ცვლილების თანახმად, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეძენის შემთხვევაში აუცილებელია, უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასის გადახდა განხორციელდეს საბანკო დაწესებულების მეშვეობით უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. აღნიშნული ვალდებულება მოქმედებს ნასყიდობის საფასურის ფულადი თანხით გადახდისას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხდება ფასის ეტაპობრივი გადახდა. თუ ნასყიდობის საგანია მოძრავი ნივთი ან მოძრავ ნივთთან დაკავშირებული მოთხოვნა ან უფლება, ნასყიდობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ნებისმიერი ფორმით (ზეპირად, წერილობით). ზოგიერთ შემთხვევაში, კანონი პირდაპირ მიუთითებს ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმაზე. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 506-ე მუხლის თანახმად, განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით.

II. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

გამყიდველმა საკუთრების უფლების გადაცემის ვალდებულების შესრულების მიზნით, ნასყიდობის საგანი უნდა მიაწოდოს მყიდველს. ხშირ შემთხვევაში, ***მიწოდება დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯთან***. ისმის კითხვა: ვის ეკისრება ამ ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება?

ეს საკითხი განსხვავებულად წყდება იმისდა მიხედვით, ნასყიდობის საგანი უძრავი თუ მოძრავი ქონებაა. უძრავი ქონების ნასყიდობისას ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯების ანაზღაურება ეკისრება გამყიდველს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მოძრავი ქონების ნასყიდობისას ნასყიდობის საგნის მიწოდებასთან დაკავშირებული ხარჯები, კერძოდ, აწონის, გაზომვისა და შეფუთვის ხარჯები ასევე ეკისრება გამყიდველს, ხოლო ხელშეკრულების დადების ადგილიდან სხვა ადგილზე საქონლის მიღებისა და გადაგზავნის ხარჯები – მყიდველს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. გამყიდველს სხვა ვალდებულებებიც ეკისრება საქონლის მიწოდებისას, კერძოდ, თუ გამყიდველი ხელშეკრულებით გადამზიდველს გადასცემს საქონელს და ეს საქონელი არც ამოსაცნობი ნიშნით, არც გადაზიდვისათვის საჭირო საბუთებით და არც სხვა რაიმე საშუალებით არ არის გამოკვეთილად აღნიშნული, მაშინ გამყიდველმა უნდა შეატყობინოს მყიდველს საქონლის გადაგზავნის თაობაზე და, ამასთანავე, გაუგზავნოს ტვირთის დაწვრილებითი ჩამონათვალი. თუ გამყიდველს ევალება საქონლის გაგზავნა, მან უნდა დადოს ხელშეკრულებები, რომლებიც აუცილებელია ტვირთის დათქმულ ადგილზე გადაზიდვისა და ასეთი გადაზიდვისათვის ჩვეული პირობებისათვის. თუ გამყიდველი არ არის ვალდებული დააზღვიოს ტვირთი ტრანსპორტირებისას, მაშინ მან მყიდველის თხოვნით უნდა გადასცეს მას, მის ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია დაზღვევის ასეთი ხელშეკრულების გაფორმებისათვის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 480-ე მუხლი).

ნასყიდობისას ნასყიდობის საგნის გადაცემის მომენტის დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკაში; ნასყიდობის საგნის გადაცემის მომენტიდან გადადის ნივთის ***შემთხვევითი დაღუპვის ან გაფუჭების რისკი.*** მაგალითად, 200 კვ.მ მზა პარკეტის ნასყიდობის ხელშეკრულებით ნივთის

შემთხვევით დაღუპვის ან გაფუჭების რისკი მყიდველზე გადადის პარკეტის ყოველი პარტიის მიწოდების (მფლობელობაში გადაცემის) მომენტიდან. თუმცა, კანონით გათვალისწინებული აღნიშნული წესი დისპოზიციული ნორმაა და იგი შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით. მაგალითად, იმავე პარკეტის ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ იმაზე, რომ 200 კვ.მ მზა პარკეტზე შემთხვევითი დაღუპვის ან გაფუჭების რისკი გადავიდეს ხელშეკრულების დადებისთანავე.

როგორი ქონება უნდა გადასცეს გამყიდველმა მყიდველს?

ამ შემთხვევაში, კანონი ადგენს განსხვავებულ წესს იმისდა მიხედვით, ნასყიდობის საგანს წარმოადგენს ნივთი თუ მოთხოვნა და უფლება. როდესაც ნასყიდობის საგანია ნივთი, გამყიდველს ეკისრება ვალდებულება, მყიდველს გადასცეს ***ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი***. თუ ნასყიდობის საგანს წარმოადგენს მოთხოვნა და უფლება, გამყიდველი პასუხისმგებელია ამ ***უფლების ნამდვილობის დასაბუთებასა და გადაცემის ხარჯებისათვის.***

როგორი ნივთი იგულისხმება კანონის მიერ ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლოდ?

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 488-ე მუხლის თანახმად, ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი ***შეთანხმებული ხარისხისაა***. მაგალითად, ავტომანქანა Opel-ის ნასყიდობის ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ ავტომანქანა იქნებოდა ქარხნული სტანდარტის შესაბამისი. თუ ხარისხი წინასწარ არ არის შეთანხმებული, მაშინ ნივთი უნაკლოდ ჩაითვლება, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. იგივე ავტომანქანა Opel-ის მაგალითზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ ავტომანქანა ვარგისია სარგებლობის მინიმალური მოთხოვნებისათვის. ნაკლს უთანაბრდება, თუ გამყიდველი გადასცემს ნივთის მხოლოდ ერთ ნაწილს, სხვა ნივთს, საქონელს მცირე რაოდენობით ან თუ ნივთის ერთი ნაწილი ნაკლის მქონეა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაკლი არსებით გავლენას ვერ მოახდენს შესრულებაზე. მაგალითად, ნაკლის მქონე ნივთის მიწოდებად ჩაითვლება, თუ სამშენებლო მასალების მიმწოდებელი და სამშენებლო კომპანიები შეთანხმდნენ 2000 ცალი არმატურის მიწოდებაზე, ხელშეკრულების დადებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, მაგრამ ამ ვადაში მიმწოდებელმა კომპანიამ უზრუნველყო მხოლოდ 500 ცალი არმატურის ხელშეკრულებაში მითითებულ საწყობში შეტანა; ან, ანალოგიურ შემთხვევაში, მიმწოდებელმა კომპანიამ სამშენებლო კომპანიას არმატურის ნაცვლად მიაწოდა რკინის მილები.

ნივთი უფლებრივად უნაკლოა, თუ ***მესამე პირს არ შეუძლია მყიდველს განუცხადოს პრეტენზია*** თავისი უფლებების გამო. უფლებრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია არარსებული უფლება.

რა ვალდებულებები ეკისრება გამყიდველს იმ შემთხვევაში, თუ გაყიდული ნივთი აღმოჩნდა ნაკლის მქონე?

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 490-ე მუხლის თანახმად, თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა ან უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი ან, თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს, ნივთი შეცვალოს საამისოდ აუცილებელ ვადაში. გამყიდველს ეკისრება ნაკლის გამოსწორებისათვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება, მათ შორის, ტრანსპორტირების, გზის, სამუშაოს შესრულებისა და მასალის ღირებულების ხარჯები. გამყიდველს შეუძლია უარი თქვას როგორც ნაკლის გამოსწორებაზე, ასევე ნივთის შეცვლაზე, თუ ეს მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს. თუ გამყიდველი ნაკლის გამოსწორების მიზნით, მყიდველს გადასცემს უნაკლო ნივთს, მაშინ მას შეუძლია მყიდველს მოსთხოვოს ნაკლის მქონე ნივთის უკან დაბრუნება.

რა მოთხოვნის უფლებები აქვს მყიდველს, თუ იგი არ ითხოვს ნივთის ნაკლის გამოსწორებას ან მის ახალი ნივთით შეცვლას?

მყიდველს შეუძლია მოითხოვოს ***ფასის შემცირება*** იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული ფასი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 492-ე მუხლი). გარდა ამისა, მყიდველს უფლება აქვს ***უარი თქვას საქონლის მიღებაზე***, თუ გამყიდველმა მას მიაწოდა საქონელი იმაზე ნაკლები

რაოდენობით, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. თუ მყიდველი მიიღებს ასეთ საქონელს, მაშინ ფასს გადაიხდის სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად. თუ საქონლის რაოდენობა აღემატება ხელშეკრულებით გათვალისწინებულს, მაშინ მყიდველს შეუძლია მიიღოს ეს რაოდენობა და ვალდებულია გადაიხადოს სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად ან მიიღოს მხოლოდ ის რაოდენობა, რაც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული, ხოლო ზედმეტი დააბრუნოს უკან გამყიდველის ხარჯზე. დასასრულ, მყიდველს საერთოდაც შეუძლია უარი განაცხადოს ნასყიდობის ხელშეკრულებაზე. ამ შემთხვევაში, მხარეები უბრუნდებიან ხელშეკრულების დადებამდე არსებულ მდგომარეობას და მიღებული შესრულება და სარგებელი ხელშეკრულების მხარეებს უბრუნდებათ. ამავე დროს გამყიდველმა მყიდველს უნდა აუნაზღაუროს ამ უკანასკნელის მიერ გაწეული დანახარჯები. თუ ნივთის ნაკლის ან ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობების დარღვევის გამო, მყიდველს მიადგება კონკრეტული ზიანი, გამყიდველს დაეკისრება ამ ზიანის ანაზღაურება. კანონი ადგენს ერთადერთ საფუძველს, რომლის არსებობისას, ნივთის ნაკლის გამო, მყიდველს არ წარმოეშობა რაიმე მოთხოვნის უფლება. ეს ის შემთხვევებია, როდესაც ხელშეკრულების დადების მომენტში მყიდველმა იცოდა ნივთის ნაკლის შესახებ.

ნასყიდობის საგნის ხარისხის მხრივ კანონი ითვალისწინებს სპეციალურ მოწესრიგებას, ***უფლების გაყიდვის შემთხვევებისათვის***. კერძოდ, გამყიდველს ეკისრება ამ უფლების ნამდვილობის დასაბუთებისა და გადაცემის ხარჯები. გარდა ამისა, თუ უფლების საფუძველზე პირს ენიჭება ნივთის ფლობის უფლებამოსილება, მაშინ გამყიდველი ვალდებულია, მყიდველს გადასცეს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 498-ე მუხლი).

ნაყიდი ნივთის ხარისხის შემოწმების სპეციალური ვალდებულება ეკისრება მყიდველს იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ***მეწარმე სუბიექტია***. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 495-ე მუხლის თანახმად, თუ მყიდველი მეწარმეა, ის ვალდებულია დაუყოვნებლივ შეამოწმოს ნივთი; თუ იგი ნაკლის აღმოჩენიდან შესაბამის ვადაში ან იმ ვადაში, რომლის განმავლობაშიც ცნობილი უნდა ყოფილიყო მისთვის ნაკლის არსებობა, გამყიდველს არ წარუდგენს პრეტენზიას, მას ერთმევა ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის უფლება. ერთადერთ გარემოებას, რის საფუძველზეც მეწარმე სუბიექტი თავისუფლდება ნაყიდი ნივთის დაუყოვნებლივ შემოწმების ვალდებულებისაგან, წარმოადგენს გამყიდველის ნივთის ნაკლის განზრახ დაფარვა.

მხარეებმა შეთანხმებით შეიძლება შეზღუდონ ან საერთოდ გამორიცხონ გამყიდველის პასუხისმგებლობა ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას, თუმცა, ასეთი შეთანხმება ბათილი იქნება, თუ გამყიდველი განზრახ დუმდა ნივთის ნაკლის შესახებ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 497-ე მუხლი).

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მყიდველის უმთავრესი ვალდებულებაა, გამყიდველს გადაუხადოს ნასყიდობის ფასი და მიიღოს ნაყიდი ნივთი. რა მოქმედება ჩაითვლება ნივთის მიღებად?

ეს, უპირველეს ყოვლისა, ნასყიდობის ხელშეკრულებით განისაზღვრება; პრაქტიკაში ძალიან ხშირია მხარეთა შორის ***მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება,*** სადაც მხარეები ადასტურებენ ნივთის რეალურ გადაცემას და მის მიღებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს ნივთის მიღების პრეზუმფციასაც, ანუ ადგენს ისეთ გარემოებებს, როდესაც ნივთი მიღებულად ჩაითვლება. კერძოდ, ნასყიდობის საგანი მიღებულად ჩაითვლება, თუ მყიდველი შეასრულებს ისეთ მოქმედებას, რომელიც მოწმობს მის მიღებას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 483-ე მუხლი). მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებაში მხარეებმა შეიძლება გაითვალისწინონ, რომ მყიდველის მიერ ნივთის მიღება დადასტურდეს, ამ უკანასკნელის მიერ გამყიდველისათვის გაგზავნილი მიღების შესახებ წერილობითი დასტურით, ან მიღება დადასტურდეს შესაბამისი საბაჟო დოკუმენტაციის გაფორმებით და სხვა. რა სამართლებრივი შედეგები დგება იმ შემთხვევებში, როდესაც მყიდველი შეთანხმებულ ვადაში არ მიიღებს ნასყიდობის საგანს ან არ გადაიხდის ნასყიდობის ფასს?

სამართლებრივი თვალსაზრისით, სახეზეა მყიდველის მხრიდან მასზე დაკისრებული ***ვალდებულების შეუსრულებლობა***, თუმცა, ამ შემთხვევისათვის, მიუხედავად დარღვევისა, კანონი მაინც ითვალისწინებს გამყიდველის ვალდებულებას, გარკვეული ვადის განმავლობაში უზრუნველყოს გაყიდული ნივთის ***შენახვა***. კანონი აქვე იცავს გამყიდველის ინტერესებს და ადგენს, რომ მას უფლება აქვს დაიტოვოს ნივთი ან დააკავოს გზაში მანამ, ვიდრე მყიდველი არ აუნაზღაურებს შესაბამის ხარჯებს. ნივთის შენახვის ვალდებულება ეკისრება მყიდველსაც იმ შემთხვევებში, როდესაც მიიღო ნივთი, მაგრამ სურს მართლზომიერად მისი უკან დაბრუნება (მაგალითად, ნივთი ნაკლის მქონეა და მყიდველს სურს მისი უკან გამყიდველისათვის დაბრუნება). ამჯერად კანონი იცავს მყიდველის ინტერესებს და ადგენს, რომ მას უფლება აქვს დაიტოვოს ნივთი მანამდე, ვიდრე გამყიდველი არ აუნაზღაურებს შესაბამის ხარჯებს. აღნიშნულ შემთხვევებში, შემნახველ მხარეს – როგორც გამყიდველს, ისე მყიდველს – შეუძლია მეორე მხარის ხარჯზე ნივთი შეინახოს მესამე პირის საწყობში იმ პირობით, რომ შენახვა არ არის დაკავშირებული არათანაზომიერ ხარჯებთან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 502-ე მუხლი). შენახვა დაუშვებელია მალფუჭებადი ნივთის, ან იმ შემთხვევებში, როდესაც ნივთს ემუქრება გაუფასურება ანდა მისი შენახვა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამ შემთხვევაში, ნივთის შემნახველმა მხარემ იგი უნდა გაყიდოს შემდეგი პირობების დაცვით:

ა) ნივთის მიღების ან შენახვის ხარჯების ანაზღაურების დაყოვნების ფაქტის შესახებ ეცნობება მეორე მხარეს;

ბ) ნივთის გაყიდვის შედეგად მიღებული თანხიდან იფარება ნივთის შენახვისა და გაყიდვის ხარჯები, ხოლო დარჩენილი თანხა გადაეცემა მეორე მხარეს.

აღნიშნული წესები გამოიყენება, აგრეთვე, ნივთის მიღების დაყოვნების სხვა შემთხვევაშიც.

III. ნასყიდობა ნივთის მოწონების პირობით

ნასყიდობის ხელშეკრულება შეიძლება ***ნივთის მოწონების პირობით*** დაიდოს, თუ მყიდველი შეთანხმებულ ვადაში არ დაიწუნებს ნივთს (მაგალითად, გლეხმა მეზობლისაგან იყიდა მეწველი ძროხა იმ პირობით, რომ მომავალი 1 თვის განმავლობაში წველა არ იქნება 10 ლიტრზე ნაკლები დღეში). დაწუნების შემთხვევაში, მხარეები ერთმანეთს უბრუნებენ ყველაფერს, რაც მათ ერთმანეთისგან ხელშეკრულების თანახმად მიიღეს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 520-ე მუხლი).

IV. ნასყიდობა გადახდის განვადებით

ნასყიდობა გადახდის განვადებით სპეციალურად არის მოწესრიგებული კანონით და ეხება მხოლოდ მოძრავ ნივთებს (მაგალითად, ზემოთ მოცემულ მაგალითში პარკეტის ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ 200 კვ.მ მზა პარკეტის ფასი – 6000 ლარი გადახდილ იქნეს 3 თვის განმავლობაში თვეში 2000 ლარის გადახდით). გადახდის განვადებით ნასყიდობის პირობების მიხედვით, გამყიდველი ნასყიდობის საგანს მყიდველს გადასცემს ნასყიდობის ფასის სრულად გადახდამდე. თავად გადახდა ხორციელდება ნაწილ-ნაწილ, მხარეთა შორის შეთანხმებული პერიოდებით.

ზემოთ ჩვენ მიერ უკვე აღინიშნა, რომ განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს ***წერილობითი ფორმით***. ამასთან, კანონი ადგენს იმ აუცილებელ პირობებს, რომლებიც მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებაში. ეს პირობებია:

1. ნაღდი გადახდის ოდენობა;
2. ნაწილ-ნაწილ გადასახადი თანხის ოდენობა და გადახდის დრო;
3. წლიური პროცენტის ოდენობა.

გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ გამყიდველს აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება იმ შემთხვევისათვის, როდესაც მყიდველი არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს. ამ შემთხვევაში, ყოველი მხარე

ვალდებულია დაუბრუნოს ერთმანეთს ის, რაც მათ ხელშეკრულებით მიიღეს. ამ უკანასკნელი წესის საწინააღმდეგო შეთანხმება ბათილია (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 508-ე მუხლი).

V. გამოსყიდვა

ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეებმა შეიძლება გაითვალისწინონ გამყიდველის მიერ გაყიდული ***ნივთის გამოსყიდვის უფლება***. ვადა, რომლის განმავლობაშიც შეიძლება გამოსყიდვის უფლების გამოყენება, არ შეიძლება აღემატებოდეს ხუთ წელს. ამასთან, ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია (მაგალითად, ჩვენ მიერ ზემოთ მოცემულ მაგალითში ავტომანქანა Opel-ის ნასყიდობის ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ გამყიდველი ინარჩუნებს უფლებას, ხელშეკრულების დადებიდან 2 წლის განმავლობაში შეძენის ფასით გამოისყიდოს ავტომანქანა). გამოსყიდვა ხორციელდება თავდაპირველი ფასით, თუმცა, თუ გამოსყიდვის მომენტამდე ნივთზე გაწეული სასარგებლო დანახარჯების შედეგად გაიზარდა მისი ღირებულება, მყიდველს შეუძლია მოითხოვოს თანხა გაზრდილი ღირებულებისათვის; და, პირიქით, თუ გამოსყიდვის მომენტამდე ნივთის ღირებულება შემცირდა, გამოსყიდვის განმახორციელებელ გამყიდველს შეუძლია მოითხოვოს ამ თანხის გამოკლება.

გამოსყიდვის დათქმით ნივთზე მიღებული საკუთრების უფლება ***შეზღუდულია***. მყიდველს იმ ვადაში, რომლის განმავლობაშიც შეიძლება გამოსყიდვის უფლების გამოყენება, არ შეუძლია ნივთის გასხვისება. ეს ნორმა იმპერატიულია და მისი საწინააღმდეგო შეთანხმება ***ბათილია***.

VI. უპირატესი შესყიდვის უფლება

გამოსყიდვის უფლებისაგან განსხვავებით, ***უპირატესი შესყიდვის უფლება*** მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულებაში მხარეთა შეთანხმებიდან არ გამომდინარეობს. უპირატესი შესყიდვის უფლება შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სხვა გარიგებითაც (მაგალითად, შპს-ის წესდებით წილის მიმართ) ან ამ უფლებას ითვალისწინებდეს თავად კანონი (მაგალითად, უპირატესი შესყიდვის უფლებით სარგებლობენ ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულების მონაწილეები ერთ-ერთი მონაწილის მიერ თავისი წილის მესამე პირისათვის გადაცემის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 933-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

როგორია უპირატესი შესყიდვის უფლების რეალიზაციის წესი?

უპირატესი შესყიდვის უფლების რეალიზაცია ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც გამყიდველი – ვალდებული პირი მესამე პირს უთანხმდება ნასყიდობის ხელშეკრულების განსაზღვრული პირობებით დადებაზე. ვალდებულმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს უპირატესი შესყიდვის უფლების მქონეს ამ შეთანხმების შინაარსი. მას შეუძლია დაადგინოს განსაზღვრული ვადა, რომლის განმავლობაშიც უნდა იქნეს რეალიზებული უპირატესი შესყიდვის უფლება. შეტყობინების შემდეგ უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირმა ამ უფლების რეალიზაციის შესახებ ვალდებულ პირს უნდა გაუგზავნოს შეტყობინება. ამ შეტყობინების მეშვეობით უფლებამოსილ პირსა და ვალდებულ პირს შორის იდება ნასყიდობის ხელშეკრულება იმ პირობებით, რომლებიც ვალდებულმა პირმა მესამე პირს შესთავაზა.

უპირატესი შესყიდვის უფლება, როგორც წესი, ***არ ექვემდებარება*** სხვა პირისათვის გადაცემას და იგი არც მემკვიდრეობით გადადის, თუმცა, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ უპირატესი შესყიდვის უფლების გადაცემის შესაძლებლობაზე,

VII. შესყიდვის ოფცია. გაყიდვის ოფცია

ზემოთ "სახელშეკრულებო სამართლის ზოგად ნაწილში" ჩვენ მიერ აღინიშნა, რომ ***ოფცია*** ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის უფლებაა, ცალმხრივი ნების გამოვლენით მიაღწიოს განსაზღვრული გარიგების დადებას, დადგინდეს განსაზღვრული შინაარსის მქონე სახელშეკრულებო ურთიერთობა იმ პირობებით, რომლებიც დადგენილია ადრე მხარეთა შორის

დადებული ხელშეკრულებით. ოფცია განსაკუთრებით გამოიყენება ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას, როდესაც მხარეები აკეთებენ სპეციალურ დათქმას იმის შესახებ, რომ ან მყიდველს აქვს უფლება, განსაზღვრული ნივთი შეიძინოს გარკვეულ ვადამდე ან მოვლენის დადგომამდე ანდა გამყიდველს აქვს უფლება, ნივთი მყიდველს მიყიდოს. პირველ ოფციას ***შესყიდვის ოფციას*** უწოდებენ, ხოლო მეორეს – ***გაყიდვის ოფციას.***

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. განმარტეთ ნასყიდობა;
2. ჩამოთვალეთ ნასყიდობის ხელშეკრულების არსებითი პირობები;
3. რა მომენტიდან გადადის ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან გაფუჭების რისკი?
4. როგორი ქონება უნდა გადასცეს გამყიდველმა მყიდველს?
5. როგორია ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი?
6. რა სამართლებრივი დაცვის საშუალებები აქვს მყიდველს, ნივთის ნაკლის შემთხვევაში?
7. რა ფორმით უნდა დაიდოს განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება?
8. შეუძლია თუ არა მყიდველს იმ ვადაში, რომლის განმავლობაშიც შეიძლება გამოსყიდვის უფლების გამოყენება, ნივთის გასხვისება?
9. როგორია უპირატესი შესყიდვის უფლების რეალიზაციის წესი?
10. რა არის ოფცია?

12. ჩუქების ხელშეკრულება

ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი დასაჩუქრებულს უსასყიდლოდ გადასცემს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით; ე. ი. ჩუქება მჩუქებლის მხრიდან კეთილ ნებაზე დაფუძნებული ცალმხრივი აქტი არ არის. იგი ხელშეკრულებაა და, ამდენად, აუცილებლად საჭიროებს ხელშეკრულების მეორე მხარის აქცეპტს, ამ უკანასკნელის მხრიდანაც ნების გამოვლენას.

თავისი სამართლებრივი ბუნებით ჩუქების ხელშეკრულება ***ცალმხრივი, რეალური და უსასყიდლო ხელშეკრულებაა***. მისი დადებისათვის მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევის გარდა, საჭიროა ხელშეკრულების საგნის რეალური გადაცემა.

ნასყიდობის ხელშეკრულების მსგავსად, ჩუქების ხელშეკრულების ***ფორმაც*** დამოკიდებულია იმაზე, რა სახის ქონებაა ჩუქების საგანი – უძრავი თუ მოძრავი ქონება. ამასთან, კანონი ნებისმიერი სახის ქონების შემთხვევაში ადგენს სავალდებულო წერილობით ფორმას მჩუქებლის მიერ საჩუქრის დაპირებისათვის.

ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, მჩუქებელი, როგორც წესი, ***პასუხს არ აგებს ნაჩუქარი ქონების ხარისხისათვის***. ერთადერთი გარემოება, რომელიც შეიძლება გახდეს მჩუქებლის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძველი, არის მჩუქებლის მიერ გაჩუქებული ქონების ნაკლის ბოროტი განზრახვით დამალვა, თუ, ცხადია, ამით დასაჩუქრებულს მიადგა ზიანი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 527-ე მუხლი).

მიუხედავად იმისა, რომ ჩუქების ხელშეკრულება უსასყიდლო გარიგებაა, მხარეებს შეუძლიათ დაადგინონ, რომ ჩუქების ხელშეკრულების სამართლებრივი ძალა დამოკიდებული იყოს ამა თუ იმ ***პირობის შესრულებაზე ან განსაზღვრული მიზნის მიღწევაზე***. ეს მიზანი შეიძლება იყოს საერთო-სასარგებლოც. ამ უკანასკნელ შემთხვევას კანონი უწოდებს *შეწირულობას.* პირობის შესრულებაზე ან განსაზღვრული მიზნის მიღწევაზე დამოკიდებული ჩუქების ხელშეკრულება მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების სპეციალური სახეა და პირობის შესრულება, გარდა მჩუქებლისა, შეუძლია მოითხოვოს იმ პირმაც, ვის ინტერესებშიც

იგი იქნა დათქმული (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 528-ე მუხლი). დასაჩუქრებულის მიერ პირობის შეუსრულებლობა არის მჩუქებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარი თქმის საფუძველი.

კანონი ითვალისწინებს მჩუქებელის მიერ ***ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების*** შესაძლებლობასაც. გაუქმების საფუძვლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ასახელებს დასაჩუქრებულის მიერ მჩუქებლისათვის ან მისი ახლო ნათესავისათვის მძიმე შეურაცხყოფის მიყენებას ან მათდამი დიდი უმადურობის გამოჩენას. მაგალითად, ჩუქების ხელშეკრულების დადებიდან 1 თვის შემდეგ დასაჩუქრებულმა, რომელსაც მჩუქებელმა აჩუქა ავტომანქანა "ვაზ 2107", ეჭვიანობის ნიადაგზე მსუბუქი დაზიანება მიაყენა მჩუქებელს ბლაგვი იარაღის თავის არეში დარტყმით. ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნა მჩუქებელს შეუძლია ერთი წლის განმავლობაში, მის მიერ იმ გარემოების შეტყობის შესახებ, რომელიც მას ანიჭებს გაუქმების მოთხოვნის უფლებას.

ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება საფუძველია მჩუქებლის მიერ გაჩუქებული ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნისა.

მჩუქებელს სხვა საფუძვლითაც შეუძლია მოითხოვოს ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება და დასაჩუქრებულისათვის ნაჩუქარი ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა. ეს საფუძველია ჩუქების შედეგად მჩუქებლის ისეთ ***მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში*** აღმოჩენა, რომ მას არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა. აღნიშნული საფუძვლით ნაჩუქარი ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა ექვემდებარება დაკმაყოფილებას მხოლოდ იმ პირობით, რომ თავად ნივთი რეალურად არსებობს და მისი დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში. ამასთან, გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა არ შეიძლება, თუ გამჩუქებელმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩაიგდო თავი მძიმე მდგომარეობაში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლი).

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. განმარტეთ ჩუქება;
2. როგორია ჩუქების ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება?
3. დაასახელეთ ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძვლები.

13. ქირავნობის ხელშეკრულება

I. ზოგადი დებულებები

ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი ვალდებულია, დროებით სარგებლობაში გადასცეს დამქირავებელს განსაზღვრული ნივთი, მისცეს დამქირავებელს საშუალება, ისარგებლოს ამ ნივთით ხელშეკრულების ვადის განმავლობაში; ხოლო დამქირავებელი, თავის მხრივ, ვალდებულია გამქირავებელს გადაუხადოს ხელშეკრულებით შეთანხმებული ქირა.

ქირავნობის ხელშეკრულებაში 2 მხარეა – ***გამქირავებელი და დამქირავებელი.*** მსგავსად ნასყიდობის ხელშეკრულებისა, თავისი სამართლებრივი ბუნებით ქირავნობის ხელშეკრულებაც ***ორმხრივი, კონსენსუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულებაა.***

ნასყიდობის ხელშეკრულების მსგავსად, ქირავნობის ხელშეკრულების არსებითი პირობაა ***ქირავნობის საგანი***. იგი შეიძლება იყოს როგორც მოძრავი და უძრავი ნივთი, თუმცა, აუცილებელი პირობაა, რომ ქირავნობის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული მოუხმარებადი ნივთი.

გარდა ამისა, ქირავნობის ხელშეკრულების არსებითი პირობაა ***ქირა***. ქირა გამოიხატება განსაზღვრულ ფულად თანხაში და მისი ოდენობა დგინდება მხარეთა შეთანხმებით. მიუხედავად იმისა, რომ ქირის ოდენობა ყოველთვის განსაზღვრულია ხელშეკრულებით, პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მხარეები თანხმდებიან ქირის გაზრდაზე გარკვეული დროის გასვლის შემდეგ. მაგალითად, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ ქირავნობის ხელშეკრულების დადებიდან 2 წლის გასვლის შემდეგ გამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ქირის იმ ოდენობით გაზრდა, რომელიც შეესაბამება ბაზარზე არსებულ ქირას. დაუსაბუთებელი უარი ქირის გაზრდაზე მხარეებმა შეიძლება ჩათვალონ ქირავნობის ხელშეკრულების დარღვევად.

ქირავნობის ხელშეკრულების ***ფორმასთან*** დაკავშირებით საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში ***მნიშვნელოვანი და საზიფათო შეუსაბამობაა 2 სხვადასხვა საკანონმდებლო აქტს შორის***. ერთი მხრივ, სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ქირავნობის ხელშეკრულების ***ფორმა არ არის დამოკიდებული*** იმაზე, თუ რა სახის ნივთია ქირავნობის საგანი – უძრავი თუ მოძრავი ქონება. ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც წერილობით, ასევე ზეპირადაც. წერილობით ფორმას სამოქალაქო კოდექსი ითხოვს მიწის ნაკვეთის ქირავნობის ხელშეკრულების ერთ წელზე მეტი ვადით დადების შემთხვევაში. თუმცა, ამ ფორმის დაუცველობა შედეგად არ იწვევს ხელშეკრულების ბათილობას, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის ნორმა პირდაპირ ითვალისწინებს სხვა სამართლებრივ შედეგს. კერძოდ, ფორმის დაუცველობის შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსი ადგენს პრეზუმფციას, რომ ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით არის დადებული. თუმცა, ამ შემთხვევაშიც ასეთი ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნა ნებისმიერ მხარეს შეუძლია მხოლოდ ქირავნობის პირველი წლის დამთავრების შემდეგ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 569-ე მუხლი). მეორე მხრივ, "საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონში 2010 წლის 7 დეკემბერს მე-11 მუხლში განხორციელებული ცვლილების თანახმად, უძრავ ნივთზე ქირავნობის (ისევე როგორც ქვექირავნობის, იჯარის, ქვეიჯარის, თხოვებისა და ლიზინგის) ***წარმოშობისათვის აუცილებელია მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია იმ შემთხვევაში, როდესაც 1 წელზე მეტი ვადით დადებული ქირავნობის (ქვექირავნობის, იჯარის, ქვეიჯარის, თხოვებისა და ლიზინგის) ხელშეკრულების მხარეა კერძო სამართლის იურიდიული პირი.*** პარადოქსალური ნონსენსია: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ზოგადი წესით, ადგენს ქირავნობის ხელშეკრულების დადების ფორმის თავისუფლებას, ხოლო პროცედურული (რეგისტრაციის პროცედურის დამდგენი) კანონი – "საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონი ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლების წამოშობისათვის სავალდებულოდ ადგენს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, რაც სამართლებრივი თვალსაზრისით არა მარტო ***სრულიად გაუმართლებელი და დისკრიმინაციულია*** – ანუ მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ქირავნობის (ქვექირავნობის, იჯარის, ქვეიჯარის, თხოვებისა და ლიზინგის) ხელშეკრულების მხარეა კერძო სამართლის იურიდიული პირია!, არამედ, – და რაც კიდევ უფრო სამწუხაროა! – იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით აბსოლუტურად მიუღებელი და სავალალოა: ***პროცედურული კანონი არ უნდა ადგენდეს მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებს და არსებითად წყვეტდეს სამართლებრივი ინსტიტუტის ისეთ მნიშვნელოვან საკითხს როგორიცაა ხელშეკრულების ფორმა, ხელშეკრულებიდან წამოშობილი უფლების წარმოშობის წინაპირობები იმ დროს, როდესაც ეს საკითი უკვე გადაწყვეტილია სამოქალაქო კოდექსში!!! ვფიქრობთ, აღნიშნული საკანონმდებლო გაუგებრობა აუცილებლად დაუყოვნებლივ უნდა იქნეს აღკვეთილი.***

ქირავნობის ხელშეკრულების ***ვადაც*** დგინდება მხარეთა შეთანხმებით, თუმცა, კანონი ადგენს ქირავნობის ხელშეკრულების ზღვრულ ვადას – 10 წელი. დასაშვებია ხელშეკრულების დადება 10 წელზე მეტი ვადითაც და ასეთი ხელშეკრულება ბათილი არ არის, მაგრამ ათი წლის ვადის გასვლის შემდეგ ნებისმიერ მხარეს შეუძლია (საფუძვლის მითითების გარეშე) შეწყვიტოს ქირავნობის ხელშეკრულება ცალმხრივი ნების გამოვლენით.

II. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

ქირავნობის ხელშეკრულებაში გამქირავებელს ეკისრება ვალდებულება, მეორე მხარეს გადასცეს ნივთი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში და ქირავნობის მთელი დროის განმავლობაში შეინარჩუნოს ნივთის ეს მდგომარეობა. ამდენად, გამქირავებელი პასუხისმგებელია ნივთის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვარგისიანობისათვის (მაგალითად, სატვირთო ავტომანქანა გამართულ ტექნიკურ მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდეს, რათა შესაძლებელი იყოს მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება).

გარდა ვარგისიანობის უზრუნველყოფისა, გამქირავებელი ვალდებულია, დამქირავებელს გადასცეს ***უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი.*** ნასყიდობის ხელშეკრულებაში გამყიდველის ვალდებულების ანალოგიურად, გაქირავებული ნივთი უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია დამქირავებელს წაუყენოს მოთხოვნები ამ ნივთის გამო. რაც შეეხება ნივთობრივი ნაკლის არარსებობას, კანონი ადგენს, რომ გაქირავებული ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ:

1. უპირველეს ყოვლისა, მას აქვს ქირავნობის ხელშეკრულებაში მხარეთა შორის შეთანხმებული თვისებები;

2. თუ ეს თვისებები არ არის დათქმული, მაშინ გაქირავებული ნივთი მიიჩნევა უნაკლოდ, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 535-ე მუხლი). ამასთან, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ გაქირავებული ნივთის ნაკლისათვის გამქირავებლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ან ამ პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესახებ, თუმცა, კანონით ასეთი შეთანხმება ბათილად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გამქირავებელმა ნაკლი განზრახ დამალა. გამქირავებელს ეკისრება ვალდებულება, ქირავნობის საგანს გაუკეთოს კაპიტალური რემონტი, თუ ასეთი რემონტის საჭიროება დგება. მაგალითად, კომერციული ფართობის მესაკუთრემ უნდა გააკეთოს კაპიტალური რემონტი, თუ ფართობი ხანძრის შედეგად არსებითად დაზიანდა. იმ შემთხვევაში, თუ დამქირავებელმა ქირავნობის საგანზე გასწია აუცილებელი ხარჯები, გამქირავებელი ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ხარჯები. მაგალითად, კვლავ კომერციული ფართობის შემთხვევაში, დამქირავებელმა თავისი ხარჯით გამოცვალა ძველი დაზიანებული წყალგაყვანილობა.

დამქირავებლის მთავარი ვალდებულებაა, გამქირავებელს გადაუხადოს ***ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირა.*** როგორც წესი, ქირა გადახდილ უნდა იქნეს ქირავნობის ხელშეკრულების ვადის დამთავრებისას, თუმცა, პრაქტიკაში, უმრავლეს შემთხვევაში, მხარეები თანხმდებიან ქირის პერიოდულობით გადახდაზე (მაგალითად, ყოველთვიურად).

დამქირავებელი ვალდებულია, ისარგებლოს გაქირავებული ნივთით ქირავნობის ხელშეკრულებაში მხარეთა შორის ***შეთანხმებული პირობებით,*** ასევე სათანადოდ ***მოუაროს*** გაქირავებულ ნივთს, საკუთარი ხარჯით გააკეთოს ნივთის მიმდინარე რემონტი. ნივთის ისეთი ცვლილებების ან გაუარესებისათვის, რაც გამოწვეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობით, დამქირავებელი პასუხს არ აგებს. ნივთის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას დამქირავებელი ვალდებულია, გამქირავებელს დაუბრუნოს ნივთი შეთანხმებულ მდგომარეობაში, რომელშიც მან გამქირავებლისაგან მიიღო ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით[71] (მაგალითად, თუ ქირავნობის საგანია საოფისე ფართობი, პრაქტიკაში ხშირად მხარეები თანხმდებიან, რომ ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ დამქირავებელი ვალდებულია, მოხვეწოს

[71] აღსანიშნავია, რომ ეს წესი გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 564-ე მუხლში, ხოლო თავად ნორმის ტექსტი არაკორექტულად არის თარგმნილი. თარგმნითი ხასიათის უზუსტობის გამო ქართული ტექსტი განსხვავდება გერმანულისაგან. ამიტომ ჩვენ ნაშრომის ტექსტში ვსარგებლობთ მხოლოდ კორექტული თარგმანით. თავად კოდექსის მუხლი შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: „მუხლი 564. დამქირავებლის მოვალეობანი ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას. ნივთის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას დამქირავებელი მოვალეა დაუბრუნოს გამქირავებელს ნივთი იმ მდგომარეობაში, რომელშიც მისგან მიიღო, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით, ან იმ მდგომარეობაში, რაც ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული“.

ფართობის იატაკი და ისე დაუბრუნოს ფართობი გამქირავებელს). რა სამართლებრივი დაცვის საშუალებები აქვს დამქირავებელს, გაქირავებულ ნივთში ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში?

უპირველეს ყოვლისა, დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ***ქირის შემცირება*** იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შემცირდა ნივთის ვარგისიანობა ნაკლის გამო. ნაკლის გამოსწორებისას ეს უფლება ძალას კარგავს. უმნიშვნელო ნაკლი მხედველობაში არ მიიღება (მაგალითად, თუ გაქირავებულ კომბაინს აკლია ჰაერის ტუმბო). აუცილებელია, რომ დამქირავებელმა დაუყოვნებლივ, ხელშეკრულების დადებისთანავე განაცხადოს ნივთის ნაკლის შესახებ, თუ, რა თქმა უნდა, მისთვის ცნობილია ნივთის ნაკლი, ვინაიდან თუ იგი ამას არ გააკეთებს, მას ეკარგება ქირის შემცირების მოთხოვნის უფლება. თუ გაქირავებულ ნივთს აღმოაჩნდება ნაკლი ან წინასწარ გაუთვალისწინებელი საფრთხისაგან ნივთის დასაცავად საჭირო იქნება აუცილებელი ზომების მიღება, მაშინ დამქირავებელმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს გამქირავებელს. იგივე წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, თუ მესამე პირი ნივთზე განაცხადებს თავისი უფლებების შესახებ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 543-ე მუხლი). დამქირავებელს საერთოდაც შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება[72] იმ ვადის დაცვის გარეშე, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების შეწყვეტისთვის იმ შემთხვევებში, როდესაც დაქირავებული ნივთი მთლიანად ან ნაწილობრივ გადაეცემა დამქირავებელს დაგვიანებით ან თუ შემდგომში დამქირავებელს წაერთვა სარგებლობის უფლება. ხელშეკრულების შეწყვეტა დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ გამქირავებელი დამქირავებლის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ აღკვეთს სარგებლობისათვის ხელის შემშლელ გარემოებებს (მაგალითად, საოფისე ფართობის გამქირავებელმა შეთანხმებული ვადისათვის დამქირავებელი უცხოური კომპანიის წარმომადგენლობის გახსნის დღისათვის ვერ უზრუნველყო სხვა პირზე გადაცემული გასაქირავებელი ფართობის დაცლა დამქირავებლისათვის გადასაცემად).

დამქირავებელი გაქირავებული ნივთის ***მფლობელია***. ამდენად, მას უფლება აქვს, დაიცვას თავისი მფლობელობა ყოველი დამრღვევისაგან, მათ შორის, მესაკუთრისაგანაც (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 575-ე მუხლი).

III. საცხოვრებელი ბინის ქირავნობა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს სპეციალურ ნორმებს, რომლებიც, ქირავნობის შესახებ ზოგად ნორმებთან ერთად, აწესრიგებს ***საცხოვრებელი ბინის ქირავნობის*** დროს წარმოშობილ ურთიერთობებს. საცხოვრებელი ბინის ქირავნობის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ გამოკვეთილია კანონის მხრიდან დამქირავებლის ინტერესების დაცვის პრიორიტეტი, რაც გამოწვეულია საცხოვრებელი ბინის ქირავნობის სოციალური მნიშვნელობით. მაგალითად, ასეთ სპეციალურ მოწესრიგებას ადგილი აქვს:

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 542-ე მუხლში. ამ მუხლის თანახმად, თუ საცხოვრებელი ბინა ისეთ მდგომარეობაშია, რომ მისი გამოყენება მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, დამქირავებელს შეუძლია შეწყვიტოს ქირავნობის ხელშეკრულება ვადის დაცვის გარეშე. ეს უფლება დამქირავებელს აქვს მაშინაც, თუ ხელშეკრულების დადებისას მან იცოდა საფრთხის თაობაზე, მაგრამ პრეტენზია არ განუცხადებია;

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 550-ე მუხლში. ამ უკანასკნელის თანახმად, გამქირავებელს არ შეუძლია უარი თქვას საცხოვრებელი ბინის ქვექირავნობაზე, თუ საპატიო მიზეზის არსებობისას დამქირავებელს სურს მესამე პირს მიაქირავოს დაქირავებული საცხოვრებელი ბინა მთლიანად ან მისი ნაწილი. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, თუ გამქირავებლისათვის ქვემოქირავნე წარმოადგენს არასასურველ პიროვნებას ან საცხოვრებელი ბინა ზედმეტად გადაიტვირთა ან, თუ სხვა მიზეზების გამო, გამქირავებლისათვის მიუღებელია ქვექირავნობა;

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 555-ე მუხლში. ამ მუხლის თანახმად, საცხოვრებელი ბინის დამქირავებელი უფლებამოსილია, ვადამდე შეწყვიტოს ქირავნობის ხელშეკრულება, თუ იგი ერთი თვით ადრე გააფრთხილებს ამის შესახებ გამქირავებელს და მას შესთავაზებს

[72] საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არასწორად გამოყენებულია გამოთქმა "ხელშეკრულებაზე უარი" (მუხლი 541)!

გადახდისუნარიან და მისაღებ დამქირავებელს, რომელიც თანახმაა ქირავნობის დარჩენილ დროში იყოს დამქირავებელი.

სპეციალური წესებია დადგენილი საცხოვრებელი ბინის ქირავნობის შეწყვეტის დროსაც. კერძოდ, კანონი ადგენს, რომ საცხოვრებელი ბინის ქირავნობა შეიძლება შეწყდეს ***მხოლოდ პატივსადები მიზეზების არსებობისას.*** პატივსადებ მიზეზად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 562-ე მუხლი ასახელებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც: 1. დამქირავებელმა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები ბრალეულად მნიშვნელოვნად დაარღვია; 2. გამქირავებელს საცხოვრებელი ბინა სჭირდება უშუალოდ თვითონ ან ახლო ნათესავებისათვის; 3. დამქირავებელი უარს ამბობს გამქირავებლის მიერ შემოთავაზებული გაზრდილი ქირის გადახდაზე, რომელიც შეესაბამება ბაზარზე არსებულ ბინის ქირას; 4. დამქირავებელმა გამქირავებლის მიმართ ჩაიდინა ისეთი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური მოქმედება, რომელიც შეუძლებელს ხდის მათ შორის ურთიერთობის შემდგომ გაგრძელებას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამავე მუხლის მე-3 ნაწილში გათვალისწინებული ნორმა, ერთი მხრივ, ***სრულიად გაუგებარია*** როგორც ელემენტარული ლოგიკის, ისე კანონმდებლის მიერ მასში ჩადებული ნების მხრივ და, მეორე მხრივ, მას, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლია უდიდესი ზიანი მიაყენოს საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის ურთიერთობებს და სრულიად არასტაბილური გახადოს ისინი; ქირავნობის ურთიერთობა, კერძოდ, აღნიშნული ნორმის ძალით სრულიად გაუმართლებლად და უსაფუძვლოდ დამოკიდებული ხდება ურთიერთობის ერთ-ერთი მონაწილის – გამქირავებლის თვითნებობაზე! კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 562-ე მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნულია:

„3. თუ ქირავნობის საგანს შეადგენს ავეჯით გაწყობილი ბინა, მაშინ გამქირავებელს ყოველთვის შეუძლია ხელშეკრულების მოშლის ვადის დაცვით მოშალოს ქირავნობის ხელშეკრულება".

ნორმის ანალიზის შედეგად მეცნიერსა თუ პრაქტიკოს იურისტს ებადება ***2 ბუნებრივი კითხვა***: 1. გაუგებარია კანონმდებლის ნება და სამართლებრივი გადაწყვეტა, თუ რატომ თვლის იგი საჭიროდ გამქირავებლისათვის ქირავნობის ხელშეკრულების ნებისმიერ დროს შეწყვეტის უფლებამოსილების მინიჭებას, თუ გაქირავებულ ქონებას წარმოადგენს „ავეჯით გაწყობილი ბინა"? და 2. რატომ აღმოჩნდა ეს ნორმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ქართულ ვერსიაში, თუ იგი არ არსებობს მის გერმანულ პირველწყაროში? დიახ, სწორედ რომ 562-ე მუხლის მე-3 ნაწილია დამატებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ქართველი რედაქტორების მიერ და გერმანული ვერსიის ავტორებს იგი თავშიც არ მოსვლიათ. ნებისმიერი „თვითშემოქმედება" მისასალმებელი იქნებოდა, 562-ე მუხლის მე-3 ნაწილს ზემოაღნიშნული სავალალო შედეგები რომ არ ჰქონოდა ქირავნობის ურთიერთობის არსებობის მიმართ. მუხლის ნორმის ჰიპოთეზა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს: როდესაც კანონმდებელი 40-ზე მეტ მუხლს უთმობს გამქირავებელსა და დამქირავებელს შორის ურთიერთობის მდგრადობას, მხარეთა შორის უფლებებისა და ვალდებულებების დაბალანსებას ურთიერთობის მაქსიმალურად შენარჩუნებისა და ყოველი მხარის ინტერესების დაცვის მიზნით, ქირავნობის ურთიერთობა დამოკიდებული ხდება გამქირავებლის ნებაზე მარტო იმის გამო, რომ მან გააქირავა „ავეჯით გაწყობილი ბინა". მაგრამ თითქმის ყოველ გაქირავებულ ბინაში (საცხოვრებელ ფართობში) ქართულ (და არა მარტო ქართულ) სინამდვილეში მეტ-ნაკლებად მოიპოვება ავეჯი და პრაქტიკულად წარმოუდგენელია ავეჯის გარეშე ბინის არსებობა, მით უმეტეს, როდესაც კანონმდებელი არ აზუსტებს, თუ რა კრიტერიუმებით სარგებლობს იგი „ავეჯით გაწყობილი ბინის" განსაზღვრისას.

საცხოვრებელი ბინის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მიმართ დადგენილია ***წერილობითი ფორმა***. ამასთან, შეწყვეტას არ იწვევს დამქირავებლის გარდაცვალება, თუ ეს უკანასკნელი საცხოვრებელ ბინაში ცხოვრობს თავის ოჯახის წევრებთან ერთად და მათთან ერთად წარმართავს ერთიან საოჯახო მეურნეობას. ამ შემთხვევაში მისი ოჯახის წევრები სამართლებრივ ურთიერთობაში შედიან გამქირავებელთან. მათ უფლება აქვთ ქირავნობის ხელშეკრულება შეწყვიტონ კანონით დადგენილ ვადაში (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 571-ე

მუხლი). თუ საცხოვრებელი ბინის ქირავნობის ხელშეკრულება განსაზღვრული ვადით არის დადებული, მაშინ დამქირავებელს შეუძლია არაუგვიანეს 2 თვისა ქირავნობის ურთიერთობის შეწყვეტამდე წერილობითი განცხადებით მოითხოვოს ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელება განუსაზღვრელი ვადით, თუკი გამქირავებელი ამაზე განაცხადებს თანხმობას.

IV. ქვექირავნობა

ქვექირავნობა სამმხრივი ურთიერთობაა და წარმოიშობა მაშინ, როდესაც დამქირავებელი ქირავნობის საგანს გადასცემს მესამე პირს – ქვემოქირავნეს (მაგალითად, სადისტრიბუციო კომპანიამ, რომელმაც მესაკუთრისაგან იქირავა საწყობი საქონლის სარეალიზაციოდ გატანამდე შესანახად, საწყობის მესამედი ნაწილი, თავის მხრივ, მიაქირავა სხვა კომპანიას). მესამე პირებად კანონი არ მიიჩნევს დამქირავებლის ოჯახის წევრებს. ამდენად, მათთვის ნივთის გადაცემა არ ჩაითვლება ქვექირავნობად. უშუალო ურთიერთობას ქვემოქირავნესთან ამყარებს დამქირავებელი; ეს უკანასკნელი ამ ურთიერთობაში გამოდის გამქირავებლის როლში.

ქვექირავნობა ***თანხმობასავალდებულო გარიგებაა*** და იგი დამოკიდებულია გამქირავებლის თანხმობაზე. კანონის ასეთი პოზიცია გასაგებიცაა, ვინაიდან ქვექირავნობა ეხება გამქირავებლის კუთვნილ ნივთს. თანხმობის გარეშე ქვექირავნობის ხელშეკრულება ბათილია.

V. ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა

მართალია, ქირავნობა გრძელვადიანი ურთიერთობაა და შეიძლება მრავალი წელი გაგრძელდეს, თუმცა, ადრე თუ გვიან იგი წყდება, მსგავსად სხვა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებისა. უპირველეს ყოვლისა, ქირავნობის ხელშეკრულება წყდება *იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც დადებულია* ხელშეკრულება. თუ ქირავნობის ხელშეკრულება დადებულია განუსაზღვრელი ვადით, მაშინ ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნა შეუძლია ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს, შეწყვეტის შესახებ მეორე მხარისათვის განცხადების წარდგენით. განსაზღვრული გარემოებების არსებობისას გამქირავებელს შეუძლია ცალმხრივი ნების გამოვლენით ვადამდე შეწყვიტოს ქირავნობის ხელშეკრულება. კერძოდ, გამქირავებელს შეუძლია ვადამდე ხელშეკრულება შეწყვიტოს, თუ დამქირავებელი, გამქირავებლის გაფრთხილების მიუხედავად, გაქირავებულ ნივთს მნიშვნელოვნად აზიანებს ან ქმნის მნიშვნელოვანი დაზიანების რეალურ საშიშროებას (მაგალითად, დამქირავებელმა გარემონტებულ საოფისე ფართობში შესანახად შეიტანა 1000 ცალამდე სხვადასხვა დასახელების ავტომანქანის სათადარიგო ნაწილები). გარდა ამისა, გამქირავებელს შეუძლია ვადამდე ხელშეკრულება შეწყვიტოს, თუ დამქირავებელმა ქირა არ გადაიხადა სამი თვის განმავლობაში. კანონი ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივი შედეგების მხრივ სპეციალურ წესს ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, როდესაც დამქირავებელ მხარეს წარმოადგენენ ***მეუღლეები***. თუ განქორწინებისას მეუღლეები ვერ შეთანხმდებიან იმაზე, რომელმა უნდა იცხოვროს დაქირავებულ ბინაში, დავას წყვეტს სასამართლო. სასამართლოსათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელი მეუღლეა დამქირავებელი. თუ სასამართლო ცნობს იმ მეუღლის უფლებას ბინაზე, რომელიც არ არის დამქირავებელი, მაშინ ეს მეუღლე ხდება ქირავნობის ურთიერთობის მონაწილე, ხოლო მეორე მეუღლე გადის ურთიერთობიდან.

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. განმარტეთ ქირავნობის ხელშეკრულება;
2. როგორია ქირავნობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება?
3. ჩამოთვალეთ ქირავნობის ხელშეკრულების არსებითი პირობები;
4. რა ფორმით შეიძლება დაიდოს ქირავნობის ხელშეკრულება?
5. როგორი ხარისხის ქონება უნდა გადასცეს გამქირავებელმა დამქირავებელს?
6. რა შემთხვევაში შეუძლია დამქირავებელს მოითხოვოს ქირის შემცირება?

7. რა თავისებურებები ახასიათებს საცხოვრებელი ბინის ქირავნობას?
8. რა ხარვეზი არსებობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 562-ე მუხლში?
9. განმარტეთ ქვექირავნობა;
10. რა საფუძვლებით წყდება ქირავნობის ხელშეკრულება?

14. სესხის ხელშეკრულება

სესხის ხელშეკრულებით ხელშეკრულების ერთი მხარე – გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს ხელშეკრულების მეორე მხარეს – მსესხებელს ფულად თანხებს ან გვაროვნული ნიშნით განსაზღვრულ ნივთებს, ხოლო მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას, დააბრუნოს იმავე რაოდენობის ფულადი თანხები ან იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთები.

როგორც აღნიშნული დეფინიციიდან ჩანს, სესხის დროს ხელშეკრულების საგანი – ***ფულადი სახსრები ან გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთები*** გადადის არა სარგებლობაში, როგორც, მაგალითად, თხოვების დროს, არამედ მსესხებლის *საკუთრებაში* და ამ უკანასკნელს ამ მომენტიდან შეუძლია თავისუფლად განკარგოს იგი (დახარჯოს ფული, მოიხმაროს ფქვილი, ცემენტი და ა.შ.). შესაბამისად, სესხის ურთიერთობის დასრულების შემდეგ გამსესხებელს უბრუნდება არა იგივე ნივთები, არამედ იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთები. სესხი შეიძლება გაიცეს ნებისმიერი ვალუტით, თუმცა განსაზღვრულ შემთხვევებში კანონი იმპერატიულად ადგენს სესხის მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში გაცემის სავალდებულობას, კერძოდ, ფიზიკურ პირზე 100 000 ლარამდე სესხი უნდა გაიცეს მხოლოდ ლარით, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-7 ნაწილი).

სესხის ხელშეკრულების მხარეებია ***გამსესხებელი და მსესხებელი***. მსგავსად ჩუქების ხელშეკრულებისა, თავისი სამართლებრივი ბუნებით სესხის ხელშეკრულებაც ***ცალმხრივი და რეალური ხელშეკრულებაა***. მისი დადებისათვის, მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევის გარდა, საჭიროა ხელშეკრულების საგნის რეალური გადაცემა. სესხის ურთიერთობა წარმოშობილად სწორედ ამ მომენტიდან ითვლება. რაც შეეხება ***სასყიდლიანობასა თუ უსასყიდლობას***, ეს განისაზღვრება სესხის ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმებით. სესხის ხელშეკრულება სასყიდლიანია, თუ მასში გათვალისწინებულია პროცენტი.

2016 წლის 29 დეკემბერის კანონით საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შევიდა არსებითი ***ცვლილებები და დამატებები***, რითაც სრულიად ახლებურად მოწესრიგდა სესხის პროცენტთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები: კერძოდ, პროცენტის ოდენობა შეიზღუდა სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის 100 პროცენტის ოდენობით. გარდა ამისა, 1000 ლარზე მეტი თანხის იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ყოველთვიური საპროცენტო განაკვეთი, სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯების (გარდა სანოტარო წესით იპოთეკის დამოწმებასთან და იპოთეკის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯებისა) ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე ყოველთვიურად გამოქვეყნებული კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების წინა კალენდარული წლის საშუალო არითმეტიკულის 2.5-მაგი ოდენობის ერთ მეთორმეტედს, რომელიც ძალაშია ყოველი წლის 1 მარტიდან. თუმცა, როგორც წესი, ეს პირობები არ ვრცელდება კომერციული ბანკის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების საკრედიტო კავშირის და კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის მიერ დადებულ სესხის ხელშეკრულებებზე.

სესხის თანხის ***გადახდის წესი*** მხარეთა შორის შეთანხმებით განისაზღვრება. ამ საკითხთან დაკავშირებით გვსურს მკითხველის ყურადღება მივაქციოთ საქართველოს

სამოქალაქო კოდექსის 626-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადებაში არსებულ თარგმნითი ხასიათის უხეშ შეცდომას. კერძოდ, ნორმის ქართული ვერსიის ტექსტი შემდეგნაირად ჟღერს:

„მუხლი 626. ხელშეკრულების შეწყვეტა და ვალის დაბრუნება

3. პროცენტები გადახდილ უნდა იქნეს ყოველი წლის გასვლის შემდეგ. თუ სესხი წინასწარ არის ვადით განსაზღვრული, მაშინ ვალიცა და პროცენტიც გადახდილ უნდა იქნეს ვადის დადგომისას“.

ერთი შეხედვით შეცდომის შემჩნევა ძნელია, მაგრამ ყურადღებით დაკვირვების შემდეგ ნებისმიერი ქართველი იურისტი შეამჩნევს ამ მუხლის მე-2 წინადადების 1-ლი ნაწილის არაადეკვატურობას მთლიანად ნორმის შინაარსის მიმართ. განვსაჯოთ ლოგიკურად: ***არსებობს კი საერთოდ*** სესხის ხელშეკრულება, რომელშიც მხარეების მიერ ვადა წინასწარ არ არის განსაზღვრული? უფრო მეტიც, ნორმის არსებული რედაქციის არსიდან გამომდინარეობს, რომ სესხის ხელშეკრულება აბსოლუტურად ყველა შემთხვევაში (ვინაიდან მხარეები სესხის ხელშეკრულების ვადას წინასწარ განსაზღვრავენ) სესხის ძირითადი თანხა და დარიცხული პროცენტი გადახდილ უნდა იქნეს სესხის კონკრეტული ვადის გასვლისას, მაგ., 6 თვის, 1, 2, 5 და მეტი წლის შემდეგ, რა ვადითაც დაიდო ხელშეკრულება. ასეთი ფორმულირებით ზემოაღნიშნული ნორმა ეწინააღმდეგება თუნდაც 626-ე მუხლის მე-3 ნაწილის 1-ლ წინადადებას, რომელიც (ასევე იმპერატიულად) პროცენტების გადახდის ვალდებულებას მსესხებელს პერიოდულად აკისრებს ყოველი წლის გასვლის შემდეგ. ნორმის სწორი თარგმანი გერმანული ენიდან შემდეგნაირად ჟღერს: ***„თუ სესხის ხელშეკრულებით გადახდის ვადა უფრო ადრე დადგება“,*** ანუ ნორმის ჰიპოთეზა აგრძელებს მუხლის მე-3 ნაწილის 1-ლი წინადადების აზრს: როგორც წესი, პროცენტი გადახდილ უნდა იქნეს ყოველი წლის გასვლის შემდეგ, მაგრამ თუ სესხის ხელშეკრულებით ვადა იწურება წლის გასვლამდე, მაშინ ***„ვალიცა და პროცენტიც გადახდილ უნდა იქნეს ვადის დადგომისას“***[73].

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ***ზეპირად***, თუმცა, ზეპირად დადება სასურველი არ არის შემდგომში მხარეთა შორის დავის შემთხვევაში, სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტისა და მისი პირობების (ოდენობა, ვადა, პროცენტი) დადგენის სირთულის (ან შეუძლებლობის) გამო. ამასთან, იგივე 624-ე მუხლი პირდაპირ კრძალავს ზეპირი სესხის ხელშეკრულების დროს მისი არსებობის ***დადგენას მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით.*** მუხლის ნორმის არსით აუცილებელია რაიმე წერილობითი მტკიცებულება, რომელიც შეიძლება არც იყოს მხარეთა შორის წერილობით ხელმოწერილი დოკუმენტი (მაგალითად, მსესხებლის მიერ გამსესხებლისათვის ფოსტით გაგზავნილი წერილი, რომელშიც იგი საუბრობს სესხის თაობაზე).

ერთადერთ შემთხვევას, როდესაც კანონი იმპერატიულად ითხოვს წერილობითი ფორმის დაცვას, წარმოადგენს ***სესხის შეპირება ანუ სესხის ხელშეკრულების წინარე ხელშეკრულება.***

სესხის ხელშეკრულების ***ვადა*** მხარეთა შორის შეთანხმებით განისაზღვრება. თუმცა, კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც სესხის დაბრუნების ვადა განსაზღვრული არ არის. ამ შემთხვევაში სესხი უნდა დაბრუნდეს სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი მხარის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისას.

თუ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ***პროცენტი***, მაშინ მსესხებელს არ შეუძლია, გამსესხებლის თანხმობის გარეშე, ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააბრუნოს სესხის ობიექტი. თუმცა, ეს უფლება მას აქვს უპროცენტო სესხის შემთხვევაში. სესხის ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა შეადგენს სამ თვეს.

კანონი ითვალისწინებს გარემოებებს, როდესაც გამსესხებელს უფლება აქვს, მოითხოვოს სესხის ვადამდე დაბრუნება. კერძოდ, გამსესხებელს შეუძლია სესხის ვადამდე დაბრუნების მოთხოვნა, თუ მსესხებლის ***ქონებრივი მდგომარეობა არსებითად გაუარესდება***, რითიც საფრთხე

[73] „(3) Zinsen sind nach dem Ablauf eines jeden Jahres zu entrichten; ist das Darlehen vorher fällig, dann sind Darlehen und Zinsen bei Fälligkeit zu entrichten“

შეექმნება სესხის დაბრუნებას. ანალოგიური მოთხოვნის უფლება პირს აქვს სესხის შეპირებისას. კერძოდ, დამპირებელს შეუძლია უარი თქვას სესხის მიცემაზე, თუ მეორე მხარის ქონებრივი მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ შეიძლება საფრთხე შეექმნას ვალის დაბრუნებას.

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. განმარტეთ სესხის ხელშეკრულება;
2. როგორია სესხის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება?
3. რა ფორმით უნდა დაიდოს სესხის შეპირება?
4. რა საფუძვლებით შეუძლია გამსესხებელს, მოითხოვოს სესხის ვადამდე დაბრუნება?

15. ნარდობის ხელშეკრულება

I. ზოგადი დებულებები

ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს ვალდებულებას, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია მენარდეს გადაუხადოს შეთანხმებული საზღაური.

ნარდობის ხელშეკრულების გამოყენების არეალი ძალიან დიდია. მისი მომწესრიგებელი ნორმები გამოიყენება როგორც მეწაღის მიერ მოქალაქისათვის ფეხსაცმლის შეკეთების შემთხვევებისათვის, ისე ადვოკატის მიერ კლიენტის მომსახურების დროს, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების წარმოებისას და ა. შ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ყველა აღნიშნულ შემთხვევას ერთი და იმავე ზოგადი ნორმებით აწესრიგებს (მუხლები 629-656), თუმცა, ზოგიერთი სხვა ქვეყნების (თანამედროვე) კანონმდებლობებში, მაგალითად, რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსში, ნარდობის მომწესრიგებელი ზოგადი ნორმების გარდა, მოცემულია ნარდობის ცალკეული სახეობების მომწესრიგებელი სპეციალური ნორმებიც. ნარდობის ცალკეულ სახეობებს კოდექსი მიაკუთვნებს, კერძოდ, საყოფაცხოვრებო ნარდობას, სამშენებლო ნარდობას, ნარდობას საპროექტო და კვლევითი სამუშაოების შესრულებაზე და ნარდობას სახელმწიფო საჭიროებისთვის სამუშაოების შესრულებაზე.

ნარდობის ხელშეკრულებაში 2 მხარეა – ***მენარდე და შემკვეთი***. თავისი სამართლებრივი ბუნებით ნარდობის ხელშეკრულება ***ორმხრივი, კონსენსუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულებაა***.

ნარდობის ხელშეკრულების არსებითი პირობებია ***ხელშეკრულების საგანი – მენარდის სამუშაო, სამუშაოს შედეგი და საზღაური***. თუ ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია რაიმე ნაკეთობის დამზადება და მენარდე მას ამზადებს თავის მიერ შეძენილი მასალით, მაშინ იგი შემკვეთს გადასცემს საკუთრების უფლებას ამ ნაკეთობაზე. თუ დამზადებულია გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი, მაშინ მხარეთა შორის დადებული შეთანხმების მიმართ გამოიყენება ნასყიდობის მომწესრიგებელი ნორმები.

საზღაური მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება, თუმცა, ამავე დროს, კანონი ადგენს მხარეთა შორის საზღაურზე შეთანხმების პრეზუმფციას. კერძოდ, ანაზღაურება უსიტყვოდაც ითვლება შეთანხმებულად, თუ გარემოებების მიხედვით ნარდობა მხოლოდ ანაზღაურებითაა მოსალოდნელი. მაგრამ თუ ანაზღაურების ოდენობა შეთანხმებული არ არის, ტარიფის არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სატარიფო განაკვეთი, ხოლო თუ ტარიფები არ არსებობს, მაშინ – ჩვეულებრივი ანაზღაურება. კანონი ითვალისწინებს მენარდის მიერ ხარჯთაღრიცხვის შედგენას, რომელსაც მან შეიძლება უმნიშვნელოდ გადააჭარბოს. თუმცა, თუ მენარდე მიახლოე-

ბით ხარჯთაღრიცხვას მნიშვნელოვნად გადააჭარბებს, მას შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ შეთანხმებული საზღაური გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადახარჯვის წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელი იყო. მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის ისეთი გაზრდის შესახებ, რომლის გათვალისწინებაც შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადებისას, მენარდემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს შემკვეთს. თუ შემკვეთი წყვეტს ხელშეკრულებას ხარჯთაღრიცხვის გაზრდის გამო, მაშინ იგი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული სამუშაო მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლი).

ნარდობის ხელშეკრულების ***ფორმის*** მხრივ კანონი არ ადგენს რაიმე მოთხოვნას. ამიტომ იგი შეიძლება დაიდოს როგორც წერილობით, ასევე ზეპირადაც. ნარდობის ხელშეკრულების *ვადა* განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

II. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს ვალდებულებას, პირადად ან მესამე პირის დახმარებით შეასრულოს სამუშაო. თუმცა, პირადად შესრულება მას ეკისრება იმ შემთხვევებში, როდესაც ეს გამომდინარეობს კონკრეტული გარემოებებიდან ან სამუშაოს ხასიათიდან (მაგალითად, ქანდაკების დამზადება).

თუ მენარდის მიერ შესასრულებელი სამუშაო მოიცავს რაიმე ნაკეთობის დამზადებას, მენარდე ვალდებულია შემკვეთს გადასცეს ***ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნაკეთობა***. ნასყიდობისა და ქირავნობის ხელშეკრულებაში გამყიდველის ან გამქირავებლის ვალდებულების ანალოგიურად, ნაკეთობა უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირებს არ შეუძლიათ გამოიყენონ რაიმე უფლებები შემკვეთის წინააღმდეგ. ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეესაბამება შეთანხმებულ პირობებს; ხოლო თუ ეს პირობები შეთანხმებული არ არის, მაშინ ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოდ მიიჩნევა, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის. ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ მენარდე დაამზადებს შეკვეთილისაგან განსხვავებულ ან უფრო ნაკლები რაოდენობის ნაკეთობას. რა უფლებები აქვს შემკვეთს მისთვის ნაკლის მქონე ნაკეთობის გადაცემისას?

შემკვეთს შეუძლია, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვოს ***დამატებითი შესრულება***. მენარდეს შეუძლია თავისი არჩევანით ან აღმოფხვრას ნაკლი ან გადასცეს ახალი ნაკეთობა. დამატებითი შესრულების მიზნით, მენარდე ვალდებულია გასწიოს აუცილებელი ხარჯები, მათ შორის, ტრანსპორტის, სამუშაოსა და მასალების ხარჯები. მენარდეს შეუძლია უარი თქვას დამატებით შესრულებაზე, თუ იგი მოითხოვს არათანაზომიერ ხარჯებს. თუ მენარდე გადასცემს ახალ ნაკეთობას, მას შეუძლია შემკვეთს მოსთხოვოს ნაკლის მქონე ნაკეთობის უკან დაბრუნება.

ნაკეთობის ნაკლის გამო, შემკვეთს შეუძლია ცალმხრივი ნების გამოვლინებით ***უარი თქვას ნარდობის ხელშეკრულებაზე***. ამ შემთხვევაში მენარდე ვალდებულია შემკვეთს აუნაზღაუროს ხელშეკრულებაზე უართან დაკავშირებული ყველანაირი ხარჯი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 644-ე მუხლი). თუ შემკვეთისათვის ნაკეთობის ნაკლი ცნობილია და იგი მაინც მიიღებს მას პრეტენზიის განუცხადებლად, მაშინ ამ ნაკლის გამო მოთხოვნის უფლებები შემკვეთს არ წარმოეშობა. თუმცა, თუ მენარდე ნაკლს განზრახ დაფარავს, მას არ შეუძლია მიუთითოს შეთანხმებაზე, რომელიც გამორიცხავს ან ზღუდავს შემკვეთის უფლებებს, ნაკეთობის ნაკლის გამო.

თუ მენარდე სამუშაოს ასრულებს თავისი მასალით, იგი ***პასუხს აგებს უხარისხო მასალისათვის.*** მენარდე პასუხს აგებს შემკვეთის მასალის არასწორი გამოყენებისათვისაც.

მენარდე ვალდებულია, დროულად გააფრთხილოს შემკვეთი, რომ: ა) შემკვეთისგან მიღებული მასალა უხარისხო და გამოუსადეგარია; ბ) თუ შემკვეთის მითითება შესრულდება, ნამუშევარი არამტკიცე ან გამოუსადეგარი იქნება; გ) არსებობს მენარდისაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის ნამუშევრის სიმტკიცესა და ვარგისიანობას.

თუ შემკვეთი, მენარდის დროული გაფრთხილების მიუხედავად, შესაბამის ვადაში არ გამოცვლის გამოუსადეგარ ან უხარისხო მასალას, არ შეცვლის მიცემულ მითითებას სამუშაოს შესრულების წესის შესახებ ანდა არ აღმოფხვრის სხვა გარემოებას, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ნამუშევრის ვარგისიანობას ან სიმტკიცეს, მენარდეს უფლება აქვს, უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს ამით მიყენებული ზიანის ანაზღაურება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 647-ე მუხლი).

მენარდე პასუხს აგებს ***შემკვეთის ქონების დაღუპვის ან დაზიანებისათვის გაუფრთხილებლობის დროსაც***. მენარდეს ეკისრება შესრულებული სამუშაოს შემთხვევით დაღუპვის ან დაზიანების რისკი შემკვეთისათვის შესრულების გადაცემამდე. გადაცემასთან ერთად შემკვეთზე გადადის შემთხვევით დაღუპვის ან დაზიანების რისკი. გადაცემას უთანაბრდება ისიც, როცა შემკვეთი აყოვნებს მიღებას. მასალის შემთხვევით დაღუპვის ან დაზიანების რისკი ეკისრება მასალის მიმცემ მხარეს. თუ მენარდემ ნაკეთობისათვის იკისრა საგარანტიო ვადა, მაშინ ამ ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლი წარმოშობს გარანტიით გათვალისწინებულ უფლებებს.

შემკვეთის ძირითადი ვალდებულებაა, მენარდეს გადაუხადოს ***საზღაური***. საზღაურის გადახდა უნდა მოხდეს სამუშაოს შესრულების შემდეგ, თუ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ნაწილ-ნაწილ გადახდას. გარდა ამისა, შემკვეთი ვალდებულია, მიიღოს შესრულებული სამუშაო. ამ შემთხვევაში შემკვეთი ვალდებულია, გადაიხადოს საზღაური სამუშაოს მიღებისთანავე. სამუშაო მიღებულად ჩაითვლება იმ შემთხვევშიც, როდესაც შემკვეთი არ მიიღებს შესრულებულ სამუშაოს მენარდის მიერ დადგენილ ვადაში. კანონი ადგენს შემკვეთის პასუხისმგებლობას სამუშაოს მიუღებლობის შედეგად მენარდისათვის ზიანის მიყენებისათვის. შემკვეთი ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი მაშინაც, როდესაც იგი არ შეასრულებს სამუშაოს წარმართვისათვის აუცილებელ მოქმედებას. ზიანის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება, ერთი მხრივ, ვადის გადაცილების ხანგრძლივობისა და საზღაურის ოდენობის შესაბამისად, ხოლო, მეორე მხრივ, იმის მიხედვით, რასაც მენარდე მიიღებდა თავისი სამუშაო ძალის სხვაგვარი გამოყენებით, შემკვეთს რომ ვადისთვის არ გადაეცილებინა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 633-ე მუხლი).

კანონი მენარდეს თავისი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად ანიჭებს ***გირავნობის უფლებას*** მის მიერ დამზადებულ ან შეკეთებულ მოძრავ ნივთზე, თუ ეს ნივთი დამზადების ან შეკეთების მიზნით მენარდის მფლობელობაში იმყოფება. გირავნობის უფლება წარმოიშობა და არსებობს კანონის ძალით, თუმცა, რა თქმა უნდა, მისი არსებობის წინაპირობებია მოთხოვნის არსებობა და მენარდის მიერ ნივთის ფლობა. თუ ხელშეკრულების საგანია შენობა-ნაგებობა ან ამ შენობა-ნაგებობის ცალკეული ნაწილები, მაშინ მენარდეს შეუძლია, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თავისი მოთხოვნებისათვის მოითხოვოს ***იპოთეკა*** სამშენებლო მიწის ნაკვეთზე. განსხვავებით გირავნობისაგან, იპოთეკა მენარდეს ავტომატურად კანონის ძალით არ ეკუთვნის. კანონი ანიჭებს მას მხოლოდ იპოთეკის დადგენის ***მოთხოვნის უფლებას*** (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 635-ე მუხლი).

III. ნარდობის ხელშეკრულების შეწყვეტა (ნარდობის ხელშეკრულებაზე უარი)

ნარდობის ხელშეკრულება წყდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ***სათანადო შესრულებით***. კანონი ადგენს პირობებს, რომელთა არსებობისას მხარეებს აქვთ უფლება, სამუშაოს დასრულებამდე ***ნებისმიერ დროს შეწყვეტონ (უარი თქვან) ხელშეკრულება.*** კერძოდ, შემკვეთს უფლება აქვს სამუშაოს დასრულებამდე (ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე) უარი თქვას ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან მენარდეს უნდა აუნაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება და ხელშეკრულებაზე უარის თქმით მიყენებული ზიანი. თავის მხრივ, მენარდეს შეუძლია სამუშაოს დასრულებამდე მხოლოდ ისე შეწყვიტოს ხელშეკრულება, რომ შემკვეთმა შეძლოს მომსახურების სხვაგვარად მიღება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეწყვეტისათვის არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი საფუძველი. ამ შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გამოირიცხება.

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. განმარტეთ ნარდობის ხელშეკრულება;
2. როგორია ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება?
3. რა ფორმით შეიძლება დაიდოს ნარდობის ხელშეკრულება?
4. ჩამოთვალეთ ნარდობის ხელშეკრულების არსებითი პირობები;
5. როგორი ნაკეთობა უნდა გადასცეს მენარდემ შემკვეთს?
6. რა სამართლებრივი დაცვის საშუალებები აქვს შემკვეთს ნაკეთობის ნაკლის შემთხვევაში?
7. რა საფუძვლებით წყდება ნარდობის ხელშეკრულება?
8. რა საფუძვლებით შეიძლება ნარდობის ხელშეკრულებაზე უარის თქმა?

16. საბანკო მომსახურება

I. ზოგადად

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მნიშვნელოვანი ნოვაცია მდგომარეობს იმაში, რომ მასში ცალკე თავად ჩამოყალიბდა და დეტალურად მოწესრიგდა ***საბანკო მომსახურება*** (21-ე თავი, მუხლები 859-890). 21-ე თავში, კერძოდ, მოწესრიგებულია ისეთი საბანკო-სამართლებრივი ინსტიტუტები, როგორიცაა: ანგარიშსწორება (ანგარიშსწორების ხელშეკრულება), საბანკო კრედიტი (საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, საკრედიტო ხელშეკრულება), ანაბარი (დეპოზიტი), ანაბრის (დეპოზიტის) ხელშეკრულება, დოკუმენტალური (სასაქონლო) აკრედიტივი, დოკუმენტალური ინკასო და საბანკო გარანტია.

II. ანგარიშსწორება (ანგარიშსწორების ხელშეკრულება)

ანგარიშსწორების ხელშეკრულებით საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია, თავისი კლიენტის საანგარიშსწორებო ანგარიშიდან აწარმოოს გადახდები ანგარიშზე არსებული თანხების ფარგლებში და შემოსული თანხები ჩარიცხოს ანგარიშში.

ანგარიშსწორების ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ყოველთვის ***საკრედიტო დაწესებულებაა*** (საქართველოში ყველაზე ხშირად – ბანკი), ვინაიდან ანგარიშსწორების ოპერაციების განხორციელების უფლება სწორედ ასეთ ორგანიზაციებს აქვთ; მეორე მხარე – კლიენტი შეიძლება იყოს ***ნებისმიერი პირი***, მათ შორის, პირთა გაერთიანებები, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს (მაგალითად, ბინათმშნებლობის ამხანაგობები). თავისი სამართლებრივი ბუნებით ანგარიშსწორების ხელშეკრულება ***ორმხრივი, კონსენსუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულებაა.***

ანგარიშსწორების ხელშეკრულების დადებისას საკრედიტო დაწესებულება კლიენტს ***უხსნის (კისრულობს გახსნის ვალდებულებას) საბანკო ანგარიშს,*** რისი მეშვეობითაც კლიენტი საკრედიტო დაწესებულების მეშვეობით ახორციელებს საბანკო ოპერაციებს: ახორციელებს უნაღდო ანგარიშსწორებას, ფულადი თანხების გადაგზავნას, ფულადი თანხების ანგარიშზე შენახვას, ნაღდი ფულის გამოტანას და ა. შ. თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევა საბანკო ოპერაციების წარმოების საშუალებას დისტანციურად, საკრედიტო დაწესებულებაში მისვლის გარეშე ინტერნეტით და, რაც მთავარია, უშუალოდ კლიენტის მიერ საკუთარი კომპიუტერის გამოყენებით. საქართველოში ზოგიერთ ბანკში მსგავს აპრობირებულ პროგრამებს უწოდებენ "ონლაინ-გადახდა", "ბანკი-კლიენტი", "ინტერნეტბანკი".

ანგარიშსწორების ხელშეკრულების ***საგანია*** ანგარიშზე არსებული ფულადი თანხები. ანგარიშსწორების ხელშეკრულება იდება ***წერილობით***. ანგარიშსწორების ხელშეკრულებით ბანკი ვალდებულია, კლიენტს გაუხსნას საბანკო ანგარიში და მასზე აწარმოოს საბანკო ოპერაციები,

მათ შორის, დროულად ჩარიცხოს ანგარიშზე შესატანი თანხები და შეასრულოს კლიენტის საგადახდო დავალებები. ბანკი ვალდებულია, კლიენტის დავალებით, ხოლო კანონმდებლობით და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დავალების გარეშეც, ჩამოწეროს შესაბამისი თანხები კლიენტის ანგარიშიდან კრედიტორების ანგარიშებზე მათ ჩასარიცხად, აგრეთვე, განახორციელოს ანგარიშზე სხვა ოპერაციები, კლიენტისაგან მიიღოს და მისცეს მას ან გასცეს მისი დავალებით ნაღდი ფული, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია ანგარიშის მდგომარეობის შესახებ (ანგარიშის ამონაწერები).

ბანკს უფლება აქვს, ***დროებით გამოიყენოს*** კლიენტის ანგარიშზე არსებული სახსრები საკრედიტო რესურსების სახით, კლიენტს გადაუხადოს პროცენტები მის ანგარიშზე სახსრების შენახვისათვის, კლიენტის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მისი გაფრთხილების შემდეგ დახუროს ანგარიში.

ანგარიშსწორების ხელშეკრულებით კლიენტი ვალდებულია, ბანკს გადაუხადოს შეთანხმებული ***საზღაური***. ამავე დროს, კლიენტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს მოითხოვოს ინფორმაცია ანგარიშის მდგომარეობისა და კრედიტ-დებეტის საბუღალტრო ჩანაწერების შესახებ, უფლებამოსილია გააუქმოს საკრედიტო დაწესებულებისათვის მიცემული დავალება, ვიდრე გადარიცხვა რეალურად არ მომხდარა. ანგარიშსწორების ხელშეკრულება შეიძლება ***შეწყდეს*** ორივე მხარის მიერ ნებისმიერ დროს. ამასთან, კანონი ხელშეკრულების შეწყვეტისას ადგენს საკრედიტო დაწესებულების სპეციალურ ვალდებულებას. კერძოდ, საკრედიტო დაწესებულებას უფლება აქვს, მხოლოდ ისე შეწყვიტოს ხელშეკრულება, რომ კლიენტმა სხვაგვარად შეძლოს საანგარიშსწორებო მომსახურების მიღება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შეწყვეტისათვის არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი.

III. საბანკო კრედიტი (საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, საკრედიტო ხელშეკრულება)

საკრედიტო ხელშეკრულებით ბანკი კისრულობს ვალდებულებას, მსესხებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მისცეს კრედიტი, ხოლო მსესხებელი იღებს ვალდებულებას, დააბრუნოს მიღებული კრედიტი, გადაიხადოს დარიცხული საპროცენტო სარგებელი.

მსგავსად ანგარიშსწორების ხელშეკრულებისა, საკრედიტო ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ყოველთვის ***საკრედიტო დაწესებულებაა,*** ხოლო მეორე მხარე – მსესხებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. საკრედიტო ხელშეკრულებაც ***ორმხრივი, კონსენსუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულებაა.***

მიუხედავად უდიდესი მსგავსებისა, საკრედიტო ხელშეკრულება ***განსხვავდება*** სესხის ხელშეკრულებისაგან, რამაც განაპირობა მისი განცალკევებული სპეციალური მოწესრიგება. მსგავსება იმთავითვე თვალში საცემია: ორივე შემთხვევაში, ხელშეკრულების ერთი მხარე საკუთრებაში გადასცემს ხელშეკრულების მეორე მხარეს ფულს, ხოლო მეორე მხარე კისრულობს ვალდებულებას, დააბრუნოს აღებული ფული. ასეთი მსგავსების დადასტურებაა თავად საქართველოს სამოქალაქო კოდექსში საკრედიტო ხელშეკრულების ლეგალურ დეფინიციაში სესხის ფორმაზე მითითება: "საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით" (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლი). თუმცა, აღნიშნულ სამართლებრივ ინსტიტუტებს შორის სხვაობაც არსებითია. უპირველეს ყოვლისა, საკრედიტო ხელშეკრულება განსხვავდება სესხის ხელშეკრულებისაგან იმით, რომ, როგორც ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მისი ერთ-ერთი მხარე ყოველთვის საკრედიტო დაწესებულებაა. გარდა ამისა, საკრედიტო ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ფულადი სახსრები და არა გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთები. სესხის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, რომელიც ცალმხრივი და რეალური ხელშეკრულებაა, საკრედიტო ხელშეკრულება თავისი სამართლებრივი ბუნებით ორმხრივი, კონსენსუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულებაა; თუ სესხის ხელშეკრულების დადებისათვის, მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევის გარდა, საჭიროა ხელშეკრულების საგნის რეალური

გადაცემა და სესხის ურთიერთობა წარმოშობილად სწორედ ამ მომენტიდან ითვლება, საკრედიტო ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება მხარეთა შორის სათანადო ფორმით შეთანხმების მიღწევის მომენტიდან. სესხის ხელშეკრულება ზოგჯერ უსასყიდლოა, საკრედიტო ხელშეკრულება კი ყოველთვის სასყიდლიანია.

საკრედიტო ხელშეკრულება უნდა დაიდოს ***წერილობით***. თუმცა, საკრედიტო ხელშეკრულების შემთხვევაშიც, მსგავსად ანგარიშსწორების ხელშეკრულებისა, ასეთი მოთხოვნა არ გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსიდან.

საკრედიტო ხელშეკრულების არსებითი პირობებია ***კრედიტის ოდენობა, მისით სარგებლობის ვადა, პროცენტი.*** გარდა ამისა, ხელშეკრულებაში მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ კრედიტის მიზანზეც.

კრედიტის ოდენობა მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება და შეიძლება გამოიხატოს ნებისმიერ ვალუტაში. თუ კრედიტის აღება ხდება ერთ-ერთ ვალუტაში (მაგალითად, ევრო), იგი დარიცხულ პროცენტთან ერთად დაბრუნებულ უნდა იქნეს იმავე ვალუტაში.

კრედიტით სარგებლობის ვადა ყოველთვის განსაზღვრულია და, როგორც წესი, აითვლება კალენდარული დღეებით, თვეებით ან წლებით.

პროცენტი შეიძლება იყოს მყარი ან ცვალებადი. თუ შეთანხმებით გათვალისწინებული ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი და მისი სიდიდე უნდა განსაზღვროს ბანკმა, მაშინ ეს უკანასკნელი ვალდებულია, აღნიშნული გააკეთოს სამართლიანობის საფუძველზე; იგი ასევე ვალდებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გაზრდას ან შემცირებას შეუსაბამოს თავისი საპროცენტო განაკვეთი. პროცენტის ცვალებადობა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის სადისკონტო განაკვეთს ან ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს. საკრედიტო ხელშეკრულების დადებისას უნდა განისაზღვროს საპროცენტო განაკვეთის ზრდისა და შემცირების ზღვარი და ცვლილებათა მინიმალური შუალედი. კრედიტის გამცემი მოვალეა მსესხებელს მისაღები ფორმით შეატყობინოს კრედიტისათვის საპროცენტო განაკვეთის შესახებ. თუ წლიური საპროცენტო განაკვეთი არ არის მითითებული, მაშინ გამოიყენება მხოლოდ კანონით გათვალისწინებული წლიური პროცენტი. თუკი ხარჯების დაკისრება არ იყო გათვალისწინებული წლიური პროცენტის გამოთვლისას, მაშინ ეს ხარჯები არ ანაზღაურდება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 868-ე მუხლი).

კანონი ითვალისწინებს საჯარიმო პროცენტსაც იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელმა გადააცილა კრედიტის თანხის დაბრუნების ვადას (დაარღვია შეთანხმებული კრედიტის დაფარვის გრაფიკი). ამ შემთხვევაში, დავალიანების თანხას ერიცხება ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის შესაბამისი პერიოდისთვის ფიქსირებული საპროცენტო (ან სადისკონტო) განაკვეთის 3%-ის ოდენობით გადიდებული თანხა. ეს ოდენობა შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

პრაქტიკაში მხარეები ხშირად საკრედიტო ხელშეკრულებაში ადგენენ ინფორმაციის ***ურთიერთგაცვლის ვალდებულებას***. კერძოდ, მხარეები ითვალისწინებენ, რომ ბანკს უფლება აქვს, მსესხებლისაგან მიიღოს ყველანაირი საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტები როგორც კრედიტის მიზნობრივად გახარჯვის შესამოწმებლად, ისე მსესხებლის ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის შესამოწმებლად. მსესხებელი ვალდებულია, შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტები ბანკს წარუდგინოს განსაზღვრულ ვადაში. გარდა ამისა, ბანკი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს მსესხებელს ის ინფორმაცია, რაც, ბანკის შეხედულებით, ადასტურებს მსესხებლის მიერ ხელშეკრულების დარღვევას ან მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის ისეთ გაუარესებას, რაც საფრთხეს უქმნის საკრედიტო ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას და მსესხებელს მისცეს დრო აღნიშნული ინფორმაციის დასადასტურებლად ან უარყოფისათვის.

მსესხებელი, თავის მხრივ, ვალდებულია, წარუდგინოს და მისცეს ბანკის წარმომადგენლებს საშუალება, გაეცნონ მის საბუღალტრო და საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლების ამსახველ ანგარიშებს, დებულებებს და სხვა დოკუმენტაციას, აგრეთვე, დაუშვას ბანკის თანამშრომლები თავის მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე.

მსესხებელმა ბანკს უნდა წარუდგინოს კრედიტის მიზნობრივად გახარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები.

მსესხებელს უფლება აქვს ბანკიდან მიიღოს სასესხო ანგარიშის ამონაწერი.

როგორც ბანკი, ასევე მსესხებელი კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ერთმანეთის შესახებ ინფორმაციის საიდუმლოება, გაუფრთხილდნენ ერთმანეთის რეპუტაციას და არ გაახმაურონ ხელშეკრულების პირობები, გარდა ხელშეკრულებით ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საკრედიტო ხელშეკრულება ***წყდება*** მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებით. ბანკი შეიძლება ვადამდე გავიდეს საკრედიტო ხელშეკრულებიდან მსესხებლის მიერ კრედიტის დაბრუნების გრაფიკის ზედიზედ, სულ ცოტა, ორი ვადის გადაცილების შემთხვევაში. ხელშეკრულებიდან გასვლა ძალაში შედის მაშინ, თუ ორკვირიანი დამატებითი ვადის მიცემის შემდეგაც მსესხებელი არ განახორციელებს გადახდას.

თუ მსესხებელი უკან აბრუნებს კრედიტს საკრედიტო ურთიერთობის დამთავრებამდე, მაშინ ბანკს შეუძლია მოითხოვოს ზიანის შესაბამისი ანაზღაურება. ამასთან, ზიანის საზღაურში უნდა ჩაითვალოს დაზოგილი გასავლების ღირებულება, აგრეთვე, ის სარგებელი, რომელსაც კრედიტის გამცემი მიიღებდა სასესხო ვალუტის სხვაგვარი გამოყენებიდან ან თუ კრედიტის მიმღებმა განზრახ არ დაუშვა მისი მიღება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 872-ე მუხლი).

IV. ანაბარი (დეპოზიტი), ანაბრის (დეპოზიტის) ხელშეკრულება

ანაბარი (დეპოზიტი) წარმოადგენს საკრედიტო დაწესებულებაში შეტანილ ფულად თანხას, რომელზეც საკრედიტო დაწესებულება მოიპოვებს საკუთრების უფლებას და ეს უკანასკნელი ვალდებულია ვადის დადგომისას იმავე ვალუტაში დააბრუნოს მიღებული თანხა.

მსგავსად საკრედიტო ხელშეკრულებისა, ანაბრის (დეპოზიტის) ხელშეკრულება იდება ***საკრედიტო დაწესებულებასა*** და მეორე მხარეს – ***მეანაბრეს (დეპოზიტარს)*** შორის, რომელიც შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ამასთან, ხშირად ანაბრის ხელშეკრულებას მეანაბრეები დებენ მესამე პირის სასარგებლოდაც (მაგალითად, შვილის სასარგებლოდ სრულწლოვანების მიღწევამდე).

ანაბრის ხელშეკრულების ***საგანია*** საკრედიტო დაწესებულებაში შეტანილი ფულადი თანხები. ფულადი თანხები შეიძლება გამოისახოს ნებისმიერ ვალუტაში (აშშ-ის დოლარი, ევრო, დიდი ბრიტანეთის ფუნტი სტერლინგი, ლარი) და იგი დარიცხულ პროცენტთან ერთად მეანაბრეს უბრუნდება იმავე ვალუტაში. ხელშეკრულების დადებისა და საკრედიტო დაწესებულებისათვის თანხის გადაცემის მომენტიდან აღნიშნული ფულადი თანხები ***გადადის საკრედიტო დაწესებულების საკუთრებაში***. სანაცვლოდ ეს უკანასკნელი კისრულობს ვალდებულებას, დააბრუნოს მიღებული ფულადი თანხები პროცენტის დამატებით. ამდენად, ანაბრის ხელშეკრულება რეალური ხელშეკრულებაა; მისი დადებისათვის აუცილებელია თანხის რეალური გადაცემა. ანაბრის ხელშეკრულება ცალმხრივი და სასყიდლიანი ხელშეკრულებაცაა, ვინაიდან ხელშეკრულების დადების (საკრედიტო დაწესებულებისათვის თანხის გადაცემის) მომენტიდან ხელშეკრულების ერთ მხარეს – საკრედიტო დაწესებულებას ეკისრება მხოლოდ ვალდებულება, ხოლო მეორე მხარეს – მეანაბრეს აქვს მხოლოდ უფლება. ამასთან, ანაბრის ხელშეკრულებით ანაბრის თანხას ყოველთვის ერიცხება პროცენტი.

ანაბრის ხელშეკრულება იდება ***წერილობით***. თუმცა, როგორც ანგარიშსწორებისა და საკრედიტო ხელშეკრულებების შემთხვევაში, აღნიშნული მოთხოვნა პირდაპირ არ არის გათვალისწინებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. ანაბრის ხელშეკრულება, როგორც წესი, იდება ***განსაზღვრული ვადით*** და ვადის გასვლამდე მეანაბრეს არა აქვს უფლება, უკან

მოითხოვოს შეტანილი ფულადი თანხა[74]. თუ ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ ფულადი თანხა შეიძლება ნებისმიერ დროს იქნეს უკან გამოთხოვილი – ***ე. წ. მოთხოვნამდე ანაბარი***. ანაბრის მიმღები და საკრედიტო დაწესებულების დირექტორები (მენეჯერები) ვალდებულნი არიან, მეანაბრეს მიაწოდონ ინფორმაცია ბანკის ლიკვიდურობისა და ბონიტეტის შესახებ.

ის პირი, რომელიც ბრალეულად გასცემს არასწორ ინფორმაციას ან უარს ამბობს საჭირო მონაცემების მიწოდებაზე, ვალდებულია, მეანაბრეს აუნაზღაუროს არასწორი ინფორმაციის მიწოდებით ან ინფორმაციის გაუცემლობით წარმოშობილი ზიანი. ასევე აგებენ პასუხს სოლიდარულად ბანკის დირექტორები (მენეჯერები), რომლებიც სარეკლამო ბროშურების მეშვეობით ან სხვაგვარად საჯაროდ ავრცელებენ არასწორ მონაცემებს ბანკის ლიკვიდურობისა და ბონიტეტის შესახებ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 874-ე მუხლი).

V. საბანკო გარანტია

საბანკო გარანტია წარმოადგენს სესხის (კრედიტის) უზრუნველყოფის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და ქმედით საშუალებას. მისი პოპულარობა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში განაპირობა იმან, რომ საბანკო გარანტიის დროს, ერთი მხრივ, უზრუნველყოფის მიმცემი არის საფინანსო ინსტიტუტი, გარანტი – ბანკი (საქართველოში ყველაზე ხშირ შემთხვევაში), სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო კომპანია და, მეორე მხრივ, თავად უზრუნველყოფა – გარანტია არის ***უპირობო***, კერძოდ, გარანტი ვალდებულია გადახდაზე იმ პირის (თუნდაც, დაუსაბუთებელი) მოთხოვნის საფუძველზე, რომლის სასარგებლოდაც გაიცა გარანტია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში საბანკო გარანტიის მომწესრიგებელი ნორმები თითქმის სიტყვასიტყვით არის რეცეფცირებული საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული წესებიდან, თუმცა, რა თქმა უნდა, არსებობს გარკვეული განსხვავებაც.

საბანკო გარანტიის სამართლებრივი ინსტიტუტის განხილვისას უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან 2 გარიგება: ***საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ ხელშეკრულება*** და თავად ***საბანკო გარანტია***. პირველი თავისი სამართლებრივი ბუნებით ***ხელშეკრულებაა***, ხოლო მეორე – ***ცალმხრივი გარიგება***.

ა. საბანკო გარანტიის ხელშეკრულება.

საბანკო გარანტიის ***ხელშეკრულებით*** ხელშეკრულების ერთი მხარე – ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო კომპანია (გარანტი) ხელშეკრულების მეორე მხარის – პრინციპალის თხოვნით კისრულობს ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად, პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) გადაუხდის ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. ამდენად, საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ყოველთვის საფინანსო ინსტიტუტია – ***ბანკი*** (ყველაზე ხშირ შემთხვევაში), ***სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო კომპანია***[75]. ხელშეკრულების მეორე მხარე – ***პრინციპალი*** შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ვინაიდან საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით ხელშეკრულების ორივე მხარეს აქვს როგორც უფლებები, ასევე ეკისრება ვალდებულებები, ხოლო დადებულად ხელშეკრულება ჩაითვლება მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევის გაფორმების მომენტიდან, თავისი სამართლებრივი ბუნებით ეს ხელშეკრულება ორმხრივი და კონსენსუალური ხელშეკრულებაა. საბანკო გარანტიის ხელშეკრულება სასყიდლიანია. ვინაიდან გარანტია ყოველთვის დაკავშირებულია ფინანსურ რისკთან, რომელიც ხშირად საკრედიტო რისკს უთანაბრდება, მისი კომპენსირება ხდება გარკვეული საზღაურის – პროცენტის გადახდით. საბანკო გარანტიის ხელშეკრულება იდება

[74] თუმცა, დღეისათვის საქართველოში არაერთი ბანკის შიდა დებულებებში გათვალისწინებულია ანაბრის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისა და მეანაბრისათვის თანხის დაბრუნების შესაძლებლობა

[75] ასევე საქართველოს სინამდვილეში ადგილი აქვს სადაზღვევო კომპანიების მიერ საბანკო გარანტიის გაცემის შემთხვევებს.

წერილობით. ზეპირი ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გამორიცხავს.

ბ. საბანკო გარანტია.

საბანკო გარანტიის ხელშეკრულება საფუძვლად უდევს თვით ***საბანკო გარანტიას***, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ცალმხრივი გარიგებაა. საბანკო გარანტია გაიცემა საფინანსო ინსტიტუტის მიერ და მისი სამართლებრივი ძალა არ არის დამოკიდებული არც ნებისმიერი სხვა პირის თანხმობაზე, არც იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული, მაშინაც კი, როდესაც გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე და არც თავად საბანკო გარანტიის ხელშეკრულების ნამდვილობაზე. ამდენად, სამართლებრივი ბუნებით საბანკო გარანტია არ არის აქცესორული ანუ დამოკიდებული სხვა ვალდებულებაზე; იგი ***აბსტრაქტული გარიგებაა*** და არსებობს სამართლებრივი საფუძვლის – ცაუსა არსებობის მიუხედავად.

საბანკო გარანტია ძალაში შედის მისი ***გაცემის დღიდან***, თუ გარანტიით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. როგორც წესი, საბანკო გარანტია გამოუთხოვადია, თუ გარანტიაში საწინააღმდეგო არ არის გათვალისწინებული. საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლება გარანტის მიმართ არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირს, თუ გარანტიით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 883-ე მუხლი). მიუხედავად უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოცულობისა, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ შემოიფარგლება იმ თანხის გადახდით, რომელზეც გაიცა გარანტია.

როგორ ხორციელდება საბანკო გარანტიიდან გამომდინარე უფლების ***რეალიზაცია***? აღნიშნულისათვის კანონი ადგენს სათანადო პროცედურას:

- საბანკო გარანტიით ბენეფიციარის მოთხოვნა, ფულადი თანხის გადახდის შესახებ, უნდა წარედგინოს გარანტს წერილობითი ფორმით, გარანტიაში მითითებული დოკუმენტების დართვით. მოთხოვნაში ან მის დანართში ბენეფიციარმა უნდა მიუთითოს, თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, რომლის უზრუნველსაყოფადაც გაიცა გარანტია. ბენეფიციარის მოთხოვნა უნდა წარედგინოს გარანტს გარანტიით განსაზღვრული იმ ვადის დამთავრებამდე, რა ვადითაც იგი გაიცა;

- ბენეფიციარის მოთხოვნის მიღების შემდეგ გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ პრინციპალს და გადასცეს მოთხოვნის ასლი მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტითურთ. გარანტმა ბენეფიციარის მოთხოვნა თანდართული დოკუმენტებით უნდა განიხილოს გონივრულ ვადაში და გამოიჩინოს გონივრული მზრუნველობა იმის დასადგენად, შეესაბამება თუ არა მოთხოვნა და თანდართული დოკუმენტები გარანტიის პირობებს;

- გარანტმა უარი უნდა უთხრას ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ ეს მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს, ანდა ისინი წარედგინა გარანტს გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრების შემდეგ. გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ. თუ ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე გარანტისათვის ცნობილი გახდა, რომ საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულება შესაბამის ნაწილში მთლიანად უკვე შესრულებულია, შეწყდა სხვა საფუძვლებით ან ბათილია, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარსა და პრინციპალს.

გარანტის მიერ ასეთი შეტყობინების შემდეგ მიღებული ბენეფიციარის ხელმეორე მოთხოვნა ექვემდებარება გარანტის მიერ დაკმაყოფილებას.

გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ ***წყდება***:

1. ბენეფიციარისათვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა გარანტია;

2. გარანტიაში განსაზღვრული იმ ვადის გასვლით, რომლითაც იგი გაიცა;

3. ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე უარის თქმისა და მათი გარანტისათვის დაბრუნებისას.

გარანტის უფლება, მოითხოვოს პრინციპალისაგან ***რეგრესის წესით*** იმ თანხის გადახდა, რომელიც აუნაზღაურდა ბენეფიციარს საბანკო გარანტიით, განისაზღვრება საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით. გარანტს არა აქვს უფლება, პრინციპალს მოსთხოვოს იმ თანხის გადახდა, რომელიც აუნაზღაურდა ბენეფიციარს, გარანტიის პირობების საწინააღმდეგოდ ან ბენეფიციარის მიმართ გარანტის ვალდებულების დარღვევის გამო, თუ საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 890-ე მუხლი).

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. განმარტეთ ანგარიშსწორების ხელშეკრულება;
2. როგორია ანგარიშსწორების ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება?
3. განმარტეთ საკრედიტო ხელშეკრულება;
4. რა საერთო და განსხვავებული ნიშნები აქვს საკრედიტო და სესხის ხელშეკრულებებს?
5. განმარტეთ ანაბრის (დეპოზიტის) ხელშეკრულება;
6. გადადის თუ არა ფულად თანხებზე საკუთრების უფლება საკრედიტო დაწესებულებაზე ანაბრის (დეპოზიტის) შემთხვევაში?
7. განმარტეთ საბანკო გარანტია;
8. როგორია საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნება?
9. რა შემთხვევებში წყდება გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ?

17. ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება

I. ზოგადი დებულებები

ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ვალდებულებას, ერთობლივად განახორციელონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობა. ხელშეკრულებით დაფუძნებული ამხანაგობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.

ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება მეტად მოქნილი სამართლებრივი ფორმაა 2 ან მეტი პირის მიერ საერთო საქმიანობის განხორციელებისათვის, რაც განაპირობებს მის ფართო გამოყენებას თანამედროვე ცხოვრებაში. მაგალითად, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება ძირითადი დოკუმენტია ინდივიდუალური ბინათმშენებლობის დროს; ამ დროს ხელშეკრულების ერთმა მხარემ შეიძლება ამხანაგობაში შეიტანოს თავისი მიწის ნაკვეთი, რომელზეც უნდა აშენდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, მეორე მხარემ – ფულადი თანხები, მესამე მხარემ – შრომა და სხვა. ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა საადვოკატო ბიუროს დაფუძნებისათვის.

ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაში ***2 ან მეტი მხარეა***, რომლებსაც ერთობლივი საქმიანობის ***მონაწილეებს*** უწოდებენ. როდესაც ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაში მონაწილეობს ორზე მეტი მხარე, მაშინ იგი მრავალმხრივი გარიგებაა. თავისი სამართლებრივი ბუნებით ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება ***ორმხრივი, კონსენსუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულებაა.***

ერთობლივი საქმიანობის ***ხელშეკრულების საგანია*** ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობა (მშენებლობა, რემონტი, იურიდიული მომსახურება). ხელშეკრულების ვადა მონაწი-

ლეთა შეთანხმებით განისაზღვრება. მონაწილეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულება იმოქმედებს ერთობლივი საქმიანობის დასრულებამდე.

ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ***ნებისმიერი ფორმით***. თუ ხელშეკრულება დადებულია წერილობით, მაშინ იგი უნდა შეიცავდეს:

ა) მონაწილეთა დასახელებასა და მისამართს;

ბ) მონაცემებს ერთობლივი საქმიანობის საზეობისა და მიზნის შესახებ;

გ) მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს;

დ) მართვის ორგანოთა სტრუქტურასა და ფუნქციებს;

ე) მონაწილეთა შორის შემოსავლებისა და ზიანის განაწილების წესსა და პირობებს;

ვ) ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის) წესს;

ზ) საქმიანობის ხანგრძლივობას;

თ) ხელშეკრულების შეწყვეტისა და დარჩენილი ქონების განაწილების წესს.

II. მონაწილეების შესატანები და წილები. ამხანაგობის ქონება

ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით მონაწილეებმა უნდა შეიტანონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ***შესატანები***. შესატანი შეიძლება შეტანილ იქნეს როგორც ქონებით, ასევე მომსახურების გაწევით. თუ ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული შესატანის ოდენობა, თითოეული მონაწილე მოვალეა იგი თანაბრად შეიტანოს. მონაწილეთა შესატანებისაგან იქმნება ***ამხანაგობის ქონება***. მონაწილეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ ამხანაგობაში შეტანილი ქონება დარჩეს შემომტანი მონაწილის საკუთრებაში და იგი ამხანაგობას გადაეცემა მფლობელობასა და სარგებლობაში, ან შესატანები წარმოადგენდეს მონაწილეთა საერთო საკუთრებას. ამხანაგობის საერთო საკუთრება იქმნება ამხანაგობის საქმიანობის გაძღოლის შედეგად მისთვის შეძენილი ქონებით. მონაწილეთა წილები ამხანაგობის საერთო საკუთრებაში განისაზღვრება მათი წილების შესაბამისად.

ყოველ მონაწილეს შეუძლია ისარგებლოს ამხანაგობის ქონებით იმ პირობით, რომ იგი ისარგებლებს ამ ქონებით ამხანაგობის ინტერესებში და მისი დანიშნულებისამებრ ისე, რომ ხელი არ შეუშალოს მეორე მონაწილეს სარგებლობაში.

III. საქმეების გაძღოლა და წარმომადგენლობა

როგორც წესი, ხელშეკრულების მონაწილეები ***ერთობლივად უძღვებიან საქმეებს და წარმოადგენენ ამხანაგობას*** მესამე პირებთან ურთიერთობაში. ამ შემთხვევაში ყოველი გარიგების დადებისას საჭიროა ხელშეკრულების ყველა მონაწილის თანხმობა. თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისია ხმათა უმრავლესობა, იგი განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილეთა საერთო რაოდენობის მიხედვით და არა შესატანის ოდენობით. ხელშეკრულებით მონაწილეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ ამხანაგობის საქმეებს წარმართავს და ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს ერთი (ან რამდენიმე) მონაწილე (მმართველი მონაწილე). თუ მმართველი მონაწილე რამდენიმე პირია ისე, რომ თითოეულს უფლება აქვს დამოუკიდებლად იმოქმედოს, მაშინ თითოეულ მათგანს მაინც შეუძლია შეედავოს მეორეს გარიგების დადებისას. ასეთი შედავების შემთხვევაში, გარიგება არ დაიდება. ერთობლივი საქმიანობის მონაწილეს შეიძლება ჩამოერთვას საქმეების გაძღოლის უფლებამოსილება ხმათა უმრავლესობით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი უხეშად დაარღვევს ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს. ხელშეკრულების მონაწილეს უფლება აქვს, უარი თქვას საქმეების მართვაში მონაწილეობაზე.

IV. შემოსავლები და ხარჯები. პასუხისმგებლობა

როგორც წესი, მონაწილეები ***შემოსავლებსა და ხარჯებში მონაწილეობენ თავიანთი წილების*** შესაბამისად. ხელშეკრულებით მონაწილეები შეიძლება შეთანხმდნენ სხვა პროპორციაზეც. ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის პასუხს აგებენ ***სოლიდარულად***. ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მონაწილეთა წილების შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

V. ერთობლივი საქმიანობის მონაწილეთა სხვა უფლება-ვალდებულებები

ერთობლივი საქმიანობის მონაწილეები ვალდებულნი არიან, არ გაახმაურონ ამ საქმიანობის შედეგად მიღებული ***კონფიდენციალური ინფორმაცია.*** ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე ის მოთხოვნები, რომლებიც მონაწილეებს აქვთ ერთმანეთის მიმართ, არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირს. ხელშეკრულების დანარჩენ მონაწილეებს აქვთ მესამე პირისათვის გადასაცემი წილის უპირატესი შესყიდვის უფლება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 933-ე მუხლი).

VI. ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების შეწყვეტა

ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება წყდება მისი ***ვადის გასვლით***. თუ ხელშეკრულება პირდაპირ არ განსაზღვრავს ერთობლივი საქმიანობის ვადას, ყოველ მონაწილეს ***ნებისმიერ დროს*** შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტა დაუშვებელია ისეთ დროს ან ისეთ გარემოებაში, რომელიც საზიანო იქნება ერთობლივი საქმიანობისათვის. თუ მონაწილეთა შეთანხმებით განსაზღვრულია ერთობლივი საქმიანობის ვადა, მაშინ ამ ვადის გასვლამდე ხელშეკრულების შეწყვეტა დაიშვება მხოლოდ ***პატივსადები მიზეზების*** არსებობისას.

ერთ-ერთი მონაწილის ***გასვლა*** იწვევს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას. ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ერთ-ერთი მონაწილის გასვლას ერთობლივი საქმიანობის შეუწყვეტლად. ასეთ შემთხვევაში გამსვლელი მონაწილის წილი ნაწილდება სხვა მონაწილეებს შორის. გამსვლელ მონაწილეს წილის კომპენსაცია მიეცემა ფულადი სახით. ამასთან, მხედველობაში მიიღება გასვლის დროისათვის შეუსრულებელი გარიგებები. თუ გასვლის მომენტისათვის საერთო ქონება ვეღარ ფარავს საერთო ვალებს, გამსვლელი ვალდებულია, დანარჩენ მონაწილეებს გადაუხადოს თავისი წილის შესაბამისი თანხა. ბათილია შეთანხმება, რომელიც აუქმებს ან ზღუდავს ხელშეკრულებიდან მონაწილის გასვლის უფლებას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 938-ე მუხლი).

ერთობლივი საქმიანობის ***შეწყვეტის*** საფუძვლებია:

1. ერთობლივი საქმიანობის შეთანხმებული ვადის გასვლა;
2. მონაწილეთა გადაწყვეტილება;
3. ერთობლივი საქმიანობის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა;
4. ერთობლივი საქმიანობის მიზნების განხორციელების შეუძლებლობა, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლებია, აგრეთვე:

1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილის გარდაცვალება;
2. ერთ-ერთი მონაწილის ქონებაზე საგაკოტრებო საქმის წარმოების გახსნა;
3. ხელშეკრულების შეწყვეტა.

ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტისას უნდა დამთავრდეს ჯერ კიდევ შეუსრულებელი გარიგებები, შედგეს საინვენტარიზაციო ნუსხა, ხოლო ***დარჩენილი ქონება განაწილდეს*** მონაწილეებს შორის, მათი წილის შესაბამისად. ქონების განაწილებისას უნდა დაიფაროს ერთობლივი საქმიანობის დროს წარმოშობილი ვალები. თუ ქონება საკმარისი არ არის ვალების დასაფარა-

ვად, ხელშეკრულების მონაწილეები ვალდებულნი არიან, ვალები დაფარონ თავიანთი წილის შესაბამისად (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 940-ე მუხლი).

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. *განმარტეთ ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება;*
2. *წარმოადგენს თუ არა ამხანაგობა იურიდიულ პირს?*
3. *როგორი წესია დადგენილი კანონით ამხანაგობის საქმეების გაძღოლისა და წარმომადგენლობის მიმართ?*
4. *როგორ აგებენ პასუხს მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის?*
5. *ყველა შემთხვევაში, იწვევს თუ არა ერთ-ერთი მონაწილის გასვლა ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას?*

18. თავდებობის ხელშეკრულება

თავდებობა ვალდებულების უზრუნველყოფის პიროვნული საშუალებაა, თუმცა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (და სხვა ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობების უდიდეს უმრავლესობაში) იგი დამოუკიდებელი ხელშეკრულების სახით არის მომწესრიგებელი ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილში და არა როგორც უზრუნველყოფის საშუალება ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში. ასეთი სისტემური გადაწყვეტით კანონმდებელმა აქცენტი გააკეთა თავდებობის ხელშეკრულებაში მხარეთა შიდა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებაზე.

თავდებობის ხელშეკრულებით ხელშეკრულების ერთი მხარე – ***თავდები*** კისრულობს ვალდებულებას, თავდებად დაუდგეს ხელშეკრულების მეორე მხარის – კრედიტორის წინაშე მესამე პირს ამ უკანასკნელის ვალდებულების შესასრულებლად.

როგორც ამ განმარტებიდან ჩანს, თავდებობის ხელშეკრულება იდება ***თავდებსა და კრედიტორს შორის*** მესამე პირის – კრედიტორის *მოვალის* ვალდებულების უზრუნველსაყოფად (მაგალითად, ბანკის თანამშრომელი ირემაძე თავის ნათესავს დაუდგა თავდებად, ამ უკანასკნელის მიერ ბანკიდან აღებული კრედიტის უზრუნველსაყოფად).

თავდებობის ხელშეკრულებით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს ***ნებისმიერი, მათ შორის, არაფულადი ვალდებულებაც*** (მაგალითად, ნივთის საკუთრებაში გადაცემის ვალდებულება). ამასთან, თავდებობა (თავდებობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება), საბანკო გარანტიისაგან განსხვავებით[76], წარმოადგენს ***აქცესორულ უფლებას*** და მისი არსებობა და ფარგლები სრულად დამოკიდებულია უზრუნველყოფილი მოთხოვნის (ძირითადი უფლება) არსებობასა და ფარგლებზე; თუ ძირითადი უფლება არ წარმოიშობა გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლით, თავდებობაც არ ითვლება წარმოშობილად. თავდებობის ხელშეკრულებაში მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ***სამომავლო და პირობითი ვალდებულების*** უზრუნველყოფაზეც. მართალია, სამომავლო და პირობითი ვალდებულება არ არსებობს კონკრეტული ვადის ან პირო-

[76] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 881-ე მუხლის თანახმად:
„საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე მათ შორის ურთიერთობისას არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული, მაშინაც კი, როცა გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე“.

ბის დადგომამდე, თავდებობის ხელშეკრულება მაინც ნამდვილია, თუმცა, თავად თავდებობა, თავდებობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება ვადის ან პირობის დადგომამდე არ წარმოიშობა. მიუხედავად აქცესორული ბუნებისა, თავდების ვალდებულება არ გაიზრდება იმ გარიგებით, რომელსაც ძირითადი მოვალე დადებს თავდებობის აღების შემდეგ; ამ გარიგებით წარმოშობილ ურთიერთობებზე თავდების ვალდებულება არ გავრცელდება.

თავდებობის ხელშეკრულება იდება ***წერილობით***. თუმცა, თავდებობის ნამდვილობისათვის საჭიროა თავდების ***წერილობითი განცხადებაც***. თუ ვინმე თავისი პროფესიული საქმიანობის შესრულების ფარგლებში განაცხადებს თავდებობის შესახებ, მაშინ ფორმის დაცვა არ არის აუცილებელი.

თავდებობის ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული, რა ***ზღვრული თანხის ფარგლებშიც*** უდგება თავდები მოვალეს თავდებად. თავდები პასუხს აგებს მხოლოდ მითითებული ზღვრული თანხის ფარგლებში (მაგალითად, ხელშეკრულების მხარეებმა პასუხისმგებლობის ზღვრულ თანხად გაითვალისწინეს 10000 ლარი; მიუხედავად იმისა, რომ დარღვეული ვალდებულების ღირებულებამ შეადგინა 35000 ლარი, თავდები გადაიხდის მხოლოდ 10000 ლარს). ზღვრული თანხის ფარგლებში თავდები პასუხს აგებს:

1. ძირითადი ვალის შესაბამისი თანხისათვის, კერძოდ, მაშინაც, როდესაც ძირითადი ვალი შეიცვალა ძირითადი მოვალის ბრალის ან გადახდის ვადის გადაცილების გამო. სახელშეკრულებო პირგასამტეხლოს ან ზიანის საერთო თანხისათვის, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულების დამთავრების დროისათვის, თავდები პასუხს აგებს მხოლოდ მაშინ, როცა ეს საგანგებოდ იქნება შეთანხმებული;

2. ხელშეკრულების შეწყვეტისა და სასამართლო ხარჯებისათვის, რომლებიც უნდა ანაზღაურდეს ძირითადი მოვალის მიერ, თუკი თავდებს შესაძლებლობა ჰქონდა, კრედიტორის დაკმაყოფილებით თავიდან აეცილებინა იგი;

3. ძირითადი მოვალის მიერ ხელშეკრულების მიხედვით გადასახდელი პროცენტებისათვის, თუ ეს პირდაპირ იყო შეთანხმებული (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 898-ე მუხლი).

როგორ ხორციელდება თავდებობიდან გამომდინარე უფლების რეალიზაცია?

აღნიშნულისათვის განსხვავებული წესია დადგენილი იმისდა მიხედვით, მხარეებს დადებული აქვთ ***ჩვეულებრივი თავდებობის ხელშეკრულება,*** თუ თავდებობის ხელშეკრულება ***სოლიდარული თავდებობის კისრებით.*** ჩვეულებრივი თავდებობის შემთხვევაში, კრედიტორმა ჯერ უნდა სცადოს უშუალოდ მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულება. მანამდე, სანამ კრედიტორი ამოწურავს მოვალისაგან დაკმაყოფილების საშუალებებს, თავდებს შეუძლია უარი თქვას მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. გარდა ამისა, თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ძირითად მოვალეს უფლება აქვს სადავო გახადოს ის გარიგება, რომელიც საფუძვლად უდევს მის ვალდებულებას. პრაქტიკაში ასეთი სახის თავდებობა ძალიან იშვიათია. უფრო გავრცელებულია თავდებობის ხელშეკრულებები სოლიდარული თავდებობის კისრებით (სოლიდარული თავდებობა). სოლიდარული თავდებობა გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლით, რომელშიც, კერძოდ, აღნიშნულია: "თუ თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას სოლიდარულად ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სახით, მას შეიძლება წაეყენოს მოთხოვნა იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშეც, თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა მისი გადახდისუუნარობა აშკარაა". აღსანიშნავია, რომ ამ მუხლში არასწორია გამოთქმა ,,თანაბარმნიშვნელოვანი სახით", რადგან ეს უკანასკნელი გულისხმობს სოლიდარულ პასუხისმგებლობასთან გათანაბრებულ რომელიმე სხვა სახის პასუხისმგებლობას, თუმცა, სამოქალაქო კანონმდებლობა იცნობს მხოლოდ სოლიდარულ და სუბსიდიარულ პასუხისმგებლობათა სახეებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის გერმანულ პირველწყაროში სიტყვა ,,სოლიდარული" ბრჭყალებშია მოცემული, ხოლო ,,თანაბარმნიშვნელოვანი სახით"-ის ნაცვლად იგულისხმება ხელშეკრულების მხარის მიერ გამოყენებული ისეთი სიტყვა, რომელიც თანაბარმნიშვნელოვანი იქნებოდა სიტყვასთან ,,სოლიდარული".

ამდენად, სოლიდარული თავდებობის შემთხვევაში, კრედიტორს ***აღარ სჭირდება*** მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობა; იგი პირდაპირ მოსთხოვს თავდებს ვალდებულების შესრულებას. პრაქტიკაში, როგორც წესი, კრედიტორი სასამართლოში ერთდროულად უჩივის ორივე პირს – მოვალესაც და თავდებსაც და ეს უკანასკნელები სასამართლო პროცესში გამოდიან როგორც თანამოპასუხეები.

თავდებობიდან გამომდინარე უფლების რეალიზაციისათვის აუცილებელი პირობაა თავდებისათვის ***შეტყობინების გაგზავნა,*** ძირითადი მოვალის მიერ გადახდის ვადას გადაცილების ან ვალდებულების სხვაგვარი დარღვევის შესახებ. თავდებს შეუძლია კრედიტორს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს ინფორმაცია, უზრუნველყოფილი ვალდებულების მდგომარეობის შესახებ. კრედიტორის მიერ აღნიშნული ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის კანონი მისთვის ითვალისწინებს უარყოფით შედეგებს, კერძოდ, კრედიტორი კარგავს თავის მოთხოვნებს თავდების წინააღმდეგ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც აღნიშნული ვალდებულებები გამოიწვევდა ზიანს. თავდები დაცულია იმ შემთხვევაშიც, როდესაც კრედიტორი თავდების საზიანოდ ამცირებს საგირავნო უფლებებს ან უზრუნველყოფის სხვა საშუალებებსა და შეღავათებს; ამ დროს თავდების პასუხისმგებლობა მცირდება ზემოაღნიშნული შემცირების შესაბამისი თანხით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 901-ე მუხლი). თავდების ინტერესების დაცვისათვის კანონი ფიქციასაც მიმართავს: მიუხედავად იმისა, რომ თავდები არ არის იმ ხელშეკრულების მხარე, რომლიდანაც გამომდინარე მოთხოვნა უზრუნველყოფილია თავდებობით, თავდებს მაინც შეუძლია წამოაყენოს ძირითადი მოვალის კუთვნილი შესაგებლები. თავდები არ კარგავს შესაგებლის უფლებას იმის გამო, რომ ძირითადმა მოვალემ უარი თქვა მასზე. თუ ძირითადი მოვალე გარდაიცვლება, თავდებს არ შეუძლია მიუთითოს მემკვიდრის შეზღუდულ პასუხისმგებლობაზე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 899-ე მუხლი).

თავდებობის ხელშეკრულება, ზოგადი წესით, წყდება მისი ***ვადის გასვლით.*** თუ თავდებობის ხელშეკრულების ვადა აღემატება 5 წელს, ამ ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ნებისმერი მხარის ცალმხრივი ნების გამოვლენით ხელშეკრულების შეწყვეტის სამთვიანი ვადის დაცვით. ცალმხრივი ნების გამოვლენით ნებისმიერ დროს წყდება, აგრეთვე, თავდებობის ხელშეკრულება, რომელიც არ არის განსაზღვრული ვადით დადებული, თუმცა, ამ შემთხვევაშიც თავდები ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულების შეწყვეტის სამთვიანი ვადა. ცალმხრივი შეწყვეტის შემთხვევაში, თავდები ვალდებულია, შეასრულოს შეწყვეტამდე ნაკისრი ვალდებულებანი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 903-ე მუხლი).

თავდების მიერ კრედიტორის დაკმაყოფილების შემთხვევაში ადგილი აქვს ***სუროგაციას***, კერძოდ, თავდები იძენს კრედიტორის მოთხოვნას მოვალის მიმართ და ამ მოთხოვნასთან დაკავშირებულ კრედიტორის კუთვნილ ყველა უფლებას.

კანონი ადგენს საფუძვლებს, რომელთა არსებობის თავდებს შეუძლია მოითხოვოს ***ვალდებულებისაგან გათავისუფლება***. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 904-ე მუხლში აღნიშნულია:

„მუხლი 904. თავდებობის ვალდებულებისაგან განთავისუფლების საფუძვლები

1. თუ თავდები იკისრებს თავდებობას ძირითადი მოვალის დავალებით, ან თუ დავალების გარეშე სხვისი საქმეების წარმართვის წესების შესაბამისად თავდებობის გამო მიენიჭება რწმუნებულის უფლებები ძირითადი მოვალის მიმართ, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს თავდებობისაგან განთავისუფლება, თუ:

ა. ძირითადი მოვალის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად გაუარესდა;

ბ. თავდებობის დადგენის შემდეგ ძირითადი მოვალისაგან გადახდევინება არსებითად გაძნელდა საცხოვრებელი ადგილის ან ადგილსამყოფელის შეცვლის გამო;

გ. კრედიტორს თავდების წინააღმდეგ აქვს შესრულებაზე სააღსრულებო წარწერის მქონე დოკუმენტი.“

ამ მუხლის 1-ლ ნაწილში ადგილი აქვს თარგმნითი ხასიათის ხარვეზს, რომელიც მდგომარეობს მხოლოდ ერთ სიტყვაში, უფრო ზუსტად, ნორმის ტექსტში სიტყვის

არარსებობაში. 904-ე მუხლის ქართული ვერსიის ნორმის არსიდან გამომდინარე, თავდებს ***ნებისმიერ დროს,*** თუნდაც სასამართლოში დავის მიმდინარეობისას, შეუძლია მოითხოვოს თავდებობისაგან გათავისუფლება, თუ არსებობს ამ მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში მითითებული გარემოებები. მაგრამ ეს გამოიწვევს კრედიტორის ინტერესების შელახვას; ეს უკანასკნელი დაკარგავდა უზრუნველყოფას სწორედ იმ დროს, როდესაც მოვალის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად გაუარესდა და ა. შ. ამ ნორმის ქართულ ვერსიას, თავისი ფორმულირების გამო, შეიძლება შედეგად მოჰყვეს მისი არასათანადო, მცდარი გამოყენება პრაქტიკაში; იგი იძლევა თავდების მიერ ნებისმიერ დროს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საშუალებას იმ დროს, როდესაც გერმანიის სამოქალაქო კოდექსში არსებულ ამ ნორმის ანალოგში აღნიშნული დაშვებული არ არის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 904-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ანალოგიური ნორმა გერმანიის სამოქალაქო კოდექსში გათვალისწინებულია §775-ის 1-ლ ნაწილში, რომლის კორექტული თარგმანის გაცნობის შედეგად ვადგენთ ქართული ნორმის სწორ ვერსიას: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 904-ე მუხლი, მართალია, სიტყვასიტყვით იქნა რეცეფცირებული §775-დან, მაგრამ ქართული ტექსტის რედაქტორს გამორჩა ერთი სიტყვა, რომლითაც არსებითად იცვლება ნორმის შინაარსი! კერძოდ, გერმანულ ტექსტში აღნიშნულია, რომ თავდებს კი არ „შეუძლია მოითხოვოს თავდებობისაგან გათავისუფლება“, არამედ თავდებს „შეუძლია მოვალეს მოსთხოვოს თავდებობისაგან გათავისუფლება“ (“von diesem {Hauptschuldner} Befreiung von der Bürgschaft verlangen”). მკითხველი თავად ადვილად მიხვდება, თუ რა დიდი განსხვავებაა ქართულ და გერმანულ ვერსიებს შორის: სწორი ვერსიის შემთხვევაში თავდებს კი არ შეუძლია „საერთოდ“ ნებისმიერ დროს და ნებისმიერი პირისა თუ ორგანოს (მაგალითად, სასამართლოს) წინაშე მოითხოვოს გათავისუფლება, არამედ მხოლოდ მოვალისაგან და ამ უკანასკნელი ფორმალობის დაუცველობის შემთხვევაში, იგი რჩება კვლავ ვალდებული თავდებობით.

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. განმარტეთ თავდებობა;
2. როგორია თავდებობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება?
3. რა ფორმით შეიძლება დაიდოს თავდებობის ხელშეკრულება?
4. რა თანხის ფარგლებში აგებს პასუხს თავდები?
5. რა ხარვეზებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თავდებობის ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებში?

კაზუსები განვლილ მასალაზე:

(პასუხები იხილეთ 242-ე გვერდზე)

კაზუსი №1

შპს ,,ბარაქამ" ხელშეკრულება გააფორმა შპს ,,გემოსთან", რომელმაც იკისრა ვალდებულება, ამ უკანასკნელისათვის ხორცის ღვეზელის დასამზადებლად მიეწოდებინა 5 ტონა საქონლის ხორცი. შპს ,,გემომ" ხორცის ღირებულება წინასწარ გადაიხადა. მოგვიანებით შპს ,,ბარაქამ" შეატყობინა შპს ,,გემოს", რომ საქონლის ხორცი გაუთავდა და შეუძლია მიაწოდოს ღორის ხორცი. შპს ,,გემო" დაეთანხმა.

კითხვა:

ჩაითვლება თუ არა შპს ,,ბარაქას" მოქმედება ვალდებულების შესრულებად?

კაზუსი №2

შპს ,,ფერმერმა" სს ,,ნობათს" მიჰყიდა 50 ტონა კარტოფილი და 10 ტონა კომბოსტო. ხელშეკრულებით შესრულების ადგილი არ ყოფილა განსაზღვრული და არც ვალდებულების არსიდან გამომდინარეობდა.

კითხვა:

სად უნდა მოხდეს ნასყიდობის საგნის მიწოდება?

კაზუსი №3

დურგალმა წითელაძემ მის მიერ დამზადებული მუხის მაგიდა 2001 წლის 22 ოქტომბერს 500 ლარად მიჰყიდა კაპანაძეს. ნივთის გადაცემა მყიდველისათვის უნდა მომხდარიყო 30 ოქტომბერს. მანამდე, 25 ოქტომბერს წითელაძემ იგივე ნივთი წერეთელს მიჰყიდა და მაგიდა გადასცა. კაპანაძემ მოითხოვა ნივთის მისთვის გადაცემა.

კითხვა:

კანონიერია თუ არა მოთხოვნა?

კაზუსი №4

კინწურაშვილმა მეზობელ ბერიძეს თავისი სახლიდან ასესხა 12 ცალი სამზარეულო ოთახის სკამი. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ბერიძემ გამსესხებელს დაუბრუნა იმავე რაოდენობის და იმავე ხარისხის ნივთი.

კითხვა:

რამდენად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას ეს ხელშეკრულება?

კაზუსი №5

ძმებს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც ერთი ძმა კისრულობდა ვალდებულებას, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ მამის ქონებიდან მემკვიდრეობით მიღებულ წილს მიყიდიდა მეორე ძმას. დამ დააყენა ძმებს შორის დადებული ხელშეკრულების ბათილობის საკითხი.

კითხვა:

კანონიერია თუ არა დის მოთხოვნა?

კაზუსი №6

მჩუქებელმა დასაჩუქრებულის უმადურობის გამო მოითხოვა ჩუქების გაუქმება და ნაჩუქარი ქონების დაბრუნება. დასაჩუქრებულმა უარი განაცხადა ნაჩუქარი ნივთის დაბრუნებაზე იმ მოტივით, რომ უმადურობის ფაქტის გამოვლენიდან გასული იყო უკვე 3 წელი.

კითხვა:
კანონიერია თუ არა დასაჩუქრებულის უარი?

კაზუსი №7

შპს ,,მერიდიანმა'' სამხრაძესთან დადო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც შპს ,,მერიდიანი'' ამ უკანასკნელს, საკუთრების უფლებით გადასცემდა 5 ცალ უნიკალურ, ძველებურ ხალიჩას. მხარეებმა ხელშეკრულება დადეს წერილობით 2001 წლის 19 ოქტომბერს. ხელშეკრულებით განისაზღვრა ნასყიდობის ფასი – 1200 ლარის ოდენობით. სამხრაძემ ფასი გადაიხადა ხელშეკრულების დადებისთანავე, რაზეც ასევე შედგა თანხის მიღების ხელწერილი. სამხრაძეს, ხელშეკრულების დადების დღეს, ნივთები არ გადასცემია. მხარეები შეთანხმდნენ, რომ სამხარაძე ხალიჩებს გაიტანდა თავისი სატრანსპორტო საშუალებებით 5 დღის შემდეგ – 2001 წლის 24 ოქტომბერს. მაგრამ 22 ოქტომბრის ღამეს იმ საწყობს, რომელშიც შპს ,,მერიდიანის'' საქონელთან ერთად ინახებოდა შეძენილი ხალიჩები, მეხი დაეცა და გაჩენილი ხანძრის შედეგად საწყობი, მათ შორის, ხალიჩები მთლიანად დაიწვა.

კითხვა:
ვის ეკისრება ნივთების შემთხვევითი დაღუპვის რისკი?

კაზუსი №8

2000 წლის 20 მაისს კივილაძე მოწმეთა თანდასწრებით სიკინჭილაშვილს საუბარში შეპირდა 300 ლარის სესხად მიცემას იმავე წლის ზაფხულის ბოლოსათვის, როდესაც სიკინჭილაშვილის ქალიშვილი ჩააბარებდა ერთ-ერთ კომერციულ კოლეჯში. მას შემდეგ, რაც სიკინჭილაშვილის ქალიშვილი ჩაირიცხა კოლეჯში, სიკინჭილაშვილმა კივილაძეს მოსთხოვა დაპირების შესრულება, რაზეც უარი მიიღო. სიკინჭილაშვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს.

კითხვა:
როგორ გადაწყდება სესხის შეპირების ბედი?

კაზუსი №9

იმის გამო, რომ კონტრაჰენტის მიერ ყალბი დოკუმენტის წარმოდგენა გახდა ხელშეკრულების არდადების მიზეზი, მეორე მხარემ, მას მოსთხოვა მგზავრობის საბუთების მომზადებისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება, რომელიც ხელშეკრულების დადების მომზადებისთვის გახდა საჭირო.

კითხვა:
სწორია თუ არა მოთხოვნა?

კაზუსი №10

მარშანიასა და თოლორაიას შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მარშანიას ჰქონდა მის მიერ გაყიდული სახლის გამოსყიდვის უფლება, თოლორაიას სახელზე სახლის საჯარო რეესტრში აღრიცხვიდან 4 წლის მანძილზე. აღნიშნულის მიუხედავად, თოლორაიამ მარშანიასაგან ნაყიდი სახლი, სახლის მის საკუთრებაში გადასვლიდან 3 წლის შემდეგ, მიჰყიდა ხეცურიანს. მარშანიამ სასამართლოს მიმართა სარჩელით და მოითხოვა თოლორაიასა და ხეცურიანს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და სახლის გამოსყიდვის უფლების აღდგენა.

კითხვა:
კანონიერია თუ არა მარშანიას მოთხოვნა?

IV თავი

საკორპორაციო (სამეწარმეო) სამართალი

ზოგადი ნაწილი

1. შესავალი

ზემოთ 1-ლ თავში – „ქართული სამართლის საფუძვლები“ სამართლის სისტემის განხილვისას აღვნიშნეთ, რომ სავაჭრო (საკორპორაციო) სამართალი კერძო სამართლის ერთ-ერთი დარგია, თუმცა, ქართულ სამართალში, განსხვავებით ევროპის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობისაგან (მაგალითად, გერმანია), არ მოიპოვება სამართლის ამ დარგის მომწესრიგებელი ერთიანი ნორმატიული აქტი – ***სავაჭრო კოდექსი***. ისტორიულად მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, რომელიც ევროპაში ითვლება უდიდესი კოდიფიკაციების ეპოქად, სამოქალაქო კოდექსების მიღებასთან ერთად იღებდნენ სავაჭრო კოდექსებსაც, როგორც ვაჭრობის (კომერციულ) სფეროში არსებული ურთიერთობების მომწესრიგებელ და მეწარმე სუბიექტების სტატუსისა და უფლებამოსილების დამდგენ სპეციალურ ნორმატიულ აქტებს. მაგალითად, საფრანგეთში სამოქალაქო კოდექსის მიღების შემდეგ (1804 წელი), 1807 წელს მიღებულ იქნა საფრანგეთის სავაჭრო კოდექსი, რომელიც, მსგავსად სამოქალაქო კოდექსისა, დღესაც ძალაშია, თუცმა, მან იმდენად არსებითი ცვლილებები განიცადა, რომ დღეისათვის მასში პრაქტიკულად არც ერთი ორიგინალური ნორმა არ მოიპოვება. მსგავსად საფრანგეთისა, გერმანიაშიც სამოქალაქო კოდექსთან ერთად 1900 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა სავაჭრო კოდექსი, რომელიც შედგება 5 წიგნისა და 905 პარაგრაფისაგან. გერმანიის სავაჭრო კოდექსიც მოქმედი ნორმატიული აქტია, თუმცა, მანაც განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები (მაგრამ არა ისეთი კარდინალური, როგორიც საფრანგეთის სავაჭრო კოდექსმა, რომელიც ამჟამად პრაქტიკულად მთლიანად ახლებური რედაქციისაა). მაგალითად, მას გამოეყო სააქციო სამართალი და იგი ცალკე კანონის სახით ჩამოყალიბდა (1965 წლის 6 სექტემბრის „სააქციო კანონი“). მე-19 საუკუნის ბოლოდან და მე-20 საუკუნის დასაწყისიდან კერძო სამართლის სფეროს 2 კოდექსით მოწესრიგების ტრადიცია ირღვევა. 1911 წელს შვეიცარია იღებს კანონს „ვალდებულებითი სამართლის შესახებ“, რომელიც ხდება სამოქალაქო კოდექსის შემადგენელი ნაწილი (მე-5 ნაწილი). ამ კანონში, რომელიც 1186 მუხლისაგან შედგება, სრულად შევიდა ის ნორმატიული მასალა, რომელიც ადრე სავაჭრო კოდექსის მოწესრიგების საგანი იყო – ხელშეკრულება მაკლერთან, ხელშეკრულება აგენტთან, კომისიის ხელშეკრულება, გადაზიდვა-გადაყვანა, პროკურა და სხვა სავაჭრო მინდობილობები, კომერციული საზოგადოებები. შვეიცარიის მაგალითს მიბაძა იტალიამაც. 1942 წელს იტალიამ მიიღო ახალი სამოქალაქო კოდექსი, რომელმაც „შეიერთა“ სავაჭრო კოდექსის ნორმატიული მასალა (სულ კოდექსი შედგება 2969 მუხლისაგან). ახალი მიდგომა არც შემდგომში შეიცვალა. მაგალითად, კანადის პროვინცია კვებეკის 1992 წლის სამოქალაქო კოდექსმაც მიბაძა ახალ ტენდენციას და ასევე გააერთიანა სამოქალაქო- და სავაჭროსამართლებრივი ნორმები (სულ კოდექსში 3075 მუხლია). რაც შეეხება ქართველი კანონმდებლის პოზიციას, მიუხედავად ხანგრძლივი დისკუსიისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პროექტის განხილვისას ***გაიმარჯვა ახალი ტენდენციის მომხრეთა პოზიციამ***, ვინაიდან მასზე იდგნენ კოდექსის გერმანელი ავტორები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პროექტი სრულად ასახავდა გერმანელი სპეციალისტების მიერ ყოფილი

საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყნისათვის შემუშავებულ მოდელურ კოდექსს. მაგალითად, ანალოგიური პროექტი შეთავაზებულ იქნა მოლდოვისათვის, ესტონეთისათვის, აზერბაიჯანისათვის. ამდენად, საქართველომ უარი თქვა სავაჭრო კოდექსზე, მაგრამ აუცილებელი იყო, მიღებულიყო სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა მოწყობის სამართლებრივი ფორმებისა და მათი საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტი. ასეთი ნორმატიული აქტი გახდა ***1994 წელს მიღებული "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი***, რომელიც ძალაში შევიდა 1995 წლის 1 მარტიდან. მიუხედავად "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის ე. წ. „ვიწრო სპეციალიზაციისა“ ანუ მიუხედავად იმისა, რომ კანონის ავტორთა თავდაპირველი ჩანაფიქრით მას არ უნდა მოეცვა მთლიანად სავაჭროსამართლებრივი სფერო, არამედ მხოლოდ დაედგინა მეწარმე სუბიექტების სამართლებრივი ფორმები და მოეწესრიგებინა მათი შიდა კორპორაციული ურთიერთობები, – კანონი მაინც მრავლად შეიცავს წმინდა სავაჭრო-სამართლებრივ ნორმებს, რის გამოც ზოგიერთ იურიდიულ გამოცემაში მას არსებითად სავაჭრო კოდექსადაც კი მიიჩნევენ[1] (მაგალითად, 2008 წლის 14 მარტს კანონში განხორციელებულ ცვლილებამდე – სავაჭრო წარმომადგენლის, დამოუკიდებელი მოვაჭრის, სავაჭრო მაკლერის შესახებ ნორმები, კომისიის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები).

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი თავისი დროისათვის ***უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯი*** იყო ახლად ფეხადგმული დამოუკიდებელი ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის განვითარებისათვის. პირველად საქართველოს ისტორიაში არა მარტო განისაზღვრა საკორპორაციო (სამეწარმეო) სამართლის ისეთი ფუნდამენტური ცნებები და სამართლებრივი ინსტიტუტები, როგორიცაა, მაგ., სამეწარმეო საქმიანობა, მეწარმე სუბიექტების სამართლებრივი ფორმები, სამეწარმეო რეესტრი, გენერალური სავაჭრო მინდობილობა (პროკურა) და სხვა, არამედ კანონის ტექსტის შემუშავებისას ქართველი კანონმდებლის მიერ რეცეფცირებულ იქნა ევროპის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქვეყნის – გერმანიის სამართალი მისი უკანასკნელი საკანონმდებლო მიღწევების გათვალისწინებით. ქართველმა კანონმდებელმა სცადა, ჩამოეყალიბებინა მეწარმე სუბიექტების მოწყობის სამართლებრივი ფორმებისა და მათი საქმიანობის მომწესრიგებელი მაქსიმალურად ლაკონური, მოქნილი და ლიბერალური საკანონმდებლო ბაზა, სამეწარმეო-სამართლებრივ ურთიერთობებში მიეღწია ურთიერთობების მონაწილეთა შორის ნდობას და დაეცვა კეთილსინდისიერი მესამე პირების ინტერესები. აღნიშნული მიზნები, გარკვეულწილად, მიღწეულ იქნა და შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის საქართველოში ნელი სვლით, მაგრამ მაინც ყალიბდება კორპორაციული ურთიერთობები. თუმცა, მიუხედავად კანონის აღნიშნული ღირსებებისა და მისი რეალიზაციით ცხოვრებაში მიღებული პოზიტიური შედეგებისა, დღეს უკვე აღნიშნული კანონი, ჩვენი ღრმა რწმენით, ***ვერანაირად ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს***. რა არის ამის მიზეზი? უპირველეს ყოვლისა, მთავარი მიზეზი თავად კანონის არასაკმარისი რეგულირებაა, უკიდურესად მცირე ნორმატიული ბაზაა, რის გამოც უამრავ, ხშირად ძალიან მარტივ საკითხზე (მაგალითად, იურიდიული პირის რეორგანიზაცია მიერთების გზით, იურიდიული პირის ლიკვიდაცია და გაუქმება, საზოგადოების კაპიტალის გაზრდა და სხვა), ან საერთოდ არ მოიპოვება ნორმა ან გამოსაყენებელი ნორმა არსებობს, თუმცა, სამწუხაროდ, მხოლოდ დეკლარაციული ხასიათისაა და პრაქტიკულად ღიად ტოვებს ყველა პრობლემატურ საკითხს. მართლაც, „მეწარმეთა შესახებ“ კანონი ძალიან მცირეა კერძო სამართლის ამ უმნიშნელოვანესი სფეროს სრულყოფილი მოწესრიგებისათვის. კანონი შედგება სულ 71 მუხლისაგან, თუმცა, მოიცავს ყველა კომერციული იურიდიული პირის – სპს, კს, შპს, სს და კოოპერატივი – შესახებ ნორმებს. შესადარებლად შეიძლება მოვიყვანოთ თუნდაც ამ კანონის საფუძვლად არსებული გერმანული სავაჭრო კოდექსი და გერმანიის სხვა კანონები. გერმანული სავაჭრო კოდექსის გარდა, რომელიც 905 პარაგრაფისაგან შედგება, გერმანიაში ცალკე არის ჩამოყალიბებული შპს-ის, საწარმოო და სამეურნეო კოოპერატივების

[1] Правовые системы стран мира – Энциклопедический справочник, Отв. редактор А. Я. Сухарев, второе издание, измененное и дополненное, Издательство НОРМА, Москва, 2001

შესახებ კანონები და სააქციო კანონი. შპს-ის შესახებ კანონი შედგება 85 პარაგრაფისაგან, საწარმოო და სამეურნეო კოოპერატივების შესახებ კანონი – 162 პარაგრაფისაგან, ხოლო სააქციო კანონი – 410 დიდი პარაგრაფისაგან. ამდენად, "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისი გერმანული ნორმატიული ბაზა აღემატება 1500 პარაგრაფს! გარდა აღნიშნულისა, "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის არსებით ხარვეზად უნდა იქნეს მიჩნეული მისი ზედმეტი ლიბერალობა და იმპერატიული, ხისტი მოწესრიგების სიმცირე. ზოგადად ჩვენ, რა თქმა უნდა, ვეთანხმებით იმ აზრს, რომ კერძო სამართალში უნდა ჭარბობდეს ე. წ. დისპოზიციური მოწესრიგება ანუ კერძო სამართლის მონაწილეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, ხშირ შემთხვევაში თავიანთი სურვილით განსაზღვრონ უფლებები და ვალდებულებები, მაგრამ საკორპორაციო (სამეწარმეო) სამართალში იმპერატიული ნორმებიც აუცილებელია სამეწარმეო ურთიერთობებში გაუგებრობის, თაღლითური ქმედებების თავიდან ასაცილებლად, ურთიერთობების ყოველი მონაწილის კანონიერი ინტერესების დასაცავად.

"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონს გარკვეული პრობლემები ***ნორმათა შინაარსის მხრივაც*** ახასიათებს. მაგალითად, კანონის ზოგიერთი ნორმა იმდენად არაკორექტულად ჩამოყალიბდა, რომ აუცილებელი გახდა შემდგომში მისი გასწორება. ზოგიერთი ნორმა შეიცვალა არაერთხელ. მაგალითად, 44-ე მუხლში შპს-ის ცნება რამდენჯერმე შეიცვალა. თავდაპირველად 44-ე მუხლის რედაქციაში შპს-ის ცნება ჩამოყალიბებული იყო შემდეგნაირად: საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით, ხოლო პარტნიორის პასუხისმგებლობა – საწესდებო კაპიტალში მისი წილის ოდენობით. შემდგომში 1996 წლის დეკემბერში შეტანილი ცვლილებით ამ განმარტებიდან ამოღებულ იქნა წინადადების მე-2 ნაწილი, სადაც მითითებული იყო პარტნიორის პასუხისმგებლობაზე. მეორე ცვლილება მუხლში შევიდა 1999 წლის ივნისში და იგი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: "შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. საზოგადოების პარტნიორი არ არის პასუხისმგებელი საზოგადოების ვალდებულებებზე, გარდა 3.4 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ასეთი საზოგადოების დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც". საბოლოო ცვლილება აღნიშნულ მუხლში განხორციელდა 2008 წლის 14 მარტის კანონით და 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის რედაქცია ჩამოყალიბდა შემდგაირად: "***1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. ასეთი საზოგადოების დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც***". ამდენად, რამდენიმე წლის განმავლობაში კანონმდებელი ვერ ახერხებდა, განესაზღვრა ისეთი არსებითი სამართლებრივი საკითხი, როგორიცაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ცნება. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის ზოგიერთი ნორმა სრულიად გაუგებარი იყო და ამიტომ პრაქტიკაში იგნორირებული არა მარტო ნოტარიუსების, არამედ თავად სამეწარმეო რეესტრის მიერაც. მაგალითად, უცნობი იყო, რა იგულისხმებოდა 2008 წლამდე კანონში მოცემულ 14.7 პარაგრაფის ნორმაში: "შერწყმა და ნატურით გაყოფა დაიშვება მხოლოდ წლიური ანგარიშის შედგენის დღისათვის და ამ დღიდან ექვსთვიანი უკუქცევითი ძალით". აღსანიშნავია, რომ ეს პარაგარაფი "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის კომენტარის არც ერთ გამოცემაში არ იყო განმარტებული.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონმა განიცადა რამდენიმე არსებითი და ძირითადად ***პოზიტიური ცვლილება***. ამ ცვლილებებიდან აღსანიშნავია, მაგ., სამეწარმეო რეესტრის სასამართლოდან ჯერ საგადასახადო ორგანოსათვის, ხოლო შემდეგ კი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის გადაცემა, სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის, ფილიალების შესახებ ნორმების ახლებური ჩამოყალიბება, სააქციო საზოგადოების მომწესრიგებელი ნორმებს დაემატა რამდენიმე მუხლი სააქციო საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვის შესახებ და სხვა. თუმცა, აღნიშნული ცვლილებები ვერ უზრუნველყოფს კანონის მთავარი ნაკლის – არასაკმარისი რეგულირების აღმოფხვრას.

ამიტომ პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთ გზად მივიჩნევთ სამეწარმეო-სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმატიული ბაზის სრულ განახლებას.

უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული ცვლილებებიდან აღსანიშნავია ***2008 წლის 14 მარტსა და 2009 წლის 3 ნოემბერს მიღებული კანონები "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის*** შესახებ, რომლებმაც კარდინალურად შეცვალა "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის ტექსტი.

2008 წლის 14 მარტს მიღებული კანონით არსებითად შეიცვალა ***კანონის თითქმის ყველა მუხლი***. ამ კანონით განხორციელებული ცვლილებების შედეგად კანონში მრავალი სიახლე გაჩნდა, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი:

1. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს საზოგადოების სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის (ცვლილების რეგისტრაციის) პროცედურის არსებითი გამარტივება.;

2. ცვლილებების შედეგად კაპიტალური საზოგადოებების (შპს, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი) მიმართ აღარ არსებობს საწესდებო კაპიტალის ცნება მისი მანამდე არსებული მნიშვნელობით; ასეთი ტერმინი საერთოდაც არ გამოიყენება კანონში. მისი ადგილი დაიკავა ტერმინმა "საზოგადოების კაპიტალი";

3. საკანონმდებლო მოწესრიგების მიღმა დარჩა სავაჭრო წარმომადგენელთან, დამოუკიდებელ მოვაჭრესთან და კომისიონერთან დადებული ხელშეკრულებები;

4. გართულდა რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის პროცედურები;

5. გაუქმდა საქართველოში რეგისტრირებული საზოგადოების ფილიალის რეგისტრაციის სავალდებულო მოთხოვნა;

6. გაუქმდა კონცერნული მდგომარეობის ანუ ისეთი ფაქტობრივი მდგომარეობის, როდესაც ერთ საზოგადოებას აქვს მეორე საზოგადოებაში განსაზღვრული წილი, – მომწესრიგებელი ნორმები.

ნაკლებად რადიკალურია ***2009 წლის 3 ნოემბერს მიღებული კანონით განხორციელებული ცვლილებები***, თუმცა, ეს ცვლილებები მაინც არსებითი ხასიათისაა; მაგალითისათვის საკმარისია თუნდაც ის ფაქტი, რომ სამეწარმეო რეესტრის წარმოება, რომელსაც უკვე დაერქვა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი, – გადავიდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირზე – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოზე. შესაბამისად, შეცვალა კერძო სამართლის იურიდიული პირებისა და ინდივიდუალურ მეწარმეთა რეგისტრაციის წესები; რეგისტრაციის წარმოების წესების შესახებ ძირითადი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი გახდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 31 დეკემბრის №241 ბრძანება "მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში ***2011 წლის 24 ივნისის კანონით*** განხორციელებული ცვლილებებითა და დამატებებით მთლიანად შეიცვალა და ახლებურად ჩამოყალიბდა საწარმოს რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის მომწესრიგებელი ნორმები, მუხლები 14-14[4]. 2016 წლის 19 თებერვლის კანონით კი დადგინდა შპს-სა და სს-ში მოგების განაწილების ახალი წესები, ასევე ახლებურად მოწესრიგდა აქციების ფლობასა და განკარგვასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები. დასასრულ კი, ***2016 წლის 8 ივნისის*** კანონით დადგინდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ჩატარების ახალი წესები, საზოგადოებრივი დაინტერესების პირების სამეთვალყურეო საბჭოებში შემოღებულ იქნა აუდიტის კომიტეტი.

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. *რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონს?*
2. *„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში რომელი უარყოფითი მხარე უნდა იქნეს მიჩნეული უმთავრესად?*
3. *რაში მდგომარეობს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის უკანასკნელი საკანონმდებლო ცვლილებების არსი?*

2. სამეწარმეო საქმიანობის ცნება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის ავტორთა ჩანაფიქრით, იგი არ არის გამიზნული ზოგადად სამეწარმეო საქმიანობის დროს წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისაკენ. როგორც თავად კანონის 1-ლ მუხლში არის მითითებული, კანონი აწესრიგებს სამეწარმეო საქმიანობის ***სუბიექტთა სამართლებრივ ფორმებს.*** იმავე მუხლში მოცემულია სამეწარმეო საქმიანობის ლეგალური დეფინიცია, კერძოდ, ***სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.***

ამდენად, იმისათვის, რომ პირის მიერ განხორციელებული საქმიანობა ჩაითვალოს სამეწარმეო საქმიანობად, აუცილებელია შემდეგი ***დამახასიათებელი ნიშნების*** არსებობა:

ა. მართლზომიერება და არაერთჯერადობა

მართლზომიერად მიიჩნევა ისეთი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. ამასთან, აუცილებელი არ არის, საქმიანობა პირდაპირ იყოს დაშვებული კანონის მიერ. საკმარისია, იგი არ ეწინააღმდეგებოდეს მას, ე. ი. პირდაპირ არ იყოს აკრძალული. კანონის არსით, სამეწარმეო საქმიანობა თავისუფალია; ნებისმიერ პირს შეუძლია თავისი სურვილით განახორციელოს ასეთი საქმიანობა. თუმცა, საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, ზოგიერთი სახის საქმიანობა შეზღუდულია სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მხრიდან თანხმობით. კერძოდ, ზოგიერთი საქმიანობის წარმართვისათვის კანონით შეიძლება დაწესდეს ლიცენზიის ან ნებართვის მიღების აუცილებელობა (მაგალითად, თევზჭერა, მშენებლობა).

არაერთჯერადობა გულისხმობს საქმიანობის წარმართვას სისტემატურად, თუმცა, ერთჯერადი ოპერაციაც შეიძლება იქნეს აღიარებული სამეწარმეო საქმიანობად, თუ იგი მისი განმახორციელებელი პირის მიერ თავიდანვე გამიზნული იყო სისტემატური მოქმედებებისათვის.

ბ. მოგების მიზანი

მოგების მიღება მთავარი მიზანია ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობისა. ამასთან, მსგავსად არაერთჯერადობისა, აქაც განმსაზღვრელია პირის მიზანი, სურვილი და არა მოგების რეალური მიღება (კანონი საუბრობს "მოგების მიზანზე"). ცხოვრებაში ძალიან ხშირია შემთხვევები, როდესაც სამეწარმეო საქმიანობას ნაცვლად მოგებისა, მოჰყვება ზარალი, თუმცა, ზარალიანი ოპერაციებიც სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა.

გ. დამოუკიდებლობა და ორგანიზებულობა

სამეწარმეო საქმიანობის ***დამოუკიდებლობა და ორგანიზებულობა*** გულისხმობს მეწარმე სუბიექტის ჩამოყალიბებას კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი სამართლებრივი ფორმით, თავისი შეხედულებით გადაწყვეტილებების მიღებასა და თავისი საქმიანობის წარმართვას განსაზღვრული სტრუქტურის მქონე შიდა ორგანოების მეშვეობით (მაგალითად, პარტნიორთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორები).

კანონის 1-ლი მუხლი სამეწარმეო საქმიანობად ***არ თვლის*** ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტორული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო, სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობას. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო წარმოებები შეიძლება არსებობდეს მეწარმეთათვის გათვალისწინებული სამართლებრივი ფორმით, თუ მოხდება მათი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაცია. რეგისტრაცია სავალდებულოა, თუ წარმოებაში მუდმივად დასაქმებულია მფლობელის ოჯახის არაწევრი ხუთი პირი მაინც.

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. განმარტეთ სამეწარმეო საქმიანობა;
2. რომელი საქმიანობა არ ითვლება სამეწარმეო საქმიანობად?

3. საწარმოსა და კორპორაციის (საზოგადოების) ცნებები. კორპორაციების (საზოგადოებების) სახეები. ფილიალები (წარმომადგენლობები)

I. საწარმოსა და კორპორაციის (საზოგადოების) ცნებები. კორპორაციების (საზოგადოებების) სახეები

ზემოთ მეორე თავში – "სანივთო სამართალი" ჩვენ მიერ განხილულ იქნა საწარმოს როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტის ცნება. კერძოდ, აღინიშნა, რომ ქართულ იურიდიულ ტერმინოლოგიაში სიტყვა ***"საწარმო"*** უფრო კომერციული იურიდიული პირების კრებით სახელწოდებად გამოიყენება, ვიდრე ამ ცნების ნამდვილი და სწორი მნიშვნელობით. განსაკუთრებით ამ მხრივ აღსანიშნავია "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის ტერმინოლოგია: კანონი ერთ ადგილას საუბრობს საწარმოს შეძენაზე და, მაშასადამე, საწარმოში მოიაზრებს ურთიერთობის ობიექტს, სხვა ადგილებში (და, ძირითადად, მთელ ტექსტში) – საწარმო არის კომერციული საზოგადოება და ინდივიდუალური საწარმო – სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი. ამდენად, "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის უდიდეს ხარვეზად უნდა იქნეს მიჩნეული სამართლის სუბიექტისა და ობიექტის ერთმანეთში არევა. თუმცა, კანონის მიერ გამოყენებული ტერმინოლოგიის მიუხედავად, საწარმო მაინც სამართლის ობიექტია და იგი წარმოადგენს ქონებრივ კომპლექსს, რომელიც მოიცავს როგორც აქტივებს, ისე პასივებსაც.

საწარმოსაგან განსხვავდება კორპორაცია (საზოგადოება), რომელიც სამართლის სუბიექტია და ფლობს სწორედ საწარმოს. კორპორაცია (საზოგადოება) კომერციული იურიდიული პირია. გავიხსენოთ "ქართული სამართლის საფუძვლების" განხილვისას ჩვენ მიერ მოტანილი ***კერძო სამართლის იურიდიული პირების კლასიფიკაცია***: კერძო სამართლის იურიდიულ პირებს მიეკუთვნება:

- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;
- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
- კომანდიტური საზოგადოება;
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
- სააქციო საზოგადოება;
- კოოპერატივი.

კერძო სამართლის იურიდიული პირები, თავის მხრივ, იყოფა ***არაკომერციულ და კომერციულ იურიდიულ პირებად***. პირველ კატეგორიას მიეკუთვნება არასამეწარმეო (არაკო-

მერციული) იურიდიული პირი, დანარჩენი სამართლებრივი ფორმები – კომერციულ იურიდიულ პირებს. ამდენად, კორპორაციებია:

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს),
კომანდიტური საზოგადოება (კს),
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს),
სააქციო საზოგადოება (სს),
კოოპერატივი.

კომერციული იურიდიული პირები იყოფა 2 სახედ: ე. წ. ***ამხანაგობის ტიპის და კაპიტალურ იურიდიულ პირებად (საზოგადოებებად).*** ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებს მიეკუთვნება:

- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება და
- კომანდიტური საზოგადოება, ხოლო

კაპიტალურ საზოგადოებებს კი მიეკუთვნება:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება,
- სააქციო საზოგადოება და
- კოოპერატივი.

II. ფილიალები

კომერციულ იურიდიულ პირებს შეუძლიათ დააარსონ ***ფილიალები***. ფილიალი არის განცალკევებული ქვედანაყოფი, რომელიც მდებარეობს იურიდიული პირის ადგილსამყოფლის გარეთ, მთლიანად ან ნაწილობრივ წარმოადგენს ან ახორციელებს მის ფუნქციებს. იგი თავად არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. როგორია კომერციული იურიდიული პირების ფილიალების დაფუძნების პროცედურა?

"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი ადგენს განსხვავებულ წესს ადგენს იმისდა მიხედვით, ფუძნდება თუ არა საქართველოში რეგისტრირებული თუ უცხო ქვეყნის საზოგადოების ფილიალი: საქართველოში რეგისტრირებული საზოგადოების ***ფილიალი რეგისტრაციას არ ექვემდებარება***. რეგისტრაციას საჭიროებს მხოლოდ უცხო ქვეყნის საზოგადოების ფილიალი. უცხო ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით დაფუძნებული საზოგადოების ფილიალის (მუდმივი დაწესებულების) რეგისტრაციისათვის საჯარო რეესტრს უნდა წარედგინოს შემდეგი საბუთები:

- განცხადება ფილიალის რეგისტრაციის შესახებ;
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული საზოგადოების გადაწყვეტილება ფილიალის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ, ან მინდობილობა პირისათვის, ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ;
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამოწმებული მონაცემები საზოგადოებისა და მისი ხელმძღვანელის შესახებ.

საჯარო რეესტრი უცხო ქვეყნის ფილიალის (მუდმივი დაწესებულების) რეგისტრაციას ახორციელებს ფილიალის (მუდმივი დაწესებულების) იურიდიული მისამართის მიხედვით.

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. განმარტეთ საწარმო;
2. დაასახელეთ კერძო სამართლის იურიდიული პირები;
3. განმარტეთ ფილიალი;
4. ექვემდებარება თუ არა რეგისტრაციას საქართველოში რეგისტრირებული საზოგადოების ფილიალი?

4. კორპორაციების (საზოგადოებების) დაფუძნება და სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი

I. კორპორაციების (საზოგადოებების) დაფუძნება და სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია

საზოგადოებების დაფუძნებისა და რეგისტრაციის წესები არსებითად შეიცვალა ჯერ 2006 წლის 25 მაისის კანონით, შემდეგ – 2008 წლის 14 მარტის კანონით, ხოლო დღევანდელი სახე კი მან მიიღო 2009 წლის 3 ნოემბრის კანონით:

2006 წლის 25 მაისის კანონით დადგინდა სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია, რომელსაც ახორციელებდა საგადასახადო ორგანო საზოგადოების იურიდიული მისამართის მიხედვით. ამით, შეიძლება ითქვას, კანონი კიდევ უფრო დაშორდა თავის გერმანულ საწყისებს და უფრო რუსეთის ფედერაციის სამართლის პრინციპებს დაუახლოვდა. 2008 წლის 14 მარტის კანონით რეგისტრაციის პროცედურა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, არსებითად გამარტივდა. კერძოდ, რეგისტრაციის ძირითადი დოკუმენტი გახდა ***განცხადება,*** რომელშიც მიეთითება საზოგადოების რეგისტრაციისათვის აუცილებელი რეკვიზიტები (საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, პარტნიორებისა და ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) მონაცემები, საზოგადოების ხანგრძლივობა და სხვა); საჭირო აღარ იყო დაფუძნების ნების გამოვლენის დამადასტურებელი დოკუმენტისა და წესდების წარდგენა. თუ პარტნიორი (პარტნიორები), ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირების) სარეგისტრაციო განცხადებას ხელს აწერდნენ მარეგისტრირებელ საგადასახადო ორგანოში, რეგისტრაციზე უფლებამოსილი პირის თანდასწრებით, იგი აღარ მოითხოვდა სანოტარო წესით დამოწმებას. სხვა შემთხვევაში, განცხადება უნდა დამოწმებულიყო სანოტარო წესით;

2009 წლის 3 ნოემბრის კანონისა და მის საფუძველზე მიღებული 2009 წლის 31 დეკემბრის №241 ბრძანება "მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე ადგენს საჯარო რეესტრში საზოგადოებების დაფუძნებისა და რესგიტრაციის შემდეგ პროცედურას:

- სარეგისტრაციო წარმოების დაწყების საფუძველია: ა) დაინტერესებული პირის განცხადება; ბ) საჯარო რეესტრისათვის კანონმდებლობით ზემდგომი ორგანოს მიერ ან სასამართლო აქტით (არბიტრაჟის გადაწყვეტილებით) დაკისრებული ვალდებულება - მიიღოს გადაწყვეტილება. განცხადებაზე განმცხადებლის მიერ ხელმოწერა უნდა შესრულდეს საჯარო რეესტრის უფლებამოსილი პირის თანდასწრებით. განცხდების ფოსტის მეშვეობით წარდგენისას განცხადებაზე ხელმოწერა დამოწმებულ უნდა იქნეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- განცხადებების წარდგენა და შესაბამისი დოკუმენტების გაცემა წარმოებს ელექტრონული პროგრამის საშუალებით; საჯარო რეესტრი განცხადების წარმოდგენას ადასტურებს შესაბამის ელექტრონულ პროგრამაში მისი რეგისტრაციითა და მასზე სარეგისტრაციო ნომრის მინიჭებით. უფლებამოსილი პირი ვალდებულია განმცხადებლის მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ გააცნოს რეგისტრაციაში წარმოდგენილი განცხადება და გასცეს განცხადების მიღების ბარათი, რომელიც ადასტურებს განცხადების წარმოდგენის ფაქტს;
- საჯარო რეესტრი ვალდებულია რეგისტრაციის საკითხზე სარეგისტრაციო წარმოების ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება რეგისტრაციის, ხარვეზის დადგენის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო საამისო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, შეწყვიტოს სარეგისტრაციო წარმოება ან განუხილველი დატოვოს

განცხადება. საჯარო რეესტრის გადაწყვეტილება გამოიცემა ელექტრონული ფორმით;

- საზოგადოებების რეგისტრაცია მოიცავს როგორც სახელმწიფო, ისე საგადასახადო რეგისტრაციას. საზოგადოებები დაფუძნებულად ითვლება რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტიდან. გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი საჯარო რეესტრის ვებგვერდზე განთავსებისთანავე. რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტი ემთხვევა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტს. რეგისტრაციისას ხდება საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება.

II. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი არის მონაცემთა ერთიანი ბაზა, რომლის მონაცემებიც საჯაროა; ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს რეესტრის მონაცემებს და მიიღოს საჯარო რეესტრიდან ამონაწერი. ამონაწერი მზადდება საზოგადოებების რეესტრის, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეესტრების მონაცემთა ერთიანი ბანკის საფუძველზე და ასახავს მისი მომზადების მომენტისათვის რეგისტრირებული სუბიექტის, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა შეზღუდვის შესახებ ძალაში მყოფ მონაცემებს. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში ამონაწერი ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პარტნიორთა წილებზე, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებს. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში არსებული მონაცემების საფუძვლად გამოყენებული სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ელექტრონული ასლები განთავსებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის საფასურის გადახდის გარეშე.

ამდენად, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამეწარმეო-სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობისა და მის მონაწილეთა შორის ნდობის არსებობისათვის. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების მიმართ მოქმედებს ***უტყუარობისა და სისრულის კანონისმიერი პრეზუმფცია***. კერძოდ, ისინი ითვლება სწორად გარდა იმ შემთხვევისა, თუ დაინტერესებული პირისთვის წინასწარ იყო ცნობილი ამ მონაცემების უზუსტობა.

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. *რაში მდგომარეობს 2008 წლის 14 მარტის კანონით რეგისტრაციის პროცედურის გამარტივება?*
2. *რას წარმოადგენს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი?*

5. საფირმო სახელწოდება

საფირმო სახელწოდება – ფირმა არის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული სახელწოდება, რომლითაც საზოგადოებები და ინდივიდუალური მეწარმე ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას და რომლითაც ხდება მეწარმე სუბიექტის იდენტიფიცირება. იდენტიფიკაცია საფირმო სახელწოდების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა; მეწარმე განსაზღვრული ფირმით იმკვიდრებს თავს ბაზარზე, მას მომხმარებლები იცნობენ ამ საფირმო სახელწოდებით. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყოველი კომერციული იურიდიული პირის საფირმო სახელწოდების ინდივიდუალურობას, ე. ი. ყოველი კომერციული იურიდიული პირის საფირმო სახელწოდება ***უნდა განსხვავდებოდეს*** სხვა უკვე რეგისტრირებული იურიდიული პირის საფირმო სახელწოდებისაგან.

კანონი ადგენს საფირმო სახელწოდების მიმართ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

უპირველეს ყოვლისა, საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს სამართლებრივი ***ფორმის აღმნიშვნელ სიტყვებს ან მათ აბრევიატურას.*** მაგალითად, სააქციო საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს აღნიშვნას "სააქციო საზოგადოება" ან "სს".

გარდა აღნიშნულისა, ამხანაგობის ტიპის კომერციული იურიდიული პირის საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს, სულ ცოტა, ერთ-ერთი პარტნიორის (კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში – სრული პარტნიორის) ***სახელს*** "სპს"-ის ან "კს"-ის დამატებით. მაგალითად, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება "იოსელიანი და პარტნიორები" ანუ სპს "იოსელიანი და პარტნიორები"; კომანდიტური საზოგადოება "იოსელიანი, ძაგნიძე და ბარათაშვილი" ანუ კს "იოსელიანი, ძაგნიძე და ბარათაშვილი". თუ სპს-ში ან კს-ში გაერთიანებული არიან მხოლოდ იურიდიული პირები, მისი სახელწოდება უნდა შეიცავდეს ერთ-ერთი მათგანის საფირმო სახელწოდებას "სპს"-ის ან "კს"-ის დამატებით.

რაც შეეხება კაპიტალურ იურიდიულ პირებს, პარტნიორთა სახელის გამოყენების შესაძლებლობის გარდა, მათ შეუძლიათ საფირმო სახელწოდება შეარჩიონ მათი ***საქმიანობის საგნის*** მიხედვით ან ეს სახელწოდება შეიძლება იყოს ***ფანტაზიის ნაყოფი***. თუმცა, ადგენს ამ "ფანტაზიის" ფარგლებს; კერძოდ, საფირმო სახელწოდებას არ უნდა ერთვოდეს რაიმე ისეთი დამატება, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირი ან/და გამოიწვიოს შეცდომა ან/და გაუგებრობა მეწარმე სუბიექტის ფორმისა თუ საქმიანობის მოცულობის ან/და პარტნიორთა ურთიერთობის გამო (პარ. 6.5).

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. განმარტეთ ფირმა;
2. რა აუცილებელ დამატებით სიტყვებს უნდა შეიცავდეს ფირმა?

6. შენატანი და მისი განხორციელება. საზოგადოების კაპიტალი

I. შენატანი და მისი განხორციელება

შენატანი წარმოადგენს იმ ქონებრივი ხასიათის შესრულებას, რომლის განხორციელებასაც კისრულობს საზოგადოების დამფუძნებელი (მონაწილე) როგორც საზოგადოების დაფუძნებისას, ისე დაფუძნების შემდგომ. შენატანი ფართო ცნებაა და იგი გამოიყენება არა მარტო სამეწარმეო ამხანაგობისა თუ ამხანაგობის ტიპის კომერციული იურიდიული პირებისადმი, არამედ

კაპიტალური საზოგადოებების მიმართაც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, შენატანი ხორციელდება საზოგადოების კაპიტალში.

შენატანი ყოველთვის ***ქონებრივი ობიექტია და ხშირ შემთხვევაში ფულადი სახისაა.*** იგი შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური ქონება, სამუშაოს შესრულება ან/და მომსახურების გაწევა: არაფულადი შენატანის შემთხვევაში, შენატანი ობიექტები ***შეტანაუნარიანი*** უნდა იყოს. შეტანაუნარიანად ითვლება ყველა ის ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად. მაგალითად, შეტანა შესაძლებელია როგორც მოძრავი, ისე უძრავი ნივთებისა; ამასთან, ვინაიდან შენატანის განხორციელება წარმოადგენს განკარგვით გარიგებას, შენატანი ნივთი არ უნდა იყოს დაყადაღებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი შეტანა ბათილია. თუმცა, შენატანი ნივთი შეიძლება იყოს უფლებრივად დატვირთული, კერძოდ, მოძრავი ნივთი დაგირავებული ან უძრავი ნივთი დატვირთული იპოთეკით ანდა დატვირთული ვალდებულებით (მაგალითად, ნივთი გაქირავებულია). მიუხედავად აღნიშნული დატვირთვისა, ნივთი მაინც შეიძლება იქნეს შეტანილი საზოგადოებაში. ქონებრივი ხასიათის მქონე მოთხოვნების და უფლებების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საკრედიტო, სასესხო მოთხოვნები, ქირის ან დივიდენდის მიღების უფლება და სხვა. შეტანაუნარიანია ასევე სამუშაოს შესრულება ანდა მომსახურების გაწევა.

არაფულადი შენატანი აუცილებელად დეტალურად უნდა იყოს აღწერილი საზოგადოების წესდებაში ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი იდენტიფიცირება. იდენტიფიცირებისათვის ვარგისია ნებისმიერი მონაცემი და დოკუმენტი, რომელიც შეიძლება ახლდეს ნივთს (მაგალითად, მანქანა-დანადგარის გამოშვების წელი და ნომერი, ტექპასპორტი და სხვა) ან შეფასების აქტი.

შენატანი უნდა განხორციელდეს წესდებით გათვალისწინებულ ***წესითა და ვადაში***. კანონით დადგენილია, რომ პარტნიორებს შეუძლიათ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ***გარიცხვა*** პარტნიორის პასუხისმგებლობის უმკაცრესი ფორმაა. ამიტომ ქართული სასამართლო პრაქტიკისა და იურიდიულ მეცნიერებაში ერთხმად აღიარებული შეხედულების თანახმად, პარტნიორის გარიცხვა ***დასაშვებია მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების*** საფუძველზე; ე. ი. საკმარისი არ არის, რომ პარტნიორის გარიცხვა გათვალისწინებული იყოს საზოგადოების წესდებით და სახეზე იყოს გარიცხვის საფუძვლები – შენატანის შეტანის ვადის გადაცილება და შესაძლო გარიცხვის შესახებ გაფრთხილება; საკმარისი არ არის, აგრეთვე, ისიც, რომ საზოგადოების დანარჩენმა პარტნიორებმა პარტნიორთა კრებაზე ერთხმად მიიღეს გარიცხვის გადაწყვეტილება. ეს უკანასკნელი არ მოქმედებს ავტომატურად და უშუალოდ არ იწვევს პარტნიორის გარიცხვას. აღნიშნული საფუძვლებით დანარჩენმა პარტნიორებმა სარჩელით უნდა მიმართონ სასამართლოს და მხოლოდ ამ უკანასკნელის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში ითვლება პარტნიორი საზოგადოებიდან გარიცხულად.

შენატანის განხორციელების მომენტიდან შესატანი ობიექტი – თუნდაც, იგი იყოს ფულადი თუ არაფულადი შენატანი – ხდება ***საზოგადოების საკუთრება***. შესაბამისად, შენატანის განმახორციელებელი კარგავს მასზე თავის საკუთრების უფლებას.

II. საზოგადოების კაპიტალი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2008 წლის 14 მარტის კანონით განხორციელებული ცვლილებების შედეგად კაპიტალური საზოგადოებების (შპს, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი) მიმართ აღარ არსებობს ***საზოგადოების კაპიტალის ცნება*** მისი მანამდე არსებული მნიშვნელობით (ადრე იგი არსებობდა საწესდებო კაპიტალის ცნების სახით).

საზოგადოების კაპიტალი აღარ წარმოადგენს საზოგადოების რეგისტრაციის აუცილებელ პირობას, თუმცა, იგი შეიძლება საზოგადოების დამფუძნებეთა შორის შეთანხმებით განისაზღვროს. ამ დროს წესდებით დგინდება კაპიტალის ოდენობა და მისი განხორციელების წესიცა და ვადები. საზოგადოების კაპიტალი არ ტარდება რეგისტრაციაში მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.

საზოგადოების კაპიტალი წარმოადგენს საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ ***ფულად თანხას ან ქონებრივ ობიექტს***, რომლის შეტანის ვალდებულება ეკისრებათ საზოგადოების პარტნიორებს. მისი დანიშნულებაა საზოგადოების კრედიტორებისათვის მინიმალური ქონებრივი გარანტიის მიცემა. მიუხედავად აღნიშნული ფუნქციისა, საზოგადოების კაპიტალი მაინც არ არის ე.წ. "ხელშეუხებელი ქონება"; საზოგადოების სამეურნეო საქმიანობის პროცესში იგი შეიძლება ბოლომდეც გაიხარჯოს, თუმცა, სამეურნეო წლის ბოლოს იგი უნდა შეივსოს წესდებით განსაზღვრულ ოდენობამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე გვექნება პარტნიორების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა. საზოგადოების კაპიტალის მნიშვნელოვანი ფუნქცია მდგომარეობს, აგრეთვე, ***პარტნიორთა წილების განსაზღვრაში***. წესდებასა და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში პირდაპირ მიეთითება საზოგადოების კაპიტალში თითოეული პარტნიორის წილი.

რა საერთო აქვს საზოგადოების კაპიტალსა და საზოგადოების ქონებას და რითი განსხვავდება ისინი ერთმანეთისაგან? საერთო მათ აქვს ის, რომ საზოგადოების კაპიტალიც საზოგადოების ქონების ნაირსახეობაა, ვინაიდან შენატანის განხორციელების მომენტიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შენატანი ხდება საზოგადოების საკუთრება. ამდენად, საზოგადოების საკუთრება უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს საზოგადოების კაპიტალსაც. რაც შეეხება აღნიშნულ ცნებებს შორის განსხვავებას, იგი მდგომარეობს სწორედ ჩვენ მიერ ზემოთ მითითებულ საზოგადოების კაპიტალის ფუნქციებში: უზრუნველყოს კრედიტორებისათვის მინიმალური ქონებრივი გარანტია და განსაზღვროს პარტნიორთა წილები.

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. განმარტეთ შენატანი;
2. რა სახის შეიძლება იყოს შენატანი?
3. განმარტეთ საზოგადოების კაპიტალი;
4. რა საერთო აქვს საზოგადოების კაპიტალსა და საზოგადოების ქონებას და რითი განსხვავდება ისინი ერთმანეთისაგან?

7. საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა. სავაჭრო მინდობილობა. გენერალური სავაჭრო მინდობილობა (პროკურა)

I. საზოგადოების ხელმძღვანელობა

ნებისმიერი კომერციული იურიდიული პირი თავის საქმიანობას ახორციელებს მართვის ორგანოების მეშვეობით. აუცილებლად უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან ***საზოგადოების მართვა და საზოგადოების ხელმძღვანელობა***. საზოგადოების მართვა უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს ხელმძღვანელობასაც, ხოლო ეს უკანასკნელი კი გულისხმობს ისეთი მოქმედებების განხორციელებას, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზანს. თუ ამხანაგობის ტიპის კომერციულ იურიდიულ პირებში საზოგადოების მმართველი და ხელმძღვანელი ორგანოები ერთმანეთს შეესაბამება და მათ წარმოადგენს (წარმოადგენენ) პარტნიორთა კრება (პარტნიორები, კომპლემენტარები), კაპიტალურ საზოგადოებებში აღნიშნული

ორგანოები ერთმანეთისაგან განსხვავდება. კერძოდ, შპს-ისა და სს-ის მართვის ორგანოებს მიეკუთვნებიან პარტნიორთა (აქციონერთა) კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორები. მაგრამ უშუალოდ ხელმძღვანელობას მათგან ახორციელებენ მხოლოდ დირექტორები.

ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებში ხელმძღვანელობის უფლება აქვს ***პერსონალურად პასუხისმგებელ*** ყველა პარტნიორს, თუმცა, საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ერთი ან რამდენიმე განსაზღვრული პარტნიორის მიერ საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლებამოსილებას. ამ შემთხვევაში საზოგადოების ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება სახეზე იქნება მხოლოდ აღნიშნული პარტნიორების ნების გამოვლენის შემთხვევაში. მსგავსი წესია დადგენილი კაპიტალური საზოგადოებების ხელმძღვანელობის მიმართაც, თუმცა, რა თქმა უნდა, იგი ეხება მხოლოდ საზოგადოების დირექტორებს. კერძოდ, საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ერთი დირექტორის მიერ საზოგადოების ერთპიროვნულად ხელმძღვანელობის უფლებამოსილებას ან, ორი (ან მეტი) დირექტორის არსებობის შემთხვევაში, ადგენდეს, რომ ეს დირექტორები დამოუკიდებლად ხელმძღვანელობენ საზოგადოებას ანდა ყველა დირექტორი ვალდებული იყოს, ერთად გასწიოს ხელმძღვანელობა.

რა დოკუმენტით დგინდება დირექტორის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება?

სს-სა და შპს-ებში, რომლებსაც აქვთ სამეთვალყურეო საბჭოები, დირექტორები ინიშნებიან ***სამეთვალყურეო საბჭოების*** მიერ. შპს-ებში, რომლებსაც არა აქვთ სამეთვალყურეო საბჭოები, დირექტორები ინიშნებიან უშუალოდ ***პარტნიორთა კრების*** მიერ. ამდენად, დირექტორის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების დამდგენი დოკუმენტებია სამეთვალყურეო საბჭოსა და პარტნიორთა კრების ოქმები. გარდა ამისა, დირექტორის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება და ნაკისრი მოვალეობები განისაზღვრება საზოგადოების წესდებით და/ან საზოგადოების შინაგანაწესით. მაგრამ რა იურიდიული დოკუმენტი აწესრიგებს უშუალოდ დირექტორსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობას? 2003 წლამდე სადავო იყო საკითხი, დირექტორთან უნდა დადებულიყო შრომითი ხელშეკრულება და, შესაბამისად, გამოყენებულიყო შრომის კანონმდებლობა, თუ დირექტორთან დადებული ხელშეკრულება არ უნდა მიჩნეულიყო შრომით ხელშეკრულებად და მის მიმართ არ უნდა გავრცელებულიყო შრომის კანონმდებლობით დადგენილი სოციალური გარანტიები და პრივილეგიები? საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავისი 2003 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ საზოგადოების დირექტორთა სპეციფიკური სამართლებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით მათი მუშა-მოსამსახურეებთან გათანაბრება გაუმართლებელია. საზოგადოებას და დირექტორს შორის შრომითი ურთიერთობა მხოლოდ „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ნორმებით უნდა მოწესრიგდეს. შესაბამისად, დირექტორისათვის საზოგადოების მართვისა და ქონების განკარგვის უფლების მინიჭების რისკის საკომპენსაციოდ პარტნიორებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ უფლება, ნებისმიერ დროს გაათავისუფლონ დირექტორი და ამ შემთხვევაში შრომის კანონთა კოდექსის მოთხოვნები არ შეიძლება გავრცელდეს. მოგვიანებით კანონმდებელი გამოეხმაურა სასამართლო პრაქტიკის ამ სწორ მიმართულებას და 2005 წლის 24 ივნისის ცვლილებებით პირდაპირ დაადგინა, რომ დირექტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან ურთიერთობებზე არ ვრცელდება საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი[2]. შესაბამისად, თუ არა შრომითი ხელშეკრულება, მაშინ რა ხელშეკრულება იდება დირექტორთან? 2008 წლის 14 მარტის ცვლილებების მიღებამდე კანონი შპს-ის თავში (პარ. 47.3 (ბ)) იყენებდა ტერმინს ***"სასამსახურო ხელშეკრულება"***, თუმცა, მის შინაარსში შემავალ პირობებზე არაფერს ამბობდა. "მეწარმეთა შესახებ" კანონში უკანასკნელი ცვლილებების შემდეგ აღნიშნული პარაგრაფი გაუქმდა, თუმცა, პრაქტიკაში ქართულ კომპანიებში ადგილი აქვს დირექტორებთან სასამსახურო ხელშეკრულების დადებას.

[2] საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი ამჟამად აღარ მოქმედებს; იგი შეცვალა ჯერ 2006 წლის საქართველოს კანონმა – საქართველოს შრომის კოდექსმა, ხოლო მოგვიანებით 2010 წელს კი – საქართველოს ორაგნულმა კანონმა – საქართველოს შრომის კოდექსმა

საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. საზოგადოების უარი რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნებზე ან საზოგადოების კომპრომისი ბათილია, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. თუ ანაზღაურება აუცილებელია, საზოგადოების ხელმძღვანელების ვალდებულება არ წყდება იმის გამო, რომ ისინი მოქმედებდნენ პარტნიორთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად. საზოგადოების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირებს პარტნიორთა კრების წინასწარი თანხმობის გარეშე უფლება არა აქვთ, პირადი სარგებლის მიღების მიზნით გამოიყენონ საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა თავიანთი მოვალეობების შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო.

II. საზოგადოების წარმომადგენლობა. კონკურენციის აკრძალვა (ინტერესთა კონფლიქტი). საზოგადოების საერთო კრება

საზოგადოების წარმომადგენლობა

გარდა ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებისა, კომერციულ იურიდიულ პირებს ესაჭიროებათ ორგანოები, რომლებიც უფლებამოსილი არიან, ***წარმოადგინონ საზოგადოება*** მესამე პირთან სამართლებრივ ურთიერთობებში. როგორც ამხანაგობის ტიპის, ისე კაპიტალურ საზოგადოებებში ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირებს – პერსონალურად პასუხისმგებელ პარტნიორებსა და დირექტორებს ერთდროულად აქვთ წარმომადგენლობითი უფლებამოსილებაც. თუ საზოგადოების წესდება ითვალისწინებს ერთი ან რამდენიმე განსაზღვრული ***პარტნიორის ან დირექტორის*** მიერ საზოგადოების წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, მაშინ საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება სახეზე იქნება მხოლოდ აღნიშნული პარტნიორის (პარტნიორების, დირექტორები) ნების გამოვლენის შემთხვევაში.

კონკურენციის აკრძალვა (ინტერესთა კონფლიქტი)

საზოგადოების ხელმძღვანელი პირების მიმართ მოქმედებს ***კონკურენციის აკრძალვის (ინტერესთა კონფლიქტის) წესები***. კერძოდ, ხელმძღვანელ პარტნიორებს ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებში და დირექტორებს კაპიტალურ საზოგადოებებში არა აქვთ უფლება, პარტნიორების თანხმობის გარეშე განახორციელონ იგივე საქმიანობა, რომელსაც ეწევა საზოგადოება ან მონაწილეობა მიიღონ, როგორც მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორმა ან დირექტორმა, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებებსა და კომანდიტურ საზოგადოებებში ამ თანხმობის გაცემა შეუძლია პარტნიორთა კრებას, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში, სააქციო საზოგადოებებსა და კოოპერატივებში – იმ ორგანოს, რომელიც ნიშნავს (ირჩევს) დირექტორებს. ასეთი საქმიანობის განხორციელებაზე თანხმობა მიცემულად ჩაითვლება, თუ საზოგადოების ხელმძღვანელად დანიშვნისას პარტნიორებისათვის ცნობილი იყო, რომ საზოგადოების ხელმძღვანელი ეწევა ასეთ საქმიანობას და ამ საქმიანობის შეწყვეტა მისთვის აშკარად არ მოუთხოვიათ. თუ ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევისას საზოგადოებას მიადგა ზიანი, დამრღვევი ვალდებულია დათმოს ამ საზოგადოებიდან გასამრჯელოს მიღების მოთხოვნის უფლება და აანაზღაუროს ზიანი. ზემოაღნიშნული პირების მიერ საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს სააქციო საზოგადოებაში აქციათა 5%-ის მფლობელ აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს, ხოლო ყველა დანარჩენ საზოგადოებაში – თითოეულ პარტნიორს.

პარტნიორთა საერთო კრება

პარტნიორთა საერთო კრება საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა. პარტნიორთა საერთო კრება უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილებები ყველა საკითხზე, რაც დაკავშირებულია საზოგადოების საქმიანობასთან გარდა იმ საქმეებისა, რომლებიც შედის დირექტორის (ან სამეთვალყურეო საბჭოს ამ უკანასკნელის არსებობისას) კომპეტენციაში.

როგორია პარტნიორთა საერთო კრების ჩატარების პროცედურა?

პარტნიორთა საერთო კრება ტარდება ***წელიწადში ერთხელ მაინც***. პარტნიორთა საერთო კრების მოწვევა ერთი კვირის ვადაში შეუძლია ნებისმიერ პარტნიორს ან შპს-ის შემთხვევაში – დირექტორსაც ყველა პარტნიორისათვის დაზღვეული წერილის გაგზავნით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატისათვის ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუალებას. წერილი უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. მოწვევის მიღებიდან 3 დღის ვადაში პარტნიორებს შეუძლიათ დღის წესრიგში დამატებათა შეტანა. კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება (ესწრებიან) ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ კრების მომწვევს შეუძლია იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მაშინაც კი, თუ მასზე არ გამოცხადდება (გამოცხადდებიან) ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები).

კრების მოწვევა ***არ არის აუცილებელი***, როდესაც ყველა პარტნიორი წერილობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს. წერილობითი თანხმობა კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად.

საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გადაწყვეტილების მიღებას კრების მონაწილეთა ***უმრავლესობით***, თუ კანონით არ არის დადგენილი გადაწყვეტილების მიღება ერთხმად და თუ ამ გადაწყვეტილების შინაარსი არ ქმნის არათანაბარ მდგომარეობას რომელიმე პარტნიორისათვის ანდა არ ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესებს. საზოგადოების კრების მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დგება ოქმი, რომელზედაც აუცილებელია თავმჯდომარის ხელმოწერა.

კანონი ითვალისწინებს პარტნიორთა საერთო კრების მიერ შემდეგ საკითხებზე ***გადაწყვეტილებების მიღებას***:

- წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა;
- საზოგადოების სარეგისტრაციო განცხადების მონაცემებსა და წესდებაში ცვლილებების მიღება;
- ფილიალების შექმნა და გაუქმება;
- ინვესტიციების შესახებ, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს;
- ვალდებულებების კისრება, რომლებიც ცალკე ან მთლიანად აღემატება აქტივების ღირებულების 50%-ს;
- ვალდებულებების უზრუნველყოფა, რომლებიც არ მიეკუთვნება ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობასა და რომელთა ღირებულება აღემატება საზოგადოების საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს;
- პროკურის გაცემა და გაუქმება;
- წლიური შედეგების დამტკიცება;
- აუდიტორის არჩევა;
- საზოგადოების რეორგანიზაცია და გაუქმება.

გარდა აღნიშნული საკითხებისა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორთა საერთო კრება დამატებით იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:

- ხელმძღვანელი პირებისათვის მოგებასა და საერთო შემოსავალში მონაწილეობისა და პენსიის მიცემის პრინციპების განსაზღვრა;
- იმ დამატებითი უფლებების გამოყენება, რომლებიც საზოგადოებას აქვს დაფუძნებიდან ან საზოგადოების მართვიდან გამომდინარე აქვს დირექტორის ანდა პარტნიორის მიმართ, ასევე საზოგადოების წარმომადგენლობა იმ პროცესებში, რომლებსაც იგი დირექტორების წინააღმდეგ წარმართავს;
- შენატანების მოთხოვნა;
- დამატებითი შენატანების უკან დაბრუნება;
- დირექტორების დანიშვნა და გამოწვევა, მათთან ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა, აგრეთვე, მათი ანგარიშების დამტკიცება;
- სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- ახალი/დამატებითი შენატანების გზით საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

პარტნიორთა საერთო კრებაზე სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების თითოეულ პარტნიორსა და კომანდიტური საზოგადოების თითოეულ სრულ პარტნიორს აქვს ***თითო ხმა***. კომანდიტური საზოგადოების შეზღუდულ პარტნიორს ხმის უფლება არა აქვს. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა ხმები განისაზღვრება მათი ***წილების პროპორციულად***.

III. საჯარო მინდობილობა. გენერალური საჯარო მინდობილობა (პროკურა)

საზოგადოების ხელმძღვანელ პირებს მათზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელებისას, ცალკეული მოქმედებების შესრულების მიზნით, შეუძლიათ სხვა ნებისმიერ პირს მისცენ ***მინდობილობა***. მინდობილობა ფორმდება წერილობით საზოგადოების საქმიანი წერილისათვის დადგენილი წესით (ბლანკზე მინდობილობის გამცემი უფლებამოსილი პირის ხელმოწერით). მინდობილობა შეიძლება ორ ან რამდენიმე პირს ერთობლივად მიეცეს და განისაზღვროს, რომ ისინი ორნი ერთად ან ყველა ერთად წარმოადგენენ საზოგადოებას.

მინდობილობის შეწყვეტისათვის აუცილებელია დოკუმენტის ***გაუქმება*** ან ***მისი ძალადაკარგულად აღიარება***. ძალადაკარგულად აღიარება უნდა გამოქვეყნდეს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში.

საზოგადოების ხელმძღვანელ პირს შეუძლია გასცეს ***გენერალური საჯარო მინდობილობა – პროკურა***, რომლის საფუძველზეც რწმუნებულს ენიჭება უფლებამოსილება, განახორციელოს ყველა იმ სახის საქმიანობა და სამართლებრივი მოქმედება, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოების ფუნქციონირებასთან. პროკურა ექვემდებარება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციას.

პროკურის მოცულობის ***შეზღუდვა დაუშვებელია და იგი ბათილია მესამე პირისათვის***. შეზღუდვაში, კერძოდ, კანონი გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც პროკურა გამოიყენება მხოლოდ განსაზღვრული გარიგებებისა და გარიგებათა განსაზღვრული სახეებისათვის ან მხოლოდ გარკვეულ გარემოებათა არსებობისას ან განსაზღვრული დროისათვის ანდა ცალკეულ ადგილებში. მიწის ნაკვეთის გასხვისების ან ვალდებულებებით მათი დატვირთვის უფლებამოსილება პროკურისტს აქვს მხოლოდ ამ უფლებამოსილების მისთვის პროკურაში სპეციალურად მინიჭების შემთხვევაში.

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. *რით განსხვავდება ერთმანეთისაგან საზოგადოების მართვა და საზოგადოების ხელმძღვანელობა?*
2. *ვის აქვს ხელმძღვანელობის უფლება ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებში?*
3. *რა დოკუმენტით დგინდება დირექტორის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება?*

4. სამართლებრივი თვალსაზრისით, რა ხელშეკრულება იდება დირექტორთან?
5. ვის აქვს საზოგადოების წარმომადგენლობის უფლებამოსილება?
6. რაში მდგომარეობს საზოგადოების ხელმძღვანელი პირების მიმართ კონკურენციის აკრძალვის (ინტერესთა კონფლიქტის) წესები?
7. რა ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება და რა ძირითადი უფლებამოსილებები აქვს მას?
8. როგორია პარტნიორთა საერთო კრების ჩატარების პროცედურა?
9. როგორ და რა საკითხებზე იღებს პარტნიორთა საერთო კრება გადაწყვეტილებებს?
10. განმარტეთ პროკურა და ვინ გაცემს მას?

8. საზოგადოების რეორგანიზაცია

I. ზოგადად

კომერციული იურიდიული პირების სამართლებრივი ფორმების მოქნილობა მდგომარეობს იმაში, რომ მათ პარტნიორებს (აქციონერებს, მეპაიეებს) შეუძლიათ თავისუფლად მოახდინონ სხვადასხვა საზოგადოების ***შერწყმა და მიერთება, გაყოფა და გამოყოფა, გარდაქმნა***. აღნიშნულ მოქმედებებს იურიდიულ ლიტერატურაში ***საზოგადოებების რეორგანიზაციას*** უწოდებენ. განსხვავებით ქართული კანონმდებლობისაგან, ისეთი ქვეყნების თანამედროვე კანონმდებლობებში, როგორიცაა, მაგ., რუსეთის ფედერაცია, მოლდოვა და სხვა, საზოგადოებების რეორგანიზაციის შესახებ ზოგადი ნორმები მოცემულია სამოქალაქო კოდექსებში. ეს ნორმები გამოიყენება ნებისმიერი კერძო სამართლის იურიდიული პირის მიმართ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს მხოლოდ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაციის შესახებ ნორმებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მომწესრიგებელ სპეციალურ მუხლში (38-ე მუხლი). "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის საზოგადოებების რეორგანიზაციის მომწესრიგებელი ნორმები მოცემულია 1 მუხლში – მე-14[4] მუხლში და ისინი გამოიყენება მხოლოდ კომერციული იურიდიული პირების რეორგანიზაციისას.

საზოგადოების ***რეორგანიზაციის ფორმებია:***

- შერწყმა (გაერთიანება, მიერთება);
- გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა);
- გარდაქმნა (სამართლებრივი ფორმის ცვლილება).

საზოგადოების რეორგანიზაციის შედეგად მიღებული ახალი საზოგადოება რეორგანიზებული საზოგადოების (საზოგადოებების) უფლებამონაცვლეა, ე. ი. მასზე სრულად გადადის როგორც ამ უკანასკნელის აქტივები (ნივთები, უფლებები, მოთხოვნები), ისე პასივები (ვალდებულებები, ვალები).

II. შერწყმა და მიერთება

შერწყმის დროს ორი ან მეტი საზოგადოება ერთმანეთს უერთდება ისე, რომ შერწყმის შედეგად ამ საზოგადოებების ნაცვლად მიიღება ახალი საზოგადოება. შერწყმა საუკეთესო საშუალებაა მცირე და სუსტი საზოგადოებებისათვის, გააერთიანონ ქონება და კაპიტალი და ძალისხმევა და გაუძლონ ძლიერ კონკურენციას ბაზარზე. თანამედროვე საქართველოში სულ უფრო ხშირად აქვს ადგილი სხვადასხვა სამართლებრივი ფორმის მქონე კომერციული იურიდიული პირების, განსაკუთრებით, შპს-ებისა და სს-ების, შერწყმას. ***მიერთების*** დროს ერთ საზოგადოებას უერთდება სხვა საზოგადოება (საზოგადოებები) ისე, რომ პირველი საზოგადოება აგრძელებს, ხოლო მეორე საზოგადოება (საზოგადოებები) წყვეტს არსებობას.

რა ***დოკუმენტები არის*** საჭირო ან სასურველია შეიქმნას საზოგადოებების შერწყმისათვის? ესენია:

- შერწყმის შესახებ საზოგადოებების პარტნიორთა (აქციონერთა) კრების ოქმები; თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, სააქციო საზოგადოებაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და კოოპერატივში შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორის (პარტნიორთა) ხმების 75%. ყველა სხვა შემთხვევაში აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად. შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს, ერთი საწარმო უერთდება მეორეს (მიერთება) თუ ორი საწარმო ერთიანდება ერთ ახალ საწარმოდ (გაერთიანება);
- შერწყმის ხელშეკრულება;
- წესდების ახალი ვერსია;
- ორივე საზოგადოების ბალანსები;
- ორივე საზოგადოების აუდიტორული დასკვნები;
- შერწყმის ბალანსი.

შერწყმის ძირითადი დოკუმენტია შერწყმის ხელშეკრულება, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს მინიმუმ შემდეგი მონაცემები:

- გარიგების საგანი – საზოგადოებათა შერწყმა;
- შერწყმის ფორმა;
- შერწყმის შედეგად წარმოქმნილი საზოგადოების სამართლებრივი ფორმა და საფირმო სახელწოდება;
- შერწყმის შედეგად წარმოქმნილი საზოგადოების იურიდიული მისამართი;
- შერწყმის ბალანსის შესახებ ანუ შერწყმა ხორციელდება საზოგადოებათა ბალანსით, ან მხარეები თანხმდებიან საბალანსო ღირებულებებიდან გადახვევის შესახებ;
- შერწყმის შედეგად მიღებულ საზოგადოებაში წილთა ოდენობა. შპს-ის შემთხვევაში შეიძლება, ავრეთვე, მიეთითოს საზოგადოების კაპიტალის შესახებ; ხოლო თუ შერწყმის შედეგად მიიღება სააქციო საზოგადოება, შერწყმის ხელშეკრულებაში მიეთითება საზოგადოების კაპიტალი და აქციების რაოდენობა და სახეები;
- პარტნიორების შესახებ მონაცემები;
- შერწყმის შედეგად წარმოქმნილი საზოგადოების დირექტორის (დირექტორების) შესახებ.

ისმის კითხვა, ვის მიერ უნდა იქნეს ხელმოწერილი შერწყმის ხელშეკრულება: ***პარტნიორების (აქციონერების) თუ საზოგადოების დირექტორების*** მიერ?

კანონში რაიმე მითითება აღნიშნულ საკითხზე არ არსებობს. სათანადო ნორმის არარსებობა განაპირობებს პრაქტიკაში სხვადასხვაგვარ გადაწყვეტილებებს. ვფიქრობთ, შერწყმის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა შეუძლიათ როგორც პარტნიორებს (აქციონერებს), ისე დირექტორებს, ამ უკანასკნელთათვის პარტნიორების (აქციონერების) მიერ შერწყმის შესახებ საზოგადოებების პარტნიორთა (აქციონერთა) გადაწყვეტილებაში ხელის მოწერის უფლებამოსილების მინიჭების პირობით. ის, რომ პარტნიორები (აქციონერები) ხელს აწერენ შერწყმის ხელშეკრულებას, უდავო და ლოგიკურია, ვინაიდან ისინი არიან როგორც არსებული საზოგადოებების მონაწილეები, ისე ხდებიან შერწყმის შედეგად წარმოქმნილი საზოგადოების მონაწილეები (პარტნიორები, აქციონერები). რაც შეეხება დირექტორების მიერ შერწყმის ხელშეკრულების ხელმოწერას, ეს ზოგიერთ შემთხვევაში ერთადერთი გამოსავალია საზოგადოებების შერწყმისათვის. მაგალითად, თუ შესარწყმელ სააქციო საზოგადოებას ჰყავს მრავალი აქციონერი, პრაქტიკულად შეუძლებელია მათ (ან თუნდაც მათი უმრავლესობის) მიერ შერწყმის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა. ამ შემთხვევაში, აქციონერთა კრება თავისი გადაწყვე-

ტილებით ხელშეკრულების პირობების განსაზღვრისა და მისი ხელმოწერის უფლებამოსილებას ანიჭებს დირექტორს[3].

III. გაყოფა და გამოყოფა

გაყოფის დროს ერთი საზოგადოება იყოფა 2 ან მეტ საზოგადოებად. აღნიშნულ ფორმას "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი "ნატურით გაყოფას" უწოდებს. გაყოფის შედეგად თავდაპირველი საზოგადოების ადგილას წარმოიშობა 2 ან მეტი ახალი საზოგადოება. ***გამოყოფა*** კი გაყოფისაგან განსხვავდება იმით, რომ მის შემთხვევაში საზოგადოება, რომელსაც გამოეყოფა ახალი საზოგადოება, არ წყვეტს არსებობას და ჩვეულებრივად აგრძელებს საქმიანობას.

გაყოფის შედეგად წარმოქმნილი საზოგადოებები, როგორც საზოგადოების რეორგანიზაციის შედეგად მიღებული ახალი საზოგადოებები, გაყოფილი საზოგადოების ***უფლებამონაცვლეა***; ისინი სოლიდარულად აგებენ პასუხს თავდაპირველი საზოგადოების ვალდებულებებისათვის, ანუ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში.

IV. გარდაქმნა

გარდაქმნა გულისხმობს საზოგადოების სამართლებრივი ფორმის შეცვლას, საზოგადოების გაუქმების გარეშე. მაგალითად, შპს შეიძლება გარდაიქმნას სს-ად ან პირიქით. შესაძლებელია, ამხანაგობის ტიპის იურიდიული პირების გარდაქმნა კაპიტალურ საზოგადოებებად და პირიქით. შესაძლებელია, აგრეთვე, სპს გარდაიქმნას კს-ად და პირიქით.

გარდაქმნის შედეგად მიღებული საზოგადოება რეორგანიზებული საზოგადოების ***უფლებამონაცვლეა***. თუ კაპიტალური საზოგადოება გარდაიქმნა ამხანაგობის ტიპის იურიდიულ პირად, ისმის კითხვა, აგებენ თუ არა პასუხს რეორგანიზებული საზოგადოების პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის? კანონი აღნიშნულ საკითხზე რაიმე გადაწყვეტას არ იძლევა, თუმცა, იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული აზრით, გარდაქმნის შედეგად მიღებული საზოგადოების პარტნიორები ***სოლიდარულად არიან პასუხისმგებელნი*** საზოგადოების ვალდებულებებისათვის მთელი თავიანთი ქონებით. უფრო რთულია პარტნიორთა პასუხისმგებლობის გადაწყვეტის საკითხი, როდესაც ამხანაგობის ტიპის საზოგადოება გარდაიქმნება კაპიტალურ საზოგადოებად. სამწუხაროდ, არც აღნიშნული საკითხის მომწესრიგებელი რაიმე ნორმა მოიპოვება "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაშიც ყოფილი პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორების პირადი სოლიდარული პასუხისმგებლობა უნდა შენარჩუნდეს მიუხედავად შპს-ის ან სს-ის სამართლებრივი ფორმის მეშვეობით საზოგადოების ვალდებულებებისათვის პარტნიორის (აქციონერის) პასუხისმგებლობის გამორიცხვისა.

თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს საზოგადოების უმაღლესი ორგანოს მიერ (პარტნიორთა კრება, აქციონერთა კრება), კაპიტალურ საზოგადოებებში გარდაქმნისათვის საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორის (პარტნიორთა) ხმების 75%. ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში კი გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად. გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილების ოქმში, სულ ცოტა, მითითებული უნდა იყოს:

- გარდაქმნის შედეგად მიღებული საზოგადოების სამართლებრივი ფორმა და საფირმო სახელწოდება;
- საზოგადოების იურიდიული მისამართი;

---

[3] აქციონერთა კრების ოქმის ამ ნაწილის სანიმუშო ტექსტი შეიძლება შემდეგნაირად ჟღერდეს:

- დაევალოს სააქციო საზოგადოება "X"-ის დირექტორს – ბ-ნ Y-ს, უზრუნველყოს შერწყმისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება;
- აღნიშნული მიზნისათვის ბ-ნ Y ენიჭება უფლებამოსილება, ზემოთ მითითებული პირობების დაცვით დამოუკიდებლად განსაზღვროს შერწყმისათვის საჭირო დოკუმენტების შინაარსი და ხელი მოაწეროს მათ.

- გარდაქმნის შედეგად მიღებულ საზოგადოებაში წილთა ოდენობა. შპს-ის შემთხვევაში შეიძლება, აგრეთვე, მიეთითოს საზოგადოების კაპიტალის შესახებ; ხოლო თუ გარდაქმნის შედეგად მიიღება სააქციო საზოგადოება, გადაწყვეტილების ოქმში მიეთითება საზოგადოების კაპიტალი და აქციების რაოდენობა და სახეები;
- პარტნიორების შესახებ მონაცემები;
- მონაცემები საზოგადოების დირექტორის (დირექტორების) შესახებ.

დოკუმენტები (გარდა საზოგადოების უმაღლესი ორგანოს აღნიშნული ოქმისა), რომლებიც საჭიროა საზოგადოების გარდაქმნისათვის, შემდეგია:

- წესდების ახალი ვერსია;
- ბალანსი; გარდაქმნის ბალანსში აქტივები შეიტანება ძველი საბალანსო ან საბაზრო ღირებულებით. საბაზრო ღირებულებას ამოწმებს დამოუკიდებელი ექსპერტი.

რეორგანიზაციის გადაწყვეტილებაზე ვრცელდება 14.3 და 14.4 პარაგრაფებით გათვალისწინებული ***რეგისტრაციისა და შეტყობინების წესები***:

- პარტნიორთა გადაწყვეტილება რეორგანიზაციის შესახებ უნდა გატარდეს რეგისტრაციაში მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში;
- რეორგანიზაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციის მოთხოვნასთან ერთად საჯარო რეესტრს უნდა წარედგინოს ინფორმაცია, სადაც მიეთითება საზოგადოების ყველა ცნობილი კრედიტორის დაკმაყოფილების ვადები. საზოგადოების რეორგანიზაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციისთანავე საზოგადოების პარტნიორებმა საზოგადოების ყველა ცნობილ კრედიტორს უნდა გაუგზავნონ წერილობითი შეტყობინება რეორგანიზაციის პროცესის დაწყების შესახებ, რომელშიც უნდა აღინიშნოს კრედიტორთა დაკმაყოფილების ვადები. საზოგადოების ქონების რეალიზაციის დაწყებამდე საზოგადოება (ლიკვიდატორი) ვალდებულია, ნებისმიერ პირს მოთხოვნისთანავე მიაწოდოს საზოგადოების ცნობილ კრედიტორთა დაზუსტებული სია. საზოგადოებას შეუძლია აღნიშნული დაზუსტებული სია გამოაქვეყნოს პერიოდულ გამოცემაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებაში;

სამართლებრივი ფორმის ისეთი ცვლილებისას, რომლის დროსაც საზოგადოების უნარი, დააკმაყოფილოს კრედიტორები, არ მცირდება, ასევე თუ საწარმოს მიუერთდა მისი 100%-იანი შვილობილი საწარმო, არ ვრცელდება აღნიშნული გამოქვეყნებისა და შეტყობინების წესები, ხოლო კრედიტორებს არ წარმოეშობათ უფლებამოსილება, საზოგადოებას მოსთხოვონ ნაკისრ ვალდებულებათა ვადაზე ადრე შესრულება. სააქციო საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად გარდაქმნა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სააქციო საზოგადოებად გარდაქმნა არ მიიჩნევა კრედიტორთა დაკმაყოფილების უნარის შემცირებად. რეორგანიზაციის დაწყების მოთხოვნის შემთხვევაში სავალდებულოა სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში მიეთითოს რეორგანიზაციის სახე და ინფორმაცია რეორგანიზაციის შედეგების შესახებ;

ვალდებულების არსებობა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძველია გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საწარმოს რეორგანიზაციით არ მცირდება კრედიტორთა დაკმაყოფილების უნარი ან არსებობს კრედიტორის თანხმობა რეორგანიზაციაზე. სახელმწიფოს მიმართ დავალიანების არსებობა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძველი არ არის, თუ მოთხოვნილია სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს რეორგანიზაცია

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. *საზოგადოების რეორგანიზაციის რომელ ფორმებს იცნობს კანონმდებლობა და იურიდიული მეცნიერება?*
2. *განმარტეთ შერწყმა და მიერთება;*
3. *განმარტეთ გაყოფა, გამოყოფა და გარდაქმნა;*
4. *როგორია რეორგანიზაციის გადაწყვეტილების მიმართ მოქმედი გამოქვეყნებისა და შეტყობინების წესები?*

9. საზოგადოების ლიკვიდაცია და გაუქმება

ზემოთ შესავალში უკვე აღვნიშნეთ, რომ "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის ერთ-ერთი უმთავრესი ხარვეზია უკიდურესად მცირე ნორმატიული ბაზა და აღნიშნულის მაგალითად მოვიყვანეთ საზოგადოების ლიკვიდაციისა და გაუქმების მომწესრიგებელი ნორმები. მართლაც, კანონი ბოლო დრომდე საზოგადოების ლიკვიდაციისა და გაუქმების ზოგად საკითხებს უთმობდა მხოლოდ მე-14 მუხლის რამდენიმე პარაგრაფს. 2006 წლის ივლისში კანონს დაემატა 14[1] მუხლი (რომლის საბოლოო რედაქცია ჩამოყალიბდა 2008 წლის 14 მარტის კანონით), რომლითაც გათვალისწინებულ იქნა საზოგადოების გაუქმება სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით.

"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი არ ადგენს ***საზოგადოების გაუქმების ზოგად საფუძვლებს***. მიუხედავად ამ ხარვეზისა, მაინც ვეცდებით საზოგადოების გაუქმების ზოგად საფუძვლების ჩამოთვლას:

- უპირველეს ყოვლისა, საზოგადოება უქმდება იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც იგი იყო შექმნილი; ვადა საზოგადოების დგინდება წესდებით;
- წესდებით განისაზღვრება, აგრეთვე, ის საქმიანობის საგანი, რომლის შესრულებაც საზოგადოების გაუქმების საფუძველია;
- გაუქმების ნებაყოფლობითი საფუძველია, აგრეთვე, პარტნიორთა (აქციონერთა) კრების მიერ გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

მსგავსად რეორგანიზაციისა, საზოგადოების პარტნიორების (აქციონერების) მიერ მისაღებ საზოგადოების გაუქმების გადაწყვეტილებაზე ვრცელდება 14.3 და 14.4 პარაგრაფებით გათვალისწინებული ***რეგისტრაციისა და შეტყობინების წესები***, კერძოდ:

- პარტნიორთა გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა გატარდეს რეგისტრაციაში მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან. ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციის შესახებ ელექტრონულ ინფორმაციას მარეგისტრირებელი ორგანო უგზავნის სსიპ შემოსავლების სამსახურს, რომელიც შეტყობინების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს მარეგისტრირებელი ორგანოსათვის სუბიექტის საგადასახადო ვალდებულების არსებობის რისკის თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას. საგადასახადო ვალდებულების არსებობის რისკის თაობაზე ინფორმაცია უნდა შეიცავდეს მითითებას საგადასახადო შემოწმების ჩატარებისა და დავალიანების არსებობის ფაქტის დადასტურების ვადის შესახებ, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს საწარმოს ლიკვიდაციის დაწყებიდან 90 დღეს. აუცილებლობის შემთხვევაში საგადასახადო შემოწმების 90-დღიანი ვადა შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ ერთხელ არა უმეტეს ორი თვისა. ამ პუნქტით განსაზღვრული რისკის არსებობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების 10-დღიანი ვადის,

ასევე ამ ინფორმაციით განსაზღვრული საგადასახადო შემოწმების ვადის გაშვების შემთხვევაში ჩაითვლება, რომ სუბიექტი საგადასახადო დავალიანების არმქონეა;

- საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციის მოთხოვნასთან ერთად მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს ინფორმაცია, რომელშიც მითითებული იქნება საზოგადოების ყველა ცნობილი კრედიტორის დაკმაყოფილების ვადები. ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციისთანავე საზოგადოების პარტნიორებმა ყველა ცნობილ კრედიტორს უნდა გაუგზავნონ წერილობითი შეტყობინება ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ, რომელშიც უნდა აღინიშნოს კრედიტორთა დაკმაყოფილების ვადები. საზოგადოების ქონების რეალიზაციის დაწყებამდე ლიკვიდატორი ვალდებულია ნებისმიერ პირს მოთხოვნისთანავე მიაწოდოს საზოგადოების ცნობილ კრედიტორთა დაზუსტებული სია. საზოგადოებას შეუძლია აღნიშნული დაზუსტებული სია გამოაქვეყნოს პერიოდულ გამოცემაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებაში.

საზოგადოება შეიძლება გაუქმდეს მისი მონაწილეების ნების საწინააღმდეგოდაც, მაგ.:

- სუბიექტის რეგისტრაციის გაუქმება ხარვეზის დადგენის საფუძველზე;
- სასამართლო გადაწყვეტილების ან განაჩენის საფუძველზე;
- საზოგადოების ქონებაზე გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნით.

"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი ტერმინოლოგიური სიზუსტითაც არ გამოირჩევა. მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ კანონი აიგივებს ორ სრულიად სხვადასხვა ცნებას – ***ლიკვიდაციასა და გაუქმებას.*** კანონი "გაუქმების" გაგებით იყენებს ტერმინს "ლიკვიდაცია", თუმცა, აღნიშნულ ტერმინებს შორის არსებითი სხვაობაა: გაუქმება ერთჯერადი აქტია; იგი საფუძველია საზოგადოების არსებობის შეწყვეტისა, ხოლო ლიკვიდაცია კი პროცესი – ე.წ. სალიკვიდაციო წარმოება, რომლის დროსაც ხორციელდება საზოგადოების მიმდინარე საქმეების დასრულება, აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების შესრულება, დარჩენილი ქონების განაწილება და ა.შ. მხოლოდ სალიკვიდაციო წარმოების დასრულების შემდეგ, როდესაც საზოგადოებას აღარ რჩება ქონება, იგი ***ამოიშლება*** მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან; სწორედ ამ მომენტიდან წყვეტს საზოგადოება როგორც იურიდიული პირი თავის არსებობას.

ამრიგად, საზოგადოება გაუქმების საფუძვლის არსებობისას გადადის ***ლიკვიდაციის სტადიაზე***. ლიკვიდაციას ახორციელებს ლიკვიდატორი. ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 90-ე დღისა ლიკვიდატორმა უნდა დაიწყოს საზოგადოების ქონების რეალიზაცია საბაზრო ფასით ან აუქციონის წესით და ამგვარი რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხები უნდა განათავსოს სასამართლოს ანდა ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე, ხოლო სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილმა საზოგადოებამ – საზოგადოების ანგარიშზე. სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საზოგადოება უფლებამოსილია მის ანგარიშზე განთავსებული თანხები გამოიყენოს ლიკვიდაციის პროცესში საჭირო ხარჯების დასაფარავად. თუ პარტნიორებმა გადაწყვიტეს ქონების ნატურით გაყოფის გზით განაწილება, ისინი ვალდებული არიან ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან ნატურით გაყოფამდე საკუთარი ხარჯებით შეინარჩუნონ ქონება პირველადი სახით ერთ-ერთი პარტნიორისათვის მიბარების გზით. დეპოზიტზე განთავსებული თანხების ან მიბარებული ქონების პარტნიორთა შორის განაწილებამდე აღნიშნული თანხების ან ქონების განკარგვა შესაძლებელია მხოლოდ კრედიტორთა დაკმაყოფილების მიზნით. ლიკვიდაციის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე კრედიტორები უფლებამოსილი არიან, საზოგადოებას მოსთხოვონ ნაკისრი ვალდებულებების ვადაზე ადრე შესრულება. ლიკვიდაციის პროცესი უნდა დასრულდეს მისი დაწყების რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 4 თვისა, ხოლო საგადასახადო შემოწმების ვადის გაგრძელების შემთხვევაში – საგადასახადო შემოწმების დასრულების შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ ინფორმაციის მიღებიდან არა უგვიანეს 1 თვისა.

კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესის დასრულების შემდეგ საზოგადოების უფლებამოსილი პირი იღებს გადაწყვეტილებას საწარმოს ლიკვიდაციის დასრულების შესახებ, რომელშიც უნდა აღინიშნოს საზოგადოების ყველა ცნობილი კრედიტორის დაკმაყოფილების თაობაზე. ეს გადაწყვეტილება წარედგინება ***საჯარო რეესტრს*** და იგი საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმების საფუძველია. თუ საწარმოს რეგისტრაციის გაუქმებიდან 3 თვის განმავლობაში აღმოჩნდება, რომ ლიკვიდაციისას არ იქნა დაკმაყოფილებული საწარმოს კრედიტორთა ნაწილი, მათი დაკმაყოფილება მოხდება დეპონირებული თანხებიდან ან ქონებიდან. აღნიშნული 3-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ დეპონირებული თანხები ან ქონება ნაწილდება პარტნიორებს შორის მათი წილის პროპორციულად, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის დადგენილი.

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. რა ვადით შეიძლება შეიქმნას საზოგადოება?
2. რა საფუძველით შეიძლება გაუქმდეს საზოგადოება?
3. როგორია საზოგადოების გაუქმების გადაწყვეტილების მიმართ მოქმედი გამოქვეყნებისა და შეტყობინების წესები?
4. რა განსხვავებაა გაუქმებასა და ლიკვიდაციის ცნებებს შორის?

კერძო ნაწილი

10. ამხანაგობის ტიპის საზოგადოებები – სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება და კომანდიტური საზოგადოება

I. ზოგადად

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებია სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება და კომანდიტური საზოგადოება.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების (სპს) ლეგალური დეფინიცია მოცემულია მე-20 მუხლის 1-ლ ნაწილში. ამ მუხლის თანახმად, სპს არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ***ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და*** აღნიშნული პირები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე ***პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები – მთელი თავიანთი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.*** თავისი არსით სპს ძალიან წააგავს სამოქალაქო სამართლის ამხანაგობას; საერთო აღნიშნულ ორგანიზაციულ წარმონაქმნებს აქვს ის, რომ ორივე ადგენს მონაწილეთა/პარტნიორთა სოლიდარულ პასუხისმგებლობას ამხანაგობის/საზოგადოების კრედიტორების წინაშე. მსგავსია ასევე მონაწილეთა/პარტნიორთა შორის შიდა ურთიერთობების მოწესრიგების პრინციპები. თუმცა, მიუხედავად ამ მსგავსებისა, აღნიშნულ ორგანიზაციულ წარმონაქმნებს შორის არსებითი განსხვავებაცაა: უპირველეს ყოვლისა, სპს იურიდიული პირია, სამართლის სუბიექტია, ამხანაგობას კი ასეთი სტატუსი არა აქვს; სპს ყოველთვის მეწარმეა ანუ კომერციული იურიდიული პირია, ამხანაგობის მიზანი კი შეიძლება არასამეწარმეოც იყოს. ამხანაგობა არ ტარდება რეგისტრაციაში მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.

კომანდიტური საზოგადოება (კს) არსებითად სპს-ა, თუმცა, - იმ განსხვავებით, რომ მას 2 კატეგორიის პარტნიორი ჰყავს:

1. ***სრული პარტნიორები*** ანუ ***კომპლემენტარები***; კომპლემენტარები თავიანთი სტატუსით უთანაბრდებიან სპს-ის პარტნიორებს;

2. ***შეზღუდული პარტნიორები*** ანუ ***კომანდიტები***, რომელთა პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე გამორიცხულია. თუმცა, მათ ეკისრებათ განსაზღვრული ე. წ. საგარანტიო თანხის შეტანა საზოგადოებაში.

ამდენად, კს-ის სამართლებრივი ფორმა იძლევა საშუალებას, საზოგადოების საქმიანობის წარმართვისათვის პარტნიორებმა ***მოიზიდონ კაპიტალი*** და პარტნიორად შემოიყვანონ საზოგადოებაში ინვესტორები ისე, რომ ეს უკანასკნელები საზოგადოების ვალდებულებებისათვის პასუხისმგებელი არ არიან. კს-ში, მსგავსად სპს-სა, პარტნიორები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები.

სპს-სა და კს-ს იმდენად ***ბევრი აქვს საერთო***, რომ "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი, ნორმათა დუბლირების თავიდან აცილების მიზნით, ადგენს, რომ სპს-ის მიმართ დადგენილი ნორმები გამოიყენება კს-ის მიმართაც, თუ კს-ის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (პარ. 34.2). არსებითად ეს სპეციალური ნორმები აწესრიგებს იმ თავისებურებებს, რომლებიც წარმოიშობა საზოგადოებაში სხვა კატეგორიის პარტნიორების არსებობის გამო. სწორედ სპს-სა და კს-ის აღნიშნული მსგავსებისა და "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მიერ გამოყენებული იურიდიული ტექნიკის გამო ამ საზოგადოებებს განვიხილავთ ერთ პარაგრაფში.

II. ურთიერთობები პარტნიორთა შორის

სპს-ში იმ პარტნიორსაც, რომელიც არ მონაწილეობს საზოგადოების ხელმძღვანელობაში, შეუძლია ***პირადად გაეცნოს საზოგადოების საქმეებს*** და ამ მიზნით შეამოწმოს საზოგადოების წიგნები და საბუთები. მას უფლება აქვს სხვა პარტნიორებს მოსთხოვოს საზოგადოების მიმართ არსებულ მოვალეობათა შესრულება და ამ შესრულების გამო საკუთარი სახელით წარადგინოს სარჩელი. კომანდიტს უფლება აქვს, მოითხოვოს წლიური ანგარიშის ასლი და საზოგადოების წიგნებისა და საბუთების გაცნობით შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე. მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას სასამართლოს შეუძლია, ერთ-ერთი კომანდიტის განცხადების საფუძველზე, ნებისმიერ დროს მოითხოვოს საბალანსო და წლიური ანგარიშის მონაცემების, სხვა მსგავსი ინფორმაციის, საზოგადოების წიგნებისა და საბუთების წარდგენა.

კს-ში შეზღუდული პარტნიორი ***ვალდებულია სრულად შეიტანოს საგარანტიო თანხა.*** ეს უკანასკნელი განისაზღვრება წესდებით. კს-ში შეზღუდული პარტნიორის მიერ თავისი ***წილის გასხვისება ან მემკვიდრეობით გადაცემა*** დაშვებულია სხვა პარტნიორების თანხმობის გარეშე, თუ წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. წილის დათმობისათვის საჭიროა სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება.

კანონი ითვალისწინებს საზოგადოებიდან პარტნიორის ***გასვლის*** შესაძლებლობას. გასვლის წესი განისაზღვრება საზოგადოების წესდებითა და 14^4 პარ. მე-6 და მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული ნორმებით. პარტნიორი შეიძლება გავიდეს საზოგადოებიდან ასევე საკუთარი სურვილით. პარტნიორის გასვლის შემთხვევაში, მისი წილი საზოგადოების ქონებაში ნაწილდება დანარჩენ პარტნიორებზე. დანარჩენი პარტნიორები ვალდებულნი არიან, საზოგადოებიდან გამსვლელი პარტნიორი გაათავისუფლონ საზოგადოების ვალებისაგან და გადაუხადონ ის, რასაც იგი საზოგადოების გაუქმების შემთხვევაში მიიღებდა.

III. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

სპს-ში საზოგადოების ***ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი*** პირები და მათი უფლებამოსილების ფარგლები განისაზღვრება კანონითა და საზოგადოების წესდებით. კს-ში საზოგადოების წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება არა აქვთ შეზღუდულ პარტნიორებს. მათ არ შეუძლიათ გამოვიდნენ ჩვეულებრივი საწარმოო საქმიანობის ფარგლებში სრული პარტნიორების მიერ განხორციელებული მოქმედების წინააღმდეგ. შეზღუდული პარტნიორები ხმის უფლებით სარგებლობენ მხოლოდ საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში. თუ შეზღუდულ პარტნიორს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, განახორციელოს იურიდიული მნიშვნელობების მოქმედებანი, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი მინდობილობის ფარგლებს, იგი პასუხს აგებს როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორი.

IV. მოგება და ზარალი

სპს-სა და კს-ში ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს ბალანსის საფუძველზე დგინდება ***წლიური მოგება ან ზარალი*** და გამოითვლება მასში ყოველი პარტნიორის წილი. ერთ-ერთი პარტნიორის წილის მოგება მიემატება მისსავე წილ კაპიტალს; პარტნიორის ზიარი ზარალი და სამეურნეო წლის განმავლობაში წილი კაპიტალიდან გახარჯული ფული ჩამოიწერება მოგებიდან. ეს წესები არ ვრცელდება კომანდიტების მიმართაც. კომანდიტი ზარალის მოზიარეა მხოლოდ ***თავისი წილი კაპიტალისა და ჯერ კიდევ გადაუხდელი შენატანის ოდენობით***. კომანდიტის წილი მოგება დაერიცხება მის წილ კაპიტალს, ვიდრე ეს უკანასკნელი არ მიაღწევს შენატანის დათქმულ ოდენობას.

თუ წესდებით ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შეზღუდულ პარტნიორს აქვს მხოლოდ კუთვნილი მოგების მიღების მოთხოვნის უფლება. მას არ შეუძლია ამ მოგების მოთხოვნა, ვიდრე მისი შენატანი დათქმულ თანხაზე ნაკლებია. შეზღუდული პარტნიორი ვალდებული არ არის, დააბრუნოს მიღებული მოგება შემდგომი ზარალის გამო.

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. განმარტეთ სპს;
2. განმარტეთ კს;
3. ვინ არიან სპს-ისა და კს-ის პარტნიორები და საზოგადოების ვალებისათვის როგორ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს მათთვის მოქმედი კანონმდებლობა?
4. რა ძირითადი უფლებები აქვთ სპს-ისა და კს-ის პარტნიორებს?
5. რა ძირითადი ვალდებულებები ეკისრებათ სპს-ისა და კს-ის პარტნიორებს?
6. როგორ ხორციელდება სპს-ისა და კს-ის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა?

11. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

I. ზოგადად

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) ყველაზე პოპულარული და გავრცელებული სამართლებრივი ფორმაა არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში. მისი პოპულარობა და გავრცელება განპირობებულია მთელი რიგი გარემოებებით, რომელთა შორის აღვნიშნავთ:

- ამ საზოგადოების ***დაფუძნებისა და მართვის სიმარტივეს***; შპს-ის დაფუძნების მიზნისათვის არ არის აუცილებელი საზოგადოების კაპიტალის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა. შპს-ის კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით. საზოგადოება შეიძლება დაფუძნებულ იქნეს ერთი პირის მიერაც.
- შპს-ში პარტნიორები მონაწილეობას იღებენ საზოგადოების მართვაში და თავიანთ უფლებებს ახორციელებენ პარტნიორთა კრებაზე. ამავე დროს ნებისმიერი პარტნიორი შეიძლება დაინიშნოს დირექტორადაც;
- საზოგადოების ვალდებულებებისათვის პარტნიორთა პასუხისმგებლობის ***გამორიცხვას***; საზოგადოების ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს მხოლოდ საზოგადოება მთელი თავისი ქონებით.

ამრიგად, შპს არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე ***შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით;*** საზოგადოების პარტნიორი ***არ არის პასუხისმგებელი საზოგადოების ვალდებულებებზე.***

II. საზოგადოების კაპიტალი. წილები. წილების გასხვისება და დაგირავება

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, პარტნიორებს შეუძლიათ ***თავისუფლად განსაზღვრონ*** საზოგადოების კაპიტალის ოდენობა. ეს უკანასკნელი განისაზღვრება საზოგადოების წესდებით და არ ექვემდებარება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციას. კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში პარტნიორებს უფლება აქვთ, თავიანთი წილების პროპორციულად მიიღონ მონაწილეობა აღნიშნული საზოგადოების კაპიტალის გაზრდაში, პარტნიორთა საერთო კრების მიერ დადგენილ ვადაში კაპიტალში შესაბამისი შენატანების სრული ოდენობით განხორციელებით, თუ ყველა პარტნიორი ამ უფლების გამოყენების სხვა წესზე არ შეთანხმდება; ამასთანავე, რომელიმე პარტნიორის მიერ აღნიშნული უფლების სრულად ან ნაწილობრივ გამოუყენებლობის შემთხვევაში შესაძლებელია კაპიტალის გაზრდის შემდეგ პარტნიორთა წილების ახალი თანაფარდობა წარმოიშვას.

წილი საზოგადოებაში ***ექვემდებარება თავისუფლად გასხვისებასა და დაგირავებას***. წილი ექვემდებარება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციას. საზოგადოების წესდებით პარტნიორები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ წილის გასხვისებისა თუ დაგირავებისათვის აუცილებელი გახდეს ***პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება***. პრაქტიკაში ხშირია საზოგადოების წესდებით წილის თავისუფლად გასხვისების შეზღუდვა, ***უპირატესი შესყიდვის უფლებაზე*** პარტნიორების შეთანხმებით. კერძოდ, პარტნიორები წესდებით ითვალისწინებენ, რომ პარტნიორის მიერ წილის გაყიდვის შემთხვევაში, სხვა პარტნიორებს აქვთ მისი შეძენის უპირატესი უფლება. შეძენა ხორციელდება თითოეულის მიერ თავისი წილის პროპორციულად. წესდებით პარტნიორები თანხმდებიან, რომ უპირატესი შესყიდვის უფლება უნდა განხორციელდეს შეტყობინებიდან განსაზღვრულ ვადაში, ხოლო გასაყიდი ფასი განისაზღვრება აუდიტორის მიერ. თუ უპირატესი შესყიდვის უფლება არ იქნება გამოყენებული, მაშინ გაყიდვის მოსურნე პარტნიორს შეუძლია თავისი წილი თავისუფლად გაასხვისოს შეთანხმებული ვადის გასვლის შემდეგ.

უპირატესი შესყიდვის უფლების რეალიზაციის მიმართ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნასყიდობის თავში მოცემული უპირატესი შესყიდვის უფლების მომწესრიგებელი ნორმები.

III. პარტნიორთა უფლებები და ვალდებულებები

უპირველეს ყოვლისა, შპს-ის პარტნიორს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს ***საზოგადოების მართვაში***. საზოგადოების მართვის უფლებამოსილებას ახორციელებს პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. საზოგადოების მართვაში მონაწილეობა გულისხმობს:

- საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღებას. აღნიშნული ინფორმაცია მოიცავს სრულ ინფორმაციას საზოგადოების საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შესახებ; პარტნიორს უფლება აქვს, გაეცნოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნებს, გადაიღოს ასლები;
- საზოგადოების ხელმძღვანელობის კონტროლს;
- რიგგარეშე პარტნიორთა კრების მოწვევას, თუ ეს მისი შეხედულებით აუცილებელია, თავისი ან საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე;
- პარტნიორთა კრებაზე დასწრებას, ხმის მიცემას და გადაწყვეტილების მიღებას.

გარდა აღნიშნულისა, პარტნიორს აქვს ***დივიდენდის მიღების*** უფლება თავისი წილის პროპორციულად. პარტნიორის მნიშვნელოვანი უფლებაა საზოგადოების ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ***ქონების განაწილებაში მონაწილეობა***. ამავე დროს, თუ შპს-მ არ განახორციელა საკუთარი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, პარტნიორს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ, ***თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი*** აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად. იგი მიიჩნევა სათანადო მოსარჩელედ, თუ საზოგადოება პარტნიორის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 90 დღის განმავლობაში არ აღძრავს სარჩელს მესამე პირის წინააღმდეგ ან ვერ დაასაბუთებს, რომ ასეთი სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს. სასამართლოს მიერ პარტნიორის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში საზოგადოება ვალდებულია აუნაზღაუროს პარტნიორს სარჩელთან დაკავშირებული, კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული სასამართლოსგარეშე ხარჯები ადვოკატის ხარჯების ჩათვლით. საზოგადოება თავისუფლდება ამ ხარჯების ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუ იგი დაამტკიცებს, რომ სარჩელის დაკმაყოფილება საზოგადოებისათვის საზიანო აღმოჩნდა. თუ პარტნიორი მიჩნეულ იქნა არასათანადო მოსარჩელედ ან მისი სარჩელი არ დაკმაყოფილდა, პარტნიორს ეკისრება საზოგადოების მიერ კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული იმ ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება, რომლებიც წარმოიშვა პარტნიორის მოთხოვნასთან დაკავშირებით. პარტნიორის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სასამართლოს შეუძლია გადაუვადოს მას სასამართლო ხარჯების ანაზღაურება.

გარდა უფლებებისა, პარტნიორს ეკისრება ***განსაზღვრული ვალდებულებებიც***. მაგალითად, პარტნიორის ძირითადი ვალდებულებაა, განახორციელოს შენატანი (მათ შორის, დამატებითი) საზოგადოების კაპიტალში. გარდა ამისა, პარტნიორი ვალდებულია, არ გაახმაუროს საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც შეადგენს კომერციულ საიდუმლოებას.

IV. საზოგადოების ორგანოები

საზოგადოება მოქმედებს თავისი ***ორგანოების*** მეშვეობით. საზოგადოების ორგანოებია: უმაღლესი ორგანო – პარტნიორთა კრება; აღმასრულებელი ორგანო – დირექტორი. შპს-ის წესდებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა. ასეთ შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებისა და დაკისრებული მოვალეობის მიმართ გამოიყენება "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის ნორმები, სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შესახებ.

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. განმარტეთ შპს;
2. რა დადებითი მხარეები აქვს შპს-ის სამართლებრივ ფორმას?
3. რა დოკუმენტით განისაზღვრება საზოგადოების კაპიტალი?
4. როგორ ხდება შპს-ში წილის გასხვისება?
5. დაასახელეთ პარტნიორთა ძირითადი უფლებები და ვალდებულებები;
6. დაასახელეთ შპს-ის მართვის ორგანოები.

12. სააქციო საზოგადოება

I. ზოგადად

სააქციო საზოგადოება (სს) კომერციული იურიდიული პირი უფრო რთული სამართლებრივი ფორმაა, ვიდრე შპს, თუმცა, იგი იძლევა უფრო მეტი კაპიტალის მოზიდვის საშუალებას. სააქციო საზოგადოებაში კაპიტალის მოზიდვა მიიღწევა, მაგ., აქციების ემისიით, ე.ი. როდესაც საზოგადოება ზრდის კაპიტალს და უშვებს ახალ აქციებს. ახლად გამოშვებულ აქციებს იძენენ სხვა პირები და ნასყიდობის თანხა მიემართება საზოგადოების კაპიტალის შესავსებად. ამდენად, შპს-გან განსხვავებით, სადაც შენატანებს ახორციელებენ მხოლოდ პარტნიორები, სააქციო საზოგადოებაში კაპიტალის მოზიდვის წყარო შეიძლება გახდეს ნებისმიერი მესამე პირი ისე, რომ არსებულ აქციონერებს არ უწევთ თავიანთი აქციების ამ მესამე პირებისთვის გადაცემა. შპს-ში კი მესამე პირის როგორც პარტნიორის შემოსვლა შესაძლებელია მხოლოდ არსებული პარტნიორების მიერ თავიანთი წილის დათმობის გზით.

სს-ში აქციონერთა რაოდენობის ***ზღვრული ოდენობა არ არის დადგენილი*** და იგი შეიძლება რამდენიმე ათასსაც შეადგენდეს. სს უფრო რთულია სამართავად, ვიდრე შპს. მაგ.:

- სს-ს ესაჭიროება ***აქციათა რეესტრი***; კანონი ადგენს, რომ სააქციო საზოგადოება, რომლის აქციონერთა რაოდენობა 50-ზე მეტია, ვალდებულია აქციათა რეესტრი აწარმოოს დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით, მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. თუ აქციონერთა რაოდენობა 50 ან 50-ზე ნაკლებია, საზოგადოებას შეუძლია აწარმოოს აქციათა რეესტრი თვითონ ან დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით, გარდა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებული საწარმოსი, რომლის აქციათა რეესტრს უნდა აწარმოებდეს დამოუკიდებელი რეგისტრატორი;
- ზოგიერთ შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭო სს-ის ***სავალდებულო ორგანოა***;
- სს-ის მომწესრიგებელი "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის ნორმების უმრავლესობა ***იმპერატიულია*** და აქციონერებს ერთმანეთს შორის შეთანხმებით (წესდებით) მათი შეცვლა არ შეუძლიათ. სს-გან განსხვავებით, შპს-ის მომწესრიგებელი ნორმების უმრავლესობა დისპოზიციურია.

II. ცნება. საზოგადოების კაპიტალი. აქცია და აქციათა სახეები (კლასები). აქციათა გადაცემა

სააქციო საზოგადოების ლეგალური დეფინიცია მოცემულია "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 51-ე მუხლის 1-ლ ნაწილში:

"სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის კაპიტალი დაყოფილია წესდებით განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის აქციებად".

ამდენად, სააქციო საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის ***ნომინალური ღირებულების*** მქონე აქციებად. კაპიტალის გაზრდის მიზნით, სს-ს შეუძლია გამოუშვას აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდები. სს-ის საზოგადოების წესდება ***აუცილებლად*** უნდა უთითებდეს: 1. საზოგადოების კაპიტალის ოდენობას; 2. აქციის კლასსა და ერთი აქციის ნომინალურ ღირებულებას.

რა არის აქცია და აქციის რა სახეები არსებობს?

"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, აქცია არის ***ფასიანი ქაღალდი***, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში. თავად ფასიანი ქაღალდის განმარტება მოცემულია "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონში: "ფასიანი ქაღალდი (ფასიანი ქაღალდები) – მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტები და უფლებები, რომელთა საჯარო შეთავაზებაც შესაძლებელია წილობრივი თუ სასესხო ფასიანი ქაღალდების სახით (ან მათი კომბინირებული ვარიანტით) ან რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას ასეთებად ან რომლებიც არიან ასეთებზე ხელმოწერისა თუ ასეთების შეძენის უფლების მატარებლები, საინვესტიციო ხელშეკრულებები და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული სხვა ინსტრუმენტები და უფლებები. ამ კანონით შემდეგი ინსტრუმენტები არ განიხილება და არ რეგულირდება, როგორც ფასიანი ქაღალდები:

ა) ბანკების ვალდებულებები, დაკავშირებული დეპოზიტებთან ან სხვა ფიქსირებულ ვადიან დაფინანსებასთან, რომლებსაც წარმოქმნის კლიენტთა პირდაპირი, შუამავლების გარეშე მომსახურება და რომლებისთვისაც არ არის დამახასიათებელი საჯარო მიმოქცევა;

ბ) ნებისმიერი სადაზღვევო პოლისი ან ენუიტური კონტრაქტი, გამოშვებული დაზღვევის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი იურიდიული პირის მიერ;

გ) ჩეკი (რეგულირდება საქართველოს კანონით „ჩეკების შესახებ");

გ1) თამასუქი (რეგულირდება საქართველოს კანონით „თამასუქის შესახებ");

დ) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებით განსაზღვრული გამონაკლისი ხელშეკრულებები ან ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა რეგულირებაც ხორციელდება შესაბამისად ამ კანონით ან სხვა კანონებით".

აქცია შეიძლება იყოს ***ჩვეულებრივი და პრივილეგირებული***, ამასთან, მხოლოდ სახელობითი ფორმით. ერთი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე.

რით განსხვავდება ჩვეულებრივი აქცია პრივილეგირებული აქციისაგან?

პრივილეგირებული აქციის მფლობელს აქვს დივიდენდის და გაუქმებული საზოგადოების ქონებიდან წილის მიღების უპირატესი უფლება. თუმცა, ამ უპირატესობის საკომპენსაციოდ კანონი ადგენს, რომ პრივილეგირებული აქციის მფლობელს არა აქვს ხმის უფლება აქციონერთა საერთო კრებაზე. ამასთან, კანონი კრძალავს აქციონერისათვის დივიდენდების უცილობლად გაცემის შეპირებას.

გარდა აღნიშნული კლასებისა, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, სს-ს შეიძლება ჰქონდეს სხვა კლასის აქციებიც. ნებისმიერი კლასის აქციების რაოდენობა, მათთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები და მათი შეცვლის პირობები უნდა აისახოს საზოგადოების წესდებაში (ხოლო საჯარო შეთავაზების შემთხვევაში – ემისიის პროსპექტშიც) (პარ.52.1[1]).

აქციების სახე, რაოდენობა და მათი მფლობელის ვინაობა აღირიცხება აქციათა რეესტრში. აქციონერს შეიძლება მიეცეს ასევე აქციათა სერტიფიკატები.

როგორ ხორციელდება აქციების გადაცემა?

არსებობს აქციების ***გადაცემის 3 წესი***:

1. იმ სს-ის აქციების გადაცემა, რომლის რეესტრსაც აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი. ამ შემთხვევაში აქციების გადაცემა ხორციელდება დამოუკიდებელი რეგისტრატორის ***გადასაცემი განკარგულების*** საფუძველზე;

2. საზოგადოების აქციათა რეესტრში შესაბამისი ***ცვლილებების შეტანითა*** და აქციის სერტიფიკატზე ***ინდოსამენტით*** (გადასაცემი წარწერით); თუ სს-ას არა ჰყავს დამოუკიდებელი რეგისტრატორი, მაშინ აქციების გადაცემა ხდება საზოგადოების აქციათა რეესტრში შესაბამისი ცვლილებების შეტანით, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ და აქციის სერტიფიკატზე ინდოსამენტით; და

3. წერილობითი ***ხელშეკრულების საფუძველზე***.

III. აქციონერთა უფლებები და ვალდებულებები

სს-ის აქციონერს ***უფლება აქვს***:

- მონაწილეობა მიიღოს აქციონერთა საერთო კრების მუშაობაში, გამოთქვას აზრი განსახილველ საკითხებზე, დასვას კითხვები და წამოაყენოს წინადადებები;
- მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მართვაში (მაგალითად, ჰქონდეს ხმის უფლება, კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება, რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის უფლება);
- მიიღოს სრული და დროული ინფორმაცია საერთო კრების ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ, აგრეთვე, საკმარისი ინფორმაცია კრებაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით;
- განმარტება მოსთხოვოს დირექტორებს ან სამეთვალყურეო საბჭოს საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეულ პუნქტზე; ასევე მოითხოვოს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, რაც გონივრულად აუცილებელია ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად. თუ მოთხოვნა განმარტების შესახებ წერილობით იქნა დაყენებული საერთო კრებამდე ათი დღით ადრე, ის უნდა შესრულდეს ან განხილულ იქნეს დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად;
- გაეცნოს საზოგადოების წლიურ, ნახევარწლიურ და მიმდინარე ანგარიშებს;
- შეიძინოს ან/და გაასხვისოს აქციები, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მოგების განაწილებაში (მიიღოს დივიდენდი).

ნებისმიერი კლასის აქციათა ***5 პროცენტის მფლობელ აქციონერებს*** ან აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვთ, დირექტორებს ან სამეთვალყურეო საბჭოს მოსთხოვოს რიგგარეშე კრების ჩატარება. მოთხოვნა წერილობით უნდა იყოს წარდგენილი და შეიცავდეს დღის წესრიგის საკითხებს, რომელთა შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს საზოგადოების მიზნებსა და საქმიანობის ხასიათთან. ასეთ შემთხვევაში, დირექტორები ან სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულნი არიან, წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 3 თვისა, ჩაატარონ საერთო კრება.

როგორც წესი, აქციონერი თავის ხმის უფლებას იყენებს ***საკუთარი ინტერესებისათვის***. ამ წესიდან კანონი უშვებს გამონაკლისს, კერძოდ, მას არა აქვს ხმის უფლება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელი გადაწყვეტილება ეხება აქციონერთან გარიგების დადებას ან მისი ანგარიშის დამტკიცებას.

"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი იცავს აქციონერს დომინანტი აქციონერის მიერ ***თავისი მდგომარეობის განზრახ სს-ის ინტერესების საზიანოდ გამოყენების შემთხვევაში***. დომინანტად კანონი მიიჩვენს აქციონერს ან ერთად მოქმედ აქციონერთა ჯგუფს, რომელსაც აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს სს-ის საერთო კრების კენჭისყრის შედეგებზე. დომინანტი აქციონერის მიერ თავისი მდგომარეობის განზრახ სს-ის ინტერესების საზიანოდ გამოყენების შემთხვევაში, მან დანარჩენ აქციონერებს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია.

აქციონერის უმნიშვნელოვანესი უფლებაა, ***იმოქმედოს სს-ის სახელით,*** თუ სს-მ არ განახორციელა თავისი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ. ამ შემთხვევაში, აქციონერს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად. იგი ჩაითვლება სათანადო მოსარჩელედ, თუ

საზოგადოება აქციონერის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 90 დღის განმავლობაში სარჩელს არ აღძრავს მესამე პირის წინააღმდეგ ან ვერ დაასაბუთებს, რომ ასეთი სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს. სასამართლოს მიერ აქციონერის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საზოგადოება ვალდებულია, აქციონერს აუნაზღაუროს სარჩელთან დაკავშირებული გონივრულ ფარგლებში გაწეული სასამართლოსგარეშე ხარჯები, ადვოკატის ხარჯების ჩათვლით. საზოგადოება თავისუფლდება ამ ხარჯების ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუ იგი დაამტკიცებს, რომ სარჩელის დაკმაყოფილება საზიანო აღმოჩნდა საზოგადოებისათვის. თუ აქციონერი მიჩნეულ იქნა არასათანადო მოსარჩელედ ან სარჩელი არ დაკმაყოფილდა, აქციონერს ეკისრება საზოგადოების მიერ გონივრულ ფარგლებში გაწეული იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც წარმოიშვა აქციონერის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

გარდა უფლებებისა, აქციონერს ***ეკისრება ვალდებულებაც***. აქციონერის ერთადერთი ვალდებულებაა, (როგორც წესი, ფულადი) შესატანი შეიტანოს კუთვნილი რაოდენობის აქციების მისაღებად. ამასთან, დაუშვებელია სს-ის წესდებით აქციონერისათვის ნებისმიერი სხვა ვალდებულების დაკისრება. ვალდებულების დაკისრება შესაძლებელია მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

IV. სააქციო საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვა

"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში 1999 წლის 9 ივნისის კანონით დაემატა 53^1 მუხლი, რომლითაც სს-ის აქციონერს მიენიჭა უფლება, განსაზღვრული გარემობების არსებობისას ***საზოგადოებას მოსთხოვოს თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა.*** ეს შესაძლებლობა არსებობს 2 შემთხვევაში:

1. ***აქციონერის მოთხოვნის საფუძველზე***, როდესაც მან აქციონერთა საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა გადაწყვეტილებას წესდებაში ისეთი ცვლილების შეტანას, რომელიც არსებითად არღვევს მის უფლებებს ან ეხება საზოგადოების რეორგანიზაციას;

2. ***სს-ის ინიციატივით***. კერძოდ, სს-ს უფლება აქვს, შეიძინოს და შემდგომში გაყიდოს საკუთარი აქციები (სახაზინო აქციები). სახაზინო აქციების რაოდენობა არც ერთ მომენტში არ უნდა აღემატებოდეს განთავსებული აქციების 25%-ს, თუ წესდებით უფრო მცირე ზღვარი არ არის გათვალისწინებული. ხმის დათვლის, დივიდენდის განაწილების, ლიკვიდაციის დროს და აქციების ფლობიდან გამომდინარე სხვა უფლებების რეალიზაციის მიზნებისთვის (შემთხვევებში) საზოგადოების მფლობელობაში არსებული სახაზინო აქციები მხედველობაში არ მიიღება. (53^1.9 პარ.).

აქციათა გამოსყიდვა ***არ არის დაშვებული.*** კერძოდ, აქციების გამოსყიდვა არ დაიშვება:

- თუ აქციების გამოსყიდვისთვის გადასახდელი თანხა აღემატება საკუთარი კაპიტალის 25%-ს;
- თუ გამოსყიდვის მომენტში სს აკმაყოფილებს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნის პირობებს, ან ასეთი პირობები შეიძლება წარმოიშვას აქციათა გამოსყიდვის შედეგად.

კანონი ადგენს აქციათა გამოსყიდვის ***პროცედურას***:

- უპირველეს ყოვლისა, აქციონერმა უნდა მიიღოს საერთო კრების მოწვევის შეტყობინება, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი გადასაწყვეტი საკითხი, რომელიც აქციონერს უფლებას ანიჭებს, საზოგადოებას მოსთხოვოს თავისი აქციების გამოსყიდვა, მითითებულია მასთან დაკავშირებული გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება და ამ უფლების განხორციელების წესი;
- გადაწყვეტილების მიღებიდან 45 დღის განმავლობაში აქციონერს უფლება აქვს, საზოგადოებას წერილობით მოსთხოვოს თავისი აქციების გამოსყიდვა. ასეთი მოთხოვნის უფლება არ არსებობს, თუ: 1. აქციონერის მიერ სრულად არ არის შეტანილი ამ

აქციების შესაბამისი შენატანი; 2. აქციონერმა ეს აქციები შეიძინა ზემოთ მითითებული შეტყობინების გაგზავნის შემდეგ (პარაგრაფები 53^{1}.2 და 53^{1}.3).

რა ფასად უნდა იქნეს გამოსყიდული აქციები?

აქციები გამოსყიდულ უნდა იქნეს ***საბაზრო ღირებულებით***, რომელიც დადგინდა შეტყობინების წინა დღეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქციათა დაბალი ლიკვიდურობის ან სხვა მიზეზების გამო, კანონით დადგენილია აქციათა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის სხვა წესი. ასეთი წესის გამოყენებისას, სამეთვალყურეო საბჭომ სათანადოდ უნდა დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება.

V. აქციათა გამოსყიდვის თაობაზე სავალდებულო სატენდერო შეთავაზება

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში 2005 წლის 24 ივნისის კანონით დაემატა 53^{2} მუხლი, რომლითაც დადგინდა აქციათა გამოსყიდვის თაობაზე ***სავალდებულო სატენდერო შეთავაზების წარდგენის*** ვალდებულება იმ შემთხვევაში, თუ აქციონერი ან შეთანხმების საფუძველზე მოქმედი აქციონერთა ჯგუფი შეიძენს აქციათა პაკეტს, რის შედეგადაც იგი აკონტროლებს სს-ის ხმის უფლების მქონე აქციათა ნახევარზე მეტს. სატენდერო შეთავაზება ეხება ყველა დარჩენილი აქციის სამართლიან ფასად გამოსყიდვას. სატენდერო შეთავაზება უნდა განხორციელდეს აქციათა პაკეტის შეძენის ფაქტის დადგომიდან არაუგვიანეს 45 დღისა. თუ აქციონერი უარს განაცხადებს სატენდერო შეთავაზებაზე, მაშინ მან არაუგვიანეს 45 დღისა უნდა ჩამოიყვანოს მისი კონტროლის ქვეშ არსებული ხმების საერთო რაოდენობის ნახევარზე ქვევით (პარ. 53^{2}.1).

კანონი ადგენს გარემოებებს, რომელთა არსებობისას სატენდერო შეთავაზების წარდგენის ***ვალდებულება არ არსებობს***, კერძოდ, ეს ვალდებულება არ არსებობს, თუ:

- სს-ის ხმათა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი მყიდველის ხელში აღმოჩნდა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული სატენდერო შეთავაზებით, რომელშიც ის ყველა დარჩენილი აქციის სამართლიან ფასად გამოსყიდვას სთავაზობდა სხვა აქციონერებს;
- პირი აღნიშნულ აქციებს ფლობს სხვა პირის ან პირების სასარგებლოდ, მათ შორის, საერთაშორისო დეპოზიტარული ხელწერილების გაცემის მიზნით.

შეთავაზებული გამოსასყიდი ფასი უნდა დაადგინოს აუდიტორმა ან საბროკერო კომპანიამ. ფასი თითოეული კლასის აქციისათვის არ უნდა იყოს იმ უმაღლეს ფასზე ნაკლები, რომელიც გამოსყიდვის განმახორციელებელმა აქციონერმა ბოლო 6 თვის განმავლობაში გადაიხადა საზოგადოების ამ კლასის აქციაში.

სატენდერო შეთავაზების დასრულებამდე აქციონერს ან შეთანხმების საფუძველზე მოქმედ აქციონერთა ჯგუფს არა აქვს მისი კონტროლის ქვეშ მყოფი 50%-ზე მეტი ხმების საერთო კრებაზე გამოყენების უფლება.

VI. აქციათა სავალდებულო მიყიდვა

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს აქციათა ***სავალდებულო მიყიდვის წესი***. კერძოდ, თუ აქციების შეძენის შედეგად აქციონერს საკუთრებაში აქვს სს-ის ხმის უფლების მქონე აქციათა 95%-ზე მეტი, მაშინ ამ აქციონერს უფლება აქვს გამოისყიდოს სხვა აქციონერთა აქციები სამართლიან ფასად, ხოლო დანარჩენ აქციონერებს რჩებათ აქციათა სანაცვლოდ სამართლიანი ფასის მიღების უფლება. 2005 წლის 24 ივნისის კანონის ავტორების აშკარა მიზანი იყო, სს-ში 95%-ზე მეტი ხმის უფლების მქონე აქციათა მფლობელების ინტერესების დაცვა და მათ მიერ "ერთმმართველობის" – აქციათა 100%-ის ფლობის მიღწევის უზრუნველყოფა.

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილება ***გამოაქვს სასამართლოს.*** სასამართლოს გადაწყვეტილებით განისაზღვრება აქციების გამოსყიდვის სამართლიანი ფასი და თარიღი.

სასამართლოსადმი მიმართვამდე აქციათა გამოსყიდვის მიზნით, აქციონერმა საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში არაუგვიანეს 1 თვისა, უნდა გამოაქვეყნოს განცხადება აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე. განცხადებაში უნდა მიეთითოს გამოსყიდვის მიზეზების, პირობებისა და პროცედურების შესახებ.

აქციათა გამოსყიდვის პროცედურების დაცვის მიზნით, რეგისტრატორი ახორციელებს ***შემდეგ ქმედებებს:***

- სასამართლოს მიერ დადგენილ გამოსყიდვის თარიღამდე არაუგვიანეს 5 დღისა, ყველა ნომინალურ მფლობელს ატყობინებს გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღს. გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღიდან, აქციათა გამოსყიდვის პროცედურების დასრულებამდე, წყდება ამ აქციებთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული მოქმედებებისა;
- ადგენს გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღის მდგომარეობით ყველა რეგისტრირებული მფლობელის სიას მათი ვინაობის, მისამართისა და მათ მფლობელობაში არსებულ აქციათა რაოდენობის მითითებით;
- აქციონერის მიერ ზემოაღნიშნული მოქმედებების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე, ყველა აქციას აფორმებს მის სახელზე.

აქციების მყიდველი ყველა დარჩენილი აქციის გამოსასყიდ თანხას ***განათავსებს*** დანარჩენ აქციონერთა სასარგებლოდ გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე ბანკში, ცენტრალურ დეპოზიტართან ან საბროკერო კომპანიასთან, რომელსაც მყიდველი გადასცემს გამოსყიდვის რეესტრს.

VII. საზოგადოების ორგანოები

სს-ის ***ორგანოებია:***

- უმაღლესი ორგანო – აქციონერთა საერთო კრება (საერთო კრება);
- სამეთვალყურეო ორგანო – სამეთვალყურეო საბჭო;
- აღმასრულებელი ორგანო – დირექტორი (დირექტორები).

საერთო კრება

საერთო კრება სს-ის უმაღლესი ორგანოა. იგი შეიძლება იყოს მორიგი და რიგგარეშე.

თუ სს-ის წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ***მორიგი საერთო კრება*** ტარდება ყოველწლიურად, წლიური ბალანსის შედგენიდან ორი თვის ვადაში. მორიგ კრებაზე განიხილება წლიური შედეგები და დღის წესრიგის სხვა შესაძლო საკითხები.

რიგგარეშე საერთო კრება ტარდება დირექტორების, სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერების მოთხოვნით. სამეთვალყურეო საბჭო ადგენს საერთო კრების სააღრიცხვო დღეს, რომელიც არ შეიძლება იყოს კრების მოწვევამდე 45 დღეზე ადრე და კრების მოწვევის გამოცხადების თარიღზე გვიან. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება ჰქონდათ სააღრიცხვო დღისთვის.

2005 წლის 24 ივნისის კანონის მნიშვნელოვან ნოვაციას წარმოადგენს სს-ის საერთო კრების მოწვევის ზემოაღნიშნული ***პროცედურის თავიდან აცილების შესაძლებლობა.*** კერძოდ, კანონი ადგენს, რომ კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, თუ საწესდებო კაპიტალის 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერი მიიღებს გადაწყვეტილებას, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილება კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად. ამ შემთხვევაში, დანარჩენ აქციონერებს ეგზავნებათ შეტყობინება, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

საერთო კრება მოიწვევა საზოგადოების უკანასკნელ ***იურიდიულ მისამართზე ან საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერ სხვა ადგილზე*** კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების საერთოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებიდან, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკი ან აქციონერებისათვის მოსაწვევის გაგზავნიდან 20 დღის ვადაში. მოწვევასთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს დღის წესრიგი და დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადაწყვეტილების მისაღებად კრების მოწვევის შეტყობინებას უნდა დაერთოს, აგრეთვე, იმ პროცედურის აღწერა, რომლის მიხედვითაც კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში აქციონერს შეუძლია შეამოწმოს კრებაში თავისი მონაწილეობის უფლება. აქციათა არანაკლებ 1%-ის მფლობელებს საერთო კრებაზე მოსაწვევი ეგზავნებათ დაზღვეული წერილით.

თუ სს-ის წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, საერთო კრება ***გადაწყვეტილებაუნარიანია***, თუ მასზე წარმოდგენილია ხმების ნახევარზე მეტის მქონე აქციონერი. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში და იმავე დღის წესრიგით მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასზე წარმოდგენილია აქციონერთა ხმების არანაკლებ 25%-ის. თუ კრება კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იმავე დღის წესრიგით, მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია წარმოდგენილი ხმის უფლების მქონე აქციონერის რაოდენობის მიუხედავად.

აქციონერი საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებს, პირადობის მოწმობისა და კრებაზე წარმოდგენილ აქციათა რეესტრის მონაცემების საფუძველზე. დასაშვებია წარმომადგენლობა წერილობითი მინდობილობის საფუძველზე. სს-ის საერთო კრების მიმდინარეობისა და გადაწყვეტილებების შესახებ დგება ***ოქმი***.

საერთო კრება ***უფლებამოსილია***:

- შეცვალოს საზოგადოების წესდება;
- გადაწყვიტოს საზოგადოების რეორგანიზაციის ან გაუქმების საკითხი;
- მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება, რომელთა მისაღებად საჭიროა ხმის უფლების მქონე დამსწრე ხმების 75%-ზე მეტის თანხმობა;
- მიიღოს ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორების წინადადება მოგების გამოყენების შესახებ, ხოლო როდესაც ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას, გადაწყვეტილება მიიღოს წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;
- გადაწყვეტილება მიიღოს სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ;
- აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან, განსაზღვროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევის ვადა;
- დაამტკიცოს დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშები;
- აირჩიოს აუდიტორი;
- გადაწყვეტილებები მიიღოს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;
- გადაწყვეტილებები მიიღოს საზოგადოების ქონების შეძენის, გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან დატვირთვის შესახებ, რომელთა ღირებულება შეადგენს საზოგადოების აქტივების ღირებულების ნახევარზე მეტს, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას, რომელთა მისაღებად საჭიროა ხმის უფლების მქონე დამსწრე ხმის მქონე 50%-ზე მეტის თანხმობა.

ყველა სხვა საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორი (დირექტორები).

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევისას აქციონერები შეიძლება შეთანხმდნენ ხმების ე.წ. ***აკუმულირების მეთოდის*** გამოყენებაზე, რაც მდგომარეობს შემდეგში:

- ყოველი აქციონერი მთელ თავის ხმებს ანაწილებს წარმოდგენილ კანდიდატთა ნების-მიერ რაოდენობაზე ისე, რომ მის მიერ მიცემულ ხმათა ჯამური რაოდენობა არ აღემატებოდეს მის განკარგულებაში არსებულ აქციათა სრულ რაოდენობას;
- აქციონერს შეუძლია თითოეული თავისი ხმით მხოლოდ მხარი დაუჭიროს სამეთვალ-ყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატს (მის წინააღმდეგ ხმის მიცემა დაუშვებელია);
- თუ კანდიდატების რაოდენობა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დადგენილ რაოდენო-ბაზე ნაკლები ან ტოლია, მაშინ ყველა კანდიდატი, რომელმაც მიიღო თუნდაც ერთი ხმა, ავტომატურად ხდება სამეთვალყურეო საბჭოს წევრი; ხოლო თუ კანდიდატების რაოდენობა აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დადგენილ რაოდენობას, სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომლებმაც მიიღეს ხმათა უმრავლესობა.

სამეთვალყურეო საბჭო

თუ სააქციო საზოგადოება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით არის ანგარიშვალდებული საწარმო, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე, ან სააქციო საზოგადოება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არის ლიცენზირებული, ან სააქციო საზოგადოების აქციონერთა რაოდენობა აღემატება 100-ს, სავალდებულოა ***სამეთვალყურეო საბჭოს*** შექმნა არანაკლებ 3 და არა უმეტეს 21 წევრისაგან. ყველა სხვა შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა არ არის სავალდებულო. სამეთვალყურეო საბჭოს არარსებობის შემთხვევაში, კანონით დადგენილი მისი ფუნქციები და უფლებამოსილებები წესდებით გადანაწილდება საწარმოს მართვის სხვა ორგანოებზე.

სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს საერთო კრება 1 წლის ვადით ***ირჩევს***, თუ საერთო კრების გადაწყვეტილებით ან წესდებით სხვა ვადა არ არის დადგენილი. წევრის უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგ მორიგი საერთო კრების მოწვევამდე. ვადამდე გადარჩევა შესაძლებელია საერთო კრების მიერ ნებისმიერ დროს. ყოველ წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს გადადგეს. თუ წევრის გასვლიდან 6 თვის განმავლობაში არ აირჩა სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი, მაშინ სასამართლოს, რომლის იურისდიქციის ტერიტორიაზედაც მდებარეობს საზოგადოება, შეუძლია ერთ-ერთი აქციონერის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ან დირექტორის განაცხადით დანიშნოს ახალი წევრი, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ამავე დროს შეიძლება იყოს ასევე დირექტორიც. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იმავდროულად არ შეიძლება იყოს ამ საზოგადოების დირექტორი.

სამეთვალყურეო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ***ირჩევს თავმჯდომარეს და მოადგილეს***. თუ გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული, მაშინ უნდა გაიმართოს ფარული კენჭისყრა. თუ კანდიდატები მიიღებენ ხმების თანაბარ რაოდენობას, მათ შორის უხუცესი დაინიშნება თავმჯდომარედ. თავმჯდომარე (მისი არყოფნისას – მოადგილე) იწვევს სხდომებს, განსაზღვრავს დღის წესრიგს. ოქმს ადგენს თავმჯდომარე ან სხდომის მდივანი.

სამეთვალყურეო საბჭოს ***სხდომები ტარდება*** კვარტალში ერთხელ მაინც. მოწვევა უნდა გაკეთდეს წერილობით, სულ ცოტა, რვა დღით ადრე და სავარაუდო დღის წესრიგითურთ. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება სხვა წევრებით იქნენ წარმოდგენილი მხოლოდ იმ პირობით, რომ ერთი წევრი წარმოდგენილია ერთი სხვა წევრით. სამეთვალყურეო საბჭო ***გადაწყვეტილებაუნარიანია***, თუ მას ესწრება წევრთა, სულ მცირე, ნახევარი. თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, თავმჯდომარეს (მისი არყოფნისას – მის მოადგილეს) შეუძლია არაუგვიანეს 8 დღისა მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ 25%-ისა. თუ

სამეთვალყურეო საბჭო კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს უწყდება უფლებამოსილება და თავმჯდომარე (მისი არყოფნისას – მისი მოადგილე) იწვევს საერთო კრებას.

სამეთვალყურეო საბჭოს ***ამოცანები და კომპეტენციაა:***

- სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს დირექტორების საქმიანობას;
- სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერ დროს შეუძლია დირექტორებისაგან მოითხოვოს საზოგადოების საქმიანობის ანგარიში;
- სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია გააკონტროლოს და შეამოწმოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნები, ასევე ქონებრივი ობიექტები, კერძოდ, საზოგადოების სალარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა და მას შეუძლია ეს დაავალოს ცალკეულ წევრებს ან განსაზღვრულ ექსპერტებს;
- სამეთვალყურეო საბჭო იწვევს საერთო კრებას, თუ ამას საზოგადოების აუცილებლობა მოითხოვს;
- სამეთვალყურეო საბჭო ამოწმებს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებას და ამის თაობაზე მოახსენებს საერთო კრებას; ცნობაში სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიუთითოს, თუ როგორ და რა მოცულობით შეამოწმა მან საზოგადოების ხელმძღვანელობა გასული სამეურნეო წლის განმავლობაში, წლიური ანგარიშისა და საქმიანობის ანგარიშისა და საქმიანობის რომელი ნაწილი შეამოწმა და გამოიწვია თუ არა ამ შემოწმებებმა საბოლოო შედეგების არსებითი ცვლილებები;
- დირექტორების დანიშვნა და ნებისმიერ დროს გამოწვევა, ასევე მათთან ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა;
- იმ საზოგადოებაში, სადაც სახელმწიფო ფლობს საზოგადოების კაპიტალის 50%-ზე მეტს, დირექტორების დანიშვნა და მათი გამოწვევა სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეუთანხმოს საზოგადოების კაპიტალის 50%-ზე მეტის მფლობელ აქციონერს. სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერებს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დირექტორის დანიშვნისა და გამოწვევის გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება.

თუ სს-ის წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ***მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით*** შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა:

- საზოგადოებებში 50%-ზე მეტი წილის შეძენა და გასხვისება;
- ფილიალების შექმნა და გაუქმება;
- წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებების მიღება;
- ვალდებულებების კისრება და უზრუნველყოფა, რომლებიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას; ვალდებულებების უზრუნველყოფა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების მიმართ დაუშვებელია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულია საერთო კრების მიერ;
- დირექტორთა უფლებამოსილების ფარგლების დადგენა;
- ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან არსებული სახის საქმიანობის შეწყვეტა;
- სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა;
- სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა;
- გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ;

- ხელმძღვანელ მუშაკთათვის მოგებასა და მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობის განსაზღვრა, მათი საპენსიო უზრუნველყოფის პრინციპების დადგენა და აქციონერთა კრებაზე დასამტკიცებლად წარდგენა;
- საზოგადოების ქონების შეძენის, გასხვისების ან გაცვლის (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რომელთა ღირებულება აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას;
- გადაწყვეტილების მიღება იმ საკითხზე, რომელიც კანონით არ განეკუთვნება საერთო კრებისა და დირექტორის კომპეტენციას.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს არ შეუძლია შეიტანოს სარჩელი ამ საზოგადოების დირექტორების წინააღმდეგ, თუ იგი თავად არის დირექტორი. ასეთი სარჩელის შეტანა შეუძლია სამეთვალყურეო საბჭოს იმ წევრს, რომელიც არ არის ამ საზოგადოების დირექტორი. დირექტორების ფუნქციები შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს, წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

დირექტორი (დირექტორები)

დირექტორი (დირექტორები) წარმოადგენს სს-ას მესამე პირებთან ურთიერთობებში და განახორციელებს საზოგადოების ხელმძღვანელობას. დირექტორის უფლებამოსილებები განისაზღვრება საზოგადოების წესდების შესაბამისად დადებული ხელშეკრულებით. წესდებაში ასეთი განსაზღვრის არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ხელმძღვანელობის ზოგადი უფლებამოსილებანი.

დირექტორებმა ***კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ*** უნდა შეასრულონ დაკისრებული ამოცანები. თუ დირექტორი არ შეასრულებს თავის მოვალეობას, იგი ვალდებულია საზოგადოებას აუნაზღაუროს მიყენებული ზარალი. დირექტორები პასუხს აგებენ სოლიდარულად. თუ დადგენილია ზიანის ფაქტი, მაშინ დირექტორებმა უნდა დაადასტურონ, რომ ისინი უძღვებოდნენ საქმეს კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. საზოგადოებას არ შეუძლია უარი თქვას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე. ეს მოთხოვნა შეიძლება გამოიყენონ საზოგადოების კრედიტორებმა, თუ საზოგადოებისაგან არ მიუღიათ მათი მოთხოვნების კომპენსაცია.

VIII. სს-ის გაუქმება და ლიკვიდაცია

მსგავსად შპს-ისა, ზემოთ ზოგად ნაწილში საზოგადოების გაუქმების საფუძვლებისა და ლიკვიდაციის პროცესის შესახებ, ჩვენ მიერ განხილული წესები გამოიყენება სს-ის მიმართაც.

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. განმარტეთ სს;
2. რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს სს-ის სამართლებრივ ფორმას?
3. განმარტეთ აქცია;
4. რა სახის აქციები არსებობს?
5. როგორ ხდება აქციების გადაცემა?
6. რა ძირითადი უფლებები აქვთ აქციონერებს?
7. რა ვალდებულება ეკისრებათ აქციონერებს?
8. დაასახელეთ სს-ის მიერ აქციათა გამოსყიდვის საფუძვლები;

9. როგორია აქციათა გამოსყიდვის თაობაზე სავალდებულო სატენდერო შეთავაზების პროცედურა?
10. როგორია აქციათა სავალდებულო მიყიდვის პროცედურა?
11. როგორია საერთო კრების მოწვევისა და ჩატარების პროცედურა?
12. რა საკითხებზე იღებს გადაწყვეტილებებს საერთო კრება?
13. რას ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევისას ხმების აკუმულირების მეთოდი?
14. რა შემთხვევაშია სამეთვალყურეო საბჭო სს-ის სავალდებულო ორგანო?
15. როგორია სამეთვალყურეო საბჭოს მოწვევისა და ჩატარების პროცედურა?
16. დაასახელეთ სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენცია.

კაზუსები განვლილ მასალაზე:

(პასუხები იხილეთ 244-ე გვერდზე)

კაზუსი №1

რამოდენიმე პირმა (პარტნიორმა) დააფუძნა საზოგადოება, რომელშიც ერთობლივად ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას და საზოგადოების ვალდებულებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ ასევე ერთობლივად - მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

კითხვა:

რა ტიპის საზოგადოება იყო დაფუძნებული ამ შემთხვევაში?

კაზუსი №2

შპს "გუდაურმა", რომელსაც იურიდიული მისამართი ჰქონდა გლდანი-ნაძალადევის რაიონში, გადაწყვიტა იურიდიული მისამართის გადატანა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში.

კითხვა:

რომელ ორგანოს უნდა მიმართონ შპს "გუდაურის" წარმომადგენლებმა ახალი იურიდიული მისამართის რეგისტრაციისთვის?

კაზუსი №3

სს 'სუფსას" აქციონერმა ლევან ბუაძემ აჩუქა თავის ძმას გიორგის საზოგადოების 10 პრივილეგირებული აქცია. ჩუქების ხელშეკრულება დამოწმებული იქნა სანოტარო წესით. ამის შემდეგ გიორგიმ აღნიშნული ხელშეკრულება წარუდგინა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრს რეგისტრაციისთვის, რაზედაც უარი მიიღო.

კითხვა:

რამდენად კანონიერია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის უარი?

კაზუსი №4

სს "ფასანაურის" საერო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის - გიორგი გერსამიას საზოგადოების დირექტორად დანიშვნისა და მისთვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე. გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა აქციონერთა 54%-მა.

კითხვა:

რამდენად დაცულია ამ შემთხვევაში კანონის მოთხოვნა და რატომ?

კაზუსი №5

კომანდიტური საზოგადოება "ოკრიბას" დირექტორმა გასცა მიდობილება თავის თანამშრომელზე, რათა მას საზოგადოების სახელით მოეთხოვა და მიეღო ცნობა შს სამინისტროში. აღნიშნული მინდობილობა იყო შესრულებული საზოგადოების ბლანკზე და მას ხელს აწერდა დირექტორი. სამინისტროს კანცელარიაში არ მიიღეს მინდობილობა იმის გამო, რომ იგი არ იყო დამოწმებული საწარმოს ბეჭდით.

კითხვა:

რამდენად კანონიერია ამ შემთხვევაში შს სამინისტროს კანცელარიის მუშაკის მოთხოვნა?

კაზუსი №6

2016 წლის 10 ივნისს კანონისა და წესდების ნორმათა სრული დაცვით ჩატარდა შპს "კოლხეთის" საერთო კრება, რომელზეც მიღებული იქნა გადაწყვეტილება საზოგადოების უძრავი ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა ერთ-ერთი პარტნიორი, რომელმაც 2016 წლის 15 სექტემბერს გაასაჩივრა კრების გადაწყვეტილება. სასამართლომ არ მიიღო სარჩელი წარმოებაში იმ მოტივით, რომ არ არის დაცული გასაჩივრების ვადები.

კითხვა:

რამდენად კანონიერია სასამართლოს უარი ამ შემთხვევაში?

კაზუსი №7

კომანდიტური საზოგადოების პარტნიორთა კრებაზე კომანდიტების ხმათა უმრავლესობით დირექტორად დაინიშნა ერთ-ერთი კომანდიტი - დევი კაციტაძე. საჯარო რეესტრში წარადგენილ იქნა განაცხადი დადგენილი ფორმით და პარტნიორთა კრების ოქმი, რომელიც არ იყო დამოწმებული ნოტარიულად. მარეგისტრირებელმა ორგანომ უარი განაცხადა რეგისტრაციაზე.

კითხვა:

კანონიერია თუ არა ამ შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანოს უარი კრებით გათვალისწინებული ცვლილებების რეგისტრაციაზე?

კაზუსი №8

სააქციო საზოგადოება "შატილის" აქციონერი ბექა კარიაული, რომელიც ფლობდა საზოგადიების 1% აქციებს, მიიჩნევდა, რომ ადგილი აქვს დარღვევებს და ამიტომ მოითხოვა მთლიანად სს "შატილის" წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება. საზოგადოების დირექტორებმა უარი განუცხადეს ბექა კარიაულს მოთხოვნაზე.

კითხვა:

ჰქონდათ თუ არა სააქციო საზოგადოება "შატილის" დირექტორებს უარის თქმის უფლება ბექა კარიაულის მოთხოვნაზე?

კაზუსი №9

შპს "ცისარტყელა" რეგისტრირებული იყო 2015 წელს. მარეგისტრირებელმა ორგანომ 2016 წლის აპრილის თვეში საწარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტებში აღმოაჩინა ხარვეზი. შესაბამისად, მან გამოსცა რეგისტრაციისათვის ხარვეზის დადგენის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მეწარმე სუბიექტს განუსაზღვრა 10-დღიანი ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

კითხვა:

რამდენად არის დაცული ამ შემთხვევაში "მეწარმეთა შესახებ" კანონის მოთხოვნა?

კაზუსი №10

სააქციო საზოგადოება "მერანის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ - ლადო გუნავამ საზოგადოების სახელით დადო მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება. რამოდენიმე დღეში აღნიშნული ფაქტი გახდა ცნობილი სს "მერანის" დირექტორისთვის, რომელმაც მოითხოვა გარიგების ბათილად ცნობა იმ მოტივით, რომ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს არ გააჩნდა შესაბამისი უფლებამოსილება.

კითხვა:

რამდენად კანონიერია სს "მერანის" დირექტორის მოთხოვნა?

V თავი
შრომის სამართალი

I. ზოგადად

2006 წლის 25 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა ***საქართველოს შრომის კოდექსი***, რომელმაც გააუქმა საბჭოთა პერიოდში მიღებული ნორმატიული აქტი – საქართველოს 1973 წლის 1 ოქტომბრის შრომის კანონთა კოდექსი. მოგვიანებით 2010 წლის 17 დეკემბერს საქართველოს შრომის კოდექსი გახდა ***ორგანული კანონი*** ისე, რომ მისი ტექსტი თითქმის არ შეცვლილა, თუ არ ჩავთვლით გარდამავალი დებულებების ნორმებს.

საქართველოს შრომის კოდექსი ***ანბანურად და შრომითი ურთიერთობის მონაწილეთა თანასწორუფლებიანობისა და ნების თავისუფალი გამოვლენის***, აგრეთვე, ***დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპების ს***აფუძველზე აწესრიგებს შრომით ურთიერთობებს. კოდექსის შემუშავებისა და პარლამენტში მისი განხილვის დროს კოდექსის კანონპროექტის მიმართ არაერთი კრიტიკული შენიშვნა იქნა გამოთქმული სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისა და ექსპერტების მიერ. მაგალითად, დამოუკიდებელი ექსპერტი – დიანა ბერეკაშვილი თავის დასკვნაში მკვეთრად უარყოფითად აფასებდა წარმოდგენილ კანონპროექტს. იგი, კერძოდ, აღნიშნავდა: "შემოთავაზებული კანონპროექტი, ვფიქრობთ, საკითხისადმი არასერიოზული მიდგომის გამოვლინებაა და არათუ დაარეგულირებს არსებულ პრობლემებს შრომითი ურთიერთობების სფეროში, არამედ კიდევ უფრო მოუწესრიგებელს გახდის სამართლებრივი ურთიერთობის ამ სახეს". დიანა ბერეკაშვილმა "კრიტიკის ქარცეცხლში" გაატარა კანონპროექტის პრაქტიკულად ყველა მუხლი და ბოლოში იგი დასკვნის სახით ამბობს: "კანონპროექტით შემოთავაზებული დავების განხილვის მექანიზმი, როგორც ბევრი სხვა ნორმა, ამ კანონპროექტში ვერ უძლებს ვერანაირ კრიტიკას. ვერ იქნება გაზიარებული შემოთავაზებული დავების განხილვის პროცედურა, რადგან ეს პროცედურა არაა მკაფიოდ გაწერილი, ბუნდოვანია სასამართლოსადმი მიმართვის მექანიზმიც.

ახალ კანონპროექტზე მუშაობისას სასურველია მხედველობაში იქნეს მიღებული ქვეყანაში არსებული რეალობა და ევროპული გამოცდილება. ამდენად, ახალი კოდექსი მაქსიმალურად ადეკვატური და მოქნილი უნდა იყოს. წარმოდგენილი კანონპროექტი არ არის თანამედროვე ღირებულებების მატარებელი და მასში უგულებელყოფილია ან, ხშირ შემთხვევაში, ზედაპირულადაა მოწესრიგებული შრომითი ხელშეკრულების ფორმა, დადების წესი, სტანდარტული პირობები, დამსაქმებელის და დასაქმებულის უფლება-მოვალეობები ხელშეკრულების დადების და შეწყვეტის დროს. ასევე, არ არის მოწესრიგებული შრომითი ურთიერთობის ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, როგორიცაა დასვენების დრო (ხანგრძლივობა, შესვენება, უქმე დღეები). გენდერული თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ შემოთავაზებული კანონპროექტი არაა დაბალანსებული, ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანია, თუ რა გარანტიებით სარგებლობენ ქალები. შრომითი ურთიერთობების სრულად განხორციელებისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება შრომითი დავების წარმართვის საკითხს, თუ კოდექსში არ იარსებებს ეფექტური მექანიზმი დავების განხილვისათვის, შრომითი უფლებების სრულყოფილად რეალიზაცია ყოველთვის ეჭვქვეშ დადგება; ამასთანავე, სასურველია კანონპროექტის შექმნისას ავტორებმა მეტი სერიოზულობა გამოიჩინონ სამართლებრივი მექანიზმების დეკლარირებისას".

საქართველოს შრომის კოდექსმა ***კარდინალური ცვლილებები განიცადა 2013 წლის 12 ივნისის კანონით,*** რომლითაც ახლებურად ჩამოყალიბდა შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელი ცალკეული მნიშვნელოვანი ნორმები, მაგ.:

- დადგინდა შრომითი ხელშეკრულების აუცილებელი წერილობითი ფორმა, თუ შრომითი ურთიერთობა გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს,
- ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის ნორმა იმპერატიული გახდა, რის შედეგადაც მხარეებს აღარ შეუძლიათ საწინააღმდეგო პირობებზე შეთანხმება,
- დაუშვებელი გახდა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა სხვა საფუძვლით, გარდა კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებისა,
- შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში დადგინდა დამსაქმებლის კანონისმიერი ვალდებულება, წინასწარ 30 ან 3 დღით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე და გადაუხადოს მას შესაბამისი კომპენსაცია და სხვა.

II. შრომითი ურთიერთობის ცნება. შრომითი ურთიერთობის სუბიექტები

შრომითი ურთიერთობის ცნება მოცემულია საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლში. ამ მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ***შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ.*** რა ***პრინციპებს*** ემყარება შრომითი ურთიერთობა? ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ შრომითი ურთიერთობა ემყარება ურთიერთობის მონაწილეთა თანასწორუფლებიანობისა და ნების თავისუფალი გამოვლენის, აგრეთვე, დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპებს. შრომით ურთიერთობაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო.

რა ქმედებები ჩაითვლება დისკრიმინაციად?

დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას, ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით. დისკრიმინაციად არ ჩაითვლება პირთა განსხვავების აუცილებლობა, რომელიც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მისი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება.

შრომითი ურთიერთობის ***სუბიექტებს*** წარმოადგენენ დამსაქმებელი, დასაქმებული და დასაქმებულთა გაერთიანება, რომელიც შექმნილია „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონითა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №87 და №98 კონვენციებით გათვალისწინებული მიზნებითა და წესით. დამსაქმებელი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, ანდა პირთა გაერთიანება, რომლისთვისაც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სრულდება გარკვეული სამუშაო. დასაქმებული შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი. დასაქმებული, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დამსაქმებლისათვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს. კოლექტიური შრომითი ურთიერთობის სუბიექტები არიან ერთი ან მეტი დამსაქმებელი ან ერთი ან მეტი დამსაქმებელთა გაერთიანება და ერთი ან მეტი დასაქმებულთა გაერთიანება.

III. შრომითი ურთიერთობის წარმოშობა

შრომითი ხელშეკრულების დადება დასაშვებია ***შრომითი ქმედუნარიანობის*** მქონე პირთან. შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან. 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობა ძალაში რჩება მსგავსი ხასიათის შემდგომი შრომითი ურთიერთობის მიმართაც.

14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.

კანონი ***კრძალავს*** არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადებას სათამაშო ბიზნესთან, ღამის გასართობ დაწესებულებებთან, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადებასთან, გადაზიდვასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად. კანონი კრძალავს ასევე არასრულწლოვანთან, ასევე ორსულ ან მეძუძურ ქალთან შრომითი ხელშეკრულების დადებას მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად.

რა უფლებები და ვალდებულებები აქვთ შრომითი ურთიერთობის მონაწილეებს შრომითი ხელშეკრულების დადებამდე?

კანდიდატი ვალდებულია, დამსაქმებელს ***აცნობოს*** ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მას სამუშაოს შესრულებაში ან საფრთხე შეუქმნას დამსაქმებლის ან მესამე პირის ინტერესებს. დამსაქმებელს, თავის მხრივ, უფლება აქვს შეამოწმოს კანდიდატის მიერ წარდგენილი ინფორმაციის სისწორე. დამსაქმებელი უფლებამოსილია, კანდიდატის შესახებ თავად მოიპოვოს ის ინფორმაცია, რომელიც ესაჭიროება მისი დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად. დამსაქმებლის მიერ მოპოვებული ინფორმაცია კანდიდატის შესახებ და კანდიდატის მიერ წარდგენილი ინფორმაცია არ შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი სხვა პირთათვის კანდიდატის თანხმობის გარეშე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. დამსაქმებელი არ არის ვალდებული, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება დასაქმებაზე უარის თქმის შესახებ.

კანდიდატს უფლება აქვს, გამოითხოვოს მის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, თუ მასთან დამსაქმებელმა არ დადო შრომითი ხელშეკრულება.

კანდიდატი უფლებამოსილია, მიიღოს სრული ინფორმაცია შესასრულებელი სამუშაოს, შრომის პირობების, შრომითი ურთიერთობისას, მისი უფლებრივი მდგომარეობის, შრომის ანაზღაურების შესახებ.

IV. შრომითი ხელშეკრულება

შრომითი ხელშეკრულება არის ის ძირითადი დოკუმენტი, რომლითაც წესრიგდება შრომითი ურთიერთობა. შრომითი ხელშეკრულება – კერძოსამართლებრივი ნების გამოვლენის შედეგია, კერძოსამართლებრივი გარიგებაა. ზემოთ წინამდებარე ნაშრომის მე-3 თავში ჩვენ მიერ აღინიშნა, რომ შრომითი ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი გარიგების ნამდვილობის წინაპირობები.

ამდენად, ***შრომითი ხელშეკრულებით დამსაქმებელი კისრულობს ვალდებულებას, უზრუნველყოს დასაქმებული შრომის სათანადო პირობებით, გადაუხადოს საზღაური, ხოლო დასაქმებული, თავის მხრივ, კისრულობს ვალდებულებას, შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო.***

შრომითი ხელშეკრულების ***არსებითი პირობებია***:

- მუშაობის დაწყების თარიღი და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა;
- სამუშაო დრო და დასვენების დრო;
- სამუშაო ადგილი;
- თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე;
- შრომის ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი;
- ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი;
- ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და შვებულების მიცემის წესი.

შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ***წერილობითი*** ფორმით, ასევე ***ზეპირად***. ამასთან, შრომითი ხელშეკრულება აუცილებლად წერილობითი ფორმით იდება, თუ შრომითი ურთიერთობა 3 თვეზე მეტ ხანს გრძელდება. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შრომითი ხელშეკრულების ვადაა 1 წელი ან მეტი, შრომითი ხელშეკრულება განსაზღვრული ვადით იდება მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- შესასრულებელია კონკრეტული მოცულობის სამუშაო;
- შესასრულებელია სეზონური სამუშაო;
- სამუშაოს მოცულობა დროებით იზრდება;
- ხდება შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლით სამუშაოზე დროებით არმყოფი დასაქმებულის ჩანაცვლება;
- არსებობს სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს ხელშეკრულების განსაზღვრული ვადით დადებას

თუ შრომითი ხელშეკრულება დადებულია 30 თვეზე მეტი ვადით, ან თუ შრომითი ურთიერთობა გრძელდება ვადიანი შრომითი ხელშეკრულებების ორჯერ ან მეტჯერ მიმდევრობით დადების შედეგად და მისი ხანგრძლივობა აღემატება 30 თვეს, ჩაითვლება, რომ დადებულია უვადო შრომითი ხელშეკრულება. ვადიანი შრომითი ხელშეკრულებები მიმდევრობით დადებულად ჩაითვლება, თუ არსებული შრომითი ხელშეკრულება გაგრძელდა მისი ვადის გასვლისთანავე ან მომდევნო ვადიანი შრომითი ხელშეკრულება დაიდო პირველი ხელშეკრულების ვადის გასვლიდან 60 დღის განმავლობაში.

წერილობითი შრომითი ხელშეკრულება იდება მხარეთათვის გასაგებ ენაზე. წერილობითი შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს რამდენიმე ენაზე. თუ წერილობითი შრომითი ხელშეკრულება რამდენიმე ენაზეა დადებული, იგი უნდა შეიცავდეს დათქმას იმის თაობაზე, თუ რომელ ენაზე დადებულ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესობა, ხელშეკრულებების დებულებებს შორის განსხვავების შემთხვევაში. პირის განცხადება და მის საფუძველზე დამსაქმებლის მიერ გამოცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დამსაქმებლის ნება პირის სამუშაოზე მიღების თაობაზე, უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულების დადებას.

შრომითი ხელშეკრულების მხარეებმა ხელშეკრულებაში შეიძლება დათქვან, რომ დამსაქმებელთან დამტკიცებული ***შრომის შინაგანაწესი*** იქნება ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი. ამ შემთხვევაში, დამსაქმებელი ვალდებულია პირს შრომითი ხელშეკრულების დადებამდე გააცნოს შრომის შინაგანაწესი, ხოლო შემდგომში – მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება.

თუ დასაქმებულთან დადებულია რამდენიმე შრომითი ხელშეკრულება, რომლებიც მხოლოდ ავსებს და მთლიანად არ ცვლის ერთმანეთს, ყველა ხელშეკრულება ინარჩუნებს ძალას და განიხილება, როგორც ***ერთი შრომითი ხელშეკრულება***. წინა შრომითი ხელშეკრულება ძალას ინარჩუნებს იმდენად, რამდენადაც მისი დებულებები შეცვლილი არ არის შემდგომი ხელშეკრულებით. დასაქმებულთან ერთსა და იმავე პირობაზე დადებული რამდენიმე შრომითი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ბოლოს დადებულ ხელშეკრულებას.

შრომითი ხელშეკრულება თავისი სამართლებრივი ბუნებით ***ძალიან ახლოს დგას ნარდობის ხელშეკრულებასთან.*** მსგავსება იმდენად დიდია, რომ პრაქტიკაში ხშირად უჭირთ ამ ორი გარიგების ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

ნარდობისა და შრომით ხელშეკრულებებს ***საერთო აქვს*** ის, რომ ორივე ხელშეკრულება სამართლის სუბიექტებს შორის ნების თავისუფლებასა და მხარეთა თანასწორობაზე დაფუძნებული კერძოსამართლებრივი გარიგებებია. მაგრამ მათ შორის მნიშვნელოვანი ***განსხვავებებიცაა*** როგორც საკანონმდებლო, ისე დოქტრინალური (მეცნიერული) თვალსაზრისით, რის გამოც ისინი ცალ-ცალკე ხელშეკრულებებად მიიჩნევა. ნარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები მოცემულია სამოქალაქო კოდექსში. მაშასადამე, ნარდობის ხელშეკრულება წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივ გარიგებას. შრომითი ხელშეკრულების პირობებს ითვალისწინებს შრომის კოდექსი. კანონმდებლის ასეთი განსხვავებული მოდგომა გამოწვეულია იმ განსხვავებით, რომელიც არსებობს ამ ხელშეკრულებებით დამყარებულ ურთიერთობებში. განსხვავება ჩანს თვით ხელშეკრულებების ლეგალურ დეფინიციებში:

ნარდობის ხელშეკრულების განმარტების თანახმად, მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლი); შრომითი ხელშეკრულების დროს კი დამსაქმებელი კისრულობს ვალდებულებას, უზრუნველყოს დასაქმებული შრომის სათანადო პირობებით, გადაუხადოს საზღაური, ხოლო დასაქმებული, თავის მხრივ, კისრულობს ვალდებულებას, შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო.

ამ განმარტებებიდან აშკარად ჩანს, თუ რა განსხვავებაა ამ ხელშეკრულებებს შორის:

- იმისდა მიუხედავად, რომ ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე ვალდებულია, მეორე მხარის შეკვეთის საფუძველზე შეასრულოს სამუშაო, იგი მაინც ***თავისუფალია*** თავისი შეხედულებით შეასრულოს შეკვეთა, მაშინ, როდესაც შრომითი ხელშეკრულების დროს დამსაქმებელი პირდაპირ განსაზღვრავს დასაქმებულის ფუნქციებს და მათი შესრულების ხერხებს;
- ნარდობისაგან განსხვავებით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული მუშაობს ***სპეციალობის, კვალიფიკაციის და თანამდებობის*** მიხედვით. ნარდობის ხელშეკრულებაში ასეთ მოთხოვნას ადგილი არა აქვს;
- ნარდობისაგან განსხვავებით, შრომითი ხელშეკრულების დროს დასაქმებული ვალდებულია, ***დაემორჩილოს დამსაქმებლის შრომის შინაგანაწესს.*** მენარდე კი, ცხადია, არავითარ შინაგანაწესს არ ემორჩილება;
- თუ დასაქმებული შეიძლება იყოს ***მხოლოდ ფიზიკური პირი***, მენარდე შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

საქართველოს შრომის კოდექსი ითვალისწინებს ანაზღაურებადი შრომითი ხელშეკრულების დადებას ***გამოსაცდელი ვადით***. გამოსაცდელი ვადის განმავლობაში დგინდება შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობა. გამოსაცდელი ვადით შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ ერთხელ არა უმეტეს 6 თვისა. ამასთან, შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით. სხვა შემთხვევაში, ასეთი ხელშეკრულება ჩაითვლება შრომით ხელშეკრულებად.

დამსაქმებელს უფლება აქვს, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს დადოს კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულება ან შეწყვიტოს გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება. გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, დასაქმებულს, როგორც წესი, არ მიეცემა ერთი თვის შრომის ანაზღაურება. თუმცა, გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულებით მხარეები შეიძლება განსხვავებულ წესზეც შეთანხმდნენ. გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, დასაქმებულის შრომა ანაზღაურდება ნამუშევარი დროის შესაბამისად.

კანონი ითვალისწინებს შრომითი ხელშეკრულების ***შეთავსებით სამუშაოზე დადების შეზღუდვას.*** შრომითი ხელშეკრულება შეთავსებით სამუშაოზე შეიძლება დაიდოს პირთან, რომელსაც ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს შეუძლია სხვა ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება. დასაქმებულის უფლება, შეასრულოს სხვა სამუშაო, შესაძლებელია შრომითი ხელშეკრულებით შეიზღუდოს, თუ ასეთი სამუშაოს შესრულებამ შეიძლება ხელი შეუშალოს მის ძირითად სამუშაოსთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებას ან/და თუ პირი, რომლისთვისაც უნდა შესრულდეს შეთავსებითი სამუშაო, დამსაქმებლის კონკურენტია.

V. შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურების ფორმასა და ოდენობაზე მხარეები თანხმდებიან შრომით ხელშეკრულებაში. ის გაიცემა თვეში ერთხელ; ამასთან, დამსაქმებელი ვალდებულია, ნებისმიერი ანაზღაურების თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის, დასაქმებულს გადაუხადოს დაყოვნებული თანხის 0.07 პროცენტი.

თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენისას, დასაქმებულს შრომის ანაზღაურება მიეცემა ***სრული ოდენობით***. დასაქმებულის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენა არ ანაზღაურდება.

დამსაქმებელს უფლება აქვს, დასაქმებულის შრომითი ანაზღაურებიდან დაქვითოს ზედმეტად გაცემული თანხა ან ნებისმიერი სხვა თანხა, რომელიც, შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე, მისთვის აქვს გადასახდელი. შრომითი ანაზღაურებიდან ერთჯერადად დაქვითვის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შრომის ანაზღაურების 50 პროცენტს.

შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას დამსაქმებელი ვალდებულია, დასაქმებულთან მოახდინოს საბოლოო ანგარიშსწორება არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა, თუ შრომითი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

VI. სამუშაოს შესრულება. შრომის შინაგანაწესი, სამუშაო, შესვენების და დასვენების დრო. შვებულება

შრომითი ურთიერთობა – ***პირადი ურთიერთობაა*** და ამიტომ დასაქმებული ვალდებულია, სამუშაო პირადად შეასრულოს. თუმცა, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ განსაზღვრული ვადით სამუშაოს მესამე პირის მიერ შესრულებაზე.

შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. თუმცა, შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა, რომელიც განპირობებულია კანონმდებლობის ცვლილებით, არ საჭიროებს დასაქმებულის თანხმობას. ამავე დროს, დამსაქმებელს უფლება აქვს, დასაქმებულისათვის მითითებით დააზუსტოს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ცალკეული გარემოება, რომელიც არსებითად არ ცვლის ხელშეკრულების პირობებს. თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ***ხელშეკრულების პირობების არაარსებით შეცვლად*** მიიჩნევა:

- დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისათვის მითითებული სამუშაოს შესრულების ადგილის შეცვლა, თუ საზოგადოდ ხელმისაწვდომი სატრანსპორტო საშუალებებით დასაქ-მებულის საცხოვრებელი ადგილიდან სამუშაოს შესრულების ახალ ადგილამდე მისვლა და დაბრუნება მოითხოვს არაუმეტეს 3 საათისა დღეში, ამასთანავე, არ იწვევს არათანაბარზომიერ ხარჯებს;
- სამუშაოს დაწყების ან დამთავრების დროის ცვლილება არა უმეტეს 90 წუთით.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთდროულად ორივეს ერთდროულად შეცვლა ასევე მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლად.

დამსაქმებელს უფლება აქვს დაადგინოს ***შრომის შინაგანაწესი***, რომელიც მან უნდა გააცნოს დასაქმებულს. შრომის შინაგანაწესი არის წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც შეიძლება განისაზღვროს:

- სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, ცვლაში მუშაობისას – ცვლის ხანგრძლივობა;
- დასვენების ხანგრძლივობა;
- შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი და წესი;
- ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი;
- ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი;
- შრომის პირობების დაცვის წესები;
- წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი;
- განცხადების/საჩივრის განხილვის წესი.

სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, დამსაქმებელმა შრომის შინაგანაწესით შეიძლება განსაზღვროს სპეციალური წესები. ამასთან, ბათილია შრომის შინაგანაწესის ის დებულება, რომელიც ეწინააღმდეგება ინდივიდუალურ შრომით ხელშეკრულებას, კოლექტიურ ხელშეკრულებას ან კანონს.

მივლინება არის დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სამუშაო ადგილის დროებით შეცვლა, სამუშაოს ინტერესებიდან გამომდინარე. დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის მივლინებაში გაგზავნა არ მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლად, თუ მივლინების პერიოდი არ აღემატება წელიწადში 45 კალენდარულ დღეს. დამსაქმებელი ვალდებულია, სრულად დასაქმებულს აუნაზღაუროს მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები. აღნიშნული ნორმები დისპოზიციურია და შეიძლება შეიცვალოს შრომითი ხელშეკრულების მხარეთა პირდაპირ საწინააღმდეგო პირობებზე შეთანხმებით.

საქართველოს შრომის კოდექსის თავდაპირველი ვერსიისაგან განსხვავებით, რომლის თანახმადაც ***სამუშაო დროის ხანგრძლივობა*** იმპერატიულად აღარ იყო განსაზღვრული და იგი მხარეთა შეთანხმებით შეიძლებოდა შეცვლილიყო როგორც შემცირების, ისე გაზრდის მხრივ, - ***2013 წლის 12 ივნისის კანონით*** უკვე დადგინდა აღნიშნული საკითხის მომწესრიგებელი იმპერატიული ნორმას, რომელთა თანახმადაც, დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული სამუშაო დროის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ასრულებს სამუშაოს, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს, ხოლო სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოში, სადაც წარმოების/შრომითი პროცესი ითვალისწინებს 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტ რეჟიმს, – კვირაში 48 საათს. ამავე დროს, თუ დამსაქმებლის საქმიანობა ითვალისწინებს წარმოების/შრომითი პროცესის 24-საათიან უწყვეტ რეჟიმს, მხარეები უფლებამოსილი არიან, დადონ შრომითი ხელშეკრულება ცვლაში მუშაობის შესახებ იმ პირობით, რომ ცვლებს შორის დასვენების ხანგრძლივობა არ იქნება 12 საათზე ნაკლები და დასაქმებულს მიეცემა ნამუშევარი საათების ადეკვატური დასვენების დრო. შემცირებული სამუშაო დროის ხანგრძლივობა არის დადგენილი 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისათვის – მაქსიმუმ 36 საათი, ხოლო 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისათვის კი – მაქსიმუმ 24 საათი.

საქართველოს შრომის კოდექსი იმპერატიულ ნორმებს შეიცავს ასევე ***ცვლაში მუშაობის, ზეგანაკვეთური სამუშაოს, ღამით მუშაობისა და მეძუძური ქალისათვის სამუშაოს შეზღუდვისა და უქმე დღეების მხრივ***. კერძოდ, კანონი ადგენს, რომ ცვლაში მუშაობა და ერთი ცვლიდან მეორეში გადასვლა განისაზღვრება ცვლიანობის განრიგით, რომელსაც დამსაქმებელი ამტკიცებს სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით. ცვლიანობის განრიგის ცვლილების შესახებ დასაქმებულს უნდა ეცნობოს 10 დღით ადრე, თუ ეს შეუძლებელი არ არის უკიდურესი საწარმოო აუცილებლობის გამო.

დასაქმებული ვალდებულია შეასრულოს ***ზეგანაკვეთური სამუშაო***:

- სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციის-თვის – ანაზღაურების გარეშე;
- საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის – სათანადო ანაზღაურებით.

ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა მხარეთა შეთანხმებით დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა სრულწლოვნისთვის აღემატება კვირაში 40 საათს, 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის – კვირაში 36 საათს, ხოლო 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის – კვირაში 24 საათს. ***აკრძალულია*** ორსული ან ახალნამშობიარები ქალის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, არასრულწლოვნის ზეგანაკვეთურ სამუშაოზე დასაქმება მისი თანხმობის გარეშე. ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით. ამ ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ დასაქმებულისათვის დამატებითი დასვენების დროის მიცემაზე

სამუშაოს პირობების გათვალისწინებით, როდესაც შეუძლებელია ყოველდღიური ან ყოველკვირეული სამუშაო დროის ხანგრძლივობის დაცვა, დასაშვებია სამუშაო დროის შეჯამებული აღრიცხვის წესის შემოღება.

აკრძალულია ***ღამის სამუშაოზე*** (22 საათიდან 6 საათამდე) არასრულწლოვნის, ორსული, ახალნამშობიარები ან მეძუძური ქალის დასაქმება, ხოლო 3 წლამდე ასაკის ბავშვის მომვლელის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დასაქმება – მისი თანხმობის გარეშე.

დასაქმებულს, რომელიც მეძუძური ქალია და კვებავს ერთ წლამდე ასაკის ბავშვს, მისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა დამატებითი შესვენება დღეში არანაკლებ 1 საათისა. ბავშვის კვებისათვის შესვენება ითვლება სამუშაო დროში და ანაზღაურდება.

საქართველოს შრომის კოდექსის თანახმად, ***უქმე დღეებია***:

- 1 და 2 იანვარი – ახალი წლის სადღესასწაულო დღეები;
- 7 იანვარი – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღე;
- 19 იანვარი – ნათლისღება – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს გაცხადების დღე;
- 3 მარტი – დედის დღე;
- 8 მარტი – ქალთა საერთაშორისო დღე;
- 9 აპრილი – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე;
- სააღდგომო დღეები – დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღე; მიცვალებულთა მოხსენიების დღე – აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი (თარიღები გარდამავალია);
- 9 მაისი – ფაშიზმზე გამარჯვების დღე;
- 12 მაისი – საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის, დამაარსებლის – წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე;
- 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე;
- 28 აგვისტო – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღე (მარიამობა);
- 14 ოქტომბერი – მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის) დღე;
- 23 ნოემბერი – გიორგობის დღე.

დასაქმებული უფლებამოსილია, საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი უქმე დღეების ნაცვლად, მოითხოვოს ***სხვა დასვენების დღეები***, რაც უნდა განისაზღვროს შრომითი ხელშეკრულებით. უქმე დღეებში დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება მიიჩნევა

ზეგანაკვეთურ სამუშაოდ და მისი ანაზღაურების პირობები განისაზღვრება ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების მიმართ გათვალისწინებული წესით.

დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ***ანაზღაურებადი შვებულებით*** წელიწადში არანაკლებ 24 სამუშაო დღით. დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით – წელიწადში არანაკლებ 15 კალენდარული დღით. შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს აღნიშნულისაგან განსხვავებული ვადები და პირობები, რომლებიც არ უნდა აუარესებდეს დასაქმებულის მდგომარეობას.

დასაქმებულს შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მუშაობის ***თერთმეტი თვის შემდეგ***. დასაქმებულს მხარეთა შეთანხმებით შვებულება შეიძლება მიეცეს აღნიშნული ვადის გასვლამდეც. მუშაობის მეორე წლიდან დასაქმებულს მხარეთა შეთანხმებით შვებულება შეიძლება მიეცეს სამუშაო წლის ნებისმიერ დროს. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შვებულების ნაწილ-ნაწილ გამოყენება. შვებულებაში არ ითვლება დროებითი შრომისუუნარობის პერიოდი, შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო. თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დამსაქმებელი უფლებამოსილია, დაადგინოს დასაქმებულთათვის წლის განმავლობაში ანაზღაურებად შვებულებათა მიცემის რიგითობა.

ანაზღაურების გარეშე შვებულების აღებისას დასაქმებული ვალდებულია, 2 კვირით ადრე გააფრთხილოს დამსაქმებელი შვებულების აღების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაფრთხილება შეუძლებელია გადაუდებელი სამედიცინო ან ოჯახური პირობების გამო.

დასაქმებულს, თავისი მოთხოვნის საფუძველზე, ეძლევა შვებულება ***ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო*** 730 კალენდარული დღის ოდენობით. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან ანაზღაურებადია 183 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 200 კალენდარული დღე. შვებულება დასაქმებულს, თავისი შეხედულებისამებრ, შეუძლია გადაანაწილოს ორსულობისა და მშობიარობისშემდგომ პერიოდებზე.

დასაქმებულს, რომელმაც იშვილა ერთ წლამდე ასაკის ბავშვი, თავისი მოთხოვნის საფუძველზე, ეძლევა შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო, ბავშვის დაბადებიდან 550 კალენდარული დღის ოდენობით. ამ შვებულებიდან ანაზღაურებადია 90 კალენდარული დღე.

ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო, შვებულებები ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით. დამსაქმებელი და დასაქმებული შეიძლება შეთანხმდნენ დამატებითი ანაზღაურების შესახებ.

დასაქმებულს თავისივე თხოვნით, უწყვეტად ან ნაწილ-ნაწილ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში 2 კვირისა, ანაზღაურების გარეშე ეძლევა შვებულება ბავშვის მოვლის გამო 12 კვირის ოდენობით, სანამ ბავშვს შეუსრულდება 5 წელი. ბავშვის მოვლის გამო დამატებითი შვებულება შეიძლება მიეცეს ნებისმიერ პირს, რომელიც ფაქტობრივად უვლის ბავშვს.

VII. შრომითი ურთიერთობის შეჩერება და შეწყვეტა

შრომითი ურთიერთობის ***შეჩერება*** არის შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დროებით შეუსრულებლობა, რომელიც არ იწვევს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას. შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლებია:

- გაფიცვა;
- ლოკაუტი (დავის შემთხვევაში დამსაქმებლის დროებითი ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე);

- აქტიური ან/და პასიური საარჩევნო უფლების განხორციელება;
- საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგამოძიებო, პროკურატურის ან სასამართლო ორგანოებში გამოცხადება;
- სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებით შესაბამის ორგანოში გამოცხადება ან სამხედრო სარეზერვო გაწვევა;
- შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო;
- დროებითი შრომისუუნარობა, თუ მისი ვადა არ აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა არ აღემატება 60 კალენდარულ დღეს;
- კვალიფიკაციის ამაღლება, პროფესიული გადამზადება ან სწავლა, რომლის ხანგრძლივობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს;
- ანაზღაურების გარეშე შვებულება;
- ანაზღაურებადი შვებულება.

დასაქმებულის მიერ აღნიშნული საფუძვლებით (გარდა ლოკაუტისა) შრომითი ურთიერთობის შეჩერების მოთხოვნის შემთხვევაში, დამსაქმებელი ვალდებულია შრომითი ურთიერთობა გონივრული ვადით შეაჩეროს. შრომითი ურთიერთობის შეჩერების შემთხვევაში, დასაქმებულს არ მიეცემა შრომის ანაზღაურება, თუ კანონმდებლობით ან შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საგამოძიებო, პროკურატურის ან სასამართლო ორგანოებში გამოცხადება ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შრომითი ურთიერთობის ***შეწყვეტის*** საფუძვლებია:

ა) ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას;

ბ) შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;

გ) შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება;

დ) დასაქმებულის მიერ თანამდებობის/სამუშაოს საკუთარი ნებით, წერილობითი განცხადების საფუძველზე დატოვება;

ე) მხარეთა წერილობითი შეთანხმება;

ვ) დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან;

ზ) დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა;

თ) დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა, თუ დასაქმებულის მიმართ ბოლო 1 წლის განმავლობაში უკვე გამოყენებულ იქნა ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა;

ი) თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ხანგრძლივი შრომისუუნარობა – თუკი შრომისუუნარობის ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა აღემატება 60 კალენდარულ დღეს, ამასთანავე, დასაქმებულს გამოყენებული აქვს კუთვნილი შვებულება;

კ) სასამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას გამორიცხავს;

ლ) სასამართლოს მიერ მიღებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება გაფიცვის უკანონოდ ცნობის შესახებ;
მ) დამსაქმებელი ფიზიკური პირის ან დასაქმებულის გარდაცვალება;
ნ) დამსაქმებელი იურიდიული პირის ლიკვიდაციის წარმოების დაწყება;
ო) სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას.

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა შეიძლება ***ერთ-ერთი მხარის ინიციატივით***. თუ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი ***დასაქმებულია***, აღნიშნული „ა“, „ვ“, „ი“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას ის ვალდებულია არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. ამასთანავე, დასაქმებულს მიეცემა კომპენსაცია არანაკლებ 1 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. დამსაქმებლის მიერ აღნიშნული „ა“, „ვ“, „ი“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას ის უფლებამოსილია არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. ამ შემთხვევაში დასაქმებულს მიეცემა კომპენსაცია არანაკლებ 2 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. დასაქმებულს უფლება აქვს, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე დამსაქმებლის შეტყობინების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გაუგზავნოს მას წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობითი დასაბუთების მოთხოვნის თაობაზე. დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულის მოთხოვნის წარდგენიდან 7 კალენდარული დღის ვადაში წერილობით დაასაბუთოს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი.

დასაქმებულს უფლება აქვს, წერილობითი დასაბუთების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში სასამართლოში გაასაჩივროს დამსაქმებლის გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. თუ დამსაქმებელი დასაქმებულის მოთხოვნის წარდგენიდან 7 კალენდარული დღის ვადაში წერილობით არ დაასაბუთებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს, დასაქმებულს უფლება აქვს, 30 კალენდარული დღის ვადაში სასამართლოში გაასაჩივროს დამსაქმებლის გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. ამ შემთხვევაში დავის ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი ეკისრება დამსაქმებელს. სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელი ვალდებულია პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით.

კითხვები თვითშემოწმებისთვის:

1. დაასახელეთ საქართველოს შრომის კოდექსის ძირითადი დადებითი და უარყოფითი მხარეები;
2. განმარტეთ შრომითი ურთიერთობა;
3. განმარტეთ შრომითი ხელშეკრულება;
4. დაასახელეთ შრომითი ხელშეკრულების ნარდობის ხელშეკრულებისაგან განმასხვავებელი ნიშნები;
5. როგორ უნდა შესრულდეს სამუშაო?
6. რა არის შინავანაწესი?
7. სამუშაო დროის ხანგრძლივობათან დაკავშირებით რა იმპერატიულ ნორმებს ადგენს საქართველოს შრომის კოდექსი?
8. დაასახელეთ შრომითი ურთიერთობის შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლები;

კაზუსები განვლილ მასალაზე:

(პასუხები იხილეთ 245-ე გვერდზე)

კაზუსი №1

გეგა თოდრიამ გადაწყვიტა, მიეღო მონაწილეობა კონკურსში სს "გელათის" გაყიდვების მენეჯერის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად. გეგამ წარადგინა მოთხოვნილი საბუთები და ინფორმაცია, მაგრამ კონკურსის მეორე ეტაპზე გასაუბრების შემდეგ მას უარი უთხრეს დასაქმებაზე. რადგანაც გეგა თვლიდა, რომ სხვა კანდიდატებთან შედარებით მას ბევრი უპირატესობა ჰქონდა, მოითხოვა დამსაქმებლისგან მიღებული უარის დასაბუთება.

კითხვა:

რამდენად სამართლიანია გეგა თოდრიას მოთხოვნა?

კაზუსი №2

ინგა დიდებაშვილი ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე მიიღეს ერთი წლით რესტორან "ოდაში" ოფიციანტის თანამდებობაზე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მას კიდევ ექვსი თვით გაუგრძელეს შრომითი ხელშეკრულება.

კითხვა:

რამდენად დაცულია მოცემულ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის ნორმები?

კაზუსი №3

მალხაზ ჯამბურია მუშაობდა შპს "ოკამში" ექსპედიტორად. მასთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში მივლინების პერიოდი განსაზღვრული იყო 95 კალენდარული დღით. მალხაზის მეგობარმა განუმარტა მას, რომ შრომითი კოდექსის თანახმად, თუ მივლინების პერიოდი აღემატება 45 კალენდარულ დღეს, ეს მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლად.

კითხვა:

სწორად განუმარტა თუ არა მეგობარმა მალხაზს შრომით ხელშეკრულებაში მივლინების პერიოდთან დაკავშირებით არსებული ჩანაწერი?

კაზუსი №4

შპს „ორიონის" უმცროსი სპეციალისტი ლილი ნოდია დროებითი შრომისუუნარობის გამო ბოლო 6 თვის განმავლობაში 65 დღე აცდენდა სამუშაოს. ამასთანავე, მას ჰქონდა გამოყენებული კუთვნილი შვებულება.

კითხვა:

წარმოადგენს თუ არა ეს გარემოება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველს?

კაზუსი №5

სამედიცინო კლინიკა "მედი ლინკის" პერსონალმა დაიწყო გაფიცვა ხელფასის მომატების მოთხოვნით. სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით შეაჩერა ეს გაფიცვა 50 დღით.

კითხვა:

რამდენად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება?

კაზუსი №6

ინგა ლებანიძე მუშაობდა სს "დარიალში" 4 თვიანი გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. 2 თვის გასვლის შემდეგ დამსაქმებელმა მოშალა აღნიშნული ხელშეკრულება. იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულება მოიშალა დამსაქმებლის ინიციატივით, ინგა ლებანიძემ მოითხოვა დამატებით ერთი თვის შრომის ანაზღაურება.

კითხვა:

კანონიერია თუ არა ინგა ლებანიძის მოთხოვნა?

კაზუსი №7

ფატი ჩიჩუა მუშაობდა შპს "ჩიბათში" დამსაქმებლის მიერ დამტკიცებული ცვლიანობის განრიგის შესაბამისად. საწარმოს ხელმძღვანელობამ განრიგი შეიცვალა, რის თაობაზეც ფატის ეცნობა 5 დღით ადრე.

კითხვა:

რამდენად დაცულია ამ კონკრეტულ შემთხვევაში კანონის მოთხოვნა?

კაზუსი №8

რატი გიორგობიანი მუშაობდა შპს "ომეგა პლიუსში" ვადიანი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულების ვადის გასვლამდე მან გადაწყვიტა სამსახურიდან წასვლა.

კითხვა:

რა წესი უნდა იქნას დაცული რატი გიორგობიანის მიერ ამ შემთხვევაში?

კაზუსი №9

ნინო გოცირიძე მუშაობდა სასურსათო მაღაზიაში გამყიდველად. მისი ხელფასი თვეში შეადგენდა 500 ლარს. 2016 წლის 15 სექტემბრის ჩატარებული აღწერის შედეგად აღმოჩენდა 850 ლარის ღირებულების პროდუქციის დანაკლისი. ამის შემდეგ დამსაქმებელმა აცნობა ნინო გოცირიძეს, რომ ორი თვის მანძილზე დაუკავებდა მას ხელფასითან დანაკლისის სრულ თანხას.

კითხვა:

შესაბამისობაშია თუ არა მოქმედ კანონმდებლობასთან დამსაქმებლის ასეთი გადაწყვეტილება ნინო გოცირიძის შრომის ანაზღაურებიდან დაქვითვის შესახებ?

კაზუსი №10

დიანა ფაღავამ, რომელიც მუშაობდა შპს "მაქსიმის" ოპერატორად, იშვილა 14 თვის ბავშვი და განცხადებით მიმართა კომპანიის ხელმძღვანელობას, რათა მისთვის მიეცათ შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო.

კითხვა:

დააკმაყოფილებს თუ არა დამსაქმებელი დიანა ფაღავას განცხადებას?

კაზუსების პასუხები

I თავი

ქართული სამართლის საფუძვლები. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი

კაზუსი №1

პასუხი:

არ შეესაბამება, რადგანაც საქართველოს მთავრობა არ გამოსცემს ბრძანებას. საქართველოს მთავრობა იღებს დადგენილებებს.

კაზუსი №2

პასუხი:

არ გამოიყენა სწორედ, რადგანაც ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა ენიჭება იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ ნორმატიულ აქტს. ამ შემთხვევაში იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე დგას ორგანული კანონი.

კაზუსი №3

პასუხი:

ჰქონდა, ვინაიდან კერძო სამართლის იურიდიულ პირს აქვს უფლება განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული კანონით მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა გათვალისწინებული წესდებით.

კაზუსი №4

პასუხი:

არ დააკმაყოფილებს, რადგანაც პირი რომელსაც აქვს მყარი გონებრივი დარღვევები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ითვლება ქმედუნარიანად და არის ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე (მხარაჭერის მიმღები) პირი.

კაზუსი №5

პასუხი:

არ შეესაბამება, რადგანაც ფიზიკური პირი შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნეს უგზო-უკვლოდ დაკარგულად იმ შემთხვევაში, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას.

კაზუსი №6

პასუხი:

არ არის კანონიერი, რადგანაც დავითმა მობილური ტელეფონი შეიძინა იმ თანხებით, რომლებიც მშობლებმა მას თავისუფალი განკარგვის მიზნით გადასცეს.

კაზუსი №7

პასუხი:

არ შეუძლია, რადგანაც იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება მხოლოდ საწარმოს მართვის სფეროში.

კაზუსი №8

პასუხი:

არ აღიარებს, რადგანაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ლადო დევდარიანის მიერ ალკოჰოლური სასმელის ბოროტად გამოყენება, თუ ის ამავდროულად თავის ოჯახს არ აყენებს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში, საკმარისი საფუძველი არ არის ქმედუნარიანობის შეზღუდვისათვის.

კაზუსი №9

პასუხი:

ნოტარიუსის უარი ამ შემთხვევაში ეწინააღმდეგება კანონის ნორმას, რომლის თანახმადაც ია გეგენავას შეუძლია გარიგებაზე ხელის მოწერა სხვას მიანდოს. ამ უკანასკნელის ხელის მოწერა დამოწმებული უნდა იყოს ოფიციალურად. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ის მიზეზი, რომლის გამოც გარიგების დამდებმა ვერ შეძლო ხელის მოწერა.

კაზუსი №10

პასუხი:

ვალერიან ძლიერიშვილმა უფლებამოსილების საბუთი უნდა დაუბრუნოს ლუკა ნადირაძეს; საბუთის დატოვების უფლება მას არა აქვს.

II თავი

სანივთო სამართალი

კაზუსი №1

პასუხი:

არა, რადგან თუ პირი ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას ნივთზე, მაგრამ სხვა პირის სასარგებლოდ და მისი მითითებების შესაბამისად, იგი არ ითვლება ამ ნივთის მფლობელად.

კაზუსი №2

პასუხი:

ნივთზე საკუთრების უფლება ვრცელდება ასევე ამ ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილებზეც. ამიტომ გელა ვერულაშვილმა საკუთრება შეიძინა არა მარტო მიწაზე, არამედ ამ მიწაზე არსებულ შენობა-ნაგებობაზეც.

კაზუსი №3

პასუხი:

კანონიერია, რადგანაც უზუფრუქტი უქმდება იმ ფიზიკური პირის გარდაცვალებით, რომლის სასარგებლოდაც იყო უზუფრუქტი დადგენილი.

კაზუსი №4

პასუხი:

არ შეესაბამება, რადგანაც სერვიტუტი შეიძლება დადგენილ იქნეს მხოლოდ უძრავ ნივთზე.

კაზუსი №5

პასუხი:

არა, რადგან დამქირავებელს უფლება აქვს დაიცვას თავისი მფლობელობა მესაკუთრისგანაც.

კაზუსი №6

პასუხი:

თუ უფლებამოსილი პირი იბრუნებს ნივთს, მპოვნელს შეუძლია მოსთხოვოს მას ჯილდო ნივთის ღირებულების ხუთ პროცენტამდე.

კაზუსი №7

პასუხი:

სესხის მოთხოვნის უფლების დათმობის შემთხვევაში, მოთხოვნის ახალ მფლობელს კანონი ანიჭებს უფლებას მოითხოვოს ძველი მფლობელისაგან ამ უფლებებისა და მოთხოვნის დათმობის შესახებ სათანადოდ დამოწმებული საბუთი. ამგვარი საბუთის წარდგენა მოხსნიდა ყოველგვარ კითხვას ლანა შენგელიას მხრიდან.

კაზუსი №8

პასუხი:

არ შეესაბამება, რადგანაც უძრავ ნივთზე საკუთრების მისატოვებლად გოდერძი ღვინიაშვილს უნდა მიემართა წერილობითი განცხადებით ამ უფლების მიტოვების შესახებ საჯარო რეესტრისთვის. მხოლოდ განცხადების ჩაბარებისა და შესაბამისი რეგისტრაციის შემდეგ იგი იძენს იურიდიულ ძალას.

კაზუსი №9

პასუხი:

გირავნობის უფლების გაუქმებამდე დამგირავებლის მიერ გირავნობის საგნის განსხვისების ან დაგირავების შემთხვევაში, მოგირავნეს აქვს თავისი მოთხოვნის დაუყოვნებლივ დაკმაყოფილების უფლება.

კაზუსი №10

პასუხი:

ერთი უძრავი ნივთი რამდენჯერმე შეიძლება დაიტვირთოს იპოთეკით. რიგითობა განისაზღვრება იპოთეკის შესახებ განცხადების რეგისტრაციის თარიღის მიხედვით.

III თავი

ვალდებულებითი სამართალი

კაზუსი №1

პასუხი:

ჩაითვლება, ვინაიდან ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება მაშინაც, როდესაც კრედიტორი ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების ნაცვლად შესრულებად იღებს სხვა შესრულებას.

კაზუსი №2

პასუხი:

შპს ,,ფერმერის“ საწარმოს ადგილმდებარეობის ან თუ ასეთი არ არის, – იურიდიული მისამართის მიხედვით.

კაზუსი №3

პასუხი:

არა, რადგან თუ გამყიდველმა ერთი და იგივე საქონელი რამდენიმე პირს მიჰყიდა, უპირატესობა ეძლევა იმ მყიდველს, რომლის მფლობელობაშიც პირველად გადავიდა იგი.

კაზუსი №4

პასუხი:

არა, რადგან სესხის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს ფული ან სხვა გვაროვნული ნივთი.

კაზუსი №5

პასუხი:

არ არის, ვინაიდან მომავალ კანონით მემკვიდრეებს უფლება აქვთ, ერთმანეთს შორის დადონ გარიგება, ერთ-ერთი მათგანის სამემკვიდრეო წილის თაობაზე.

კაზუსი №6

პასუხი:

არის, ვინაიდან ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.

კაზუსი №7

პასუხი:

სამხარაძეს გაყიდული ნივთები არ გადასცემია და მათი შემთხვევით დაღუპვის რისკი ეკისრება არა მას, არამედ – გამყიდველს.

კაზუსი №8

პასუხი:

სიკინჭილაშვილს არა აქვს მოთხოვნა კივილაძის მიმართ, რადგან არ არის დაცული სესხის შეპირების ხელშეკრულების წერილობითი ფორმა.

კაზუსი №9

პასუხი:

მოთხოვნა სწორია, ვინაიდან მხარემ გასწია ხარჯები, რომელიც აუცილებელი გახდა ხელშეკრულების დასადებად, მაგრამ ეს ხელშეკრულება მეორე მონაწილის ბრალეული მოქმედების შედეგად არ დადებულა.

კაზუსი №10

პასუხი:

კანონიერია, რადგან თუ მყიდველმა გამოსყიდვის უფლების განხორციელებამდე გაასხვისა ნაყიდი ნივთი, ასეთი გასხვისება ბათილია.

IV თავი
საკორპორაციო (სამეწარმეო) სამართალი

კაზუსი №1
პასუხი:
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

კაზუსი №2
პასუხი:
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრს.

კაზუსი №3
პასუხი:
კანონიერია, რადგანაც აქციონერთა შემადგენლობაში ცვლილება არ მოითხოვს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას. სააქციო საზოგადოებაში აქციონერის საკუთრების უფლება აქციაზე დასტურდება სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრში ჩანაწერით.

კაზუსი №4
პასუხი:
არ არის დაცული, რადგანაც სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იმავდროულად არ შეიძლება იყოს ამ საზოგადოების დირექტორი.

კაზუსი №5
პასუხი:
არ არის კანონიერი, რადგანაც საწარმოს საქმიანობისთვის არ არის სავალდებულო ბეჭდის არსებობა. ამასთანავე, დაუშვებელია სახელმწიფო ორგანოს მიერ მოთხოვნილი იქნეს საწარმოს ბეჭდით დამოწმებული ნებისმიერი დოკუმენტი.

კაზუსი №6
პასუხი:
კანონიერია, რადგანაც დაუშვებელია პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაბამისი ოქმის შედგენიდან 2 თვის გასვლის შემდეგ.

კაზუსი №7
პასუხი:
კანონიერია, რადგანაც პარტნიორთა საერთო კრებაზე კომანდიტებს ხმის უფლება არა აქვთ, კომანდიტური საზოგადოების სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანის უფლება აქვთ მხოლოდ სრულ პარტნიორებს (კომპლემენტარებს). ამასთანავე, შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები) არ მონაწილეობენ საზოგადოების ხელმძღვანელობაში.

კაზუსი №8
პასუხი:
კი, ჰქონდათ იმიტომ, რომ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმების უფლება აქვთ აქციების 5% მფლობელ აქციონერებს, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ადგილი აქვს დარღვევებს.

კაზუსი №9

პასუხი:

არ არის დაცული, რადგანაც ხარვეზის აღმოსაფხვრელად "მეწარმეთა შესახებ" კანონით ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებულია 30-დღიანი ვადა. ამასთანავე, ხარვეზის აღმოფხვრამდე რეესტრიდან ამონაწერი არ გაიცემა.

კაზუსი №10

პასუხი:

მოთხოვნა კანონიერია, რადგანაც წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება სააქციო საზოგადოებაში აქვს დირექტორს.

V თავი

შრომის სამართალი

კაზუსი №1

პასუხი:

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დამსაქმებელი არ არის ვალდებული დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება დასაქმებაზე უარის თქმის შესახებ.

კაზუსი №2

პასუხი:

არ არის დაცული, რადგანაც შრომითი ხელშეკრულება აუცილებლად იდება წერილობითი ფორმით, თუ შრომითი ურთიერთობა 3 თვეზე მეტ ხანს გრძელდება.

კაზუსი №3

პასუხი:

არა, რადგანაც დისპოზიციურ ნორმასთან გვაქვს საქმე. შესაბამისად, ის ნორმა, რომელიც გულისხმობს შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლას არ გამოიყენება იმიტომ, რომ კონკრეტულ შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არის განსაზღვრული.

კაზუსი №4

პასუხი:

ეს გარემოება წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველს, რადგანაც შრომისუუნარობის ვადა 6 თვის განმავლობაში აღემატება 60 კალენდარულ დღეს და, ამასთანავე, ლილი ნოდიას გამოყენებული აქვს კუთვნილი შვებულება. თუმცა, შრომითი ხელშეკრულებით შესაძლოა დადგენილი იქნას განსხვავებული წესი.

კაზუსი №5

პასუხი:

არ შეესაბამება, რადგან თუ საფრთხე ემუქრება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, რაც მოყვანილი კაზუსიდან ნათლად ჩანს, სასამართლოს უფლება აქვს გადადოს გაფიცვის დაწყება არა უმეტეს 30 დღით, ხოლო უკვე დაწყებული გაფიცვა შეაჩეროს ამავე ვადით.

კაზუსი №6

პასუხი:

თუ გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში დასაქმებულის შრომა ანაზღაურდება მხოლოდ ნამუშევარი დროის შესაბამისად.

კაზუსი №7

პასუხი:

კანონის მოთხოვნა არ არის დაცული, რადგანაც ცვლიანობის განრიგის ცვლილების შესახებ დასაქმებულს უნდა ეცნობოს 10 დღით ადრე, თუ ეს შეუძლებელი არ არის უკიდურესი საწარმოო აუცილებლობის გამო.

კაზუსი №8

პასუხი:

შრომითი ხელშეკრულების დასაქმებულის ინიციატივით შეწყვეტისას დასაქმებული ვალდებულია არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით.

კაზუსი №9

პასუხი:

არა, რადგანაც დამსაქმებელის მიერ შრომითი ანაზღაურებიდან ერთჯერადად დაქვითვის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შრომის ანაზღაურების 50 პროცენტს.

კაზუსი №10

პასუხი:

არ დააკმაყოფილებს, რადგანაც კანონის თანახმად ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება ეძლევა დასაქმებულს, რომელმაც იშვილა ერთ წლამდე ასაკის ბავშვი.